ვალერიან მეტრეველი

ქართული სამართლის ისტორია

გამომცემლობა „მერიდიანი"
თბილისი 2014

უაკ (UDC) 342(479.922)
ქ 596

წიგნში განხილულია ქართული სამართლის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი, მათ შორის: საგანი, მეთოდი, სისტემა, წყაროები, მეცნიერება.

ნაშრომში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი ქართული სამართლის ისეთი დარგები, როგორიცაა: სახელმწიფო ანუ კონსტიტუციური სამართალი, სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო და პროცესუალური სამართალი, შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტებით.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ქართული სამართლის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი პროფ. ნ. სურგულაძე

რეცენზენტები: დოც. გ. დავითაშვილი
დოც. დ. ბოსტოღანაშვილი

ISBN 99940-46-03-9

თავი I

ქართული სამართლის ისტორიის საგანი. მეთოდი. სისტემა

ქართული სამართლის ისტორიის საგანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მისი გახსნის პირველივე დღიდან იკითხება ქართული სამართლის ისტორია.

ამ საგანს საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტის დამაარსებელმა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

ნიშანდობლივია, რომ ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ქართული სამართლის ისტორიის წაკითხვა თვით ივ. ჯავახიშვილმა ითავა. ამ პერიოდში მას ძირითადად მომზადებული ჰქონდა ქართული სამართლის ისტორიის სასწავლო და სამეცნიერო კურსი, რომელიც 1928-1929 წლებში დასტამბა და გამოსცა კიდეც 2 ნაწილად ანუ 3 წიგნად. ივ. ჯავახიშვილმა ნაშრომს უწოდა „ქართული სამართლის ისტორია“ და არა „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“.

საგნის ასეთი სახელწოდება — „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ ხაზს უსვამდა და ამაგრებდა მარქსისტულ დებულებას: „არ არსებობს სამართალი სახელმწიფოს გარეშე, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ერთმანეთისაგან გამიჯვნა არ შეიძლება“.

მართებულად მიგვაჩნია, რომ ამ საგანს დავუბრუნეთ ძველი სახელწოდება — „ქართული სამართლის ისტორია“. რევოლუციამდელი რუსი ბურჟუაზიული სამართლის ისტორიკოსები: ვ. ი. სერგეევიჩი, ა. ნ. ფილიპოვიჩი, მ. ფ. ვლადიმირსკი-ბუდანოვი და სხვები სამართლის ისტორიას ცალკე, სახელმწიფოსგან მოწყვეტით განიხილავდნენ. ივ. ჯავახიშვილი მათი მიმდევარი იყო და ამიტომაც უწოდა ამ საგანს „ქართული სამართლის ისტორია“, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ივ. ჯავახიშვილი უგულებელყოფდა ქართული სახელმწიფოს ისტორიის შესწავლას. ამის დამადასტურებელია ის, რომ ქართული სამართლის ისტორიის კურსში ცალკეა განხილული ქართული სახელმწიფო სამართალი, რაც სხვა არაფერ-

ია, თუ არა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიული განხილვა.

ქართული სამართლის ისტორია ისტორიულ-იურიდიული მეცნიერებაა. იგი არ არის ნორმათა სისტემა, არამედ არის მეცნიერება ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლისა და სამართლის ცალკეული დარგების (სისხლი, საოჯახო, სამეშკვიდრეო) წარსულის (ისტორიის) შესახებ.

ქართული სამართლის ისტორია ისტორიული მეცნიერებაცაა იმდენად, რამდენადაც იგი სახელმწიფოსა და სამართლის წარსულს შეისწავლის ისტორიულად, უძველესი პერიოდიდან დღემდე, ხოლო იურიდიული მეცნიერებაა იმდენად, რამდენადაც შეისწავლის იურიდიულ კატეგორიებს – სახელმწიფოსა და სამართალს.

დავაზუსტოთ, თუ რა არის ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საგანი ანუ შესწავლის ობიექტი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეს მეცნიერება პირველ რიგში სწავლობს ქართულ სახელმწიფოებრიობას. კერძოდ: სახელმწიფოებრიობის წარმოშობას საქართველოში, იმ კონკრეტული მიზეზების გამოკვლევას, რამაც განაპირობა სახელმწიფოებრიობის გაჩენა საქართველოში, ასევე შეისწავლის ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნიდან დღემდე. სასწავლო კურსში განხილულია ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე.

ქართული სახელმწიფო სამართლის შესწავლისას ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ საკითხებზე: სად ჩამოყალიბდა ესა თუ ის პოლიტიკური გაერთიანება (სახელმწიფო), როგორი იყო მისი საზღვრები, როგორი იყო მისი მმართველობის ან წყობილების ფორმები, მისი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, ვინ იყვნენ თანამდებობის პირები ან როგორი იყო მათი უფლებრივი მდგომარეობა.

ქართული სამართლის შესასწავლად ასევე მნიშვნელოვანია ქართული სამართლის წყაროები, რისთვისაც ვახდენთ სამართლის წყაროების კლასიფიკაციას (დაყოფას) შემდეგნაირად: 1. ქართული სამართლის პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროები, მათი დახასიათება; 2. ქართული სამართლის საეკლესიო წყაროები; 3. ქართული სამართლის საერო წყაროები. თვით საერო სამართლის წყაროებს ვყოფთ: ა) სახელმწიფო-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის წყაროებად და ბ) სისხლისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის წყაროებად.

ქართული სამართალი სამართლის დარგების მიხედვით ცალკე

შეისწავლის: სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალს, საქორწინო-საოჯახო სამართალს, სამეკვიდრეო სამართალს, სასამართლო ორგანიზაციასა და პროცესუალურ სამართალს.

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგანზე მსჯელობისას გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგანი არის სამართლის ცალკეული ინსტიტუტებისა თუ დარგების, ასევე სახელმწიფო დაწესებულებათა ერთობლიობის შესწავლა. მეორე თვალსაზრისის მიხედვით სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგანი არ შეიძლება გავაიგივოთ და შევცვალოთ სახელმწიფო დაწესებულებათა თუ სამართლის დარგთა ისტორიის შესწავლით, ეს გამოიწვევს სახელმწიფოს ისტორიის მოწყვეტას სამართლის ისტორიისაგან[1]. ჩვენი აზრით, ასეთი თვალსაზრისი განპირობებული იყო მარქსისტული თვალსაზრისის ზეგავლენით, რომელიც არაერთგზის შეგვახსენებდა სახელმწიფოსა და სამართლის ერთიანობას. მაგრამ მარქსიზმის ეს დებულება არ ირღვევა არც პირველ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საგნად მივიჩნევთ სახელმწიფო დაწესებულებათა, სამართლის ინსტიტუტებისა თუ დარგების შესწავლის შედეგს.

ამდენად, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის საგანი არის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის წყაროების, ასევე ქართული სამართლის დარგებისა და ინსტიტუტების შესწავლა.

ქართული სამართლის ისტორია მჭიდრო კავშირშია როგორც არაიურიდიულ (ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომიკა და სხვა), ისე იურიდიულ დისციპლინებთან (სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, დარგობრივი იურიდიული დისციპლინები).

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასთან ქართული სამართლის ისტორიის კავშირი გამოხატულებას პოულობს შემდეგში: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია ადგენს სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად ცნებებს, ასევე სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, სწორედ ამ ცნებებსა და კანონზომიერებებს იყენებს ქართული სამართლის ისტორია. თავის

[1] იხ. Ж. Советское государство и право, № 12, 1961 г. стр. 49.

მხრივ კი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია სარგებლობს სამართლის ისტორიის მიერ დადგენილი (მოპოვებული) მასალით.

ქართული სამართლის ისტორიის კავშირი საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიასთან იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრების ისტორია სამართლის ისტორიის მიერ წარმოჩენილ პოლიტიკურ და სამართლებრივ დაწესებულებებს იყენებს საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, აანალიზებს მათ, გამოყოფს მათში დადებითს ან აჩვენებს ნაკლოვანებებს, რაც საშუალებას იძლევა ახალი პროგრესული პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების ჩამოსაყალიბებლად.

ქართული სამართლის ისტორიის კავშირი დარგობრივ იურიდიულ დისციპლინებსა და მათ შესაბამის სამეცნიერო კურსებთან იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის ისტორია აწვდის მასალას თუ როგორი იყო პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებები ამა თუ იმ პერიოდში, დარგობრივი იურიდიული დისციპლინები სარგებლობენ ამ მასალით, და ხელს უწყობენ შედარებით მაღალი დონის პოლიტიკურ თუ სამართლებრივ დაწესებულებათა შექმნას.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის მეთოდი

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის მეთოდზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს თუ რა გზით, რა მეთოდებით უნდა მოვახდინოთ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული სამართლის შესწავლა.

საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის პრობლემათა კვლევისას შეგვიძლია გამოვიყენოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესასწავლად არსებული სხვადასხვა (მრავალფეროვანი) მეთოდი.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ვერ გამოვიყენებთ საგნებისა და მოვლენების შესწავლის ე.წ. მეტაფიზიკურ მეთოდს, იმდენად, რამდენადაც ეს მეთოდი საგნებსა და მოვლენებს (მათ შორის სახელმწიფოსა და სამართალსაც) შეისწავლის ერთმანეთისაგან იზოლირებულად, განუვითარებლად, უცვლელად.

სამაგიეროდ ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ვიყ-

ენებთ ისეთ ზოგად მეთოდს, როგორიცაა დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდი, რომელიც მეტაფიზიკური მეთოდის საპირისპიროდ სახელმწიფოსა და სამართალს შეისწავლის (განიხილავს) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, ერთმანეთთან განპირობებულობასა და განვითარებაში.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად ვიყენებთ ასევე ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: **ფორმალურ-ლოგიკური, სისტემური, შედარებითი ისტორიული მეთოდები.**

ზემოთ აღნიშნული კვლევის მეთოდების საშუალებით შესაძლებლობა იქმნება გაირკვეს ქართული სახელმწიფოსა და ქართული სამართლის ფორმირების თავისებურებანი, ასევე ადრე არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებების დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, დაბოლოს, კვლევის მეთოდი საშუალებას იძლევა ახსნილ იქნეს ქართული სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების გზები თუ მხარეები, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეული ინსტიტუტები.

ქართული სამართლის შესასწავლად გვერდს ვერ აუვლით ისტორიზმის პრინციპს. ისტორიზმის პრინციპის დაცვა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ თუ რომელი პოლიტიკური და სამართლებრივი დაწესებულებები აღმოჩნდა წარმავალი და რომელმა შეინარჩუნა არსებობის უფლება.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ესა თუ ის მეთოდი არ არის თვითმიზანი, არამედ კვლევის საშუალებაა, შემეცნების ხერხია, პოლიტიკურ და სამართლებრივ დაწესებულებათა წარმოჩენისა და შესწავლის, გაანალიზების საშუალებაა.

ქართული სამართლის ისტორიის სისტემა

:

როდესაც ვმსჯელობთ მეცნიერებისა თუ სასწავლო დისციპლინის სისტემაზე, მხედველობაში გვაქვს: რა პრობლემები განიხილება მეცნიერების ამ კურსში ან სასწავლო დისციპლინაში და რა თანმიმდევრობით.

ქართული სამართლის ისტორიას, როგორც იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელ დარგს და როგორც სასწავლო დისციპლინას თავისი პერიოდიზაცია და სისტემა აქვს.

ამ შემთხვევაში განვიხილავთ ქართული სამართლის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის სისტემას. მისი სისტემა შემდეგნაირია: პირველ რიგში ვიხილავთ ქართული სამართლის ისტორიის საგანს, მეთოდსა და სისტემას, ამ სასწავლო დისციპლინის ადგილს სხვა იურიდიულ დისციპლინებს შორის.

მასალის შესასწავლად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და წარმოვაჩენთ ამ დარგის მეცნიერების განვითარებას, ვასახელებთ იმ მეცნიერებსა და შრომებს, რაც შექმნილია ქართული სამართლის ისტორიაში.

ვრცლად მიმოვიხილავთ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის წყაროებს, რისთვისაც ვახდენთ მათ შემდეგნაირ კლასიფიკაციას: ა) პირდაპირი და არაპირდაპირი წყაროები: ბ) საეკლესიო (კანონიკური) და საერო ხასიათის წყაროები; გ) სახელმწიფო-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის წყაროები; დ) სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წყაროები.

სახელმწიფოსა და სამართლის წყაროების მიმოხილვის შემდეგ შეისწავლით ქართული სამართლის ცალკეულ დარგებს. ცალ-ცალკე განვიხილავთ: ა) ქართულ სახელმწიფო (კონსტიტუციურ) სამართალს; ბ) ქართულ სისხლის სამართალს; გ) ქართულ სამოქალაქო სამართალს; დ) ქართულ საქორწინო-საოჯახო სამართალს; ე) ქართულ სამეკვიდრეო სამართალს; ვ) სასამართლოს ორგანიზაციასა და პროცესს.

ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი მეტად ვრცელი დარგია, აქ ჩვენ შევისწავლით სახელმწიფოებრიობის წარმოშობასა და განვითარებას უძველესი პერიოდიდან დღევანდლამდე. ქართული სახელმწიფოებრიობის შესასწავლად სამ პერიოდს გამოვყოფთ: 1) ძველი ქართული სახელმწიფოებრიობა ანუ უძველესი პოლიტიკური გაერთიანებები (დიაოხი, კოლხა, იბერია) ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე; 2) ფეოდალიზმის პერიოდის (შუა საუკუნეების) ქართული სახელმწიფოებრიობა (V-XVIII სს.); 3) ქართული სახელმწიფოებრიობა XIX საუკუნიდან დღემდე.

ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის პრობლემათა გაშუქებისას ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ საკითხებზე: ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობა, მისი ფორმები, უმაღლესი, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, თანამდებობის პირები და მოხელეები,

მათი უფლებრივი მდგომარეობა. ვრცლადაა წარმოდგენილი ე.წ. „ოქროს ხანის“, ანუ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილება. პრობლემის შეუსწავლელობის, მასალების სიმცირისა და სირთულის გამო შედარებით მოკლედაა XV-XVIII საუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური წყობა, სამოხელეო სისტემა.

სათანადო სისრულითაა განხილული რუსული მმართველობა საქართველოში.

ქართული სისხლის სამართლის შესწავლისას ყურადღებას ვუთმობთ შემდეგ პრობლემებს: დანაშაულისა და სასჯელის აღმნიშვნელი ტერმინები, დანაშაულის ცნება და არსი ქართულ სამართალში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, თანამონაწილეობა, დანაშაულის სუბიექტი ქართულ სამართალში, დანაშაულის სუბიექტური მხარე; სასჯელის სახეები და მათი მიზნები ქართულ სამართალში, დანაშაულის ცალკეული სახეები და მათი დასჯადობა.

სამოქალაქო სამართლის შესწავლისას ვიხილავთ შემდეგ საკითხებს: საკუთრების უფლებას, ნივთებს (სანივთო სამართალი), ვალდებულებით სამართალს (ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, ვალდებულების ცალკეულ სახეებს).

საოჯახო სამართლიდან: ქორწინების წესები და პირობები, განქორწინების წესები და პირობები, მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები.

სამემკვიდრეო სამართლიდან: მემკვიდრეობის არსი, სახეები; კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა.

საპროცესო სამართლიდან: სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, დამამტკიცებელი საბუთები.

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებაა

ქართული სამართლის მეცნიერებას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა და სამართალი ყალიბდება ჩვ. წ. ათასწლეულში, ბუნებრივია, შედარებით დაგვიანებულად წარმოგვიდგება ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფოსა და სამართლის კვლევა XVIII საუკუნეში დაიწყო.

ქართული სამართლის შესწავლის მოთავედ უნდა მივიჩნიოთ ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომელმაც XVIII საუკუნის დასაწყისში ფართო საკანონმდებლო საქმიანობა გააჩაღა. ვახტანგ VI-მ სწავლულ კაცთა კომისია შექმნა, ხელმძღვანელობდა მას და თვითონაც ღებულობდა მონაწილეობას საკანონმდებლო საქმიანობაში. ვახტანგ VI-ს დიდი დამსახურება ის არის, რომ „იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო“. ამ გზით ვახტანგ VI-მ სჯულმდებლობის დიდი კრებული შეადგინა და ამით საქართველოს ისტორიაში ქართული სამართლის პირველი მკვლევრის, სამართლის პირველი მეისტორიის სახელი დაიმკვიდრა. ვახტანგ VI-მ შეკრიბა ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: ბექასა და აღბუღას სამართალი, გიორგი ბრწყინვალეს სამართალი, კათალიკოზთა სამართალი და ისინი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა. მან საკუთარი სამართლის წიგნიც შეადგინა და დაურთო კრებულს. ამავე კრებულში მოათავსა მან უცხოურიდან ნათარგმნი სამართლის წიგნები, როგორიცაა: ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ბერძნული სამართლის ქართული ვერსია და სომხური სამართლის ქართული ვერსია.

ქართული სამართლის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ბატონიშვილებმა (ვახუშტი, იოვანე, დავითი), მ. ბროსემ, პ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ, დ. ფურცელაძემ, ალ. ხახანაშვილმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა და სხვ.

XIX საუკუნის ბოლოს ქართული სამართლის ისტორიის კვლევას ხელი მოჰკიდეს რუსმა და ევროპელმა მეცნიერებმა. აღსანიშნავია თ. ლეონტიევიჩის, მ. კოვალევსკის, რ. დარესტის, ფ. ჰოლდაკის, რ. კულტმანის, ჟ. კარსტის ღვაწლი ამ საქმეში.

უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პროფესიონალ იურისტთაგან ქართული სამართლის პირველ მკვლევრად გვევლინება ნიკო

ხიზანაშვილი (ურბნელი), რომელმაც რამდენიმე გამოკვლევა გამოაქვეყნა ამ დარგში[1].

ქართული სამართლის ჭეშმარიტად მეცნიერული შესწავლა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ითავა.

ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი (1876-1944 წწ.) იყო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მან ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დააარსა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1919-1926 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტის რექტორად.

ივ. ჯავახიშვილმა ქართველოლოგიის მრავალ დარგს ჩაუყარა საფუძველი, მათ შორის ქართული სამართლის ისტორიასაც. ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა მან მიზნად დაისახა სამეცნიერო მუშაობის დაწყებისთანავე. ივ. ჯავახიშვილმა დაამთავრა პეტერბურგის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. სპეციალური იურიდიული განათლება არ მიუღია. სამართლის მეცნიერებას იგი დამოუკიდებლად დაეუფლა. თავდაპირველად საფუძვლიანად შეისწავლა რომის სამართლის ისტორია, რაც საერთოდ სამართლის ისტორიის საფუძველს წარმოადგენს, შემდეგ კი შეისწავლა გერმანული, ფრანგული, ბიზანტიური და რუსული სამართლის ისტორია.

როგორც აღინიშნა, ქართული სამართლის ისტორიის სპეციალური კვლევა-ძიება პირველად ნიკო ურბნელმა (ხიზანაშვილმა) დაიწყო. მან გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში რამდენიმე მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომლებშიაც განხილულია ძველი ქართული სამართლის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა ნ. ურბნელის სამეცნიერო კვლევის მეთოდის სწორი მეცნიერული შეფასება და აღნიშნა ის არსებითი ნაკლოვანებები, რომლებიც ამ მეთოდს ახასიათებს. ნ. ურბნელი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომხრე იყო. ამ მეთოდის მიმდევრები თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა უძველესი დროიდან უნდა დაიწყ-

[1] ნ. ურბნელი, ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, თბ., 1890; ნ. ურბნელი ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბ., 1892; ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), რჩეული იურიდიული ნაწერები (დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ), თბ., 1982.

ოს, ამისათვის გამოსადეგი ყველა მასალის გამოყენებით, სამართლის ძეგლების ტექსტის წინასწარი კრიტიკული შესწავლითა და პირვანდელი სახის აღდგენით, ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ზუსტი მნიშვნელობისა და ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ბუნების გამორკვევით.

„ქართული სამართლის ისტორია“ ივ. ჯავახიშვილის ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფია. 1907 წელს ივ. ჯავახიშვილს უკვე დაწერილი ჰქონდა „ქართული სამართლის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული XIII საუკუნის დამდეგამდის“, რომლის ბეჭდვა დაიწყო 1909 წელს ალმანახ „ერში“, მაგრამ ცენზურის მიერ ალმანახის შეჩერების გამო პუბლიკაციაც შეწყდა. 1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდანვე „ქართული სამართლის ისტორია“ სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული. „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი ორი წიგნი 1928 წელს გამოქვეყნდა. პირველში განხილულია ქართული საერო და საეკლესიო სამართლის წყაროები და უძველესი ხანის საქართველოს სოციალური და სახელმწიფო წესწყობილება არაბთა შემოსევამდე, ანუ VII საუკუნის შუა წლებამდე. აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს წყაროების განხილვასა და სამართლის ტერმინოლოგიაზე, რაც, მისი აზრით, სამართლის ისტორიის საფუძველია. ივ. ჯავახიშვილი აკვლევს ყოველი ძეგლის შედგენის დროს, პირობებს, მიზნებსა და მოქმედების ასპარეზს, პირვანდელი ტექსტის სახეს.

„ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნი ორ ნაწილად გამოქვეყნდა: პირველში განხილულია IX-XIII საუკუნეების სახელმწიფო სამართლის, ტერიტორიის, მოსახლეობისა და სამოხელეო წყობილების საკითხები, ხოლო მეორე ნაწილი მთავრდება ქართული სახელმწიფო, სისხლის, საკორპორაციო, სამოქალაქო სამართლისა და სამართალწარმოების ისტორიით მონღოლთა შემოსევამდე. ამჟამად ჩვენ ვსარგებლობთ ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა 12 ტომეულით, რომლის VI და VII ტომები „ქართული სამართლის ისტორიას“ ეძღვნება[1].

ივ. ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორია“ ფასდაუდებელი ძეგლია ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. ამ ნაშრომში ივ. ჯავა-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VI, თბ., 1982; ტ. VII, თბ., 1984.

ხიშვილი მეტად ღრმამეცნიერულად იკვლევს ქართულ სამართლის ყველა დარგს სახელმწიფო, სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო, პროცესუალურ სამართალსა თუ სამართლის მრავალ ინსტიტუტს უძველესი პერიოდიდან მონღოლთა შემოსევამდე.

ქართული სამართლის ისტორიის კვლევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ივანე სურგულაძეს. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, რომელთაგან 15 მონოგრაფიაა.

ივ. სურგულაძე თავის შრომებში საფუძვლიანად იკვლევდა ქართული სამართლის წყაროებს, ასევე ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციურ), სამოქალაქო, სისხლისა თუ პროცესუალურ სამართლის საკითხებს. აღსანიშნავია მისი სქელტანიანი შრომები: „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის", თბ., 1952 წ., „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან", ნაწ. I, თბ., 1963 წ; ნაწ. II, თბ., 1965 წ; „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია", თბ., 1968 წ. (რუსულ ენაზე); „ქართული სამართლის ძეგლები („ხელმწიფის კარის გარიგება", „დასტურლამალი"), თბ., 1970 წ; „ქართული სამართლის წყაროები", თბ., 1984 წ. და მრავალი სხვა. პროფესორ ივ. სურგულაძეს გამოქვეყნებული აქვს „ქართული სამართლის ისტორია" 4 ტომად.

ქართული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. ალ. ვაჩეიშვილმა. მან სამი წიგნი მიუძღვნა ქართული სამართლის ისტორიის პრობლემებს, რომლებშიაც შესწავლილია: ქართული სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკითხები[1].

ქართული სამართლის ისტორიის კვლევის საქმე მნიშვნელოვნად წასწია წინ აკად. ი. დოლიძემ. მან არქივებიდან ამოკრიბა, რედაქტირება გაუკეთა, კომენტარები დაურთო და გამოსცა „ქართული სამართლის ძეგლები" რვა ტომად, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის არა მარტო ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარი, არამედ ნებისმიერი დარგის ქართველოლოგი. აღსანიშნავია ასევე მისი სხვა შრომებიც[2].

---

[1] იხ. ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წიგნი I, თბ., 1946; წიგნი II, 1948; წიგნი III, 1963.

[2] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953; მისივე, „გიორგი ბრწყინვალეს სამართალი", თბ., 1957; მისივე, „საქართველოს ჩვეულებითი სჯული", თბ., 1960.

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში ნაყოფიერად მოღვაწეობს პროფესორი გ. ნადარეიშვილი. პროფ. გ. ნადარეიშვილი ძირითადად ქართული საოჯახო სამართლის მკვლევრად გვევლინება[1], მაგრამ მას მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ქართული სისხლის, სამოქალაქო, სამემკვიდრეო თუ პროცესუალური სამართლის ცალკეულ პრობლემებზე.

ქართული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცნობილ მეცნიერ-იურისტს დავით ფურცელაძეს. მან გამოიკვლია და გამოსცა ისეთი სამართლებრივი ძეგლები, როგორიცაა: „სამოქალაქო სჯულვილება“ და „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“. პროფ. დ. ფურცელაძემ რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა „ვახტანგ VI კანონები (1980)“. იგი აქტიურად მონაწილეობდა იურიდიული ტერმინების დამუშავება-შედგენაში და „იურიდიული ტერმინოლოგიის“ ერთ-ერთი ავტორიცაა.

ქართული სამართლის ისტორიაში ნაყოფიერად მუშაობს პროფესორი იაკობ ფუტკარაძე. მისი შრომები ეხება ქართულ სახელმწიფო (კონსტიტუციურ) სამართალს, ჩვეულებით, სამოქალაქო, ვალდებულებით, სამემკვიდრეო, საოჯახო თუ სისხლის სამართლისა და პროცესის საკითხებს. მან ჯერ კიდევ 1964 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „მთიულეთის სამართლის ისტორიისათვის“. აღსანიშნავია აგრეთვე მისი გამოკვლევა „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“ (1976 წ.), რომელშიაც პირველადაა შესწავლილი ქართული ვალდებულებითი სამართლის მრავალი ინსტიტუტი. პროფ. ი. ფუტკარაძეს გამოკვლეული აქვს მრავალი იურიდიული ტერმინი, რომლებიც შესულია ქართულ ენციკლოპედიაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სამოქალაქო სამართლის ისტორიის, როგორც ნაკლებად შესწავლილი დარგის მრავალი პრობლემის დამუშავებაში.

ქართული სამართლის ისტორიის კვლევას ემსახურებოდა პროფ. მ. კვაჭაძეც. მისი კვლევის ინტერესი და სფერო ძირითადად სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი იყო, რასაც ორი გამოკვლევა

---

[1] გ. ნადარეიშვილი, „ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან“, თბ., 1965; მისივე, „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“, თბ., 1974.

მიუძღვნა[1]. პროფ. მ. კეკელიას გამოქვეყნებული აქვს ასევე ბრაკალი ნაშრომი ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხებზე[2].

ქართული სამემკვიდრეო სამართალი მონოგრაფიულად შეისწავლა პროფ. ბ. ზოიძემ. ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი სადოქტორო დისერტაციაც, რომელიც ცალკე შრომადაც გამოაქვეყნა[3].

დოც. ნ. კორძაია-სამადაშვილმა შეისწავლა ბრალის პრობლემა ქართულ სამართალში; მასვე გამოქვეყნებული აქვს სტატიები დანაშაულის მოტივისა და ქონებრივი დანაშაულების შესახებ[4].

დოც. გ. დავითაშვილი ინტენსიურად იკვლევს ქართული ჩვეულებითი სამართლის პრობლემებს. მასვე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „ვაჟა-ფშაველა და ქართული ჩვეულებითი სამართალი“[5].

დოც. მ. ლეკვეიშვილმა პირველმა შეისწავლა სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში[6].

დოც. ვ. გეწაძემ შეისწავლა საბჭოთა პერიოდის ქართული საოჯახო სამართლის საკითხები. თავისი შრომის შედეგები გააანალიზა საკანდიდატო დისერტაციაში[7].

---

[1] მ. კეკელია, „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ“, I (ქართლ-კახეთის სამეფო), თბ., 1970; მისივე, „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ“, II (იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის სამთავროები), თბ., 1981.

[2] იხ. „ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხები“, №1; №2; №3; №4; თბ., 1989-1993.

[3] ბ. ზოიძე, „ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი“, ბათუმი, 1992.

[4] ნ. კორძაია-სამადაშვილი, „ბრალის საკითხი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით“, თსუ შრომები, 1959 წ; მისივე, „დანაშაულის მოტივი ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით“, თსუ შრომები, 1960.

[5] იხ. კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართლის საკითხები“, №2, თბ., 1991, №3, №4. ასევე გ. დავითაშვილი, სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, 1998; სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, 2001; სამედიატორო სასამართლო სვანეთში, 2002; სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში, 2002.

[6] მ. ლეკვეიშვილი, „სასამართლო პროცესი XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში“, თბ., 1963.

[7] ვ. გეწაძე, „საქართველოს სსრ საოჯახო კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, №8, 1969; მისივე, „საბჭოთა საოჯახო სამართლის ისტორიისათვის“, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №5, 1968.

დოც. ბ. სეხნიაძეს თავის საკანდიდატო დისერტაციაში შესწავლილი აქვს ქართული სისხლის სამართლის საკითხები, კერძოდ, „პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ქართულ სამართალში“[1]

დოც. მ. ცაცანაშვილმა შეისწავლა „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნის იურიდიულ-პოლიტიკური შედეგები“, მანვე გამოაქვეყნა სტატია საქართველოს სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და რევოლუციური კომიტეტების შესახებ[2].

ქართული სამართლის ცალკეული საკითხები დამუშავებულია ს. გოგინავასა და კ. ბზიშვილის შრომებში.

პროფ. ვ. მეტრეველის ნაშრომებში ძირითადად ქართული პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის პრობლემებია შესწავლილი, მაგრამ ამ პრობლემათა გვერდით ახსნილია ქართული სამართლის ისტორიის მრავალი საკითხი[3]. უშუალოდ ქართული სამართლის ისტორიიდან ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომები ებრაული სამართლის ქართული თარგმანისა და ახალი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების შესახებ[4].

სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების აღმნიშვნელი ტერმინები და მათი შინაარსი

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის გადმოცემა სამართლის აღმნიშვნელი ტერმინების განხილვით უნდა დავიწყოთ.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით სამართლის აღსანიშნავად ძველ

---

[1] ბ. სეხნიაძე, „პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ქართულ სამართალში“, დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1988.

[2] მ. ცაცანაშვილი, „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნის იურიდიულ-პოლიტიკური შედეგები“, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1988.

[3] ვ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1978; მისივე, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1980; მისივე, აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1980; მისივე, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ., 1983.

[4] ვ. მეტრეველი, „ებრაული სამართლის ქართული ვერსია“, ჟურ. სამართალი, 1992, №2; მისივე, „საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება ადრეფეოდალიზმის ხანაში“. იხ. ლექციები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, თბ., 1993. გვ. 61-97.

ქართულ მწერლობაშიც და ამჟამადაც იხმარებოდა და იხმარება „კანონი“. კანონს კი ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და სამართალს უდრიდა[1]. კანონი გულისხმობდა ასევე სამართლის მუხლსაც, იქნებოდა იგი საერო თუ საეკლესიო სამართლის ძეგლი. ტერმინ „კანონს“ სასჯელის მნიშვნელობაც მიეცა. აქედან გამომდინარე, „განკანონება“ — დასჯას ნიშნავდა.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კანონი მხოლოდ სამართლის წიგნის მუხლს როდი ნიშნავდა, არამედ მთლიანად კანონების კრებულს, სამართლის წიგნს, რომელშიაც შედიოდა ცალკეული კანონები[2].

ივ. ჯავახიშვილი იკვლევს, რომ ტერმინი „კანონი“ ქართული არ არის, იგი ბერძნულიდან შემოვიდა ქართულში და თვით ბერძნულში ერთ-ერთი სემიტური ენიდანაა გადასული, რომელშიაც კანონი ლერწამს ნიშნავდა.

საბერძნეთში „კანონს“ ხუროს ხის იარაღს უწოდებდნენ, რომელიც სისწორის დასაცავად, შესამოწმებლად გამოიყენებოდა. შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებს „კანონს“ ეძახდნენ, იმიტომ, რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა... მსოფლიო კრებების შემოღების შემდგომ „კანონს“ მსოფლიო და ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებას ეძახდნენ, სადაც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნოება“, საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადა სამღვდელოებასა და მრევლს სხვადასხვა დანაშაულისათვის, სარწმუნოების, წესიერებისა და სინდისის წინაშე[3].

ივ. ჯავახიშვილი არკვევს ტერმინ „სამართლის“ ეტიმოლოგიასა და შინაარსს. მისი დაკვირვებით სამართალი „მართლისაგან“ წარმოდგება, რაც თავდაპირველად სწორეს ნიშნავდა. ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ სამართალი წარმოდგა „მართი“-საგან ანუ ვერტიკალისაგან, ანუ სწორისაგან და ამის შემდეგ მიიღო მან სამართლის მნიშვნელობა. ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ სამართალი ნიშნავს „იმას, რაც თვითეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედება-დამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ განსაზღვრულ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 24, თბ., 1982.

[2] იქვე, გვ. 25.

[3] იქვე, გვ. 24, თბ., 1982.

მცნებად მიაჩნია...!". სამართლის ასეთი ცნება ძვირფასია, იშვიათია. ჩვენს სამართლისმცოდნეებს ვურჩევდით გამოეყენებინათ იგი ამ პრობლემის კვლევისას.

„სამართლის სინონიმად ძველ ქართულში სჯულიც იხმარებოდა. ეს ტერმინი ზმნა „სჯისგან" უნდა იყოს ნაწარმოები და „თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა". ძველ ქართულ სამართალში „სჯულს", „შჯულს" მაინც სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობა ჰქონდა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი" განსხვავდებოდა[2].

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით სამართალს ზოგჯერ „გაჩენილი" სამართალი ერქვა, რადგან მას აჩენდა ანუ ადგენდა სხვადასხვა წოდებების კრება, მეფე ან სახელმწიფო დარბაზი. თვით სამართლის „გაჩენის" ანუ ჩამოყალიბების მოქმედებას, პროცესს — „განჩინება" ეწოდებოდა, რაც განაჩენსაც უდრიდა[3].

საკანონმდებლო კრების მიერ ბჭობისა და შრომის შედეგად მიღებულ სასამართლო წიგნს „ძეგლი" ეწოდებოდა, რომელსაც მიიღებდა ანუ დადებდა, დასხამდა კრება[4].

რაც შეეხება კოდიკოს ან კოდექსს — ლათინური წარმოშობისაა და ქართულშიაც გამოიყენებოდა. კოდექსი შეკვრას, წიგნს ნიშნავდა, კოდიკო კი — უფრო ერცელ კრებულს, ამასთან, ისინი შინაარსით ერთიანსა და მთლიანს ნიშნავს, იგი კანონების უბრალო, მექანიკური გროვა არ არის[5].

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებსა თუ სხვა წყაროებში ვხვდებით ტერმინ „ჩვეულება"-საც. ჩვეულება არ ნიშნავს ერთი, ცალკე აღებული ადამიანის ქცევის წესს. ჩვეულებაში მთელი საზოგადოების ან საზოგადოების ნაწილის (ჯგუფის, წოდების, კლასის) ზნე და ქცევის წესი იგულისხმება.

წესდება — წესის დადებიდან მოდის. წესი კი სამოქმედო სახელმძღვანელო იყო როგორც ეკლესია-მონასტრების, ისე სახელმწიფო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირებისათვის.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 28.
[2] იქვე, გვ. 29.
[3] იქვე, გვ. 29, თბ., 1982.
[4] იქვე.
[5] იქვე.

განგება — იმავე წესს ნიშნავდა. „განგება“ საზოგადოდ გამართვას, მოწყობას ნიშნავდა“[1]. დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, განგება — მართვას უფრო აღნიშნავს.

ფეოდალურ საქართველოში საკანონმდებლო აქტების სხვა სახეებსაც ვხვდებით. მათ შორის: **წიგნი, სიგელი, გუჯარი, დაწერილი, ბრძანება, ხელი, პიტაკი, ოქმი.**

წიგნი — ყოველგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური (კერძო) საბუთის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო.

სიგელი და გუჯარი — მეფის მიერ ნაბოძებ საბუთს ეწოდებოდა.

ბრძანება და ოქმი — მეფეთა განკარგულებები.

ხელი — ქვაზე ამოკვეთილი მეფის ბრძანება იყო.

სიგელის მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგჯერ **ბრძანება** და **პიტაკიც** გამოიყენებოდა[2].

დაწერილი — იმ საბუთს ეწოდებოდა, რომელიც მეფის მიერ არ იყო გამოცემული, მაგრამ ზოგჯერ საკანონმდებლო აქტსაც შეიცავდა. ეს წყარო XV საუკუნემდე ჩანს, ამის შემდეგ კი ქრება.

პიტაკი იგივე სიგელია.

მოვიყვანოთ მაგალითები:

სიგელი — წყალობის სიგელი ბაგრატ და კონსტანტინე მეფეებისა — ჯავახიშვილებისადმი, 1468 წ.

გუჯარი — საკანონო გუჯარი თეიმურაზ პირველისა ალავერდისადმი, 1612 წ.

ბრძანება — გიორგი ბატონიშვილისა ბოქაულთუხუცესის ზურაბისადმი ლარგვისის მონასტრის შეუვალობის შესახებ, 1778 წ. იგივე შეიძლება ითქვას ოქმზედაც, რადგან ოქმი მეფეთა განკარგულებასაც აღნიშნავდა. მაგალითად:

ოქმი — გიორგი მეფისა დავითგარეჯის წინამძღვრის არზაზე მონასტრის ყმების ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, 1779 წ.

ხელი — ხელი რუსულიდან მეფისა კავთის მამულის შეუვალობის შესახებ.

ქართული სამართლის წყაროებზე (ძეგლებზე) საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით აკად. ი. დოლიძის ნაღვაწს ქართული სამართლის ძეგლების გამოცემის საქმეში.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 35.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. II, გვ. IX, თბ., 1965. ეს ტომი ზემოთ აღნიშნულ წყაროებს ეძღვნებოდა.

აკად. ი. დოლიძემ არქივებიდან გამოიტანა, გამართა, დააზუსტა, კომენტარებით, შენიშვნებითა და საძიებლებით აღჭურვა და გამოსცა ქართული სამართლის ძეგლები 8 ტომად.

ტ. I — თბ., 1963 წ. აქ შედის ქართული საერო ხასიათის ძეგლები. მათ შორის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ტ. II — თბ., 1965 წ. ამ ტომში შეტანილია ქართული სამართლის ისეთი ძეგლები, როგორიცაა წიგნი, სიგელი, გუჯარი, ბრძანება, ოქმი, ხელი, პიტაკი, დაწერილი და სხვ. სულ 164 საბუთი.

ტ. III — თბ., 1970 წ. ეს ტომი ძალზე სქელტანიანია. მასში შეტანილია მხოლოდ ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლები (წყაროები). უცხოური სამართლის ძეგლები მასში არ არის.

ტ. IV — თბ., 1972 წ. მოიცავს XVI-XVIII საუკუნეების განაჩენებსა და განჩინებებს. ყველაზე უძველესი არის ბაგრატ IV-ის მიერ გამოტანილი განჩინება — ოპიზის სიგელი. ამ სახის სხვა ადრინდელ საბუთებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ასევე შემონახული არ არის XII-XV საუკუნის ამ რანგის საბუთები. ამიტომაც ვიწყებთ მათ XVI საუკუნიდან. ამ ტომში სულ 534 საბუთია.

ტ. V — თბ., 1974 წ. IV ტომის გაგრძელებაა. ამ ტომში შეტანილია XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სასამართლოს განჩინებები. ამ ტომში შევიდა მეფეთა, კათალიკოზთა, ბატონიშვილთა, მდივანბეგთა, მელიქ-მამასახლისთა ქვეხუდების სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებები. ამავე ტომში შესულია დიკასტერიისა და მედიატორთა სასამართლოების რამდენიმე განაჩენი. სულ 403 საბუთია.

ტ. VI — თბ., 1972 წ. შესულია XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის სასამართლო განჩინებები. ამ ტომში მეფის, კათალიკოსის, ბატონიშვილებისა და სხვათა განჩინებების გარდა შეტანილია მედიატორთა სასამართლოს რამდენიმე განჩინება. ეს სასამართლო იქმნებოდა იმის გამო, რომ 1801 წლიდან საქართველოში შემოდის რუსული სამართალწარმოება, რაც ხალხისათვის რთული იყო. ამიტომაც ხალხმა ზურგი შეაქცია მას და იწყო საკუთარი სამართალწარმოება, თვით ხალხის მიერ არჩეულ მედიატორთა სასამართლოების სახით. აღსანიშნავია, რომ ასეთი სასამართლოების მიერ გამოტანილი განჩინებების კულტურა ძალზე დაბალია. ამ ტომში 384 საბუთია.

ტ. VII — თბ., 1985 წ. ამ ტომში შეტანილია სასამართლოთა არზა-ოქმები. არზა-ოქმები განსაკუთრებული ხასიათის სამართლის წყაროებია, რომლებიც განსხვავდებიან სამართლის წიგნებისა თუ სხვა დოკუმენტებისაგან. არზა-ოქმებს სხვანაირად „ჰაჯაჲ და მოხსენებაჲ“ ერქვა. „ჰაჯაატ“ — არაბულია და ნიშნავს გასაჭირს, მოთხოვნას. აკად. ი. დოლიძის მითითებით ამ რანგის საბუთები წარმოდგება საქმის აღძერის, გამოძიებისა თუ საქმის განხილვის შედეგად; ხოლო საქმისწარმოება იწყება ბრძანების შემდეგ. სხვანაირად პროცესის ამ სახეობას საოქმო პროცესი ეწოდება. ამ ტომში 863 საბუთია.

ტ. VIII — ამ ტომშიც არზა-ოქმებია შეტანილი. იგი მოიცავს პერიოდს 1789 წლიდან 1853 წლამდე. მასში 956 საბუთია. ქართული სამართლის რვატომეული ძვირფასი შენაძენია არა მარტო ქართული სამართლის, არამედ ქართველოლოგიის ყველა დარგისათვის.

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის წყაროები

ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის წყაროებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის გვაქვს როგორც **არაპირდაპირი**, ისე **პირდაპირი** წყაროები.

ქართული სამართლის შესწავლის **არაპირდაპირი** წყაროები ისეთი წყაროებია, რომლებიც უშუალოდ არ ეძღვნება სამართალს, მაგრამ არაპირდაპირი გზით მაინც ვპოულობთ მათში ცნობებს ქართულ სამართალზე.

არაპირდაპირ წყაროებად შეიძლება დავასახელოთ მატერიალური კულტურის ძეგლები, არქეოლოგიური გათხრების გზით მოპოვებული მასალები, ნუმიზმატიკის ობიექტები, კლდეზე ამოკვეთილი წარწერები, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, ისტორიული ხასიათის თხზულებები და სხვ. მაგალითად, არმაზის ორენოვანი ბილინგვა მნიშვნელოვანი მასალაა ქართლის ანუ იბერიის სახელმწიფოს შესასწავლად; „შუშანიკის წამება“ მნიშვნელოვანია IV საუკუნის საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის წარმოსაჩენად. „ვეფხისტყაოსანი“ როგორც არაპირდაპირი წყარო უამრავ ცნობას შეიცავს სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხზე და ა.შ. არაპირდაპირ წყაროებს მაშინ ვიყენებთ, როდესაც სახეზე არა გვაქვს პირდაპირი წყაროები.

არაპირდაპირ წყაროებთან შედარებით მნიშვნელოვანია პირდაპირი წყაროები. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, პირდაპირი წყაროები პირდაპირ, უშუალოდ გვაწვდიან ცნობებს ქართული სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა საკითხებზე. დავასახელოთ პირდაპირი წყაროები: მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურლამალი“, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი და უამრავი სხვა. ყველა ეს წყარო პირდაპირ, უშუალოდ ეძღვნება ქართული სამართლის საკითხებს.

თავის მხრივ, პირდაპირი წყაროები ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ა) ქართული სამართლის საეკლესიო წყაროები; ბ) ქართული სამართლის საერო წყაროები.

საეკლესიო სამართლის წყაროებიც ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: ა) **უცხოური (ნათარგმნი)** საეკლესიო სამართლის წყაროები; ბ) ადგილობრივი ქართული (მართლმადიდებლური) საეკლესიო წყაროები, რომლებიც მიღებულია ქართული ეკლესია-მონასტრების მიერ

საეკლესიო წყაროები

საქართველოში, მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანაში მოქმედებდა როგორც მსოფლიო ქრისტიანული საეკლესიო კანონები, ისე ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მიერ მიღებული კანონები.

უცხოური საეკლესიო კანონები მრავალია, რომელთაგან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ორ მათგანს: 1) **„დიდი სჯულის კანონი“**, 2) **„მცირე სჯულის კანონი“**.

„დიდი სჯულის კანონი“ იყო შედგენილი საბერძნეთში უცნობი ავტორის მიერ, რომელიც ქართულადაც ითარგმნა. თარგმანი შესრულებულია არსენ იყალთოელის მიერ XII საუკუნის დასაწყისში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ძეგლი უფრო ადრეც ყოფილა ნათარგმნი. დიდი სჯულის კანონი მართლმადიდებლური ეკლესიის ძირითადი კანონიკური ძეგლია. იგი შეიცავს მოციქულთა მსოფლიო საეკლესიო კრებათა და წმინდა მამათა კანონებს. „დიდი სჯულის კანონი“ საქართველოში მოქმედი სამართლის წიგნი იყო. იგი არეგულირებდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს. ძეგლში მოცემულია მრავალი საინტერესო იურიდიული ტერმინი.

— დიდი სჯულის კანონის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ საეკლესიო სამართლის ნორმებთან ერთად საერო სამართლის ნორმებიც იყო გადმოცემული. ამ გზით შესაძლებელი გახდა საქართველოში ბიზანტიური (რომაული) სამართლის იდეების გადმოტანა-დამკვიდრება. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ამ ძეგლში არის მოთავსებული ადგილები იუსტინიანეს დიგესტებიდან, ნოველებიდან და ინსტიტუციებიდან (გ. ნადარეიშვილი).

„მცირე სჯულის კანონი" ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწე ქართველმა საეკლესიო სამართლის ცნობილმა სპეციალისტმა ექვთიმე მთაწმინდელმა შეადგინა, ბერძნული კანონიკური სამართლის სხვადასხვა წყაროს გადამუშავებისა და შიგ ქართული მასალების შეტანის გზით. „მცირე სჯულის კანონი" შედგება 4 ნაწილისაგან: 1) მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების წესისა და განგებისაგან; 2) „კანონნი შეცოდებულთანი" (დანაშაულის კანონები); 3) „კანონნი ღღითი-ღღეთა ცდომათანი"; 4) „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ". ექვთიმე მთაწმინდელს მსოფლიოს საეკლესიო კანონები სიტყვასიტყვით კი არ გადმოუწერია, არამედ გადაუმუშავებია და ქართული სინამდვილისათვის მიუსადაგებია. ამ ძეგლში მრავალი მუხლი თვით ექვთიმეს დაუწერია. ეს ძეგლი მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სისხლის სამართლის პრობლემების შესახებ. კერძოდ, დანაშაულის, სასჯელის და, რაც მთავარია, მასში დამუშავებულია ბრალის პრობლემა, ბრალის ცალკეული სახეები, განზრახვა (ნებსითი მოქმედება) და გაუფრთხილებლობა (უნებლიე მოქმედება), ასევე შემთხვევა ანუ კაზუსი.

როგორც აღინიშნა, გარდა უცხოური საეკლესიო სამართლის ძეგლებისა, გვაქვს ასევე ადგილობრივი, ქართული საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. ასეთებია: საეკლესიო კანონები, სჯულდების წიგნები, სიგელ-გუჯრები. საქართველოში ეკლესია-მონასტრები — სვეტიცხოველი, ბიჭვინთა, ალავერდი, გელათი, შიომღვიმე, დავითგარეჯა, ვარძია და სხვა მწერლობისა და განათლების მძლავრი კერები იყო. ასევე საზღვარგარეთული სავანეები კანონიკური ანუ საეკლესიო მწერლობის კერებს წარმოადგენდა, სადაც მიმდინარეობდა საეკლესიო საკანონმდებლო საქმიანობა. ქართული საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები თავმოყრილია ი. დოლიძის მიერ გამოცემულ ქართული სამართლის ძეგლების მესამე ტომში. ამ ტომში შესულია 526 საბუთი, რომელთაგან ჩვენ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ ორს:

1. „რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერა“;
2. „კათალიკოსთა სამართალი“.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1103 წელს მოიწვია დავით აღმაშენებელმა. კრების მოწვევის მიზეზთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ის იყო, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, საეკლესიო ხელისუფლება დაემორჩილებინა მეფის საერო ხელისუფლებისათვის. კრების დღის წესრიგში იდგა ასევე იმ დარღვევების აღმოფხვრა, რასაც ადგილი ჰქონდა ეკლესიაში (საეკლესიო ქონების განიავება, მცირეწლოვანთა ქორწინება, სოდომური ცოდვების დაგმობა და სხვ.).

საეკლესიო კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის ერთგული პიროვნება გიორგი, შემდგომში ჭყონდიდელი — მწიგნობართუხუცესი.

კრებამ დავით აღმაშენებლისა და მისი მომხრეების პოლიტიკა გაატარა და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც აისახა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით: შეიცვალა უღირსი მღვდელთმთავრები. მღვდელთმთავრების დაწინაურება უნდა მომხდარიყო მათი საქმიანობისა და დამსახურების მიხედვით. დადგინდა საეკლესიო მოღვაწეთა ხელდასხმის წესი. აიკრძალა: ეკლესიის გარეშე ნათლობა და ქორწინება, საეკლესიო ნივთების პირადი მოხმარება და ხელყოფა, მცირეწლოვანთა ანუ ჩვილთა ქორწინება. მკაცრად განისაზღვრა ქალის საქორწინო ასაკი — 12 წელი. დაწესდა 12 წლამდე პირთა ნიშნობა. აიკრძალა მონასტრებთან ბაზრობის გამართვა, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა ყოველგვარ გარყვნილებასა და სოდომურ ცოდვებს.

დავით აღმაშენებლის ბრძნულმა პოლიტიკამ გაიმარჯვა: საქართველოში დაწესდა ახალი თანამდებობა — „მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი“, რომელსაც „მეფის მამასაც“ უწოდებს მემატიანე და რომელიც მალე ვაზირთუპირველესად ანუ პრემიერ-მინისტრადაც მოგვევლინა, მის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდებოდა. ყოველივე ეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით მოხდა.

ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლია ასევე „კათალიკოსთა სამართალი“ ანუ კანონები, რომელიც მიიღო დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნის შუა წლებში გამართულმა საეკლესიო კრებამ. კრების

მოწევის სხვადასხვა მიზეზთა შორის უმთავრესი იყო დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ისეთი საშინელი დანაშაული, როგორიც იყო ჩვილ ბავშვთა და. საერთოდ, ადამიანთა მოტაცება და თურქეთში გაყიდვა. ამ საშინელმა „სენმა,“ საფრთხე შეუქმნა საზოგადოებას, ფაქტობრივად ნაგვურდებოდა საქართველოს გენოფონდი. სწორედ ამ მიზეზით შეკრებილან ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეები. კანონთა შედგენაში მონაწილეობდა „ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია“. ეს კანონი სრულიად საქართველოში მოქმედებდა.

კათალიკოსთა სამართალი ანუ კანონები 3 ნაწილისაგან შედგება: შესავალი, კანონთა მუხლები და კრების მონაწილე პირთა ხელმოწერები. იგი 23 მუხლისაგან შედგება. ძეგლში ძირითადად სისხლის სამართლის მუხლებია. მასში დაფიქსირებულია ისეთი დანაშაულის სახეები, როგორიცაა: მეფის ღალატი, მკვლელობა, კაცის მოტაცება და გაყიდვა, ეკლესიის გატეხვა, ქურდობა, რძლის შერთვა და სხვ. სასჯელის სახეებიდან აღსანიშნავია: სიკვდილით დასჯა, ხელის მოკვეთა, გაძევება, შეჩვენება და სხვ. კათალიკოსთა სამართალმა მკაცრად გაილაშქრა ტყვის მოტაცებისა და გაყიდვის წინააღმდეგ. კანონში პირდაპირ აღინიშნა: ვინც ყმა მოიტაცოს, ვინც არ უნდა იყოს მომტაცებელი, დიდი თუ მცირე — ძელსა მიეცესო, ე.ი. ჩამოხრჩობა მიესაჯოსო. როგორც აღინიშნა, ეს კანონები მთელ საქართველოში გამოიყენებოდა. ქართული სამართლის საეკლესიო წყაროების გარდა უხვად მოგვეპოვება საერო ხასიათის (არასაეკლესიო) საკანონმდებლო ძეგლები.

საერო ხასიათის წყაროები

საერო ხასიათის საკანონმდებლო ძეგლები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: 1. **სახელმწიფო-სამართლებრივი ანუ კონსტიტუციური ხასიათის ძეგლები; 2. სისხლისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ძეგლები.**

სახელმწიფო-სამართლებრივი (კონსტიტუციური) ხასიათის ძეგლები უამრავია (მათ ეძღვნება ქართული სამართლის ძეგლების II ტომი, ი. დოლიძის გამოცემა). ჩვენ განვიხილავთ ორ მათგანს: 1) **„ხელმწიფის კარის გარიგებას“**; 2) **„დასტურლამალს“**.

ხელმწიფის კარის გარიგება

ხელმწიფის კარის გარიგება ფაქტობრივად სამეფო კარის წესდებულებაა, იგი უნიკალური, იშვიათი ხასიათის სამართლებრივი ძეგლია, მას ზოგჯერ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასაც კი უწოდებენ. ეს ძეგლი ცნობებს გვაწვდის გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ. ძეგლის მიხედვით სახელმწიფოს განაგებს მეფე, რომელიც აღჭურვილია ფართო უფლებებით. მეფე ხელმძღვანელობს ისეთ სახელმწიფო ორგანოებს, როგორიცაა დარბაზი. დარბაზი — ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ანუ „პარლამენტია“. იგი მოიწვევა ორი წესით „მცირე წესით“ და „დიდი წესით“. დარბაზობა „მცირე წესით“ დარბაზის ანუ პარლამენტის საქმიანი, საიდუმლო სხდომა იყო, მას მხოლოდ დარბაზის წევრები ესწრებოდნენ, ხოლო „დიდი წესით“ დარბაზობა — დარბაზის ღია სხდომა იყო და მას დარბაზის წევრთა გარდა ესწრებოდნენ ასევე სხვა, გარეშე პირებიც. ასეთი სხდომა ტარდებოდა მეფედ კურთხევის დროს, გამარჯვებული ლაშქრის დაბრუნებისა და დღესასწაულების დროს. დარბაზის სხდომას მეფე წარმართავდა. მასში შედიოდნენ მეფესთან დაახლოებული პირები, უმაღლესი რანგის საერო და სასულიერო პირები.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია ცნობები სავაზიროს ანუ მმართველობის უმაღლესი ორგანოს შესახებ. სავაზირო მეფის დასაყრდენი ორგანო იყო და ხელს უწყობდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას, მმართველობის ცენტრალიზაციას. როცა ვაზირობას მეფე ესწრებოდა, მაშინ სხდომა მას მიჰყავდა. ჩვეულებრივად კი სავაზიროს ხელმძღვანელობდა ვაზირთუპირველესი — მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი. სავაზიროში ვაზირები ასეთი თანმიმდევრობითა და პატივით იყვნენ წარმოდგენილი:

1. მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი („ვითა მამა არს მეფისა“) — ვაზირთუპირველესი;

2. ათაბაგი — მეფის შვილის აღმზრდელი — მსხვილი ფეოდალი;

3. ამირსპასალარი — სამხედრო საქმის მეთაური, სამხედრო მინისტრი;

4. მანდატურთუხუცესი — ანუ ვაზირობისა და დარბაზობის დროს წესრიგისა და ცერემონიების წესის დამცველი;

5. მეჭურჭლეთუხუცესი — ანუ ფინანსთა მინისტრი;

6. **მსახურთუხუცესი** — სამეფო კარზე სამეურნეო უწყების ხელმძღვანელი.

7. სავაზირო სხდომას ესწრებოდნენ სხვა მოხელეებიც: **ამილახორი, ამირეჯიბი.**

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ წარმოდგენილია ასევე უმაღლესი სასამართლო დაწესებულება ანუ **„საჯო კარი“**, საუბარია ადგილობრივ მმართველობაზე. ერთი სიტყვით, ეს ძეგლი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფო წყობილების შესასწავლად. იგი შედგენილი უნდა იყოს XIV საუკუნეში. ეს ძეგლი შემთხვევით აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.

დასტურლამალი

„დასტურლამალი“ ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართლის ძეგლია. იგი მეფე ვახტანგ VI-მ შეადგინა 1707-1709 წლებში. ტერმინი „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბულია, „დასტურალ-ამალ“ მოქმედების წესს, დასტურს ნიშნავს. ძეგლი შედგება ორი ნაწილისაგან: **სადედოფლო და სამეფო დასტურლამალებისაგან.** სამეფო „დასტურლამალი“ საკმაოდ სრული საკანონმდებლო ძეგლია, რომელიც 222 მუხლისაგან შედგება, ხოლო დედოფლის „დასტურლამალი“ 22 მუხლს მოიცავს.

ძეგლი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ქართლის სახელმწიფო წყობილების შესახებ. მასში აღწერილია სასახლეში მეფის მოქმედების, მისი მომსახურებისა თუ დასვენებისათვის მოხელეთა საქმიანობის წესები.

„დასტურლამალში“ აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები. სასახლის მთავარი განმკარგულებელი იყო **სახლთუხუცესი,** თავისი მოხელეებით. ძეგლში დახასიათებულნი არიან მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი მოხელეები, მათ შორის **სამეურნეო, საპოლიციო, სასამართლო, სამონადირეო, სამეჯინიბო,** მეფის დაცვის და სხვ.

„დასტურლამალში“ მოცემულია ასევე ქალაქის (ადგილობრივი) მმართველობის მოხელეთა უფლებამოსილება (**მოურავი, მელიქი, მამასახლისი**). დიდი ადგილი ეთმობა საგადასახადო სისტემის საკითხებსაც. „დასტურლამალი“ მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სახელმწიფო და ეკონომიკური წყობის შესასწავლად.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართული საერო სამართლის წყაროებია ასევე სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლები. ასეთი ძეგლების შეკრებაში ფასდაუდებელი სამსახური გასწია მეფე ვახტანგ VI-მ. მან 1705-1709 წლებში „სწავლულ კაცთა“ კომისია შეადგინა, რომელსაც დაევალა მოეძებნათ და შეეკრიბათ ძველი ქართული სამართლის ძეგლები ანუ კანონები. საკანონმდებლო კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და შეკრიბა გიორგი V-ის ძეგლისდება, აღბუღას სამართალი, კათალიკოსთა სამართალი. ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით ეს ძეგლები სისტემაში იქნა მოყვანილი. კიდევ მეტი — რჯულმდებელმა მეფემ საკუთარი სამართლის წიგნი, ანუ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი შეადგინა, რომელსაც უპირატესობასაც კი ანიჭებდა. ვახტანგ VI არც ამით დაკმაყოფილდა. საკანონმდებლო კომისიას დაავალა ქართულად ეთარგმნათ უცხოური სამართლის ძეგლები, მათ შორის: ებრაული სამართალი ანუ მოსეს სამართალი, ბერძნული სამართალი ანუ რომაული სამართალი და სომხური სამართალი. აღნიშნული უცხოური და ქართული სამართლის ძეგლები ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისიამ ერთ წიგნში შეიტანა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს“. მოკლედ განვიხილოთ ისინი.

ბაგრატ კურაპალატის სამართალი

„ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ 1909 წლამდე უცნობი იყო და იგი ითვლებოდა ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის შემადგენელ ნაწილად. 1909 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ბექასა და აღბუღას სამართალში 99-103-ე მუხლები ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნაწყვეტებია. შემდგომში გამოთქვა მოსაზრება, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნიდან ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის არა 99-103-ე მუხლები, არამედ 99-160-ე, ანუ გაცილებით მეტი. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის თუ რომელ ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის ეს კანონები. ი. დოლიძის მტკიცებით, ბაგრატ კურაპალატის სამართალი საქართველოს გაერთიანების ხანის ძეგლია, ე.ი. ეს კანონები ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) ეკუთვნის.

აღნიშნული ძეგლი უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავს. დანაშაულთა სახეებიდან აღსანიშნავია: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, ძარცვა, ქურდობა; სასჯელთა სახეებიდან — სიკვდილით დასჯა, დასახიჩრება („თუ-

ალთა დაწუა"), დატუსაღება, დამნაშავის გადაცემა დაზარალებულისათვის („ხელთა მიცემა"), აგრეთვე ქონებრივი სასჯელები („სისხლი" ან „გერში"). ამ ძეგლში მრავალი მუხლი ეძღვნება სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების საკითხებს. მტკიცებულებებიდან აღსანიშნავია ფიცი.

ბაგრატ კურაპალატის კანონები ყველაზე ადრინდელი საერო ხასიათის კანონებია.

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი ანუ „ძეგლის დადება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ"

გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი შედგენილია გიორგი V-ის მიერ სპეციალურად აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთისათვის XIV საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ, რაც გიორგი ბრწყინვალემ მოახერხა საქართველოს კვლავ გაერთიანება, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთის საქმეების მოსაგვარებლადაც იწყო მზადება. აქ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთში ადგილი ჰქონდა სრულ ანარქიას, ხელისუფლების უმოქმედობას, მართვა-გამგეობის მოშლას, „სალაშქრო საქმეზე უარის თქმას, გახშირებულ მკვლელობებს, ქურდობას, ყაჩაღობას, „ციხის დაქცევას", უდანაშაულოდ ცოლის „დაგდებას"(მიტოვებას), სხვისი ცოლის მოტაცებას, თვითნებურ გასწორებას, შურისძიებას და სხვ.

გიორგი V თავის თანხმლებ პირებთან ერთად ადგილზე გასცნობია მდგომარეობას და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ასეთი დანაშაულების ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი კანონების არქონაც ყოფილა. ძველი ადათები ვეღარ აწესრიგებდნენ გართულებულ ურთიერთობებს. ამიტომაც საჭირო გამხდარა ახალი კანონების მიღება. თბილისში დაბრუნებულმა გიორგი V ბრწყინვალემ მოიწვია საკანონმდებლო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ხევისბერები და თავკაცები, ასევე სამეფო მოხელენი და „ძეგლი დადო" ანუ კანონი მიიღო. ეს ძეგლი შედგება პრეამბულისა და 46 მუხლისაგან. „ძეგლისდება" ძირითადად სისხლის სამართლის მუხლებს შეიცავს, მასში მხოლოდ 5 მუხლი ეხება სამოქალაქო და საოჯახო სამართალს. ძეგლში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის დანაშაული და მათი შესაბამისი სასჯელები. სასჯელთა სახეებიდან აღსანიშნავია: გაძევება, მამულის ჩამორთმევა, ჯარიმა, დაკანონებულია დანაშაულისათვის ფულადი

გადასახადი „თეთრი“, ასევე ბეგარა, გაპარსვა, გერში (სხეულის დაზიანების საზღაური). კანონით აიკრძალა შურისძიება და თვითნებურად ანგარიშის გასწორება. ქურდობა გამოცხადდა მძიმე დანაშაულად, რაც ნაქურდალის სამკეცი გადახდევინებით უნდა დასჯილიყო. „ძეგლისდების“ ძირითადი დანიშნულება იყო სახელმწიფოებრივი კანონიერებისა და წესრიგის დამყარება.

ბექასა და აღბუღას კანონები ანუ „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“

ბექასა და აღბუღას კანონები ძველი ქართული საკანონმდებლო ძეგლია. იგი შედგენილია XIII-XIV საუკუნეებში. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს ძეგლი ორ პიროვნებას ეკუთვნის: ბექა I მანდატურთუხუცეს ჯაყელს (1-65-ე მუხლები), ხოლო 66-98-ე მუხლები მიეკუთვნება აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარს.

ბექას სამართალი შედგენილი უნდა იყოს 1295-1304 წლებში, ხოლო აღბუღასი — დაახლოებით 1381-1386 წლებში.

ბექასა და აღბუღას სამართალი განკუთვნილი იყო სამცხე-საათაბაგოსათვის. აქ საქართველოს მეფე არც კი მოიხსენიება. მეფის ადგილი ათაბაგს უჭირავს.

სამართლის ძეგლში მოწესრიგებულია სამცხე-საათაბაგოს სოციალური და პოლიტიკური წესწყობილება. წარმოდგენილია სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო, სამემკვიდრეო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები. ასევე მრავალი მუხლი ეძღვნება სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საკითხებს.

ბექა-აღბუღას სამართალი ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავს. დანაშაულთაგან აღსანიშნავია: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, ქალის მოტაცება, გაძარცვა, ქურდობა, მექრთამეობა და სხვ. სასჯელებიდან აღსანიშნავია: ქონებრივი ანაზღაურება ანუ „სისხლის ფასი“, აგრეთვე გერში, ნაპარავის ორმაგად გადახდევინება, გამწბილებელი სასჯელები (მაგალითად, დამნაშავის ტიტველი, ყელზე საბელმობმულის ქუჩაში ტარება), გაძევება, დამნაშავის გადაცემა დაზარალებულის სრულ განკარგულებაში, მამულით, გვარით, თანამდებობით დაქვეითება (ჩამოცრობა).

ძეგლი არეგულირებდა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებსაც: საკუთრების უფლებას, გირავნობას, ნასყიდობას, მიბარებას,

სესხს, ჩუქებას, ქირავნობას, თავდებობასა და მემკვიდრეობას. რამდენიმე ნორმა ეძღვნება საქორწინო-საოჯახო სამართლის საკითხებს, ასევე სასამართლო მტკიცებულებებს (ფიცი, მოწმე, წერილობითი საბუთები).

ბექა-აღბუღას სამართალმა გარკვეული გავლენა იქონია შემდგომი პერიოდის სხვა ქართულ საკანონმდებლო ნორმების შემუშავებაზე.

სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კრებულის ყველაზე მთავარი ნაწილია. მას **საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნსაც** ვუწოდებთ, რომელიც სჯულმდებელი მეფის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი. თვით ვახტანგ VI ამ ძეგლს სხვა ძეგლებთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, პრაქტიკაში ძირითადად ეს ძეგლი გამოიყენებოდა, სხვა ძეგლებს დამხმარე ანუ საკონსულტაციო მნიშვნელობა ჰქონდათ. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ მოქმედებდა მთელ საქართველოში. იგი გამოიყენებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგაც.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ მიღებული ან დამტკიცებულია დარბაზის მიერ. მას აქვს პრეამბულა. ძეგლი 270 მუხლისაგან შედგება.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ არეგულირებს სამოქალაქო, სისხლის, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს. მასში ვხვდებით ასეთ ნორმებს: „კარი თეთრის გარიგებისა“, „გაყრისა“, „ვალისა“, „ქურდობისა“, „ნასყიდობისა“, „ამანათისა“, „გაცვლისა“ და სხვ. სამართლის წიგნში მრავალი მუხლი ეძღვნება დამამტკიცებელ საბუთებსა და საპროცესო სამართლის საკითხებს. მასში განსაზღვრულია სახელმწიფოსა და საეკლესიო მოხელეთა უფლება-მოსილებანი. დიდი ადგილი უჭირავს მიწათმფლობელობის საკითხების მოწესრიგებას.

სისხლის სამართლიდან აღსანიშნავია: დანაშაული სახელმწიფოსა და ეკლესიის მმართველობის წესის წინააღმდეგ, ბრალის ფორმებიდან მოცემულია ფათერაკი და გაუფრთხილებლობა. კოდექსი ადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპებს. დაწესებულია პასუხისმგებლობის ასაკი 10 წლიდან, ჩამოთვლილია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებე-

ლი და დამამძიმებელი გარემოებები, ეს ძეგლი იცნობს თანამონაწილეობასა და მცდელობას.

სასჯელთა სისტემა აგებულია ქონებრივი გადასახდელების მიხედვით. სიკვდილით დასჯას ეს ძეგლი არ იცნობს. სასჯელთა დაკისრებისას საფუძვლად აღებულია წოდებრიობა. მაგალითად. გლეხის სისხლი შეფასებულია 12 თუმნად, უმაღლესი თავადის სისხლი კი 128-ჯერ უფრო ძვირად ანუ 1636 თუმნად.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ ფეოდალთა კლასის ინტერესებს იცავდა.

ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისიამ სამართლის დიდი კრებული შეადგინა, რომელშიც უცხოური სამართლის ისეთი ძეგლებიც შეიტანა, როგორიცაა: ებრაული სამართალი ანუ მოსეს სამართალი, ბერძნული სამართალი და სომხური სამართალი. აღნიშნული სამართლის წიგნები მოსამართლეთა მიერ გამოიყენებოდა როგორც დამხმარე, საკონსულტაციო მასალა. ძირითადად კი გასამართლება ხდებოდა ბატონიშვილის ვახტანგის სამართლით.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვახტანგ VI-მ არა მარტო თავისი სამართლის წიგნი შეადგინა და ,,კვლავ მოიპოვა“ ქართული სამართლის რამდენიმე ძეგლი, არამედ მისი განკარგულებითა და მონაწილეობით შედგენილ იქნა სამართლის წიგნთა კრებული, კოდიკო — უნიკალური კრებული, რომელშიც ქართული სამართლის ძეგლების გვერდით შეტანილია ისეთი უცხოური სამართლის ძეგლები, როგორიცაა 1. „მოსეს სამართალი“ ანუ ძველი ებრაული სამართლის წიგნის ქართული თარგმანი; 2. სამართალი ბერძნული; 3. სამართალი სომხური.

მოსეს სამართლის ანუ ებრაული სამართლის ქართული ვერსია

მოსეს სამართალი ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას ბიბლიიდან გადმოულია, კერძოდ, იგი არის ძველი აღთქმის მეხუთე წიგნი ანუ მეორე სჯული. ბიბლიაში შეტანილი მეორე სჯული 34 თავისაგან შედგება და კანონიკურ-ეთიკურ ნორმებს წარმოადგენს, რომელიც თითქოს ღმერთმა გამოუგზავნა ებრაელ ხალხს მოსეს ხელით და ამიტომ ეწოდა მას მოსეს სამართალი. ამასთან, სწავლულ

კაცთა კომისიას მექანიკურად კი არ გადმოუღია მეორე სჯული, არამედ ამოუკრებია ისეთი ნორმები, რომლებიც საქართველოსთვის იყო გამოსადეგი. მეცნიერთა მითითებით, ებრაული კანონები ჩვენი ეროვნული სამართლის ერთ-ერთი უძველესი წყარო იყო. „ქართველი ხალხი და ქარო·ული სამაროალი ორი ათასი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „მეორე რჯულში“ ჩამოყალიბებული ათი მცნებით, რაც შემდეგ სახარებაშიც „დაკანონდა“ (ი. დოლიძე).

როგორც უკვე აღინიშნა, ბიბლიის მეორე რჯული 34 თავისაგან შედგება. თითოეული თავი კი რამდენიმე ათეულ მუხლს შეიცავს. მაგრამ მოსეს სამართლის ქართული ვერსია მხოლოდ 52 მუხლადაა გადმოღებული. ჩვენ საგანგებოდ შევუპირისპირეთ და შევაჯერეთ ვახტანგ VI-ის ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ბიბლიის მეორე რჯულის მუხლებს და აღმოჩნდა, რომ ვახტანგ VI-ს მექანიკურად კი არ გადმოუღია მეორე რჯული, არამედ დაუმუშავებია ქართული სინამდვილის შესაბამისად, მათ ქართული სათაურებიც კი აქვთ მიცემული. მაგალითად, „მცნება ღმრთისაგან“ ამ მუხლს მეორე რჯულში დათმობილი აქვს მეხუთე თავის რამდენიმე მუხლი, სადაც ჩამოყალიბებულია ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეები, რომლებიც კრძალავს მკვლელობას, ქურდობას, ცილისწამებას, მრუშობას და სხვ. ამ მუხლში აღნიშნულია: „პატივი ეცი შენს დედას, როგორც გიანდერძა უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დღეგრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც შენ უფალი გაძლევს... ნუ იმრუშებ, კაცი არ მოჰკლა, არ იქურდო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი ახლობლის წინააღმდეგ.

არ მოინდომო ახლობლის ცოლი, არ ისურვო ახლობლის სახლი, არც მისი ყანა, არც მისი ყმა, არც მისი ყმა ქალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არაფერი მისი საბადებლიდან“.

მოსეს სამართლის ქართული ვერსიის მე-2 და მე-3 მუხლში სარწმუნოების მკაცრად დაცვის მოთხოვნაა. აქ კატეგორიულადაა დასმული საკითხი რჯულის დაცვაზე, სხვა სარწმუნოების მიღების დაუშვებლობაზე. მე-4 მუხლში საუბარია უფლისათვის შესაწირავის შესახებ, რომ მთელი ყოველწლიური მოსავლიდან მეათედი უფალს უნდა შესწირო და შეჭამო. მე-5 მუხლში ღარიბი მოძმის დახმარებაზეა საუბარი. მე-7 მუხლი მართლმსაჯულებას ეძღვნება: „დასხი მსაჯულნი და რჯულკაცები შენი შტოებიდან ყოველ ქალაქში“ და „სჯიდე ერსა მას სიმართლისა სასჯელითა“. „ნუ გარდასცდეკ სასჯელსა, ნურცა სჯიდე თუალღებით (მიკერძოებუ-

ლი ნუ იქნები, – ვ. მ.), ნუ მიიღებ ქრთამსა, რამეთუ ძღვენმა და ქრთამმან დაუყვნეს თვალნი ბრძენთანი და გარდაქცინის (გადაასხვაფერეს, – ვ. მ.) სიტყვანი სიმართლისანი".

„სიმართლით სამართალს შეუდექით, რათა სცხოვნდეთ, შეხვიდეთ და დაიმკვიდროთ ქვეყანა იგი, რომელ უფალმან ღმერთმან მოგცეს შენ...".

მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში მრავალი მუხლი ეძღვნება სარწმუნოებისა და რელიგიური რიტუალების დაცვასა და აღსარებას. რამდენიმე მუხლში მოცემულია მკვლელობის საკითხები. თუ როგორ უნდა დაისაჯოს განზრახვით ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობები.

მოსეს სამართლის ქართულ ვერსიაში რამდენიმე მუხლი ეძღვნება ქორწინებისა და განქორწინების საკითხებს. ქმრიან დედაკაცთან მრუშობის საკითხებს, გაუპატიურებას და სხვ.

ამრიგად, მოსეს სამართლის ქართული ვერსიის ანალიზით ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს რელიგიურ და ეთიკურ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებდნენ რელიგიურ, სამოქალაქო, სისხლის, საოჯახო თუ პროცესუალურ ურთიერთობებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს მუხლები არ არის მკვეთრად გამიჯნული რეგულირების საგნის მიხედვით, ხშირად ერთი ნორმა სამართლის სხვადასხვა საკითხს ეხება[1].

ბერძნული სამართალი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია „სამართალი ბერძნული", ანუ ბერძნული კანონები. ბერძნული კანონების შესახებ ვახტანგის კრებულის შესავალში მითითებულია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა „ძიება-ყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიერ ქენებითა, წიგნნი სასამართლონი, ჟამთა კეისრისათა, თუ ვითარ სჯიდნენ; იგიცა ფრიადთა შრომითა გადმოთარგმანებითა ბრძენთა კაცთათა, რომელსა თვით უმეტეს შეეწეოდა თარგმანსა შინა".

ბერძნული სამართლის ამ ქართული ვერსიის შესახებ, მისი წყა-

[1] უფრო ვრცლად იხ. ვ. მეტრეველი, ებრაული სამართლის ქართული ვერსია, ჟურნალი „სამართალი", №12, 1992.

როებისა თუ შედგენილობის საკითხზე მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. მათ შორის მარი ბროსემ, როზენკამპფმა, რომლებმაც არასწორი (მცდარი თვალსაზრისი) ჩამოაყალიბეს ამ საკითხზე.

პროფ. დ. ჩუბინაშვილმა პირველმა მიუთითა, რომ „ბერძნული სამართლის წიგნის“ ქართული ვერსიის წყაროებს წარმოადგენს კონსტანტინე არმენოპულოს 6 წიგნი და ვლასტარის კრებული, ე.ი. მათე ვლასტარის სინტაგმა.

პროფ. სოკოლსკიმ დ. ჩუბინაშვილზე დაყრდნობით გააკეთა შემდეგი დასკვნები:

1. ვახტანგის კრებულის ბერძნული კანონები წარმოადგენს ვლასტარის სინტაგმის შემოკლებას, შევსებულს არმენოპულოს კრებულიდან და სხვა წყაროებიდან;

2. ბერძნული კანონების ეს რედაქცია შედგენილია არა საქართველოში, არამედ საბერძნეთში, რასაც ამტკიცებს ამ კანონთა შინაარსის ბერძნული ანბანით დალაგება;

3. ვლასტარის სინტაგმის ასეთი მოკლე რედაქცია გავრცელებული იყო მოსკოვის რუსეთში, სადაც მას მეფის კანონების თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა.

განვიხილოთ ბერძნული სამართლის ეს ორი ძირითადი წყარო და მათი ავტორების ვინაობა.

კონსტანტინე არმენოპულოსი XIV საუკუნის ბიზანტიური იურისპრუდენციის გამოჩენილი მოღვაწე იყო. იგი ცნობილია თავისი იურიდიული სახელმძღვანელოთი და კანონიკური კრებულით. მისი შრომა 6 წიგნისაგან შედგება: პირველ წიგნში (18 ტიტული) ლაპარაკია კანონების, სასამართლო წყობილების, რესტიტუციებისა და თავისუფალი მდგომარეობის შესახებ. მეორე წიგნში (11 ტიტული) განხილულია მფლობელობისა და საზღვაო სამართლის საკითხები. მესამეში (11 ტიტული) — ლაპარაკია შვილად აყვანის, განსხვისების, სესხის, მონაბარისა და ამხანაგობის შესახებ. მეოთხე (12 ტიტული) — ეხება ნიშნობისა და ქორწინების საკითხებს. მეხუთე (12 ტიტული) — აწესრიგებს. ანდერძისა და მეურვეობის საკითხებს. მექვსე (15 ტიტული) — ეხება ზარალის ანაზღაურებასა და ყოველგვარ გადასახადებს.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მეორე წყარო ვლასტარის სინტაგმაა. მათე ვლასტარი იყო მღვდელ-მონაზონი, რომელიც ცხოვრობდა XIV საუკუნის პირველ ნახევარში. მისი ძირითადი ნაშ-

რომია ალფაბეტური სინტაგმა (1335 წ.). ნაშრომი ბერძნული ანბანის მიხედვით 24 განყოფილებას შეიცავს. თითოეული იყოფა თავებად, რომელთაგან დიდი ნაწილი იმ კანონიკური დადგენილებების გამოცემით იწყება, რომლებიც შესაბამის საგანს ეხება. ბევრი თავი ნასესხები უნდა იყოს ბასილის, ლეონისა და ალექსანდრეს ეპანაგოგიდან. ვლასტარის კრებული მოქმედი საეკლესიო და საერო სამართლის ერთობლივი ძეგლია, რომლის 303 თავს ვლასტარმა დაუმატა ცალკეული კანონიკური წერილები, მნიშვნელოვანი იმდროინდელი ბერძნული ეკლესიისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართალი რომის სამართლის რეცეფციის შედეგია. ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენს პატარა ნაშრომში – „რომის სამართალი“ მივუთითებდით: „ქართულ სამართალზე „რომის სამართლის გავლენის პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული „სამართალი ბერძნული“. ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა საკოდიფიკაციო კომისიას ბერძნული სამართლის ქართული ვერსია აღებული (ამოკრებილი) უნდა ჰქონდეს კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეულიდან, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რომის სამართლის რეცეპციის შედეგად მიიღეს და რომელსაც საუალდებულო ძალა ჰქონდა როგორც საბერძნეთში, ისე ვლახეთში. ვახტანგ VI-ის საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეული რომაული სამართლიდან იყო რეცეპცირებული, მაგრამ, რადგან საბერძნეთში მოქმედებდა – ბერძნული სამართლის სახელწოდებით გადმოიტანა საქართველოში, ფაქტობრივად კი რომის სამართალი იყო იგი...“[1].

ჩვენ იქვე მიმოვიხილავთ ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის წარმომავლობას, სადაც აღვნიშნეთ: „გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგ VI-ის კოდექსში ბერძნული სამართლის ქართული ვერსია უნდა წარმოადგენდეს XIV საუკუნის ცნობილი სასულიერო მოღვაწის მათე ვლასტარის 1335 წლის სინტაგმის შემოკლებას. მეორე მხრივ, ბერძნული სამართლის ქართული ვერსია უნდა ეყრდნობოდეს სალონიკელი მოსამართლის კონსტანტინე არმენოპულოს 1345 წლის „ექვსწიგნეულს“, რომელიც, თავის მხრივ, IX

[1] ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, საფუძვლები, თბ., 1995, გვ. 16.

საუკუნის ბიზანტიური სამართლის – „პროხეირონის“ შემოკლებული და გადამუშავებული რედაქცია იყო“[1].

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აღვნიშნავდით ასევე, რომ ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის რაობის შესახებ საბოლოო და ჭეშმარიტი დასკვნები გააკეთეს ქართველმა მეცნიერებმა, მათ შორის თ. ბრეგაძემ, რომელმაც 1964 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბერძნულ ხელნაწერთა ფონდში აღმოაჩინა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის დედანი ბერძნულ ენაზე, რომლის ანალიზით მიაკვლია, რომ იგი მართლაც მათე ვლასტარის სინტაგმისა და კონსტანტინე არმენოპულოს „ექვსწიგნეულის“ ბაზაზეა შექმნილი. ხელნაწერი გადაუწერიათ 1670 წელს გალაცში, მოლდავეთ-ვლახეთის გამგებლის (მთავრის) იოანე დუკას დროს. იქვე თ. ბრეგაძე წერს: „ვინც კი შეხებია ბერძნული სამართლის ქართულ თარგმანს, ყველა, ვლ. სოკოლსკის გარდა, ერთხმად აღიარებს, რომ ეს კანონები ბიზანტიური კანონებია. ბიზანტიურ კანონებს კი უწოდებენ ბერძნულ-რომაულ სამართალს[2]. საქართველოში ბერძნული სამართალი ზოგჯერ „იუსტინიანე მეფის“ სამართლადაც მოიაზრება[3]. იუსტინიანე მეფე კი ცნობილი სჯულმდებელი, რომის სამართლის კოდიფიქატორია.

სომხური სამართლის ქართული ვერსია

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია **სომხური სამართლის ქართული თარგმანი**, რომელიც 2 ნაწილისაგან შედგება: **სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია** (მუხ. 1-150) და **მხითარ გოშის სამართლის წიგნის ქართული ვერსია** (მუხ. 151-431). ეს ნაწილები სრულად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან.

ვახტანგის კრებულში შეტანილი „სომხური სამართლის“ პირველი ნაწილი V საუკუნის დამლევს ბასილი კესარის მეფობაში აღმოსავლეთში

---

[1] ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, საფუძვლები, თბ., 1995, გვ. 16.

[2] უფრო ვრცლად იხ. ბერძნული სამართალი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულიდან, თბ. 1964, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ბრეგაძემ, გვ. 017-020.

[3] იქვე, გვ. 017.

შედგენილი რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს. ცნობილია ამ ძეგლის 3 ტექსტი: სირიული, არაბული და სომხური.

სირიულ-რომაული სამართალი ქართულად ითარგმნა არა დედნიდან, არამედ სომხურიდან და წარმოადგენს ამ ძეგლის სომხური თარგმანის თარგმანს. სამართლის წიგნის სომხური ტექსტი, მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად, ჩამოუტანიათ თბილისში ეჩმიაძინიდან ვახტანგ ბატონიშვილის დავალებით. ჩამოტანილი კრებულის სომხური ხელნაწერი შეიცავდა ორივე ძეგლის ტექსტს. ხელნაწერში ეს სრულიად განსხვავებული ორი ძეგლი — ერთი უცხოური და მეორე სომხური, როგორც სომხეთში ძველთაგანვე მოქმედი სამართლის წიგნები, გაერთიანებული ყოფილა ერთ კრებულად ავტორებისა და სათაურების მიუთითებლად. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიასაც ქართულ ვერსიაში ამ ორი ძეგლის ტექსტი მიყოლებით უთარგმნია და ერთი ძეგლის — „სამართალი სომხურის" სახელწოდებით შეუტანია კრებულში. ამასთან, საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ კრებული ორი ძეგლისაგან შედგებოდა. ეს ცხადად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის 1710 წლის ნუსხიდან.

სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია ვახტანგის კანონთა კრებულში გადმოცემულია მთელი რიგი ცვლილებებითა და დამახინჯებით. ეს იმით აიხსნება, რომ ქართველ მთარგმნელებს და შესაძლოა უფრო ადრეც, კრებულის სომეხ გადამწერებს, რიგიანად არ ესმოდათ სირიულ-რომაული სამართლის ძველი სომხური რედაქციის სამართლებრივ დებულებათა აზრი. სამართლის ისტორიის მკვლევართა შორის ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან მოქმედებდა სომხეთში სირიულ-რომაული სამართლის ხსენებული კრებული.

არსებობს აზრი, რომ „ბერძნულ-რომაული სამართალი, სახელდობრ, ე.წ. სირიულ-რომაული იურიდიული კრებულის სახით ძველი დროიდანვე მოქმედებდა როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში"[1].

რაც შეეხება მხითარ გოშის სამართლის წიგნს, იგი დაწერილია XII საუკუნეში სომხურ ენაზე. სავარაუდოა, რომ მხითარ გოშის

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 594.

კანონებამდე სომხეთში არ არსებობდა ეროვნული სჯულმდებლობის წერილობითი ძეგლები. თვლიან, რომ მხითარ გოშმა არ იცოდა ბერძნული ენა და არ შეეძლო ესარგებლა ბერძნულ-ბიზანტიური კანონების ორიგინალით.

მხითარ გოში დაიბადა განჯაში. იგი გრიგორიანული სარწმუნოების წარმოადგენელი, მონაზონი და ღვთისმეტყველი იყო. გოში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კილიკიაში. კილიკია ამ დროს წარმოადგენდა მაღალგანვითარებულ, კულტურულ სომხურ სახელმწიფოს, რომელიც სომხეთის ტერიტორიიდან შორს, ბიზანტიაში მდებარეობდა. კილიკიიდან დაბრუნების შემდეგ მხითარ გოში განჯაში აარსებს მონასტერს, სადაც ეწევა საეკლესიო მოღვაწეობას. რაც შეეხება მის სამართლის წიგნს, მხითარ გოში მასზე დიდხანს მუშაობდა. იგი მიუთითებს, რომ ამ წიგნის წერა მაშინ დაიწყო, როდესაც გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეფე გიორგი III, თამარის მამა, ე.ი. 1184 წელს.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს (ბუმცა ასეთი მკვეთრი დაყოფა წიგნში არ არის): საეკლესიო კანონები და სხვრო კანონები. სამართლის წიგნი შედგენილია კაზუსების სახით, კიდსვებითა და პასუხებით. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ მხითარ გოში იყო ვარდაპეტი — საეკლესიო სჯულის სპეციალისტი, მას კითხვით მიმართავდნენ ამა თუ იმ საკითხზე და მისი პასუხები სამართლებრივ ნორმებად ჩამოყალიბდა.

მხითარ გოშის სამართლის წიგნის წყაროები მეტად მრავალფეროვანია: ბუნებითი სჯული, კანონები, მათ შორის ქრისტიანული, მეზობელი ქვეყნების კანონები (სავარაუდოა ქართული კანონების გამოყენებაც). მხითარ გოში მიუთითებს, რომ გამოიყენა ასევე მაჰმადიანური რჯულის კანონები, მაგრამ არა ისეთი ნორმები, რომლებიც მანკიერია და მაჰმადისაგანაა ნაკარნახევი, არამედ ის კანონები, რომლებიც მაჰმადიანურმა რჯულმა მოსეს სამართლიდან აითვისა.

სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროდ სახელდება ბიბლია (ძველი აღთქმა). ბიბლიის პირველი ხუთი წიგნიდან მხითარ გოშს უამრავი ნორმა გადაუტანია თავის სამართლის წიგნში.

სამართლის წიგნის მნიშვნელოვან წყაროს მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები, ასევე „წმინდა მამათა“

კანონები წარმოადგენს. სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს სომხური ჩვეულებითი სამართალი შეადგენს. სომხური ჩვეულებითი სამართლის ნორმები ძირითადად მხითარ გოშის სამართლის მეორე ნაწილში — საერო სამართალშია შეტანილი, აქ სამართლის წიგნის 130 მუხლიდან 56 მუხლი ჩვეულებითი სამართლიდანაა შეტანილი. სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი არ იყო ოფიციალური კოდექსი, იგი არ იყო შედგენილი ქვეყნის ხელისუფლების დავალებით. მიუხედავად ამისა, სამართლის წიგნი ფართოდ გამოიყენებოდა არა მარტო სომხეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სადაც არსებობდა სომხური კოლონიები, მათ შორის ყირიმში, პოლონეთში, ლვოვში, კამენეცში, საქართველოს სომხურ პროვინციებში. მხითარ გოშის სამართლის წიგნმა უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის სომხურ კანონმდებლობაზე. იგი საფუძვლად დაედო კილიკიის სომხეთში შედგენილ 1264 წლის სუმბატ სპარაპეტის სამართლის წიგნს.

ძველი ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი

თავი II

ძველი ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი

სახელმწიფოებრიობის წარმოშობა და განვითარება ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე

საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. მრავალმა ავტორმა სცადა გამოეთქვა თავისი აზრი ამ ურთულესი პრობლემისადმი, მათ შორის იურისტებმაც[1]. აზრთა სიმრავლისა და სხვადასხვაობის მიუხედავად, პრობლემა ამომწურავად არ არის გადაჭრილი.

როგორც ცნობილია, ადამიანი დედამიწაზე რამდენიმე მილიონი წლის წინ დასახლდა. საქართველო მოიაზრება იმ ტერიტორიად, სადაც ადამიანი უძველესი პერიოდიდან ცხოვრობს. ახლახან ქართველ და გერმანელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ საქართველოში (დმანისში) ადამიანებს უცხოვრიათ 1 მილიონ რვაასი ათასი წლის წინათ. მიუხედავად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდიდან როდი დაარსდა (წარმოიშვა) სახელმწიფო. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ერთეული, საზოგადოების (ადამიანთა) პოლიტიკური გაერთიანება საზოგადოების განვითარების აუცილებელი, ობიექტური განვითარების შედეგს წარმოადგენს, ე.ი. სახელმწიფო ისტორიული აუცილებლობაა. საქართველოში სახელმწიფო არ ჩამოყალიბებულა ადამიანთა საზოგადოების გაჩენიდან, იგი შედარებით გვიან ყალიბდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური, სამხარი და სხვა მიზეზების გამო. სახელმწიფო (პოლიტიკური გაერთიანება) ერთბაშად არ წარმოშობილა, არამედ თავდაპირველად ყალიბდება წინარე სახელმწიფოს სახით, რომელსაც ჩვენ პოლიტიკურ გაერთიანებას ვუწოდებთ.

---

[1] ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ., 1951.

ძველი ქვის ხანის (პალეოლითის ხანა, ჩვ. წელთაღრიცხვამდე V ათასწლეულამდე) ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება საზოგადოების ძირითადი უჯრედის, გვარის ჩამოყალიბება. გვარი ადამიანთა ერთობის ის ფორმაა, რომელშიაც გაერთიანებულნი არიან სისხლით მონათესავე ნიშნის მიხედვით. ახალი ქვის ხანაში კი (ნეოლითი) ხდება მონათესავე გვარების გაერთიანება და იქმნება ტომი. მომდევნო პერიოდში ყალიბდება ტომთა კავშირები. „ფიქრობენ, რომ თრიალეთის მდიდრულ ყორღანებში ბრწყინვალებით დაკრძალული ბელადები უკვე საკმაოდ მსხვილ ტომთა კავშირების ბელადები უნდა ყოფილიყვნენ"[1].

ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულიდან ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი აქვს გვაროვნული წყობილების რღვევის დასაწყისსა და საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ნიშნების გამოჩენას[2]. ამ პერიოდიდან საქართველოში მოსახლეობა პოლიტიკურ გაერთიანებათა ჩამოყალიბების მიჯნაზე დგას, მაგრამ ეს არ არის საზოგადოების განვითარებული პოლიტიკური ორგანიზაცია, ანუ განვითარებული სახელმწიფო, არამედ ეს არის ადრეკლასობრივი, ადრეპოლიტიკური საზოგადოება, რომელიც გვაროვნული საზოგადოების წიაღში ისახება და ვითარდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველი მარტივი პოლიტიკური გაერთიანებანი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში უნდა ჩამოყალიბებულიყო. კერძოდ, ამგვარი პოლიტიკური გაერთიანებები იყო **დიაოხა (ისტორიული ტაო)** და კოლხა, რომელთა შესახებ მრავალი ცნობაა მოცემული ასურულ, ურარტულ თუ ძველბერძნულ წყაროებში.

ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის წარმოშობას ვერ ავხსნით მხოლოდ შიდაკლასობრივი მიზეზებით. სახელმწიფოს წარმოშობის მრავალ ფაქტორთა შორის გვერდს ვერ ავუვლით საგარეო ფაქტორთა (როგორც მშვიდობიან, ისე საომარ) მნიშვნელობას ისტორიულ საქართველოზე. ასე, მაგალითად: ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს ამიერკავკასიის სამხრეთით არსებობდა **მითანისა** და **ხეთების** დიდი სახელმწიფოე-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 28.

[2] იქვე.

ბი. მითანის სახელმწიფოს ცენტრალური რაიონები მდებარეობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ მითანის სახელმწიფოს გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილოეთითაც, კერძოდ, მასში შედიოდნენ ამიერკავკასიის ხალხები[1]. აკად. გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, სამხრეთი ამიერკავკასია, კერძოდ, თრიალეთის კულტურის არეალში მცხოვრები მოსახლეობა არათუ შედიოდა მითანის შემადგენლობაში, არამედ აქტიურად უჭერდა მას მხარს ასურელთა წინააღმდეგ ბრძოლაში[2].

ხეთების სახელმწიფო („ახალი სამეფო", ჩვ. წელთაღრიცხვამდე XV-XIII სს.) სასტიკ ექსპანსიას ახორციელებდა ისტორიული საქართველოს მიმართ. ისტორიულ საქართველოში კი იგულისხმება ჩრდილოეთ ანატოლიის ქედის კალთებზე და მცირე აზიის სხვა მხარეებიდან იზოლირებული ტერიტორია. გარდა ამისა, ქართველები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ ანატოლიის ქედის სამხრეთითაც, ხეთების მეზობლად[3].

მითანის სახელმწიფო დაეცა ჩვ. წ.აღ-მდე XIV საუკუნეში, ხეთებისა — XII საუკუნეში. ამ ორ სახელმწიფოთა დაცემის შემდეგ ხდება მათ შემადგენლობაში არსებული (შემავალი, დაპყრობილი) ქვეყნებისა და ხალხების კონსოლიდაცია და იქმნება ახალი პოლიტიკური გაერთიანება, ქვეყანა — **ნაირი**. ნაირის შემადგენლობაში შედიოდა 23 ქვეყანა და 250 ქალაქი. ამ ქვეყნებიდან კი ერთ-ერთი ძლიერი ყოფილა **ურარტუ** (860-590 ჩვ.წ.აღ-მდე) და **დიაოხი** ანუ დაიაენი.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ურარტუს სახელმწიფოს ეპილოგი ამიერკავკასიის სახელმწიფოების პროლოგია[4].

ურარტული წყაროები არაერთგზის იხსენიებენ ქართველურ ტომებსა თუ ტერიტორიებს. ქართული სახელმწიფოებრიობა ურარტუს წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობასა და განვითარებას ხელს უწყობდა დამპყრობელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბრძოლაში ორგანიზებულობის ფუნქცია.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 358.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] გ. ნადარეიშვილი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986, გვ. 13.

ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და სრულყოფაზე დიდი გავლენა იქონია უცხო სახელმწიფოთა კულტურულმა ურთიერთობებმაც, მათ შორის ელინურ სამყაროსთან ურთიერთობამ და ბერძნული ახალშენების დაარსებამ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ,,უცხოელ დამპყრობლებთან და ადგილობრივ გაერთიანებებს შორის ინტენსიური ბრძოლების ვითარებაში ჩამოყალიბებას იწყებენ დიდი და მყარი გაერთიანებები, რომლებიც ახალი, განვითარებული ადრეკლასობრივი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში უკვე სახელმწიფოებრივი ხასიათის წარმონაქმნები შეიძლება ყოფილიყვნენ“[1].

ქართულ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია (აკად. გ. მელიქიშვილი), რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს ასურულ წყაროებში ფიქსირებული შავიზღვისპირა ტომთა კავშირები ლეგენდარული კოლხეთის მოსახლეობის გაერთიანებებად უნდა მიეიჩნიოთ[2], ხოლო ასურულ წყაროებში დასახელებულ ნაირის ქვეყნებში, რომლებიც კოლხეთის სამხრეთით მდებარეობდნენ, ურარტუსთან ერთად წამყვანი ადგილი დიაოხას (შემდგომში ტაოს) ეკავა[3].

ამრიგად, ვეხებით რა ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრიობის წარმოშობა-განვითარების საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი პოლიტიკური გაერთიანებანი წარმოიშვნენ დასავლეთ საქართველო'ში (კოლხა) და დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე (დიაოხი), მოგვიანებით კი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება იბერიის სამეფო.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 369.

[3] იქვე, გვ. 370.

დიაოხის (ტაოს) საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა

ხეთებისა და მითანის სახელმწიფოების დაცემის შემდეგ მათ ადგილს იკავებს **ნაირი**, რომელიც აერთიანებს 23 ქვეყანასა და 250 ქალაქს. ნაირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა (ურარტუსთან ერთად) **დიაოხს** ანუ დაიაენს (ასე უწოდებდნენ ასურელები). „დიაოხის" ქვეყანას კი ურარტუელები უწოდებდნენ. V საუკუნის ბერძენი ავტორი ქსენოფონტე ასახელებს „ტაოხებს". უფრო მოგვიანებით ეს სახელი ეწოდება ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ ოლქს — ტაოს. აკად. გ. მელიქიშვილის მითითებით, „ძველი დიაოხიც სადღაც მერმინდელი ტაოს რაიონში მდებარეობდა[1].

დიაოხის ადგილსამყოფელისა თუ მის შესახებ სხვა ცნობები ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება. შემორჩენილია ასურული ლურსმნული წარწერები. ასურული წყაროების მიხედვით XII საუკუნის ბოლოს (ჩვ. წ.აღ-მდე) დიაოხი ერთ-ერთი ძლიერი გაერთიანება ჩანს „ნაირის ქვეყნებს" შორის. დიაოხის მეფე სიენი განსაკუთრებით იჩენს თავს ასურთა მეფე ტიგლათფალასარ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მბრძანებლობს სამყაროს ოთხივე მხარეს, არ ჰყავს ომში მძლეველი და ტოლი ბრძოლაში, დიდი წვალებით მიაღწია ზემო ზღვის (შავი ზღვის) ნაპირს და დაამარცხა ქვეყანა (დიაოხი), რომელმაც არ იცოდა თუ რა არის მორჩილება. სიენი მეფე დაიაენის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, დატყვევებული და შებოჭილი თავის ქალაქში წაუყვანია. „დაიაენის" განსაკუთრებული მდგომარეობა ნაირის ქვეყნებში კარგად ჩანს ამ წარწერიდან. ასურეთის მეფე ნაირის მეფეთა შორის მხოლოდ დაიაენის მეფეს ასახელებს, მხოლოდ იგი მიჰყავს ასურეთში, მაშინ, როდესაც სხვა „მეფეებს" ადგილზევე ათავისუფლებს და უშვებს თავიანთ ქვეყნებში. ამ განსაკუთრებული ყურადღების მიზეზი ალბათ ისაა, რომ დაიაენის მეფე (დიაოხი) ყველაზე ძლიერი იყო ნაირის მეფეთა შორის, და მათ კოალიციას ედგა სათავეში"[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 364.

[2] იქვე, გვ. 366.

ნაირის ქვეყნების (23 ქვეყანა და 250 ქალაქი) კავშირი შემთხვევითი ან ნაუცბათევი გაერთიანება როდი ჩანს. იგი მყარი და საკმაოდ დიდი ტერიტორიული გაერთიანებაა, რომელსაც XII საუკუნის დასასრულს (ჩვ. წ.აღ-მდე) სათავეში უდგას დაიაენი ანუ დიაოხი. ამასთან, დაიაენი ნაირის ქვეყნების ყველაზე ჩრდილოეთით ანუ ზემო ზღვის პირას მდებარეობდა. დაიაენის გავლენა ვრცელდებოდა მის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებზედაც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ დაიაენის საშველად ტიგლათფალასერ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მიდის სხვა 60 მეფის ლაშქარი. „ამრიგად, აქ საქმე უნდა ეხებოდეს „ზემო ზღვის" ნაპირას მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომებს, რომლებიც ალბათ სწორედ დაიაენის მეფის მოწოდებით წასულან მისი და ნაირის სხვა ქვეყნების ლაშქრის მისაშველებლად... აქ ჩვენს წინაშე თავს იჩენს ჩრდილოეთის ტომთა კიდევ ერთი, მესამე დაჯგუფება, რომლებთანაც ბრძოლა აქვთ ძვ. წ. XII-XI საუკუნეთა მიჯნაზე ასურელებს"[1].

დიაოხის შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება ძვ. წელთაღრიცხვის XI საუკუნიდან, ვიდრე IX საუკუნემდე. IX საუკუნიდან (ძვ. წელთაღრიცხვით) ყალიბდება ურარტუს ძლიერი სახელმწიფო (860-590 წწ.), რომლის მეფეებმა იშფუინმა, მენუამ, არგიშთ I-მა და სარდურ II-მ მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვეს როგორც დიაოხის, ისე კოლხას შესახებ.

ურარტუს ძლიერმა სახელმწიფომ ჩვ. წ.აღ-მდე IX საუკუნიდან მრავალი ტერიტორია დაიპყრო, მათ შორის ამიერკავკასიაც. ურარტუელებმა დაიკავეს არარატის ველი, სევანის ტბის აუზი, ააგეს ციხესიმაგრეები. მაგრამ ურარტუელებმა სამხრეთ ამიერკავკასიაში ფეხისმოკიდება ასე ადვილად ვერ შეძლეს. სწორედ ურარტული წარწერები მოგვითხრობენ დიაოხში მათი ბრძოლების შესახებ. დიაოხი ურარტუსათვის დიდი საფრთხეს ქმნიდა. დიაოხი, ერთი მხრივ, ასურელებთან კავშირის დამყარებას ცდილობდა, მეორე მხრივ, ურარტუს თავდასხმის მოლოდინში იყო.

ურარტუს მეფეს მ̣ენუას (ძვ. წ. IX ს. დასასრული და VIII ს. დასაწყისი) ულაშქრია დიაოხის წინააღმდეგ. ამის შესახებ მოგვითხრობს საკმაოდ ვრცელი 40-სტრიქონიანი კლდეზე ამოკვეთილი წარწერა

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 367.

დღევანდელი არზრუმის მიდამოებში: „ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იძ.რალით დიაოხის ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ, ... დავიპყარი დიაოხის ქვეყანა, ქალაქი სასილო, (მისი) სამეფო ქალაქი, ბრძოლით დავიპყარი ქვეყანა, გადავწვი ციხესიმაგრეები (დავანგრიე). მივედი სესეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე... უტუფური, მეფე დიაოხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე მას მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი, მომცა ხარკი, ის ტყვეები, რომლებიც დაბრუნდნენ მასთან, დამიბრუნა მან მთლიანად... ორი მეფე იქაურობას მოვაცილე...“[1]. სხვა წარწერაში მენუა აღნიშნავს: „დავიპყარი ქალაქი სასილო, დავუდგი ეს წარწერა ღვთაება ხალდის, ჩემს მეუფეს...“[2]. ურარტულ წარწერებში მითითებულია, რომ დიაოხის მეფეს ურარტუს სასარგებლოდ გადაუხადა: 21 კგ სუფთა ოქრო, 19 კგ ვერცხლი, 5000 კგ სპილენძი, 1000 სული ცხენი, 3000 სული მსხვილფეხა პირუტყვი.

დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლები გაუგრძელებია მენუას მემკვიდრეს არგიშთი I-ს. მისი ბრძოლების შესახებ წარწერები ამოკვეთილია ვანის კლდეზე. ამ წარწერებში დასახელებულია დიაოხის მეზობელი ქვეყნები ზაბახა და ანუ ჯავახეთი, ვიტერუხი ანუ ოძრხე და სხვა.

ურარტული წარწერები ადასტურებენ, რომ დიაოხი ძლევამოსილი (ძლიერი) სახელმწიფო ყოფილა. ურარტულ წარწერებში ვერ შეხვდებით სხვა მტრული ქვეყნის ძლევამოსილად გამოცხადებას ან მის ქებას. როგორც ჩანს, დიაოხი ამ პერიოდისათვის დიდი და ძლიერი ქვეყანა ყოფილა, რომელიც არა მარტო თავდაცვაზე ზრუნავდა, არამედ შეტევით ომებსაც აბორციელებდა ურარტუს წინააღმდეგ. თავისი მეფობის დასასრულს ურარტუს მეფე არგიშთი რამდენჯერმე აღნიშნავს, რომ დიაოხი კვლავ აუჯანყდა მას.

დიაოხის შესახებ ცნობები დაცულია ძველბერძნულ წყაროებში. ძველბერძენ ავტორს ქსენოფონტეს 401 წელს გაუვლია ეს ქვეყანა (დიაოხი) და ტაოხებს მოიხსენიებს როგორც დაუმორჩილებელ ხალხს, რომ ისინი ტყვეობასა და მონობას სიკვდილს ამჯობინებდნენ. ქსენოფონტე გვიამბობს: „ბერძნების 10000-იანი ლაშქარი ძარცვა-გლეჯით მიიწ-

---

[1] ციტირებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან, იხ. ტ. I, გვ. 375.

[2] იქვე.

ეედა წინ. სწორედ მაშინ, როდესაც სურსათი გამოელიათ, ბერძნები ტაოხების (დიაოხების) მიწა-წყალზე შეესიდნენ. ტაოხები ცხოვრობდნენ მიუვალ გამაგრებულ ადგილებში, სადაც მტრის შემოსევისას ადამიანებთან ერთად თავს აფარებდა მათი პირუტყვიც. ბერძნები მიადგნენ ერთ ასეთ გამაგრებულ ადგილს. „ეს არ იყო ქალაქი და მასში სახლებიც კი არ იყო“. ეტყობა ეს იყო მთის წვერზე გალავანშემოვლებული ადგილი, რომელიც ომიანობის დროს თავშესაფარს წარმოადგენდა. ერთი მხრის გარდა ყველა სხვა მხრიდან ეს ადგილი მიუვალი იყო. ბერძნებიც იძულებულნი იყვნენ ამ მხრიდან შეეტიათ. მაგრამ აღმართზე მფოფხავ ბერძნებს ტაოხები ზემოდან უზარმაზარ ლოდებს უშენდნენ. ბევრი ბერძენი მეომარი იდგა ამ ლოდებით ფეხებშელეწილი. გამაგრებულ ადგილას, გალავანს შიგნით, ტაოხების მცირე ჯგუფი იყო თავშეფარებული, რომელთაგან სულ რამდენიმეს ჰქონდა იარაღი. ბერძნებმა ბოლოს და ბოლოს მაინც შეძლეს, მიუხედავად ზემოდან წამოსული ქვების ნიაღვრისა, შეჭრილიყვნენ გამაგრებული ადგილის შიგნით. „მაშინ, — ამბობს ქსენოფონტე, — (ჩვენ წინ) გადაიშალა საშინელი სანახაობა, ქალები ისროდნენ ქვემოთ თავის ბავშვებს და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ (კლდიდან უფსკრულში). მამაკაცებიც ასევე იქცეოდნენ. ლოხაგოსმა (ბერძენთა ჯარის ერთ-ერთი ქვედანაყოფის უფროსმა) ენეოს სტიმფალიელმა დაინახა ერთი ლამაზ ტანსაცმელში ჩაცმული (ტაოხი), რომელიც მორბოდა და ჩანს, აგრეთვე, კლდიდან გადავარდნას ლამობდა. მან სტაცა მას ხელი, რათა ხელი შეეშალა მისთვის გადავარდნილიყო, მაგრამ (ტაოხმა) ისიც თან გადაიტანა და ორივენი გადაეშვნენ კლდიდან და დაიღუპნენ...“[1].

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით რა სახის პოლიტიკური გაერთიანება იყო დიაოხი. შესაძლებელია იგი სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა ან იმყოფებოდა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ზღურბლზე[2].

წყაროებიდან ცნობილია, რომ დიაოხში საკმაოდ განვითარებულია საწარმოო ძალები. აქ ჩანს მეტალურგიისა თუ მესაქონლეობის განვითარების გარკვეული დონე. დიაოხს ახლო ურთიერთობა აქვს ძველი აღმოსავლეთის მეტად ძლიერ სახელმწიფოსთან, ასირიელებთან, მითანის სახელმწიფოსთან, ურარტუსთან. ამიტომაც უნდა გაკეთ-

---

[1] ციტირებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან, იხ. ტ. I, გვ. 379.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 380.

დეს დასკვნა, რომ დიაოხი აღმოსავლური ტიპის დესპოტური სახელმწიფო იყო. დიაოხის სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომელსაც ასურული და ურარტული წყაროები პერსონალურადაც კი მოიხსენიებდნენ (სიენი, ასია, უტუფრურსი), როგორც უმაღლეს სუვერენებს. აქ არსად არ ჩანან „უხუცესები“ ან „ხალხი“[1].

ამასთან, დიაოხის სახელმწიფოს დაქვემდებარებული ჰყოლია გვაროვნული წყობილების სტადიაზე მყოფი ხალხები და ტერიტორიები, ამის დამადასტურებელია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ორი ტიპის დასახლება: 1) ციხესიმაგრეები; 2) მათ გარშემო მიმოფანტული მცირე სამოსახლო ნაგებობები, სამოსახლო ადგილები. სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს გვაროვნულ წყობილებაში მცხოვრები ხალხების საცხოვრისი.

ისტორიული კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება (XIII-VIII ს. ჩვ.წ.აღ-მდე)

კოლხეთის შესახებ ცნობები ადასტურებენ, რომ ჩვ. წ-მდე II ათასწლეულის ბოლოს, დაახლოებით XIII საუკუნიდან — კოლხეთში გვაროვნული წყობილებაა. ამაზე მეტყველებს კოლხეთის ტერიტორიაზე „მეფეების დიდი ოდენობა“ — და ამ დიდი ოდენობით დასტურდება, რომ აქ არამყარი საზოგადოებრივი გაერთიანებაა. მყარი გაერთიანება რომ ყოფილიყო, „მეფეების“ სიმრავლეც არ იქნებოდა. სამაგიეროდ დასტურდება, რომ ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა შექმნეს საფუძველი მყარ პოლიტიკურ გაერთიანებაზე გადასასვლელად (მესაქონლეობა, მეტალურგია, რკინის დამუშავება). გარდა ამისა, წინააზიური კულტურის ცენტრებთან სიახლოვემ შემქნა შესაძლებლობა არამყარი გაერთიანებებიდან სახელმწიფოზე გადასასვლელად. ძვ. წ.აღ-ის VIII საუკუნეში კოლხეთშიც უკვე სახელწიფო არსებობს. ამას ადასტურებს ურარტუს მეფის სარდურ II-ის ცნობები, რომ მან დაიპყრო კოლხეთის სამეფო, მისი დედაქალაქი ილდამუსი. გაულიტა აქ მეფისნაცვლები, კოლხ მელითონეებს დაამზადებინა რკინის ბეჭედი...

მაგრამ საჭიროა გავარკვიოთ როგორ ჩამოყალიბდა კოლხეთის სახელმწიფო (სამეფო).

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 380.

ურარტულ წყაროებში გარდა დიაოხისა, ლაპარაკია ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებში მცხოვრებ ისეთ ხალხებზე, როგორიცაა: **ქათარზა, ვიტერუხი, ზაბახა, ერიახი, ლუსა, იგენიეხი** და სხვ.

ქათარზა — მოსხურ მთებთან მდებარე კოტარძენეს უნდა ნიშნავდეს, ასე მიუთითებს კლავდიოს პტოლემაიოსი, ეს სახელი უნდა იყოს კლარჯთა სახელწოდებაც.

ვიტერუხი — შაეიზ̌ვისპირა ტომების ბიძერების სახელი უნდა იყოს, რომლებიც მდ. ჭოროხის შესართავში ცხოვრობდნენ.

ზაბახა — ჯავახეთს უნდა ნიშნავდეს.

იგენიეხი — ჰენიოხი უნდა იყოს.

ლუსა — მერმინდელი ლაზი.

ზემოთ აღნიშნულ ტომებს ძვ. წ.აღ-ის IX საუკუნეში კავშირი შეუკრავთ და თავს დასხმიან ურარტუს მეფეთა სამფლობელოებს. ბრძოლა მწვავდება ურარტუს მეფეების არგიშთი I-ისა (786-764 წწ.) და მისი შვილის სარდურ II-ის დროს (764-735 წწ.). აღნიშნული მეფეები ძირითადად თავიანთ გამარჯვებებზე წერენ, მაგრამ დასტურდება, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომები — **ქათარზები ანუ კლარჯები, ვიტერუხები, ჯავახები, ჰენიოხები** და სხვ. დიდ ძალას წარმოადგენდნენ IX-VIII საუკუნეებში. თუ ადრე ეს ხალხები, კერძოდ, არგიშთი I-ის დროს (786-764 წწ.) დიაოხის შემადგენლობაში ჩანან, სარდურ II-ის დროს (764-735 წწ.), უკვე კოლხასთან კავშირში არიან, ე.ი. კოლხამ ეს ხალხები წაართვა როგორც ურარტუს, ისე დიაოხს. შეიძლება ითქვას, რომ სარდურ II-ის მეფობის დროიდან დიაოხი აღარ მოიხსენიება, აღარ ჩანს და მის ადგილზე უკვე კოლხაა. სწორედ კოლხეთი წარმოადგენს ურარტუს დასაპყრობ ობიექტს სარდურ II-ის მეფობიდან (764-735 წწ.) და არა დიაოხი. სარდურ II კოლხაზე ბრძოლის ამბებს გადმოგვცემს. პირველი ლაშქრობის შესახებ (დაახ. 750-748 წწ.) იგი წერს: „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ... ღვთაება ხალდის დახმარებით ქვეყნის მეფე (იგულისხმება არა მთლიანად კოლხას მეფე, არამედ კოლხას შემადგენლობაში შემავალი ხუსას ქვეყნის მეფე ხახა) იქიდან წამოვიყვანე ტყვედ თავის ხალხთან ერთად და დავასახლე ჩემს ქვეყანაში. საყურადღებოა, რომ თუ ხუსა ადრე დიაოხისა იყო, ამჯერად კოლხეთის შემადგენლობაში ჩანს.

ურარტუს მეფეს მეორე ლაშქრობა 742-741 წლებში ჩაუტარებია კოლხას სამეფოს წინააღმდეგ: „დავიპყარი კოლხას ქვეყანა, ქალაქი ილდამუსა, მეფე... სასი, მოსახლეობა გადავბუგე, მეფისნაცვლები გავჟლიტე, რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუსაში. ციხესიმაგრეები და ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გამოვრეკე“.

მესამე ლაშქრობის შესახებ სარდური წერს: „იმავე წელს მესამედ გავემართე სალაშქროდ ვიტერუხის (ჭოროხის შესართავში) ქვეყნის წინააღმდეგ. სამი ოლქის მმართველი მოვიხმე, სამ ადგილას ვილაშქრე, ერთი დღის განმავლობაში ხელთ ვიგდე ქვეყანა, გავაჩანაგე. კაცები და ქალები აქედან გამოვრეკე. ქ. ურაიანის ციხესიმაგრე მე ავაგე, ჩემი ნაცვალი აქ დავსვი. ვიტერუხის ქვეყნის მეთვალყურე იქ დავაყენე... მე 8100 ყრმა წავიყვანე, 9110 დედაკაცი გამოვრეკე, ასევე 17300 რქოსანი პირუტყვი, 31600 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი წამოვიყვანე“.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ჩვ.წ.აღ-მდე VIII საუკუნის შუა ხანებში კოლხას ჰყოლია მეფე, ჰქონია სამეფო ქალაქი, ილდამუსაში სხედან მეფისნაცვლები, როგორც სამეფოს მოხელეები და არა ტომის ბელადები. კოლხეთი ძლიერი სახელმწიფო ყოფილა, ამაზე მეტყველებს ნადავლის ოდენობა, განვითარებული ყოფილა მეტალურგია და სხვ.

აკად. გ. მელიქიშვილის დასკვნით, ძველი კოლხეთის სახელმწიფო VIII საუკუნისათვის ყალიბდება.

ძველი კოლხეთის სამეფოს შესახებ მოგვითხრობს მითი არგონავტების შესახებ. ბერძნები მიდიან კოლხეთის სამეფოში, მათ კოლხეთის მეფე ბრწყინვალედ მორთულ სასახლეში იღებს. აქვე მითითებულია ოქროს მოპოვების ხელოვნებაზეც.

კოლხეთი ჩვ.წ.აღ-მდე VI-IV საუკუნეებში

კოლხეთს ბერძნები მოიხსენიებენ როგორც შავიზღვისპირა ქვეყანას, რომელიც მდებარეობს კავკასიონის ქედების სამხრეთით, დღევანდელი ტრაპიზონის ჩათვლით. მაგრამ ტერმინი „კოლხეთი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობით კოლხები სახლობდნენ „მეოტიდის ტბიდან“ (ე.ი. აზოტის ზღვა), ვიდრე მდინარე ფაზისამდე (რიონი) და კოლხთა სამფლობელოები 30

დღის სავალია, კარგი, მსუბუქად ჩაცმული ქვეითისათვის. ზოგიერთი ავტორი კოლხეთის სამხრეთის საზღვრად მიიჩნევს ტრაპიზონს, ხოლო ჩრდილოეთის საზღვრად რიონის შესართავს. წინარეელინისტური ხანის ზოგიერთი ავტორი კოლხეთის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს ჭოროხის შესართავს. V საუკუნის ანონიმი გეოგრაფის მითითებით, კოლხების სამშობლო დღევანდელი სოხუმიდან ჭოროხის წყლებამდეა. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, VI-IV საუკუნეებში კოლხეთის ადგილსამყოფელი (ვიწრო გაგებით) უნდა ყოფილიყო სოხუმიდან აჭარისწყლამდე.

განვიხილოთ კოლხეთის სახელმწიფოს შემდგომი განვითარება.

როგორც ცნობილია, ჩვ. წ.აღ-მდე VI საუკუნიდან ამიერკავკასიის ხალხებზე სკვითების, კიმირიელებისა და მიდიელების ბატონობას ცვლის აქემენიელთა ირანის ბატონობა. აქემენიელთა ირანმა მთელი დაპყრობილი ტერიტორიები დაყო **სატრაპიებად**. მე-19 სატრაპიაში მოექცნენ ამიერკავკასიის ხალხები, მათ შორის სამხრეთ კოლხეთში მცხოვრები ხალხები: **ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მოსხები** და მარები (ჰეროდოტე), მაგრამ ჰეროდოტე ამ ხალხებში არ იხსენიებს კოლხებს. ისინი არ მოქცეულან სპარსეთის გავლენის ქვეშ იმის გამო, რომ ნებაყოფლობით უკისრიათ ხარკის მიცემა. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ისინი გზავნიდნენ 100 გოგოსა და 100 ბიჭს. ამ შემთხვევაში ჰეროდოტე არ ვარაუდობს დიდ კოლხეთს. იგი გულისხმობს კოლხეთს აფსარიდან აჭარისწყლამდე. ამ სახელმწიფოს ცენტრი მდ. რიონზე უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ ძვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში იწყება ე.წ. **ბერძენთა კოლონიზაცია**, ე.ი. ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეებში შავიზღვისპირეთში არსებობს ბერძნული დასახლებები. წყაროების სიმცირის გამო შეუძლებელია გაირკვეს, თუ რა გავლენა მოახდინეს მათ კოლხეთზე. ყოველ შემთხვევაში, ბერძნული ქალაქ-პოლისები აქ არ ჩანს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ჰქონდათ ეკონომიკური-სავაჭრო კავშირები...

აკად. გ. მელიქიშვილის მითითებით, ბერძნებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ქალაქ-პოლისები დაარსეს და ფაქტობრივად ჩამოაყალიბეს სახელმწიფოები, მაგრამ კოლხეთის შავიზღვისპირეთში ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან აქ უკვე არსებობდა კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო. ბერძნები კოლხეთის გავლენის ქვეშაც კი მოექცნენ და მათი ქალაქ-სახელმწიფოები სავაჭრო ცენტრებად

გადაიქცნენ. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი პირდაპირ აცხადებს, რომ კოლხეთში არ არსებობდა წმინდა ბერძნული ქალაქი-პოლისები, ისინი შერეული სახით ჩამოყალიბდნენ (ნ. ლომოური, ნარკვ. გვ. 407), ხოლო ზოგიერთი მეცნიერი ამ პოლისებს უწოდებს უცხო ქვეყნებში დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს (ნარკვ. I, გვ. 407).

ამრიგად, VI-IV საუკუნეებში კოლხეთში ადრეკლასობრივი საზოგადოებაა. საზოგადოების ზედაფენა ექსპლოატაციას უწევს თავისუფალ და ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედ მასებს. კოლხეთის მთიანეთში კი კვლავ გვაროვნული წყობილებაა (ნარკვ. ტ. I, გვ. 414).

კოლხეთი ძვ. წ.აღ-ის II-I საუკუნეებში

ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნეში ჩამოყალიბდა ძლიერი სომხური სახელმწიფო „დიდი არმენია“, რომელმაც შეავიწროა იბერია, ხოლო მეორე სომხურმა სახელმწიფომ „მცირე არმენიამ“ ასევე შეზღუდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებები.

ძვ. წ.აღ-ის II-I საუკუნეების მიჯნაზე ისტორიული კოლხეთის შიგნით რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა. კოლხეთი ამ დროს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. პონტოს მეფემ მითრიდატე VI-მ უზარმაზარი სახელმწიფო შექმნა (111-63 წწ.), რომელშიაც შევიდა როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი, ისე ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთიც. მითრიდატემ კოლხეთის მმართველად დააყენა თავისი ვაჟი. ამდენად, ამ პერიოდის კოლხეთში დამპყრობელთა პოლიტიკური წყობაა, პონტოელთა გავლენა მთლიანად ვრცელდება კოლხეთის დაბლობ რაიონებში, ხოლო მთის რაიონებზე — ნაკლებად. კოლხეთის მთიანეთში ისევ გვაროვნული წყობილების გადმონაშთები ჭარბობს. აქ იგულისხმება სვანეთის პოლიტიკური გაერთიანება. სტრაბონის მითითებით, სვანებს გააჩნდათ ტომთა საბჭოები 300 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ჰყავდა თავი-ბელადი (ბასილევსი), სვანები კრებდნენ 200000-კაციან ლაშქარს, ისინი აგროვებდნენ (მოიპოვებდნენ) ოქროს ბანჯგვლიანი ტყავებით, რაც შეეხება ჯიქებს — ისინი დახასიათებული ჰყავს სტრაბონს როგორც მეკობრეები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან უნდა იყვნენ შემოჭრილნი.

იბერიის ანუ ქართლის სამეფოს წარმოქმნა (VI-IV სს. ჩვ. წ.აღ-მდე)

ქართველები ცხოკრობდნენ როგორც აღმოსავლეთით, ისევე სამხრეთ საქართველოში. აკად. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, დასავლეთ საქართველოს ისეთი რაიონები, როგორიცაა გურია, იმერეთი, აჭარა — ისტორიული ქართლის შემადგენლობაში უნდა ვიგულისხმოთ. ქართლის შემადგენლობაში ივარაუდება ასევე ისტორიული სამცხეც (მესხეთიც). მისივე მითითებით საკუთრივ „იბერია" ანუ „ქართლი" საკმაოდ გვიან შექმნილი ტერმინებია. ისინი თავდაპირველად უფრო პოლიტიკურ ან გეოგრაფიულ ტერმინებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ეთნიკური შინაარსის სახელწოდებებს. თავდაპირველად „იბერია" — ლიხის ქედის ან მესხეთის მთების აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა იყო. ელინისტური ხანიდან კი, როდესაც იგი პირველად იჩენს თავს, მტკიცედ აღნიშნავს გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს — **ქართლის სამეფოს.**

აღმოსავლეთ საქართველოს ანუ იბერიის პოლიტიკური გაერთიანებები ამ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხების ბრძოლის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო (იგულისხმება, რომ აქ კლასები და კლასობრივი ბრძოლა უკვე არსებობდა). ამ დებულების დამადასტურებლად მეცნიერები მოიშველიებენ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში დაცულ ცნობებს. ამ თხზულების მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა მას შემდეგ, რაც დაიპყრო ქართლი (იგი ქართლში არასოდეს არ ყოფილა), აქ მან გამგებლად დასვა **არიან ქართლის მეფის ძე აზო** (გ. მელიქიშვილი არიან ქართლში სპარსეთის ანუ ირანის ქართლსაც ვარაუდობს, იხ. ნარკვ. I, გვ. 438).

აზო გაემგზავრა მამის სამეფოში, არიან ქართლში და იქიდან წამოიყვანა რვა სახლი მამამძუძეთა (აღმზრდელთა), 10 სახლი მთავართაგან და დაასახლა ისინი ძველ მცხეთას. ამ ციფრის შესახებ სხვა ცნობაცაა. მაგალითად, არსენ ბერის (XII ს.), წმინდა ნინოს ახალი რედაქციის ავტორის აზრით, აზომ არიან ქართლიდან მოიყვანა ათასი სახლი „მდაბიო უფლისაჲ" და ათი სახლი „მთავართაგან". მანვე მოიტანა კერპები. აზოს სიკვდილის შემდეგ მცხეთაში გამეფდა ფარნავაზი.

გარდა „მოქცევაჲ ქართლისაჲსა" გვაქვს ასევე „ქართლის ცხოვრებაში შეტანილი სხვა თხზულებაც, რომელშიც უფრო დაწვრილებითაა აღწერილი ქართლში სახელმწიფოს წარმოშობის

კითხი. ამ თხზულების მიხედვით აზო დამპყრობელია, რომელიც საშინლად ავიწროებს ქართლის მოსახლეობას. იგი იმორჩილებს ჰერეთს და ავრცელებს თავის ძალაუფლებას შავ ზღვამდე, იპყრობს ეგრისს, ხარკს აღებს ოსებს, ლეკებს, ხაზარებს.

ფარნავაზი არის მცხეთის მამასახლისის ძმის შვილი, დედით სპარსელი, მისი მამა-ბიძა ალექსადრე მაკედონელთან ბრძოლაში დაილუპნენ. თვით ფარნავაზი უსაფრთხოებისათვის დედამ კავკასიონის მთებში გახიზნა. როდესაც წამოიზარდა და დავაჟკაცდა, იგი დაბრუნდა მცხეთას, დაუახლოვდა აზოს და გამოიჩინა თავი როგორც საუკეთესო მონადირემ. ერთ-ერთი ნადირობის დროს ფარნავაზი პოულობს განძს, სასწრაფოდ უკავშირდება ეგრისის მმართველს ქუჯის და წინადადებას აძლევს, ერთად იბრძოლონ ქვეყნის გასათავისუფლებლად. ქუჯი თანხმდება ფარნავაზის წინადადებას, ამასთან, აღიარებს ფარნავაზის, როგორც ქართლის შთამომავლის უპირატესობას და ასე მიმართავს მას: „შენ უფალი და მე მონა“. ფარნავაზისა და ქუჯის მხარეზე გამოდიან ოსები, ლეკები, მათსავე მხარეს გადავიდა 1000 რჩეული ბერძენი მეომარი, ფარნავაზს ეხმარება ასევე სელევკიდების სამეფო, რომელიც უგზავნის მას სამეფო გვირგვინს, ასევე უბრძანებს სომხეთის ერისთავებს დაეხმარონ ფარნავაზს და სხვ. ფარნავაზი იმარჯვებს და ხდება ქართლის მეფე. სამეფო დედაქალაქი ხდება მცხეთა.

ამრიგად, ფარნავაზი ქართლის ანუ იბერიის პირველი მეფეა (ძვ. წ.აღ-ის IV ს. მიწურული და III ს-ის I ნახევარი).

ფარნავაზმა სპარსთა წესზე მოაწყო სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე. სამეფო დაყოფილია საერისთავოებად, რომელსაც ერისთავები განაგებენ. ასეთი საერისთავოებია: არგვეთის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის.

ერისთავების ხელქვეითები არიან სპასალარები და ათისთავები.

ქვეყნის ცენტრალური ოლქია შიდა ქართლი. მას განაგებს სპასპეტი ანუ მთავარსარდალი. ფარნავაზს მორჩილებდა ეგრისის მმართველი ქუჯი. ფარნავაზმა კვლავ შემოავლო ზღუდე ქართლის დედაქალაქს მცხეთას, აღადგინა მრავალი ციხე-ქალაქი. ძველი ქართული ტრადიცია ფარნავაზს ქართული დამწერლობის შემოღებასაც

მიაწერს. ქვეყნის იდეოლოგიური საფუძვლის განმტკიცების მიზნით ფარნავაზმა მცხეთაში, ქართლის მთაზე (შემდგომში არმაზის მთა ეწოდა) აღმართა სამეფოს მთავარი ღვთაების **არმაზის კერპი**.

სატახტო ქალაქი იყო მცხეთა, მცხეთაში იმეფა ფარნავაზმა „სიბრძნითა და სიქველითა, სიმხნევითა და სიმდიდრითა“ და ქვეშევრდომნი აღავლენდნენ ხოტბას „ვჰმადლობ სუესა ჩვენსა, რამეთუ მოგუცა ჩუენ მეფე ნათესაჲთგან მამათა ჩუენთა და აღგჲხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესაჲთაგან“. ფარნავაზმა სამოცდახუთი წელიწადი იმეფა. იგი დასაფლაჲებულია არმაზის მთაზე, სწორედ არმაზის კერპის წინ. მცხეთიდან მართავდნენ ფარნავაზიანები ქართლს მთელი შვიდი საუკუნე, სანამ თბილისი დაარსდებოდა.

ფარნავაზმა განავრცო სამეფო ჩრდილოეთითაც, ამაზე მეტყველებს მისი ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან (ოვსნი, ლეკნი ფარნავაზის მოკავშირეები არიან). იგი ცოლად ირთავს დურძუკების ტომის ქალს, ხოლო თავისი და მიათხოვა „ოვსთა მეფეს“. ქართლის ცხოვრება იმოწმებს „ოვსებს“, მაგრამ მათ მიიჩნევს ხაზართა ანუ სკვითთა შთამომავლად. ოსები ირანულენოვანი სკვითების, სარმატებისა და ალანების შთამომავლები არიან. ალბათ ქართველებს ჰქონდათ მათთან ურთიერთობა. ეს ხალხი ძალზე გააქტიურდა ძვ. წ.აღ-ის IV საუკუნეში, დაიპყრო ჩრ. კავკასიის ტერიტორიები და შეაღწია მდ. დონის ტერიტორიაზეც. ოსები ესწრაფვიან სამხრეთისაკენაც. მათ გადმოსახლებას ხელს უწყობდნენ ქართველი მეფეებიც. ცნობილია, რომ ფარნავაზის შვილი **საურმაგი** ტახტს კავკასიის დურძუკთა მეშვეობით დაეუფლა და გადმოიყვანა საქართველოში „კავკასიანთა ტომის ნახევარი“, ზოგი მათგანი წარჩინებულ ქნა, ზოგი დაასახლა მთებში — დიდოეთიდან მოყოლებული სვანეთამდე.

ფარნავაზმა განავრცო ქართლის სახელმწიფო ტერიტორია სამხრეთითაც და სამხრეთ-დასავლეთიდანაც[1].

აღსანიშნავია, რომ მეზობელი ჩრდილოეთის მთიელი ტომების გარდა, საქართველოსათვის დიდ საფრთხეს ქმნიდნენ ჩრდილო კავკასიის ველებსა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარე ტომებიც. იბერიის მეფეები ჩრდილოეთის საფრთხეს სხვადასხვა გზით უვნებელყოფდნენ: კეტავდნენ კავკასიის გადმოსასვლელებს, მოკავშირეებად გაიხ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 455-458.

დიდნენ ქსიელებსა თუ მომთაბარეებს. ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდის ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი. იგი მიუთითებს, რომ ბარის იბერიამ მოხერხებულად შეიერთა ჩრდილოეთ მთიანეთში მოსახლე ეთნიკურად და კულტურულად განსხვავებული ხალხები. ამ მთიელებს მრავალი ასეული ათასი მეომარის გამოყვანა შეეძლოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბარის იბერიის სამხედრო პოტენციალი დაბალი იქნებოდა. „ქართლის ცხოვრება“ ქართველების ჩრდილოეთით მოსახლე ხალხებში ასახელებს: ლეკებს, დურძუკებს, დიდოელებს, ცოტა გვიან დვალებს. დვალები და დურძუკები ბაცბურ-ქისტურ ენაზე მეტყველი ხალხია, დიდოელები და ლეკები კი — დაღესტნურზე მოსაუბრე.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ის მთიელი ხალხები, რომლებიც გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ და შევიდნენ იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. იბერიის სასარგებლოდ ისინი იბრძოდნენ ბარკს, გამოჰყავდათ ლაშქარი, იცავდნენ კავკასიონის გადმოსასვლელებს. დარიალის ხეობაში სპეციალური ციხესიმაგრე უნდა ყოფილიყო.

იბერიის შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო არა მარტო საქართველოს მთიანეთი, არამედ ძველი ალბანეთის დასავლეთი ოლქები. ამ დროს (ე.ი. ძვ. წ.აღ-ის I ს.) ალბანეთში გვაროვნული წყობილება უნდა ყოფილიყო. ქართლის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ასევე ისტორიული ჰერეთიც.

იბერიის ანუ ქართლის სახელმწიფო ძვ. წ.აღ-ის II-I საუკუნეებში

ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნიდან იწყება სელევკიდების სახელმწიფოს დაშლა. III საუკუნის შუა ხანებში მას ჩამოსცილდა შუა აზიის პროვინციები, მაგალითად, ბაქტრია. რაც შეეხება პართიას, იგი დამოუკიდებელი ხდება და აქ მკვიდრდება არშაკიდების დინასტია.

სელევკიდების სახელმწიფოს დაშლა დააჩქარა რომაელთა შემოსევამაც. ძვ. წ. აღ-ის 190 წელს რომაელებმა სასტიკად დაამარცხეს ანტიოქ III-ს ლაშქარი და მოხდა ამ სახელმწიფოთა შორის დაზავება. დაზავებას სელევკიდების დასუსტება მოჰყვა, რადგან რიგმა სახელმწიფოებმა, რომლებიც სელევკიდების იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ქართლის მეზობლად ამ გზით ყალიბდება ორი სომხური სახელმწიფო. სტრაბონის მითითებით, სომხური სახელმწიფოს ფუძემდებლებმა არტაქსიამ

და ზარიადრემ იბერიას ჩამოაჭრეს „პარიადრის მთიანეთი, ხორზენე და გოგარენე, რომლებიც მტკვრის გადაღმა არის“.

ქართლის ცხოვრებაში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე ფარნავაზომის (იგი იბერიის IV მეფეა) დროს ქართლს შემოესია სომხეთის მეფე არშაკი. ფარნავაზომი მოკლეს, ხოლო ქართლის ტახტი სომხეთის მეფე არშაკმა დაისაკუთრა. აქედან დაწყებული 100 წლის მანძილზე ქართლის მეფე აღარ ჩანს. ქართულმა საისტორიო წყაროებმა არ შემოგვინახა ქართლის მმართველთა სახელები, ალბათ, არ თელიდნენ საჭიროდ უკანონო მმართველთა სახელების აღნუსხვას.

როგორია იბერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა ძვ. წ. აღ-ით II-I საუკუნეებში?

ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდის სტრაბონი. მისი მითითებით იბერიის დაბლობზე ცხოვრობდნენ მიწათმოქმედი ხალხები. ისინი მშვიდობიანად არიან განწყობილი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნებისაა, უჭირავს მთიანი მხარე და ეწყობიან სკვითების ყაიდაზე, სარმატების მსგავსად, რომელთა მეზობლებიცა და ნათესავებიც არიან: თუმცა ეწევიან მიწათმოქმედებასაც და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი მებრძოლი[1]. სტრაბონი წერს: „ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამავე გვარიდან) მოსამართლობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მხედართა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს მათ უხუცესი“[2]. სტრაბონის ეს ცნობა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესახებ საინტერესოა, მაგრამ მისი უკომენტაროდ მიღება არ შეიძლება. აქ, ამ აღწერაში არ ჩანან არც ვაჭრები, არც ხელოსნები და არც მონები.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 484.

[2] იქვე, გვ. 484.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა I-III საუკუნეებში

ძვ. წ. აღ-ით I საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხრეთით ცხად მოვლენებს აქვს ადგილი. კერძოდ, ძლიერდება პონტოს სამეფო, რომელმაც დაიპყრო ბოსფორის სახელმწიფო და შეიერთა იგი. ასევე შეიერთა კოლხეთი და მცირე არმენია. ამავე პერიოდში სომხეთის მეფე ტიგრან II დაუკავშირდა პონტოს და მისი დახმარებით გააფართოა თავისი სამეფო. მან განავრცო თავისი ძალაუფლება თანამედროვე ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანზე. შეიერთა სოფენა, დაეუფლა სირიას, ფინიკიასა და კაპადოკიის ნაწილს.

ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე მძაფრი ბრძოლები წარმოებს რომაელებსა და პონტოს სამეფოს შორის. პონტოს მეფემ რომაელების წინააღმდეგ მთელი მცირე აზია გამოიყვანა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, თვით საბერძნეთსაც კი დაეუფლა. სომხეთიც რომის წინააღმდეგ იბრძვის. იგი მარცხდება რომთან ბრძოლაში ძვ. წ.აღ-ის 66 წ. სომხეთის შემდეგ იბერიის დაპყრობის ჯერი დადგა. რომის სარდალი პომპეუსი 65 წ. ჩვ. წ-მდე იწყებს ბრძოლას და შემოდის იბერიაში. ამ დროს იბერიის მეფეა **არტაგი**. მან მშვიდობიანი გზით სცადა პომპეუსთან მორიგება, თანაც ჩუმად ომისათვის ემზადებოდა. ეს რომ შეიტყო პომპეუსმა, არ აცალა არტაგს და თვით დაესხა თავს. არტაგმა ვერ მოახერხა არმაზციხის დაცვა, გადავიდა მტკვრის მეორე — მცხეთის მხარეს და ხიდიც დაწვა. პომპეუსმა დაიმორჩილა მტკვრის მთელი მარჯვენა მხარე და იწყო მზადება მარჯვენა მხრის დასაპყრობად. არტაგმა დესპანები გაუგზავნა პომპეუსს, რომ ხიდსაც ააგებდა და სურსათითაც მოამარაგებდა. არტაგმა თავისი პირობა შეასრულა, მაგრამ პომპეუსმა მაინც იწყო ხიდზე გადასვლა. მაშინ არტაგი გაიქცა მდ. პელორისაკენ (ალბათ არაგვი), გადავიდა მდინარეზე და დაწვა ხიდი. მოგვიანებით კვლავ იმართება მოლაპარაკება პომპეუსსა და არტაგს შორის. პომპეუსი თხოულობს მძევლად არტაგის შვილებს. არტაგი იძულებული გამხდარა დათანხმებოდა ამას. ძღვნად ოქროს საწოლი ტახტი და მაგიდაც მიართვა პომპეუსს.

იბერიის დამორჩილების შემდეგ პომპეუსი უმოკლესი გზით გადადის კოლხეთში და იპყრობს მას. ომში გამარჯვებულ პომპეუსს

დაბრუნებისას თან წაუყვანია კოლხების სკეპტუხი — სკიპტრის მპყრობელი ოლთაკი.

გარდა ამისა, მას წარჩინებულ მძევალთა და ტყვეთა შორის ჰყოლია იბერთა და ალბანელთა ორი წინამძღოლი. ასე დაიმორჩილა პომპეუსმა იბერია. ამრიგად, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის როგორც იბერია, ისე სომხეთი რომის დამოკიდებულებაში მოექცა. მაგრამ, როგორც ცნობილია, თვით რომის იმპერიის შიგნით იწყება მძაფრი წინააღმდეგობა და ბრძოლა. რომის რესპუბლიკა კრიზისს განიცდის. 30 წ. ჩვ. წ-მდე რომში ეცემა რესპუბლიკა და მყარდება იმპერია. რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნები დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვიან, მათ შორის იბერია და კოლხეთიც. რადგან რომს აღარ შესწევს ძალა იარაღით მართოს შორეული, მის გამგებლობაში მყოფი ქვეყნები, ცვლის პოლიტიკას მათ მიმართ და გადადის მეგობრულ ნებაყოფლობით კავშირების დამყარებაზე. სწორედ ამიტომ ამ პერიოდის რომაული წყაროები ალბანელების, მიდიელებისა და იბერიის მმართველებს მეფეებად მოიხსენიებდნენ.

ამრიგად, ძვ. წელთაღრიცხვის დასასრულსა და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში იბერია და კოლხეთიც რომის იმპერიის შემადგენლობაში ითვლება, მაგრამ ისინი რომს ნომინალურად ემორჩილებიან, აქ ადგილობრივი თვითმმართველობაა და მათ თავიანთი მეფეებიც კი ჰყავთ.

იბერია ახ. წ-ის I-II საუკუნეებში

ამ პერიოდში განმტკიცდა და გაძლიერდა იბერიის სამეფო ხელისაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარების დამყარების გამო. კერძოდ: დასუსტდა ძლიერი სომხური სახელმწიფო, დასუსტდა პართია და რომი ურთიერთშორის ბრძოლის გამო, დამყარდა მეგობრული ურთიერთობა ალანებთან. ალანები დღევანდელი ოსების წინაპრები. უკვე ახ. წ-ის I საუკუნეში ფართოდ გავრცელდნენ კავკასიონის იქეთა მხარეს — ჩრდილოეთ კავკასიაში, აზოვისა და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ სტეპებში. აქ შეიქმნა ალან ტომთა დიდი კავშირი, რომელშიაც ალანთა გარდა სხვა მოძთაბარე ტომებიც შედიოდ-

ნენ და ისინი გვაროვნული წყობილების რღვევის სტადიაზე იყვნენ.

იბერიის მეფეები ხელსაყრელ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას იყენებენ ქვეყნის გასაფართოებლად. მაგალითად, I საუკუნის 10-იან წლებში იბრძვიან არა მარტო სომხეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, არამედ მთლიანად სომხეთის შემოსაერთებლად. ამ საკითხზე მრავალი ვრცელი ცნობა მოიპოვება რომაელი ისტორიკოსის დიონ კასიუსის შრომებში.

კიდევ უფრო ძლიერდება ქართლი II საუკუნის I ნახევარში. ეს არის ანტიკური ხანის ქართლის განსაკუთრებული ძლიერების ხანა. ამ დროს, ე.ი. II საუკუნის 30-50-იან წლებში ქართლში მეფობს ფარსმან II ქველად წოდებული. მისი მეფობის პერიოდში ქართლის საზღვრებმა დასავლეთით შავ ზღვასაც კი მიაღწია. ფარსმან II-მ რომთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა. იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) დროს ძალზე გაუმჯობესდა იბერია-რომის ურთიერთობები. სწორედ ამ პერიოდში ჩასულა ფარსმანი რომში, მას და მის შვილებს მოუწყვიათ სამხედრო ვარჯიში. დედაქალაქის ერთ-ერთი ტაძარში ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკებაც კი დაუდგამთ.

სამწუხაროდ, იბერიის შესახებ ცნობები აღარ გვაქვს II-III საუკუნეთა მიჯნაზე. ამიტომ ვისაუბრებთ იბერიის სახელმწიფოს შესახებ III საუკუნიდან.

იბერიის სახელმწიფო წყობილება ახალი წელთაღრიცხვიდან I-II საუკუნეებში

აღნიშნულ პერიოდში იბერიის სახელმწიფო მონარქიულია. მას განაგებს მეფე. ქვეყნის ძლიერების კვალობაზე იბერიის მეფე იწოდება „დიდ მეფედ“, ხოლო მცხეთა მეფეთა საჯდომ ქალაქად.

სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობითია. მეფის ხელისუფლება ქვეყნის ძლიერების შესაბამისად — შეუზღუდავია. მას ხელი მიუწვდება სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროზე. მას ემორჩილება არა მარტო სამოქალაქო ხელისუფლება, არამედ სამხედრო ადმინისტრაციაც. მეფეს ემორჩილებიან დიდმოხელენი, მათ შორის პიტიახში თუ სპასპეტი. მეფე არის უმაღლესი კანონმდებელიცა და უმაღლესი მოსამართლეც.

მეფის შემდგომ მეორე პირი სახელმწიფოში არის ქვეყნის მთა-

ვარსარდალი და უმაღლესი მსაჯული. ამ მოვლენაზე მიუთითებს როგორც სტრაბონის ცნობები, ისე ქართული წყაროები.

სახელმწიფოში მეფის შემდგომ მეორე პირს ეწოდება **სპასპეტი**. იგი არის მთავარსარდალი და ქართლის ცენტრალური ოლქის ანუ შიდა ქართლის მმართველი, ასევე ყველა ერისთავის უფროსი. სპასპეტისათვის ასეთი ფართო უფლებების არსებობა მკვლევრებს აფიქრებინებს, თითქოს იგი იბერიაში „მეორე მეფეა“, ანუ იბერიაში ორმეფობაა. მეორე პირთა რეზიდენცია იბერიაში იყო არმაზციხე, ხოლო მეფის სატახტო ქალაქი მცხეთა, ანუ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რეზიდენცია. სპასპეტი ჩვეულებრივად მეფის უახლოესი ნათესავი იყო.

სხვა სახელმწიფო მოხელეებიდან იბერიაში აღსანიშნავია **ეზოსმოძღვარი**. იგი ეზოს ანუ სასახლის კარის მეურნეობის წინამძღვარი და გამგებელია. ასეთივე თანამდებობა ყოფილა ძველ სომხეთშიც, რომელსაც ჰაზარაპეტი ეწოდებოდა, ხოლო ძველ საბერძნეთში — ეკონომოსი. იბერიის სახელმწიფოში ეზოსმოძღვარი, განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისაგან (სომხეთი, ირანი, საბერძნეთი), არ არის სამეფოს ადმინისტრაციის მეთაური ანუ მეფის შემდგომ მეორე პირი. ასეთი, როგორც აღვნიშნეთ, იბერიაში არის **სპასპეტი**. ამდენად, იბერიაში ეზოსმოძღვარი სამეურნეო ფუნქციების მქონეა, ხელმძღვანელობს ხარკისა თუ გადასახადების აკრეფას, უძღვება მეურნეობას, შესაძლებელია ეზოსმოძღვარს რაღაც სამხედრო ფუნქციაც ჰქონდა. ამას გვაფიქრებინებს არმაზის ბილინგვის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ეზოსმოძღვარზე, როგორც მრავალი გამარჯვების მომპოვებელზე. აკად. გ. მელიქიშვილის ვარაუდით, იქნებ ეზოსმოძღვარი ხელმძღვანელობდა მეფის დაცვის რაზმს ან სამეფო მიწებზე მცხოვრები მოსახლეობიდან („ტაძრეულიდან“) გამოყვანილ ლაშქარს.

სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ისეთი თანამდებობა, როგორიცაა **ერისთავი**. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, ერისთავი იგივე „პიტიახშია“. „პიტიახში“ უცხოური ხარმოშობის სიტყვაა და ქართულ ერისთავს შეესაბამება. ერისთავები ქართლში მრავლად იყვნენ. „ქართლის ცხოვრება“ ასახელებს 8 ერისთავს, ზოგჯერ 9-ს. ერისთავები ტერიტორიული ოლქების მმართველები არიან. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ქართლში უცხოელი ერისთავები ჩნდებიან, მათ პიტიახში ეწოდებათ, მაგა-

ლითად, ქვემო ქართლის პიტიახში.

ერისთავების შემდგომ იბერიის სამეფოს მოხელეთა შორის ყურადღებას იპყრობს **სპასალარები** და **ათასისთავები**. სპასალარი ერისთავზე უფრო პატარა მოხელეა, ქართლის ცხოვრების მიხედვით ერისთავებს ემორჩილებიან მათი ოლქების სხვადასხვა ადგილას დანიშნული მოხელეები — სპასალარები და ათასისთავები. სპასალარი საერისთაოს გარკვეული ტერიტორიის მმართველი ჩანს. ივ. ჯავახიშვილის მითითებით საქართველოში სპასალარები ბევრი უნდა ყოფილიყვნენ, „საფიქრებელია, რომ თითეულ თემსა და კუთხეს საქართველოში თავისი სპასალარი უნდა ჰყოლოდა[1].

„ქართლის ცხოვრებაში“ კონკრეტულად არის დასახელებული კასპის სპასალარი, რომელიც მეტად მაღალი თანამდებობის პირი ჩანს, იგი კასპის ტერიტორიული ოლქის მმართველია, სწორედ კასპის სპასალარს მიჰყავს აღსაზრდელად ქართლის მმართველთან ანუ სპასპეტთან ვახტანგ გორგასალი. უფლისწულის წასაყვანად სპასალარისათვის ასეთი ნდობის გამოცხადება ამ უკანასკნელის მაღალ დანიშნულებასა და ავტორიტეტზე მეტყველებს.

ათასისთავი — სამხედრო მოხელეა, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, იგი ომის დროს თუ საომარი მოქმედებების სამზადისისას ათასკაციან რაზმს ხელმძღვანელობდა.

ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლებად გვევლინებიან ასევე **ციხისთავი** და **მამასახლისი**.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ თანამდებობათა გარდა ძველ საქართველოში კიდევ არსებობდა სხვა თანამდებობების მოხელეებიც. მეფის მოხელის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „სეფე კაცი“. ზოგჯერ „სეფე კაცს“ **სასამართლოს აღმასრულებლის** ფუნქციაც ეკისრებოდა.

რაც შეეხება სამხედრო საქმის ორგანიზაციას, ჯარი, სამხედრო შეიარაღება ძირითადად **სახალხო ლაშქრის** სახით ფორმირდებოდა. ყველა თავისუფალი მოქალაქე თავისივე საჭურველით მონაწილეობდა სახალხო ლაშქარში და მასში მონაწილეობა ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა იყო ყველა სრულწლოვანი მოქალაქისათვის, გარდა ამისა, არსებობდა ასევე მუდმივი „სამეფო ლაშქარიც“, რომელშიაც ნაწი-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 290.

ლობრივ დაქირავებული მებრძოლებიც შედიოდნენ (მათ შორის ალანები). ჯარის ხელმძღვანელ პოსტებზე მაღალი არისტოკრატიისა თუ სამეფო გვარის მაღალი წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. მათ ეძლეოდათ გარკვეული ჯამაგირი და მამული.

საინტერესოა საგადასახადო სისტემა და გადასახადების ორგანიზაცია. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ არსებობდა სამეფო და საერისთავო სარკი. აქედან ჩანს, რომ ორგვარი გადასახადი ყოფილა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობისათვის. ხარკის ამკრეფ მოხელეს „მეზუერე“ ეწოდებოდა. ამ ტერმინის გარდა, ვხვდებით ტერმინს „ხარკის მომხდელი“.

საგადასახადო სისტემა არ იყო მტკიცე. ეს დამოკიდებული იყო უცხოელთა შემოსევაზე, რომლებიც თავიანთ გადასახადს აწესებდნენ (სპარსული, არაბული, რომაული). გადასახადთან ერთად ზოგჯერ დაწესებული იყო ბეგარაც.

ქართლის საზოგადოებრივი წყობილება I-II საუკუნეებში

იბერიის საზოგადოება მწარმოებელი და არამწარმოებელი ფენებისაგან შედგებოდა.

არამწარმოებელ კლასში ანუ ექსპლოატატორულ კლასში შედიან: **უმაღლესი არისტოკრატია ანუ მეფე და მისი ოჯახის წევრები, სამეფო გვარის წევრები, სეფეწულები.**

სეფეწულები სამეფო წარმომავლობის ხალხია, რომლებიც ძირითადად სამხედრო სამსახურში არიან ჩაბმული, რისთვისაც მეფისაგან ღებულობენ მიწას როგორც ხალხით დასახლებულს, ისე დაუსახლებელ სახნავ-სათეს მამულს. ასეთი ფენის არსებობას იბერიაში ადასტურებს ფავსტოს ბუზანდიც (სომეხი ისტ.).

IV-V საუკუნეებიდან სეფეწულები ზოგადი მნიშვნელობის ტერმინი ხდება, რომელშიაც იგულისხმება არა მარტო სამეფო საგვარეულოს წევრები, არამედ ერისთავები, მთავრები, მამასახლისნი, პიტიახშნი, აზნაურნი „დიდ-დიდნი“, წარჩინებულნი და სხვა.

იბერიის სახელმწიფოში, მეზობელი ირანის მსგავსად, არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც გარკვეულ თანამდებობაზე დაწინაურებული პირი არისტოკრატიის წარმომადგენელი ხდებოდა, მიუხედავად მისი

შთამომავლობისა. ქართლის არისტოკრატია ფუფუნებაში ცხოვრობდა. ამის დამადასტურებელია მცხეთის მახლობლად ჩატარებული გათხრები და მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი ნივთები. ქართლის დიდმოხელეთა და მათი ოჯახის წევრთა სამარხებში ჩატანებულია ძვირფასი ნივთები, ზოგიერთი მათგანი უცხოურია, როგორც ჩანს, ქართლის არისტოკრატია ფართოდ სარგებლობდა უცხოური სამკაულით, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით, ჭურჭლითა და სხვა. ქართლის არისტოკრატია ცხოვრობდა მდიდრულად მოწყობილ სასახლეებში.

ქართლის არისტოკრატიაში ძირითადად ქართული, ადგილობრივი წარმოშობის მოხელეები შედიოდნენ, ზოგჯერ კი გზას იკვლევდნენ უცხოელებიც, კერძოდ, ჩრდილოკავკასიური წარმოშობის დიდი მოხელეები. ეს ხდებოდა ქორწინების ან უცხოელთა გაქართველების შედეგად. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — დაწინაურება, არისტოკრატიაში მოხვედრა. ამის დამადასტურებელია ჩრდილოკავკასიური სახელების სიუხვე ქართულ წყაროებში: საურმაგ, ქსეფარუნგ, რადამისტ, ასპაგური, ზევახი, იოდმანგანი და სხვა.

რაც შეეხება მეორე ფენას — ექსპლუატირებულ საზოგადოებას — მათ მდგომარეობაზე მეტყველებს ღარიბთა სამარხები, რომლებშიც მოიპოვება ღარიბული ნივთები. მაგალითად, მცხეთის რკინიგზის სადგურთან ნაპოვნი მდიდრული ინვენტარის შემცველი მავზოლეუმის გვერდით, ნაპოვნია ღარიბთა სამარხები, რომლებშიაც მხოლოდ იაფფასიანი, უბრალო თიხის ჭურჭელია.

მწარმოებელი საზოგადოების ანუ ექსპლუატირებული ხალხის აღსანიშნავი ტერმინი იყო ერი ანუ თავისუფალი მეთემე, რომლებიც ცხოვრობდნენ როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სოფლის მცხოვრებთ მდაბიონი ეწოდებოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ადრეფეოდალიზმის ხანაში

ადრეფეოდალიზმი IV-X საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვის, გამარჯვებისა და განმტკიცების ხანაა. ამ პერიოდში ადგილი აქვს მნიშვნელოვან მოვლენებს ქვეყნის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. სწორედ ამ პერიოდში გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, გაუქმდა მეფობა, დაქუცმაცდა

სახელმწიფო, მოგვიანებით კი მომზადდა ნიადაგი ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შესაქმნელად. ადრეფეოდალიზმი ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანაცაა.

ამავე პერიოდში საქართველო აქტიურად ებრძვის სასანიდების ირანის, აღმოსავლეთ რომისა (ბიზანტიის) თუ არაბთა იმპერიებს.

ადრეფეოდალიზმის ხანას სამ პერიოდად ყოფენ: 1) IV-VI საუკუნეები — ფეოდალიზმის ჩასახვისა და განმტკიცების პერიოდი; 2) VI-VIII საუკუნეები — ფეოდალური ურთიერთობების გამარჯვებისა და მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ჩამოყალიბების პერიოდი; 3) VIII-X საუკუნეები ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდი. ქართლისა და ეგრესის ნაცვლად ახალი სამეფო-სამთავროები (კახეთი, ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი, თბილისის საამირო, აფხაზეთის სამეფო) ყალიბდება.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის შესასწავლად მრავალი არაპირდაპირი წყარო გაგვაჩნია. მათ შორისაა „ქართლის მოქცევის ქრონიკა“[1], ლეონტი მროველის თხზულებად მიჩნეული „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“[2] და „წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“[3], ასევე ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“[4], სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“[5], უცნობი ავტორის თხზულება „მატიანე ქართლისაჲ“[6], იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, იოვანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ და მრავალი სხვა.

ადრეფეოდალური საქართველოს ნარატიული ეროვნული წყაროები უმეტესად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ეხება. დასავლეთ საქართველოსთვის ამ ხარვეზის შევსება შესაძლებელი ხდება უცხოური წყაროებით.

---

[1] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890, გვ. 1-32; ასევე, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., გვ. 81-98.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 1-71.

[3] იქვე, გვ. 72-138.

[4] იქვე, გვ. 139-224.

[5] იქვე, გვ. 272-387.

[6] იქვე, გვ. 249-317.

მეტად მნიშვნელოვანია სომხური წყაროები, მათ შორის კორიუნის, აგათანგელოსის, ფავსტოს, ბუზანდის, ელიშეს, ლაზარე ფარპეცის, მოვსეს ხორენაცის, ანანია შირაკაცის, უხტანესის, სებეოსის, ღევონდის, მოვსეს კალანკატვაცის, დრასხანაკერტელის, თოვმა არწრუნის, სტეფანოზ ტარონელისა და სხვ. თხზულებები.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნულენოვან ბიზანტიურ წყაროებს, მათ შორის: ამანე მარცელინეს, გელასი კესარიელის, რუფინიუსის, თევდორიტე კვირიელის, პრისკე პანიონელის, პროკოპი კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსის, თეოფილაქტე სიმოკატტას, თეოფანე ჟამთააღმწერლის, კონსტანტინე პორფიროგენეტისა და სხვათა შრომებს. აღნიშნულ ავტორთა ცნობები საქართველოს შესახებ ამოკრიბა და გამოსცა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა[1]. მნიშვნელოვანია არაბული წყაროები. უამრავ ცნობას გვაწვდის არქეოლოგიური მასალები.

ქართლის სახელმწიფო IV-V საუკუნეებში

IV საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე დიდი გავლენა მოახდინა ამავე პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილმა ვითარებამ. ამის შესახებ ჩვენ ზემოთაც მივუთითეთ, აქ კი აღვნიშნავთ, რომ III საუკუნის I მეოთხედიდან იქმნება სასანიდების ირანის ძლიერი სახელმწიფო. ეს სახელმწიფო ებრძვის ბიზანტიას და დიდ წარმატებებსაც აღწევს. ირანის მეფემ შაბურ I-მა (241-272 წწ.) ირანისა და „არაირანის" მეფეთა მეფის წოდებაც კი მიიღო. ქართლი მთელ ამიერკავკასიასთან ერთად ირანის მოხარკე ქვეყანად იქცა.

ირანსა და რომს შორის ომი თითქმის მთელ III საუკუნეში გრძელდება. უპირატესობა ხან ირანის მხარეზეა, ხან რომის. 283 წელს ირანსა და რომს შორის ზავი დაიდო. სომხეთი რომს მიეკუთვნა, ქართლი კი ჯერ ისე ირანის გავლენის სფეროდ დარჩა. 298 წელს კვლავ იდება 40-წლიანი ზავი ხელშეკრულება ირანსა და რომს შორის, რომლის ძალითაც ირანმა ცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ზავის პირობებით ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღო.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა", ტ. I-IV.

საინტერესო ცნობებია დაცული „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელსაც „ცხოვრება ქართველ მეფეთა“ ეწოდება. ამ თხზულების მიხედვით ქართლს მეფე ასფაგურის სიკვდილის შემდეგ (დაახლოებით 310 წ.) შეწყდა ქართლის სამეფო დინასტია. თითქოს ქართლის დიდებულებს ირანის შაჰისათვის უთხოვიათ დაესვათ ქართლის მეფედ მისი ვაჟი, 7 წლის ირანელი უფლისწული მიჰრანი (მირიანი). იგი დაუქორწინებიათ ასფაგურის ქალზე და დაუსვამთ ქართლის სამეფო ტახტზე. გარდა იბერიისა, მისთვის ჩაუბარებიათ: ეგრისი, სომხეთი, რანი, მოვაკანი, ჰერეთი.

მირიანს ღრმად შეუსწავლია ქართული ზნე-ჩვეულებები. ამის შემდეგ თხზულებებში მოცემულია მირიანის გაქრისტიანების ამბავი და ომები. ქართლის ცხოვრების ეს მონაკვეთი არ შეესაბამება სინამდვილეს, იგი ზღაპრულია. არც სხვა ფაქტი შეესაბამება სინამდვილეს. მაშ, რით უნდა აიხსნას ქართლის მეფის ირანული წარმომავლობის დასახელება მეისტორიეს მიერ? საქმე ისაა, რომ მეისტორიეს სურს, ქართლის მეფესა და სამეფოს მოუძებნოს ძლიერი წინაპრები და ამით დაასაბუთოს მათი სიძლიერე და ხელშეუხებლობა.

მეფეთა ცხოვრებაში მითითებულია ასევე თითქოს მირიანმა დაიპყრო შამი (სირია), ადარბადაგანი, შუამდინარეთი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ქართლის მეფეებს ამ პერიოდში აღნიშნული ქვეყნები არ სჭერიათ. არასწორია ისიც, თითქოს მირიანს მთელი ამიერკავკასია ეკავა. სამაგიეროდ, ეს თხზულება მრავალ კითხვას აღძრავს ქართლის სახელმწიფოებრიობის ორიენტაციის გასარკვევად. ნაწარმოებიდან აშკარად ჩანს ქართლის ხელისუფალთა რომაული ორიენტაცია.

360 წლისათვის ქართლი რომის მოკავშირეა, მანამდე კი, თითქმის 40 წლის მანძილზე, ქართლი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩანს.

363 წელს ირანსა და რომს შორის იდება 30-წლიანი ზავი. ზავის პირობებში იბერიაზე არაფერია ნათქვამი, ე.ი. იბერიის პოლიტიკური მდგომარეობა იგივე რჩება. 368 წელს კი ირანის შაჰმა შაბურმა ქართლიდან გააძევა საურმაგი, რომელიც რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას. მან საურმაგის ადგილზე დასვა და გვირგვინიც დაადგა ვინმე ასფაგურს.

369 წელს იბერიიდან განდევნილ საურმაგს ეხმარება რომის იმპერატორი, რომლის დახმარებითაც „ტერენციუსითა და 12 ლეგიონ-

ით ზურგგამაგრებული საურმაგი ქართლში შევიდა"[1]. როდესაც საურმაგი მტკვარს მიუახლოვდა, ასფაგური შეეგებრა — ქართლის სამეფო გავიყოთ, ,,იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეზე გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის სახით სპარსელებს ჰყავდათ"[2]. რომის იმპერატორი დათანხმდა ამ წინადადებას: ,,დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში მდინარე კიროსი დადებულიყო და საურომაკს (საურმაგს, — ვ.მ.) არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე (მხარე) რგებოდა, ასფაგურს კი, ალბანიისა და სპარსელების მომიჯნავე"[3]. სპარსეთის მეფე ასეთი გარიგებით უკმაყოფილოა, იგი სთხოვს რომის იმპერატორს, რომ თავი დაენებებინა იბერიის გაყოფისათვის, გამოეყვანა იქიდან რომაული ნაწილები და დაენებებინა მეფობა მხოლოდ ასფაგურისათვის, რომელიც თვითონვე დაყენა მმართველად იბერიაში[4].

რომის იმპერატორმა არ მიიღო ეს წინადადება, მაგრამ მალე იგი იძულებული გახდა ვესტგუთების აჯანყების გამო გამოეყვანა ჯარი სომხეთიდან (ალბათ იბერიიდანაც), ამით ისარგებლა ირანმა და ქართლი ერთიანად დაუმორჩილა თავის გამგებლობას. ამრიგად, IV საუკუნის 70-იან წლებში ქართლი ირანის გავლენის ქვეშ მოექცა და მისი მოხარკე გახდა. ქართლში მოსულა ირანელი სარდალი, რომელსაც ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ" **პიტიახშს** უწოდებს, ხოლო ,,მეფეთა ბავი" — **ერისთავს**. თავისი მუდმივი მოხელე ირანელებს იბერიაში არ ჰყოლია. განსაკუთრებულ შემთხვევაში აგზავნიდნენ მხარის გამგებელს — **მარზპანს**[5].

IV საუკუნის 80-90-იან წლებში ქართლის სამეფო ტახტზეა ბაკური. იგი უნდა იყოს პეტრე იბერის პაპა დედის მხრიდან. ამ დროს ქართლში კვლავ ირანელები ბატონობენ.

387 წელს ირანსა და რომს შორის კვლავ იდება ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სომხეთი ირანმა და ბიზანტიამ გაიყო. ამ ზავის შედეგად მოიშალა სომხეთის ერთ-ერთი უდიდესი საპიტიახშო

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 79. გეორგიკა, I, გვ. 125.

[3] იქვე, I, გვ. 35.

[4] იქვე, გვ. 140.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 81.

გუგარაჭი, ხოლო მისი ჩრდილოეთის რაიონები ქართლის შემადგენლობაში შევიდა. სამი რაიონი: ტაშირი, კანგრაჭი და აშოცი — სომხეთის შემადგენლობაში დარჩა, რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი ეს ტერიტორიებიც ქართლს შეუერთდა. ეს ის ტერიტორიაა (ბოგარეთი), რომელიც სომხეთმა თავისი ძლიერების პერიოდში წაართვა ქართლს, ძვ. წ.აღ-ის II ს-ში).

398-400 წლებში ქართლის მეფეა ფარსმანი, იგი ცდილობს თავი დააღწიოს ირანელთა ბატონობას, უწყვეტს ხარკს, მაგრამ ამით ქართლის მდგომარეობა არათუ უმჯობესდება, არამედ უფრო და უფრო უარესდება. ირანი აქტიურად ერევა ქართლის საშინაო საქმეებში და ცდილობს ტახტზე თავისი ერთგული პირის აყვანას.

ფარსმანის შემდგომ ქართლში გამეფდა მირდატი, ისიც იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ერთი მხრივ, რომს ებრძვის ქართლის ტერიტორიების დასაბრუნებლად (კლარჯეთი), მეორე მხრივ, იღწვის ირანის გავლენის შესასუსტებლად. მირდატი ტყვედ ჩავარდნილა ირანელებთან ბრძოლაში, იგი ირანში წაუყვანიათ და იქ გარდაცვლილა V საუკუნის 20-იან წლებში. ამის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე ადის არჩილი. მის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში საპირისპირო ცნობებია. ჯუანშერის ისტორიაში არჩილი გამოყვანილია როგორც ქრისტიანობისათვის თავდადებული და ირანელთა მოწინააღმდეგე. არჩილის ვაჟს ცოლად შეურთავს ირანის მოხელის ბარზბოდის ქალიშვილი, რომლის გამგებლობაშიც შედიოდა ქართლიც და ამ ნაბიჯით ქართლს მშვიდობიანობა ელირსა. აღსანიშნავია, რომ V საუკუნის 40-იან წლებში ქართლი ირანის გამგებლობაში რჩება, ქართველ მეფეთა ღონისძიებებს არ მოჰყოლია ირანის უღლისაგან განთავისუფლება.

V საუკუნის 40-იან წლებიდან ირანი იწყებს ამიერკავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შევიწროებას, ადგილობრივი მმართველობის მოშლასა და ირანის ყაიდაზე გადაყვანას, ქრისტიანული სარწმუნოების გაუქმებას, მაზდეანობის შემოღებას. ირანი სრულ იზოლაციას უკეთებს ქართლს, სომხეთს, ალბანეთს. ამ მიზნით ირანი უნარიანად იყენებს ფეოდალიზაციის პროცესს. იგი თავის მომხრე ფეოდალებს პრივილეგიებს ანიჭებს და ამხედრებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთმა პოლიტიკამ ირანს ჯერ კიდევ 428 წელს მოუტანა წარმატება, როცა იბერიაში მეფობა გააუქმა.

ქართლის სახელმწიფო V საუკუნის II ნახევარში

V საუკუნის II ნახევარში ქართლის სამეფო ტახტზე ადის ვახტანგ გორგასალი. ვ. გორგასლის მოღვაწეობის შესახებ გვაქვს X საუკუნის თხზულება (ჯუანშერი), ასევე გარკვეულ ცნობებს გვაწვდის „შუშანიკის წამება". ამ პერიოდში ქართლის მდგომარეობა მეტად მძიმეა. ქართლს მოსვენებას არ აძლევს, ერთი მხრივ, ირანი, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიიდან შემოჭრილი მომთაბარე ჰუნები. ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია საეკლესიო რეფორმა. ვახტანგმა გააუქმა მთავარეპისკოპოსის თანამდებობა და შემოიღო კათალიკოსის ტიტული. ამით მან ეკლესიის დამორჩილება იწყო. ვახტანგმა ააშენა უჯარმა, საფუძველი დაუდო თბილისს. მან დაიმორჩილა „ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მის ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალისა...". ვახტანგი სასტიკად უსწორდებოდა რჯულის მოღალატე ფეოდალებს. მან სიკვდილით დასჯა ვარსქენი 482 წელს. ამის შემდეგ იგი იწყებს ავჯანყებას ირანის წინააღმდეგ. მას იმედი ჰქონდა სომხეთის მხარდაჭერისა. აჯანყების პირველ წელს მას მოუხერხებია ირანელთა ქართლიდან განდევნა, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეძლო ირანის დამარცხება და თავი ეგრისს შეაფარა. სწორედ ამ დროს დაიღუპა ირანის მეფე პეროზი. მისმა ჯარმა კი დიდი დამარცხება იწვნია შუა აზიაში. ირანელთა დასუსტებამ ხელ-ფეხი გაუხსნა ამიერკავკასიის ხალხებს (შეწყდა ქრისტიანობის დევნა, აღდგა ეროვნული მმართველობა და სხვ.). ვახტანგ გორგასალმა ვერ შეძლო ირანის უღლისაგან ქართლის განთავისუფლება. იგი ამ საქმეს შეეწირა კიდეც 502-506 წლებში.

დასავლეთი საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში

IV საუკუნეში ძლიერდება დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონში მდებარე სამთავრო ლაზიკა ანუ ეგრისი. აღსანიშნავია, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რაიონში ჯერ კიდევ ბიზანტიელები დგანან.

ლაზიკის სამხრეთი ტერიტორია მდ. ჭოროხის შესართავამდე აღწევდა. სამხრეთით მას ესაზღვრებოდნენ ჭანები, რომლებზედაც ნომინალური კულტურული გავლენაც კი ჰქონდათ.

ლაზიკის სამეფოს აღმოსავლეთით მდებარეობდა არგვეთის საერისთავო (რომელიც II-III სს. იბერიის შემადგენლობაში შედიოდა), მაგრამ VI საუკუნიდან იგი ლაზეთის შემადგენლობაში ჩანს. პროკოპი კესარიელის მიხედვით, აქაური ციხეები — შოროპანი და სკანდა — ლაზების აგებული ყოფილა ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში. ჩრდილოეთით ლაზების შემადგენლობაში შედიოდნენ სვანები, VI საუკუნეში მათ შემადგენლობაში ჩანან ასევე თანამედროვე წებელდის ტერიტორიაზე მოსახლე მისიმიანთა ტომები და სკვიმნიის ანუ ახლანდელი ლეჩხუმის მოსახლეობა. ლოგიკურია, რომ სვანების დამორჩილება და მიერთება არ მოხერხდებოდა, თუ დაპყრობილი და მიერთებული არ იქნებოდა ჩრდილოელი მეზობლები — აფშილები, აბაზგები, სანიგები[1]. ამრიგად, ლაზეთის საზღვრები IV-V საუკუნეებისათვის ასე გამოიყურება: „ლაზეთის (ეგრისის) სამეფო აერთიანებს უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს. მისი ტერიტორია სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე ვრცელდება, აღმოსავლეთით სურამის ქედამდე, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავს თანამედროვე აფხაზეთსა და მაღალმთიან სვანეთს“[2].

რამ განაპირობა ლაზეთის (ეგრისის) სახელმწიფოს გაძლიერება? ცნობილია, რომ III საუკუნის დასასრულს რომის იმპერიის ცენტრი აღმოსავლეთით გადმოვიდა. IV საუკუნიდან ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომი) იმპერიის პოზიციები სუსტდება ირანთან ომების გამო. სპარსელები თანდათან იკიდებენ ფეხს ამიერკავკასიაში. ასეთ ვითარებაში ბიზანტიას ხელს აძლევს მისი ვასალის — ლაზეთის გაძლიერება, რომელიც დასაყრდენი იქნება ირანთან ბრძოლის პირობებში თუ ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მომთაბარე ტომების შესაჩერებლად, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ რომის პროვინციებს. III საუკუნიდან რომაელები ჯერ გუთებს ებრძვიან, ხოლო IV საუკუნიდან — ჰუნებს. ჰუნებმა გაანადგურეს ალანები, ბოსფორის სახელმწიფო და იწყეს გადმოსვლა სამხრეთით. ამდენად, ბიზანტიის ხელისუფალთ ხელს აძლევს ლაზეთის გაძლიერება და მათი გამოყენება ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლაზები ამ ფუნქციის გამო რომს გადასახადს აღარ უხდიან.

ლაზების სახელმწიფოს გაძლიერება გამოიწვია იბერიის დასუსტებამაც. ცნობილია, რომ IV საუკუნიდან იბერია ძალზე დაასუსტა

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 161.

[2] იქვე.

სასანიდების ირანმა. ლაზიკის გაძლიერებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ბუნებრივმა პირობებმა.

განსახილველ პერიოდში ლაზიკაში ვითარდება კულტურა, ხელოსნობა, ვაჭრობა. ამის დამადასტურებელია არქეოლოგიური გათხრები და ცნობები უცხოური წყაროებიდან. კულტურის განვითარების მაჩვენებელია IV საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსისა და რიტორის თემისტიოსის სიტყვა, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც მან, ისე მისმა მამამ — ფილოსოფიის განთქმულმა მასწავლებელმა, ევგენიოსმა განათლება მიიღეს, ე.ი. ფილოსოფია შეისწავლეს, პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, აქ იყო ელინური ადგილი და მუზების ტაძარი[1]. IV საუკუნეში ვრცელდება ეგრისში ქრისტიანობა და ქვეყანა ფეოდალიზაციის გზას ადგება.

როგორია ლაზეთის (ეგრისის) პოლიტიკური მდგომარეობა, არის თუ არა იგი სუვერენული სახელმწიფო?

ლაზეთი ფორმალურად ბიზანტიის ვასალად ითვლება. ბიზანტიის იმპერატორი უგზავნის მას სამეფო ხელისუფლების ნიშნებს, მაგრამ IV-V საუკუნეებში ლაზეთის ტერიტორიაზე არც ბიზანტიელთა ჯარი მდგარა და არც ხარკს არ უხდიან მას. მათი ვალდებულება იყო ჩრდილოეთიდან შემოჭრილი მომთაბარე ტომების შეკავება და საზღვრების დაცვა. ეს ფუნქცია თვით ლაზებისთვისაც აუცილებელია.

ლაზების სახელმწიფოს თავისი ვასალები ჰყოლია: აბაზგები, სკვიმინები, სვანთა ტომები, აფსილები. ამ ხალხების მთავართა გარდაცვალების შემთხვევაში ლაზეთის მეფე ნიშნავდა მთავარს მათივე ტომიდან. დასახელებული ხალხები ლაზებს უხდიან ხარკს და ეწევიან სამხედრო სამსახურს ლაზების სასარგებლოდ.

ლაზების (ეგრისი) სამეფო დასუსტებას იწყებს VI საუკუნის 70-იანი წლებიდან, როცა იგი კარგავს სვანეთს. რამ გამოიწვია ლაზეთის სახელმწიფოს დაცემა, ძნელი გასარკვევია. მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლებელია ეს გამოიწვია იბერიის გაძლიერებამ ვახტანგ გორგასლის დროს. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი ჯუანშერი მიუთითებს, რომ ვახტანგმა დაიპყრო დასავლეთ საქართველოს ყველა ციხე. მის ხელქვეით ერისთავთა შორის ისტორიკოსი ასახელებს ეგრისის, სვანეთის, მარგვისა და თაკვერის ერისთავებს.

---

[1] გეორგიკა, ტ. I, გვ. 50.

იბერია და ლაზიკა (ეგრისი) VI-VII საუკუნეებში

428 წელს ირანმა მეფობა გააუქმა სომხეთში, ხოლო 510 წელს — ალბანეთში. ახლოვდებოდა ქართლისა და ეგრისის სამეფოების გაუქმების დროც.

ირანის პოლიტიკა იბერიის მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ გაეუქმებინა აქ ეროვნული სახელმწიფოებრიობა და იგი ირანის პროვინციად ექცია. ირანელებმა ქართლის მეფეს გურგენს სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვეს. გურგენმა კი საიდუმლო მოლაპარაკება გამართა რომთან. რომის კეისარი დახმარებას დაჰპირდა მას, მაგრამ ირანელთა შემოსევისთანავე ბიზანტიელებმა დასავლეთ საქართველოს შეაფარეს თავი. ასევე მოიქცა გურგენიც. 523 წელს ქართლში მეფობა გაუქმდა და ირანის მმართველობა დამყარდა.

ირანის შაჰმა სახელმწიფო რეფორმები ჩაატარა. ქვეყანა 4 კუსტაკად (მხარედ) დაყო, მხარეები კი უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად — **შაჰრებად**. შეიქმნა **ქართლის, სომხეთის, ალბანეთის, ატროპატაკანის ანუ ადარბადაგანის შაჰრები**. შაჰრის მმართველს მარზპანი ეწოდებოდა, რაც სპარსულად ოლქის მმართველს ნიშნავს. მარზპანი ემორჩილებოდა მხარის ანუ კუსტაკის მმართველს — **სპასპეტს**.

ქართლის მარზპანს ფართო უფლებები ჰქონდა. ამის შესახებ მოგვითხრობს ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ამ თხზულებიდან ჩანს, რომ მარზპანს სასამართლო ფუნქცია ჰქონდა, მას შეეძლო სიკვდილით დასჯის შეფარდება.

გარდა მარზპანისა, ამ პერიოდის ირანული მმართველობიდან აღსანიშნავია **ციხისთავი, მამასახლისი, პიტიახში** და „სხუანი სეფეწულნი“. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ირანელებმა გადაიბირეს „სეფეწულნი“, მისცეს მათ უფლებები, ჩააბეს თავიანთ სამსახურში. ირანმა გარკვეული უფლებამოსილება მისცა და შეღავათებიც გაუწია ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (ლაზიკას ანუ ეგრისს), აქ შედარებით სიმშვიდეა, ლაზიკა ნომინალურად ემორჩილება ბიზანტიას. ირანი კი მუდამ იმის ცდაშია, შემოიერთოს ლაზიკაც, როგორც სტრატეგიული პუნქტი ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ირანსა და ბიზანტიას შორის საზაფო მოლაპარაკებისას (518-

523 წწ.), ირანის ელჩს ბიზანტიელებისათვის გულისწყრომით უთქვამს: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და ახლა იგი რომაელებს ძალით უჭირავთ უსამართლოდ[1].

VI საუკუნის I მეოთხედიდან ამავე საუკუნის III მეოთხედის ჩათვლით დასავლეთი საქართველო არის უამრავი ომისა თუ შემოსევის ან ზავის ასპარეზი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. 40 წლის მანძილზე ლაზიკა ხან ბიზანტიელთა გავლენის ქვეშაა, ხან ირანის, ხანაც საზავო ხელშეკრულება იდებოდა მეომარ ქვეყნებს შორის, რითაც განისაზღვრებოდა დასავლეთ საქართველოს სტატუსი. საბოლოოდ კი 562 წლიდან ლაზიკა ისევ ბიზანტიელთა გავლენის ობიექტად იქცა.

ამდენად, ამ პერიოდის ეგრისის პოლიტიკური წყობისა და სახელმწიფო მმართველობის შესახებ გარკვევით მსჯელობა ძალზე ძნელია, რადგან აქ საომარი მოქმედების გამო ხან ბიზანტიური, ხანაც ირანული რეჟიმი მყარდებოდა.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის აღდგენა

571 წელს სომხეთში ირანის წინააღმდეგ მიმართულმა აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც ვარდან მამიკონიანი ჩაუდგა სათავეში. აჯანყებას ქართველებიც შეუერთდნენ. აჯანყებულებს ზურგს უმაგრებდა ბიზანტია. ბიზანტიის ხელშეწყობით ეს აჯანყება ამიერკავკასიის ხალხების გამათავისუფლებელ მოძრაობად იქცა. ბიზანტიასა და ირანს შორის პერიოდულად საზავო მოლაპარაკებები იმართებოდა ამიერკავკასიის თაობაზე. 591 წელს კი მათ შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც ირანმა ბიზანტიას დაუთმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. მაგრამ მალე ქართლი მთლიანად განთავისუფლდა ირანის ბატონობისაგან.

ქართლის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მაჩვენებელია ამ პერიოდში ქართლში მოჭრილი მონეტა, რომელზედაც სტეფანოზ ერისთავის სრული გამოსახულებაა აღბეჭდილი და სახელიც სრულადაა წარწერილი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მონეტის მომჭრელი დამოუკიდე-

[1] გეორგიკა, ტ. II, გვ. 47-48.

ბელი ხელმწიფეა. ამ შემთხვევაში ნუმიზმატიკური მასალა (მონეტა) დაუფასებელ სამსახურს გვიწევს ქართლის პოლიტიკური ვითარების გასარკვევად, როცა არ არსებობს სხვა რაიმე ისტორიული საბუთი[1].

სტეფანოზ I-ს ბიზანტიის კეისრისაგან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მიულია — პატრიკოსი, ხოლო მის ძმასა და შვილს იმპერატორმა ვიპატოსის ტიტულები უბოძა. სტეფანოზისათვის მიცემული ბიზანტიური ტიტული ქართულ ერისთავთერისთავს უდრიდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ასეთი ტიტულების მიცემას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა[2].

სტეფანოზი ენერგიული ხელისუფალი ჩანს. იგი მეფობისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ ბიზანტიის კეისრის ქვეშევრდომობისაგან გამოსვლას ვერ ახერხებს. მას აუშენებია მცხეთის ჯვრის მონასტერი, რომელიც წარმოადგენს VI საუკუნის 90-იანი წლებში ირანის ხელისუფლებიდან ქართლის განთავისუფლების დასტურს.

ქართლი ბიზანტიელთა პოლიტიკური გავლენის ქვეშ 604 წლამდე რჩება. ამ წლიდან კი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს ირანის შაჰი. ბიზანტიის მძიმე საშინაო მდგომარეობის გამო შაჰი ერთიმეორის მიყოლებით იპყრობს მისი გავლენის სფეროებს: სირიას, ფინიკიას, სომხეთს, კაპადოკიასა და პალესტინას. ქართლის სახელმწიფო ისევ ირანის ხელში გადავიდა. ასეთი მდგომარეობა გრძელდება 628 წლამდე. 628 წელს ბიზანტიელები ხაზართა დახმარებით იღებენ თბილისს და აძევებენ სპარსელებს. ქართლის ერისმთავრობას იბრუნებს ადარნასე. მას ბიზანტიის კეისრისაგან სამმაგი ტიტული ჰქონდა მიღებული. ამ პერიოდის ქართლში უზენაეს სუვერენად ითვლება ბიზანტიის კეისარი, სხვა მოხელეები — მისი ვასალები არიან. ამრიგად, ქართლის ერისთავი ადარნასე 628 წლისათვის ბიზანტიის ვასალია.

რაც შეეხება ამავე პერიოდის დასავლეთ საქართველოს, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 562 წლიდან ლაზიკა ბიზანტიის გავლენის სფეროში შევიდა. საუკუნის დასასრულისათვის ლაზიკაში მეფისნაცვლად პატრიკოსი იხსენიება, ე.ი. ბიზანტიელთა გაელენით მეფობა პატრიკოსობამდე ჩამოქვეითებულია, თუმცა ქვეყანა ბიზანტიის შემადგენელი ტერიტორია არ გამხდარა და ჯერ კიდევ ინარჩუნებს ერთგვარ დამოუკიდებლობას.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 273-274.

[2] იქვე, გვ. 274.

ქართული სახელმწიფოებრიობა არაბთა ბატონობის პერიოდში (VII-VIII სს.)

VII საუკუნის 30-იანი წლებიდან ხალიფა ომარის დროს (634-644 წწ.) იწყება არაბთა ხალიფატის გაფართოება. ბიზანტიამ არაბებთან ბრძოლაში დაკარგა სირია, პალესტინა, ეგვიპტე, 40-იან წლებში — ირანიც. არაბებისათვის ამიერკავკასიისაკენ გზა გახსნილი იყო VII საუკუნის 40-იანი წლებისათვის. არაბთა წარმატებას ხელს უწყობდა არა მარტო ჯარის ჩინებული ორგანიზაცია, არამედ რჯულშემწყნარებლობაც. დამპყრობ არაბებს მრავალ ქვეყანაში უბრძოლველად ემორჩილებოდნენ.

პირველად არაბები ქართლში 642-643 წლებში გამოჩნდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს ფეხის მოკიდება და დამკვიდრება.

654 წელს არაბებმა სომხეთში დაამარცხეს ბიზანტიელთა სარდალი, რომელმაც ქართლში გაქცევით უშველა თავს, მას კვალდაკვალ მიჰყვნენ არაბები და ქართლში შევიდნენ.

დამპყრობ არაბებს წინ მიეგება ქართლის ერისთავის ელჩობა, რომელმაც დიდებული საჩუქარი მიართვა და მოლაპარაკება შესთავაზა მათ. არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა მოიხიბლა ამ საქციელით. საჩუქარი ხარკის ანგარიშში ჩაუთვალა, დიპლომატებს თავისი კაციც გააყოლა, რომელსაც შეუვალობის წიგნი გაატანა. ცოტა ხნის შემდეგ ჰაბიბ იბნ-მასლამა თვითონ შევიდა თბილისში და პირადად დაუმტკიცა მოსახლეობას „დაცვის სიგელი“. ეს სიგელი IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის თხზულებამ შემოგვინახა. მისი ძალით: 1) ქართველები ალიარებდნენ არაბთა მორჩილებას და კისრულობდნენ ჯიზიას, კომლზე ერთ დინარს. ამასთან, ქართველებს ეკრძალებოდათ კომლების გაერთიანება ჯიზიას შესამცირებლად. თავის მხრივ, არც არაბებს ჰქონდათ უფლება კომლების დანაწევრებისა ჯიზიას გასადიდებლად; 2) მოსახლეობა ვალდებული იყო დახმარებოდა არაბებს რჩევითა და საქმით, ე.ი. კისრულობდნენ სამხედრო ბეგარას, უნდა შეეგროვებინათ და დახმარებოდნენ ჩამორჩენილ მუსლიმანებს, ბინით, საჭმელ-სასმელით, შემდეგ კი მიეყვანათ ისინი არაბთა უახლოეს რაზმამდე; 3) ისლამის მიმდევარი ქართველი არაბთა თანამოძმე ხდებოდა და ყველა მუსლიმანისათვის საერთო უფლებებით სარგებლობდა; 4) არაბები ვალდებულებას კისრულობდნენ დახმარება გაეწიათ ქართველებისათვის, მაგრამ თუ ვინიცობაა, მათი მოუცლელობის გამო ქართველები მტერს დაემორ-

ჩილებოდნენ, ეს მათ დანაშაულში არ ჩაეთვლებოდათ. თუ მოსახლეობა არაბების ამ პირობებს მიიღებდა და შეასრულებდა, არაბები მათ უშიშროებასა და ქონების თუ სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდნენ, თუ არა და ომს უცხადებდნენ...[1].

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საუკუნის დასასრულამდე ქართველებს „სამი მხრივ ხმლის ქნევა“ სჭირდებოდათ: არაბების, ბიზანტიელებისა და ხაზარების წინააღმდეგ.

ბოლოს ისევ არაბები გაბატონდნენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა დამპყრობთა უღელს და აჯანყებებს მიმართავდა, რისთვისაც არაბები სამაგალითო დარბევებს აწყობდნენ. აღსანიშნავია მურვან ყრუს 735 წლის შემოსევა და დარბევა. იგი 10 წელს არბევდა საქართველოს.

VIII საუკუნის დასაწყისში არაბები ამიერკავკასიაში ებრძოდნენ ხაზარებს, ხოლო არაბთა წინააღმდეგ გამოდიან ბიზანტიელები.

ჩვენ გვაინტერესებს ქართლის სახელმწიფო მმართველობა არაბთა ბატონობის პერიოდში.

არაბებმა თავისი მოხელე ჩააყენეს ქვეყნის სათავეში, რომელსაც ამირა ეწოდებოდა. იგი იყო სარდალიც, ქვეყნის მმართველიცა და უმაღლესი მსაჯულიც. მიუხედავად ამისა, არაბებს არ მოუსპიათ ადგილობრივი ქართული მმართველობა. მათ არ გაუუქმებიათ ქართული ერისმთავრის ინსტიტუტი, არამედ დაუქვემდებარეს თავის ხელისუფლებას და დააკისრეს ხარკის აკრეფა და ჯარის გამოყვანა. არაბი მოხელეებიდან, რომლებიც გამგებლობდნენ საქართველოში, უნდა დავასახელოთ: **შურტა, მუჰთასიბი, ამადი, რესი, მუშრიბი.**

შურტა — საპოლიციო მოხელე იყო, რომელიც ქალაქში წესრიგს იცავდა.

მუჰთასიბი — თვალყურს ადევნებდა რელიგიურ და საყოფაცხოვრებო წესების დაცვას, წესრიგს ბაზარში, ქუჩების კეთილმოწყობას, ვალების გადახდევინებას და სხვ.

ამადი — ამირას კარზე მწიგნობართუხუცესია ანუ მდივნების უფროსი.

რესი — ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობის წარმომადგენელია ამირას კარზე. მაჰმადიანებს თბილისში თავისი მეჩეთი ჰქონდათ.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 286-287; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234.

ზემოთ დასახელებული მოხელეების შესანახად დამატებითი გადასახადები იქნა შემოღებული.

ამრიგად, VII-VIII საუკუნეების საქართველო, მართალია, არაბთა ბატონობის ქვეშაა, მაგრამ ამით არ მოშლილა ქართული სახელმწიფო მმართველობა. კვლავ არსებობს საერისთაოები და ერისთავები, რომლებმაც კვლავ მოიპოვეს „ხელმწიფობა“. არაბი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ არაბებს, გარდა ქართლისა, დაემორჩილნენ: სამცხე, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, გარდაბანი და სხვ.[1]. ეს ტერიტორიები იგივე საერისთავოები იყო, რომლებიც ასე თუ ისე დამოუკიდებელნი იყვნენ და იურიდიულად არაბთა სიგელებით რეგლამენტირებულნი.

რაც შეეხება ქართლის მთავრობას, იგი ყოველთვის სხვა საერისთავოების მეთაური იყო, მაგრამ არაბთა ბატონობის პერიოდში იგი უკვე დაუძლურებულია, მას აღარ ემორჩილებიან სხვა საერისთავოები.

არაბთა ბატონობის შემდეგ ქართლის სახელმწიფო სამთავროებით მოიფინა. ქვეყანაში გაჩნდნენ დიდი და მცირე მთავრები, ქვეყანა დაიყო საფეოდალოებად, რაც უკვე ქვეყნის გაერთიანების საკითხზე მიანიშნებს.

ქართლის საზოგადოებრივი წყობილება IV-X საუკუნეებში

აღნიშნულ პერიოდში გაბატონებულია ფეოდალთა კლასი. გაბატონებულ კლასში შედიან უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები. მაგალითად, ეკსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი მოიხსენიებს: „სამოელ ქართლისა კათალიკოსი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლის პიტიახში და სხუანი სეფეწულნი“[2].

გაბატონებულ კლასში, ერთი მხრივ, დამპყრობი ქვეყნის მაღალი რანგის მოხელენი შედიან, მეორე მხრივ, „ქართლის სეფეწულნი“. ამ პერიოდში ქვეყანას მეფე აღარ ჰყავს, მეფობა გაუქმებულია.

გაბატონებული კლასის ყველაზე დიდი მოხელეა ქართლის ერისთავი. თავისი სახელეულობით. იგი არის „მპყრობელი ქვეყანისაჲ“, მაგრამ არა ყოველთვის. ერისთავი მხარისა თუ გარკვეული ტერიტორიის გამგებელია. VI-VIII საუკუნეებში ერისთავები ბიზანტიის, ირანის,

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 78.

[2] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 34.

არაბეთის ხელისუფალთა მორჩილნი არიან. მაგალითად, ქართლის კურაპალატი ბიზანტიის საიმპერიო კარის უმაღლესი მოხელეა, მეორე მხრივ, ქვეყნის ერისთავების უფროსია, იგი იწოდება როგორც ერისთავთერისთავი. იგი ყველაზე წარჩინებულია სხვა ერისთავებთან შედარებით. ქართლის ერისთავები უმეტესად შიდა ქართლისა და კახეთის მფლობელები იყვნენ, მათ მცირე მთავრები ემორჩილებოდნენ.

ერისთავების შემდეგ გაბატონებულ კლასში შედიან ერისთავ-მთავრები. ძნელია იმის თქმა, ისინი ერისთავები არიან თუ მთავრები, ამიტომაც ერთად ვასახელებთ მათ. აღნიშნულ პერიოდში ერისთავმთავრები სწრაფად მრავლდებიან. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად, სამცხეში ჩნდებიან დიდი და მცირე ერისთავები, რომლებიც ერთმანეთთან სუზერენულ-ვასალურ დამოკიდებულებაში არიან.

რაც შეეხება გაბატონებული კლასის ისეთ წარმომადგენელს, როგორიცაა აზნაური, VI-VIII საუკუნეებში ეს ტერმინი ძალზე იშვიათია, უფრო ხშირად გვხვდება ტაძრეული აზნაურები. მას შემდეგ, რაც მეფის ხელისუფლება გაუქმდა და მოხდა ქვეყნის დეცენტრალიზაცია, მათი ადგილი ერისმთავრებმა და მთავრებმა დაიკავეს. სამეფო ხელისუფლების აღდგენისთანავე აზნაურობა კვლავ გამოჩნდება. გარდა ტაძრეული აზნაურებისა, არსებობდნენ ასევე შთამომავლობით აზნაურებიც.

გაბატონებულ კლასში შედიოდნენ ასევე **მსახურები**. ისინი ფეოდალთა მახლობლად გვევლინებიან და სხვადასხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებდნენ.

მწარმოებელი კლასის (ჩაგრული კლასი) შესახებ VI-VIII საუკუნეებში ძალზე ცოტა ცნობები გვაქვს. ფეოდალურ მორჩილებაში მყოფ მოსახლეობას ეწოდებოდა ერი. შესაძლებელია ერის გარკვეული ნაწილი გლეხობაც იყო. ერის ცალკეულ წევრებს „ერისაგანი“ ეწოდებოდა. მათ შორისაა ყმაც. იგი გარდამავალი კატეგორიაა თავისუფალ მოყმესა და გლეხს შორის.

VI-VIII საუკუნეებში გლეხობა თითქმის არ ჩანს. ამის შემდგომ კი აშკარად შეიჩნევა (X ს.) გლეხობისა და აზნაურობის კლასებად ჩამოყალიბება. X საუკუნის აზნაურები სოციალურად გაბატონებული კლასია, რომელიც სხვადასხვა კატეგორიისაა. დიდებული — აზნაურობის უმაღლესი ფენაა. არსებობენ დამოკიდებული აზნაურებიც ანუ წინაშედგომილნი ანუ საკუთარი აზნაურნი. ადრეფეოდალურ ხანაში უნდა არსებულიყო ასევე მდაბიო მოლაშქრე, რომელიც სხვის მიწაზე ცხოვრობდა და სამხედრო სამსახურს ასრულებდა.

ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა (VIII-X სს.)

VIII საუკუნის დასასრულსა და X საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება. მათი ჩამოყალიბება განაპირობა არაბთა ბატონობის შესუსტებამ და ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომმა განვითარებამ. ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებათა ჩამოყალიბებას წინ უძღოდა VIII საუკუნის 30-იან წლებში თბილისის საამიროს დაარსება, რომელიც თავდაპირველად მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. თბილისის ამირა ადგილობრივი მოხელე იყო, რომელიც კრეფდა ხარკს და არაბთა ხალიფას აბარებდა.

VIII საუკუნის ბოლოს თბილისის საამიროს თანდათანობით გამოეყო კახეთი და ტაო-კლარჯეთი და ჩამოყალიბდა შესაბამისი სამთავროები. ამ სამთავროების ჩამოყალიბების შემდეგ თბილისის ამირას ძალაუფლება მხოლოდ ქართლზე ვრცელდებოდა, მაგრამ ისიც მალე თავისუფლდება არაბთა ძალაუფლებისაგან.

კახეთის სამთავრო. კახეთის სამთავრო მარტო კახეთს როდი მოიცავდა, იგი აერთიანებდა კახეთსა და ჰერეთს. კახეთის სამთავროს დამაარსებლები, მაორგანიზებელნი და სულისჩამდგმელნი ყოფილან წანარები, რომელთა საცხოვრისის ცენტრი დღევანდელი ყაზბეგის რაიონში იყო. სწორედ ეს მთის ხალხი ჩამოდის დაუძლურებული კახეთის ტერიტორიაზე, იპყრობს ამ ტერიტორიას, სადაც არაბები ცხოვრობდნენ, წარმატებას აღწევს არაბებთან ბრძოლაში და მოიპოვებს დამოუკიდებლობას. კახეთის მთავრები თავიანთ ტერიტორიას აფართოებენ მეზობელი კახეთის და ჰერეთის ხარჯზე. „ტერიტორიულად კახეთის სამთავრო... მოიცავდა კახეთ-კუხეთს, გარდაბანს. ამ სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა ჰერეთის სამთავრო... დასავლეთიდან კახეთის სამთავროს მდინარე არაგვი და თბილისის საამირო ესაზღვრებოდა“[1].

როგორია კახეთის სამთავროს მმართველობა? მას განაგებს ქორეპისკოპოსი. სულხან-საბა ორბელიანის მითითებით ქორეპისკოპოსი ბერძნული სიტყვაა და ქართულად სამწყსოს ეპისკოპოსს ნიშნავს, ამასთან,

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 382-383.

მეფის მონაცვლეს ჰქვია ეს სახელი[1]. ეს მოსაზრება გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში (რომ იგი მეფის მონაცვლეს ერქვა). თავდაპირველად კახეთის ქორეპისკოპოსის თანამდებობა არჩევითი ყოფილა, მაგრამ IX საუკუნიდან დაუდგენიათ მისი მემკვიდრეობით გადასვლის წესი. კახეთის ქორეპისკოპოსი კახეთის მთავრად გადაიქცა. მან დაკარგა სასულიერო ფუნქცია და მხოლოდ საერო ფუნქციებლა დარჩა. თვით გაერთიანებული კახეთის სამთავრო დაყოფილი იყო საერისთავოებად. ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს კახეთის სამ საერისთავოს:

ჰერეთი. ეს სამთავროც არაბთა ბატონობის პერიოდში ჩამოყალიბდა. ჰერები იყვნენ ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ტომები, რომლებიც სახლობდნენ ძველი ალბანეთის მიწა-წყალზე. ამ ტომის შერწყმა ქართველ ტომებთან დაიწყო ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე. იგი მიმდინარეობდა ჰერეთის პოლიტიკური შემომტკიცების ნიშნით ქართლის სამეფოსთან (II-I ს. მიჯნაზე). როგორც ირკვევა, ჰერეთი ჯერ ქართლის ვასალურ დამოკიდებულებაში შესულა, ხოლო ქართველებთან ასიმილაციის შემდეგ, უშუალოდ შეუერთდა ქართლის სამეფოს. V საუკუნეში ჰერეთი ქართლის სამეფოს შემადგენელი საერისთავო იყო. VI საუკუნიდან მას ვახტანგ გორგასლის მემკვიდრეები განაგებენ, რომელებიც ქართლის ერისმთავარს გუარამ კურაპალატს მორჩილებენ როგორც მისი ერისთავნი.

არაბთა ბატონის დამყარებისთანავე დაიწყო ქართლის სამეფოს დაქუცმაცება. არაბები ნაწილებად ყოფენ აღმოსავლეთ საქართველოს და ისე გადაჰყავთ თავის მხარეზე. ხალიფა ოსმან I-ის დროს (644-656 წწ.) არაბთა სარდალმა ილაშქრა ჰერეთზე და აიძულა ეს ქვეყანა ხარკი ეხადა არაბებისათვის, მაგრამ ჰერეთი ამ დროს ქართლის სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. ჰერეთი როგორც დამოუკიდებელი სამთავრო VIII საუკუნის დასასრულს უნდა ჩამოყალიბებულიყო. ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთის სამთავროს შექმნას ჯუანშერის გარდაცვალებას უკავშირებს, ე.ი. 787 წელს.

ჰერეთის სამთაროს ჩამოყალიბება იმავე მიზეზებით იყო განპირობებული, რაც კახეთისა (არაბთა ბატონობის შესუსტება, ფეოდალიზაცია). ჰერეთის საზღვრები ასეთი იყო: სამხრეთ-დასავლეთიდან — მტკვარი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — კავკასიონი, უკიდურესი

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

სამხრეთი პუნქტი — იორ-ალაზანის შესართავი, ხოლო უკიდურესი ჩრდილოეთი პუნქტი — თელავი.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ჰერეთს განაგებს მთავარი, რომელიც IX საუკუნის დასასრულიდან მეფის ტიტულსაც კი იღებს. თავის მხრივ, ჰერეთი იყოფა 4 საერისთავოდ. ვახუშტის მიხედვით, აქ არსებობდა „ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა და ერისთავი მაჭისა“[1]. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, აქ უნდა ყოფილიყო ასევე სხვა საერისთავოებიც, მაგალითად, არიშისა და გიშის ერისთავები[2].

მიუხედავად იმისა, რომ ჰერეთი VIII-IX საუკუნეებში დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულია, მსგავსად სხვა ქართული პოლიტიკური გაერთიანებებისა, ანგარიშს უწევს არაბთა ხალიფას. ბიზანტიის პოზიციები ჰერეთში შერყეულია, მაგრამ არაბთა უღლის დასუსტების პარალელურად, ბიზანტიელების გააქტიურება იგრძნობა, რაზედაც მეტყველებს აქ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების შემოღება. მაგალითად, ჰერეთის მეფე ადარნასე ბიზანტიელთაგან პატრიკიოსის ტიტულს ღებულობს, ხოლო გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე-დიდი მაგისტროსის ტიტულს. ასეთი ვითარება იმის მაჩვენებელია, რომ ჰერეთის ხელისუფალთ ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობა სურთ, მაგრამ ამავე ხანებში წინა პლანზე დგება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის საკითხი და ჰერეთსაც რეალური პოლიტიკა ამ მიმართულებით უნდა განევითარებინა.

ჰერეთზე თავისი ხელისუფლების გავრცელებას ესწრაფვის აფხაზეთის სამეფოც, კახეთის სამთავროცა და ქართლიც. მასზე გარკვეულ პრეტენზიებს აცხადებს სომხეთი. ჰერეთის ისტორია მთავრდება მისი შესვლით ერთიან ფეოდალურ საქართველოს სახელმწიფოში.

აფხაზეთი. VIII საუკუნის მანძილზე თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო. ეს გამოიწვია ეგრისის დასუსტებამ, ხოლო ამ უკანასკნელის დასუსტება — ბიზანტია-ირანის აგრესიამ და ამ ტერიტორიაზე წარმოებულმა ომებმა, რის გამოც ეგრისმა დაკარგა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თავისი ადრინდელი გავლენა. მაგალითად, მას გამოეყო აბაზგია და დაუკავშირდა ბიზანტიას, გამოეყო სვანეთი, მისიმიელები, აფშილები და სხვა პატარ-პატარა

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 408.

[2] იქვე.

ერთეულები. კიდევ უფრო დასუსტდა ეგრისი არაბთა ბატონობის პერიოდში, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისისათვის ეგრისის სამთავროს ქართლის ერისმთავრები განაგებდნენ.

აფხაზეთის ანუ აბაზგიის სამთავროს გაძლიერება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მათ ნაკლებად განიცადეს როგორც ბიზანტიელთა, ისე ირანის გავლენა. პირიქით, აბაზგების გაძლიერებას ბიზანტია ხელსაც კი უწყობდა, რადგან მასში ხედავდა თავის დასაყრდენს. ბიზანტიის მხარდაჭერა უნარიანად გამოიყენეს აფხაზმა მთავრებმა მეზობლებთან ბრძოლაში. აბაზგია VII საუკუნიდან თანდათან აფართოებს თავის საზღვრებს, იერთებს სანიგებს, აფშილებსა და მისიმიელებს. აბაზგია ფაქტობრივად ანტიარაბულ ბლოკობასაც უდგება სათავეში. იგი მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებს და VIII საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტიის ვასალობიდანაც თავისუფლდება.

როგორია აფხაზეთის სამთავროს საზღვრები: სამეფო ფაქტობრივად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. დასავლეთით ესაზღვრება — შავი ზღვა, ჩრდილოეთით — ჯიქეთი ნიკოფსიითურთ, აღმოსავლეთით — ლიხის ქედი, სამხრეთით — ჭოროხის წყალი და ჭოროხის ხეობა.

ამრიგად, აფხაზეთი მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს, რომელშიაც შედის როგორც ქართული, ისე არაქართული ტერიტორიები თუ ხალხები: სვანების, აფხაზეთ-აფშილეთის, მიწა-წყალი, მისიმიელები, ეგრისის სამთავრო. სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ აფხაზეთის სამეფოს უმეტესი ნაწილი ქართული მიწები იყო და მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად ქართველი ტომები შეადგენდნენ[1].

ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო წყობილება

ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო ფორმის მხრივ მონარქიულია. სახელმწიფოს განაგებს მეფე. სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადადის, მაგრამ ეს წესი მტკიცედ არ არის დაცული. იგი ხშირად ირღვევა. მაგალითად, დაახლოებით 861 წელს მეფე დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე ადის მისი ძმა და არა მისი

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 416-431.

ვაჟი. ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის წესი შინაპოლიტიკური აშლილობით ირღვეოდა. აფხაზთა მეფეები იწოდებიან: „მეფე აფხაზთა“, მაგრამ ეს ტერმინი არ გულისხმობდა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს მეფეს (მეგრები, ჭანები, ლაზები, ქართები, სვანები, საკუთრივ აფხაზები). აფხაზეთის მეფეები ქართულ სახელმწიფო პოლიტიკას ატარებდნენ. ისინი ეთნიკურადაც ქართველები იყვნენ. აფხაზთა მეფეების გენეალოგია ადასტურებს ამ ფაქტს. ქრონოლოგია ასეთია: ლეონ II – 758-798 წწ., თეოდოსი II – 798-825 წწ., დემეტრე II – 825-861 წწ., გიორგი I – 861-868 წწ., იოანე I და ადარნასე I – 868-881 წწ., ბაგრატ I – 881-893 წწ., კონსტანტინე III – 893-992 წწ., გიორგი II – 922-957 წწ., ლეონ III – 957-967 წწ., დემეტრე III – 967-975 წწ., თეოდოსი III – 975-978 წწ. სამეფო ხელისუფლების ორგანიზაციის, სხვა საკითხების, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეთა შესახებ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ცნობილია, რომ აფხაზეთის სამეფოში მაღალი თანამდებობა იყო – **აფხაზეთის კათალიკოსი**, რომელიც ჯერ კონსტანტინეპოლს, ხოლო IX საუკუნიდან მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა. აფხაზეთი სამეფო საერისთავოებისაგან შედგებოდა. მასში შედიოდა: **აფხაზეთის, ცხუმის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის (ცენტრი შორაპანი), ვაკე იმერეთი – ცენტრი ქუთაისი.** აქედან ჩანს, რომ სამეფოს უმეტესი ნაწილი დასავლეთ საქართველოს ქართული მიწები და ქართული მოსახლეობა იყო.

საინტერესოა ბიზანტიასთან აფხაზეთის სამეფოს დამოკიდებულების საკითხი. IX საუკუნიდან ბიზანტიის მდგომარეობა უმჯობესდება, იგი წარმატებას აღწევს არაბებთან ბრძოლაში. მაგრამ აფხაზეთის მიმართ თავის ძველ მდგომარეობას ვეღარ იბრუნებს. ამიტომაც ცდილობს ფორმალურად მაინც შეინარჩუნოს ადრინდელი გავლენა. ბიზანტიის ხელისუფალნი აფხაზეთის ქვეყნის მეთაურთ მეფეებს არ უწოდებდნენ. ამით თავის უფროსობას უსვამენ ხაზს, ისინი ქიშპობასა და ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლას უწყობდნენ ხელს, რითაც ხელს უშლიდნენ აფხაზეთის გაერთიანებას ერთიან ქართულ სახელმწიფოში.

ტაო-კლარჯეთი. ამ სამთავროს ჩამოყალიბება მიმდინარეობდა IX საუკუნის დასაწყისში. მისი დაარსების ინიციატორი და მოთავე

იყო ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი. ეს სამთავრო ისტორიაში ცნობილია როგორც ტაო-კლარჯეთის სამთავრო ანუ „ქართველთა სამეფო“. ტაო-კლარჯეთის სამთავროს დაარსება და გაფართოება მიმდინარეობდა საეკლესიო ხელისუფლების გაძლიერების პარალელურად. ეს მოძრაობა კი ანტიარაბულ განწყობილებას აძლიერებდა და ქართული ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას უწყობდა ხელს. აღსანიშნავია, ამავე დროს, საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ბრძოლა, რაც შემდგომში საერო ხელისუფლების გამარჯვებით მთავრდება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებელია აშოტ ბაგრატიონი, ქართლის ერისმთავარი, რომელიც დამარცხებულა ქართლში არაბებთან ბრძოლაში და გადასულა არტანუჯს, სადაც ბიზანტიელთა დახმარებით ხელისუფალი გამხდარა. აქედან აშოტი განაგრძობს თავის ხელისუფლებას მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე: აშოტის დროს მის სამთავროს საზღვრებში შედიოდა: **შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, ბაჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი.** აშოტი იპყრობს შიდა ქართლის ნაწილსაც.

IX საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს სამხრეთით აშკარად არსებობს ორი სამთავრო: **ტაოს სამთავრო, ცენტრით ბანა და კლარჯეთის სამთავრო — ცენტრით არტანუჯი.** მათ შორის უფროსობა ანუ პირველობა ტაოს ეკუთვნოდა. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ მათ შორის უმაღლესი საკარისკაცო ბიზანტიური ტიტული — კურაპალატობა — ტაოს შტოში მკვიდრდება, თუმცა კლარჯეთიც სრულიად დამოუკიდებელია. მიუხედავად ასეთი უფროს-უმცროსობისა, ორივე ხელისუფალი თავის თავს მეფეს უწოდებს, მაგრამ ეს „მეფობა“ გარკვეული ხელისუფლების მნიშვნელობით იხმარება, როგორც „მეუფე“ და არა ქვეყნის მეფე.

სამხრეთ საქართველოს სამთავროების პოლიტიკური ორგანიზაცია ასეთ სურათს იძლევა. სამთავროს განაგებს „კურაპალატი“ ანუ დიდი მთავარი, ანუ ქართველთა მეფე. დიდი მთავრის ხელისუფლება აბსოლუტური არ არის, იგი ნომინალურია, რაც იმით დასტურდება, რომ სხვა მთავრებიც მეფეებად იწოდებიან. გარდა ამისა, ბაგრატიონთა შტოში ჩნდება „მამფალის“ ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებელი ხელისუფალია და ხელმწიფობისაკენ მიისწრაფვის.

მამფალთა პარალელურად ბაგრატიონთა სახლში დამოწმებულია

ერისთავებისა და ერისთავთ-ერისთავების ინსტიტუტები, რომლებიც დიდ მთავარს ემორჩილებიან. არსებობდა მეჭურჭლის თანამდებობაც, რომელსაც ებარა საჭურჭლე და იცავდა კურაპალატის მონაგებს.

ტაო-კლარჯეთის ხელისუფალნი ბიზანტიის ვასალებად ითვლებიან. ამიტომაც ვალდებულნი იყვნენ სამხედრო დახმარება გაეწიათ მისთვის, არ დაერღვიათ მისი საზღვრები. ბიზანტიელები კი ვალდებულებას კისრულობდნენ გაეწიათ მათთვის პატრონობა.

თბილისის საამირო. იგი არაბებმა შექმნეს როგორც პოლიტიკური ერთეული. მას განაგებდა თბილისის ამირა. ხალიფას გარდა, იგი ემორჩილებოდა არაბთა ამიერკავკასიის პროვინციის ანუ არმენიის მმართველს, ანუ ვალს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, თუ ადრე ამირას მთელი აღმოსავლეთი საქართველო ემორჩილებოდა, VIII-XI საუკუნეებში საამირო თანდათან სუსტდება ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებისა და გაფართოების გამო.

თბილისის საამიროს საზღვრები IX-XI საუკუნეებში ასეთი იყო: ჩრდილოეთის საზღვარი დიღმის ხევამდე მიდიოდა, სამხრეთით თბილისის ამირას ექვემდებარებოდა ციხეები — ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი, დასავლეთით საამიროს თრიალეთი ესაზღვრებოდა, აღმოსავლეთით საზღვარი იყო მდ. მტკვარი.

თბილისის ამირას ექვემდებარებოდნენ არაბული სახელოები: შურტა, რესი, მუჰთასაბი, არსებობდა დივანხანა, რომელსაც სპეციალური მოხელე ამადი ხელმძღვანელობდა, მის ფუნქციებში შედიოდა მიწერ-მოწერა, სათანადო საბუთების გაფორმება-გაგზავნა. რეხი მუსლიმური მოსახლეობის სარწმუნოების წარმომადგენელი იყო ამირას კარზე, ხოლო ყადი — მაჰმადიანური რჯულის მეცნიერი, მას სასამართლო ფუნქციებიც ჰქონდა.

თბილისის საამიროს შექმნით არ გაუქმებულა ქართლის ერისმთავრის სახელო. ამიერიდან ქართლის ერისმთავარი იქცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლად ამირას კარზე. ერისმთავრის ხელისუფლება უნდა გაუქმებულიყო არაბთა მიერ IX საუკუნეში.

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა

ერთიანი ფეოდალური ქართული სახელმწიფოს შექმნა განაპირობა როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორებმა. ჩვენი აზრით, მარქსისტული თვალსაზრისი საშინაო ფაქტორის უპირატესობის შესახებ საგარეო ფაქტორთან შედარებით — ფეოდალური საქაროველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით — არ დასტურდება. საქართველოზე გადამწყვეტი გავლენა საგარეო ფაქტორმა იქონია. საქართველოსათვის გადამწყვეტი და მთავარი აღმოჩნდა უცხოელ დამპყრობთა უღლის გადაგდება, ამ საფრთხის თავიდან აცილება და ამისათვის ქვეყნის გაერთიანება. საქართველოს გაერთიანებას ხელი შეუწყო არაბებისა და ბიზანტიის შედარებით დასუსტებამ. ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა სარწმუნოებრივი გაერთიანება: „იმ დროს, როდესაც ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად, იმთავითვე ყველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა, X საუკუნის შუა წლებში, უკვე გაერთიანებულია საქართველოს ეკლესიასთან[1]. იოანე მარუშისძემ და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა იწყეს ქაროული სამეფო-სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების აუცილებლობის დასაბუთება. მათ ერთიანი საქართველოს მეფედ არჩევანი შეაჩერეს ბაგრატ ბაგრატიონზე, რომელიც დედის ხაზით აფხაზეთის შთამომავალი იყო, ხოლო მამის ხაზით — ქართველთა. საქართველოს მეფის პიროვნება სიმბოლურად ერთიან საქართველოს მემკვიდრეს განასახიერებდა.

იოანე მარუშისძის თაოსნობით წამოწყებულმა დიდმა პოლიტიკურმა აქციამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. დავით დიდმა კურაპალატმა, მთელ აღმოსავლეთში ცნობილმა მოღვაწემ, პირადად ვერ აიღო თავის თავზე ერთიანი ქართული სახელმწიფოს მართვის ფუნქცია, მაგრამ დათანხმდა, რომ სამეფო ტახტზე თავისი ნათესავი, შვილობილი ბაგრატ III დაესვათ. სწორედ დავით დიდი კურაპალატი მივიდა ჯარით ქართლში 975 წელს და თან წაიყვანა ბაგრატ III კურაპალატი. ბაგრატ III ამ დროს სრულწლოვანი არ იყო, ამიტომაც მას მზრუნველად მისივე მამა გურგენი დაუნიშნეს. 978 წელს დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვან-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 512.

მა აზნაურებმა ბაგრატ III-ს სთხოვეს გადასულიყო აფხაზეთში, სადაც მეფობდა უსინათლო და უმემკვიდრეო თეოდოსი, რომელიც აზნაურების სათამაშო ბურთი გამხდარიყო. მართლაც, 978 წელს ბაგრატ III გადავიდა დასავლეთ საქართველოში ანუ აფხაზეთში (ასე ეწოდებოდა მაშინ დასავლეთ საქართველოს), უსინათლო თეოდოსი, რომელიც ბიძად ეკუთვნოდა, თავის პაპა დავით კურაპალატთან გაგზავნა, მაგრამ 980 წლამდე, სანამ იგი სრულწლოვანი არ გახდა, ვერ შეუდგა მეფობის მოვალეობის შესრულებას. მალე ბაგრატ III აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდის. აქ მას დიდი წინააღმდეგობა ხვდება აზნაურობის მხრიდან, რომლებსაც ძველებურად, თავის ნებაზე ყოფნა სურდათ, მაგრამ ბაგრატ III ჯარით ბჭკიდა და მართვა-გამგეობის სადავე ხელში აიღო.

ბაგრატ III-ს არ ემორჩილებოდა უძლიერესი ფეოდალი, ერისთავთერისთავი რატი, რომლის სამფლობელო გადაჭიმული იყო თრიალეთიდან მანგლისის ხევამდე. 989 წელს ბაგრატ III-მ კლდეკარის ერისთავიც დაიმორჩილა.

1001 წელს დავით კურაპალატი გარდაიცვალა. მისი სამფლობელო ბაგრატ III-ს ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ მდგომარეობას ამწვავებს და ამ საკითხს ართულებს ბიზანტიის კეისარი. ბიზანტიის კეისარი ბასილ II მრავალრიცხოვანი ჯარით ტაოსაკენ წამოვიდა. ბაგრატ III და მისი მამა გურგენ მეფეც ტაოსაკენ გაეშურნენ. მამა-შვილი ბიზანტიის კეისარს საზღვართან დახვდნენ და მიესალმნენ. ბასილმა ორივე დიდი პატივით მიიღო, მაგრამ მათ შორის შუღლის ჩამოსაგდებად ბაგრატს კურაპალატობა უბოძა, ხოლო მის მამას გურგენს — მაგისტროსობა მისცა. ტაოს მისაერთებლად შემდგომშიაც დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა ქართველ და ბიზანტიელ ხელისუფალთა შორის.

1008 წელს ბაგრატ III-ს მამა გურგენი გარდაიცვალა, მის გამგებლობაში არსებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ე.ი. შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი, ბაგრატ მეფის გამგებლობაში გადავიდა.

საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა განძის ამირა ფადლონი. ბაგრატ III-მ მისი სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა და დახმარებისათვის სომხეთის მეფეს გაგიკსაც მიმართა. 1011-1012 წლებში ბაგრატმა სასტიკად დაამარცხა განძის ამირა სომეხთა შემწეობით. ამიერიდან ფადლონმა სრული მორჩილება და ხარკის გადახდა იკისრა.

ამრიგად, ბაგრატ III-მ თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა, თბილისის საამიროს გარდა. მან 36 წელი იმეფა. 1014 წელს ფანასკერტის ციხეში გარდაიცვალა. მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა ბაგრატ III მისსავე აგებულ ბედიის ტაძარში დაასაფლავეს.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილება XI-XV საუკუნეებში

ერთიანი ფეოდალური ქართული სახელმწიფო შეიქმნა XI საუკუნის დასაწყისში. ქვეყნის გაერთიანების პარალელურად ყალიბდება სახელმწიფო ორგანოთა ერთიანი სისტემა. იქმნება ახალი სახელმწიფო ორგანოები, ხდება ძველი ორგანოების გარდაქმნა ან გაუქმება. ზოგიერთი სამოხელეო ინსტიტუტი შეიცვალა ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ახალი სამოხელეო ინსტიტუტების შემოღებას იწვევდა საქართველოს შემადგენლობაში არაქართული ტერიტორიების შემოერთების მართვის ფუნქციაც.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების სისტემაში მოყვანა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობდა დავით აღმაშენებლის დროს. შემდგომში კი დავითის მიერ დაწესებულმა რეფორმებმა სახელმწიფოს გარდაქმნის ხაზით — საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო. ამის დამადასტურებელია გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს კონსტიტუციური ხასიათის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება".

გაერთიანებული ფეოდალური საქართველო სახელმწიფო მმართველობის ფორმის მხრივ მონარქიულია, წყობილების ფორმის მხრივ კი რთული სახელმწიფოა, რომელშიაც სხვადასხვა ტერიტორიები და სხვადასხვა ეთნოსის ხალხი შედის.

სახელმწიფოს განაგებს მეფე — მონარქი. სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა — დარბაზი, ხოლო ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს სავაზირო.

სახელმწიფო მმართველობაში ყურადღებას იპყრობს საქვეყნოდ გამრიგე მოხელე, ანუ ცალკეულ ქვეყანაში გამრიგე მოხელე, ანუ გარკვეული ტერიტორიის მმართველი, გამგებელი მოხელე, რომელიც ქვეყნის სამეფო ხელისუფლების ნება-სურვილს ახორციელებდა.

ადგილობრივი მმართველობის განხორციელების მიზნით, გაერთიანებული ფეოდალური საქართველო იყოფოდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად კი საქართველოში ისტორიულად, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროიდან ჩამოყალიბებული პროვინციები არსებობდა, რასაც საერისთავო-

საერისთაო და საერისთავო ეწოდებოდა. აღნიშნული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები მართვის უფრო პატარა-პატარა ერთეულებად იყოფოდა. საერისთაეთ-საერისთავო აერთიანებდა საერისთავოებს, საერისთავოები იყოფოდა ხევებად, ხევები იყოფოდა (შედგებოდა) თემებად, ხოლო თემები — უფრო პატარა ერთეულებად, რომელსაც მისი შესაბამისი მოხელე განაგებდა. ასეთი იყო ციხე და ციხისთავი.

განვიხილოთ საქართველოს სახელმწიფო წყობილება ზემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით.

საქართველოს მეფე და მისი უფლებამოსილება

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით საქართველოს მეფის უფლებამოსილება გამოიხატებოდა გამოთქმით: მეფის „მართებანი" და „განსაგებელნი". მართება გულისხმობდა მეფის მოვალეობას, ხოლო „განსაგებელი" — მეფის უფლებებს ანუ რა უნდა განეგო მეფეს[1]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მეფის უფლება-მოვალეობა ძალზე ფართოა, იგი უფსკრულს ჰგავს და რომელი უგნური იქნებოდა, რომ ამ უფსკრულის ძირი ეპოვა.

მეფის უფლებამოსილებაში შედიოდა: **საგამგეო, სამხედრო, საერთაშორისო, საფინანსო, მართლმსაჯულებისა და საკანონმდებლო ფუნქციები.**

მეფე ითვლებოდა ქვეყნის მფლობელად და მას ეკუთვნოდა სახელმწიფოს როგორც ქვეყნის ტერიტორიის, ისე მისი მოსახლეობის მართვა-გამგეობის უზენაესი უფლება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მეფე იყო მთელი საქართველოს მიწა-წყლის მესაკუთრე. მეფე უნდა მივიჩნიოთ როგორც ქვეყნის პოლიტიკური მფლობელი და არა კერძო მფლობელი. მართალია, მეფე უზენაესი მესაკუთრეა ანუ მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მთელი ქვეყნის მიწა-წყალი მეფის საკუთრება იყო.

საქართველოს მეფეს პირადად ემსახურებოდნენ დარბაზის ერის მოხელენი ანუ „ხელშინაურნი" და „საკუთარნი".

განვიხილოთ მეფის უფლებამოსილება **საკანონმდებლო და მართლმსაჯულების დარგში.**

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 162.

საქართველოს მეფეს ჰქონდა საკანონმდებლო ფუნქცია, მაგრამ იგი არ გულისხმობდა ერთპიროვნულად კანონების მიღების უფლებას, არამედ დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მხოლოდ ბაგრატის მიერ როდი იყო მიღებული, არამედ „პირველად... მეფეთა მეფისა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიან კაცთა მეფეთა წინაშე ერთბაშად გაჩენილი“[1]. მეფე ზოგიერთ ბრძანებას, განაჩენსა თუ განჩინებას, რომლებსაც კანონის ძალა ჰქონდა — ერთპიროვნულად ღებულობდა, ხოლო კანონს ანუ სამართლის წიგნს, მხოლოდ თვითონ კი არ ადგენდა და მარტო თავისი სახელით არ გამოსცემდა, არამედ დარბაზისა და საკანონმდებლო კრების თანადგომით.

საქართველოს მეფის უფლებამოსილებაში შედიოდა ასევე მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია ანუ „მოჩივართა მართალნი გამოძიებანი“. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეფე ყოველგვარი წვრილმანი საქმეებისათვის მოცდებოდა. იგი განიხილავდა მეტად რთულ და მნიშვნელოვან საქმეებს. მეფე იყო უზენაესი მსაჯული, მაგრამ აქაც არ იხილავდა იგი საქმეებს ერთპიროვნულად, არამედ დარბაზის წევრთა ანუ სპეციალისტთა თანადგომით, მაგრამ განაჩენი ან გადაწყვეტილება მეფის სახელით გამოდიოდა. დავით აღმაშენებელმა განიტვირთა თავი უამრავ საქმეთა განხილვისაგან — შეჰოიღო სპეციალური სასამართლო — „სააჯო კარი“, რომელიც ფაქტობრივად უმაღლესი სასამართლო იყო.

საქართველოს მეფის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია იყო სამხედრო ფუნქცია. მეფე გვევლინება სახელმწიფო ჯარის პატრონად და მთავარ წინამძღოლად. უმეტეს შემთხვევაში, მეფე თვითონ მონაილეობდა ომში და მეთაურობდა ჯარს. დავით ისტორიკოსის მითითებით, აღმაშენებელი ზურგით კი არ უდგას სპას, არამედ თვით უძღოდა წინ. მეფის საზრუნავი იყო ასევე „ლაშქართა მეცადინეობები“ ანუ ჯარის წვრთნა, „მხედართაგან წესებანი“ ანუ სამხედრო თანამდებობაზე დანიშვნა, „სპათა დაწყობანი და ღონენი“ ანუ ჯარის შეგროვება და ბრძოლისუნარიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა სპეციალური

[1] იე. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 169.

საბრძოლო უწყება, რომელსაც ხელმძღვანელობდა **ამირსპასალარი**, იგი სამხედრო საქმესა თუ ჯარის ორგანიზაციას განაგებდა. მაგრამ მეფე მასზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებდა. ქვეყნის გაფართოებისა და გაძლიერების პარალელურად მეფე თანდათან თმობს ჯაშუშალო ხელმძღვანელობას და სამხედრო საქმის საერთო ხელმძღვანელობით კმაყოფილდება.

საქართველოს მეფის კომპეტენციაში შედიოდა ასევე **საფინანსო** საქმის ხელმძღვანელობა. მეფეზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო გადასახადისა და ბეგარისაგან განთავისუფლება. ეს კი უშუალოდ უკავშირდებოდა ქვეყნის ფინანსებს ანუ „**საჭურჭლეთა შემოსავლის**“ სიმტკიცის საკითხს.

მეფეს შეეძლო გაეცა წყალობის სიგელები მამულის საბოძებლად თუ გადასახადისაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ მეფის წყალობის სიგელებს მხოლოდ მის სიცოცხლეში ჰქონდა ძალა. შემდგომ, ახალ მეფეს შეეძლო მისი გაუქმება ან ძალაში დატოვება.

საქართველოს მეფის **საგამგეო** ფუნქციათაგან მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს **შინაური საქმეების გაძღოლა-მოწესრიგების ფუნქცია**. მათ შორის ქვეყნის საზღვრების დაცვა ანუ ქვეყნის ტერიტორიული ხელყოფის აღკვეთა და ხელუხლებლობა. საშინაო ფუნქციაში შედიოდა ასევე ქვეყნის შიგნით **მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვა**. „**სამეფოს წყნარობის ღონენი**“ და „**განხეთქილებათა კრძალვანი**“, დროულად „**მთავართა ზაკვისა ცნობანი**“ მეფის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა ასეთ საქმეებში გარეულთა მიმართ სათანადო ღონისძიებების გატარება: დამნაშავეთა წყალობით გამოსწორება ანუ „**შემცოდეთა წყალობითნი წურთვანი**“. მეფის უფლებამოსილებაში შედიოდა თანამდებობის პირთა არჩევა თუ დანიშვნა, გადაყენება, ახლად არჩეულ თანამდებობის პირთა „დალოცვა“ და „ხელდასხმა“. მეფე აძლევდა თანამდებობებზე გამწესებულ პირებს ამ თანამდებობის შესაბამის ნიშნებს: ამირსპასალარს — ოქროს ლომისთავიან არგანსა და ხმალს, მანდატურთუხუცესს — ოქროს არგანს, მოლარეთუხუცესს — თელიან ბეჭედს და სხვ.

მეფის ფუნქციებიდან მნიშვნელოვანი იყო **საგარეო ურთიერთობათა მოწესრიგების ფუნქცია**. მეფის საზრუნავი იყო მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან მოლაშქრეების გამართვა, მოციქულებისა და ძღვენის გაგზა-

ვნა (ყმაწვილი ქვეყნებიდ ძღვენის მომტანის დასაჩუქრება).

მეტად საინტერესოა სამეფო **ტახტის მემკვიდრეობის საკით-ხი**, რა მონაცემები იყო საჭირო ჰომავალი მეფის სამეფო ტახტზე ასვლისათვის, როგორი პიროვნება უნდა ყოფილიყო იგი.

მომავალ მეფეს, ტახტის მემკვიდრეს მიღებული უნდა ჰქონოდა კარგი აღზრდა, ფართო განათლება. მეფეს მოეთხოვებოდა ჰქონოდა მაღალი საომარი თვისებები: სცოდნოდა მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მოასპარეზეობა, რაინდობა.

უფლისწული განსწავლული უნდა ყოფილიყო როგორც სასულიერო, ისე სამხედრო თუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში. მეფეს უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი, სალაშქრო და სამხედრო წესები. უფლისწული ისე უნდა ყოფილიყო მომზადებული, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში გამოეჩინა შორსმჭვრეტელობა. ამისათვის მას უნდა ჰქონოდა ფართო ზოგადი განათლება. ქვეყნის სწორი გზით წასაყვანად ქართველ უფლისწულს ასწავლიდნენ არა მარტო თავისი ქვეყნის წარსულს, არამედ სხვა ხალხების ისტორიასაც. ქართველი ტახტის მემკვიდრეები — მომავალი მეფეები ქართული ენის გარდა ფლობდნენ ბერძნულ, სპარსულ და ზოგჯერ არაბულ ენებსაც.

ტახტის მემკვიდრეები სამეფო ტახტზე ადიოდნენ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. ქართული სამართალი განასხვავებდა პოლიტიკურ, სამხედრო და სქესობრივ სრულწლოვანებას.

პოლიტიკური სრულწლოვანება 16 წლიდან იწყებოდა, სამხედრო სრულწლოვანება — 21 წლიდან, ხოლო სქესობრივი ანუ საქორწინო სრულწლოვანება ქალისათვის — 12 წლიდან, ვაჟისათვის — 1[illegible] წლიდან.

თუ არასრულწლოვანი უფლისწული ავიდოდა ტახტზე, მას უნიშნავდნენ ,,მზრდელს" და ,,პატრონს".

ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონი ჩვენამდე მოღწეული არ არის. მაგრამ სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ტახტს ჩვეულებისამებრ იკავებდა უფროსი ვაჟიშვილი ანუ პირმშო.

ქართულ წყაროებში შემორჩენილია ტახტზე ასვლის ერთი წესიც: ტახტზე ასვლა მეფის სიცოცხლეში (დავით აღმაშენებელი, თამარ[illegible] ლაშა-გიორგი). ამ მოვლენას თანამოსაყდრეობა ეწოდე-

ბოდა და მისი მიზეზების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა[1].

ტახტზე ასვლისათვის საჭირო იყო სპეციალური ცერემონიალი ანუ მეფედ კურთხევის წესი. მეფედ კურთხევის სრული წესი მოცემულია XIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთში[2]. მეფედ კურთხევა იწყებოდა ტახტზე აყვანითა და დასმით: მოიტანდნენ სამეფო გვირგვინს, რასაც მოჰყვებოდა მგოსნების გალობა ანუ ქებათა შესხმა მეფის ძლევამოსილებისა და დღეგრძელობის სურვილებით. თამარის ტახტზე აყვანის ცერემონიალიდან ჩანს, რომ მას გვირგვინს დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარი, ქუთათელი ადგამს, რითაც მთავრდება საეკლესიო კურთხევა და იწყება ხელისუფლების ნიშნების მიცემა. ესაა შორის მახვილისა და ხმლის, რაც გამოხატავდა, მეფის როგორც ქვეყნის მთავარსარდლად ალიარების სიმბოლოს. თამარის მეფედ კურთხევისას, მას ხმალი გადასცა რაჭისა და თაკვერის ერისთავმა — აქაც დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელმა.

სამეფო ხელისუფლებას თავისი ნიშნები ჰქონდა. ასეთებია:

1. გვირგვინი. იგი სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის იყო. რომელიც დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გვირგვინი შეიძლება ოქროსიც ყოფილიყო ან მოკაზმული თვალმარგალიტით.

2. პორფირი ანუ მეფის ზედა სამოსელი, წამოსასხამი. მის ქვეშ გრძელი ტანისამოსი ანუ „ბისონი“ ეცვა.

3. სკიპტრა.

4. მახვილი და ხმალი.

5. დროშა. „დროშა სამეფო“ ან „დროშა სეფე“ სახელმწიფო დროშა იყო. დროშა ცალკეულ საერისთავოებსაც ჰქონდა. „დროშა სეფე“ — ორგვარი ყოფილა, დიდი და პატარა. დიდი სახელმწიფო დროშა იყო, პატარა კი — პირადად მეფის დროშა.

6. სახელმწიფო ბეჭედი სხვადასხვა სახისა იყო.

დარბაზი (სამეფო კარი ანუ სახელმწიფო საბჭო)

საქართველოს უმაღლეს სახელმწიფოში ორგანოთა შორის დარბაზს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. დარბაზი სახელმწიფო ხე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 148.

[2] იქვე, გვ. 152.

ლისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ა.შ. სახელმწიფო საბჭო, ანუ სამეფო კარი იყო.

დარბაზი სპარსული სიტყვაა, „დარვაზეჰ“ სასახლის კარს ნიშნავს. ქართულში კი დარბაზი სასახლის იმ ოთახის მნიშვნელობით იხმარებოდა, სადაც ბჭობა, სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა ხდებოდა მეფის თანდასწრებითა და მონაწილეობით. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ სახელმწიფო „დარბაზი“ იყო. სხვადასხვა დიდმნიშვნელოვანი... სახელმწიფო საქმეებზე ბჭობისათვის ან რთული იურიდიული საკითხების გადასაწყვეტად, თუ დიდებული მოხელეების დასანიშნავად, ანდა მეზობელი მეფე-მბრძანებლების მისაღებად, საქართველოს მეფე „დარბაზობა-ს“ მართავდა ხოლმე“[1].

როგორი იყო დარბაზის შემადგენლობა — მისი ზუსტად გარკვევა ძნელია წყაროების უქონლობის გამო.

ბაგრატ IV-ს (1060-1065 წწ.) „ოპიზის სიგელის“ მიხედვით, დარბაზის შემადგენლობაში შედიან: უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, ერისთავთერისთავი და ერისთავნი და ყველა ხეობის სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები. მაგრამ ეს არ არის სახელმწიფო დარბაზის სტაბილური შემადგენლობა, აქ საქმე გვაქვს დარბაზის სპეციალურ სხდომასთან, რომელიც შეიკრიბა ორი ფეოდალის — ჯავახიშვილისა და მიძნაძორელთა დავის განსახილველად. ამ სხდომას მეფე უძღვებოდა. ივ. ჯავახიშვილი დარბაზის ასეთი შემადგენლობის გათვალისწინებით ცდილობს გაარკვიოს თუ ვინ იყო დარბაზის წევრი; სამწუხაროდ, დარბაზის ნამდვილი შემადგენლობის გასარკვევად ეს არ გამოდგება, რადგან იგი სპეციალურად, სახელდახელოდ მოწვეული სხდომა იყო. ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ ოპიზის სიგელში მოხსენებულ დარბაზობაში არ ჩანან ვაზირები. მაგრამ ეს სხდომა ხომ სახელმწიფო საბჭოს სხდომა არ იყო? აქ ხომ კერძო პირთა საკითხი წყდებოდა და, ამდენად, არც იყო საჭირო სახელმწიფო მოხელეთა მოწვევა.

დარბაზობა ორი წესით იმართებოდა: დიდი და მცირე წესით.

დიდი წესით ანუ დიდი დარბაზობა — დარბაზის ღია სხდომა იყო, რომელსაც დარბაზის ნამდვილ წევრთა გარდა, სხვა მოხელეებიც

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ... ტ. VII, გვ. 179.

ესწრებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ დარბაზობა დიდი წესით [illegible]-ბაზის საზეიმო სხდომაც იყო.

დარბაზობა მცირე წესით — დარბაზის საქმიანი სხდომა იყო, რომელსაც დარბაზის მხოლოდ ნამდვილი წევრები ესწრებოდნენ. მისი გადაწყვეტილებისა თუ მსჯელობის შესახებ საიდუმლოების დაცვა მკაცრად იყო დაცული. დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა: 1) კანონმდებლობის მიღება; 2) უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელება; 3) ომის გამოცხადებისა თუ ზავის დადების საკითხები; 4) მაღალი თანამდებობის პირების არჩევა-დანიშვნის საკითხები; 5) მეზობელი და შორეული ქვეყნებიდან მოსულ სტუმართა თუ დესპან-მოციქულთა მიღების საკითხი; 6) დარბაზობა დიდი დღესასწაულების, მეფეთა ხელდასხმისა თუ გამარჯვებული ლაშქრის დასახვედრად.

დარბაზის სხდომის მოწყობისა და ჩატარების მტკიცედ შემუშავებული წესი არსებობდა, თუ რა წესით (დიდი ან მცირე) უნდა გამართულიყო დარბაზობა, ამას მეფე წყვეტდა. მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცული დარბაზში დგომისა და ჯდომის წესები. თვით დარბაზის წევრი ვაზირები სპეციალურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი (საკრამანგებში) და ოქროთი მოჭედილ სკამებზე ისხდნენ. ზოგიერთი მეფის დროს (თამარის დროს) დარბაზის წევრი ვაზირები ბალიშებით ისხდნენ სკამებზე. დარბაზის ყოველ წევრს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და მისი გამოცვლა არ შეიძლებოდა, რადგან ადგილები უფროს-უმცროსობით ნაწილდებოდა.

სავაზირო

სავაზირო სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელშიაც შედიოდნენ ვაზირები ანუ მინისტრები. ტერმინი ვაზირი არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვაა. არაბულად „ვაზირუნ“ თანაშემწეს ნიშნავს. არაბებს ვაზირობა სპარსელებისაგან ჰქონიათ შეთვისებული. ტერმინი „ვაზირი“ თამარ მეფისა და გიორგი III-ს ისტორიკოსის გარდა არც ერთ ქართველ მემატიანეს არა აქვს ნახმარი. სწორედ ამ დროს შემოსულა ეს სიტყვა ქართულში.

ტერმინ „ვაზირის“ და სავაზიროს წარმოშობამდე საქართველოში ცალკეულ უწყებებს ხელმძღვანელობდნენ უხუცესები. მაგალითად, მეაბჯრეთუხუცესი, მელვინეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი და სხვ. მოგვიანებით ამ უხუცესების ერთ-

მანეთისაგან გასამიჯნავად შემოდის ტერმინი „ვაზირი“, რომელიც ერთ-ერთი უწყების ხელმძღვანელი იყო. თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში მხოლოდ ერთი ვაზირი იყო, თამარ მეფის ისტორიკოსი მრავლობით რიცხვში ამბობს „ვაზირნი“-ო. საქართველოში „ვაზირი“ მინისტრის ზოგად სახელად იქცა. სავაზირო კი ვაზირთა საბჭო იყო. ამ საბჭოში შემავალი თითოეული ვაზირი ცალკე უწყებას ხელმძღვანელობდა. „ვაზირი“, მართალია, არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვაა, მაგრამ ქართული სინამდვილის აღმნიშვნელია, ვაზირი, როგორც მეფის მინასტრის აღმნიშვნელი, გიორგი III-ის დრომდე არ გვხვდება[1]. სავაზირო ექვსი ვაზირისაგან შედგება: 1. **მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი.** იგი ითვლება პირველ ვაზირად ანუ ვაზირთა შორის უპირველესად. დანარჩენი ხუთი ვაზირი ორ ჯგუფად იყოფა: **„სამთა ვაზირთა“** და **„ორთა ვაზირთა“** ჯგუფად.

სამთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ:

1. **ათაბაგი,** 2. **ამირსპასალარი,** 3. **მანდატურთუხუცესი.**

ორთა ვაზირთა ჯგუფებში: მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი

დავით აღმაშენებლამდე მწიგნობართუხუცესის თანამდებობა და ჭყონდიდის ეპისკოპოსობა ცალ-ცალკე არსებობდა. მწიგნობართუხუცესი ერისკაცი იყო. ამ ორი თანამდებობის შეერთება პირველად სწორედ „დავით აღმაშენებლის დროს და მისივე ბრძანებით უნდა მომხდარიყო“[2], ალბათ, 1103-1110 წლებში. დავით აღმაშენებელმა თავისი ერთგული კაცი მწიგნობართუხუცესი ჩაუყენა სათავეში ეკლესიას, რითაც საეკლესიო ხელისუფლება დაიმორჩილა.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი ვაზირთა შორის პირველია ანუ მწიგნობრების უფროსია. მწიგნობარი მდივანს, მწერალს ნიშნავს. ეს თანამდებობა მმართველობის ყველა დარგში არსებობდა. ივ. სურგულაძის მითითებით, მწიგნობარი აღგენდა საქმიან ქაღალდებს, ხელ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 351.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკ. 1, გვ. 125.

მძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას... სამეფო კარზე 26 მწიგნობრის თანამდებობა არსებობდა, მაგრამ გამოირჩეოდა საწოლისა და ზარდახანის მწიგნობარი[1]. საწოლის მწიგნობარი მეფესთან დაახლოებული პირია, ბუნებრივია, იგი მწიგნობართუხუცესის მიერ წარგზავნილი პირია მეფესთან.

მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი საქმე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი მეფის ნების გარეშე მოქმედებდა, მწიგნობართუხუცესი მონაწილეობას იღებდა სამხედრო საქმეებშიც, იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყებისა თუ არდაწყების საკითხებს. იგი მოიხსენიება როგორც მეფის მამა: „ვითა მამა არს მეფისა"-ო, იგი სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველი კაცია, მაგრამ სპეციალურად რომელიმე დარგი მას არ ეხება სამართავად. იგი მმართველობის ყველა დარგზე ახორციელებდა ზედამხედველობას. პროფ. ივ. სურგულაძე მწიგნობართუხუცესს სახელმწიფო კანცლერს, სავაზიროს მეთაურს ანუ პრემიერ-მინიტრს უწოდებს[2]. სხვა ვაზირებისაგან განსხვავებით, მწიგნობართუხუცესს არავითარი მასალები არ ჰქონია, რადგან იგი საეკლესიო მოხელე იყო — არც მემკვიდრეები არ გააჩნდა და, ამდენად, არ იყო დაინტერესებული ქონებითა თუ მიწისმფლობელობით.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს როგორც საეკლესიო მოხელეს სასულიერო საქმეები ექვემდებარებოდა. „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით „მონასტერნი და ეკლესიანი, ხუცესნი და მონაზონნი და რაც საეკლესიონი დასნი არიან, ყველა ჭყონდიდელისა და საწოლის მწიგნობარის სახელოისაა".

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობა ერთ სახელოდ დავით აღმაშენებელმა გააერთიანა, ამით ეკლესია დაიმორჩილა. „ეგრის-აფხაზეთის მეფეები ცდილობდნენ ბერძნული ეკლესიისათვის საყრდენი გამოეცალათ დასავლეთ საქართველოში და ამიტომ მთელი X საუკუნის მანძილზე ახალ-ახალ საეპისკოპოსოებს აარსებენ. ერთ-ერთი ასეთი საეპისკოპოსო იყო ჭყონდიდი; ეს კათედრა დავით აღმაშენებელმა ხელთ მისცა მწიგნობართუხუცესს და ამით ეკლესიაზე განავრცო ცენტრალური ხელისუფლების გაელენა.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტი მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.

[2] იქვე, გვ. 23.

ათაბაგი

ათაბაგი სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესთან ერთად. იგი „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოიხსენიება მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ და პატივით უთანაბრდება ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს.

ათაბაგობა ქართული სამოხელეო დაწესებულება არ ყოფილა 1212 წლამდე. იგი აღმოსაელური სახელოა (თანამდებობაა). აღმოსავლეთის ქვეყნებში ათაბაგი უფლისწულის გამზრდელის (აღზრდის) ფუნქციას ასრულებდა.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „ათაბაგობა საქართველოში შემთხვევით იყო შემოღებული და განსაკუთრებით ივანე მხარგრძელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული“. კერძოდ, თამარ მეფემ ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალების შემდეგ მის ძმას ივანეს ზაქარიას პოსტი — ამირსპასალარობა შესთავაზა. პატივმოყვარე ივანემ კი არ ინდომა გარდაცვლილი ძმის თანამდებობა, თამარს ათაბაგობა სთხოვა. ათაბაგობა უცხო რამ იყო ამ პერიოდის საქართველო'ში, მაგრამ, როგორც ჩანს, მეფეს დაუკმაყოფილებია ივანე მხარგრძელის თხოვნა. პროფ. ივ. სურგულაძის მითითებით ივანე მხარგრძელს ათაბაგობის თანამდებობის მიღებით სურდა პრემიერ-მინისტრს ანუ მწიგნობართუხუცესს გათანაბრებოდა ან გაესწრო უფლებებითა და პატივით, რადგან აღმოსავლეთის (სელჯუკიანთა) სახელმწიფოებში ათაბაგი მეფესთან ყველაზე დაახლოებული პირი იყო, როგორც მეფის შვილის, ტახტის მემკვიდრის აღმზრდელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ათაბაგობის წარმოშობის საკითხზე არ არის აზრთა ერთიანობა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „როდესაც თამარ მეფემ ათაბაგობა შემოიღო, საქართველოში ლაშა მოსაყდრედ იჯდა, თანაც დედა ცოცხალი ჰყავდა და ამის გამო „ახალ ათაბაგს, რასაკვირველია, არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეპოვა, როგორიც ათაბაგებს სელჩუკიანთა სამეფოსა და სპარსეთში ჰქონდათ“[1]. პროფ. ივ. სურგულაძე კი საპირისპიროს ადასტურებს, რომ „ათაბაგობა სელჯუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტის მემკვიდრის მეურვედ იოველებოდა. ასეთი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული საქართველოშიც“.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 312.

ივანე მხარგრძელი მსახურთუხუცესი იყო, ე.ი. სასახლის ხელშინაური მოხელე. გიორგი-ლაშა მისი ამ მოხელეობის დროს დაიბადა და ალიზარდა, ასე რომ, მეფის მემკვიდრის აღზრდის საქმესთან მას, როგორც მსახურთუხუცესს, ხელი მართლაც მიუწვდებოდა ფაქტობრივად. ამავე დროს, ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, მეფის მემკვიდრის აღზრდის ფუნქციები მეფის შემდეგ პირველ პირს კუთვნოდა[1].

ახლა გავარკვიოთ რა მონაცემები გვაქვს ათაბაგობის შესახებ. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მითითებულია, რომ ათაბაგი დიდი და საპატიო ვაზირია. ვაზირობის დროს იგი ჭყონდიდელის ქვემოთ, ამირსპასალართან ერთად არის. აქედან ჩანს, რომ მას ვერ მიუღწევია პირველი ვაზირობისათვის, იგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ იხსენიება და პატივით „სამთა ვაზირთა“ ჯგუფში შედის ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესთან ერთად, მაგრამ თუ მწიგნობართუხუცესზე დაბლა დგას — სხვა მოხელეებზე უფრო მეტად დაწინაურებულა, თვით ამირსპასალარსაც კი გაუსწრო.

ამრიგად, ათაბაგი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში გვევლინება მეტად საპატიო ვაზირად. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, მას საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობასთანაც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა. სხვა ადგილზე იგივე ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ათაბაგობა შეიძლება სხვა თანამდებობასთანაც ყოფილიყო შეერთებული, მაგალითად, ამირსპასალარის თანამდებობასთან.

ამირსპასალარი

ამირსპასალარი სამხედრო უწყების ხელმძღვანელია. დღევანდელი ტერმინოლოგიით — იგი სამხედრო მინისტრი იყო. ტერმინი „ამირსპასალარი“ არაბული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ჯარის წინამძღოლს. ამირსპასალარი პირველად ქართულ წყაროებში თამარის ისტორიკოსის თხზულებებში იხსენიება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სამხედრო საქმის მეთაურს საქართველოში XII საუკუნიდან ეწოდა ამირსპასალარი[2], როგორც ცნობილია, საქართველოს მეფე ომის დროს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯარს, მაგრამ იმ შემთხვევაში,

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 25.
[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 283.

როდესაც მეფე ომში არ იღებდა მონაწილეობას, ჯარის მთავარსარდლობა ამირსპასალარს ევალებოდა[1]. ამირსპასალარს ემორჩილებოდა მთელი ჯარი, მას ევალებოდა ლაშქრობის გეგმის შედგენა. „ლაშქრობა და ლაშქრობის ვეზირობა ამირსპასალარის ხელთ არის, მას წინათ არავინ იტყვის“ — აღნიშნულია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“.

ვაზირობის დროს, თუ ომის საკითხი იხილებოდა, პირველ სიტყვას ამირსპასალარი ამბობდა. ამირსპასალარის ქვემდებარე ჯარი შედგებოდა: 1) სამეფო სპა, ანუ საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან გამოყვანილი მოლაშქრენი; 2) ყივჩაღთა ჯარი; 3) კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიც ქვეყნებიდან „სამსახურში“ გამოყვანილი ჯარი; 4) მონა-სპა, ანუ მეფის პირადი მცველი ჯარი (დავით აღმაშენებელს ასეთი ხუთი ათასი კაცი ჰყოლია).

ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ შემდეგი მოხელეები: **ამირახორი, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი, აჩუხჩი, ამირჩარი და მერემეთუხუცესი.** განვიხილოთ ისინი.

ამირახორი — ამირსპასალარის მოადგილე იყო, იგი ვაზირებს (მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესს) უტოლდებოდა უფლებებით, თუმცა სავაზიროს სრულუფლებიანი წევრი არ იყო. იგი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა დარბაზობის დროს. ამირახორის ფუნქციას შეადგენდა ცხენოსანი ლაშქრის ხელმძღვანელობა. აკი, ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში“ ასეთ გამოთქმას: „ამილახორო, მოასხი რემა, ცხენი და ჯოგია“.

მეაბჯრეთუხუცესისა და ზარდახანის უფროსის ხელში იყო სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობი. ისინი ამილახორის ხელქვეითნი იყვნენ.

აჩუხჩი — სამხედრო უწყების მსხვილი მოხელე და მეფის დაცვის უფროსი უნდა ყოფილიყო.

ამირჩარ-ის შესახებ ჯერჯერობით ზუსტი ცნობები არა გვაქვს.

მერემეთუხუცესს — ჩაბარებული ჰქონია საგანგებო დაწესებულება — სარემო.

ამირსპასალარის უფლებებიდან ყურადღებას იპყრობს მისი უფლება, რომ უიმისოდ მეფე მიწას ვერ გასცემდა, ვერც დასახლებულსა და ვერც დაუსახლებელს. ამირსპასალარის ეს უფლება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მიწის ოდენობაზე იყო დამოკიდებული

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 285.

როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკეული საერისთაოებისა თუ ერისთავებების სიძლიერე. ის, რომ მიწა ამირსპასალარის ნებართვის გარეშე არ გაიცემოდა – ამ თანამდებობის მეტად ფართო უფლებამოსილებაზე მეტყველებს, რადგან ფაქტობრივად მიწას უკავშირდებოდა ქვეყნის შემოსავალი და სიძლიერე. ივ. სურგულაძის აზრით, ამირსპასალარისთვის ეს უფლება მოგვიანებით – თამარის დროს უნდა მიენიჭებინათ, როცა თამარის წინაალმდეგ აჯანყებულებმა გარკვეულად შეზღუდეს მეფის ხელისუფლება[1].

ამირსპასალარი სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის. იგი ათაბაგის შემდეგ მოიხსენიება.

მანდატურთუხუცესი

მანდატურთუხუცესი პირველად გიორგი III-ს პერიოდში მოიხსენიება. მაგრამ ეს სახელო უფრო ადრე – XI საუკუნიდან უნდა არსებულიყო. სახელწოდება „მანდატურთუხუცესი“ ორი ნაწილისაგან შედგება – მანდატურებისა და მისი უხუცესებისაგან. ვინ არიან მანდატურები? ლათინურად „მანდატ“ – დავალებას ნიშნავს. „მანდატორ“ ბერძნულ-ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დავალების შესრულებას. ტერმინი „უხუცესი“ შეესაბამება ბიზანტიურ „პროტოს“, ერთიანად კი – „პროტომანდატორს“, რაც ნიშნავდა კეისრის სეფე ლაშქრისა და მონა-სპის უფროსს. ივ. ჯავახიშვილი, მეორე მხრივ, ამ თანამდებობას ამსგავსებს ობერცერემონმეისტერს[2].

განვიხილოთ თუ რა უფლებამოსილება ჰქონდა მანდატურთუხუცესს.

მანდატურთუხუცესი ვაზირია და შედის საპატიო ვაზირთა სამეულში. პატივით უთანაბრდება ათაბაგსა და ამირსპასალარს. მანდატურები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ. ისინი გველინებიან მეფის მცველების როლში, სავაზიროს სხდომის დროს ისინი წესრიგს იცავენ. ზოგჯერ ხელმძღვანელობდნენ და ზედამხედველობდნენ მეფის ვენახების სამუშაოებს. ზოგიერთ შემთხვევაში მანდატორები საპატიო კაცის გამყოლებად გველინებიან შორეულ მგზავრობაში. ისინი ომსა და ლაშქრობაში

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 26.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, გვ. 313.

არ მონაწილეობდნენ და სამეფო კარზე რჩებიან როგორც წესრიგის დამცველნი — თვით მანდატურთუხუცესი დარბაზობის დროს მთავარი განმკარგულებელი ყოფილა, მისი მითითებით სრულდებოდა დარბაზობის განაწესი.

მანდატურები სამოხელეო ნიშანს — არგანს ატარებდნენ, თვით მანდატურთუხუცესი კი — ოქროს არგანს. „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით მანდატურები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში სამასი სახელო ყოფილა. აქედან სამი გვარია მხოლოდ აზნაურისა, დანარჩენი გლეხები არიან.

მანდატურთუხუცეს ჰყავს მოადგილე — **ამირეჯიბი**. ეს მეტად საპატიო თანამდებობაა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში" მითითებულია, რომ ამირეჯიბს მეფესთან შესვლა, მეფის ნახვა ყოველთვის შეეძლო. იგი აქტიურად მონაწილეობდა დარბაზობის დროს — როგორც მანდატურთუხუცესის დაქვემდებარებული მოხელე. იგი ესწრება საყაზიროს სხდომას და ისეთივე პატივი აქვს, როგორც ვაზირებს. მას ემორჩილებიან მოხელეები — **ეჯიბები, გამგეთუხუცესი** და **მესტუმრე**.

ეჯიბი — არაბული სიტყვაა და ნიშნავს მეკარეს, კარისკაცს. ეჯიბები საქართველოში ჰყოლია არა მარტო სამეფო კარს, არამედ სხვა დიდებულ მოხელეებსაც.

მესტუმრე — უძველესი თანამდებობა ყოფილა საქართველოში. მას ევალებოდა მოციქულთა დახვედრა, მეძღვნეთა დასაჩუქრება-დაპურება.

მერიგე — ვაზირობას ვერ დაესწრებოდა, იგი სიგელების მიცემისას გარკვეულ მოვალეობას ღებულობდა.

განმგეთუხუცესი — ღირსებით ამილახორსა და ამირეჯიბზე დაბლა იდგა. მას უფლება არ ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა. საყაზიროში მაშინ შედიოდა, თუ მეფე ან ვაზირები უხმობდნენ, მას ჰყავდა ქვეშევრდომი მოხელეები: **საგანმგეოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი**.

მეჯამეთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუზაფარი, წაველა, მეკირე, ხმელი თევზი, ტყემალი, მუხუდო, ყოველი მეკამბეჩე დიასახლისი, კარავი, სამზარეულოსა და უვერცხლო ჭურჭელი, სპილენძის ჭურჭელი, შეშის საკითხები.

მეჭურჭლეთუხუცესი

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირია. ამასთან, იგი საპატიო ვაზირიცაა. ათაბაგობის შემოღებამდე მეოთხე ვაზირი ყოფილა. იგი შედის ვაზირთა „ორთა ჯგუფში“. როგორც სახელწოდებაც მიგვანიშნებს, მეჭურჭლეთუხუცესი „მეჭურჭლეთა“ უფროსი და „საჭურჭლეს“ უზენაესი გამგე იყო. მეჭურჭლეთუხუცესს ჰყოლია მოადგილე, მას ეწოდებოდა „ნაცვალი“ მეჭურჭლეთუხუცესისა, ზოგჯერ უწოდებდნენ „ნაცვალი საჭურჭლისა“. „საჭურჭლე“ ჭურჭლის საწყობს ნიშნავდა. ჭურჭელს შემდგომში განძისა და სიმდიდრის ზოგადი მნიშვნელობა მიეცა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა, სადაც ინახებოდა ფული, ძვირფასი ჭურჭელი, მეფისათვის ნაჩუქარი (შემოძღვნებული) ძვირფასი განძეულობა, თვალ-მარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი.

საჭურჭლისაგან განსხვავებულია სალარო. სალაროში ინახებოდა არაყოველდღიურად სახმარი ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, ე.ი. საჭურჭლისაგან განსხვავებით სალაროში ინახებოდა არაყოველდღიურად სახმარი ნივთები თუ სამკაულობა. სალაროში ასეთი ნივთები „უხმარებლად შეკრული“ იდგა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სალარო მეჭურჭლეთუხუცესს არ ექვემდებარებოდა, არამედ მსახურთუხუცესს.

საჭურჭლეში მსახურობდნენ შემდეგი მოხელეები: 1) საჭურჭლის ნაცვალი; 2) მუშრიბი; 3) საჭურჭლის მუქიფი; 4) მეჭურჭლენი.

მუშრიბი — არაბული სიტყვაა და ნიშნავს ზედამხედველს. მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა სასახლის ქონების შესახებ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, საქართველოში მუშრიბი ფინანსთა სამინისტროს ანუ მეჭურჭლეთუხუცესის დაქვემდებარებული მოხელე იყო. მას ბაჟისა და სავაჭრო გადასახადების ფუნქცია ჰქონდა დავალებული.

საჭურჭლის მუქიფი — იგივე მეძღვნე ანუ ძღვენთა გამგეა. მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა რა საჭურჭლე, ბუნებრივია, საჭურჭლეში მომუშავე ყველა მოხელე მისი ხელქვეითი იყო. მეჭურჭლეთუხუცესს საკუთარი ბეჭედი ჰქონდა. მაგრამ გაურკვეველია როგორი იყო ეს ბეჭედი ან ვისგან ღებულობდა მას.

მეჭურჭლეთუხუცესს — როგორც ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებოდა ასევე: ძველი ქალაქები, ვაჭარნი, ქალაქის ამირანი,

„მეჭურჭლენი ქალაქისანი“, სავაჭრო გადასახადები და ბაჟი; მასვე ეკითხებოდა აღებ-მიცემობის საკითხები. მეჭურჭლეთუხუცესი, ამავე დროს, შეიძლებოდა მსხვილი მემამულეც ყოფილიყო, მაგალითად, ერისთავთერისთავი.

მსახურთუხუცესი

მსახურთუხუცესი გიორგი III-ს დროიდან გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებში, მაგრამ იგი უფრო ძველი სახელო უნდა იყოს. „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ იგი ვაზირი არ ყოფილა, და რუსუდან მეფეს გაუხდია ვაზირად და სავაზირო საბჭოს წევრად. იგი მეჭურჭლეთუხუცესთან ერთად „ორთა ვაზირთა“ ჯგუფში შედიოდა.

მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა **„სალარო, საწოლი“, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეხილეთუხუცესი.** მსახურთუხუცესს ებარა ასევე მეფის პირადი მეურნეობა, სხვადასხვა „საფარეშონი“ — ფარეშთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, ცხვარი და საქონელი.

სალარო, როგორც უკვე აღინიშნა, ის დაწესებულება იყო, სადაც ინახებოდა საგანძური, არაყოველდღიურად სახმარი საჭურჭლე. არსებობდა ორი სახის სალარო: **უძრავი** და **მოძრავი.** სალაროს სათავეში იდგა მოლარეთუხუცესი, ვისაც ექვემდებარებოდა ყველა სალარო. მას ბეჭედი ჰქონდა, რაც მისი თანამდებობის ნიშანიც იყო. მისი ბეჭედი „თვალადი“ ანუ თვლიანი ყოფილა, რომელსაც დასვამდა საბუთზე. მოლარეთუხუცესს მოლარენი ექვემდებარებოდნენ.

ფარეშთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა საფარეშო და ფარეშნი. საფარეშონი — შინაური მეურნეობისათვის განკუთვნილი დაწესებულება და საწყობები იყო. მაგალითად, სანთლისა და შანდლებისათვის — ცალკე საფარეშო იყო. არსებობდა სამკერვალო საფარეშო, სამრეცხაო საფარეშო და სხვ.

მეხილეთუხუცესს ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები.

ციცხვთუხუცესი — ფარეშთუხუცესის ქვემდებარე მოხელე იყო თუ არა, ცნობილი არ არის. მის ქვემდებარე მოხელეებს ეწოდებოდა ციცხვნი. ციცხვნი განაგებდნენ სასახლის საჭურჭლეს, შინ სახმარ სხვადასხვა ჭურჭელს, აბანოს გათბობას, სახლის დაგვას, შეშის დაჩეხვას, ცეცხლის დანთებას, წყლის ზიდვას, ყოველგვარი

საფენების დაფენას, ოთახების სხვადასხვა ნოხებითა და მანდილებით მოკაზმვას. გარდა ამისა, ფარეშთუხუცესი და ფარეშნი ეხმარებოდნენ დილით ფეხზე ამდგარ – საწოლიდან გამოსულ მეფეს.

გაერთიანებული საქართველოს ადგილობარივი მმართველობა

როგორც უკვე აღინიშნა, მმართველობის ორგანოთა სისტემაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნებოდა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს ანუ ქვეყნის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში მეფისა და სამეფო კარის ნება-სურვილისა თუ პოლიტიკის განმსორციელებელ მოხელეებს. ამდენად, ჩვენ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემას ვაკუთვნებთ.

ადგილობრივი მმართველობის საკითხის სწორად გასარკვევად აუცილებელია დაზუსტდეს როგორი იყო ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას საფუძვლად ედო ძველთაგან – ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პერიოდში ჩამოყალიბებული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები, რაც ქართველური ტომების ეთნიკურ საზღვრებს ემთხვეოდა. საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიული ეთნიკური პროვინცია იყო საერისთავო.

საერისთავო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო, რომელსაც განაგებდა ერისთავი. ერისთავის ფუნქციებში შედიოდა: ადმინისტრაციული, სამხედრო და სასამართლო. საქართველოში რამდენიმე საერისთავო იყო. თამარის დროს რვა საერისთავოა საქართველოში:

ა) დასავლეთ საქართველოში: 1) სვანთა (ერისთავი ბარამ ვარდანისძე); 2) რაჭისა და თაკვერის (კახაბერ-კახაბერისძე); 3) ცხუმისა (ოთაღო შარვაშიძე); 4) ოდიშისა (ბედიანი); ბ) აღმოსავლეთ საქართველოში: 1) ქართლის (ერისთავი რატი სურამელი); 2) კახეთის (ერისთავი ბაკურ ძაგანისძე); 3) ჰერეთის (ასათ გრიგოლისძე); 4) სამცხის (ბოცო ჯაყელი)[1]. ამას უნდა დაემატოს ანისისა და დვინის შემოერთებული ტერიტორიები, სადაც ქალაქების მმართველებად გვევლინებიან ამირთ-ამირები.

ერისთავი სრულუფლებიანი მემამულე იყო თავის სამფლობელოში

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33-34, გვ. 137.

და ყოველნაირად ცდილობდა საერისთავოს გადაცემას მემკვიდრეობით თავისი შთამომავლობისათვის.

ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ ზოგჯერ რამდენიმე საერისთავო ერთადაა წარმოდგენილი და ეწოდება მას საერისთავთ-საერისთავო.

ერისთავს ჰქონდა სასამართლო თუ ადმინისტრაციული ფუნქციები. იგი თავის სამთავროს საფინანსო უწყებასაც განაგებდა და, ამავე დროს, ხელმძღვანელობდა ჯარსაც.

საერისთაოებზე უფრო პატარა ადმინიტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო ხევი. ივ. ჯავახიშვილის მითითებით ხევებად დაყოფა გვხვდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე სამხრეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში ამ ტერმინს ვერ ვხვდებით და არც ვიცით რა ეწოდებოდა ხევის შესატყვის საგამგეო ერთეულს[1]. ხევის უფროსს ხევისთავი ეწოდებოდა, იგი ხევის სრულუფლებიანი, ყველაზე მაღალი მოხელე იყო.

ქართულ წყაროებში საგამგეო ერთეულად გვხვდება ასევე თემი. ეს ტერმინი გვხვდება XII საუკუნიდან და იმავე ცნების აღმნიშვნელია და იმავე საგამგეო ერთეულის სახელია, როგორიც „ქვეყანაჲ“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, თემი ახალი საგამგეო ერთეული არ არის. იგი ხან ქვეყნის, ხან ხეობის მაგივრად არის ნახმარი. შემდგომში კი თემი გამოხატავდა ერთი ტომით დასახლებულ განსაზღვრულ გეოგრაფიულ საგამგეო ერთეულს[2].

მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა ყველაზე დაბალი და მცირე ერთეული იყო **საციხისთავო და ციხე**, რომელიც ხევის ან თემის შემადგენლობაში შედიოდა. საციხისთავოში აუცილებლად არსებობდა ციხე. სწორედ ციხე იყო საციხისთავოს ცენტრი, რომელშიც იჯდა ციხისთავი.

წყაროების უქონლობის გამო ჭირს როგორც საერისთავოების, ისე სახევისთავოებისა თუ საციხისთავოების არა მარტო საზღვრების დადგენა, არამედ მათი გამგებლების უფლებამოსილების გარკვევაც. ერთი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანის გამგებელი ხელისუფალი აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული, სამხედრო, სასამართლო და საფინანსო ფუნქციებით.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 185.

[2] იქვე, გვ. 186.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში მეტად მნიშვნელოვანია მონაპირის ინსტიტუტი. მონაპირე ერისთავს მიკემული ჰქონდა გარკვეული ტერიტორია — მასზე დასახლებული მოსახლეობით, ქალაქებითა და ციხეებით იგი უახლოვდება საერისთავოს. მაგრამ მონაპირე ტერიტორიის ხელისუფალი განირჩევა ერისთავისაგან ფუნქციების განსხვავებით. სანაპირო საერისთავოს ხელისუფალის ფუნქციებში ჭარბობს სამხედრო ფუნქცია. სახელწოდება „მონაპირე“ წარმოდგა სახელმწიფოს განაპირა ტერიტორიისაგან, სასაზღვრო ოლქისაგან, რომელიც შემოემატა სახელმწიფოს. ამ ტერიტორიიდან ხდებოდა მოსაზღვრე ქვეყნებზე მეთვალყურეობა. საქართველოს სამხრეთით არსებობდა შემდეგი სანაპირო საერისთავოები: 1) **გაგი** (ტერიტორია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე შამქორამდე); 2) **ჰერეთი** (ცენტრი გიში); 3) **ზორაკერტ ტაშირი** (ჩრდ. სომხეთი); 4) **ჯავახეთი** (ცენტრი თმოგვი); 5) **არტაანი**; 6) **შავშეთ-სპერი** (ცენტრი ფანასკერტი); 7) **კარი**.

თამარის ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოძღვრის მითითებით, მონაპირეთ უნდა სცოდნოდათ: ასაღები ციხეები, მოახლოებული მტერი, დასაპყრობი ქალაქები, რის შესახებაც უნდა ეცნობებინათ მეფისათვის. მეფე კი სათანადო გადაწყვეტილებას იღებდა. იმავე ისტორიკოსის აზრით, მენაპირე ინფორმატორადაც გვევლინება, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა მისი ფუნქციები. ხშირად იგი უშუალოდ ახორციელებდა სამარო ფუნქციებს, იცავდა ქვეყნის საზღვრებსა და ქვეყანას. ამასთან, მონაპირე როდი იყო დამოუკიდებელი ხელისუფალი, იგი მეფის ნების გარეშე ან მის საწინააღმდეგოდ ვერ იმოქმედებდა. სანაპირო საერისთავოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სტრატეგიული თვალსაზრისით.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო მმართველობაში ყურადღებას იპყრობს დაპყრობილი და შემოერთებული ქვეყნებისა თუ ტერიტორიების მმართველობა. ასეთი ქვეყნებისა თუ ტერიტორიების მიმართ საქართველოს ხელისუფალნი ატარებდნენ ორგვარ პოლიტიკას: 1) მთლიანად იერთებდა აღნიშნულ ტერიტორიას ანუ საქართველოს საზღვრებში აქცევდა, რასაც ეწოდებოდა „სამეფოდ ჭერა“, 2) დაპყრობილ ტერიტორიას თავის ქვეყანას არ უერთებდა, მაგრამ ყნადნაფიცის ან მოხარკის მდგომარეობაში აყენებდა[1]. მმართველო-

[1] ნიშანდობლივია, რომ დაპყრობილი ქვეყნების ამგვარი წესით მართვა სცოდნიათ ჯერ კიდევ ადრე, ურარტუს სახელმწიფოში (860-590 წწ. ჩვ. წ.აღ-მდე).

ბის პირველი წესი გულისხმობდა დაპყრობილი ტერიტორიის ჩაბარებას ადგილობრივი წრიდან გამოსული ფეოდალისათვის. საქართველოში მმართველობის ამგვარი წესია ანისისა და დვინის ოლქებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ დაპყრობილ ტერიტორიას არ ჩააბარებდნენ ადგილობრივ ფეოდალს, მაშინ ამ ტერიტორიას მეფე იჭერდა და ამ მოვლენას ეწოდებოდა „სამეფოს ჭერა". ამ შემთხვევაში დაპყრობილი ტერიტორიიდან აკრეფილი ხარკი სამეფო ხაზინაში შედიოდა, მაშინ, როდესაც ერისთავისათვის ჩაბარებული ტერიტორიიდან ხარკს თვით ერისთავი კრებდა და უხდიდა სამეფო ხელისუფლებასაც.

დაპყრობილი ტერიტორიის ინკორპორაცია. ანუ საქართველოს შემადგენლობაში შეყვანა და ჩართვა, ბევრად იყო დამოკიდებული ამ ტერიტორიის ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებაზე. თუ დაპყრობილ ტერიტორიაზე ქრისტიანული მოსახლეობა ჭარბობდა, მაშინ ხდებოდა მისი სრული ინკორპორაცია ანუ საქართველოსათვის მიერთება[1].

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაპყრობილი ქვეყნების მიმართ საქართველო ატარებდა ორგვარ პოლიტიკას: მოხარკეობასა და ყმადნაფიცობას.

ყმადნაფიცობა ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ხელუხლებლად ტოვებდა დაპყრობილი ქვეყნის მმართველობას, მაგრამ აკისრებდა ვალდებულებას საქართველოს სახელმწიფოს მიეცა „ნიჭი და ძღვენი", საომარი მოქმედების შემთხვევაში კი ჯარით დახმარებოდა პატრონს ანუ საქართველოს მეფეს. თავის მხრივ, საქართველოს მეფე იცავდა მას როგორც საკუთარ ყმას. ყმადნაფიცის სტატუსით იყვნენ დამოკიდებული საქართველოსადმი ისეთი ტერიტორიები და ხალხები, როგორიცაა: შარვანი, დარუბანდი და ჩრდილოეთ კავკასიის ტომები: ღუნქნი, ოვსნი, ქაშაგნი, დიდონი, დურძუკნი, ლეკნი. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით საქართველოს მეფე არ ერევა ყმადნაფიცი ქვეყნების საშინაო მდგომარეობაში, მათ ამ საქმეში სრული დამოუკიდებლობა აქვთ, რაც შეეხება საგარეო ურთიერთობას — აქ საქართველო გამოდიოდა მის დამხმარედ და დამცველად.

მოხარკეობა როგორც ტერმინიდანაც ჩანს, გულისხმობდა დამოუკიდებელი ქვეყნებისაგან საქართველოს სასარგებლოდ ხარკის მუდმივად, ყოველწლიურად გადახდას, რაც სახელმწიფოს ხაზინაში შედიოდა.

---

[1] გ. ნადარეიშვილი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986, გვ. 14.

მონღოლთა შემოსევა და ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლა-დაქვეითება

თამარ მეფემ თავის თანამოსაყდრედ სიცოცხლეშივე დაისვა 12 წლის ლაშა-გიორგი. იგი 1213 წელს უკვე 20 წლის იყო, როდესაც საქართველოს სრულუფლებიანი მეფე გახდა. ლაშას გამეფებისთანავე საქართველოს ყმადნაფიცმა სამთავროებმა გადაწყვიტეს განთავისუფლება. პირველი განძის ერისთავი განუდგა საქართველოს და ხარკის გადახდა შეწყვიტა. გიორგი-ლაშამ გადაწყვიტა განძის ათაბაგისათვის „ჭკუის სწავლება“, რათა სხვა ყმადნაფიცებს არ მიებაძათ მისთვის. გიორგი-ლაშას ღონისძიებანი მის მიერ დაშვებული შეცდომების მიუხედავად, წარმატებით დამთავრდა. მას ხელმეორედ მოუხდა განდგომილი ყმადნაფიცების შემობრუნება „საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთის სანაპიროებისაკენ გალაშქრებით ორტონისა და სხვა იმ ციხეების ასაღებად, ნახჭევანამდის. შემდგომ ხლათის სულტანის ყმადნაფიცობის აღდგენაც და კარნუ-ქალაქის წინანდებურად მომტკიცებაც მოხერხდა“[1]. ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარების შემდეგ გიორგი-ლაშა აპირებდა მონაწილეობა მიეღო ევროპელ ქრისტიანთა ჯვაროსნულ ლაშქრობაში (ეს წინადადება მას რომის პაპმა მისცა), მაგრამ 1220 წელს საქართველოს საზღვრებზე გამოჩნდნენ სრულიად უცნობი დამპყრობლები — მონღოლები, რამაც შეუძლებელი გახადა საქართველოს ლაშქრის გაგზავნა ჯვაროსნულ ომში. მონღოლთა შემოსევა უფრო ინტენსიური ხდება გიორგი-ლაშას გარდაცვალების (1222 წ.) შემდეგ. სამეფო ტახტზე ადის ისევ ქალი — რუსუდანი, რადგან გიორგი-ლაშა დაუქორწინებლად გარდაიცვალა (თუმცა მას დარჩა უკანონო შვილი დავითი). რუსუდანი არ იყო თამარ მეფის მსგავსი სახელმწიფო ხელმძღვანელობის მონაცემებით შემკული. საქართველოს სამეფოს მესვეურებმა გადაწყვიტეს რუსუდანის დაქორწინება არზრუმის მფლობელის შვილზე — მუღასედინზე, რომელიც გამოირჩეოდა არა მარტო გარეგნობით, არამედ იმითაც, რომ ქრისტიანობა მიიღო. ქორწინება შედგა. რუსუდანს მუღასედინთან შეეძინა ორი შვილი თამარი და დავითი (ნარინი).

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI-XV საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 99.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მონღოლები პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებზე, მაგრამ ისინი საქართველოს დასაპყრობად კი არ იყვნენ მოსული, არამედ თავის მტერს — ხვარაზმშაჰ მუჰამედს მისდევდნენ. მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ კი მონღოლები ბრძოლას განაგრძობენ მისი შვილის ჯალალედდინის წინააღმდეგ, რომელიც ირანში გამაგრდა და იქიდან აპირებდა მონღოლთათვის ანგარიშის გასწორებას. სწორედ ეს ჯალალედდინია, რომელიც საქართველოს მოსვენებას არ აძლევს 1220-1230 წლებში. ამ პერიოდში ჯალალედდინის რაზმებმა არაერთგზის ილაშქრეს და დაარბიეს არა მარტო საქართველო, არამედ მისი ყმადნაფიცი ქვეყნებიც. თვით რუსუდან მეფე იძულებული შეიქნა თბილისს გაცლოდა და სამეფო რეზიდენცია ქუთაისში გადაეტანა. იგი თბილისს ბრუნდება 1231 წლისათვის, მას შემდეგ, რაც ჯალალედდინი საქართველოდან გაიქცა მონღოლთა შემოსევის შიშით.

მონღოლები ფართო ფრონტით შემოდიან საქართველოში. პირველად ისინი საქართველოს სანაპირო ქვეყნებსა და ციხეებს იპყრობენ. მათ ჯერ ქალაქი ბარდავი აიღეს, შემდეგ განძას მიადგნენ, აქედან შანქორისაკენ გაემართნენ. შანქორის შემდეგ აიღეს ქალაქი გარდაბანი.

საქართველოს მთავრობა მონღოლთა მოახლოებისთანავე ტოვებს თბილისს და გადადის ქუთაისს. თბილისის დაცვა თბილისის ციხისთავს დაევალა. ამასთან, რუსუდანმა დაუბარა, რომ საჭიროების შემთხვევაში მას ქალაქი დაეტოვებინა და გასცლოდა მონღოლებს.

მონღოლები საქართველოში მხოლოდ აღმოსავლეთიდან როდი უტევდნენ, ისინი სამხრეთიდანაც შემოვიდნენ და მისწვდნენ ამირსპასალარის საჯდომ ქალაქსა და ციხეს — ლორეს. ამ ხანებში ლორე მანდატურთუხუცეს შანშე მხარგრძელს ეკუთვნოდა, რომელსაც არც უზრუნია ამ ციხის დაცვაზე. მონღოლებმა ადვილად ჩაიგდეს იგი ხელთ. სულ მალე მონღოლებმა აიღეს ქალაქი დმანისი. ერთერთი ციხე-ქალაქი, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, იყო სამშვილდე, მაგრამ მონღოლებს არც აქ შეხვედრიათ წინააღმდეგობა.

მონღოლთა წარმატებას ხელი თვით საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებმა შეუწყვეს — ისინი ან მიატოვებდნენ თავიანთ სახელისუფლო ან ციხეებში ჩაიკეტებოდნენ და ასე ლამობდნენ თავდაცვას. მაგალითად. ავაგ სპასალარი კაენის ციხეში ჩაიკეტა. კიდევ მეტი — საქართველოს ამირსპასალარმა, რომელსაც უნდა დაერაზმა და ეხელმძღვანელა ჯარისათვის, ნებაყოფლობით დამორჩილება გადაწყვიტა.

მან მონღოლთა სარდალს მოციქული გაუგზავნა და დამორჩილება აღუთქვა, თუ მის საგამგეო ტერიტორიასა და ქონებას მონღოლები არ შეეხებოდნენ. ამავე გზას დაადგა **შანშე მანდატურთუხუცესი** და ვარამ გაგელიც. ასეთივე პირობით დაემორჩილნენ მონღოლებს ჰერეთ-კახეთის, ქართლისა და ჯავახეთის ერისთავთ ერისთავები. გამონაკლისს წარმოადგენდა **ყუარყუარე ჯაყელ-ციხისჯვარელი**, რომელიც მედგრად ებრძოდა მათ, მაგრამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი, იგი მაინც არ დაემორჩილა მონღოლებს რუსუდან მეფის ნებართვის გარეშე. თვით რუსუდან მეფე და მასთან ერთად მონღოლებთან დაზავებული ქართველი ხელისუფალნი გამოსავალს ეძებდნენ. მათ იმედის თვალი რომის პაპს მიაპყრეს. რუსუდან მეფემ რომის პაპს, გრიგოლ IX-ს ეპისტოლე გაუგზავნა, რომელშიც ატყობინებდა მონღოლების შემოსევას, ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობას და სთხოვდა დასავლეთ ევროპის ქრისტიან სახელმწიფოებს აღმოეჩინათ მისთვის დახმარება. წერილმა რომის პაპამდე, როგორც ჩანს, გვიან მიაღწია. საპასუხო ეპისტოლე რუსუდანმა ძალზე გვიან — 1240 წელს მიიღო, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ თვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული შინაური აშლილობა საქართველოს დახმარების საშუალებას არ იძლეოდა. საქართველოს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა. სწორედ ამის გამო საქართველოს სახელმწიფო მესვეურთა წინაშე დადგა ალტერნატივა: 1) აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთათვის დაეტოვებინათ მანამდე, ვიდრე არ მომაგრდებოდნენ და დაკარგული ქვეყნის ნაწილის დაბრუნებას შეძლებდნენ; 2) გამოენახათ მონღოლებთან შეთანხმების, დაზავების გზა.

პირველი გზა რუსუდანისა და საქართველოს მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ეს იყო ფაქტობრივად აღმოსავლეთ საქართველოზე უარის თქმა, მისი დათმობა და სახელმწიფოს გახლეჩა ორ ნაწილად. ამიტომაც გადაწყდა მონღოლებთან მოლაპარაკების გამართვა. მოსალაპარაკებლად რუსუდანმა წარგზავნა: **ამირსპასალარი ავაგი, შანშე მანდატურთუხუცესი, ვარამ გაგელი და შოთა კუპარი.**

რუსუდანი არ ენდო მონღოლთა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფალთ და ამიტომაც მოლაპარაკება უშუალოდ მონღოლთა ყაენთან — ბათოსთან დაიწყო. ყაენთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა: საქართველო ცნობდა მონღოლთა ყაენის უზენაესობას, ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ყაენის წარმომადგენლები და

ჯარიც დარჩებოდა საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად. დასავლეთ საქართველო კი, რომელიც მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდა, წინანდელ მდგომარეობაში დარჩებოდა, მაგრამ ამისათვის საქართველო იხდიდა 50000 ოქროს პერპერას. მონღოლთა ყაენი დავით რუსუდანის ძეს საქართველოს მეფედ დაამტკიცებდა. მართლაც, დავით IV რუსუდანის ძე მეფედ დასამტკიცებლად მონღოლთა ურდოში წარგზავნეს, რასაც 2 წელი დასჭირდა. 1245 წელს გარდაიცვალა რუსუდანი. საქართველოში უმეფობის ხანა დადგა, რადგან რუსუდანი გარდაიცვალა და დავითი კი არსად ჩანდა. იგი გარდაცვლილი ეგონათ.

ინტერესს იწვევს მონღოლთა ბატონობის პერიოდის სახელმწიფო მმართველობა.

XIII საუკუნის დამდეგისათვის მონღოლები გვაროვნული წესწყობილებიდან ფეოდალურზე გადასვლის სტადიაში იყვნენ. სამხედრო წყობილება სამოქალაქოზე მაღლა იდგა. საქართველოში კი, პირიქით, სამხედრო ხელისუფლება სამოქალაქოს ემორჩილებოდა. მთავრობის სათავეში მწიგნობართუხუცესი — „ვაზირთა უპირველესი“ იდგა. სხვა ვაზირებთან ერთად მას ამირსპასალარიც ემორჩილებოდა.

საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, მონღოლები საქართველოს იმავე წესით მოწყობას შეუდგნენ, როგორიც თვითონ ჰქონდათ. მათ ქვეყანა დუმნებად (მონღ. 10000-ს დუმანი ეწოდებოდა) დაყვეს, რომლებსაც შესაბამისი რაოდენობის მოლაშქრე უნდა გამოეყოთ ლაშქრობის დროს.

ჟამთააღმწერლის ცნობით, მთელი საქართველო მონღოლებმა 8 დუმნად დაჰყვეს: I დუმანს ჰერეთ-კახეთი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემები შეადგენდა. ამ დუმნის უფროსად ეგანასლან ბაკურციხელი დაინიშნა. II დუმანს — ქვემო ქართლი და მისი აღმოსავლეთით მოსაზღვრე თემები შეადგენდა და მას ვარამ გაგელი ხელმძღვანელობდა. III დუმანი სომხური თემებისაგან შედგებოდა, მის უფროსად მანდატურთუხუცესი — შანშე მხარგრძელი ჩააყენეს. IV დუმანი — შიდა ქართლი, გრიგოლ სურამელს ექვემდებარებოდა. V — ჯავახეთის სამხედრო ძალას, გამრეკელი თორელი ხელმძღვანელობდა. VI — სამცხისა და მესხეთის დანარჩენი ნაწილი ციხისჯვარელ ჯაყელს მიენდო. დასავლეთი საქართველო მონღოლებმა ორ დუმნად დაყვეს: ცოტნე დადიანს — ეგრისი და გურია, რაჭის ერისთავს ლიხთიმერეთის აღმოსავლეთის მხა-

რე დაუმორჩილეს. რამდენადაც დასავლეთ საქართველო მონღოლებს დაპყრობილი არ ჰქონდათ, იქ მონღოლების უზენაესობა მხოლოდ ნებაყოფლობით დამყარდა.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა სამხედრო-საგამგეო სისტემა საქართველოში ძალე მოისპო და მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. სამაგიეროდ სამხედრო წესების უზენაესობის პრინციპმა საქართველოს სახელმწიფო წყობილებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა.

მონღოლთა გაბატონების ადრეულ პერიოდიდანვე შეიმჩნევა ქართული სახელმწიფო მმართველობის უგულებელყოფა. საქმე ის იყო, რომ თუ დამოუკიდებლობის პერიოდში მეფე და სავაზირო განაგებდა მმართველობის ყველა სფეროს — უმეფობის ხანაში დაწინაურდნენ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეები — მათ შორის **ეგარსლან ბაკურციხელი**, რომელსაც მონღოლებმა პირველი დუმანი ჩააბარეს. ეგარსლან ბაკურციხელი ნიჭიერი და, ამასთან, მჭევრმეტყველი ადამიანი ყოფილა. იგი მონღოლებთან ძალზე დაახლოებულა და საქართველოს ყველა მთავრებთან შედარებით უპირატესობა მოუპოვებია. მემატიანეს ცნობით, ეგარსლან ბაკურციხელს ყველა ემორჩილებოდა. მანაც ზომიერება დაკარგა და საქართველოს მთელი ხელისუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. სწორედ ამის გამო დაირაზმა მის წინააღმდეგ საქართველოს დიდმოხელეთა და ფეოდალთა ჯგუფი, რომელთაც შეურაცხყოფას აყენებდა შთამომავლობითა და ღირსებით მათი თანასწორის განდიდება და უფროსად გახდომა. მათ გადაწყვიტეს გამოენახათ საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ასეთი პიროვნება იყო ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითი. დავით V მართლაც გაიგზავნა მონღოლთა ურდოში დასამტკიცებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დავით IV, ანუ დავით რუსუდანის ძე ცოცხალი იყო. მოულოდნელად საქართველოს ტახტის ორმა პრეტენდენტმა მოიყარა თავი. თუ ვინ უნდა გამხდარიყო მეფე — ამ საკითხზე შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა. გაჩაღდა ბრძოლა ორ ბანაკს შორის, თითოეული ამტკიცებდა თავისი პოზიციის მართებულობას. საკითხის გადასაწყვეტად საქმე მონღოლთა ყაენამდე მივიდა. დავით გიორგი-ლაშას ძის ჯგუფი თავისი პოზიციის მართებულობას იმით ასაბუთებდა, რომ ქალის მემკვიდრესთან შედარებით, მამაკაცის მემკვიდრეს უნდა მისცემოდა უპირატესობა. ხოლო დავით რუსუდანის ძის მომხრე ჯგუფი იშველიებდა ქართულ სამემკვიდრეო სამართლის პრინციპს, რომ უკანონო შვილს არათუ მეფობა, მემკვიდრეობაც არ

ეკუთვნოდა. მონღოლთა ყაენმა ორივე მხარის პრეტენზიები გაითვალისწინა და საქმე მონღოლური სამართლის მიხედვით გადაწყვიტა — ტახტზე დავით გიორგი-ლაშას ძე დასვა უფროს მეფედ, ხოლოდ მეორე მხარეც არ დაჩაგრა და დავით რუსუდანის ძე მეორე მეფედ ანუ უმცროს მეფედ დაამტკიცა.

საქართველოს ტახტზე ორი მეფის დასმა ქვეყნის დაქუცმაცების, ორად გაყოფის საფრთხეს ქმნიდა, მაგრამ მოწინააღმდეგე ჯგუფებს აღმოაჩნდათ წინდახედულება და მათ სამეფო ორად კი არ გაყვეს, არამედ ორივე მეფე ერთად დასვეს სამეფო ტახტზე ქ. თბილისში. ორივეს დავითი ერქვა სახელად, ამიტომაც მათ განსასხვავებლად ერთს დავით V ლაშა-გიორგის ძეს უწოდეს **დავით ულუ** (უფროსი), ხოლო მეორეს — დავით IV რუსუდანის ძეს — **დავით ნარინი**. ეს სახელები მონღოლური ენიდან წარმოდგა.

მძიმე იყო საქართველოს მდგომარეობა მონღოლთა ბატონობის პერიოდში. 1254 წელს მონღოლებმა აღწერა ჩაატარეს. საქართველოში ამ დროს ცხოვრობდა დაახლოებით 5 მილიონი კაცი. აღწერის შემდეგ კი საგადასახადო კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც შემოღებულ იქნა სხვადასხვა სახის გადასახადი: 1) **მალი**, ანუ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; 2) **ყაფჩერი ანუ ყუფჩერი** — იგივე საბალახე გადასახადი იყო. მისი ოდენობა უდრიდა 100 სულ პირუტყვზე 1 სულს; 3) **სავაჭრო გადასახადი** — დამღა. ასი თეთრის ღირებულების ნასყიდობაზე — სამი თეთრი ანუ 3%; 4) **სამოხელეოდ განკუთვნილი გადასახადი ანუ ულუფა** — ეძლეოდა მონღოლთა ათასეულის უფროსს ანუ ნოინს — ყოველი სოფლისაგან ერთი კრავი და ერთი დრაჰკანი, ხოლო ათიათასეულის უფროსისათვის ანუ დუმენ-ნოინისათვის — ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი; 5) არსებობდა ასევე ბეგარაც. მაგალითად, **სალაშქრო ბეგარა** ანუ ყალანი, ასევე საიამე. **ბეგარა** საიამე ნიშნავდა იმას, რომ ყაენების, ელჩების, მოციქულებისა და სხვა მონღოლი მოხელეებისათვის უნდა გაემზადებინათ ცხენები, სადგომი და უნდა მომსახურებოდნენ მათ. საიამე მარტო ბეგარა არ იყო, იგი იყო როგორც შრომითი, ისე ნატურით ვალდებულება; 6) **სატუზღუე** — ტუზღუ იკრიბებოდა სოფელში — იგი ძვირფასეულ ნივთებს ან ქსოვილებს გულისხმობდა. ზოგჯერ ამ ქსოვილებისა თუ ნივთების შესაძენად იკრიბებოდა ფული. ტუზღუ მიერთმეოდა მობრძანებულ, მაღალი თან-

. დებობის პირს ან მის ოჯახის წევრს; 7) **თაღარა** — ჯარის შესანახი გადასახადი იყო, ძირითადად საკვები პროდუქტების სახით; 8) **ნემარი** — არარეგულარული გადასახადი იყო, რომელსაც სახელმწიფო კრებდა მაშინ, როცა მას დამატებითი ხარჯი ან ფული ესაჭიროებოდა; 9) **თარხი** — ვალდებულება იყო. სახელმწიფო მოუსავლიან წლებში აიძულებდა მოსახლეობას ხაზინისათვის მიეყიდა დაბალ ფასებში პროდუქტები ან, პირიქით — მოსახლეობას შეესყიდა ხაზინიდან „თარხი" მაღალ ფასში; 10) **თურნაგირი** — მისი შინაარსი ზუსტად არაა ცნობილი. იგი საქალაქო კარის ბაჟი უნდა ყოფილიყო; 11) **საელჩო** — იყო მონღოლი მოხელის ელჩის საჭიროებისათვის დაწესებული ულაყისა და ულუფის გადასახადი; 12) **ბაჟი** — საგზაო გადასახადი იყო; 13) **ბეგარა** — შრომითი ვალდებულებების სხვადასხვა სახე — იძულებითი სამუშაოები მშენებლობაზე, გზების, არხების, ტყეების გაჩეხვის, თიბვის, მწყემსობისა და სხვა სახით; 14) **ჯიზია** — შემოღებულ იქნა ყაზან ყაენის დროს 1295-1304 წლებში. იგი სულადი გადასახადი იყო.

მონღოლთა მიერ გაზრდილ, უზომო ექსპლუატაციას ხალხის უკმაყოფილება და აჯანყებები მოჰყვებოდა. 1259 წელს დაიწყო მონ-...ლთა წინააღმდეგ აჯანყება, რომელსაც დავით IV-ნარინი მეთაურობდა. მოგვიანებით აჯანყებულთა შორის აღმოჩნდა დავით V-ულუც. მონ-ლთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებები მარცხით დამთავრდა. ...რიეე მეფე იძულებული იყო ქუთაისს გადასულიყო და ერთად ემეფათ ...ცხოვრათ. 1264 წელს დავით ულუ აღმოსავლეთ საქართველოში ...ღმდის მონღოლებთან შესარიგებლად: მონღოლებმა დავით ულუ ძეირიგეს და მონღოლთა ჯარის წინა რიგებში განაწესეს ჩრდილოეთიდან მოსული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მონღოლთა ბატონობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო საქართველოს მოსახლეობა. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად საერო ხელისუფლებმა ეკლესიის მიწების გამოყენება სცადეს, რასაც ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის განხეთქილება მოჰყვა. ამას დაემატა 1266 წელს სამცხის გამოყოფა საქართველოს ერთიან სახ-...იფოდან და ხასინჯულ ანუ ულუსად ქცევა. ეს მოვლენა სხვა ძიზეზებთან ერთად უნდა აიხსნას **გიორგი ლაშას ძის** მალმრწმეხოებით, რომელმაც შესმენის ნიადაგზე დააპატიმრა სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი, რომელიც მონღოლებმა გაათავისუფლეს და მამუ-

ლიც ულუსად უბოძეს, ანუ სამცხე მონღოლთა გამგებლობას დაკ-
მორჩილეს. ამრიგად, ' საუკუნის 70-იანი წლებისათვის საქართველ ის
ერთიანი სახელმწიფო სად სამეფოდ დაიყო: 1) **დასავლეთ საქართველო**
— სადაც გამგებლობდა დავით რუსუდანის ძე ნარინი; 2) **აღმოსავ-
ლეთ საქართველო** — დავით ლაშა-გიორგის ძე V; 3) **სამცხის
სამთავრო**, რომელიც ულუსად, ანუ ყაენის მიერ ნაბოძებ მიწად
იქცა და მას სარგის ჯაყელი განაგებდა. ასე გრძელდებოდა ვახტანგ
II-ის გამეფებამდე, ე.ი. 1289 წლამდე. ვახტანგ II, როგორც ვიცით
დასავლეთ საქართველოს მეფის, დავით რუსუდანის ძე ნარინის უფრ.
ვაჟიშვილი იყო, რომლის ერთიან საქართველოს ტახტზე დასმა გადაწ ყდა
დემეტრე II თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ. საქმე ის
არის, რომ მონღოლთა ყაენს ვახტანგ II-ის ტახტზე აყვანით სრულიად
არ აინტერესებდა საქართველოს გაერთიანება, არამედ მას არ სურ-
და, რომ მის მიერ სიკვდილით დასჯილი დემეტრე II-ის მემკვიდრეები
კვლავ აღზევებულიყვნენ და, მეორე მხრივ, დასავლეთ საქართველოზეც
ავრცელებდა თავის გავლენას, რომელიც არც ფაქტობრივად და არც
იურიდიულად მონღოლთა ბატონობას არ ემორჩილებოდა. ყაენმა —
არღუნმა ვახტანგ II მეფედ დაამტკიცა და ცოლად თავისი დაც
შერთო. ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს ერთიანობა, რადგან ვახ-
ტანგ II-ის ტახტზე ასვლიდან სამი წლის შემდეგ — 1292 წელს
გარდაიცვალა.

1293 წელს მონღოლთა ყაენმა აღმოსავლეთ საქართველო დავით
VI-ს (დემეტრე თავდადებულის შვილს) ჩააბარა. ცხადია, დავით VI
არ იყო ერთიანი საქართველოს მეფე. დავით VI დემეტრეს ძემ საქართვე-
ლოს გაერთიანებისათვის პირველი ნაბიჯი გადადგა — სამცხის ერისთავი
სარგის ჯაყელის მემკვიდრე ბექა თავისთან იხმო, მაგრამ ბექა ჯაყე-
ლი დავით VI-სთან არ გამოცხადდა, თავისი ვაჟიშვილი წარგზავნა და
დემეტრე თავდადებულისაგან მიბარებული ქონებაც მიართვა. ამგვარად,
დავით VI-მ ვერ შეძლო სამცხის შემოერთება.

დავით VI-ს უსიამოვნებები ჰქონდა მონღოლების ხანთან ყაზან
ყაენთან, რომელიც 1295 წელს გახდა ხანი. მან 1297 წელს თავისთან
იხმო დავით VI, მაგრამ დავითი — დარბაზის რჩევის მიუხედავად —
არ ეახლა ყაზან ყაენს და ჟინვალს გადავიდა, საიდანაც საიდუმლო
მოლაპარაკება გამართა ჩრდილოეთში გაბატონებულ ოქროს ურდოს
ხანთან. განრისხებულმა ყაზან ყაენმა 1299 წელს აღმოსავლეთ

საქართველოში დავით VI-ს უმცროსი ძმა გიორგი გაამეფა. ცოტა ხნის შემდეგ კი, 1302 წელს გიორგი მცირეწლოვნების გამო ფაქტობრივად ვერ მეფობდა, ყაზან ყაენმა აღმოსალეთ საქართველოს მეფედ ვახტანგ III (დავითისა და გიორგის ძმა) დასვა. ამრიგად, ქვეყანა უფრო დაქუცმაცდა. აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივად ორი მეფე იჯდა – დავით VI და ვახტანგ III. გიორგის შესახებ კი უკვე აღარაფერი ისმოდა. ვახტანგ III 1308 წელს გარდაიცვალა, ხოლო დავით დემეტრეს ძე VI – 1311 წელს.

სამცხის სამთავროს სახელმწიფო წყობილება XIII-XVI საუკუნეებში

XIII საუკუნიდან ერთიანი საქართველო იშლება და მის ადგილზე წარმოიშობა რამდენიმე პოლიტიკური ერთეული, მათ შორის ნახევრად სუვერენული – **სამცხის სამთავრო.**

XIII საუკუნის დასასრულიდან სამცხე წარმოადგენდა ისეთ პოლიტიკურ ერთეულს, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი გააჩნდა: საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, საკუთარი ადგილობრივი მმართველობა, თავისი კანონმდებლობა, დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოები და საკუთარი სასულიერო ორგანოები თუ საეკლესიო მოხელეები.

სამცხის მთავრები (ათაბაგები) სამშვიდობო თუ სხვა სახის საგარეო ფუნქციებს დამოუკიდებლად ახორციელებდნენ საქართველოს სხვა ხელისუფალთა გარეშე.

სამცხე ერთიან საქართველოს 1266 წლიდან გამოეყო და ულუსად ანუ საუფლისწულო მამულად იქცა. მასში საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორია შედიოდა: **ტაშისკარიდან მოყოლებული კარნუ ქალაქამდე.** უფრო ზუსტად: **სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, კოლა, არტაანი, ჯავახეთის ნაწილი.** ასევე დიდი ტერიტორია შედიოდა სარგისის შვილის ბექას მმართველობაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ სამცხე მონღოლებს უშუალოდ ემორჩილებოდა, მაგრამ რა დამოკიდებულებაში იყო იგი აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოსთან? სრულიად მოსწყდა იგი საქართველოს თუ რაიმე პოლიტიკური კავშირურთიერთობა კვლავ რჩებოდა? ივ. ჯავახიშვილი

სპეციალურად დაჰკვირებია ამ საკითხს და იმ დასკვნამდე მისულა, რომ სამცხეს საქართველოსთან მთლიანად არ გაუწყვეტია კავშირი. სამცხის გამგებლები იწოდებიან როგორც სპასალარებად, ისე მანდატურთუხუცესებად, მეჭურჭლეთუხუცესებად და სხვ. რასაც აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ნებართვის გარეშე ვერ მიიღებდნენ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მას საქართველოსთან პოლიტიკური კავშირი მთლიანად არ გაუწყვეტია და გარკვეული ურთიერთობა კვლავ რჩებოდა. სარგის ჯაყელის შემდეგ კი, მისი მემკვიდრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს და შემდეგშიაც მესხეთის გამგებლები ხარაჯას იხდიან და მონღოლებს ლაშქრით ეხმარებიან.

სამცხემ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ბექა მანდატურთუხუცესის დროს. იგი ქვეყნის უნარიანი მმართველი გამოდგა, მოახერხა როგორც გარეშე მტრის მოგერიება, ისე თავის სამფლობელოში მშვიდობიანობის დამყარება. ბექას მოუწვევია საკანონმდებლო კრება, აქ მათ შეუდგენიათ და მიუღიათ იმ პერიოდისათვის მეტად მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საკანონმდებლო ძეგლი: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე ანუ დანაშაულობათა წიგნი“. ეს ძეგლი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ნიმუშია.

როგორც უკვე აღინიშნა, სამცხე პოლიტიკური ერთეულია, რომელსაც თავისი სახელმწიფო ორგანოები გააჩნია. სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფალია სამცხის მთავარი, რომელსაც ათაბაგი ეწოდება. ათაბაგის უფლებამოსილება ძალზე ფართოა. იგი გვევლინება როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი. იგი უმეტეს შემთხვევაში პირადად ხელმძღვანელობდა საომარ მოქმედებებს, ჯარს, ზრუნავდა ქვეყნის სამხედრო ძლიერებისათვის.

ათაბაგის სხვა ფუნქციებიდან აღსანიშნავია „ათაბაგის შეწყალება-შერისხვის“ ფუნქცია. ათაბაგი უპირველესად თვითონ არის მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე და, აქედან გამომდინარე, მას აქვს მიწების ფლობა-განკარგვის უფლება. ათაბაგს, რომელსაც საეკლესიო ხელისუფლებაც ემორჩილება (მაწყვერელი), ხელი მიუწვდებოდა ეკლესია-მონასტრების ქონებაზე. ათაბაგი მის ქვეშევრდომ მოხელეებს სამსახურისათვის მფლობელობის უფლებით აძლევდა მიწას, რომლის გასხვისების უფლება მათ არ ჰქონდათ. ასეთივე უფლებით ეძლეოდათ მიწები ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებსაც.

სამცხის ათაბაგის ფუნქციებიდან აღსანიშნავია მისი საგარეო

ურთიერთობის მოწესრიგების ფუნქცია. ათაბაგს ჰყავდა საკუთარი წარმომადგენლები, ელჩები, ჰქონდა გერბი, დროშა და აწარმოებდა მოლაპარაკებებს როგორც დამოუკიდებელ, ისე მოხარკე ქვეყნებთან. ქვეყნის საგარეო ფუნქციის განხორციელებისას სამცხის ათაბაგს ევროპული წყაროები მეფედ მოიხსენიებენ, ხოლო მის მეუღლეს — დედოფლად.

სამცხის ათაბაგი უზენაეს კანონმდებლად და უმაღლეს მოსამართლედ გვევლინება. ამის დამადასტურებელია სამცხის მთავრების ბექასა და აღბუღას წარმატებული საქმიანობა კანონშემოქმედებით სფეროში — მათ შეიმუშავეს და მიიღეს ისეთი საკანონმდებლო ძეგლი, როგორიცაა „სამართალი ბექასი“ და „სამართალი აღბუღასი“ ანუ „სამართალი კაცთა შეცოდებისა ყოველსავე“.

ათაბაგს უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების უფლება ჰქონდა. იგი შეუზღუდავი იყო ამ სფეროში, მას შეეძლო ბრალდებულისათვის მიესაჯა ყოველგვარი სასჯელი, მასვე ჰქონდა შეწყალების ანუ შეწყნარების უფლებაც.

სამცხის სახელმწიფო წყობილებიდან ყურადღებას იპყრობს „ათაბაგის საბჭო“ (დარბაზი). ეს ორგანო სამცხეში ერთიანი ფეოდალური საქართველოს მიბაძვით ჩამოყალიბდა, რაც გამოხატულებას პოულობს დარბაზის ფუნქციების განხორციელებაში: ომისა და ზავის, კანონმდებლობის, უზენაესი მართლმსაჯულების დარგში. აღსანიშნავია, რომ სამცხის დარბაზი საკანონმდებლო საკითხების განხილვისას უპირატესად სასულიეროდ სფეროს წარმომადგენლებს ეყრდნობოდა.

სამცხის სახელმწიფო წყობილების განხილვისას ყურადღებას იპყრობს მისი **„ცენტრალური მმართველობის აპარატი“**. აქ მმართველობას ახორციელებენ ისეთი მოხელეები, როგორიცაა: **სახლთუხუცესი**. იგი არის მმართველობის დარგში მთავრის შემდეგ პირველი პირი. მას ევალებოდა საფინანსო-სამეურნეო საქმეები, ყოველგვარი გადასახადები, ოჯარა, ბაჟი, წყალობის, სახელოს ბოძების, მოხელეთა საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი. სახლთუხუცესი ათაბაგის სახელით მოქმედებდა.

სახლთუხუცესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი სახელო იყო **„მსახურთუხუცესის“** უწყება. იგი გვევლინება როგორც ათაბაგის ქონებისა და მეურნეობის მმართველი, სალაროს გამგებელი, ეს სახელო ერთიანი ფეოდალური საქართველოს დროინდელი მსახურთუხუცესის ანუ ვაზირის ინდენტური იყო.

სამცხის სამთავროს სხვა მოხელეებიდან აღსანიშნავია: „ამი-

ლახორი“ (იგი სამხედრო უწყების ხელმძღვანელის ამირსპასალარის თანაშემწეა), „მოლარეთუხუცესი“, „მდივანი“ (იგი სამდივნოს ანუ კანცელარიას განაგებდა), „მესტუმრეთუხუცესი“ (იგი ხელმძღვანელობდა მოციქულების, სტუმრების, მეძღვნეთა მიღებადახვედრას, დაპურებასა და გაცილებას), „მეღვინეთუხუცესი“, „გალატოზთუხუცესი“ (აღმშენებლობითი საქმიანობის მეთაური).

სამცხის სამთავროს მმართველობის სისტემაში წარმომადგენელნი იყვნენ ასევე „სასახლის წვრილი მოხელენი“, მათ შორის „ციცხვნი“ (აბანოს, გათბობის, სახლის დაგვის, შეშის მომზადების, ცეცხლის დანთების მოხელენი), „მეჯინიბე“, „ბაზიერი“ (ნადირობის საქმიანობის მოხელე), „მეთოფე“ (ათაბაგის დაცვის უწყების მოხელე), „ჯვრის მტვირთველი“ (მას, როგორც სასულიერო მოხელეს მხოლოდ ჯვრის ტარება ევალებოდა).

სამცხის სამთავროს ადგილობრივი მმართველობის მოხელეთაგან აღსანიშნავია: „ერისთავთ-ერისთავი“ (მას ათაბაგი ნიშნავდა და იგი ემსგავსება გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს შესაბამის მოხელეს), „ერისთავი“ (ათაბაგის მორჩილი მოხელე, საკუთარი საერისთავოს უფროსი მოხელე), „ამირთ-ამირა“ (ქალაქების უფროსი და გამგებელი მოხელე), „ამირა“ (იგი იყო ქალაქის მმართველი, ასევე შემოერთებული ქალაქის გამგებელიც, რომელსაც ათაბაგი ნიშნავდა), „მოურავი“ (ციხის, სოფლის ან ქალაქის გამგებელი, რომელსაც ათაბაგი ნიშნავდა), „მამასახლისი“ (აქ იგულისხმება საერისთავოს მამასახლისი), „ციხისთავი“ (იგი ერისთავების ქვეშევრდომი მოხელეა, რომელსაც ციხის დაცვა ევალებოდა თავისი ხელქვეითურთ), „მებაჟე“ (იგი ქალაქის ეკონომიკური საქმიანობის ხელქვეითი მოხელე იყო).

სამცხის სამთავროს პოლიტიკური წყობილების გვერდით ყურადღებას იპყრობს აქაური „სასამართლო ორგანიზაცია“. სამცხეში არსებობდა ათაბაგის სასამართლო. იგი უზენაესი სასამართლო ინსტანცია იყო, რომელსაც ათაბაგი ედგა სათავეში. ათაბაგი როგორც უზენაესი მოსამართლე: იხილავდა დიდებულთა დავის საქმეებს, მას ჰქონდა სიკვდილით დასჯის უფლება, შეწყალების უფლება, ათაბაგს შეეძლო ნებისმიერი საქმის განხილვა-გადაწყვეტა.

სამცხის სამთავროს სასამართლო სისტემაში აღსანიშნავია „მაწყვერელის“ სასამართლო. მაწყვერელი სასულიერო პირია, ხშირად იგი საქმეებს იხილავს ათაბაგთან ერთად (მაგალითად, სამ-

შობლოს ღალატი, ორგულობა, სალაროს გატეხა, ხატის დამტვრევა, საყდრის გატეხვა). მაწყვერელს დამოუკიდებლად შეეძლო საქმეების განხილვა, მაგალითად, გრძნეულება, მკითხაობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ სამცხეში სასულიერო ხელისუფლება საერო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. ეს ჩანს იქიდანაც, რომ ათაბაგს შეეძლო მაწყვერელის დასჯა და შეწყალება.

სამცხის სასამართლო ორგანოთა შორის აღსანიშნავია ბჭის სასამართლო. ბჭე როგორც შუაკაცი, მედიატორი, ზოგჯერ მხარეთა მიერ ირჩეოდა, ზოგჯერ იგი ათაბაგის დავალებით იხილავდა საქმეებს.

საქართველოს კვლავ გაერთიანება გიორგი ბრწყინვალეს დროს

ბექა მანდატურთუხუცესის დროიდან თავი იჩინა საქართველოსათვის ერთმა არასასიამოვნო გარემოებამ: მესხეთში დაიწყო თურქთა შემოსევა. ბექა მანდატურთუხუცესი თავისი ჯარით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქთა შემოსევას, მაგრამ მას მხოლოდ 12 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეეძლო. ბექა მანდატურთუხუცესი აქტიურად ჩაერთო ტრაპიზონის საკეისროს ქართული ორიენტაციისათვის ბრძოლის საქმეში. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ტრაპიზონის მიმხრობას, მის დამორჩილებას აქტიურად ცდილობდა ბიზანტია, ამიტომ მისი დანათესავების, დამოყვრებისათვის იბრძოდა, მაგრამ ქართველმა ხელისუფლებმა დაასწრეს ბიზანტიელებს და ტრაპიზონის კეისარი მანდატურთუხუცესის ასულზე დაქორწინდა. ამ ნაბიჯით ტრაპიზონში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა ორიენტაციამ გაიმარჯვა. ამის წყალობით ტრაპიზონის საკეისრომ თურქთა შემოსევის ალაგმვაც მოახერხა და ზღვის სანაპიროზე მეკობრეობაც მოსპო.

XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში საქართველო არ წარმოადგენდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. პროგრესული ძალების მრავალგზის ცდის მიუხედავად ქვეყნის გაერთიანება არ მოხერხდა. ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა მონღოლთა მძიმე უღელი.

როგორც აღინიშნა, ირანის ილხანთა (მონღოლთა) უკანასკნელი მმართველი იყო ყაზან ყაენი. მისი გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა ურდო იშლება, ბოლო ელება მათ ბატონობას დაპყრობილ ქვეყნებზე.

საქართველოს კვლავ გაერთიანება მონღოლთა დასუსტებას ემთხვევა. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ტახტზე ადის გიორგი V – შემდგომში ბრწყინვალედ წოდებული (1314-1346 წწ.).

გიორგი V ბრწყინვალე უაღრესად ნიჭიერი პოლიტიკოსი გამოდგა. მან ბრძნულად გადაწყვიტა, რომ მონღოლებთან ავკანყებას აზრი არა ჰქონდა, რადგან მონღოლებს დასუსტების მიუხედავად კიდევ შესწევდათ იმდენი ძალა, რომ საქართველო დაემარცხებინათ, ამიტომაც გიორგი სხვა გზას დაადგა. იგი მოხერხებულად დაუახლოვდა მონღოლთა გამგებელს ჩობან ნოინს და მასთან სიახლოვე საქართველოს გასაერთიანებლად გამოიყენა. თვით ჩობანი დიდად აფასებდა გიორგის ნიჭსა და ჭკუას. საქართველოს ჯარი ჩობანისათვის ერთგვარ დასაყრდენს წარმოადგენდა. გიორგი ბრწყინვალე ჩობანის იმედით სჯიდა ურჩ ფეოდალებს. 1327 წელს კი თვით მონღოლებმა ჩობანი და მისი ორი ვაჟი დახოცეს. მონღოლთა ურდოში არეულობა დაიწყო, რაც მათი ხელისუფლების აღსასრულის მომასწავებელი იყო.

გიორგი ბრწყინვალემ ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება ოსების თარეშის ალაგმვით დაიწყო. მან ალყა შემოარტყა გორს, სადაც ოსები იყვნენ გამაგრებულნი. სამი წლის ბრძოლის შემდეგ გორის აღება მოახერხა და ოსების განდევნა შეძლო.

მეორე ამოცანა მთავართა თვითნებობისა და განდგომილების მოსპობა იყო. გიორგი ბრწყინვალემ ჰერეთ-კახეთისა და სომხითის ერისთავნი, რომლებიც მონღოლურ ორიენტაციას მისდევდნენ, კახეთს, ცივის მთაზე სადარბაზოდ მიიწვია და ამოწყვიტა. ეს იყო უკიდურესი ზომა ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგ.

1329 წელს გიორგი ბრწყინვალე დასავლეთ საქართველოში გადავიდა და ჭუთაისი აიღო. ამით ფაქტობრივად საქართველოში ორმეფობა მოსპო.

1334 წლისათვის გიორგი ბრწყინვალემ მესხეთის სამთავროც შემოიერთა.

საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის გარდა გიორგი ბრწყინვალემ დიდი ყურადღება დაუთმო საკანონმდებლო საქმიანობას, ფინანსებს, კულტურას.

გიორგი ბრწყინვალეს დროს იქნა შედგენილი საქართველოს მთიულეთისათვის „ძეგლის დადება“. მის დროს უნდა იყოს შედგენილი

სახელმწიფო სამართლის უნიკალური ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“. გიორგი ბრწყინვალემ საკუთარი ფულიც მოჭრა, რომელიც გიორგაული თეთრის სახელითაა ცნობილი. „XIV საუკუნის პირველი ნახევრისათვის საქართველომ გიორგი ბრწყინვალეს სამხედრო ნიჭისა და სახელმწიფოებრივი სახელგანთქმულობის აღდგენა იმდენად შეძლო, რომ მისი ძლიერების ხმამ ეგვიპტემდისაც მიაღწია. იმდროინდელი არაბული წყაროებიდან ვიცით, რომ საქართველო მაშინ დიდ ქვეყანად ითვლებოდა, ძლიერ სახელმწიფოდ იყო მიჩნეული. რომის პაპსაც სცოდნია, რომ საქართველოს სახელმწიფოში ბევრი ხალხი ცხოვრობდა; ეგვიპტის მთავრობამაც იცოდა, რომ მაშინდელ საქართველოში მტკიცე სახელმწიფოებრიობა იყო დამყარებული და საქართველოს ჯარის მამაცობისა და ქრისტიანობის მტკიცე დამცველობის სახელგანთქმულობა ხომ ეგვიპტის სულტნებსაც ჰქონდათ გაგონილი“[1]. გიორგი ბრწყინვალეს მეფობის პერიოდში ძალზე გაიზარდა საქართველოს ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით. ამაზე მეტყველებს გიორგი ბრწყინვალეს მიერ წაყენებულ ულტიმატუმთა დაკმაყოფილება არაბთა ხელისუფლების მიერ.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XIV საუკუნის შუა ხანებიდან XV საუკუნის დასასრულამდე

გიორგი ბრწყინვალეს გარდაცვალების შემდეგ – 1346 წლიდან 1386 წლამდე ასე თუ ისე მიმდინარეობს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ 1386 წლიდან საქართველოს მოევლინა ახალი მტერი – თემურლენგი, რომელმაც რვაჯერ ილაშქრა საქართველოში: პირველად – 1386 წელს, მეორედ – 1387 წელს, მესამედ და მეოთხედ – 1394 წელს, მეხუთედ – 1399 წელს, მეექვსედ – 1400 წელს, მეშვიდედ – 1402 წელს, მერვედ – 1403 წელს. სამცხეში თემურლენგის ჯარი ხუთჯერ შეიჭრა (1386, 1394, 1400, 1402, 1403 წლებში), თრიალეთში ოთხჯერ (1386, 1394, 1400 და 1403 წლებში). განსაკუთრებით სასტიკი ხასიათისა იყო თემურლენგის შემოსევები „შვიდ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI–XV საუკუნეები. თბ., 1949, გვ. 199.

წლიანი“ ლაშქრობის დროს. შეიძლება ითქვას, რომ თემურლენგზე უფრო ვერაგი და სასტიკი მტერი საქართველოს არ ჰყოლია. თემურლენგის რვა ლაშქრობის შედეგად დასუსტდა ქვეყანა. „ქვეყნის აოხრების გარდა, დიდძალი ხალხის დაღუპვამ, საქართველო ისე დაასუსტა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ამ სისხლის დენის შედეგად გამოკეთება ვერარ შეძლო. იმ დროს აოხრებული მრავალი ადგილი XV-XVI საუკუნეებშიც კი საკმაო მოსახლეობის უქონლობის გამო, გაუკაცრიელებელი დარჩა“[1].

ივ. ჯავახიშვილი აფასებს ქართველ მეფეთა პოლიტიკას თემურის შემოსევის პირობებში და მცდარად მიიჩნევს მათ აქტიურ ბრძოლას უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ; „დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრულებით კანონიერიცაა და ბუნებრივიც იყო საქართველოსათვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებში იყო აქტიური პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი და რა პირობებში უკვე ასეთი მოქმედება მიზანშეწონილ ნაბიჯად არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო. სანამ ისეთი დიდი სამფლობელოს, როგორც ჩრდილოეთის ულუსი იყო, დამარცხებით არ გამოირკვევა, რომ თემურლენგს მაშინდელ მთელ აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში არც ერთი ღირსეული მოწინააღმდეგე არ ჰყავდა, თემურლენგთან ბრძოლის მოგების შესაძლებლობა კიდევ დასაჯერებელი იყო, მაგრამ მას შემდგომ, რაც ეს გამოირკვა, საქართველოს იმდროინდელს მთავრობას უნდა შეეგნო, რომ მოგერიებითი პოლიტიკის გარდა, მისთვის სხვა არავითარი პოლიტიკის გეზი მიზანშეწონილი არ შეიძლება ყოფილიყო“[2].

თემურლენგის ლაშქრობების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაომარი ჭრილობები უნდა მოეშუშებინა და ამის პარალელურად საქართველოს საზღვრებიდან განედევნა მონღოლთა ჯარის ნაშთები. საბედნიეროდ, თემურლენგის ლაშქრობების შედეგად, საქართველოში არც პოლიტიკური მდგომარეობა შეცვლილა და არც ტერიტორიულად შემცირებულა ქვეყანა მცირე გამონაკლისების გარდა. კერძოდ, საქართველოს სამხრეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც წინათ საქართველოში შედიოდა, თემურლენგის შემოსევის შედეგად ხელიდან

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, X-XV საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 222.

[2] იქვე.

გამოეცალა. ასეთი იყო: შანქორი და გაჩიანი, ანუ ხაჩენი, ყოველივე ეს კი საშიშროებას ქმნიდა საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარზე, რადგანაც ისედაც ღია, ძნელად დასაცავი მხარე საქართველოს დასავლეთ, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ საზღვრებთან შედარებით. სრულიად თავისუფალი, მოშიშვლებული აღმოჩნდა. თემურლენგის შემოსევის შედეგად მეტად საზიანო გახდა ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის ნაცვლად მუსულმანობის დამკვიდრება, რამაც საქართველოს გარშემო შექმნა მუსულმანური გარემოცვა, და რაც ოსმალთა მიერ 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებით დასრულდა.

XV საუკუნეში ტარდება ღონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის. ამ პოლიტიკას წარმატებით ახორციელებს ალექსანდრე I (1412-1442 წწ.). მან პირველი ნაბიჯები ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად გადადგა. 1414 წელს დასავლეთ საქართველოში გადავიდა ჯარით და იქაური თავნება მთავრები ალაგმა. ასევე დაამარცხა 1415 წელს განდგომილი ივანე ათაბაგი. ალექსანდრე I-მა გაატარა ღონისძიებანი მტრისაგან მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. მას 1413 წელს აუღია ლორე, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს დროს საქართველოს ეკუთვნოდა და თემურლენგის ლაშქრობების პერიოდში, კერძოდ, 1386-1387 წლებში დაიკარგა იგი თითქმის ნახევარი საუკუნით. 1434-1435 წლებში შემოერთებულ იქნა სივნიეთის ანუ ახლანდელი ყარაბაღისა და მისი მიმდებარე ტერიტორია. ამ უკანასკნელის შემოერთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო თვალსაზრისით, რადგან ირანის მფლობელნი საქართველოს უშუალოდ ველარ მოადგებოდნენ.

ალექსანდრე I-მა ფართო სამუშაოები ჩაატარა დანგრეული ციხე-ტაძრების აღსადგენად და დაცარიელებული, უკაცრიელი ადგილების დასასახლებლად. მას მთიდან გადმოუსახლებია მოსახლეობა ბარის დაცარიელების გამო. ასევე დაცარიელებული აღმოსავლეთ საქართველოს შესავსებად დასავლეთ საქართველოდან მომხდარა კოლონიზაცია. არის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდის საქართველოში ხდებოდა უცხო ტომთა კოლონიზაციაც. კოლონიზაციის მიზანი გაპარტახებული მეურნეობის აღდგენა იყო. გადმოსახლებულთა შორის ბევრი იყო სომეხი, რომლებიც საქართველოში პოულობდნენ თავშესაფარს[1].

აღდგენითი სამუშაოები წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 729.

1440 წლისათვის საგარეო და საშინაო გართულებებმა ქვეყნის წინსვლა კვლავ შეაჩერა. კერძოდ, 1440 წელს საქართველოს შემოესია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული შავბატკნიანთა სახელმწიფოს გამგებელი ჯეჰან შაჰი. მან ცეცხლსა და მახვილს მისცა აღმოსავლეთი საქართველო. „როგორც ამ ამბის დაწვრილებით აღმწერი თომა მეწოფელი ამბობს, ეს დღე აღდგომა ყოფილა. მაშინ მტერს არავინ ელოდა და წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს. მტერმა ბევრი დახოცა და ბევრი ტყვე იშოვა. ჯეჰან შაჰმა ქ. სამშვილდე აიღო და თავისი გამარჯვების აღსანიშნავადო, გადმოგვცემს სომეხი ისტორიკოსი, აქ 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა დაადგმევინა; ტყვეები 9400-ს აღწევდაო...“[1]. ამის შემდეგ მტერს თბილისი აუღია და მოსახლეობას საშინელი სიმხეცით გასწორებია.

შავბატკნიანთა სახელმწიფოს შემოსევას დაემატა სამეფო კარზე ჩამოვარდნილი უთანხმოება, რის დამადასტურებელიც ალექსანდრე მეფის ტახტიდან გადადგომა და ბერად აღკვეცა იყო.

საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება XV საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში აშკარად გამოიკვეთა შინაფეოდალური აშლილობა და ქვეყნის პოლიტიკური დაჭუცმაცება. ალექსანდრე დიდის შემდეგ გამეფდა მისი ძე ვახტანგ III (1442-1446 წწ.), რომელიც მალე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ძმა გიორგი VIII (1446-1466 წწ.). იგი საქართველოს ერთმმართველ მეფედ იხსენიება, მაგრამ უშუალოდ იმერეთი, ქართლი და კახეთი ემორჩილება. ქვეყნის დაჭუცმაცება კი ასე დაიწყო: ყველაზე ადრე სრული განკერძოების გზას დაადგა სამცხის სამთავრო. უკვე 1451 წლიდან სამცხის სამთავრო აღარ ცნობდა საქართველოს არც საერო და არც საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესობას. კიდევ მეტი, 1462 წელს სამცხის მთავარმა ყვარყვარემ ომი დაიწყო გიორგი VIII-ის წინააღმდეგ. ყვარყვარეს ეხმარებოდა ირანის მბრძანებელი უზუნ ჰასანი და გაიმარჯვა კიდეც. ხოლო 1465 წელს მეფის დაპატიმრებაც მოახერხა. ამ პერიოდიდან სამცხის მთავრებს ეწოდათ ათაბაგები, ხოლო სამთავროს „სამცხე-საათაბაგო“. ეს სამთავრო გადაჭიმული იყო ბორჯომის ხეობიდან ჭოროხის ხეობამდე. ამ სამთავროს პოლიტიკური წყობილების შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბარეთ.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 7[illegible].

1463 წელს მეფეს აუჯანყდა ქუთაისის ერისთავი ბაგრატი. მან დაამარცხა მეფე, მაგრამ ვერ შეძლო ქუთაისის მტკიცედ შემოერთება.

1470 '175 წლებში ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა საბედიანო. მასში შედიოდა: გურია, სამეგრელო, აფხაზეთი; მისი ქალაქები იყო: ცხუმი, ფოთი, ქაჯთა ციხე (ახლანდელი ციხისძირი) და ბათუმი. მიუხედავად იმისა, რომ საბედიანო იურიდიულად ისევ ერთიანი საქართველოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, მას საკუთარი მართვა-გამგეობა ჰქონდა, ჰყავდა სამეგრელოს მთავარი „ბედიანი", იგივე „დადიან გურიელი", ჰყავდა საკუთარი ჯარი, ჰქონდა საკუთარი საზღვრები.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსათვის (არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის) დიდ საფრთხედ იქცა ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობა. მზადდებოდა ჯვაროსნული ომი ოსმალების განსადევნად კონსტანტინოპოლიდან და მის გასათავისუფლებლად, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოც. საქართველოში ჩამოდიან დასავლეთ ევროპის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოს მეფეს აცნობენ ბრძოლის გეგმებს. ამ კამპანიამ საქართველოზე გარკვეული კეთილმყოფლური გაულენა მოახდინა იმ მხრივ, რომ განკერძოების მომხრე სამეფო-სამთავროები დროებით დაუზავდნენ მეფეს, მაგრამ 1461 წლისათვის ჩაიშალა ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის გეგმა და საქართველოს ერთიანობის დარღვევის ჩარხი მთელი სისწრაფით უკუღმა დატრიალდა.

მას შემდეგ, რაც ანტიოსმალური კოალიციის შედგენა არ მოხერხდა, თურქებმა დიდი საფრთხე შეუქმნეს ქრისტიანულ ქვეყნებს, მათ შორის იტალიას. სწორედ იტალიის მეთაურობით მზადდება ახალი ანტიოსმალური კოალიცია. ამ გეგმის მიხედვით, თურქეთის დასამარცხებლად თავდასხმა უნდა დაწყებულიყო აღმოსავლეთიდან — ირანიდან, ჩრდილოეთიდან უნდა შემოსულიყო ოქროს ურდო, ხოლო ზღვიდან — ვენეცია. მაგრამ გეგმა მეორედაც ჩაიშალა. ირანის მეფემ უზუნ ჰასანმა არ ინდომა კოალიციაში ჩაბმა. სამაგიროდ იწყო საქართველოს არაერთგზის დალაშქრა: 1473 წელს, 1477 წელს 35000-40000 ლაშქრით.

ქვეყნის შიგნით პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები გააღრმავა, მოისრა ვაჭრობა — აღებ-მი-

ცემობა. გაბატონებული კლასი კი თავისას არ იშლიდა – ადიდებდა საგადასახადო გამოსაღებებს, აწესებდა ბეგარას. ქვეყანას მუსრს ავლებდა სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებები – მათ შორის შავი ჭირი (1475 წ.).

ქართველი პოლიტიკოსები უკანასკნელ ცდას მიმართავენ ქვეყნის გასაერთიანებლად. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა უაღრესად გართულებული იყო, ქართლის მეფესა და მის მთავრობას განუზრახავს, რომ ომით გაენადგურებინა უამრავი მეფე თუ მთავარი და ამ გზით შეეკავშირებინა საქართველო. ქართლის მეფეს კონსტანტინეს 1490 წელს მოუწვევია დარბაზი, რომელსაც კათალიკოსი, ეპისკოპოსები და სხვა წარჩინებულები ესწრებოდნენ. დარბაზს უარი უთქვამს ომის გზით საქართველოს გაერთიანებაზე: ,,ერთს რომ ვძლიოთ, სულ ერთია მეორეს და მესამეს მაინც ვერ ვძლევთ, რადგან ქვეშევრდომნი მტკიცედ იცავენ თავთავიანთ მეფეებს"[1]. ამის შემდეგ დარბაზს საზავო გადაწყვეტილება მიუღია: კონსტანტინე დაზავებია კახეთის მეფეს, იმერეთის მეფესა და სამცხის ათაბაგს, დაუდგენიათ სახელმწიფო საზღვრებიც[2]. ფაქტობრივად ეს იყო საქართველოს დაშლის აღიარება. მალე – 1491-1492 წლებში საქართველოს დაშლა იურიდიულადაც გაფორმდა, რადგან მეფეებმა და სამცხე-საათაბაგოს მთავრებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებასა და სახელმწიფო საზღვრებიც დააწესეს. სწორედ ასეთ ვითარებაში, XV საუკუნის დასასრულს, ჩნდება იდეა უცხო სახელმწიფოს დახმარებისა[3]. ქართველი პოლიტიკოსები მიმართავენ რომის პაპს, ესპანეთის დედოფალს, სამწუხაროდ, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება რუსეთისაკენ ორიენტაცია. კახეთის მეფეს რუსეთის მთავართან ივანე III-სთან 1491 წელს ელჩები გაგზავნა. ასე დასრულდა საქართველოსათვის XV საუკუნე. XVI საუკუნეს ქვეყანა დასუსტებული და დაშლილ-დაქუცმაცებული შეხვდა.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 750.

[2] იქვე.

[3] თუმცა ეს იდეა ქართული პოლიტიკური ერთეულებისათვის ახალი როდია. ამაზე მეტყველებს VI საუკუნის კოლხეთის პოლიტიკური ორიენტაცია. იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, გვ. 33-135, თბ., 1936.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში

მდგომარეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც აღინიშნა, XV საუკუნის დასასრულს დამთავრდა საქართველოს დაყოფა სამეფო-სამთავროებად. მაგრამ დაქუცმაცების პროცესი ამაზე არ შეჩერებულა, ქვეყანა უფრო წვრილ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა. XVI საუკუნიდან უკვე ყალიბდება სათავადოები — ქსნისა და არაგვის საერისთავოები, სამილახორო, საციციანო, საბარათიანო. „კახეთში ყველაზე ძლიერი თავადები ჩოლოყაშვილები იყვნენ, სამცხე-საათაბაგოში — შალიკაშვილები. იმერეთის სამეფოში, სამეგრელოსა და გურიის მმართველებს ნახევრად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი, ხოლო XVI საუკუნის შუა წლებში თითქმის სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს[1].

XVI საუკუნიდან საქართველოს მდგომარეობას ართულებს საგარეო ფაქტორიც. დაბეჯითები შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ფაქტორმა უფრო მეტი გავლენა იქონია ქვეყნის დასუსტება-დაცემაზე. საქართველოს დაქუცმაცების საქმეში აქტიურად ერევიან უცხოელი დამპყრობლები. ბუნებრივია, მათ ხელს არ აძლევთ ამიერკავკასიაში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობა.

ცნობილია, რომ XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალზე ძლიერდება ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო, რომელმაც ჯერ კონსტანტინოპოლი დაიპყრო, ხოლო შემდეგ ტრაპიზონის სახელმწიფო. XVI საუკუნეში მის შემადგენლობაში შედიოდა: მთლიანად მცირე აზია, საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, ბოსნია, ჰერცოგოვინა, მესოპოტამია, სირია, ჰიჯაზი, ეგვიპტე, ალჟირი და სხვ. 1475 წლიდან ოსმალეთის ვასალი გახდა ყირიმის სახანო. აი, ასეთი „ვეშაპი" დაუმეზობლდა საქართველოს, რომელიც ჩაყლაპვით ემუქრებოდა ქვეყანას. საქართველოს აღმოსავლეთით XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა სეფიანთა ირანის ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავიდანვე ქართული სამეფოების დამორჩილების პოლიტიკას ატარებდა. კახეთის სამეფო კარი მორჩილება-ვასალობის გზით ცდილობდა თავის გადარჩე-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 86.

ნას. მისგან განსხვავებით, ქართლის სამეფო კარი არ ურიგდებოდა სეფიანების სახელმწიფოს ვასალობას და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. სეფიანთა ირანის აგრესიული პოლიტიკა დასავლეთისაკენ — თურქეთის ინტერესებს შეეჯახა, რომელსაც ასევე სურდა ამიერკავკასიისა და საქართველოს დაპყრობა. „ირან-ოსმალეთის ომები (XVI-XVIII სს.) უმთავრესად ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს დაუფლებისათვის წარმოებდა“[1].

1501 წელს ირანის გამგებელმა ისმაილმა ნახჭევანის მახლობლად გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ერთი წლის შემდეგ აზერბაიჯანი (ადერბეჯანი) დაიპყრო და სატახტო ქალაქად თავრიზი გაიხადა. ამის შემდეგ მისი წინსვლა დასავლეთისაკენ აღარ მოხერხდა, იმის გამო, რომ მეტად გაძლიერებულმა თურქეთმა არაერთგზის დაამარცხა ირანი (1513 წ., 1514 წ.) და თურქეთის ძლევამოსილი გამგებელი 1515 წელს ირანის სატახტო ქალაქშიაც კი შევიდა. 1538 წლიდან ყიზილბაშებმა დაიპყრეს შირვანი, 1551 წელს — შაქი.

რასაკვირველია, ძლევამოსილი ოსმალეთი არც საქართველოს დაყურდა ხეირს. ოსმალებმა იწყეს შეტევა ჭანეთზე (ლაზისტანი), გურიასა და სამცხე-საათაბაგოზე, ტრაპიზონისა და არზრუმის მხრიდან. ოსმალები ასევე ცდილობდნენ ჩრდილოეთიდანაც შემოტევას, რადგან მათ ამ დროს დაპყრობილი ჰქონდათ აზოვისა და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონი, ასევე დონის შესართავი და აზოვი. ყირიმიდან ქერჩის სრუტით თურქეთი თანდათან მოიწევდა წინ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ.

1500-1515 წლებში სამცხეს განაგებს მზეჭაბუკი, რომელმაც თურქული ორიენტაცია აიღო, დაუზავდა თურქეთს და მისივე თანხმობითა და მხარდაჭერით გაილაშქრა გურიაზე. მან მოახერხა ჭანეთისა და აჭარის მიერთება სამცხე-საათაბაგოსათვის. მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგი გახდა ყვარყვარე III. იგი თურქული ორიენტაციის წინააღმდეგი იყო და ირანთან კავშირში მოქმედებდა. ტახტის პრეტენდენტი მანუჩარი კი თურქეთის მომხრეობას ქადაგებდა. სამეფო კარზე ატეხილმა ბრძოლამ ყვარყვარე III ირანს გააქცია, საიდანაც 1516 წელს ირანის ჯარი შემოიყვანა, თმოგვის ციხესთან გამართულ ბრძოლაში ირანელებმა გაიმარჯვეს და ყვარყვარეს ათაბაგობა დაუბრუნეს.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 92.

ამ პერიოდის ქართლში მეფობს დავით X (1505-1525 წწ.). სამეფო ძალზე დასუსტებულია. ამით ისარგებლა იმერეთის მეფე ალექსანდრემ, შეესია ქართლს და ხელში ჩაიგდო გორისციხე. ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდ. ლიახვამდე — იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა, მაგრამ არა დიდი ხნით — თვით იმერეთსაც თურქეთი შემოესია, დაიპყრო და აოხრა ქუთაისი, გადაწვა და დაანგრია გელათი.

რა მდგომარეობაა კახეთის სამეფოში? მიუხედავად იმისა, რომ კახეთი ცდილობს მშვიდობიანი პოლიტიკით გადაირჩინოს ირანისაგან თავი — ქვეყნის შიგნით როდია სიმშვიდე. ალექსანდრე I-ის მემკვიდრე ავგიორგი სამეფო ტახტის დაუფლების სურვილით კლავს თავის მამას — მეფე ალექსანდრეს, თვალებს დასთხრის ძმას და კახეთიდან გააძევებს. სწორედ ამიტომ ხალხმა მას ავგიორგი უწოდა. ავგიორგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ქართლის ტერიტორია დაეპყრო, აეწიოკებინა და დაერბია მოსახლეობა. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, 1513 წელს იგი დააპატიმრეს ბაგრატ მუხრანბატონის მეთაურობით ალისის ხევში და ციხეში მოაკვლევინეს. მისი გარდაცვალების შემდეგ კი — 1513 წელს ქართლი იპყრობს კახეთს. 1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდაა გაერთიანებული, მაგრამ არა დიდი ხნით. 1518 წლისათვის კახეთის ტახტზე ლევანი ადის. კახეთის შემოსაერთებლად ქართლის მეფე არაერთგზის აწყობს ლაშქრობებს, მაგრამ ამაოდ. ლევანის მეფობის პერიოდში (1518-1574 წწ.) არის ერთგვარი ცდა კახეთის დამოუკიდებლობის მისაღწევად, მაგრამ დაახლოებით 1521 წლიდან იგი ირანის ვასალი ხდება და ასე გრძელდება 1578 წლამდე, ე.ი. ლევან მეფის გარდაცვალებამდე.

რაც შეეხება ქართლს, იგი ენერგიულად იბრძვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. სწორედ ამიტომ ირანის შაჰი ისმაილი 1522 წელს ქართლის დასამორჩილებლად შემოიჭრა, აოხრა ქვეყანა, დაიპყრო დედაქალაქი თბილისი. 1524 წელს შაჰი ისმაილი გარდაიცვალა, გამეფდა მისი 10 წლის ვაჟიშვილი თამაზი. ამით ისარგებლა ქართლის მეფემ დავით X-მ და იმავე წელს თბილისი დაიბრუნა. 1524 წელს დავითი ბერად აღიკვეცა. სამეფო ტახტი მის მემკვიდრეს ლუარსაბს უნდა დარჩენოდა, მაგრამ დავითის ძმა გიორგი IX დაჰპატრონებია მას, თუმცა მცირე ხნით — 1524-1526 წლებში. 1527 წლიდან ქართლის მეფე ხდება ლუარსაბი (1527-1556 წწ.). იგი თითქმის 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართლის ბრძოლას ყიზილბაშების (ირანის) წინააღმდეგ.

ლუარსაბის მეფობის პერიოდში ირანის შაჰი თამაზი ოთხჯერ შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ ვერ დაიმორჩილა უშიშარი და გულადი მეფე. კიდევ მეტი — თვით ლუარსაბი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსაც კი ეხმარებოდა დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლუარსაბ მეფე ცდილობდა საქართველოს მებრძოლი ძალების გაერთიანებას. მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კახეთის მეფესთან, ხოლო იმერეთის მეფესთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა.

ქართლის მეფე ლუარსაბი ძალზე მოხერხებულად სარგებლობდა ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული წინააღმდეგობებით და ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ დაეპყრო საქართველო.

რა მდგომარეობაა იმერეთის სამეფოში. აქ მეფობს ბაგრატ III (1510-1565 წწ.). იგი, ერთი მხრივ, ცდილობს გაუმკლავდეს მოძალებულ გარეშე მტრებს, მეორე მხრივ — შეინარჩუნოს ქვეყნის შიგნით სტაბილურობა, დაძლიოს ცენტრიდანული ძალების წინააღმდეგობა, მოიგერიოს მეზობელთა შემოსევა.

იმერეთის სამეფოს მოსვენებას არ აძლევს თურქეთი. თურქეთის აგრესია წარმოებდა როგორც სამხრეთიდან, ისე ჩრდილო-დასავლეთიდან. ჩრდილო-დასავლეთიდან ოსმალები ჯიქებს იყენებდნენ. ჯიქები ძარცვავდნენ და იტაცებდნენ, შემდეგ ტყვედ ყიდდნენ ოსმალეთის ბაზრებზე აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სოფლებში მოტაცებულ ყმებს.

1533 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მეთაურობით გურიისა და სამეგრელოს მთავრები ლაშქრობას აწყობენ ჯიქეთში. პირველი წარმატებების მიუხედავად, მოკავშირეთა შორის უთანხმოების გამო — ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა.

1535 წელს ბაგრატ III სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ერთად სამცხე-საათაბაგოს შემოსაერთებლად ლაშქრობას აწყობს სამხრეთ საქართველოში. ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა. ტყვედ ჩაიგდეს ათაბაგი ყვარყვარე III. სამცხე-საათაბაგოს თავადებმა დახმარებისათვის თურქეთს მიმართეს. 1536 წელს სულთანის ლაშქარი საქართველოში შემოვიდა. მართალია, ამ შემოსვლით სამცხე-საათაბაგო მთლიანად არ ჩაუგდიათ ხელში, მაგრამ თურქებმა იწყეს აქ ფეხის მოკიდება. 1543 წელს სულთანის ბრძანებით არზრუმის მმართველი მუსა ფაშა 22-ათასიანი ლაშქრით იმერეთს მიადგა. ბაგრატ III ამ მოატყუა მუსა-ფაშა, აღუთქვა მას მორჩილება, მაგრამ როცა უკან გაბრუნდა, დაეწ[illegible] ერთიანად ამოხოცა მისი ჯარი.

1545 წელს სულთანმა დიდძალი ჯარი შემოუსია ბაგრატ III-ის სამეფოს. ამ ომში ბაგრატის მხარდამხარ იბრძოდა გურიელიცა და ქართლის ლაშქარიც. მაგრამ ქართველთა ჯარი დამარცხდა. დამარცხების მიზეზთა შორის ასახელებენ როგორც სამეგრელოს, ისე მესხების მიერ ბრძოლის ველის დატოვებას[1]. ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ათაბაგად ქაიხოსრო III დასვეს (1545-1573 წწ.). ამ პერიოდიდან ოსმალეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამცხე-საათაბაგოში.

იმერეთის სამეფოს დაშლა სამეგრელოს (დადიანის) განდგომით დაიწყო. სამეგრელოს სამთავროს გამგებელი დადიანი სისტემატურად გაურბოდა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ მოწყობილ ლაშქრობებსა თუ თავდაცვით ომებში მონაწილეობას. ბაგრატ III ხედავდა სამეგრელოს განდგომას და ცდილობდა როგორმე მის შემორიგებას. 1548 წელს ბაგრატ III-მ დააპატიმრა სადარბაზოდ მოწვეული დადიანი. ასევე ცდილობდა ბაგრატ III გურიელის დამორჩილებასაც, მაგრამ ვერ მოახერხა.

ბაგრატ III-ის წინააღმდეგ გამოდის ათაბაგი ქაიხოსრო III, რომელმაც გათავისუფლა დატყვევებული დადიანი და ახალციხეში ჩაიყვანა.

XVI საუკუნის შუა ხანებისათვის იმერეთის სამეფო დაიშალა. ამ სამეფოს გამოაკლდა და ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდა: **სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, სვანეთი და მესხეთ-ჯავახეთი.**

1554 წელს მოლაპარაკება დაიწყო და 1555 წლის 29 მაისს მცირე აზიაში ქ. ამასიაში საზავო ხელშეკრულება დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის. დამპყრობლებმა ამიერკავკასია გაინაწილეს. თურქეთს უნდა მიკუთვნებოდა იმერეთის სამეფო სამეგრელო-გურიის სამთავროებითა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი — ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), აფხაზეთი, ლაზეთი, ხოლო ირანს — მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი (სომხეთისავე დასავლეთი კი თურქეთს დარჩა), ქართლისა და კახეთის სამეფოები, სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, მტკვრის აუზი. „საქართველოს შესახებ დადებული შეთანხმება საქართველოს დაუკითხავად მოხდა და დაზავებულმა მოწინააღმდეგეებმა ერთიმეორეს მიანიჭეს ის, რაც მათ ჯერ რეალურად მაინც არ ეკუთვნოდათ“[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 107.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 249.

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVI საუკუნის ეეორე ნახევარში

ა) ქართლი

საქართველოს დაყოფას ირანსა და ოსმალეთს შორის გავლენის სფეროებად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამეფო-სამთავროები სხვადასხვანაირად განიცდიდნენ. ერთნი შეეგუნენ კიდევაც ამ აზრს. უშიშარ, დაუმორჩილებელ პოზიციას იჭერდა ქართლის სამეფო. ქართლის მეფე ლუარსაბი შეებრძოლა ირანელ დამპყრობლებს, დაიბრუნა კიდეკაც ციხე-სიმაგრეები. მეფე ლუარსაბი და მის ირგელივ შემოკრებილი ქართველი პატრიოტები პატრიზანულ ბრძოლებს აწარმოებდნენ. 1556 წელს ლუარსაბ მეფე ყიზილბაშებთან ბრძოლაში დაიღუპა ხრამის ხეობაში. მისმა შვილმა სიმონ I-მა (1556-1560; 1578-1600 წწ.) მრავალი შემოსევა მოიგერია – 1561 წელს, 1567-1568 წლებში. 1569 წელს კი ტყვედ ჩავარდა. მის მაგიერ შაჰმა ქართლის მეფედ დასვა სიმონის გამაჰმადიანებული ძმა – დავითი ანუ დაუდ-ხანი. 1578 წელს სიმონი კვლავ დააბრუნა შაჰმა ქაროლის მეფედ. 1578 წელს დაწყებულ ირან-ოსმალეთის ომში აღმოსავლეთ საქართველო თურქეთის წინააღმდეგ გამოდის. სიმონ I 1578 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე თურქეთის წინააღმდეგ იბრძვის; ცნობილია, რომ ამ პერიოდში საქართველოში იწყება თურქთა მძლავრობა. XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ოსმალეთი თითქმის მთელ ამიერკავკასიას ეუფლება. 1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაზავება ხდება. სიმონ I უზავდება ოსმალეთს შემდეგი პირობით: ოსმალეთი ცნობდა სიმონ I-ს ქართლის მეფედ და არ ჩაერეოდა მის საშინაო საქმეებში. სამაგიეროდ ქართლის მეფეს ხარკი უნდა ეხადა თურქეთისათვის ყოველწლიურად.

ირანი ამ პერიოდისათვის თანდათან სუსტდება. შაჰ-აბას I რუსეთსაც კი სთხოვდა დახმარებას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ რუსეთისაგან დახმარება ვერ მიიღო. 1590 წელს დასუსტებულმა ირანმა საქართველო ოსმალეთის სამფლობელოდ ცნო.

ბ) კახეთი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სეფიანთა ირანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე კახეთმა იკისრა მისი ვასალობა და ამ გზით სამეფოში მშვიდობიანობა დამყარდა. კახეთი ნაკლებად ერეოდა საქართველოს სხვა კუთხეების საქმეებში და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით მოქმედებდა. მაგრამ 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ კახეთს ჩრდილოეთიდან უჩნდება მტერი დაღესტნელი ფეოდალების სახით, რომლებსაც თურქეთის მხარდაჭერა ჰქონდათ. კახეთის მეფეს ლევანს მონაწილეობა არ მიუღია ყიზილბაშთა ლაშქრობებში, როდესაც ეს უკანასკნელნი ქართლს აოხრებდნენ. ამიტომაც შიშობდა ეს მიზეზად არ გამოეყენებინა სპარსეთის შაჰს და ერთგულების დასამტკიცებლად თავისი შვილი იესე გაუგზავნა დიდი ძღვენით. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ძლიერდება რუსეთი. რუსეთმა 1552 წელს ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის სახანოები დაიპყრო. 1563 წელს კახეთის მეფე ლევანი ელჩებს გზავნის მოსკოვში დახმარების სათხოვნელად. მართლაც, კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ჯარი, რომელიც კახეთის ციხესიმაგრეებში ჩააყენეს. ამ აქტმა თურქეთის პროტესტი გამოიწვია და ლევან მეფე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსის ჯარი. 1574-1605 წლებში კახეთს განაგებდა მეფე ალექსანდრე II, რომელიც მეტად ფრთხილი იყო. იგი საომარ მოქმედებას ძღვენსა და მშვიდობიან პოლიტიკას ამჯობინებდა. იგი გარკვეულ ნაბიჯებს დგამს რუსეთისაკენ.

1586 წელს ალექსანდრე II რუსეთის მეფეს კახეთისათვის დახმარებას სთხოვს. ერთი წლის შემდეგ რუსი ელჩები კახეთში ჩამოდიან. ალექსანდრე II ხელს აწერს ფიცის წიგნზე. ამ წიგნით რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში ღებულობდა და კახეთის მეფეც მის მორჩილებას კისრულობდა. 1590 წლიდან მეფე თეიმურაზ თავის თავს „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფეს“ უწოდებდა. რუსეთ-კახეთის კავშირი იშლება XVII საუკუნის დასაწყისში.

კახეთის სამთავროს არაფერი ხასიკეთო არ მოუტანა რუსეთთან კავშირმა. ამაზე მეტყველებს კახეთის მეფის საუბარი რუს დესპანებთან: „წინათ საქართველო ყიზილბაშთა სახელმწიფოსთან, ანუ სპარსეთთან იყო დაკავშირებული და სპარსეთთან ერთად ოსმალეთისა

და სხვების წინააღმდეგ მოქმედებდა, მაგრამ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლისათვის ჩვენს ქვეყნებში ოსმალეთი გაძლიერდა, სპარსეთსა და ჩემს სიძეს სვიმონს ბევრი ციხე-ქალაქი წაართვა და ჩემს სამეფოსაც ხარკი დაადვა. ეხლა კი სპარსეთის შაჰი თავის ელჩებს მიგზავნის და მთხოვს, რომ მასთან ვიყო ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ოსმალეთის სულტანიც დიდს მუქარას მითვლის, ამ ზაფხულსავე თავისი ლაშქრის ჩემს წინააღმდეგ გამოგზავნა უნდა და ჩემს ქვეყანაში ციხეების აგება სურს იმიტომ, რომ მას გადვუდექი და რუსთა ხელმწიფეს მფარველობა ვთხოვე... მე დღესდღეობით მოლაპარაკებას ვაგრძელებ იმ იმედით, რომ შამხალის წინააღმდეგ რუსთა მეფის ჯარი გამოჩნდება... მეოთხე წელიწადია კიდეც, რაც თქვენმა ხელმწიფემ ჩემი მფარველობა იკისრა, მაგრამ ჯერაც მისი ლაშქარი არ მინახავს"[1].

გ) დასავლეთი საქართველო

1555 წელს ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ დასავლეთი საქართველო იძულებული გახდა ოსმალეთის ვასალობა მიეღო და ხარკი ეხადა. ყველაზე საშინელი „სენი", რომელიც ამ დროს დასავლეთ საქართველოს მოედო, იყო ტყვეებით ვაჭრობა. ამ მოვლენას ხელს უწყობდა ოსმალეთი. მაგრამ ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა თავს იდვეს მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ჩანაგდებოდა მწარმოებელი კლასი. XVI საუკუნის შუა წლებში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც სიკვდილით დასჯის სასჯელი დააწესა დამნაშავეთათვის, ე.ი. ტყვის მოტაცებისა და გაყიდვისათვის, მაგრამ ასეთი ქმედებები კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. 1565-1583 წლებში იმერეთის ტახტზეა გიორგი II. მისი მეფობის მთელ პერიოდში ადგილი აქვს ბრძოლას იმერეთსა და სადადიანოს შორის, იმერეთსა და გურიას ან სამივე კუთხეს შორის. მებრძოლი მხარეები ხშირად უცხო სახელმწიფოს (თურქეთს) მიმართავდნენ დასახმარებლად, რაც კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას და ხელს უწყობდა დაქუცმაცებას. ზოგჯერ დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი (დადიანი, გურიელი) და იმ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 315-316.

ერეთის მეფე დაზავდებოდნენ ხოლმე. ასე მოხდა XVI საუკუნის 70-80-იან წლებში, მაგრამ დაზავება არც მყარი იყო და არც ხანგრძლივი. მათ შორის ბრძოლა 80-იანი წლების დასაწყისში კვლავ განახლდა. ერთმანეთს ებრძვიან სამეგრელო და გურია, იმერეთში კი ტახტის მემკვიდრეობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა.. ქართლის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს აწუხებდა დასავლეთ საქართველოში ასეთი ანარქია. სიმონ ქართლის მეფემ სცადა დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) შემოერთება, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

დ) სამცხე-საათაბაგო

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1555 წელს ირან-ოსმალეთის ზავით სამცხე-საათაბაგო გაველენის სფეროებად დაიყო ირანსა და ოსმალეთს შორის. ტაო-კლარჯეთსა და შავშეთს ოსმალეთი განაგებდა, ხოლო მისი აღმოსავლეთი ნაწილი ირანს „ერგო". ირანის კუთვნილ ტერიტორიას მოსვენებას არ აძლევდნენ ოსმალები. ირანის „ნაწილში" მყოფი ათაბაგი ქაიხოსრო ამაოდ ელოდა ყიზილბაშთა დახმარებას, მას ლოდინში აღმოხდა სული 1573 წელს. მისი გარდაცვალების შემდეგ ირანის სამცხე-საათაბაგოში ათაბაგი ხდება ყვარყვარე IV, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ენერგია განდგომილ თავადებთან — შალიკაშვილებთან ბრძოლას მოახმარა. 1578 წელს ოსმალეთსა და ირანს შორის კვლავ ომი ატყდა. ოსმალები ირანის წინააღმდეგ ცდილობდნენ საქართველოს — მათ შორის სამცხე-საათაბაგოს გამოყენებას. ისინი მოხერხებულად იყენებდნენ აქ გაჩაღებულ შინაფეოდალურ ომებს. ოსმალები, ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალნი, სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიას ანადგურებენ და ციხესიმაგრეებს იღებენ. 1578 წელს თურქეთსა და ირანს შორის ბრძოლა თურქეთის გამარჯვებით დამთავრდა. მოტყუედა სამცხე-საათაბაგოს ათაბაგობის მოიკლოდინე მანუჩარი, რომელსაც ეგონა, რომ ოსმალები მას მთელ ქვეყანას მისცემდნენ. ოსმალებმა საათაბაგო სანჯაყებად დაყვეს და მანუჩარს მხოლოდ ხახულის სანჯაყი არგუნეს. ოსმალებმა მალე ახალციხეც დაიკავეს. 1579 წლის 25 ივნისს, ოსმალეთის სულთანის ბრძანებით, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდი-

რის (ახალციხის) საფაშო დაარსდა. მანუჩარი გამაჰმადიანდა, მას მუსტაფა ეწოდა და იგი ახალციხის ფაშად დაინიშნა. ამავე წელს ოსმალები თბილისსაც იკავებენ და საფაშოდ გამოაცხადეს ეს ქალაქი. აქ თავისი ფაშა დანიშნეს. ოსმალებს კახეთის მეფეც დაემორჩილა უომრად. კახეთის მეფეს ოსმალეთმა უბოძა ბეგლარ-ბეგობის ანუ კახეთის მმართველის ტიტული. თავის მხრივ, კახეთის მეფეს ყოველწლიურად უნდა ეძლია 30 იუქი აბრეშუმი, 20 ქალ-ვაჟი, 10 ფრთა შევარდენი და 10 ფრთა მიმინო. მალე ოსმალეთმა მთელი აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრო.

თურქეთსა და ირანს შორის 1578 წელს დაწყებული ომი 1590 წელს ზავით დამთავრდა. ზავის პირობებით საქართველო ოსმალეთს გადაეცა. საქართველოში მყარდება თურქული მმართველობა. ეს მმართველობა შედარებით კარგად ჩანს სამცხე-საათაბაგოს მაგალითზე.

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში თავისი მმართველობის შემოსაღებად ტერიტორია და მოსახლეობა აღწერეს და შეადგინესგურჯისტანის დიდი დავთარი. დიდ დავთარს წინ უძღოდა „კანუნ-ნამე“, ანუ კანონთა წიგნი, რომელშიაც მოცემულია მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი სამცხე-საათაბაგოს რვა სანჯაყად ყოფდა: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩილდირი, ფოცხოვი, პეტარა, ფანაკი და დიდი არტაანი[1]. რვა სანჯაყში ახალციხე იყო ვალაიეთის გამგებლის რეზიდენცია. ვილაიეთი იმართებოდა თურქი მოხელეების მეშვეობით.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით ქართველი მოსახლეობა მიწას შეინარჩუნებდა თუ ის მხედარი გახდებოდა, ხოლო მხედარი აუცილებლად მუსულმანური სარწმუნოების მქონე უნდა ყოფილიყო. დავთარი ასახელებს მუსულმანური მიწათმფლობელობის შემდეგ სახეებს: ხასი, ზიამეთი, თიმარი, ვაკუფი, მულქი-მოურუსი, თავისუფალი თიმარი, ჩიფლთიქი და სხვ.[2].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 151.

[2] იქვე, ტ. IV, გვ. 152

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVII საუკუნეში

1590 წელს დადებული ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის მეტად მძიმე იყო ირანისათვის, მაგრამ იგი იძულებული იყო ამ გზას დასდგომოდა, რადგან აღმოსავლეთიდან მას უზბეკთა შემოსევები უნდა მოეგერიებინა, ასევე უნდა მომზადებულიყო თურქეთთან ახალი ომისათვის.

XVII საუკუნის დამდეგისათვის ირანი მეტად გაძლიერდა. აქ გატარდა სხვადასხვა სახის რეფორმები, მათ შორის სამხედრო რეფორმა და ირანი ძლიერი სამხედრო პოტენციის ქვეყანად იქცა. შაჰი თურქეთთან შეტაკებისათვის მოკავშირეებს ეძებდა. იგი მოკითხვის წერილებს უგზავნიდა ქრისტიან მეფეებს და თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო კაეშირებს სთავაზობდა. 1603 წელს შაჰი ომს იწყებს თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც 1639 წლამდე გრძელდება. ომის მთელი სიმძიმე ამიერკავკასიის ხალხებს დაატყდა თავს. შაჰ-აბასმა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოხერხებულად ჩააბა და გამოიყენა ქართლის მეფე გიორგი და კახეთის მეფე ალექსანდრე. თურქეთი უომრად იხევდა უკან, იგი მარცხდება და შაჰი იმარჯვებს. 1613 წელს შაჰ-აბასსა და თურქეთის ხონთქარს შორის ზავი იდება. ამ ზავით აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავის პირობები. ოსმალეთმა ცნო ქართლის დაქვემდებარება ირანისადმი, ასევე ირანს გადაეცა კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი. ირანის ხელში გადავიდა აზერბაიჯანიცა და სომხეთიც. ამასთან, შაჰი მეტად ჩქარობდა საქართველოს საბოლოოდ დამორჩილებას, აქ ყიზილბაშური წყობის შემოტანას, ქრისტიანობის გაუქმებასა და მხარის გათათრებას, რადგან იცოდა, რომ სწორედ საქართველოში „ინასკვებოდა ის საერთაშორისო გართულებები, რომლებიც სამი ქვეყნის — ირანის, რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობაში იყო“[1]. ირანის შაჰი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ქართველები (კახეთი) ხელს უწყობდნენ რუსეთის გავლენის ზრდას ამიერკავკასიაში, მათთან დიპლომატიურ ურთიერთობას აწარმოებდნენ და მოკავშირეობის საკითხს სვამდნენ. 1613 წლის ზავის შემდეგ შაჰმა საქართველოსათვის „მოიცალა“ და „ანგარიშსწორებისათვის“ სამზადისს შეუდგა.

[1] დ. გურიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ.. 1965, გვ. 288.

1612 წელს შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის მოტივით თავისთან დაიბარა. მაგრამ მეფეები არ ენდვნენ ვერაგ შაჰს და არ წავიდნენ. ეს კი ირანის შაჰისადმი დაუმორჩილებლობას ნიშნავდა. 1613 წელს ირანის შაჰი დიდი ჯარით საქართველოსაკენ დაიძრა. ქართველი მეფეები არ ელოდებოდნენ შაჰის საქართველოში შემოსვლას. თვით შაჰიც კონსპირაციულად ინიღბებოდა და ირწმუნებოდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდა. შაჰი კახეთში 1614 წლის გაზაფხულზე შემოიჭრა. მან დაიპყრო კახეთი. იგი კახეთს 50 დღის განმავლობაში აოხრებდა თავისი ჯარით, რის შემდეგ ქართლში გადავიდა. შაჰ-აბასი ჯიუტად მოუხმობდა თავისთან ქართლისა და კახეთის მეფეებს, რომლებიც იმერეთში იყვნენ გაქცეულნი. ქართლის მეფე ლუარსაბი შადიმან ბარათაშვილმა ჩამოიყვანა და შაჰთან მიიყვანა. შაჰმა იგი ირანში წაიყვანა, გამაჰმადიანება მოსთხოვა. ლუარსაბმა ამაზე მტკიცე უარი განაცხადა. 1615 წელს შაჰ-აბასი საქართველოში შემოიჭრა, მაგრამ ქართლი არ დაურბევია. ამ გარემოებას გიორგი სააკაძის მოხერხებულობით ხსნიან[1].

1615 წელს განახლდა ირან-ოსმალეთის ომი. ამჯერად ოსმალეთი ილაშქრებს ირანის წინააღმდეგ. იმერეთს გადახვეწილი კახეთის მეფეს იმედი მიეცა, იგი თურქეთის მეშვეობით ცდილობს კახეთის განთავისუფლებას. 1615 წელსვე იწყება კახეთის აჯანყება ირანის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებას თეიმურაზ მეფე ხელმძღვანელობს. თავდაპირველად აჯანყებულებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს, მათ გაანადგურეს ალი ყული-ხანის 15000-იანი არმია, მაგრამ შაჰმა მომდევნო წელს — 1616 წლის გაზაფხულზე შური იძია. იგი უზარმაზარი ჯარით შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო და გაანადგურა ჯერ ქართლი, ხოლო შემდეგ კახეთი. განსაკუთრებით სისასტიკე გამოიჩინა შაჰმა კახეთის მიმართ, აქ არა მარტო ამოწყვიტა მოსახლეობა, არამედ დაანგრია და გადაწვა შენობები, ეკლესიები, აჩეხა ხეხილი და ვენახები. თეიმურაზი იმერეთს გაიქცა. შაჰმა დაცარიელებულ კახეთში თურქმანები ჩაასახლა. შაჰის შემოსევების შედეგად 1614-1617 წლებში კახეთმა მოსახლეობის ორიმესამედი დაკარგა, 100000 ათასამდე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო 200000 ირანში გადაასახლეს (ამ გადასახლებულების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში).

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 273-274.

ირანის წინააღმდეგ გამოსვლები არ შენელებულა. 1625 წელს დიდი აჯანყება მოეწყო, რომელსაც გიორგი სააკაძე ხელმძღვანელობდა. ამ აჯანყების შედეგად ძალზე დასუსტდა ირანის გავლენა საქართველოზე. კიდევ მეტი — გიორგი სააკაძე თუ ოსმალეთის სარდლების დახმარებას მიიღებდა, ირანში შეჭრას ფიქრობდა და ირანის სახელმწიფოს დამორჩილებასაც ვარაუდობდა, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა[1].

გიორგი სააკაძის ღალატით აღშფოთებული შაჰი ამავე წლის ზაფხულში შემოიჭრა საქართველოში თითქოს მოურავის აჯანყების ჩასაქრობად და საქართველოს საქმეების მოსაწესრიგებლად, სინამდვილეში კი მისი გეგმა ვერაგული იყო — მას სურდა ქართლ-კახეთის მთლიანად მოსპობა. შაჰ-აბასის შემოსევას ქართველი ხელისუფალნი ელოდნენ და სათანადოდაც მოემზადნენ, მაგრამ ამ ბრძოლაში დამარცხდნენ. „სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა შორის იყვნენ გმირი სარდლები და რაინდები — დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები — რუსთველი და ხორჯაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი“[2]. ქართველთა აჯანყება ამით არ დამთავრებულა. გიორგი სააკაძე და სხვა მხედართმთავრები პარტიზანულ ომს უმართავდნენ ყიზილბაშებს და სისხლიდან ცლიდნენ მათ. სულ ამ აჯანყებაში ყიზილბაშებმა 60000 მოლაშქრე დაკარგეს. შაჰ-აბასი იძულებული შეიქნა თავი გაენებებინა ქართლ-კახეთის დაპყრობის გეგმისათვის.

1625 წელს გიორგი სააკაძე სამცხეს გადავიდა და სულთანთან გამართა მოლაპარაკება ყიზილბაშებთან ერთობლივი ბრძოლის ჩასატარებლად. სააკაძემ სულთანისაგან დახმარება ვერ მიიღო. ამის შემდეგ იგი მოლაპარაკებას აწარმოებს იმერეთისა და სამეგრელოს (ოდიშის) მმართველებთან, რომლებიც დაჰპირდნენ ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას. 1626 წლიდან გიორგი სააკაძე უკვე ქართლშია და კახეთის მეფე თეიმურაზთან ერთად ყიზილბაშებს ერეკება. მან თითქმის შეძლო აღმოსავლეთ საქართველოდან ყიზილ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 281-282.

[2] იქვე, გვ. 285.

ბაშთა განდევნა და ქართლ-კახეთის გაერთიანება. ამის შემდეგ კი შეუდგა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოდის კახეთის მეფე თეიმურაზ I. თუ გიორგი სააკაძე თეიმურაზზე გაიმარჯვებდა, საქართველო ერთიანდებოდა, რადგან სააკაძე ფიქრობდა იმერეთის მეფის მემკვიდრის ალექსანდრეს ტახტზე დასმას სრულიად საქართველოს მეფედ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, კახეთის მეფემ თეიმურაზმა ჩაშალა საქართველოს გაერთიანების ეს გეგმა, მან ბაზალეთის ტბასთან, 1626 წელს დაამარცხა სააკაძე, რითაც ფაქტობრივად შეწყდა ეს ისტორიული საქმე. ბაზალეთის ომს ქართველი ხალხის ტრაგედიას უწოდებენ[1]. ეს მართლაც ტრაგედია იყო, რადგან ჩაიშალა ქვეყნის გაერთიანების საქმე, რომელიც რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა. გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ქართლი დაეტოვებია. იგი 1629 წელს მოკლეს ოსმალეთში თავის ვაჟთან და ორმოცამდე მხლებელთან ერთად.

ბაზალეთის ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ თეიმურაზ მეფემ მოახერხა ქართლის დამორჩილებაც. მან დაღესტნელ ლეკებსაც შეუტია და ერთგვარი მშვიდობიანობა დაამყარა სახელმწიფოში. თეიმურაზის გეგმები — განემტკიცებინა ქვეყნის შიგნით წესრიგი — არ განხორციელდა იმის გამო, რომ მას ქართველი ფეოდალები აეშალნენ. ირანმა სასტიკად დაამარცხა ქართლ-კახეთი და 1632 წელს ქართლის მეფედ წარმოგზავნა როსტომ ხანი (იგივე ქაიხოსრო ბატონიშვილი). თეიმურაზი იძულებული იყო დასავლეთ საქართველოში გაქცეულიყო.

როსტომ ხანის საქართველოში გამეფების შემდეგ ირანმა ცნო ქართველ ბაგრატიონთა მეფობა — მაგრამ მეფე მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო და ირანის მოხელედ უნდა ელიარებინა თავისი თავი. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თითქმის 100 წელი[2]. ქართლის მეფე ირანის ვასალი გახდა და ეწოდა მას გურჯისტანის ვალი. რაც შეეხება კახეთს — იგი ირანის სახანოდ იქცა.

როსტომ ხანის მეფობის პერიოდში (1632-1658 წწ.) ქართლმა დიდ წარმატებას მიაღწია. თვით როსტომი უაღრესად ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო. იგი 67 წლისა გამეფდა. მართალია, როსტომი

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 290.

[2] იქვე, ტ. IV, გვ. 314.

ირანში გაიზარდა. იქ მოღვაწეობდა, აღზრდილი იყო მუსულმანური სულისკვეთებით. მაგრამ ქარიოლში გამეფებისთანავე მასში ერთგულმა გენმა გაიღვიძა და იწყო ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისათვის. როსტომი მშვიდობიანი გზით ცდილობდა ურჩი ფეოდალების შემ- ვებას. მან ცოლად შეირთო დადიანის და, რითაც კავშირი გააბა აძეგრელოსთან. როსტომ ხანს მოსვენებას არ აძლევდა გადახვეწილი თეიმურაზ I. როსტომ ხანმა მტრულად განწყობილ ქარიოლის ფეოდალებზე გამარჯვებას იმით მიაღწია, რომ მან ხელი არ ასცხო ქართულ ეკონომიკურ სისტემას, არ დაუპირისპირა ყიზილბაშობა ქართველობას, მიუხედავად იმისა, რომ გაატარა რეფორმა და საბოლოო კარი „ყიზილბაშურ რიგზე" გამართა, მაგრამ ეს როდი მოასწავებდა ქართული სახელმწიფო მმართველობის შეცვლას. როსტომ ხანმა ვერაფერი გააწყო თეიმურაზ I-თან. ასევე ეურჩებოდნენ მას არაგვის ერისთავები. 1636. 1638, 1642 წლებში არაერთგზის ილაშქრა როსტომის წინააღმდეგ ბრძოლები, მაგრამ შეთქმულები ყოველთვის მარცხდებოდნენ. თეიმურაზი არ ცხრებოდა, იგი მოკავშირეს ეძებდა როგორც რუსეთის. ისე ოსმალეთის სახით, მაგრამ უშედეგოდ.

1648 წელს თეიმურაზსა და როსტომს შორის მოხდა ყველაზე წყვეტი ბრძოლა. რომელშიაც თეიმურაზ I დამარცხდა. იგი იძულებული გახდა მეუღლე მიეგზავნა როსტომთან და იმერეთში წესრიგი და მშვიდობა დაემყარებინა. როსტომ მეფემ თეიმურაზზე გამარჯვების შემდეგ იწყო ქართველ ფეოდალთა შემორიგება. ამ საქმის ქართველ თავადებს შაჰთან აგზავნიდა. შაჰი უმტკიცებდა მათ ერთგულებას, მამულებს, სიმდიდრეს, ამავე დროს, ასაჩუქრებდა. ქართველი ფეოდალები შაჰის თიულდარები[1] ხდებოდნენ. მაგრამ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ქართველი ფეოდალისათვის მიცემული თიული არ იყო სრულფასოვანი, იგი მკვეთრად განსხვავდებოდა თიულის ოფიციალური სახისაგან[2].

როსტომ მეფის ზრუნვამ აღგილობრივ ქართველ მოსახლეობასა და სახელმწიფოს წინსვლაზე, ეჭვი აღუძრა ირანის შაჰს. სწორედ ამიტომ მას კახეთი ჩამოართვა 1655 წელს და გადასცა სეფიძ-ხანს. როსტომ

---

[1] თიულდარი — შაჰის მოხელე.

დ. კაციტაძე. XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის. კავკასიურ-აღმოსავლეთური კრებული. 1962. გვ. 209.

მეფეს მემკვიდრე არ ჰყავდა. ამიტომაც 1653 წელს როსტომის მემკვიდრედ შეარჩიეს ბაგრატიონების გვერდითი შტოს – მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი, რომელიც ირანში გაიგზავნა დასამტკიცებლად. ირანიდან გამაჰმადიანებული ვახტანგ (შაჰ-ნავაზი) მუხრანბატონი ქართლის მეფედ დაბრუნდა. როსტომ ხანი 1658 წელს გარდაიცვალა.

XVII საუკუნის 60-იანი წლებისათვის ქართლსა და კახეთში პრორუსული აღმავლობის აქვს ადგილი. ქართველი ხელისუფალნი ქრისტიანული რუსეთისაკენ იღებენ ორიენტაციას. ამის დამადასტურებელია კახეთის მეფეების მიერ არაერთგზის ელჩების წარგზავნა რუსეთს, ასევე იმერეთის მეფისა თუ თუშ-ფშავ-ხევსურების ელჩობა რუსეთში. ყოველივე ეს ირანის შაჰს მხედველობიდან არ გამორჩენია. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა კახეთის სამაგალითოდ „დასჯა“. ირანის შაჰის გეგმაში შედიოდა კახეთში ჩაესახლებიათ 15000 თურქმანი. შაჰ-აბას II-მ სახსრები არ დაზოგა. მან განკარგულება გასცა კახეთში ციხეების ასაგებად (ალავერდი, ბაბტრიონი და ყარაღაჯი). ციხეების აგების შემდეგ კახეთის ბარში ჩაასახლეს 80000 თურქმანი. კახეთის მოსახლეობას დიდი საფრთხე დაემუქრა. საფრთხე ემუქრებოდა ასევე საქართველოს მთიელ მოსახლეობას, რომელიც სარჩოს ბარიდან იღებდა. ქვეყანა საყოველთაო უკმაყოფილებამ მოიცვა. 1659 წელს აჯანყებამ იფეთქა, რომელიც ისტორიაში შესულია როგორც კახეთის აჯანყება აჯანყებაში მონაწილეობდნენ არ მარტო კახელები, არამედ ქართლის და საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა. აჯანყებულთა მიზანი იყო თურქმანთა განდევნა-ამოჟლეტა. აჯანყება წარმატებით წარიმართა. ამ აჯანყებით კახეთი ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა, მაგრამ ირანის ბატონობა მთლიანად ვერ აღმოიფხვრა.

როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ V ანუ შაჰ ნავაზ-ხანი ატარებს ერთგულ ღონისძიებებს მთლიანი საქართველოს აღსადგენად. მას წინააღმდეგობას უწევს ზაალ არაგვის ერისთავი, რომელიც განაგებდა კახეთს, მასვე ეპყრა ერწო-თიანეთი. ზაალ არაგვის ერისთავი ქართლის მეფის ტიტულის გაუქმების მომხრედაც კი გამოდის და მზად არის პირდაპირ დაემორჩილოს ირანის შაჰს, ოღონდაც თავის საერისთავოში სრული ბატონ-პატრონი იყოს. ვახტანგ V-მ მოახერხა კახეთის მოქცევა თავის გავლენის ქვეშ, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, 1703 წლიდან კახეთს უკვე ყიზილბაში ხანები მართავენ.

აღმოსავლეთი საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

XVIII საუკუნის ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში აშკარად გამოიკვეთა ჩრდილოეთის დიდი ქრისტიანული სახელმწიფოსაკენ ურთიერთობის გაცხოველება და როსტომ ხანის ირანისტული პოლიტიკის უარყოფა.

1688 წელს ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტს დაეპატრონა თეიმურაზ I-ის შვილი — ერეკლე I. მაგრამ 1703 წლისათვის იგი ირანში გაიწვიეს და ქართლს კვლავ გიორგი XI დაეპატრონა. მაგრამ არც იგი დაბრუნებულა სამშობლოში, რადგან როგორც გამორჩეულმა სამხედრო სარდალმა დაიმსახურა ირანის შაჰის ერთგულება, მიიღო ირანის ჯარის მთავარსარდლობა და ქართული რაზმებითურთ ავღანეთის მმართველად დატოვეს. ქართლში კი მეფის მოადგილედ ანუ შემცველელად (ჯანიშინად) მისივე ძმისწული ვახტანგ VI, ანუ ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. 1709 წელს გიორგი XI მუხანათურად მოკლეს. 1712 წელს ვახტანგი ირანში გაემგზავრა მეფედ დასამტკიცებლად. მას თან ახლდა დიდი ამალა, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანიც.

ვახტანგს წინადადება მისცეს მაჰმადიანობა მიეღო, მაგრამ მან უარი განაცხადა, რისთვისაც ჭირმანს გადაასახლეს. ქართლში კი ირანული ორიენტაციის იესე ალი ყული-ხანი დააყენეს გამგებლად, რომელმაც თავი გამოიჩინა შაჰის წინაშე ქართველთა დაბეზღებით, მოსახლეობის შევიწროებითა და ექსპლოატაციით. ამას მოჰყვა სახალხო მოძრაობა, რომელსაც ვახტანგის ვაჟი ბაქარი ხელმძღვანელობდა. თვით ვახტანგი, მიუხედავად იმისა, რომ ტყვეობაში იმყოფებოდა, ცდილობდა მოლაპარაკება გაემართა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. იგი ახერხებს სულხან-საბა ორბელიანის გაგზავნას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რათა საქართველოსათვის როგორც ქრისტიანული სახელმწიფოსათვის დახმარება აღმოეჩინათს. სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს „ხელმოცარული“ დაბრუნდა საქართველოში. გულგატეხილი ვახტანგ VI იძულებულია ისლამი მიიღოს. მიუხედავად ამისა, შაჰმა იგი, მართალია, ქართლის მეფედ აღიარა, მაგრამ ქართლში არ გაუშვა და იქვე ირანში დაიტოვა. ამ პერიოდში ქართლისა და ირანის პროვინციებში ძლიერდება დაღესტნელთა თარეში. ალბათ,

მათ აღსაკვეთად და ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად გამოუშვა შაჰმა ვახტანგ VI ქართლს 1719 წელს. ვახტანგ VI-ს დაბრუნებას ქართლში კარგი შედეგი მოჰყვა. კვლავ აღდგა ქართლის ხელმძღვანელი როლი და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია იმერეთისა და კახეთის სამეფოები. ვახტანგ VI სარგებლობდა შაჰის მხარდაჭერით, ებრძოდა დაღესტნელთა შემოსევებს, ამავე დროს, ყოველნაირად ცდილობდა ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას. სწორედ ვახტანგ VI-ს დროიდან დგება საკითხი ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა, რაც გაათავისუფლებდა ორივე ხალხს ირანის სრული ბატონობისაგან, რადგან ირანი ამ პერიოდში ძალზე სუსტდებოდა. ხედავდა რა ირანის შაჰი ქართლის გაძლიერებასა და მისთვის მოსალოდნელ საფრთხეს — გასცა ბრძანება დაღესტნელებთან ბრძოლის შეჩერებისა და ვახტანგ VI-ს უკან გამოწვევისა. ვახტანგ VI-მ საჯაროდ დაიფიცა, რომ აღარ შეასრულებდა შაჰის ბრძანებას. შაჰის მზაკვრული საქციელით გაბოროტებული ვახტანგი ჩრდილოეთისაკენ იღებს ორიენტაციას. ამ პერიოდის რუსეთი დაინტერესებული იყო ეპოვა დასაყრდენი სამხრეთ-კავკასიასა თუ კასპიის ზღვის სანაპიროებზე. რუსეთის მეფე პეტრე I აქტიურად მოქმედებს. იგი გზავნის როგორც ჯარს, ისე დიპლომატებს. რუსეთის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოსა და სომხეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრა მოსალოდნელ ომებში ირანისა თუ თურქეთის წინააღმდეგ. ქართველი ხელისუფალნი — მათ შორის ვახტანგ VI დარწმუნებული იყო ირანის უძლურებაში და ესწრაფვოდა რუსეთთან კავშირის შეკვრას, რათა ამ გზით საბოლოოდ მოეშორებია ყიზილბაშთა უღელი. რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების საკითხი განიხილა ქართლის სახელმწიფო დარბაზმა. დარბაზის წევრთა გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა შიში იმის თაობაზე, რომ სანამ რუსეთი დახმარებას გაუწევდა საქართველოს, მანამდე ყიზილბაშები ააოხრებდნენ ქვეყანას. მაგრამ ვახტანგ VI ჯიუტად იცავდა რუსეთის ორიენტაციის პოზიციას. გაიმართა გარკვეული მოლაპარაკება რუსეთის იმპერატორსა და ვახტანგ VI-ს შორის, თუმცა ამის თაობაზე იურიდიული დოკუმენტი არ შეუდგენიათ. საქართველოსთან ერთად რუსეთის დამხმარედ უნდა გამოსულიყვნენ სომეხი მელიქებიც, რომლებიც აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ერთი მხრივ, რუსეთთან, მეორე მხრივ, ვახტანგ VI-სთან.

ამ პერიოდში ირანი მეტად დასუსტებული იყო. მას უტეცდა ავღანეთი და ქვეყანა დაცემის პირზე იყო მისული. ირანის შაჰს მხოლოდ ქართველთა იმედი ჰქონდა. ქართველი ხელისუფალნი კი მის მიმართ ორაზროვან დამოკიდებულებას იჩენდნენ. თუ ვახტანგ VI წინააღმდეგი იყო შაჰის დახმარებისა, მისი შვილი ბაქარი ირანის შაჰის გვარდიის უფროსად გვევლინება, მაგრამ მამა არ რთავს მას ნებას, რომ იგი შაჰს დაეხმაროს.

1722 წლის 20 აგვისტოსათვის ქართველთა და სომეხთა ჯარი რუსეთის ჯარს დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეხვედროდა. მაგრამ პეტრე I-მა მოატყუა ქართველები და სომხები და პირი ჩრდილოეთისაკენ იბრუნა. პეტრე I-ის ამ საქციელს ირანის წინააღმდეგ ომში იმ გარემოებით ხსნიან, რომ ამ დროს პეტრე I-ს არ სურდა ურთიერთობის გამწვავება თურქეთთან, ასევე რუსი ჯარი მოუმარაგებელი აღმოჩნდა, გაჩნდა ეპიდემია და სხვ. საომარი მოქმედება ჩაიშალა და გადაიდო 1723 წლისათვის.

„1722 წლის დამლევსა და 1723 წლის დამდეგს ქართლში მდგომარეობა უაღრესად გართულდა: ირანის ახალი შაჰი — თამაზი (თაჰმასპი) ჯარებს აგროვებდა ურჩი ვახტანგის დასასჯელად. ამავე დროს თურქეთიც თავს უყრიდა ჯარებს ქართლის საზღვარზე და იქ შესაჭრელად ემზადებოდა. ქართლის შიგნითაც ყველაფერი რიგზე როდი იყო. შინაფეოდალური კინკლაობა გრძელდებოდა; ვახტანგ VI-სა და კახეთის მეფეს კონსტანტინეს შორისაც ურთიერთობა გამწვავდა. კონსტანტინე ცდილობდა ესარგებლა ვახტანგის გართულებული მდგომარეობით და ქართლის ტახტისათვის იბრძოდა. ვერაგი კონსტანტინე თავის გეგმას შაჰს უთანხმებდა, რათა ვახტანგის განადგურების საზღაურად ქართლს დაუფლებოდა“[1]. ასეთ ვითარებაში კონსტანტინე ქართლში შეიჭრა და დაიპყრო თბილისი. ამავე პერიოდში არზრუმის ფაშა ცხინვალში გადახვეწილ ვახტანგ VI-ს წინადადებას აძლევს ეცნო სულთანის ხელისუფლება თუ სურდა შეენარჩუნებინა ქართლის მეფობა. ვახტანგ VI-მ და სამეფო დარბაზმა თურქეთის წინადადება მიიღო. ამასთან, იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის ჯარი შემოვიდოდა და ქართლს არ დაათმობინებდა, მაგრამ რუსეთის ჯარის შემოსვლის მოლოდინში თურქებმა თბილისი აიღეს. ვახტანგ VI უკიდურეს მდგომარეობაში

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 419.

აღმოჩნდა და 1724 წელს დიდი ამალით, 1200 კაცით რუსეთს გადაიხვეწა. ქვეყანა უპატრონოდ დარჩა. „ამ გარემოებამ დიდად დააბრკოლა ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ბრძოლის ველს გაეცალა კაცი, რომელიც დიდი აქტორიტეტით სარგებლობდა საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში... საქართველოდან ვახტანგს წერდნენ, რომ ქვეყანას ბრძოლის უნარი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ ამ ბრძოლას თაოსანი ესაჭიროებაო“[1], ამისათვის ურჩევდნენ დაბრუნებას. მაგრამ ვახტანგი რუსეთის მეფის დახმარების ლოდინში 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა. ვახტანგ VI საქართველოს ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც მეფე და პოლიტიკოსი, არამედ როგორც დიდი განმანათლებელი: პოეტი, მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი, ქართული სტამბის დამაარსებელი, დიდი სჯულმდებელი და მეცნიერი. მისი ღვაწლი განუზომელია ქართული კულტურის ისტორიის საქმეში“[2].

როგორც ცნობილია, 1724 წელს კონსტანტინოპოლში დაიდო შეთანხმება რუსეთსა და თურქეთს შორის. ამ შეთანხმების საფუძველზე თურქეთი ცნობდა რუსეთის მიერ კასპიის ზღვის სანაპიროების შეერთებას და უარს ამბობდა მთელი ირანის დაპყრობაზე. რუსეთმა „უკან დაიხია“ — ცნო თურქეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა. ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის იმედზე იყვნენ — იმედოვნებდნენ ირანის უღლისაგან რუსეთის დახმარებით გათავისუფლებას. მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ — ირანის უღლისაგან გათავისუფლების მაგივრად მათ თურქეთის უღელში „წაჰყვეს“ თავი. რუსეთ-თურქეთის შეთანხმებით არც ირანი იყო კმაყოფილი. ამიერკავკასიის ხალხები ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას აჩაღებენ. განსაკუთრებით აქტიურობს კახეთის VI-ის ვაჟი ბაქარი, რომელიც აქტიურად ებრძვის თურქებს. მაგრამ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას არა აქვს შედეგი. ეს აშკარად ჩანს ვახტანგ VI-ის მიერ მიწერილ წერილში პეტრე I-ისადმი. რომელშიაც აღნიშნავს, რომ ოსმალებმა აოხრეს ქვეყანა, გადაწვეს სოფლები, დაბები, ხალხი. გააუკაცრიელეს შიდა ქართლი. ქართლის მმართველად ოსმალებმა ახალციხის ფაშა დანიშნეს და უზომოდ დაბეგრეს ადგილობრივი მოსახლეობა. ოსმალთა საბოლოო მიზანი ოსმალთა საფაშოდ გადაქცევა იყო.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 424.

[2] ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966.

რაც შეეხება კახეთს, ამ პერიოდში მას ძალზე აწუხებდა დაღესტნელთა თავდასხმები. 1723 წელს ოსმალთა მიერ დაპატიმრებული კონსტანტინე ციხიდან გაიპარა და კახეთში გადავიდა. იგი, ერთი მხრივ, თურქებს ებრძვის, მეორე მხრივ, ლეკთა შემოსევას იგერიებს, მესამე მხრივ, რუსეთთან დაკავშირებას ლამობს. ამისათვის ურიგდება ვახტანგ VI-ს. სამწუხაროდ, კონსტანტინეს მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. 1725 წელს ავარებმა და სხვა მთიელებმა კახეთის ციხეები დაიკავეს და კახეთს გამაჰმადიანება დაუპირეს. ლეკებს ზურგს უმაგრებდნენ ოსმალები. კახეთის მეფე იძულებული ხდება თურქეთის ბატონობა ეცნო.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დასუსტებული ირანი თანდათან ძლიერდება და თურქეთის წინააღმდეგ იბრძვის შირვანში. 1735 წელს განჯის ტრაქტატით რუსეთმა ხელი აიღო ბაქო-დარუბანდზე. ამიერკავკასიაში (ქართლში) ანტიოსმალური კამპანია იწყება. ქართლის ერისთავები და სხვა ფეოდალები ირანის იმედით ოსმალო დამპყრობლებს ერეკებიან. ასეთივე ვითარებაა კახეთშიაც. თურქეთის გაძევებას არ მოუტანია ქართლის თავისუფლება. ამჯერად ისევ ყიზილბაშებმა ისარგებლეს და ქართლში კვლავ ყიზილბაშობა დამყარდა. 1736 წელს ირანის შაჰი გახდა ნადირი. ნადირ-შაჰს მუდამ თან ახლდა კახეთის მეფის თეიმურაზის ვაჟი ერეკლე — როგორც მძევალი. ერეკლემ ნადირ-შაჰთან ყოფნის პერიოდში დიდი სამხედრო და დიპლომატიური გამოცდილება მიიღო. ნადირშაჰი ფართო დაპყრობით ომებს აწარმოებდა, რაშიაც დიდ ექსპლუატაციას უწევდა ქართლ-კახეთს.

საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური წყობილება XVI-XVIII საუკუნეებში

როგორც ცნობილია, XVI საუკუნიდან საქართველო აღარ წარმოადგენდა პოლიტიკურ ცნებას, ის ეთნიკური ცნებაა. „საქართველოს" ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოცენებული ცალკეული პოლიტიკური ერთეულები, სამეფოებისა და სამთავროებისაგან შედგება[1]. XVI საუკუნის დამდეგისათვის უკვე არსებობს **ქართლის, კახეთისა და იმერეთის** სამეფოები. ძოგვიანებით ხდება ქვეყნის უფრო წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფა და სახეზე კიდევ გვაქვს ხუთი სამთავრო: 1) **სამცხე-საათაბაგოს** (ათაბაგის ტიტულით აქ ჯაყელები გამგებლობენ[2]; 2) **სამეგრელოს** (დადიანები), **გურიის** (გურიელები), **აფხაზეთის** (შარვაშიძეები), **სვანეთის** (ჯერ გელოვანები, შემდეგ დადეშქელიანები) — სამთავროები. სამეფო-სამთავროებიდან უფრო წვრილი ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულები გამოიყოფა: **საერისთავოების ანუ სადროშოების სახით.**

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი საერისთავო ჩამოყალიბდა, ამასთან, საერისთავოები ძირითადად სამეფოების შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებლობასაც იძენდა და პოლიტიკური ერთეული ხდებოდა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რაჭის საერისთავო.

თითოეულ სამეფო-სამთავროს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება ჰქონდა. როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. ივ. სურგულაძე, „ამ სამეფო-სამთავროების სახელმწიფოებრივ წყობილებათა შორის მრავალი რამ საერთო იყო, ძირითადად, სახელმწიფოებივი წყობილების ინსტიტუტები მსგავსი იყო ყველა ამ სამეფო-სამთავროში, მაგრამ თითოეული სამეფო-სამთავროს სახელმწიფოებრივ წყო-

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 109.

[2] სამცხე-საათაბაგო სამეფო არ არის, მაგრამ ვერც ჩვეულებრივ სამთავროში ჩაერიცხავთ, ამიტომაც ვუწოდებთ მათ „საათაბაგოს". ოუმცა მას XIII-XIV საუკუნეებში სამეფოს თითქმის ყველა ნიშანი ჰქონდა, მათ შორის საკუთარი კანონმდებლობაც კი.

ბილებას მაინც თავისებურება ჰქონდა. ის გარემოება, რომ ისინი ერთ სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოიშვნენ, საუკუნეთა მანძილზე ერთ სახელმწიფოში შედიოდნენ, ერთ ხალხს ეკუთვნოდნენ, ერთი ენა ჰქონდათ, ერთიანი კულტურის თანამონაწილენი იყვნენ, ერთ სარწმუნოებას აღიარებდნენ, ყოველივე ეს საფუძველი იყო იმისა, რომ ამ სამეფო-სამთავროებში ერთგვარი სახელმწიფოებრივი წყობილება ყოფილიყო. გარდა ამისა, თავისი ეკონომიკური განვითარებითაც საქართველოს ეს ნაწილები დაახლოებით ერთ დონეზე იდგნენ. მაშასადამე, არსებული პირობები განსაზღვრავდა ერთგვარი ინსტიტუტების წარმოშობას, მაგრამ ამასთანავე... თითოეულ სამეფო-სამთავროს ჰქონდა თავისებურებაც"[1]. პროფ. ივ. სურგულაძის მითითებით, თვით გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოშიც თითოეულ კუთხეს თავისი თავისებურებები ჰქონდა, განსაკუთრებით კი ადგილობრივ მმართველობაში[2].

XVI-XVIII საუკუნების საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების შესასწავლად საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული სამეფოსა თუ სამთავროს სახელმწიფო წყობილება, რაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, იმ მხრივ, რომ ყველა სამეფო-სამთავროს სახელმწიფოებრივი წყობილება როდია ჯერჯერობით შესწავლილი. ამიტომაც აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ წყობილებაზე.

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 112-113.

[2] იქვე. გვ. 113.

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილება XVII-XVIII საუკუნეებში

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილების გარკვევამდე საჭიროა დავაზუსტოთ მისი პოლიტიკური რუკა განსახილველ პერიოდში.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთიდან კახეთის სამეფო ესაზღვრებოდა, სამხრეთით მას ერევნის საბეგლარბეგო ეკვროდა, უკიდურესი სამხრეთი საზღვარი კი აზერბაიჯანს ემიჯნებოდა. აქ ქართლის ის ნაწილი მდებარეობდა, რომელიც ბორჩალოს სახელწოდებითაა ცნობილი.

ქართლის ჩრდილოეთი საზღვარი ოსეთისა და დაღესტნის ახლოს მდებარეობდა. აქ ორ ადგილას ჰქონდა ჩრდილოეთში გადასასვლელი — დარიალსა და დვალეთში. გამოდის, რომ ქართლის ტერიტორიაზე შედიოდა დღევანდელი შიდა ქართლი.

დასავლეთით ქართლს ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო.

აღსანიშნავია, რომ მთელი XV-XVIII საუკუნის მანძილზე ქართლის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური რუკა მყარი არ იყო, საზღვრები მუდმივად იცვლებოდა. საქმე ის არის, რომ ქართლი ცალკე სამეფოდ XVI საუკუნიდან გამოიკვეთა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ქართლის სამეფო ცალკე აღარ არსებობდა, არამედ ჩამოყალიბდა — ერთ სამეფოდ გაერთიანდა **ქართლ-კახეთი**, რომელიც ირანისაგან დამოუკიდებელია, ამიტომაც, როდესაც ქართლის სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ვმსჯელობთ XVI-XVIII საუკუნეებში, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მთელი სამი საუკუნის მანძილზე ქართლი მყარად გამოკვეთილი პოლიტიკური, დამოუკიდებელი ერთეული როდია. არის პერიოდები, როდესაც იგი ირანის ან თურქეთის გამგებლობაშია, ანდა, როცა კახეთთან ერთადაა ან იმერეთი ავიწროებს და სხვ. ყოველივე ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, როდესაც დაქუცმაცებულობის პერიოდის საქართველოს ისტორიულ მიმოხილვას ვაკეთებდით და აქ მას აღარ დავუბრუნდებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან (1632-1674 წწ.) ქართლი ირანის ვასალია, მას მაჰმადიანი ქართველი

მეფეები განაგებენ. მაგრამ საქართველოში არ მოშლილა ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება.

ქართლის მეფე ირანის „ვალია“. მას ამტკიცებს შაჰი, იგი ბაგრატიონთა დინასტიიდანაა, მაგრამ როგორც ირანის „ვალი“, ხელფასს შაჰისაგან ღებულობს, შაჰის მოთხოვნის შესაბამისად ვალდებულია ირანის სასარგებლოდ გამოიყვანოს ჯარი, საგარეო ურთიერთობის წარმოება არ შეუძლია ირანის შაჰის გარეშე. ქართლი ირანს ეხდის ხარკს, მიართმევს ირანის შაჰს საჩუქრებს. სამაგიეროდ, ირანის შაჰი არ ერევა ქართლის საშინაო საქმეებში, არ არღვევს ბაგრატიონთა ტახტის მემკვიდრეობის წესს, ასეა თუ ისე ცნობს ქრისტიანულ სარწმუნოებას. პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, ირან-საქართველოს ასეთი ურთიერთობა იურისპრუდენციაში ცნობილია ვასალიტეტის სახელწოდებით[1]. „... ყველაზე უფრო მკაფიოდ ქართლის ვასალური დამოკიდებულება ირანთან ჩანს ვაზირის თანამდებობაში... ვეზირი XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ირანის მოხელე იყო ქართლში. ვეზირის თანამდებობა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ის, ერთი მხრივ, თითქოს უცხო სახელმწიფოს რწმუნებული არის ქართლში და, ამავე დროს, მეფის მრჩეველი, ე.ი. მას სამეფო საშინაო საქმეებშიც აქვს ფუნქციები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვეზირის თანამდებობა კარგავს თავის მნიშვნელობას და კიდეც ისპობა“[2].

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე – როცა ქართლი ირანის ვასალი იყო, სამეფოს შიგნით ეროვნულ-პოლიტიკური თუ იურიდიული ინსტიტუტები არ მოშლილა. ქართლის სახელმწიფოში ქართული კანონები მოქმედებდა. ცნობილია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-მ შეადგინა სამართლის წიგნი. სამართლის წიგნის შედგენისას ვახტანგ VI-ს, როგორც ქართლის გამგებელს, არ უთხოვია სპეციალური ნებართვა ირანის შაჰისაგან. მან დამოუკიდებლად შეკრიბა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელთა მეშვეობით შეადგინა კოდიკო, და რომელიც დაამტკიცა დარბაზმა ანუ სახელმწიფო საბჭომ. ეს იმის მაჩვენებელია. რომ ირანის ვასალობის მიუხედავად, ქართლის სახელმწიფოს ერთგვარი საშინაო სუვერენიტეტი

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 118.

[2] იქვე.

აქვს, კანონების შედგენისა და დამტკიცების უფლება ხომ ქართლის სახელმწიფოს ხელისუფლების სუვერენიტეტზე მეტყველებს. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი სამართლის წიგნი და „დასტურლამალი“ ანუ სამეფო კარის გარიგების წიგნი, ასევე სხვა საკანონმდებლო აქტები საშუალებას გვაძლევენ უფრო ზუსტად გავარკვიოთ ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება არა მარტო XVIII საუკუნიდან, არამედ უფრო ადრეულ პერიოდში, რადგან აღნიშნული საკანონმდებლო აქტები დაეყრდნო როგორც ძველ ანუ ადრინდელ საკანონმდებლო წყაროებს, ასევე ქართულ ჩვეულებით სამართალს, რომელშიაც სახელმწიფო მოწყობის ჩვეულებითი ნორმებიც იგულისხმება.

1723-1735 წლებში ქართლში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი მყარდება. ამ პერიოდში ქართლსა და კახეთს, მართალია, ოსმალეთის მოხელეები განაგებენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მოიშალა ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები. ოსმალთა ძირითად მიზანს ხარკის მაქსიმალურად მიღება და ექსპლოატაცია შეადგენდა, თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, მათ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს ქართლის მართვა-გამგეობის საქმეში.

ოსმალთა ბატონობას 1735 წლიდან კვლავ ირანის ყიზილბაშთა ბატონობა ცვლის. ამავე პერიოდში ერთიანდება ქართლ-კახეთი ერთ სახელმწიფოდ. ისახება სხვადასხვა კეკმები ქვეყნის გასაძლიერებლად და გასაერთიანებლად, პირველ რიგში, მეზობელ მუსულიმანურ სახელმწიფოსაგან თავის დასაღწევად და რუსეთზე ორიენტაციის ასაღებად, რაც 1783 წლის ტრაქტატით მთავრდება.

ქართლის სახელმწიფო XVII-XVIII საუკუნეებში მმართველობის ფორმის მხრივ მონარქიული იყო. ხოლო წყობილების მიხედვით — მარტივი სახელმწიფო.

როგორია ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა? სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა **სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი** (სახელმწიფო საბჭოს დარბაზი ყოველთვის არ ეწოდება).

მმართველობის უმაღლესი ორგანოები წარმოდგენილია სამეფო კარის სახით, სადაც შედის:

ა) მმართველობის ცენტრალური აპარატი;

ბ) მეფის სამდივნო;

გ) საპოლიციო აპარატი;

დ) მეფის დაცვის ორგანიზაცია;
ე) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი.

ადგილობრივი მმართველობა:
ა) საერისთავოები და ერისთავები;
ბ) სადროშო და სარდალი;
გ) მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი, მელიქი;
დ) ხევი;
ე) სოფელი;
ვ) საქალაქო წყობილება და მმართველობა.

ქართლის მეფე და მისი უფლებამოსილება

გვიანფეოდალურ ქართლში სახელმწიფოს მეთაურს „მეფე" ეწოდება. ისევე, როგორც გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ზოგჯერ მეფეს მოიხსენიებდნენ „ბატონის" სახელწოდებით, რაც მეფის ხელისუფლების დასუსტებიდან გამომდინარეობდა. საქმე ის არის, რომ „ბატონს" უწოდებენ არა მარტო მეფეს, არამედ მსხვილ ფეოდალებსაც. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სამეფოს მეთაური მსხვილი ფეოდალის რანგშია თავისი სისუსტის გამო.

გვიანფეოდალური საქართველოს მეფის ხელისუფლება სუსტია. ამის დამადასტურებელია შესაბამისი პერიოდის სამართლის ძეგლები: „საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისმიერ თვისისად ბრძანებულან, და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რჩებოდა, თორემ მართებული არა უნდებინებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრეები თვითონ მეცა ვარ და სხვანი ხნით ჩემსა უფროსნი არიან და ისინიც ამგვარს დროს ბევრს შეესწრებოდნენ", — აღნიშნავს სჯულმდებელი ვახტანგ VI[1]. მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია ასევე ვახტანგ VI-ის მიმართვა იმის თაობაზე, რომ თუ მისი კანონი არ მოეწონებოდათ, ან უკეთეს რაიმეს მოიგონებდნენ, ... ჩაეწერათ ამ სამართლის წიგნში[2].

---

[1] ქართლის სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963, გვ. 479.
[2] ...

განსხვავებით გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსაგან, გვიანფეოდალური ქართლის მეფე მხოლოდ თვითონ როდი აწერდა ხელს სიგელებზე, არამედ მასთან ერთად ხელს აწერდნენ დედოფალი, ბატონიშვილები და სხვა მოხელეები.

გვიანფეოდალური ქართლის მეფის ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია ისიც, რომ მეფე არ ზრუნავდა (ხშირად) სისხლის სამართლის სასჯელის სისტემაში მოყვანაზე და მიმართავდა მხარეებს, რომ მათ საქმე მორიგებით დაემთავრებიათ.

ქართლში მეფის ხელისუფლების სისუსტის მიუხედავად, მეფეები ცდილობდნენ თავისი გავლენის გაძლიერებას. ამის დამადასტურებელია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის უამრავი მუხლი, მათ შორის მუხლები 173-ე, 220-ე, 258-ე და სხვა, რომლებშიაც იმპერატიული მოთხოვნითაა გამოხატული, რომ ზოგიერთი კატეგორიის საქმეები მხოლოდ მეფის ნება-სურვილით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგალითად, ვახტანგ VI კრძალავდა თვითნებურად გადასახადების დაწესებას, სოფლების გაყიდვას მისი ნებართვის გარეშე (იხ. მუხლი 262-ე).

გვიანფეოდალური ქართლის მეფე ყველაზე უფრო მსხვილი მესაკუთრეა თავის სამეფოში. იგი განაგებს არა მარტო თავის საკუთარ მამულებსა და ყმებს, არამედ მთელ სახელმწიფოსაც (სხვა საკითხია რამდენად ახორციელებს იგი მათ გამგებლობას). მეფის შემოსავალში შედის არა მარტო მის საკუთარ მამულში მოწეული ჭირნახული, სურსათ-სანოვაგე, არამედ გადასახადების გზით აკრეფილი სიმდიდრეც.

განვიხილოთ ქართლის მეფის ფუნქციები და უფლებამოსილება. მეფის ფუნქციებიდან ყურადღებას იპყრობს **საკანონმდებლო ფუნქცია**. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართლის მეფე საკანონმდებლო ფუნქციას ახორციელებდა დარბაზთან ერთად. კანონების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობდნენ ასევე საეკლესიო და საერო მსხვილი ფეოდალები. ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს ქართლის მეფე უშუალოდ — სხვების გარეშე ღებულობდა. მაგალითად, „დასტურლამალის“ მიღებაში მეფის გარდა სხვა პირები არ ჩანან.

ქართლის მეფის სხვა ფუნქციებიდან აღსანიშნავია **უმაღლესი მმართველობის განხორციელების ფუნქცია**. იგი გულისხმობდა: სამეფო კარის მართვას, სამხედრო გამგებლობას, საეკლესიო გამგებლობას, ფინანსების მოწესრიგებასა და ფულის გამოშვებას ანუ საფინანსო მმართველობას, საგარეო ურთიერთობის მოწესრიგებას.

დასახელებული ფუნქციების განხორციელება მეფის მიერ არ ნიშნავს იმას, რომ სათანადო მოხელეები არ არსებობდნენ და მხოლოდ მეფე ახორციელებდა მათ უშუალოდ. მეფეს თავისი ინიციატივით შეეძლო მოეკიდა ხელი ამა თუ იმ საქმისათვის, უმეტეს შემთხვევაში კი მეფის მმართველობა გამოიხატებოდა სათანადო მოხელეთა დანიშვნასა და მათი საქმიანობის კონტროლში. ასე, მაგალითად: მეფე აწესებდა სახელმწიფო გადასახადებს, ბაჟს და ადგენდა მათი აკრეფის წესებს, ნიშნავდა სამხედრო საქმის სპეციალისტებს, აკონტროლებდა მათ საქმიანობას. იგივე ვითარებაა სხვა დარგთა მმართველობის ხაზითაც.

სახელმწიფო საბჭო (დარბაზი)

სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი გვიანფეოდალური ქართლის სამეფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. მსგავსად „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, დარბაზის რიგის მოხელეთა უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბებულია ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ „დასტურლამალში“.

„დასტურლამალში“ დარბაზის ანუ სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩატარებას ეწოდება **არა დარბაზობა, არამედ მეჯლისი.** რა საკითხებს იხილავდა დარბაზი მეჯლისზე – ამის შესახებ „დასტურლამალში“ ზუსტად არ არის მითითებული. მაგრამ ძეგლიდან ჩანს, რომ მეჯლისს ესწრება მდივანი, სახლთუხუცესი და ნაზირი. მდივნის დასწრება მეჯლისზე კი იმის მაჩვენებელია, რომ აქ განხილული საკითხები უნდა აღენუსხა, ჩაეწერა მას. „დასტურლამალიდან“ ჩანს, რომ დარბაზობაზე ანუ მეჯლისის სხდომაზე ადგენდნენ საქმიან საბუთებს ან სიგელებს, იხილავდნენ სამეფოს მმართველობის სხვადასხვა საკითხს. მეჯლისზე შეიძლებოდა განეხილათ კონკრეტული სასამართლო საქმე. სახელმწიფო საბჭოში მონაწილეებს „დარბაისელნი“ ეწოდებოდათ.

მეჯლისი სხვადასხვა წესითა და განსხვავებული შემადგენლობით ტარდებოდა. მას რაიმე რეგლამენტი არ გააჩნდა.

მეჯლისს იწვევდა მეფე და თავმჯდომარეობდა კიდეეაც მას. სახელმწიფო საბჭოს სხდომას ანუ მეჯლისს ესწრებოდნენ: კათალიკოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსები, წინამძღვრები, მუხრანბატონი, არაგვისა და ქსნის ერისთავები, სარდლები, ამილახვარი, მდივანბეგი და სხვა დარბაისელნი. მაგრამ დარბაზის ასეთი შემადგენ-

ლობა მუდმივი არ იყო და არც ზუსტად განსაზღვრული. დარბაზში მოწვეულთა რაოდენობა და შემადგენლობა განპირობებული იყო იმ საკითხების მიხედვით, რაც უნდა განხილულიყო და გადაწყვეტილიყო მეჯლისზე. ქართლის მეფე დიდი და რთული საქმეების გადასაწყვეტად იწვევდა მსხვილ ფეოდალთა თუ საეკლესიო მოღვაწეთა ფართო წრეს, ხოლო ყოველდღიური მუშაობისათვის მეფეს ჰყავდა მცირე საბჭო[1], რომელიც მეფესთან დაახლოებული პირებისაგან ანუ კარის მოხელეებისაგან შედგებოდა. ეს ერთგვარად გვაფიქრებინებს, რომ გვიანფეოდალურ ქართლში, მსგავსად გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსი, დარბაზობა ტარდებოდა „დიდი წესით“ და „მცირე წესით“, მაგრამ ასეთი ტერმინები „დასტურლამალში“ არ გვხვდება.

პროფ. ივ. სურგულაძის დაკვირვებით, დარბაზი ქართლის მეფის სათათბირო ორგანოცაა, რადგან მეფე ფორმალურად შეუზღუდავია, მაგრამ ფაქტობრივად იგი მსხვილ ფეოდალთა გარეშე ვერ წყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს[2].

ქართლის სამეფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოები

ქართლის სახელმწიფოში მმართველობის უმაღლეს ორგანოთა სისტემა თავს იყრის სამეფო კარზე. მმართველობის უმაღლეს ორგანოთა სისტემაში შედიოდნენ ორი რიგის მოხელენი: ა) **ცენტრალური აპარატის მმართველობის მოხელენი;** ბ) **საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი.** ეს უკანასკნელნი არიან ცენტრიდან ადგილებზე წარგზავნილი მოხელენი ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, მუდმივად ან დროებით. გარდა ამისა, მმართველობის განმახორციელებელი მოხელეები განირჩეოდნენ იმის მიხედვით, თუ ვინ ვის ემორჩილებოდა. ამ მხრივ, ერთგვარ ეჭვს იწვევს პროფ. ივ. სურგულაძის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე სამეფოს მმართველობა დარგებად არ იყო დაყოფილი[3]. წარმოუდგენელია, როგორ უნდა განხორციელე-

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 151.

[2] იქვე, გვ. 153.

[3] იქვე, გვ. 169.

ბულიყო სამეფოს მართვა მმართველობის დარგების არარსებობის გარეშე.

ქართული სამართლის ძეგლებისა და სხვა საბუთების ანალიზით ირკვევა, რომ გვიანფეოდალურ ქართლში მმართველობის ცენტრალური ორგანოები და მოხელეები გაერთიანებული იყვნენ სამეფოს კარზე.

სამეფო კარის მმართველობის ორგანოებიდან „ი „დასტურლამალში" წარმოდგენილია:

1) სასახლის ანუ სამეფო კარის მსახურნი და სამეურნეო-საფინანსო აპარატი;

2) მეფის სამდივნო;

3) საპოლიციო აპარატი;

4) მეფის დაცვის ორგანიზაცია;

5) სასამართლო ორგანიზაცია.

6) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი.

განვიხილოთ თითოეული ამათგანი ცალ-ცალკე.

1) სასახლის კარის მსახურნი და სამეურნეო საფინანსო აპარატი

ამ კატეგორიის მმართველობის რგოლებში სახელო და მოხელეა, დაახლოებით 35, რომელთა უფლება-მოვალეობების განხილვა ძალზე შორს წაგვიყვანდა, ამიტომაც მოკლედ შევეხოთ მათ (ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ პროფ. ივ. სურგულაძის ნაშრომით[1]).

სასახლის კარის მომსახურება-ხელმძღვანელობა და. აქედან გამომდინარე, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გაძღოლა ევალებოდა **სახლთუხუცესს**.

სახლთუხუცესის სახელოს გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ვერ ვხვდებით, მაგრამ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს სახელო უფრო ადრეული წარმოშობისა უნდა იყოს, კერძოდ, იმ პერიოდისა, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული და ქვეყანა შედგებოდა ცალკეული ფეოდალური საერისთავოებისგან, „არ არის გამორიცხული, რომ ამ [illegible] კაშირი ჰქონდეს ეზოსმოძღვრის სახელოსთან"[2].

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 175.

[2] იქვე.

სახლთუხუცესს ჰქონდა როგორც სამეურნეო ხასიათის, ისე ადმინისტრაციული ფუნქციები: მისი მონაწილეობით დგებოდა მამულის წყალობის წიგნი, გლეხის გაცემა, სახელოს ბოძება, ჯამაგირის საბუთი და სხვა. ასეთ საბუთებს ამზადებდა სახლთუხუცესი, დაუსვამდა თავის ბეჭედს და მოახსენებდა მეფეს. იგი მეფესთან ძალზე დახლოებული პირი იყო. მას დიდი შემოსავალიც ჰქონდა და ამ მხრივ, ვერც ერთი მოხელე ვერ შეედრებოდა. ამ სახელოს მსხვილი და გავლენიანი ფეოდალები ფლობდნენ. სახლთუხუცესი ლაშქრობაშიც მონაწილეობდა. სახლთუხუცესის ფართო უფლებებზე მეტყველებს ის, რომ იგი განაგებდა სახელმწიფოს მთელ შემოსავალ-გასავალს. სახლთუხუცესის კომპეტანციის მაჩვენებელია იმ მოხელეთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, რომლებიც მას ექვემდებარებოდნენ. ასეთებია: **ნაზირი, მოლარეთუხუცესი და მოლარე, თავლიდარი, მუშრიბი, თუშმალი** და სხვები.

ნაზირი — სამეურნეო-საფინანსო ფუნქციების მქონე მოხელეა. ნაზირები განაგებდნენ საწყობებს, ამარაგებდნენ სამეფო კარს, კრეფდნენ გადასახადებს. არსებობდა სხვადასხვა დაწესებულების ნაზირი. ნაზირები სახლთუხუცესის მოადგილეებად ჩანან სხვადასხვა დარგში.

მოლარეთუხუცესი მოლარეების უფროსია. გაერთიანებული ფეოდალური საქართველოსაგან განსხვავებით, ქართლის მოლარეთუხუცესის საგამგეოში შედიოდა: **ფართლეული და ტანისამოსი, შესაკერი ნაჭრები, საჩუქრები** და სხვ.

თავლიდარი სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით **გამგეთუხუცესია** და გვიანფეოდალურ ქართლში სამეურნეო ხასიათის მოხელეა. თავლიდარი ერთი კი არა, რამდენიმე იყო სამეურნეო თუ საფინანსო ხასიათის დარგში. მაგალითად, სალაროს თავლიდარს ებარა სალაროში მოთავსებული ნივთები. იგი საწყობის გამგეა, რომელიც ინახავდა და აწარმოებდა ნივთების მიღებასა თუ გაცემას. თავლიდარს ვხვდებით: ქარხანაში, სალაროში, საღვინეში, სამზარეულოში, საჯინიბოში, საფარეშოში, საშარბათოში და სხვ. თავლიდარს დიდი შემოსავალი ჰქონდა.

მუშრიბი — იგივე მწერალი ანუ აღმრიცხველია, ანგარიშის დამჭერი მუშრიბები მუშაობდნენ სხვადასხვა უწყებებში და გასამრჯელოს ღებულობდნენ როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით.

თუშმალი — სამეფო სასახლის სამზარეულოს მოხელეა. მისი მოვალეობა იყო სამზარეულოსათვის პროდუქტების მიწოდება და მომ-

სახურება მეჯლისის დროს – პურობისას. თუშმალთან ერთად სამზარეულოს სხვა მოხელეებიც ემსახურებიან: ყასაბი, წყლის მზიდავი, მეშეშე, მუშა ანუ ქვაბების ამწევი, მეთეფშე და სხვ.

სუფრაჩი – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სუფრაჩი თურქული სიტყვაა და ქართულად მატაკარანი ჰქვია[1]. მატაკარანი კი მზარეულთუხუცესია. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, სუფრაჩი მეფის სუფრის ზედამხედველი და მეთვალყურეა[2]. „დასტურლამალიდან" ირკვევა, რომ სუფრაჩი მეფის სუფრას ზედამხედველობდა და სუფრასთან მეფეს ემსახურებოდა. სასახლის მოსამსახურენი და სამზარეულოს მუშაკები სუფრაჩის ბრძანებას ასრულებდენ მეფის წინაშე. იგი მეფესთან დაახლოებული პირია და დიდი გავლენით სარგებლობს.

საფარეშოს მოსამსახურენი. ასეთ მოხელეთა შორის უნდა დავასახელოთ **ფარეშთუხუცესი, მეკარვე, შიგმდეგი, ფარეშხანის ტარუღა, ყალიონ-ყორჩი, ჩაის მოხელე, ყავის მომტანი, მემაშიე, აბდარი, სუფრაქეში.** აღნიშნულ მოხელეთა მოვალეობაში მეფის პირადი მომსახურება შედიოდა. მათ მეფის ორი და დედოფლის ერთი ფარეშთუხუცესი ხელმძღვანელობდა. ფარეშთუხუცესები მეფესთან დაახლოებული პირები იყვნენ. მეკარვეს – მეფის კარავი ებარა. შიგმდეგი ის მოხელეა, რომელიც მეფესთან თუ სხვა დაწესებულებაში „შიგ დგას" და გარკვულ დავალებას ასრულებს. **ფარეშხანის ტარუღა** – „დასტურლამალის" მიხედვით მონაწილეობდა სამეფო სუფრის გაშლაში. **ყალიონ ყორჩთა** მოვალეობას მეფისა და სხვა საპატიო პირებისათვის ყალიონის მირთმევას შეადგენდა. სულ ოთხი ყალიონ ყორჩი ყოფილა ქართლის სამეფო კარზე, მეჯლისის დროს ორი ემსახურებოდა მეფეს და ორიც სხვა პირებს. **ჩაის მოხელე** მეფეს ჩაის მიართმევდა. **მემაშიეს** მოვალეობას შეადგენდა გარედან ჩასაცმელი ფეხსაცმლის მირთმევა. **აბდარის** მოვალეობა იყო მეფისათვის წყლის მირთმევა. გარდა ამისა, სხვა აბდარები იცავდნენ დასალევ წყალს. **სუფრაქეშის** ფუნქციას საჭმლის დარიგება შეადგენდა. სამეფო კარზე ექვსი სუფრაქეში ყოფილა.

მეითარი. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებული ეჯიბის ნაცვლად, გვიანფეოდალურ საქართველოში შემოდის მეითარი.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

[2] იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ისევე როგორც ეჯიბი, მეითარიც მეფესთან დაახლოებული პიროვნება ჩანს, ზოგჯერ მეფის საგანგებო დავალებას ასრულებს, ისე კი, იგი ვალდებული იყო ბატონს ანუ მეფეს მუდამ თავს დგომოდა, ხელსახოცი მიერთმია, „შინით და გარეთ ბატონთან გაუყრელობა და შინაყმობა დიდი აქვს“.

მერიქიფეთუხუცესი. მერიქიფე ღვინის ჩამომსხმელი მოხელე იყო. მერიქიფეთუხუცესს ექვემდებარებიან მერიქიფენი და მელვინეები. გარდა ამისა, მერიქიფეთუხუცესი მეითართან ერთად მეფეს ეშახურება[1].

მელვინეთუხუცესი. —სამეფო კარს ჰქონდა თავისი ღვინე, დღევანდელი ტერმინოლოგიით მარანი, სადაც საქმიანობდნენ: მელვინეთუხუცესი, მელვინე, შიგმდეგი, თავლიდარი, პირის მელვინე და მეტიკისპირე.

მელვინეთუხუცესის მოვალეობა იყო სასახლის ღვინით მომარაგება. ამისათვის იგი განაგებდა ყოველგვარ საქმიანობას, რაც ღვინის მოყვანასთან, დამზადებასა თუ გახარჯვასთან იყო დაკავშირებული. მას ექვემდებარებოდა მეფის ღვინისა და არყის შემოსავალი. შემოსავალი კი მიიღებოდა როგორც მეფის მამულებიდან, ისე ნატურით გადასახადის სახით. მელვინეთუხუცესს ანგარიშს აბარებდნენ საღვინეს მოხელენი, თავის მხრივ, მელვინეთუხუცესი სახლთუხუცესის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

საღვინეს დანარჩენ მოხელეთა მოვალეობას შეადგენდა ღვინის როგორც სუფრაზე მიტანა, მიწოდება, ისე მისი მოწევა, შენახვა, მომარაგება და სხვ.

ამბარდანი. იგივე „მეკოდისპერეა“. იგი კრეფს პურის გადასახადს როგორც ნატურით, ისე ფულად, ასევე იღებს გადასახადის სახით ქრთამს. ამბარდანს, ალბათ, სპეციალური საცავი, საწყობი ჰქონდა, სადაც პურს ინახავდა.

მუჯირი. იგი ამბარდანთან სიახლოვეს იჩენს, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, იგი „ხვარბალთა მზეა“, ე.ი. ხორბლის გამგებელია, შესაძლებელია მუჯირს ებარა ხორბლის საწყობი ან ხორბლის გადასახადს კრებდა[2].

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 205.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 231.

ხახადირი. მეფის კუთვნილი მიწების ზედამხედველი და მომვლელი ჩანს. იგი გარკვეულად ემსგავსება მოურაესა და ნაცვალს, მაგრამ თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს.

ფეშქაშნავისი — სპარსულია, ქართულად „ძღვენთაა მნეა". მის მოვალეობას შეადგენდა აღრიცხვა, თუ რა საჩუქრები გაიცემოდა და ანგარიში ჩაებარებინა წლის ბოლოს.

ქილიფთარი — იგივე მოლარეა, მაგრამ არ მოიხსენიება სალაროს მოხელეებთან, არამედ მას საფარეშოს მოხელეთა შორის ვხვდებით. იგი სამეურნეო ხასიათის მოხელეა, ზოგან კი მას თავლიდარის თანამდებობაც უჭირავს.

გადასახადის ამკრეფი მოხელენი შეიძლება ყოფილიყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრიდან წარმოგზავნილი მოხელენი. ისინი მოქმედებდნენ დადგენილი წესით, რისთვისაც გასამრჯელოს ღებულობდნენ.

ხახაბაზოს მოხელენი: მეგოდრეთუხუცესი, მეგოდრე, ხაბაზი და შიგამდეგი. მეგოდრეთუხუცესი და მეგოდრენი, ალბათ გოდრით, სუფრაზე პურს არიგებდნენ მეჯლისის დროს. ხაბაზი კი პურის მცხობელი იყო.

მეშარბათე. იგი საშარბათოს მოხელეა. საშარბათოში ძირითადად ტკბილეულობა მზადდებოდა. თვით შარბათი ტკბილ სასმელს ნიშნავდა, გარდა ამისა, საშარბათოში ამზადებდნენ ასევე ყველს, მაწონს, მწნილს.

ნაღარახანის მოხელენი. იგივე მუსიკოსები არიან. მათ შორის მექნარე — 9 კაცი, მენაფირე (მებუკე) — 2 კაცი, მეზურნე — 2, მენაღარე — 4.

ალანდარი — დროშის დამჭერი და შემნახავი მოხელეა. „დასტურლამალში" გათვალისწინებულია 4 ალანდარი.

საჯაბადროს მოხელეთა ვალდებულებას შეადგენდა თოფის-წამლის მომზადება-შენახვა. ასევე იარაღის დამზადება-შეკეთება. საჯაბადრო იარაღისა და ტყვია-წამლის შესანახი ადგილია.

სამკერვალოს მოხელენი — სასახლის კარის მსახურთა და მოხელეებს ამარაგებდნენ ტანისამოსით.

აუშტარი — სასახლის პროდუქტებით მომმარაგებელი მოხელეა. აუშტარს ებარა ბრინჯი, თევზი, ერბო და სხვა პროდუქტები.

სანადიროს მოხელენი. ნადირობას მრავალმხრივი დანიშნუ-

ლება ჰქონდა. იგი სამხედრო მომზადების, წვრთნის ერთ-ერთი სახე იყო, ასევე სამეურნეო-ეკონომიკური დანიშნულებაც ჰქონდა, დაბოლოს, გართობის საშუალებასაც წარმოადგენდა. გვიანფეოდალურ ქართლის სახელმწიფოში სანადირო მოხელეთა უფროსს ეწოდება ბაზიერთუხუცესი. მან შეცვალა ადრინდელი მონადირეთუხუცესი.

ბაზიერთუხუცესი — შევარდენის მწვრთნელთა უფროსს ნიშნავს. სინამდვილეში კი ნადირობის საქმისა და ყველა მონადირის, მათ შორის ბაზიერთა, მწევარი ძაღლების მწვრთნელების უფროსია. „დასტურლამალში" ცალკე ჩანს „მეძაღლეთუხუცესის" სახელო.

საჯინიბოს მოხელენი. ამ სახელოს მეჯინიბეთუხუცესი ხელმძღვანელობდა. მათ ემორჩილებიან მეჯინიბეები და ზინდრები. ზინდი უნაგირის დამდგმელი, ცხენის შემმკაზმელი მოხელე იყო.

ცხენის მოშენების მოხელენი. ამ სახელოს განაგებდა მეჯოგეთუხუცესი, რომლის მოვალეობას შეადგენდა ცხენის ჯოგის მოვლა, მათი დაცვა სენისაგან, ნამატის მოვლა, ნადირისაგან მათი დაცვა, ცხენების დადაღვა და სხვ.[1].

2) მეფის სამდივნო

სამეფო კარის მმართველობის უმაღლეს ორგანოთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართლის მეფის სამდივნოს. უნდა ითქვას, რომ სამდივნო, როგორც ასეთი, ცალკე დაწესებულებად არ არსებობდა. მას პირობითად ვხმარობთ და სამდივნოში ვგულისხმობთ შემდეგ მოხელეებს: მდივანი, მწერალი, მირზა, მურდარი.

მდივნის თანამდებობა გართიანებულ ფეოდალურ საქართველოში არ არსებობდა. მის ადგილზე იყო მწიგნობარი. მდივნის თანამდებობა ყალიბდება XV საუკუნიდან.

მდივანი ნიშნავს მწერალს, რომელიც ადგენს ანუ წერს საქმიან დოკუმენტებს: სიგელებს, გუჯრებს, ბრძანებებსა და სხვ. მდივნობა სპეციალურ მომზადებას თხოულობდა, მათ ენების ცოდნაც მოეთხოვებოდათ.

მდივნებს სახლთუხუცესის სახელოსთან ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. მდივანი და სახლთუხუცესი სამეფოს საფინანსო საქმეებს გა-

[1] ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ., 1952, გვ. 208.

ნაგებდნენ, ამ შემთხვევაში მდივანი სახლთუხუცესს ექვემდებარებოდა.

მდივნები მმართველობის ყველა დარგს ემსახურებოდნენ, მმართველობის ამა თუ იმ დარგის დოკუმენტს მდივნის ხელში უნდა გაეცლო. მდივნები არათუ ადგენდნენ დოკუმენტებს, არამედ მონაწილეობდნენ ამა თუ იმ დოკუმენტის სისრულეში მოყვანაშიაც[1]. მდივნები სხვადასხვა დარგის იყვნენ. აღსანიშნავია სასამართლოს მდივანი, რომელიც ჩაწერდა მხარეთა საჩივრებს, მონახავდა სათანადო მუხლებს.

გვიანფეოდალურ ქართლის სამეფოში მდივნები ჰყოლია როგორც მეფეს, ისე დედოფალს. როგორც ირკვევა, გვიანფეოდალურ ქართლში, გარდა ოფიციალური მდივნებისა, ყოფილან არაოფიციალური მდივნებიც, ეს უკანასკნელნი საქმიანი დოკუმენტების შემდგენელ სპეციალისტებად გვევლინებიან[2].

როგორც ცნობილია, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მდივნების წინამორბედს მწიგნობართუხუცესი ჰყავდა. ასეთი რამ გვიანფეოდალურ საქართველოში არ ჩანს, ე.ი. მდივანთა შორის უფროსუმცროსობა არ არსებულა, თუმცა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში ჩანს მდივანთუხუცესის თანამდებობა, მაგრამ იგი არ იყო მდივნების უფროსი, არამედ საგარეო საქმეთა მმართველობის უფროსია[3].

მწერალი — სამდივნოს მოხელეა, რომელიც მდივნის მსგავსად სიგელს, გუჯარს, განაჩენს, ბრძანებასა თუ სხვა დოკუმენტებს წერდა. მწერლის ფუნქციები მდივნისაზე უფრო ვიწროა, იგი აწარმოებს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს, როცა მდივანი არ არის ან როდესაც სპეციალურ დავალებას მისცემენ, ამა თუ იმ დოკუმენტის გასაფორმებლად.

მხარზა — თათრული მოსახლეობისათვის განკუთვნილი მწერალი უნდა ყოფილიყო.

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 236.

[2] იქვე, გვ. 137-138.

[3] იქვე, გვ. 238-239.

მურდარი — ბეჭდის მცველს ანუ ბეჭდის შემნახველს ნიშნავდა. იგი სამეფო ბეჭედს დასვამდა სხვადასხვა საბუთებზე. მურდარი ჰყოლია მეფესაც და დედოფალსაც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლსა და კახეთში ორი მურდარი ჩანს.

3) საპოლიციო აპარატი

გვიანფეოდალური პერიოდის ქართლის სახელმწიფოს საპოლიციო აპარატი სახელმწიფო მმართველობის განსაკუთრებულ ფუნქციას ახორციელებს. საპოლიციო აპარატის ფუნქციებში შედიოდა ბრძანებისა თუ განაჩენის სისრულეში მოყვანა, ჩხრეკა, გამოძიება. ეამნაშაკლა დაკავება, დაპატიმრება, წესრიგის დაცვა და ა. საპოლიციო აპარატის საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ქონდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „დასტურლამალი“ იწყება სწორედ საპოლიციო მოხელეთა ანუ ხელჯოხიანთა შესახებ თხრობით.

„დასტურლამალში“ მოცემულია ექვსი მოხელეები: ეშიკაღასბაში, ბოქაულთუხუცესი. სოიბაიასაული, ყორიასაული, მემანდარი, ყაფიჩი, ჯარიჩი, თალიში, იასაული. შაჰირი. განვიხილოთ ისინი.

ეშიკაღასბაში — გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვაზირის — მანდატურთუხუცესის მსაცველია და XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება. იგი თურქული წარმოშობის სიტყვაა: ეშიკ — ზღურბლს ნიშნავს, აღა — ბატონს.

ეშიკაღასბაშს ექვემდებარებოდა სვენ მიერ ზემოთ დასახელებული ცხრა მოხელე, ისინი ასრულებდნენ ეშიკაღასბაშის დავალებებს და ანგარიშს აბარებდნენ მას.

ეშიკაღასბაში ზოგჯერ სასამართლო განაჩენების აღმსრულებლის ფუნქციის მატარებელია. მას ექვემდებარება ქონების კონფისკაცია, განაჩენის სისრულეში მოყვანა, ყმების აყრა, მათი ჩაბარება მემამულისთვის, რაიმე დავალებით უცხო სახელმწიფოში წასვლა.

ეშიკაღასბაშის ფუნქციას შეადგენდა ასევე ამა თუ იმ საქმის გამოძიება, პირის დაპატიმრება. იძულებით მიყვანა და სხვ. მეკლისის დროს იგი წესრიგს იცავდა. ერთი სიტყვით, ეშიკაღასბაშის სახელოში ყოველგვარი საპოლიციო ფუნქცია შედის. ჩვეულებრივ ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ მსხვილი ფეოდალები. ეს სახელო მეტად შემო-

საველიანი იყო. ქართლის სამეფოში ორი ეშიკაღასბაში ჩანს. ასევე ორი ეშიკაღასბაში ჰყავს დედოფალსაც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება ასევე კახეთის ეშიკაღასბაშიც.

ბოქაულთუხუცესი — იგივეა რაც იასაულთუხუცესი. ბოქაული იასაული ანუ მეფის ბრძანებების სისრულეში მომყვანი მოხელეა. ბოქაულთუხუცესს ბოქაულები ექვემდებარებოდნენ. ისინი მეჯლისის დროს წესრიგის დამცველებად გვევლინებიან, იწვევენ სტუმრებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბოქაულთუხუცესი უფრო ძველი თანამდებობაა. ვიდრე ეშიკაღასბაში და მისი ფუნქციები ბოქაულთუხუცესს ჰქონდა[1].

სოიბათიასაული. სულხან-საბა ორბელიანი ერთმანეთთან აიგივებს ბოქაულს, იასაულსა და მანდატურს. ვახუშტის ცნობით კი სოიბათიასაული იგივე მანდატურია. სოიბათიასაული ძალზე საპატიო საპოლიციო მოხელე ყოფილა. მთელი მისი საქმიანობა საიარაღო სამსახურია. მას ზოგჯერ სამეურნეო ფუნქციაც აქვს. „დასტურლამალი" სოიბათიასაულს იხსენიებს ბოქაულთუხუცესთან ერთად. ისინი ერთად ღებულობენ მონაწილეობას მეჯლისის დროს. აღნიშნული თანამდებობა ფეოდალებს ეჭირა.

გარდა დარბაზის მომსახურებისა, სოიბათიასაული სხვადასხვა ბრძანებებსა და განკარგულებებს ასრულებდა. იგი სასამართლოს აღმასრულებლადაც გვევლინება.

ყორიასაული. იგი ხელჯოხიან მოხელეთა თავშია მოხსენიებული. იგი ეშიკაღასბაშის ქვემდებარე მოხელე უნდა იყოს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ყორიასაულები, რომელსაც საგარეო ფუნქციაც აქვს და ხელჯოხიანთა უწყებებში ბოქაულთუხუცესს გაუტოლდა. სეფიანთა ირანში ყორიასაული შაჰის წინ მიდიოდა და გზას ათავისუფლებდა. ასევე არის ცნობა, რომ ყორიასაულები ღამით სასახლის მცველების მოვალეობას ასრულებდნენ, ხოლო დღისით დივანბეგის სასამართლოში წესრიგს იცავდნენ[2].

შემანდარი. საპოლიციო მოხელეა. მისი ძირითადი ფუნქცია სტუმრების მიღება-გაცილება იყო. ამიტომაც აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, რომ შემანდარი ადრინდელი მესტუმრეთუხუცესია. „დასტურლამალში" ორი შემანდარბაში და შვიდი შემანდარია დასახელებული.

---

[1] ვ. გაბაშვილი. დარბაზის რიგის მოხელენი „დასტურლამალის" მიხედვით. ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 188.

[2] ნ. სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990, გვ. 152-153.

ყაფიჩი. იგი თურქული სიტყვაა და ქართულად მეკარეს ნიშნავს. ყაფიჩი ხელჯოხიან მოხელეთა ჯგუფში შედის. იგი იასაულზე უფრო მაღლა დგას. ყაფიჩთა ძირითადი ფუნქცია სასახლის კარზე დგომა და მეფის დარბაზის დაცვა ყოფილა. გარდა ამისა, ყაფიჩები ზოგჯერ განაჩენის აღმასრულებლებად გვევლინებიან, ზოგჯერ სასახლიდან გაცემული ბრძანების მაუწყებლები არიან.

ჯარჩი. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ჯარჩი მეფის ცხენოსანი გზირია[1]. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ ჯარჩი სპარსეთში მყვირალს, ამბის განმცხადებელს, მთავრობის განკარგულების საჯაროდ გამომცხადებელ მოხელეს ეწოდება[2]. პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, „ჯარჩი ირანულ „მყვირალზე“ უფრო საპატიო სახელო ჩანს, ამბის გამცხადებელსა და განკარგულებათა მიტან-მოტანის ფუნქციები ქართულ სამოხელეო წყობილებაში შათირს უნდა ჰქონოდა“[3]. პროფ. ივ. სურგულაძის დაკვირვებით, ჯარჩს ერთგვარი სამხედრო ფუნქციების გარდა, სამეურნეო და სანადირო ფუნქციებიც ჰქონდა, ისე კი ხელჯოხიანთა რანგში შედიოდა.

თალიში. თალიში ხელჯოხიანთა მოხელეა. იგი იასაულთან და ყაფიჩთან ერთად სასახლის კარისა და მეფის დაცვის საქმეს ემსახურებოდა.

იასაული. იგივე მანდატური, ბოქაული, ხელჯოხიანი მოხელეა. მისი ფუნქცია ძირითადად საპოლიციო სამსახურია და ეშიკაღასბაშის სახელოს ექვემდებარება. იასაულები ბევრი იყვნენ. ისინი ყველა დარგში იყვნენ საჭირო საპოლიციო სამსახურის შესასრულებლად: დაცვაში, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, წესრიგის დასამყარებლად და სხვ. სამეფო „დასტურლამალი“ 23 იასაულს ითვალიწინებდა, სადედოფლო — 17-ს მათთვის სპეციალური საიასაულო სახლი არსებულა.

შათირი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, შათირი არაბული სიტყვაა და შიკრიკს ნიშნავს. გვიანფეოდალურ ქართლში ამავე ფუნქციას ასრულებდა შათირი.

---

[1] დ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი.

[2] ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი „დასტურლამალის“ მიხედვით, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 193.

[3] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 283.

4) მეფის დაცვის ორგანიზაცია

ქართლის სამეფოსა და მის მეფეს სპეციალური დაცვა ჰყოლია, რომელსაც სპეციალური თანამდებობის პირი ყულარაღასი ხელმძღვანელობდა.

ყულარაღასი — იგივე მეფის მცველთა რაზმების უფროსია. „დასტურლამალის" მიხედვით, მეფის დაცვა შედგებოდა 120 კაცისაგან. 120-კაციანი რაზმი იყოფოდა 3 ორმოც-ორმოცკაციან რაზმებად. თითოეულის მეთაურს უზბაში ეწოდებოდა. რაზმები მეთოფეებისაგან კომპლექტებოდნენ. მეფის დაცვის ჯარი ფაქტობრივად სასახლის გვარდია იყო. თვით ყულარაღასი უშუალოდ იცავდა მეფეს. ყულარაღასს მეფის დაცვის ფუნქციის გარდა, სასამართლოს ფუნქციაც ჰქონია. მეფის დაცვაში ძირითადად მაღალი წრის წარმომადგენლები შედიოდნენ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ყულარაღასი კარგავს თავის მნიშვნელობას.

ყორჩიბაში — ოსმალურად ენახი ყორჩი — მხედარი გვამის მცველია, ხოლო ყორჩიბაში კი გვამის მცველთა უფროსი. ყორჩიბაშს ექვემდებარებოდნენ ყორჩები, რომლებიც ყულებთან ერთად იცავენ სასახლესა და მეფეს. ისინი, ერთი მხრივ, სამხედრო მოსამსახურები იყვნენ, მეორე მხრივ, მეფეს იცავდნენ. გვიანფეოდალური ქართლის სახელმწიფოს მეთაურის დამცველთა სიაში ყულები და ყორჩები ზოგჯერ ერთი და იგივე პირები არიან. ეს ადასტურებს მათ ორგვარ ფუნქციას.

ამრიგად, მეფის დაცვის ორგანიზაციას განაგებენ ყულარაღასი და ყორჩიბაში, რომლებსაც ექვემდებარებიან ყულები და ყორჩები.

ქეშიკჩიბაში სპარსული სიტყვაა და ნიშნავს გვამის მცველს. ეს სახელო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II-ს შემოუღია და მეფის დაცვის ფუნქცია მიუნიჭებია.

ჩვენ გვერდი ავუარეთ და მეფის დაცვის მოხელეთა შორის არ დავასახელეთ პროფ. ივ. სურგულაძის მიერ ამ სახელოში შეყვანილი მოხელეები: მინბაში, უზბაში, მეთოფე, ლაშქარნავისი. ვფიქრობთ, ისინი სამხედრო მოხელეები არიან და ჯარის ორგანიზაციაში უნდა განვიხილოთ. თუმცა ამ საკითხს პროფ. ივ. სურგულაძე არსად არ ეხება.

5) სასამართლო ორგანიზაცია

გვიანფეოდალურ ქართლის სახელმწიფოში სასამართლოს ხელისუფლება მთლიანად არ არის გამოყოფილი საკანონმდებლო, საეკლესიო თუ მმართველობის ფუნქციებისაგან. ამის დამადასტურებელია ის, რომ სასამართლო ფუნქციებს ახორციელებენ როგორც თანამდებობის პირები, სახელმწიფო ორგანოები თუ ეკლესია, ისე სპეციალური სასამართლო ორგანოები.

პროფ. ივ. სურგულაძე სასამართლო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) სტრუქტურას, რომლებიც იხილავენ სხვადასხვა კატეგორიის საქმეებს, ასე წარმოგვიდგება[1]:

1. მეფე როგორც მოსამართლე;
2. დარბაზი როგორც სასამართლო ორგანო;
3. განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო;
4. მდივანბეგი;
5. ხევისთავი;
6. მედიატორე, ბჭე, მოთემე;
7. საეკლესიო სასამართლო.

პროფ. მ. კეკელიამ სპეციალურად შეისწავლა საქართველოს სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი რუსეთთან შეერთების წინ[2]. იგი სასამართლოს რგოლების თითქმის იმავე სტრუქტურას გვთავაზობს, მაგრამ დამატებით იხილავს ისეთ უწყებებს, როგორიცაა:

1. დედოფალი როგორც მოსამართლე;
2. ბაღთისშვილების სასამართლო ფუნქციები;
3. მაურავი როგორც მოსამართლე;
4. ფეოდალი როგორც მოსამართლე;
5. მელიქისა და მამასახლისის სასამართლო ფუნქციები;
6. ქედხუდა როგორც მოსამართლე;
7. სასამართლო ფუნქციების მქონე სხვა თანამდებობის პირები.

ზემოთ აღნიშნული სასამართლო ორგანოებისა თუ მოსამართლეთა ფუნქციების ვრცლად განხილვა შორს წაგვიყვანს, ამიტომაც

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952. გვ. 303-361.

[2] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, I, თბ., 1970, გვ. 112-258.

მათ ძალ.ჩ. ძოკლედ განვიხილავთ.

სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხები უფრო ვრცლად განხილული იქნება ქვემოთ, სპეციალურ თავში ამიტომ აქ მათ შესწავლას აღარ შევუდგებით.

6) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი

განსაკუთრებული ხასიათის მოხელეებში პროფ. ივ. სურგულაძე ასახელებს **ვეზირსა** და **მუსტოფს**.

ეს მოხელეები განსაკუთრებულია იმდენად, რამდენადაც ისინი ირანის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლებად უნდა ჩაითვალონ.

გვიანფეოდალურ საქართველოში აღარ არსებობს არც სავაზირო და არც ვეზირები იმ მნიშვნელობითა და შინაარსით, რაც იყო გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში XV საუკუნემდე. ამ პერიოდიდან კი ვეზირი მოხელეობის საერთო აღმნიშნელი ტერმინია. მეორე მხრივ, გვიანფეოდალურ ქართლში ვეზირი კონკრეტული თანამდებობის პირი ჩანს. სწორედ იგი გვაინტერესებს ჩვენ, რა ფუნქციები ჰქონდა, რა ეკალებოდა და სხვ. მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ სეფიანთა ირანში არსებობდა დიდვაზირის თანამდებობა, იგი სეფიანთა ირანის პირველი მოხელე იყო XVII საუკუნეში. დიდვაზირი რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა: იგი იყო საფინანსო-სამეურნეო და სამდივნომწიგნობროს მეთაური, იგი ხელმძღვანელობდა ირანის პროვინციებიდან გადასახადების აკრეფას. დიდვაზირის მეორე ძირითადი ფუნქცია ის იყო, რომ იგი გეეკლინება ირანის შაჰის სათათბირო ორგანოს — ამირთა საბჭოს თავმჯდომარედ. სახელმწიფოში მის გარეშე არ დაინიშნებოდა არც ერთი მოხელე[1]. როგორც ჩანს, ქართლში ვაზირის თანამდებობის შემოღება ირანის დიდვაზირის თანამდებობის ანარეკლი უნდა იყოს.

„დასტურლამალიდან" ჩანს, რომ ვეზირი კონკრეტული პიროვნებაა, იგი მაღალი თანამდებობის პირია, რაზედაც მეტყველებს მისთვის განკუთვნილი გადასახადი ანუ სარგო. ვეზირმა განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა ერეკლე I-ის დროს. ამ პერიოდის ვეზირი ირანის წარმომადგენელია ერეკლე მეფის კარზე და მის მრჩეველად ითვლება, მას სამეფო

---

[1] ნ. სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990, გვ. 180-185.

საქმიანობის ყველა უბანზე მიუწვდება ხელი. იგი მეფის მოადგილედაც კი ითვლება. ირანის მოხელეების როლი სუსტდება თეიმურაზისა და ერეკლე II-ის დროს.

წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ქართლის სამეფოში ორი ვეზირი ყოფილა: ერთი – სამეფოს ვეზირი, მეორე კი – ქალაქის ვეზირი. „დასტურლამალი" კი ერთ ვეზირს ასახელებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვეზირის სახელო გაუქმებული არ არის, მაგრამ აღარ „ბრწყინავს", იგი მნიშვნელობას კარგავს, ეს გამოწვეული იყო საოკუპაციო ხელისუფლების შესუსტებით.

მუსტოფი – ეს სახელოც უცხოური (სპარსული) წარმოშობისაა და ქართლში საოკუპაციო ხელისუფალთა გავლენით დამკვიდრდა. მუსტოფი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოანგარიშეს[1], რომელიც სამდივნოში, ანუ დავთარხანაში მუშაობს და ამტკიცებს დოკუმენტებს ბეჭდის დასმით. სეფიანთა ირანში მუსტოფი მაღალი თანამდებობა იყო. მას ექვემდებარებოდა საფინანსო უწყება და სახელმწიფო კანცელარია. მონაწილეობდა გადასახადების აკრეფაში, სახელმწიფო მოხელეთა დანიშვნაში, მათთვის ჯამაგირების განსაზღვრაში, კონტროლს უწევდა შაჰის სამეურნეო დაწესებულებების ფინანსებს. მასვე ემორჩილებოდნენ პროვინციებში დანიშნული მუსტოფები[2]. მუსტოფის სახელო ვეზირის სახელოს ემსგავსება იმ მხრივ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელია და, ალბათ, მისი წარმომგზავნი ქვეყნის ინტერესებს იცავს. მიუხედავად ამისა, იგი ქართლის მეფესთან დაახლოებული პირი ჩანს. იგი დოკუმენტებს ადასტურებს ბეჭდის დასმით, იგივე აწარმოებდა ანგარიშს მეფის მეურნეობის ყველა დარგში, ე.ი. მეფის შემოსავალ-გასავალს აკონტროლებდა, რათა ირანის მთავრობისათვის ეცნობებინა ამის შესახებ. ამ მხრივ მუსტოფი ქართულ სახლთუხუცესს უპირისპირდება. მუსტოფის სახელო გავლენას კარგავს XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

---

[1] იხ. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, М. 1974, II, стр. 777.

[2] 6. სურგულაძე, სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990, გვ. 197-201.

ადგილობრივი მმართველობის ისტორიიდან

ადმინისტრაციული დაყოფა და მმართველობა გვიანფეოდალურ პერიოდში

„ადგილობრივი მმართველობის საკითხი გვიანფეოდალურ საქართველოში ერთ-ერთი უძნელესი საკითხთაგანია. არც საკანონმდებლო, არც სხვა ძეგლებში ჩვენ ვერ ვაძჩნევთ რაიმე გარკვეულ მითითებას ქართლის, კახეთის ან სხვა რომელიმე სამეფო-სამთავროს ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციის შესახებ"[1].

გვიანფეოდალურ პერიოდში მოიშალა ერთიანობის ხანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — საერისთაო. აღარ ფუნქციონირებდა ერისთავთერისთავის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის ინსტიტუტი. მართალია, ფორმალურად შემორჩნენ ზოგიერთი საერისთაოები (რაჭის, გურიის), მაგრამ აქაური ერისთავები აღარ იყვნენ საჯარო ხელისუფლებასთან დაკავშირებული, ისინი ფაქტობრივად მემამულეებად ანუ თავადებად და სათავადოებად გადაიქცნენ.

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს საერისთაოების ნაწილი მეფემ მიითვისა როგორც კერძო მამული, ნაწილი კი ფეოდალების სამკვიდრო მამულად იქცა.

გვიანფეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გვევლინება **სადროშო**, რომელსაც განაგებს **სარდალი**. სადროშო ფაქტობრივად სამხედრო დანაყოფი იყო, თუმცა გარდა სამხედრო ფუნქციებისა, ჰქონდა ასევე ადმინისტრაციულ-საფინანსო და სასამართლო ფუნქციები.

XVI საუკუნიდან ქართლი ოთხ სადროშოდ დაიყო: 1) მეწინავე სადროშო — ქვემო ქართლი; 2) მემარჯვენე სადროშო — მოიცავდა ზემო ქართლს; 3) მემარცხენე სადროშო — მასში შედიოდა შუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობები; 4) მეფის სადროშო — თბილისიდან ტაშისკარამდე, ანუ მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოიცავდა.

კახეთიც სადროშოებად დაიყო[2]. აქაც ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა, მაგრამ სადროშოს მეთაურებად ეპისკოპოსები ინიშნებოდნენ. მიუხედავად სადროშოების არსებობისა, კახეთში ჩამოყალიბდა ასევე სამოურა-

---

[1] ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ., 1952, გვ. 384.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 238-239.

ეოები, რომლებსაც მოურავები განაგებდნენ. როგორც მეფის ადგილობრივი მოხელეები, მოურავები მცირე ტერიტორიების მმართველები იყვნენ.

ქართლის სამეფოს ადგილობრივი მმართველობის შესწავლის სირთულე იმაშიაც მდგომარეობს, რომ სამეფო ერთი პრინციპით არ იყო დაყოფილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სადროშოში იყო როგორც მეფის სამოურავოები, ისე სათავადოები. განსაკუთრებული მმართველობა ჰქონდა ქალაქებს, ეკლესიასა და საქართველოში შემოხიზნულ უცხო ტომებს, თავისი სამფლობელოები ჰქონდა დედოფალსა თუ მეფის ოჯახის სხვა წევრებს, რომლებიც თავისებურად მართავდნენ თავის დომენს[1]. მიუხედავად ამისა, ქართლის ადგილობრივი მმართველობის შესწავლა მაინც სადროშოთი და სარდლით უნდა დაიწყოთ, ამის შემდეგ განვიხილოთ სამოურავო და მოურავი, მოურავის მოადგილე ანუ ნაცვალი, მამასახლისი, გზირი, ქემხა, ამის შემდეგ კი საქალაქო მმართველობა.

სადროშოს სარდალი. იგი სამხედრო ხასიათის მოხელეა, ნიშნავს მეფე და გადასცემს სათანადო ნიშნებს ანუ დროშასა და ხმალს. სარდლის შესახებ პროფ. ივ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ „საერთოდ სარდალი მხედართმთავარს ნიშნავს, მაგრამ ამ ცნებას გვიანფეოდალურ საქართველოში სხვაგვარი მნიშვნელობაც ჰქონდა... გარდა ამისა, სარდალი... გარკვეული შინაარსის მქონე ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეც იყო“[2]. სარდლის თანამდებობაზე ინიშნებოდა დიდებული, რომელიც მდიდარი იყო როგორც მიწით, ისე ყმებით. სადროშოში მრავალი მემამულე შედიოდა, რომლებიც სარდალს ემორჩილებოდნენ. გარდა ამისა, სარდალს ემორჩილებოდნენ სხვა მოხელეებიცა და თანამდებობის პირებიც: ეპისკოპოსები, მოურავები და სხვ. გარდა სამხედრო ფუნქციისა, სარდალს ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებიც ჰქონდა, მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეები მდივანბეგის სასამართლოს სარდლის თანდასწრებით უნდა განეხილა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სარდალი როგორც ადგილობრივი მოხელე, ახორციელებდა მეფის გადაწყვეტილებას სადროშოს ტერიტორიაზე. ამდენად, გვეკლინება იგი არა მარტო როგორც სამხედრო მოხელე, არამედ ადგილობრივი მმართველობის განმახორციელებელი მოხელე.

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 387.

[2] იქვე, გვ. 388.

გვიანფეოდალურ ქართლში ხშირად სარდალს სარდლობასთან ერთად სხვა თანამდებობაც ჰქონდა შეთავსებული, ისეთი, როგორიცაა: სახლთუხუცესი, ქალაქის მოურავი თუ მდივანბეგი[1].

სარდალი გარკვეულ შემოსავალს ღებულობდა თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის, კერძოდ: ა) სამხედრო დავლის მეხუთედს; ბ) სადროშოს აღწერისათვის ღებულობდა გადასახადს ან გამასპინძლებას; გ) კომლების აღწერისათვის — მობეგრეს ახდევინებდნენ ორ შაურს, ბოგანოს — შაურს; ქალაქში აღწერისათვის — ორ შაურს, ელის აღწერისათვის — კომლზე სამ აბაზს. სააღმწერლო გადასახადის ნახევარი სარდალს ეკუთვნოდა; დ) სარდლის შემოსავალში შედიოდა ასევე გაყრისათვის დაწესებული გადასახადი; ე) სარდალს ეძლეოდა ჯარიმებიდან აკრეფილი გადასახადები; ვ) სარდალი ღებულობდა სასამართლო გარჩევის გადასახადებს[2]. ზემოთ აღნიშნული გადასახადების აკრეფიდან სარდლის ფუნქციებიც ჩანს, რომელიც უკავშირდება სამხედრო ძლიერების საქმეს, ე.ი. სარდალი პირველ რიგში სამხედრო მოხელეა, მაგრამ თავისი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად იგი ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციული მოხელეცაა.

მოურავი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვიანფეოდალურ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით კი კახეთში, მოიშალა საერისთავოები და ჩამოყალიბდა სამოურავოები, რომლებსაც მოურავები განაგებდნენ.

მოურავი გვიანფეოდალური პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოხელეა. იგი სადროშოს სარდალს ემორჩილებოდა, ასევე, ემორჩილება მეფეს, მის წარმომადგენელს — სახლთუხუცესს. მოურავები ჰყავდა როგორც მეფეს, ისე ფეოდალებსაც. სამოურავო ტერიტორია განისაზღვრებოდა სოფლების მიხედვით, ასევე მოურავი შეიძლებოდა დანიშნულიყო გარკვეული ფენებისათვისაც. თავის მხრივ, მოურავებს ემორჩილებოდნენ ადგილობრივი მოხელეები, ნაცვლები და ადგილობრივი მამასახლისები. რა ფუნქციები ჰქონდა მოურავს? მოურავი „უვლიდა მამულს, კრებდა გადასახადებს, სარდლობდა მის საგამგეო ტერიტორიას, ასამართლებდა მოსახლეობას, სჯიდა ურჩებს და სხვ.“[3].

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 392.

[2] იქვე, გვ. 393.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 241.

პროფ. ივ. სურგულაძე ეყრდნობა დავით ბატონიშვილის შრომას და არკვევს მოურავის კომპეტენციას: „წესრიგის დაცვა, სასამართლო საქმეების გარჩევა, მეფისა და ცენტრალური ორგანოების ყოველგვარი განკარგულების ზუსტად შესრულება. მოურავის მოვალეობაა დევნოს ქურდები, ყაჩაღები, მტაცებლები, მკვლელები, ცეცხლის წამკიდებლები, მოღალატეები და ისეთი პირები, რომლებსაც კავშირი აქვთ მტერთან ან ჯაშუშობას ეწევიან ჯარების მდგომარეობის შესახებ, ან კიდევ განზრახვა აქვთ საზღვარგარეთ გაიქცნენ, ან ჩაიდინონ დანაშაული მეფისა და სამშობლოს წინააღმდეგ, მონაწილეობა მიიღონ შეთქმულებასა და აჯანყებაში და ა.შ.“[1].

მოურავს კარგი შემოსავალი ჰქონდა, ამიტომაც ისწრაფვოდნენ ფეოდალები ამ სახელოსაკენ. მოურავის შემოსავლის ძირითადი წყარო იყო გადასახადები, რომლებსაც ისინი კრეფდნენ თავისი კაცების მეშვეობით. მისი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო სასამართლო საქმეების გარჩევისათვის განკუთვნილი გადასახადი იყო. „დასტურლამალის“ მიხედვით, მოურავი კრებს პურის, ღვინის, ცხვრისა და ბატკნის, ერბოს, სანთლის, გამწევი ძალისა თუ ფულად გადასახადს. პროფ. ივ. სურგულაძე მოურავის 15 სახის გადასახადს ჩამოთვლის[2]. რასაკვირველია, ყველა ეს გადასახადი მოურავს არ ეკუთვნოდა, მაგრამ მას გარკვეულად „ხელი მიუწვდებოდა“ ამ შემოსავლებზე. ჩვეულებრივ, მოურავებად დიდებულები იყვნენ, გლეხი იშვიათად გვხვდება.

ნაცვალი — მოურავის მოადგილე იყო. მას ისეთივე ფუნქციები ჰქონდა როგორც მოურავს. ნაცვალი მოქმედებდა ან მოურავის დავალებით, ან თავისი ინიციატივით თუ მოურავი არ იყო. ყოველგვარი საქმიანობის შესახებ ნაცვალი ანგარიშს აბარებდა მოურავს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნაცვლის თანამდებობაში უფრო მეტი იყო საპოლიციო ფუნქცია[3].

მამასახლისი. პროფ. ივ. სურგულაძის დაკვირვებით, მამასახლისის თანამდებობა სათავეს იღებს გვაროვნული წყობილების დროს და თვით გვიანფეოდალურ პერიოდშიც კი პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთებს ატარებს[4].

---

[1] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 403.

[2] იქვე, გვ. 407.

[3] იქვე, გვ. 409.

[4] იქვე.

მამასახლისი ადგილობრივი მმართველობის მოხელეა სოფლად. სამეფო მამულში მას მეფე ნიშნავს, ფეოდალის მამულში კი — ფეოდალი. აქედან გამომდინარე, მამასახლისი ანგარიშვალდებული იყო მისი დამნიშნავი პირის წინაშე, ასევე მოურავის წინაშეც. მამასახლისებად ჩვეულებრივ გლეხები ინიშნებოდნენ და თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან. მამასახლისი ვალდებული იყო დახმარებოდა მოურავს, ეზრუნა სოფლის საჭიროებისათვის. მამასახლისის კომპეტენციაში შედიოდა სამოქალაქო დავების განხილვა. სისხლის სამართლის საქმეებს იგი ვერ განიხილავდა.

მამასახლისის სასარგებლოდ დაწესებული იყო გადასახადები. გლეხები მას უხდიდნენ პურს, ღვინოს, ყაჭს, ღორს, ქათამს, ასევე სადღესასწაულო ძღვენს. მამასახლისი ღებულობდა ასევე საჩექმეებსა (გასათხოვარის გათხოვებისას) და საქვრივოს (ქვრივის გათხოვებისას). გადასახადების გარკვეული ნაწილი მას რჩებოდა, ნაწილი კი ზემდგომ ორგანოებსა თუ პირებს მიერთმევოდა.

გზირი — ადგილობრივი მმართველობის მოხელე იყო გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში. მის ფუნქციებში შედიოდა ამა თუ იმ დავალების შესრულება, მაგალითად, ბრძანების წაღება, ვინმეს გამოძახება. „დასტურლამალში“ გზირი გათვალისწინებულია არაქართული მოსახლეობისათვის განკუთვნილ მოხელედ. გზირი მოურავს ემორჩილებოდა.

ქემხა იგივე ქევხა, იგივე ქეთხუდა არაქართული სოფლების ადგილობრივი მმართველობის მოხელეა, რომლის ფუნქციები უტოლდება და თითქმის იდენტურია ქართული სოფლის მამასახლისისა. ქემხა ჰყოლია როგორც სოფელს, ისე ქალაქს. ქალაქის ქემხა მდიდარი ვაჭარი და ავტორიტეტული პირია.

გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის საქალაქო მმართველობა

აღმოსავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება-აღორძინება შედარებით გვიან და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ასე, მაგალითად, XVIII საუკუნის 70-იანი წლებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში სულ ოთხი ქალაქი არსებულა: თბილისი, გორი, სურამი და ალი. ვახუშტის ცნობით კი ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო, რომელთაგან დიდი ქალაქები იყო თბილისი და გორი, დანარჩენი 12 კი პატარა. XVIII საუკუნის დასასრულისათვის სავაჭრო ქალაქები იყო სიღნაღი, თელავი, ახალდაბა ცხინვალი და სხვ.

გვიანფეოდალური პერიოდის ქალაქებში ცხოვრობდნენ ვაჭრები, ხელოსნები, საქონლის წვრილი მწარმოებელნი.

ვაჭრები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავისი ეკონომიკური მდგომარეობით და, აქედან გამომდინარე, უფლებრივი სტატუსით. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი მოიხსენიებს ვაჭართა ოთხ კატეგორიას და მიუთითებს მათი სისხლის ფასს[1]. აღსანიშნავია, რომ გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში ვაჭრები ძირითადად სომხები, ბერძნები, თათრები, სპარსელები, ინდოელები, რუსები და ევროპელები იყვნენ. არაქართველი ვაჭრები არ იყვნენ დაინტერესებული ქართული სახელმწიფოს გაძლიერებით, მართალია, მათთვის ძლიერი ხელისუფლება მომგებიანი იყო, მაგრამ, ფიქრობდნენ, ასეთი ხელისუფლება დამყარებულიყო რომელიმე დიდი სახელმწიფოს მეშვეობით, თუნდაც საქართველოს დამოუკიდებლობა ამ საქმეს შესწირვოდა[2].

ხელოსნები ფეოდალებს ემორჩილებოდნენ, ფეოდალი უწევდა მათ ექსპლოატაციას. ისინი ქალაქში ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ნაკეთობებს. ხელოსნები ერთიანდებოდნენ პროფესიების მიხედვით საამქროში. პროფესიულ გაერთიანებას კი ასნაფი ეწოდებოდა[3].

მოურავი. მეფე ერეკლე II-ის მიერ შედგენილი დოკუმენტის „ქალაქის მოურავის სარგოს“ მეშვეობით ირკვევა, რომ XVIII საუკუ-

---

[1] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედაქციით, ტ. I, გვ. 489, მუხლები 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 421.

[3] იქვე, გვ. 424

ნის მეორე ნახევარში თბილისში რამდენიმე მოურავი ყოფილა. მანამდე კი ადგილი არ ჰქონია მოურავთა სიმრავლეს. სწორედ ამიტომ ერეკლე II ებრძვის ფეოდალთა მოურავების სახელოს არსებობას.

მოურავი ფაქტობრივად ქალაქის მოხელე იყო, იგი მართავდა ქალაქს. მას ევალებოდა თვალყური ედევნებინა და მოეწესრიგებინა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი, საქონლის ნიხრი, გადასახადების საკითხი, სასამართლო საქმეები, ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა, ზომა-წონის დაცვა და სხვ.

მოურავის ფუნქციათა შორის მნიშვნელოვანია სასამართლო ფუნქცია. იგი იხილავდა ყველა საქმეს, რომელიც მდივანბეგს არ ექვემდებარებოდა. სასამართლო საქმეების განხილვისას მოურავს შეეძლო პროცესზე მიეწვია სხვა თანამდებობის პირები: მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები. ისინი მოურავს ემორჩილებოდნენ. მოურავის სასამართლო კოლეგიალური იყო, მას შეიძლებოდა დასწრებოდა ქალაქის 3-4 მსხვილი ვაჭარი. მოურავი ან თვითონ იხილავდა საქმეს, ან სხვას გადასცემდა განსახილველად. მოურავის დავალებით საქმეები შეიძლება განეხილა მელიქ-მამასახლისს ან მელიქსა თუ იასაულებს. სასამართლო განხილვისათვის მოურავი ღებულობდა სასამართლო ბაჟს.

მოურავი კრეფდა გადასახადებს თავისი მოხელეების მეშვეობით. იგი ასრულებდა მეფეთა განკარგულებებს ქალაქის მასშტაბით. მოურავს დიდი შემოსავალი ჰქონდა, მის შემოსავლებში შედიოდა სამოურავო გადასახადი, ბაჟი, ძღვენი, ბეგარა, ჯარიმა და სხვ. ამიტომაც ამ თანამდებობას მაღალი კლასის წარმომადგენლები იკავებდნენ.

მელიქი[1] და **მამასახლისი** მოურავის ქვემდებარე მოხელეებია. მელიქი მუდამ მამასახლისთან ერთად იხსენიება.. ეს ორი თანამდებობა XVIII საუკუნეში შეერთებულა. მელიქს მეფე ნიშნავდა. ისინი მონაწილეობას ღებულობენ საქონლის ნიხრის განსაზღვრაში. მელიქის სხვა ფუნქციებიდან აღსანიშნავია სასამართ-

[1] მელიქი — არაბული წარმოშობის სიტყვაა და მმართველს, გამგეს ნიშნავს.

ლო, საგარეო ურთიერთობის, სამეურნეო და გადასახადის აკრეფის ფუნქციები და სხვ. მელიქსა და მამასახლისს ქალაქის მართვის ყოველგვარი საქმე ეკისრებოდათ. ქალაქის სხვა მოხელეებიდან აღსანიშნავია ნაცვალი და ქეთხუდა ანუ ქემხა. თბილისში ორი ნაცვალი იყო: ერთი — მეფის, მეორე — მოურავის. ამ ორიდან პირველობა მეფისნაცვალს ეკუთვნოდა. ქალაქის ნაცვალი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის მართვაში, წესრიგის დამყარებასა თუ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, ნიხრის დაწესებაში, სამეურნეო საქმეების მოგვარებასა და სხვა საქმეებში.

ქემხა ანუ ქეთხუდა აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო მმართველობაში. იგი გამოდის ქალაქის მოხელეების მოურავის, მელიქისა და ნაცვლის დამხმარედ და შემწედ. მას სასამართლო ფუნქციაც ჰქონდა.

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

(იმერეთის სამეფო, ოდიშის (სამეგრელოს), გურიისა და აფხაზეთის სამთავროები)

XVII-XVIII საუკუნეების გასაყარზე დასავლეთ საქართველო ცალსახად თურქეთის პოლიტიკური ზეგავლენის სფეროში მოექცა.

როგორც იმერეთის სამეფო, ისე სამეგრელოს, გურიისა თუ აფხაზეთის სამთავროები, მართალია, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მაინც აღიარებდნენ თურქეთის სულთნის უზენაესობას. თურქეთის წარმატებას ხელს უწყობდა ქართული პოლიტიკური ერთეულების მეთაურთა შორის ქიშპი და მტრობა. თურქეთის გარნიზონები ქუთაისსა და ცხუმის ციხეებში იდგნენ.

დასავლეთ საქართველოს ზემოთ დასახელებული პოლიტიკური ერთეულები იურიდიულად არ შედიოდნენ თურქეთის შემადგენლობაში, მაგრამ თურქეთი მათ ფაქტობრივად თავის ვასალ ქვეყნებად თვლიდა და თავისი ფორპოსტების — ტრაპიზონისა და ახალციხის საფაშოების მეშვეობით აქტიურად ერეოდა მის საშინაო საქმეებში. ასე, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს ტახტზე თურქეთის სულთანი ამტკიცებდა, თუმცა ეს წესი ხშირად ირღვეოდა შექმნილი ვითარების მიხედვით. ზემოთ დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულებში ქრისტიანული სასულიერო ხელისუფლება იყო დამყარებული, რომელიც არ ითმენდა და ებრძოდა მაჰმადიანობას. უნდა ითქვას, რომ არც თურქეთის ხელისუფალნი მოითხოვდნენ ქართველ პოლიტიკურ მეთაურთაგან სარწმუნოების შეცვლას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათთან ეძებდნენ შემწეობასა თუ თავშესაფარს. ქრისტიანობამ და ქართულმა ეკლესიამ მარცხი განიცადა აფხაზეთში.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა თურქეთის ვასალობა გამოიხატებოდა თურქეთისათვის ყოველწლიურ მისართმევ ხარკში, რომელსაც ქართველები ქრთამს უწოდებდნენ. ადგილობრივი მოსახლეობისაგან იკრიბებოდა „საური“ ანუ „სათათრო ხარკი“, რომელიც ხმარდებოდა ქრთამის გადახდას. სათათრო გადასახადში იგულისხმებოდა „ტყვეების“ — ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა მირთმევა, ძვირფასი ნივთები, ჭრელშევარდენი და სხვ. თურქეთის სულთანი ქრთამს საქართველოდან ახალ-

ციხის ფაშას მეშვეობით ღებულობდა. ასეთი ქრთამი საქართველოს მეხარკეობას არ ნიშნავდა თურქეთის წინაშე, მაგრამ ძალზე დამამცირებელი იყო.

განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან — ქართლ-კახეთისაგან, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ხელმძღვანელები — იმერეთის მეფე თუ მთავრები არასოდეს ქცეულან თურქეთის მოხელეებად ანუ „ვალებად“ ან ხანებად. თვით თურქები დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა გამგებლებს უწოდებდნენ „მელიქებს“. დასავლეთ საქართველოს არ ევალებოდა თურქეთისათვის ლაშქრით სამსახური.

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ვერ ბედავდნენ ანტითურქულ გამოსვლებს. 1691 წელს არჩილ მეფემ სცადა ასეთი გამოსვლა — ქუთაისიდან თურქთა გარნიზონის განდევნა განიზრახა, რაც არჩილის ემიგრაციით დამთავრდა რუსეთში. გამონაკლის წარმოადგენდა 1703 წელს მოწყობილი ანტითურქული აჯანყება, რომელშიც მთელი დასავლეთი საქართველო დაირაზმა (გარდა აფხაზეთისა) და რაც ისტორიოგრაფიაში ახსნილია როგორც მოულოდნელი აჯანყება, როგორც შეცდომა, რომელიც ნაკარნახევი იყო პეტრე დიდის პოლიტიკით, ზოგიერთი რუსი მოხელის წაქეზებითა და მოტყუებით[1].

[1] იხ. საქართველოს ფეოდალური ისტორიის საკითხები, თბ., მეცნიერება, 1972, გვ. 43-72.

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში

როგორც აღინიშნა, XVIII საუკუნის 40-იან წლებში ძლიერდება ირანის სახელმწიფო. 1738 წლისათვის აღდგა ირანის ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო 40-იანი წლებისათვის ნადირ-შაჰის სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესი გახდა.

ამ დროს ქართლის მეფეა თეიმურაზ II. იგი შაჰს შეურიგდა. შაჰი თეიმურაზზე ამყარებდა იმედებს ქართლ-კახეთის მორჩილებაში მოსაყვანად. თეიმურაზი ქრისტიანად დარჩა, მან არ მიიღო მუსულმანობა. მიუხედავად ამისა, შაჰი თეიმურაზს თავის ერთგულ კაცად თვლიდა. თეიმურაზის მეშვეობით ნადირ-შაჰი აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა თურქების, ლეკებისა თუ სხვა ორგულთა წინააღმდეგ. თეიმურაზმა შაჰის დიდი ნდობა და შეღავათები დაიმსახურა.

1744 წლიდან თეიმურაზმა ქართლის ტახტი აღადგინა და თვითონ გამეფდა, ხოლო კახეთში თავისი ვაჟი ერეკლე II დასვა მეფედ. ქართველი მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ყველაზე სასიამოვნო მოსახლეობისათვის ის იყო, რომ ქართლსა და კახეთს ქრისტიანი მეფეები განაგებდნენ, რასაც ადგილი არ ჰქონია უკვე ერთი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ქართველთა სიხარული. 1747 წელს ნადირ-შაჰი თავისთან იბარებს ერეკლე II-ს. თეიმურაზმა მოარიდა თავისი მემკვიდრე გაძვინვარებულ შაჰს და თვითონ წავიდა მასთან. ფიქრობდა, რომ ამ ვიზიტით შაჰის კიდევ უფრო დიდ ნდობას მოიხვეჭდა. თეიმურაზი გზაში იყო, რომ ირანის შაჰი ნადირი შეთქმულებმა მოჰკლეს 1747 წელს, მის ნაცვლად ირანში ჩასულ თეიმურაზს შაჰად დახვდა ალი ყული-ხანი. იგი თეიმურ[illegible] სიძე იყო. თეიმურაზი ორ წელს დარჩა ირანის შაჰის კარზე, რითაც ხელს უწყობდა ერეკლეს წარმატებას ქართლ-კახეთში. საქმე ის არის, რომ თეიმურაზის წასვლისთანავე ქართლში დინასტიური ბრძოლა გაჩაღდა. ტახტისათვის ბრძოლა დაიწყეს როგორც ვახტანგ VI-ს მემკვიდრე ბაქარმა, ისე ვახტანგ VI-ს ძმისშვილმა, გამაჰმადიანებულმა აბდულ-ბეგმა. ერეკლე II, მართალია, ვახტანგის შვილიშვილი იყო, მაგრამ ქალის მხრიდან და, ამდენად, სამეფო ტახტზე მისი იურიდიული უფლება არ არსებობდა. სამაგიეროდ, მოსახლეობა

ერეკლე II-ს უჭერდა მხარს. ერეკლე II-მ გამარჯვებას მიაღწია აბდულა-ბეგსა და მის მომხრეებზე. ასევე სასტიკად დაამარცხა ლეკთა მრავალრიცხოვანი ჯარები, თბილისში გამაგრებულ ყიზილბაშთა გარნიზონი და სხვ. ერეკლე II-ის მეფობის პერიოდში ქართლ-კახეთი ძალზე გაძლიერდა, მაგრამ ირანისაგან სრული სეპარატიზმი მაინც სახიფათო იყო. ქართლ-კახეთის მეფე კვლავ რჩებოდა „გურჯისტანის ვალის“ ტიტულით და შესაფერის მომენტს ელოდებოდა სრული დამოუკიდებლობის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ირანის შაჰის ვასალად რჩებოდა, მას დიდი გავლენა ჰქონდა მთელი ირანის სახელმწიფოში. გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერეკლე II-ს ირანის ტახტის აღებაც კი შეეძლო, მაგრამ სახიფათო იყო, რადგან ქრისტიანი იყო და, გარდა ამისა, მას ოსმალეთის იმპერიაც დაუპირისპირდებოდა[1]. 1749 წელს ერევნის სახანო, მისთვის აღმოჩენილი დახმარების შემდეგ — ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა. სომეხი ხალხი ამ აქტს კმაყოფილებით შეხვდა. ქართლ-კახეთში შევიდა ასევე ნახიჩევანის სახანოც. 1750 წელს ერეკლე II იბრძვის განჯისა და ყარაბაღის წინააღმდეგ. ეს ომიც წარმატებით დასრულდა, რის შემდეგაც ქართლ-კახეთის საზღვრებმა აღმოსავლეთით გადაინაცვლა.

მიუხედავად ქართლ-კახეთის ასეთი გაძლიერებისა, XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან დაღესტნელთა შემოსევები ისევ აქტიურდება. დაღესტნელებს თურქ-ოსმალთა იმედი ამოძრავებდათ. 1750 წელს ლეკთა დიდი ლაშქარი კახეთს შემოესია და დაარბია. იორ-ალაზნის შესართავთან მომხდარ შეტაკებაში ერეკლეს ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 1752 წელს კი განჯის ომში ქართლ-კახეთის ჯარი დაამარცხა, ზარალიც დიდი იყო. შეირყა თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი. ერეკლეს თანდათან განუდგნენ ქართლ-კახეთის ვასალური სახელმწიფოები. ამიტომ იძულებული ხდება რუსეთისათვის დახმარება ეთხოვა. რუსეთმა დახმარება არ ალმოუჩინა. თეიმურაზი და ერეკლე იძულებული გახდნენ მომხვდურ მტერს საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ. 1752 წელს ქართველებმა დაამარცხეს შაქის ხანის ჯარი, სამაგალითოდ დასაჯეს მოღალატენიც. ერეკლე-თეიმურაზის ავტორიტეტი კვლავ აღდგა. 50-იანი წლებიდან არაჩვეულებრივად გაიზარდა ერეკლე II-ის ავ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 613.

ტორიტეტი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. სწორედ ამ დროს დაისტამბა ფრანგი კომერსანტის — პეისონელის წიგნი, რომელიც 1755 წელს გერმანულ ენაზედაც გამოქვეყნდა მაინის ფრანკფურტში. ევროპა გაეცნო ერეკლეს, როგორც ეპოქის გამორჩენილ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს. ცნობილი გერმანელი მწერლის გ. ლესინგის ერთი დრამიდან ჩანს, რომ გერმანელი მხედრები, რომლებიც სახელის მოპოვებაზე ოცნებობდნენ, გერმანიიდან გამოპარვას აპირებდნენ, რომ „მისი უმაღლესობის პრინც ერეკლეს მთავარსარდლობით ერთ-ორჯერ მაინც გაელაშქრათ თურქეთის წინააღმდეგ. ევროპაში ხმა დაირხა, რომ საქართველოს ლომმა თითქოს სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ არა ხვალ, თურქეთის კარიბჭეში შეიჭრებოდა“[1].

ქართლ-კახეთში დიდი ყურადღება ექცევა ციხესიმაგრეების მშენებლობას, სადაც საომარი მოქმედების დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. „კახეთში ერეკლეს დროს აშენდა და განახლდა ციხეები და ციხე-გალავნები — ბატონის ციხე, ვახვახიშვილის ციხე, ბაჯორმა, სიღნაღი (1762 წ.), რუისპირი, საბუ, ალავერდი, გრემის გალავნის ზედაფენები, ყვარელი, ლალისყური, ნაფარეული, შილდა, იყალთო და ბევრი სხვა“[2]. ზემოთ აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ქართლ-კახეთს მოსვენებას არ აძლევდა მეზობელი მუსლიმანური ტომები. სწორედ ამიტომაც კვლავ დგება ქართლ-კახეთის ხელისუფალთა წინაშე შორეული პოლიტიკის შემუშავების საკითხი ქვეყნის გადასარჩენად და მშვიდობიანი ცხოვრების დასამყარებლად. ქართველი პოლიტიკოსნი დარწმუნდნენ, რომ მათი სამეფოს ბედიღბალი მჭიდროდ უკავშირდებოდა ირანსა და თურქეთში მიმდინარე მოვლენებს. სწორედ ამიტომ დგება საკითხი ისევ რუსეთისაკენ ორიენტაციისა. რუსეთის მეშვეობით ცდილობდნენ ქართველი ხელისუფალნი ირანში სასურველი შაჰის აყვანას ტახტზე. მაგრამ ყველაფერი ეს ოცნებად რჩებოდა. თეიმურაზის ელჩობამ რუსეთში შედეგი ვერ მოიტანა. იგი 1762 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა.

1762 წლიდან, როცა ირანის შაჰი ხდება ქერიმ-ხანი, მთელი ირანი ერთიანდება და ძლიერდება. ეს კი ქართლ-კახეთისათვის არ იყო კარგის მომასწავებელი. ქერიმ-ხანი ქართლ-კახეთის დასაპყრობად ემზა-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 625.

[2] იქვე, გვ. 626.

დება, მაგრამ ეს გეგმა დროებით გადაიდო ირანში დაწყებული შინაპოლიტიკური ბრძოლის გამო. გარდა ამისა, ირანის მბრძანებლის მიმართ ერეკლე II-ს წარსულში გარკვეული ამაგი მიუძღოდა და ამიტომაც ცნო მან ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II ძლიერი მეფე იყო, მის წინააღმდეგ ადგილი ქონდა ფეოდალურ გამოსვლებსა და შეთქმულებებს, მათ შორის პაატა ბატონიშვილის, დიმიტრი ამილახვარის, ალექსანდრე ამილახვარის. შეთქმულთა წინააღმდეგ ერეკლე II-ს სასტიკი ზომები მიუღია.

ქართლ-კახეთი XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე

1768-1774 წლებში ადგილი აქვს რუსეთ-თურქეთის ომს. ამ ომში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთის მხარეზე გამოდის, რამაც საბედისწერო გავლენა იქონია. ერეკლემ საბოლოოდ გადაიმტერა თურქეთი, ირანის ნდობაც თანდათან იკარგებოდა. ამიტომ ერეკლე მეფე ცდილობდა გაეტარებინა მეტად ფრთხილი პოლიტიკა, გადაედგა მეტად მოზომილი ნაბიჯები. მის მიზანს კვლავ შეადგენს არა მარტო ძლიერი ქართლ-კახეთის სამეფოს სტაბილურობა, არამედ მთელი საქართველოს ჯაერობიანება.

ირანის შაჰი განაწყენებული დარჩა რუსეთის ჯარების შემოსვლით საქართველოში და მოითხოვდა რუსი ჯარის გაყვანას. ერეკლე კი არწმუნებდა ირანის შაჰს, რომ სასარგებლო მომენტი იყო თურქეთზე ერთობლივად საბრძოლველად, მაგრამ ირანის შაჰი თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლას არ აპირებდა. თავის მხრივ, რუსეთი არწმუნებდა ირანს, რომ მისი ჯარი დროებით იდგა აქ. რუსეთ-თურქეთის ომით ერეკლეს სურდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება და შემოერთება, მაგრამ რუსეთი თავისი მიზნებით, კერძოდ, ყირიმით იყო დაინტერესებული და არა ერეკლე II-ის მისწრაფებებით. ამდენად, რუსეთისაგან ერეკლემ კეთილი ვერ მიიღო და იძულებული ხდებოდა განემტკიცებია წესრიგი თავის სამეფოში და მხოლოდ თავისივე თავის იმედი ჰქონოდა. სწორედ ამ მიზნით ერეკლე II-მ ყურადღება მიაქცია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას. მან ჩაატარა სამხედრო რეფორმა. 1774 წელს ქართლ-კახეთში მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუ ი

ჯარი ჩამოყალიბდა. განჩინებაში „მორიგე ჯარის შესახებ" ჩამოყალიბებული იყო ასეთი ჯარის შექმნის მიზეზები და ამოცანები. განჩინების ძალით აღწერილ იქნა მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ლაშქრობის შემძლე ყველა მამაკაცი მოვალე იყო ერთი თვით გამოსულიყო ლაშქარში თავისი ხარჯით. სამაგიეროდ გლეხები გადასახადისაგან თავისუფლდებოდნენ. ხელმოკლე გლეხი ფეოდალს უნდა მოემარაგებინა. ამ გზით ქართლ-კახეთის სამეფოს 5000 ჯარისკაცი გამოჰყავდა.

ერეკლე II-ს სამცხე-საათაბაგოს შემოსაერთებლად საიდუმლო მოლაპარაკებაც კი ჰქონია თურქეთთან, რომ იგი შევიდოდა ოსმალეთის მფარველობაში, თუ ახალციხის ფაშა ერეკლეს დაემორჩილებოდა. ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა, რადგან ერეკლეს წინააღმდეგ გამოვიდოდა როგორც რუსეთი, ისე ირანი.

1778 წელს ერეკლე განჯის დასამორჩილებლად იბრძვის, ხოლო 1779 წელს ერევნის სახანოს ლაშქრავს. ერევნის სახანოში ლაშქრობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ერეკლეს არ სურდა ერევანში ირანის ბატონობა აღდგენილიყო, მეორე მხრივ, ერეკლე გულმოსული იყო, რომ სომეხი პოლიტიკოსები რუსეთთან აწარმოებდნენ ერეკლესაგან დამოუკიდებლად მოლაპარაკებას და ცდილობდნენ ალბანეთ-სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას. ერევნის სახანოში ბრძოლის მესამე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის გარემოებაც, რომ ერევნის ხანმა ერეკლეს მორჩილებაზე უარი თქვა. ერეკლემ ერევანი დაიპყრო და იქ თავისი გუბერნატორი — იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი დასვა ერევნის ხანთან ერთად. ერევნის დაპყრობით უკმაყოფილო იყო ირანის შაჰი, მაგრამ იგი 1779 წელს გარდაიცვალა და ქვეყანას ახალი ანარქია დაეუფლა.

ერეკლე II-ის წარმატებებს ფარულად ელობებოდა რუსეთი. სწორედ რუსეთის ხელი ერია იმერეთში ტახტის პრეტენდენტ ალექსანდრე ბაქარის ძის გამოჩენაში. აკად. ნ. ბერძენიშვილის მითითებით, „რუსეთის კარი შეშფოთებულია ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებანი მიიღოს, რომ ერეკლეს გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ალექსანდრე ამილახვარის გაშვება, ალექსანდრე ბაქარის ძის ფათალი-ხანთან გამოჩენა და თვით ფათალი-ხანის აქტიურობა ერეკლეს

წინააღმდეგ — ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრზომები ჩანს)"[1]. ამ პერიოდის რუსეთის პოლიტიკური ხელისუფალნი ფხიზლად დარაჯობდნენ ამიერკავკასიის ვითარებას, რასაკვირველია, ერეკლეს გაძლიერება ან მისი დაკავშირება თურქეთთან არ აწყობდა რუსეთს. რუსეთი საფრთხეს ხედავდა ერეკლეს საგარეო პოლიტიკაში და ყველაფერს აკეთებდა, რომ საქართველოს ხელისუფალნი მასზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

ერეკლე II ჭვრეტს ამ ვითარებას და უქმად არ ზის. იგი ელჩებს აგზავნის დასავლეთ ევროპაში და ცდილობს იქიდან მიიღოს დახმარება სამხედრო მიზნებისათვის. იგი წერილებით მიმართავს როგორც ვენეციის რესპუბლიკას, ისე ლუდოვიკო XVI-ს. ერეკლე იახლოებს კათოლიკე მისიონერებსაც, რათა მათი მეშვეობით შექმნას მუდმივი ჯარი, მაგრამ ყოველივე ამან ნაყოფი ვერ გამოიღო.

ამ პერიოდში რუსეთი ამუშავებს ე.წ. „საბერძნეთის გეგმას", რომლის მიხედვითაც ევროპიდან სრულიად უნდა განდევნათ თურქები, აღდგინათ საბერძნეთის იმპერია, რომელსაც რუსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი ეყოლებოდა მეფედ.

როგორც ცნობილია, ირანის შაჰის ქერიმ-ხანის გარდაცვალების შემდეგ არეულობა დაიწყო. რუსეთს კარგი საშუალება მიეცა გაეფართოებინა და განემტკიცებინა თავისი გავლენა ამიერკავკასიაში. მას სურდა შეექმნა აქ ორი ბუფერული სახელმწიფო სომხეთისა და ალბანეთის სახით, ხოლო ქართლ-კახეთი მიეღო თავის მფარველობაში. რუსეთი ფარულად თურქეთსაც ებრძოდა და ამ ბრძოლაში ცდილობდა ძირითადად ქართველებსა და სომხებს დაყრდნობოდა. ამიერკავკასიაში რუსეთის წარმატებები იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ერეკლე II. ამიტომაც გაჩაღდა მუშაობა მის „გადასაყვანად" რუსეთის ორიენტაციაზე. რუსეთის სახელმწიფოს სამეფო კარზე კარგად იცოდნენ, რომ ამ პერიოდში ერეკლე II ირანის ყველა ხანსა და მფლობელზე ძლიერი და შაჰის შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული პიროვნება იყო, რომ ერეკლეს გავლენა ვრცელდებოდა ერევანსა და ნახიჩევანზე, ხოლო ირანის ხანები ყოველ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. [illegible].

წლიურად ძღვენს უგზავნიდნენ და მოწიწებით ეპყრობოდნენ. ერეკლეს „გადაბირებით“ რუსეთს საშუალება ექნებოდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია ყველა მოწინააღმდეგე ამ რეგიონში.

რუსეთის მთავრობა 1782 წელს წინადადებას აძლევს ერეკლე II-ს დაიწყონ მოლაპარაკება ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესასვლელად. ამასთან, რუსეთი ცდილობდა, რომ ინიციატივა საქართველოს მხრიდან წამოსულიყო და ამისათვის წინადადებას აძლევენ ერეკლე II-ს დაეწერა ოფიციალური თხოვნა მფარველობაში შესვლის შესახებ. მართლაც, 1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე II-მ ოფიციალურად წარადგინა თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესასვლელად. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთს დაეცვა ქართლ-კახეთი თურქეთისა და ირანისაგან, დაებრუნებინა ამ ქვეყნების მიერ მიტაცებული საქართველოს მიწები, საქართველოში ყოფილიყო რუსეთის რეგულარული ჯარის ორი პოლკი.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ერეკლე II-ს თხოვნას როცა იხილავენ, ძირითად ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ ერეკლე II რუსეთის მეშვეობით ცდილობდა აეცდინა თურქეთის უღელი და დადგომოდა განვითარების ევროპულ გზას[1]. მაგრამ, ჩვენი აზრით, ერეკლე II-ისათვის მაინც მთავარი იყო რუსეთის მეშვეობით საქართველოს გაერთიანება და დამპყრობელი ქვეყნების მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება. რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე II ცდილობდა ერთიანი, მძლავრი ქართული სახელმწიფოს აღდგენას, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა.

რუსეთის მთავრობამ განიხილა რა ერეკლე II-ის თხოვნა, მოამზადა ხელშეკრულების პროექტი და გამოუგზავნა ერეკლეს დასამტკიცებლად. ერეკლე II-მ ხელშეკრულების ეს პროექტი დარბაზის სხდომაზე განიხილა, ხოლო მალე, 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ტრაქტატს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს თავადმა გ. რ. ჭავჭავაძემ და ი. კ. მუხრანბატონმა, ხოლო რუსეთის მხრიდან — გენერალმა პავლე პოტიომკინმა.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 688.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი

გეორგიევსკის ხელშეკრულება ანუ ტრაქტატი შედგებოდა 13 ძირითადი და 4 სეპარატიული (ცალკე გამოყოფილი ტექსტიდან) მუხლისგან ანუ არტიკულიდან. ხელშეკრულებას თან ერთვოდა ფიცის ტექსტი, რომელიც ერეკლეს უნდა დაედო რუსეთის ერთგულების დასადასტურებლად. ტრაქტატს ერთვოდა ასევე დამატებითი არტიკულის (მუხლის) ტექსტი, რომელიც შეეხებოდა ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევის წესს. ტრაქტატი ანუ „მეგობრობის პირობა“ ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ.

ხელშეკრულება იწყებოდა პრეამბულით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ძველთაგან რუსეთის იმპერია იყო დამხმარე და დამცველი ერთმორწმუნე ქართველი ხალხისა, რუსეთი მიზნად ისახავდა გათავისუფლებულიყო საქართველო სხვა ქვეყნების დამოკიდებულებისაგან, აღარ დასჭირდებოდა ვაჟებისა და ქალების მირთმევა სხვა სახელმწიფოებისათვის. აქვე აღნიშნული იყო, რომ ერეკლე სთხოვდა რუსეთის მეფეს მფარველობაში შესვლას და ცნობდა იგი რუსეთის ხელმწიფის უზენაესობას. პრეამბულაში ჩაწერილი იყო, რომ ხელშეკრულების დადება რუსეთის მხრიდან მიენდო გრიგოლ პოტიომკინსა და პაველ პოტიომკინს, საქართველოს მხრიდან კი — ივანე მუხრანბატონსა და გარსევან ჭავჭავაძეს.

ტრაქტატის პირველ მუხლში (არტიკულში) აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე დღეიდან უარს ამბობდა სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებაზე, ყასალობაზე, იქნებოდა ეს სპარსეთი თუ სხვა დამპყრობელი და საქვეყნოდ აცხადებდა, რომ, გარდა რუსეთისა, იგი არ აღიარებდა თავის თავზე არავის უმაღლესობას. ერეკლე II აქვე პირობას დებდა, რომ იქნებოდა რუსეთის ტახტის ერთგული და შემწე ყველა ვითარებაში.

ტრაქტატის მეორე მუხლის მიხედვით რუსეთის იმპერატორი თავის მხრივ აღუთქვამდა (აღთქმას დებდა) ერეკლე II-ს, რომ უზაკველად მოწყალებასა და მფარველობას არ მოაკლებდა ქართლ-კახეთის სამეფოს, დაიცავდა მის ერთიანობას და შეეწეოდა მისი დაკარგული საზღვრების აღდგენაში.

მესამე მუხლის მიხედვით ქართლ-კახეთის მეფე აღიარებდა რუსეთის იმპერატორის უმაღლეს ხელისუფლებას და კისრულობდა

ვალდებულებას, რომ ტახტზე ასვლა ეცნობებინა საიმპერატორო კარისათვის, ეთხოვა მისგან მეფედ დამტკიცება და სამეფო ნიშნები, როგორიცაა: სიგელი, დროშა, ხმალი, კვერთხი, მანტია ანუ წამოსასხამი. ამ სამეფო ნიშნების მიღების შემდეგ რუსეთის რეზიდენტის თანდასწრებით ქართველ მეფეს ფიცი უნდა დაედო რუსეთის იმპერატორის ერთგულების დასამტკიცებლად.

მეოთხე მუხლით ქართლ-კახეთის მეფე იზღუდებოდა საგარეო ურთიერთობის დარგში. მას ეკრძალებოდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება რუსეთის რეზიდენტთან შეთანხმების გარეშე. ასევე, საქართველოში ჩამოსულ უცხო ქვეყნის ელჩებსა თუ წარმომადგენლებს პასუხი რუსეთის რეზიდენტთან შეთანხმებით უნდა გასცემოდა.

მეხუთე მუხლის მიხედვით რუსეთის სამეფო კართან ურთიერთობის მოსაგვარებლად ერეკლე II-ს უნდა ჰყოლოდა თავისი რეზიდენტი. იგულისხმება, რომ ასეთივე წარმომადგენლები ეყოლებოდა რუსეთსაც ქართლ-კახეთში.

მეექვსე მუხლით რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მეფეს ჰპირდებოდა: ა) ქართველთა მტერი მისი მტერი იქნებოდა; ბ) მეფე ერეკლე და მისი შთამომავლები შეინარჩუნებდნენ სამეფო ტახტს, არ დაარღვევდნენ ტახტის მემკვიდრეობის გადაცემის წესს; გ) არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო მმართველობისა თუ სამართალწარმოების საქმეებში, გადასახადების გაწერა-აკრეფის საკითხებში. ყოველივე ეს უნდა განხორციელებულიყო ადგილობრივი წესებით.

მეშვიდე მუხლის ძალით ერეკლე II ვალდებულებას კისრულობდა: მზად ყოფილიყო და დახმარებოდა რუსეთს თავისი ჯარით, დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომობა და აესრულებია რუსი მოხელეების დავალებები, დაეცვა საქართველოში მყოფი რუსი მოხელეები რაიმე ან ვისიმე შეურაცხყოფისაგან თუ შევიწროებისაგან. ქართველ მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნისას მხედველობაში მიეღო მათი დამსახურება რუსეთის წინაშე.

მერვე და მეცხრე მუხლების მიხედვით ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის სინოდის წევრი ხდებოდა. ქართველ თავადაზნაურებს რუსეთის თავადაზნაურთა თანაბარი პრივილეგიები ენიჭებოდათ, რისთვისაც რუსეთის იმპერატორის კარზე უნდა წარედგინათ ქართველ თავადაზნაურთა სია.

მეათე მუხლის მიხედვით ქართველ თავადაზნაურობას უფლება ეძლეოდა გადასახლებულიყვნენ რუსეთში ან თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ უკან. ხოლო თუ ირანიდან ან თურქეთიდან დაბრუნებული ტყვეების საქართველოში გადმოსახლების საკითხი დადგებოდა, საჭირო იყო მათი გამოსასყიდის გადახდა. იგივე უნდა გაკეთებულიყო რუს ტყვეთა მიმართ.

მეთერთმეტე მუხლი ვაჭრობის თავისუფლებას არეგულირებდა. ქართველ ვაჭრებს ეძლეოდათ შეღავათები რუსი ვაჭრების თანაბრად. იგივე იყო გათვალისწინებული რუსი ვაჭრების მიმართ საქართველოში.

მეთორმეტე მუხლის მიხედვით ხელშეკრულება იდებოდა სამიდღემშიოდ (მუდმივად) ანუ „საუკუნოდ", მასში ცვლილებების შეტანა დაიშვებოდა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ბოლო მეცამეტე მუხლში გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების რატიფიკაციისა და ძალაში შესვლის წესი. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მასზე ხელის მოწერიდან ექვს თვეში. ხელმოწერა კი უნდა შემდგარიყო 1783 წელს 24 იულისს, დაბა გეორგიევსკში, მას ხელს აწერდნენ: პავლე პოტიომკინი და ივანე მუხრანბატონი.

როგორც აღინიშნა, ტრაქტატს ერთვოდა ე.წ. „სეპარატიული მუხლები", რომლებშიაც არსებითად მხარეთა სამხედრო-პოლიტიკური მიზნები აისახა. პირველი სეპარატიული მუხლით რუსეთის იმპერატორი მეგობრულად ურჩევდა, რომ კეთილი განწყობილება და მეგობრობა ჰქონოდა იმერეთის ბრწყინვალე მეფესთან სოლომონთან და თუ მათ შორის წარმოიშობოდა დავა, არბიტრად რუსეთის იმპერატორი გამოსულიყო. ამ რჩევას ერეკლე II-ც ეთანხმებოდა. მეორე სეპარატიული მუხლით იმპერატორი ვალდებულებას ღებულობდა, რომ ქართლ-კახეთში ჰყოლოდა ფეხოსანი ორი სრული ბატალიონი ოთხი ზარბაზნით. მესამე მუხლით ომის შემთხვევაში კავკასიის ხაზის უფროსი ერეკლე II-ს უნდა შესთანხმებოდა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ქართულ ჯარს გამოიყენებდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჯარის შენახვის ხარჯები იმპერატორის ხაზინას უნდა გაეღო. მეოთხე სეპარატიული მუხლით რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა ომის შემთხვევაში იარაღით დაეცვა ქართლ-კახეთი. დაზავების შემთხვევაში კი ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაბრუნებოდა მტრების მიერ მიტაცებული მიწები. აქვე აღნიშნული იყო, რომ

სეპარატიულ მუხლებსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა ხასიათის მოსაზრებები 1783 წლის ტრაქტატის იურიდიული ბუნების შესახებ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ამ ხელშეკრულებას მიიჩნევს არა როგორც მხარეთა თანასწორუფლებიან გარიგებას, არამედ რუსეთის მიერ საქართველოზე „პროტექტორატის“ დამყარების დოკუმენტს (მ. სელუთფლიშვილი, ნ. კორკუნოვი, ბ. ნოლდე, გ. ვეშაპელი). რიგი მეცნიერები, ამ ხელშეკრულებას განიხილავდა როგორც პროტექტორატისა და ვასალიტეტის აქტს[1].

ტრაქტატის იურიდიული ბუნების შესახებ მრავალგვარი თვალსაზრისის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ იგი იყო ფეოდალიზმის პერიოდის საერთაშორისო სამართლისათვის ტიპური დოკუმენტი სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების დასამყარებლად, იგი არ არის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, მასში გამოხატულია როგორც სიუზერენის, ისე ვასალის ინტერესები ურთიერთკონსენსუსის საფუძველზე. ამ დოკუმენტებით რუსეთი ელტვოდა ამიერკავკასიაში თავისი ინტერესების განხორციელებას, ქართლ-კახეთი კი მუსულმანთაგან თავის გადარჩენას, დაკარგული ტერიტორიების კვლავ დაბრუნებასა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენას.

რუსეთის წარმატებებს ამიერკავკასიაში შეშფოთებით შეხვდნენ არა მარტო მეზობელი მუსულმანური სახელმწიფოები, არამედ ინგლისი და საფრანგეთიც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის თურქეთის ოფიციალური ისტორიოგრაფია ქართველი ხელისუფლების ამ ნაბიჯს დიდ შეცდომად თვლიდა, მიუთითებდნენ, რომ რუსეთმა მოატყუა საქართველო, ხოლო ქართველებმა თავისი ხელით გააუქმეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ოსმალეთის შეშფოთება გასაგები იყო. იგი ხომ თანდათან უთმობდა რუსეთს არა მარტო ყირიმს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ ნაწილს, ამჯერად კი უომრად ეუფლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს. რუსეთის გაძლიერება და მისი „დამე-

[1] ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 691-693; ასევე, И. Сургуладзе, История государства и права Грузии, Тб., 1968, стр. 116-118.

ზობლება“ ოსმალეთისთვის საფრთხის მომასწავებელი იყო, ამიტომაც აფრთხილებდა ოსმალეთი სომხეთს, აზერბაიჯანსა და სხვა პოლიტიკურ ერთეულებს არ შეეშვათ რუსეთი თავის ტერიტორიაზე.

ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ოსმალეთის დასაყრდენად იქცა ახალციხის ფაშა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ერეკლე II-ს. რუსეთმა არაერთგზის გააფრთხილა ოსმალეთი, რომ ქართლ-კახეთი მისი სამფარველო ქვეყანა იყო და ხელი აეღო მის შევიწროებაზე, ძაგრამ ოსმალეთი გადამჭრელ ღონისძიებებს არ ღებულობდა და არ ცნობდა რუსეთის შემოსვლის კანონიერებას ქართლ-კახეთში.

რუსეთთან დაკავშირების გამო ერეკლე მეფის ავტორიტეტი თანდათან ეცემოდა არა მარტო ირანისა და ოსმალეთის წინაშე, არამედ მის ყმადნაფიც ქვეყნების წინაშეაც. ისინი ამჯობინებდნენ ერეკლეს განდგომოდნენ და ოსმალეთის მფარველობაში შესულიყვნენ. კიდევ მეტი — „ერზრუმის, ყარსისა და სხვა ფაშები მოციქულებს გზავნიდნენ ერევნის ხანთან და მას რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ, მერყეობდა ყარაბაღის ხანიც...“[1]. თვით რუსეთს ხელს არ აძლევდა ერეკლეს სიძლიერე, მისი გავლენის ზრდა მეზობელ ხანებზე, ამიტომაც ისეთ პოლიტიკას ატარებდა, რომ ყველა პატარა პოლიტიკური ერთეული ცალ-ცალკე დაკავშირებოდა რუსეთს და არ დაეშვათ მათი გაერთიანება ერეკლეს ირგვლივ.

რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ამის შესახებ არაერთხელ აცნობეს რუსეთის მთავრობას, თხოულობდნენ რუსეთის მხრიდან დახმარებას, მაგრამ რუსეთი აგვიანებდა სხვადასხვა მიზეზებით. „1786 წ. 8 აგვისტოს რუსეთში მყოფ გარსევან ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში ერეკლე კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ მას ჯარს მოაშველებდნენ. იგი წერდა: „ნურც ათქმევინებ ვისმე მასა, რომ დიდის შველებლობით დაიქცა საქართველო“ და შემდეგ: „რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქუენისაგან და კიდეც მაქუს, მაშ ვისთან მივიდეთ და ვის გამოუცხადოთ ჩვენი ტკივილი, — ოსმალეთთან მივიდე, მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე — შემიწყნარებენ?

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 699.

დაღესტნელებთან მივიდე — მიმიღებენ? მაშ, ვისი სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყინო თავი?!"[1].

გამწვავებულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების წინაშე საგარეო ორიენტაციის კურსის გადასინჯვის საკითხი დააყენა.

1786 წელს 12 სექტემბერს, რუსეთისაგან დამოუკიდებლად, ახალციხის საფაშოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებით ერეკლე კისრულობდა, რომ მეტ რუსის ჯარს აღარ შემოიყვანდა, ახალციხის ფაშა კი — სულთნის ჯარებს ქართლ-კახეთის საზღვრებთან აღარ დააყენებდა.

ამავე წელს ერეკლე მოლაპარაკებას აწარმოებდა აღა-მაჰმად-ხანთან — იმედოვნებდა მის საბოლოოდ გამარჯვებას ირანში. მიუხედავად საგარეო ორიენტაციის კურსის კრიტიკული გადასინჯვისა, ამას არ მოჰყოლია საგარეო კურსის შეცვლა — იგი რთული სიტუაციიდან თავდაბსნის გზის ძებნა იყო. გარდა ამისა, ქართველი ხელისუფალნი ითვალისწინებდნენ უარეს მომავალს და ამისათვის ემზადებოდნენ

1787 წელს, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ერეკლეს აეშალნენ [illegible]ხობელი მუსლიმანური ყმადნაფიცი პოლიტიკური ერთეულები, რუსის ჯარმა ქართლ-კახეთი დატოვა. არ გაჭრა ერეკლეს ხვეწნა-მუდარამ 10 დღით მაინც დაეყოვნებინათ გასვლა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსის ჯარმა დატოვა ქართლ-კახეთი — ამ პერიოდში მაინც ისახება საქართველოს გაერთიანების პერსპექტივა. გაერთიანებას ხელს უწყობდა სამცხე-საათაბაგოს კადაბრა ერეკლეს მხარეზე, ასევე იმერეთში ერეკლეს შვილიშვილის გამეფების პერსპექტივა, რისთვისაც აქ დაიწყო საკმაოდ მძლავრი მოძრაობა. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები ტახტისათვის ატეხილი ბრძოლის გამო წინადადებას აძლევდნენ ერეკლე მეფეს, რომ შეერთებინა იმერეთის სამეფო. ერეკლე მეფემ ეს საკითხი სამეფო დარბაზის სხდომაზე გამოიტანა განსახილველად.

[1] ციტირებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 707.

მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას ისე დაუძაბავს სიტუაცია, რომ დარბაზის სხდომა ჩაშლილა. საბოლოოდ იმერეთის სამეფოს შემოერთების საკითხი უარყოფითად გადაწყდა. ამ საქმეში უარყოფითი როლი ითამაშა დედოფალმა დარეჯანმა და თვით ერეკლეს გაუბედაობამ, რომ შვილიშვილისათვის ტახტი არ წაერთმია. სამაგიეროდ, 1790 წლის ივნისში სოლომონ ლიონიძის ინიციატივით გაფორმდა „ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თფილისს“. ამ ტრაქტატით დასაელეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის ტრაქტატს უერთდებოდნენ. მოკავშირეები ერეკლე მეორის უპირატესობასა და მის მფარველობას აღიარებდნენ და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში

გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთს საქართველო თავისი მიზნების განსახორციელებლად აინტერესებდა. ტრაქტატმა საკმაოდ გააღიზიანა მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოებიც. თვით ქვეყნის შიგნით თავი წამოყვეს ტრაქტატისადმი კრიტიკულად განწყობილმა ელემენტებმა, რომლებიც ირან-ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტას საქართველოსათვის სახიფათოდ მიიჩნევდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ არ სრულდებოდა ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებები. რუსეთის მთავრობა ხან შემოიყვანდა ჯარს საქართველოში, ხან უკან გაჰყავდა. ირანის შაჰი აღა-მაჰმად-ხანი 1795 წელს თავს დაესხა საქართველოს, გაძარცვა და დაანგრია თბილისი. თბილისის ეს კატასტროფა უკანასკნელი გაფრთხილება იყო საქართველოსათვის, იგი საბოლოოდ უნდა დამონებოდა სპარსეთის უღელს ან სასწრაფოდ უნდა მიერთებოდა რუსეთს. ეკატერინე II სასწრაფოდ გზავნის ჯარებს. მაგრამ 1796 წელს იგი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრე პავლე I-მა კი რუსეთის ჯარები კვლავ უკან გაიწვია.

1798 წელს გარდაიცვალა ერეკლე II. ქართლ-კახეთის ტახტზე ადის გიორგი XII. პავლე I კი საქართველოში ჯარებს აგზავნის და თავის წარმომადგენლად ნიშნავს გრაფ კოვალენსკის. გიორგი XII ხედავს, რომ რუსეთის მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის. ამიტომაც თვითონ გამოდის 1783 წლის ტრაქტატის ღებულებების შეცვლის ინიციატორად. სწორედ იგი აძლევს წინადადებას რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთისათვის მისაერთებლად, ამასთან, მეფობა და სამეფო ტახტი ძველებურად უნდა დარჩენილიყო, არ მოშლილიყო. ფაქტობრივად ეს იყო ქართლ-კახეთის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის სახით. რუსეთის მხარე ორჭოფობდა საქართველოს ასეთ წინადადებაზე, საბოლოოდ კი გადაწყდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთება როგორც ტერიტორიული ერთეულის. ქართლ-კახეთის სამეფო და მეფობა გაუქმდა. ამას გარკვეულად ხელი შეუწყო ტახტის მემკვიდრეებისათვის ქართველ ბატონიშვილთა შორის ამტყდარმა დაპირისპირებამ და ბრძოლამ.

გიორგი XII-ის გარდაცვალებიდან (1800 წ. 28 დეკემბერი) 1801 წლის 15 იანვრამდე ქართლ-კახეთის მმართველობაში (18 დღის მანძილზე) შეინიშნება სამეფო ხელისუფლების არსებობა, რადგან საბუთებს ხელს აწერდა იოანე გიორგის ძე ბატონიშვილი, ხოლო 1801 წლის 15 იანვრიდან 6 ივნისამდე ქართლ-კახეთის მმართველად გველინება დავით გიორგის ძე ბატონიშვილი, 1801 წლის 6 ივნისიდან 1802 წლის 8 მაისამდე ქართლ-კახეთს მართავს ე.წ. „საქართველოს მთავრობა“.

1801 წლის 18 ივნისს გამოქვეყნდა რუსეთის იმპერატორის მანიფესტი, რომლის მიხედვითაც საქართველო გუბერნიად გამოცხადდა. ეს მანიფესტი საქართველოში გამოცხადდა 16, 17 თებერვალს, რითაც ფაქტობრივადდ გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და მეფობა. ძალაუფლება ხელში აიღო რუსეთის სამხედრო ნაწილებმა. ახლად შექმნილ საქართველოს მთავრობაში შედიოდნენ: გენერალი ლაზარევი — თავმჯდომარე, წევრები: ზ. ბარათაშვილი, ი. ჩოლოყაშვილი, ე. თუმანიშვილი, ს. ოუმანიშვილი, ქალაქის მამასახლისი — დარჩია ბებუთოვი.

ამ დროს დავით ბატონიშვილი გადაყენებული არ არის. კნორინგი კი თავის თავს გენერალ-გუბერნატორს უწოდებს და დავით ბატონიშვილის მმართველობის პერიოდს უარყოფითად ახასიათებს. მართებულად არ ცნობდა გიორგი XII-ის შემდგომ გამოცემულ აქტებს და მხოლოდ იმპერატორის მიერ გამოცემულ აქტებს ენიჭებოდა იურიდიული ძალა, რადგან ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობა შეწყდა და მისი ადგილი დაიკავა ახალმა რუსულმა სახელმწიფოებრიობამ.

ახლად ჩამოყალიბებული საქართველოს დროებითი მთავრობა იყო დროებითი დაწესებულება, რომელიც უშუალოდ კნორინგს ემორჩილებოდა. იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს კანონებით. გამონაკლისი იყო სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებიც უშუალოდ კნორინგს ექვემდებარებოდა.

ქართლ-კახეთში მმართველობის ადგილობრივი ორგანოები იგივე დარჩა, რაც გიორგი XII-ის დროს იყო — საფეოდალოები და სამოურავოები. რაც შეეხება თბილისს — აქ შეიქმნა რუსეთის ქალაქების მსგავსი მმართველობა ანუ ეკატერინე II-ის მიერ შემოღებული საქალაქო მმართველობა. ქალაქის მმართველობა შედგებოდა: ობერ-პოლიცმეისტერის, გოროდნიჩის, პოლიცმეისტერისა და ორი პრისტავისაგან — ერთი სისხლის სამართლის საქმეებისა და მეორე სამოქალაქო საქმეებისათვის.

ქალაქი იყოფოდა 3 ნაწილად. ნაწილებს სათავეში ედგა კერძო პრისტავი. ნაწილები იყოფოდა კვარტლებად, რომლებსაც სათავეში ედგა კვარტლის ზედამხედველი.

ქ. თბილისის ასეთი მმართველობა გრძელდებოდა 1802 წლის მაისამდე. ამ დღეს კი თბილისში შემოღებულ იქნა რუსული მმართველობა, რომელმაც რამდენადმე შეცვალა ადრინდელი მმართველობა. მაგალითად, შემოღებულ იქნა ქალაქის კომენდანტის თანამდებობა, რომელსაც დაექვემდებარა ქალაქი.

საქართველოს დროებითმა მთავრობამ იარსება 1802 წლის მაისამდე და დასრულდა იგი ქართლ-კახეთის, ხოლო მოგვიანებით მთელი საქართველოს რუსეთთან შეერთებით. ცარიზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ქართლ-კახეთიხ სამეფოს შენარჩუნება.

1802 წლის 8 მაისს დილის 7 საათზე გასროლილმა ზარბაზანმა თბილისის მოსახლეობას აუწყა ახალი მმართველობის შემოღება. კავკასიისა და საქართველოს მთავარსარდლად დანიშნული იყო კნორინგი, საქართველოს მმართველად კოვალენსკი. მთავარსარდალი იგივე იყო, რაც მეფისნაცვალი, რომელიც დროდადრო აბარებდა ანგარიშს რუსეთის იმპერატორს.

რაც შეეხება საქართველოს მმართველს, იგი რუსული გუბერნატორის შესატყვისი იყო. იგი ადგილზე ასრულებდა გუბერნატორ[illegible]ს მოვალეობას. ამასთან, რუსეთის გუბერნატორები სამხედრო პირები იყვნენ. საქართველოს გუბერნატორი კოვალენსკი კი სამოქალაქო პირი იყო.

გარდა მთავარსარდლისა და მმართველისა, აღმოსავლეთ საქართველოსთვის შეიქმნა საქართველოს უზენაესი მთავრობა და მისი საკრებულო, რომელშიაც შედიოდნენ: მთავარსარდალი, საქართველოს მმართველი და ოთხი ექსპედიცია, საქართველოს უზენაესი მთავრობა იყო მმართველობის უზენაესი ორგანო, რომელიც ოთხი ექსპედიციისაგან შედგებოდა: 1) აღმასრულებელი ექსპედიცია; 2) სახაზინო ექსპედიცია; 3) სისხლის სამართლის და 4) სამოქალაქო სასამართლოს ექსპედიციები.

აღმასრულებელი ექსპედიცია აქვეყნებდა რუსეთის იმპერიის კანონებს საქართველოსათვის და ზრუნავდა მათ შესრულებაზე.

სახაზინო ექსპედიციის ძირითადი დანიშნულება იყო შემოსავალ-გასავლების მართვა-გამგეობა. იგი თვალყურს ადევნებდა გადასახადებისა და სხვა შემოსავლების აკრეფას. იღებდა ზომებს გადასახადების გადაუხდელობისათვის.

სისხლის სამართლის ექსპედიციის ფუნქციებში შედიოდა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება, განხილვა, ასევე სასამართლოებზე ზედამხედველობა. ექსპედიცია აწარმოებდა სასამართლოს სტატისტიკასაც.

სამოქალაქო ექსპედიცია აწარმოებდა სამოქალაქო საქმეებს. ამასთან, სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოიყენებოდა ქართული ადათ-ჩვეულები და კანონები (ვახტანგ VI-ის კანონები).

აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთი) ადგილობრივი მმართველობის განსახორციელებლად დაიყო 5 მაზრად.

თითოეულ მაზრას ჰქონდა თავისი მმართველობა ანუ სამაზრო დაწესებულებანი: ა) სამაზრო სასამართლო; ბ) სამაზრო ხაზინადარი; გ) ქვედა საპოლიციო სამმართველო; დ) ბოქაული, მელიქი, მოურავი (ესენიც საპოლიციო მოხელეები იყვნენ).

ქართლ-კახეთის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო რუსული მმართველობით. განსაკუთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა ქართული ენის ნაცვლად რუსულ ენაზე საქმისწარმოება არა მარტო სასამართლოში, არამედ სხვა დაწესებულებებშიაც. საქმეს ართულებდა ადმინისტრაციის ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, ძალადობა, სიცრუე. ამ გარემოებებმა წარმოშვა ხალხის მღელვარება და ადმინისტრაციისადმი დაპირისპირება. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საჭიროდ ცნო გარკვეული ცვლილებები შეეტანა მმართველობაში, რათა ადგილი არ ჰქონოდა ხალხის გამოსვლებსა და რუსეთის მთავრობისადმი დაპირისპირებას.

ამისათვის რუსეთის მთავრობამ 1802 წელს საქართველოს მთავარმართებლად დანიშნა წარმოშობით ქართველი გენერალ-ლეიტენანტი ციციანოვი. იგი რუსეთის იმპერატორის უაღრესად ერთგული პიროვნება იყო, ამასთან ერთად, ენერგიული და საქმიანი. ალექსანდრე II მას „შეუცვლელ“ პიროვნებად თვლიდა. ციციანოვის მიზანი იყო საქართველოზე თურქეთისა და ირანის გავლენის შესუსტება, მეფის რუსეთის ნდობის დანერგვა. ციციანოვი ენერგიულად ებრძოდა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებს. იგი თავის პოლიტიკას აგებდა დაშინებისა და დარწმუნების მეთოდებზე. ამასთან ერთად, საჭიროდ ჩათვალა ადგილობრივი წეს-ჩვეულებების მხედველობაში მიღება და გამოყენება ადგილობრივი მმართველობის გასაუმჯობესებლად და ხალხის დასაშოშმინებლად. მან გარკვეული ცვლილებები გაატარა ადგილობრივ მმართველობაში[1].

---

[1] აღნიშნული რეფორმების შესახებ უფრო დეტალურად იხ. И. Сургуладзе, История государства и права Грузии, Тб. 1968, стр. 199-205.

რუსული მმართველობის შემოღება დასავლეთ საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის პარალელურად ცარიზმი იპყრობს დასავლეთ საქართველოსაც, სადაც არსებობდა იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ფოთში, ბათუმსა და სოხუმში თურქეთის ჯარები იდგნენ. თურქეთი ეწეოდა ამ პერიოდში ქართველი ახალგაზრდების ყიდვასა და გაყიდვას სტამბოლის ბაზარზე.

დასავლეთ საქართველოში არსებული იმერეთის სამეფოსა და სხვა სამთავროების მესვეურნი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის დამკვიდრებას და თავის სამოქმედო ტაქტიკას ამუშავებდნენ: ერთნი ფიქრობდნენ რუსეთისათვის დახმარების თხოვნას, მეორენი — რუსეთის მფარველობაში შესვლას, მესამენი მზად იყვნენ დახმარებოდნენ რუსეთს გარკვეული პირობით და სხვ.

პირველი ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად გადადგა სამეგრელოს მთავარმა დადიანმა, რომელმაც 1801 წლის 22 მაისის წერილით რუსეთის იმპერატორს მფარველობაში შესვლა სთხოვა. მფარველობაში შესვლას ითხოვდა იმერეთის სამეფოცა და სხვა სამთავროებიც, მაგრამ რუსეთის მთავრობა ვერ წყვეტდა ამ საკითხს იმის გამო, რომ აქ — დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ მყარად ჰქონდა ფეხი გადგმული თურქეთს, რუსეთს კი თურქეთთან ურთიერთობების გაფუჭება არ სურდა. გარდა ამისა, რუსეთს არ სჯეროდა იმერეთის მეფის სოლომონისა, რომელიც ფარულად ცდილობდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასა და ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლაზე პირველი ნაბიჯი გადადგა სამეგრელოს მთავარმა დადიანმა, რომელიც სთხოვდა რუსეთს მის მფარველობაში შესვლას, რათა დაეცვა იგი იმერეთის მეფის სოლომონისაგან. დადიანის თხოვ-

ნა რუსეთისათვის ძალზე მომგებიანი იყო იმით, რომ სამეგრელოს მიერთებით რუსეთი შავ ზღვაზე გასასვლელს პოულობდა და გზა ეხსნებოდა ყირიმისაკენ. მეორე მხრივ, რუსეთს ეძლეოდა საშუალება ხელი შეეშალა სოლომონის გაძლიერებისათვის.

1803 წლის დეკემბერში დადიანსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დადიანი შედიოდა რუსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში, რუსეთი კი ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა სამეგრელო გარეშე მტრებისაგან, პირველ რიგში სოლომონ მეორისაგან. ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ რუსეთის ჯარები სამეგრელოში შევიდნენ. 1804 წლის აპრილში სოლომონ II შეხვდა ციციანოვს და მოლაპარაკების შედეგად დათანხმდა რუსეთის მფარველობაში შესვლას იმ პირობით, რომ რუსეთი არ გააუქმებდა იმერეთის სამეფოს. მაგრამ ეს მოლაპარაკება არ შესრულდა. 1810 წელს რუსეთმა მოახერხა სოლომონის ტახტიდან გადაყენება და იმერეთის სამეფოს გაუქმება. სოლომონ II ამავე წლის 10 თებერვალს თბილისში ჩაიყვანეს. მან თბილისიდან გაქცევა მოახერხა და თავი ახალციხეს შეაფარა. 22 ივნისს იმერეთში აჯანყება დაიწყო, რომელსაც სოლომონ II ხელმძღვანელობდა. იმერეთის მეფეს თურქეთის ჯარიც ეხმარებოდა. იმერეთის აჯანყება რამდენიმე თვეს გაგრძელდა და დამარცხდა. სოლომონ II თურქეთს გაიქცა და იქ გარდაიცვალა. ასე დამთავრდა იმერეთის სამეფოს მიერთება რუსეთთან.

რუსეთის საიმპერატორო ტახტმა საკუთარი მმართველობა დაამყარა იმერეთში. აქ საოლქო მმართველობა არ შემოიღო, რაც გაკეთდა აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ იმერეთის სამეფო დაყო 6 ოლქად: ქუთაისის, ვაკე იმერეთის, რაჭის, საჩხერის, ჩხარისა და ბაღდადის. თითოეულ ოლქს ჰყავდა თავისი მმართველი. ოლქში დაახლოებით 30000 მცხოვრები შედიოდა. საოლქო ცენტრად გამოცხადდა ქუთაისი. საოლქო მმართველობაში [illegible] საც ხელმძღვანელობდა მმართველი, შედიოდა ასევე სამი ექსპედიცია: 1) აღმასრულებელი ექსპედიცია; 2) სახაზინო ექსპედიცია; 3) სასამართლოსა და გასამართლების ექსპედიცია (ეს უკანასკნელი იყოფოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ექსპედიციებად).

საოლქო მმართველობაში შედიოდნენ სამი მრჩეველი და ორი ასესორი. სისხლის სამართლის საქმეები განიხილებოდა რუსული კანონების გამოყენებით, სამოქალაქო კი ვახტანგ VI-ის კანონებით.

მიზანშეწონილია აღინიშნოს. რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული რუსული მმართველობა იმერეთში ფაქტობრივად არ განხორციელდა. ამას ხელი შეუშალა სოლომონ II-ის გაქცევამ, ასევე ეკონომიკურმა სიძნელეებმა, შიმშილმა, ეპიდემიებმა, ხალხის მღელვარებამ, ამიტომაც იმერეთის სამეფოს ფაქტობრივად მართავდა მთავარმართებელი ადგილობრივ ზოგიერთ მოხელეზე (მოურავი, მდივანბეგი) დაყრდნობით, რომლებიც ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ, საფინანსო თუ სასამართლო ფუნქციებს.

იმერეთის სამეფოში მმართველობის მოუწესრიგებლობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობა, რასაც მოჰყვა 1819-1820 წლების აჯანყებები დასავლეთ საქართველოში. აჯანყებები ჩახშობილ იქნა, მაგრამ მმართველობა თითქმის უცვლელი დარჩა 1840 წლამდე.

რუსული მმართველობის შემოღება საქართველოს სხვა რეგიონებში

(სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი)

1803 წელს სამეგრელოს მთავარმა ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან. ამ ხელშეკრულებით დადიანი რჩებოდა სამეგრელოს მთავრად, მისი ხელისუფლება მემკვიდრეობით უნდა გადაცემულიყო შთამომავლობაზე, რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო სამთავროს საშინაო მმართველობაში, რუსეთის ჯარები სამეგრელოში იდგნენ. სამეგრელოს უნდა ერჩინა ეს ჯარი. სამეგრელოს მთავარი რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ცდილობდა თავის სამთავროს შენარჩუნებასა და იმერეთის მეფის სოლომონ II-გან დამოუკიდებლობის მოპოვებას, ასევე ლეჩხუმის მაზრის შემოერთებას. 1804 წელს გარდაიცვალა სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი. სამთავროს ტახტის მემკვიდრე ლევანი 10 წლისა იყო. ამიტომაც მის სრულწლოვანებამდე (20 წელი) რუსეთის იმპერატორის დავალებით სამთავროს მართვა დაევალა ლევანის დედას ნინოს. ამასთან, სამეგრელოში შეიქმნა **დროებითი საბჭო**. საბჭოს ხელმძღვანელობდა ნინო დადიანი. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბესარიონ ჭყონდიდელი, ნიკო დადიანი, ლეჩხუმის მოურავი და ოდიშის სახლთუხუცესი — გიორგი ჩიქოვანი.

მას შემდეგ, რაც ლევან დადიანი სრულწლოვანი გახდა, მან დაიკავა სამეგრელოს მთავრის პოსტი. ლევან დადიანმა სამთავროს მმართველობაში რეფორმები გაატარა. ამ დროს სამეგრელო დაიყო **8 მაზრად**. მაზრებს სათავეში ჩაუყენეს **მდივანბეგები**, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ადმინისტრაციული და საფინანსო ფუნქციებით. მაზრები იყოფოდა **სამოურავოებად**. სამთავროს ფინანსებს განაგებდა **სახლთუხუცესი**.

სამეგრელოს მთავარი აღჭურვილი იყო უმაღლესი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებებით. მთავარს ექვემდებარებოდა სისხლისა და სამოქალაქო მნიშვნელობის საქმეები. ამასთან, მძიმე ხარისხის სისხლის სამართლისა და მნიშვნელოვან სამოქალაქო საქმეებს იხილავდნენ რუსეთის სამხედრო ხელისუფალნი.

სამეგრელოს სამთავრო არსებობას განაგრძობს 1857 წლის აჯანყებამდე. სამეგრელოში მომხდარმა ძლიერმა აჯანყებამ საბაბი მისცა რუსეთის მთავრობას გაეუქმებინა სამთავრო და მთავარი და მიერთებინა იგი რუსეთისათვის როგორც ტერიტორიული ერთეული.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამთავრო, გურია 1804 წლის რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულებით იმერეთის შემადგენელ ნაწილად იქნა მიჩნეული, რამაც გურიის მთავრის მამია გურულის [illegible] უკმაყოფილება გამოიწვია და ი[illegible] ძცდელობა დამოუკიდებლად გაეფორმებინა ხელშეკრულება რუსეთთან.

მ. გურიელი დიდ დახმარებას უწევდა რუსეთის სარდლებს ფოთის აღების საქმეში და 1809 წელს წერილით მიმართა რუსეთის სარდლობას, რომ სურდა შესულიყო მის მფარველობაში. მ. გურიელს წინადადება მიეცა წარედგინა თავისი თხოვნა რუსეთის იმპერატორის სახელზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა რუსეთის იმპერიაში გურიის შესვლის სამართლებრივი პირობები.

რუსეთის სარდლობამ ისე მოაწყო საქმე, რომ გურიელი არათუ გადაიბირა, რუსეთის მხარეზე, არამედ უნარიანად გამოიყენა სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. მ. გურიელი 1810 წელს თავისი 1000-კაციანი ჯარით რუსეთთან ერთად ებრძოდა სოლომონ II-ს. სოლომონის წინააღმდეგ გამოდიოდა სამეგრელოც. მ. გურიელმა და დედამისმა — მარინე წერეთელმა დიდად შეუწყვეს ხელი რუსებს ფოთის აღების საქმეში. ამიტომაც მათ არ შეხვედრიათ წინააღმდეგობა რუსეთის მფარველობაში შესასვლელად.

მ. გურიელის მიერ რუსეთისადმი წარდგენილი თხოვნა ითვალისწინებდა: 1) გურიის შესვლას რუსეთის მფარველობაში; 2) სისხლ[illegible] სამართლის საქმეები, რომლებიც შეეხებოდნენ ტყვეებით ვაჭრობას, მკვლელობას, ქურდობას, უნდა დაქვემდებარებოდა იმერეთის მმართვე[illegible]ის მიერ დანიშნულ სამხედრო სასამართლოს; 3) რუსეთს უნდა [illegible]ცვა გურია გარეშე მტრებისაგან, რისთვისაც გურიაში უნდა ჰყოლოდა ჯარი, რომლის შენახვაშიაც გურიის მმართველიც მიიღებდა მონაწილეობას; 4) გურიელს უნდა მიეღო ადგილობრივი მადნეულის გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლის ნაწილი.

1826 წელს გარდაიცვალა მ. გურიელი. რუსეთის მთავრობამ გურიაში ადგილობრივი მოხელე კი აღარ დანიშნა, არამედ შექმნა „გურიის მმართველების საბჭო“ ექვსი წევრის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა მამია გურიელის ქვრივი სოფიო. აღნიშნულ საბჭოს უნდა ემართა გურია. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე [illegible]კმაყოფილო იქნებოდა საბჭოს გადაწყვეტილებით, შეეძლო საქმის გასაჩივრება იმერეთის მმართველთან.

რ[illegible]სეთის მთავრობამ ახლად შექმნილ გურიის მმართველობის საბ-

ჭოს გარკვეული სამოქმედო დებულებები და გზები დაუსახა: 1) სამთავროს საბჭო იქმნებოდა გურიის მთავრის გარდაცვალების გამო, მემკვიდრის სრულწლოვანებამდე (მემკვიდრე კი რვა წლისა იყო); 2) სამთავროს საბჭოს ხელმძღვანელობდა გურიის მთავრის ქვრივი — სოფიო; 3) ადგილობრივ ადათებზე დაყრდნობით საბჭო იხილავდა სამოქალაქო სამართლისა და ზოგიერთ სისხლის სამართლის ისეთ საქმეებს, როგორიცაა: მკვლელობა, ზიანის მიყენება, ძარცვა, ქურდობა, ტყეებით ვაჭრობა. მაშინ გურიელის ქვრივი უკმაყოფილო იყო საბჭოს შექმნით, მას სურდა, რომ თვითონ ყოფილიყო გურიის მმართველი. მას უნდოდა, რომ აღდგენილიყო მისი მეულლის მოღვაწეობის პერიოდის ორგანოები და მართვის წესი, რომელიც ასე გამოიყურებოდა: სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს განიხილავდა მდივანბეგი ვახტანგ VI-ის კანონებზე დაყრდნობით. მდივანბეგის სასამართლოს გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო პირები საჩივრით მიმართავდნენ გურიის მმართველს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო იყო. გურიის მმართველის გადაწყვეტილებები სისრულეში მოიყვანებოდა ბოქაულთუხუცესის მიერ. სოფლის მართველობას ახორციელებდნენ მოურავები. გურიელის ქვრივმა ვერ მიაღწია მისი მეულლისდროინდელი მმართველობის წესების აღდგენას და როგორც კი დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, იგი თურქეთში გაიქცა, რის შემდეგაც რუსეთის მთავრობამ გურიის მმართველობას სათავეში ჩაუყენა რუსი ოფიცერი, წევრებად კი რუსეთის ერთგული აზნაურები.

1829 წელს გარდაიცვალა გურიელის ქვრივი სოფიო. 1832 წელს დაბრუნდა მისი ვაჟი, მაგრამ იგი პეტერბურგში გააგზავნეს სამხედრო სასწავლებელში. 1829 წელს გაუქმდა გურიის სამთავრო. იგი შეუერთდა რუსეთს და დამყარდა ისეთივე მმართველობა, როგორიც იყო ქართლში, კახეთსა და იმერეთში.

აფხაზეთი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის ბატონობის ქვეშ და წარმოადგენდა თურქეთის პლაცდარმს რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ XIX საუკუნიდან დასუსტებულ თურქეთს აღარ შეეძლო თავისი გავლენის შენარჩუნება აფხაზეთში. აღსანიშნავია, რომ თურქეთის მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ აფხაზეთს თავისი დაღი დაასვა, კერძოდ, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, განსაკუთრებით კი მაღალი წრის წარმომადგენლებმა, მიიღო ისლამის სარწმუნოება, რაც თურქეთის მმართველი წრეების მოწონებას იმსახურებდა და შეღავათებისა თუ იმუნიტეტის მიღების საშუალებად იქცა თურქეთის მხრიდან. გარდა ამისა, ისლამის მიღება მაღალი წრეების წარმომადგენ-

ლებს უადვილებდა მეზობელ კლანებთან ავტორიტეტის შენარჩუნებას.

XIX საუკუნეში კი, როდესაც დასუსტდა თურქეთის გავლენა, აფხაზეთის მაღალი და გავლენიანი წრის წარმომადგენლებმა მზერა რუსეთისაკენ მიაპყრეს, მაგალითად, აფხაზეთის გავლენიანი წრის წარმომადგენელმა – გიორგი შერვაშიძემ 1809 წელს დახმარებისათვის მიმართა რუსეთს, რათა აფხაზეთის მთავრის პოსტი არ დაეკავებინა თურქეთის ქვეშევრდომს სეფერ ალი ბეის. გიორგი შერვაშიძე რუსეთის მთავრობას მის ვასალურ დამოკიდებულებაში შესვლას სთხოვდა, ამასთან, იგი პირობას დებდა, რომ როგორც თვითონ, ისე მისი შთამომავლობა არ დაზოგავდა ძალასა და ღონეს, ყოველმხრივ მომსახურებოდა რუსეთის იმპერატორს, ოღონდაც რუსეთს აფხაზეთი გარეშე მტრისაგან დაეცვა.

1810 წლის 4 მარტის ბრძანებულებით აფხაზეთის მფლობელი გიორგი შერვაშიძე მიღებულ იქნა რუსეთის მფარველობაში და დაენიშნა ხელფასი 2500 მანეთის ოდენობით. ამასთან, რუსეთმა თავის მფარველობაში მიიღო ასევე გიორგი შერვაშიძის მტერი და მეტოქე სეფერ ალი ბეიც. საინტერესოა ისიც, რომ სოხუმის მმართველად ამავე პერიოდში თურქეთის მიერ დაინიშნა სეფერ ალი ბეის ძმა არსლან ბეი, რომელიც ფლობდა და ფაქტობრივად მართავდა სოხუმს.

ასეთ ვითარებაში 1810 წლის 8 ივლისს რუსეთის ჯარებმა ზღვიდან დაიკავეს სოხუმი, რის შედეგადაც სეფერ ალი ბეი წინააღმდეგობის გარეშე გახდა აფხაზეთის მმართველი.

XVII საუკუნიდან აფხაზეთში რუსეთის მფარველობაში შესვლამდე ასეთი მმართველობა არსებობდა: სამთავროს განაგებდა მთავარი ანუ მმართველი, რომელსაც გააჩნდა უმაღლესი სასამართლო, სამხედრო და ადმინისტრაციული ფუნქციები. მაგრამ აფხაზეთის მთავარს ყოველთვის როდი ემორჩილებოდნენ სხვა ადგილობრივი აზნაურები და ფეოდალები. მათ შორის გაუთავებელი წინააღმდეგობები სუფევდა.

აფხაზეთის მთავარს (მმართველს) თავის დასაყრდენ ორგანოდ შექმნილი ჰქონდა ე.წ. „კერასი“, რომელიც შედგებოდა მთავრის ახლობლების, წვრილი აზნაურებისა და შეძლებული გლეხებისაგან. აფხაზეთის მთავარი კერასს იყენებდა მის მოწინააღმდეგე ფეოდალებთან ბრძოლაში და მშრომელი მასების დასამორჩილებლად. აღსანიშნავია, რომ კერასის მსგავსი დაწესებულება ჰქონდათ აფხაზეთის სხვა მსხვილ ფეოდალებსაც. ამიტომაც აფხაზეთის მთავარი სხვა ფეოდალების სრულ დამორჩილებას ყოველთვის როდი ახერხებდა.

იგი მუდამ ცდილობდა თავისი სამფლობელოს გაფართოებას სხვა ფეოდალების შევიწროების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში იგივე მდგომარეობა დარჩა რუსეთთან მისი მიერთების შემდეგაც. ამასთან, აფხაზეთის მთავრის (მმართველის) უფლებამოსილება შეიზღუდა საგარეო ურთიერთობების სფეროში, მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეები, მაგალითად, მკვლელობის, ტყვის მოტაცების, ღალატის — დაექვ ᲛᲓებარა რუსეთის სამხედრო სასამართლოების განსჯადობას. აფხაზეთის მფლობელი ვალდებული იყო ყოველმხრივ დახმარებოდა რუსეთის ჯარს, მიეწოდებინა მათთვის სურსათ-სანოვაგე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდა ჯარს.

თავის მხრივ, რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა დაეცვა აფხაზეთი გარეშე მტრებისაგან, მოწინააღმდეგე ურჩი ფეოდალებისა,ან, რომლებიც დახმარებას თურქეთში ეძებდნენ. ამ გზით შეძლო რუსეთმა თურქეთის შევიწროება და განდევნა აფხაზეთიდან. საბოლოოდ აფხაზეთის სამთავრო, სხვა ქართულ სამთავროებთან შედარებით გვიან, 1864 წელს გაუქმდა და დამყარდა რუსული მმართველობა.

სვანეთი, როგორც ძნელად მიუვალი რეგიონი, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით დიდხანს ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა. სვანეთის მოსახლეობა წმინდად იცავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, თუმცა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისლამის ერთგვარ გავლენას განიცდიდა.

სვანეთი იყოფოდა ჩრდილოეთ (ანუ ზემო) და სამხრეთ სვანეთად. ჩრდილოეთი სვანეთი თავისუფალ, უბატონო სვანეთად იწოდებოდა.

სამხრეთ სვანეთში გაბატონებული იყვნენ დადეშქელიანები, რომლებსაც სურდათ ჩრდილოეთ სვანეთის დამორჩილება. სწორედ სხვა თავის თანამეტომეთა მორჩილებაში ყოლის მიზნით 1832 წელს დადეშქელიანების ერთ-ერთმა „სახლმა“ თხოვნით მიმართა რუსეთის მთავრობას მის მფარველობაში შესვლისა და მოწინააღმდეგე ფეოდალების დამორჩილებაში დახმარების შესახებ. ამასთან, რუსეთს არ აწყობდა ქვემო სვანეთის ერთი „სახლის“ ძალაუფლების ქვეშ გაერთიანება, რადგან ურთიერთდაპირისპირებული ფეოდალების მიდრეკილება რუსეთისადმი და მათი დამორჩილება უფრო ადვილი იქნებოდა. რუსეთმა, მართალია, თანხმობა მისცა მის მფარველობაში შესასვლელად დადეშქელიანების ერთ-ერთ სახლს, მაგრამ ფაქტობრივად ვერ შეძლო სვანეთზე თავისი

ძალაუფლების გავრცელება. ამის დამადასტურებელი ის იყო, რომ დადეშქელიანები ძველებურად მართავდნენ სამთავროს. რუსეთის მთავრობა სვანეთის მთლიანად დასაპყრობად უნარიანად იყენებდა სამეგრელოს დადიანებს, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ რუსეთის მფარველობაში. ამ პერიოდში დადეშქელიანებს შორის ძალზე გამწვავდა ურთიერთობა და ხშირად ადგილი ჰქონდა თავდასხმებს, ბრძოლას. ამიტომაც რუსეთმა გამოიყენა ეს მდგომარეობა და ქვემო სვანეთში ჯარი შეიყვანა.

1857 წელს კი კონსტანტინე დადეშქელიანი ქუთაისში დაიბარა გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა. კ. დადეშქელიანს, რათა იგი შორს ყოფილიყო სვანეთისაგან, წინადადება მისცა გამგზავრებულიყო ერევანში. ამ წინადადების საპასუხოდ დადეშქელიანმა ხანჯლით მოკლა გენერალ-გუბერნატორი და მისი ორი ჩინოვნიკი. დადეშქელიანი დააპატიმრა რუსეთის სარდლობამ და სიკვდილით დასაჯა. ამ მოვლენების შემდეგ რუსეთმა უარი უთხრა დადეშქელიანებს სხვებთან შედარებით რაიმე პრივილეგიების მიცემაზე, რასაც საბოლოოდ 1859 წელს მოჰყვა სვანეთის სამთავროს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. მალე აქ დამყარდა რუსული მმართველობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრისტავი.

რაც შეეხება ხემო სვანეთს, რუსეთმა მისი დამორჩილება 1875-1877 წლებში მოახერხა.

საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცარიზმი ცდილობდა, რომ კავკასიის ხალხებს დაევიწყებინათ თავისი წარსული, ეროვნული თვითმყოფადობა და მთლიანად შერწყმოდა რუსეთს.

ქართველი ხალხი ვერ ეგუებოდა ვერც გარუსების პოლიტიკასა და ვერც მისთვის უცხო მმართველობას, რუსულ კანონმდებლობას, სასამართლოს და, რაც მთავარია, გაზრდილ ექსპლოატაციას. ამიტომაც ადგილი ჰქონდა აჯანყებებს: იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, კახეთსა და საქართველოს სხვადასხვა სოფლებშიაც კი.

საქართველოს მთავარსარდალმა პასკევიჩმა ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით მოხსენება გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს, რომელშიაც დასაბუთებული იყო ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში რეფორმების გატარების აუცილებლობა. რეფორმების ჩატარების მიზანშეწონილობის თაობაზე შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ფინანსთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები. კომისიამ 1838 წელს წარადგინა თავისი პროექტი კავკასიის მმართველობის გარდაქმნის შესახებ. აღნიშნული

პროექტი განსახილველად გადაეცა რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და კავკასიის მოწყობის (მართვის) კომიტეტს.

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ ამიერკავკასიაში მმართველობის გაუმჯობესების მიზნით მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა.

1840 წლის 10 აპრილის დებულებით ამიერკავკასია დაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: 1) **ქათლ-იმერეთის გუბერნიად;** 2) **კასპიის ოლქად.**

ქართლ-იმერეთის გუბერნიაში, ქართული პროვინციების გარდა, შედიოდა სომხეთი და აზერბაიჯანის ნაწილი. ამრიგად, აღნიშნულმა პროექტმა მთლიანად უგულებელყო ეროვნული პრინციპი სახელმწიფო მმართველობაში და მის ნაცვლად ტერიტორიულ პრინციპს მიანიჭა უპირატესობა, ამასთან, ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის (სამეგრელო, იმერეთი, აფხაზეთი) მოსახლეობა.

ქართლ-იმერეთის გუბერნიის ცენტრად განისაზღვრა ქ. თბილისი. ეს გუბერნია იყოფოდა 11 მაზრად: თბილისის, გორის, თელავის, ბელაქანის ანუ ზაქათალის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ალექსანდრეპოლის, ერევნის, ნახიჩევანის, ახალციხისა და გურიის. მაზრები თავის მხრივ იყოფოდა უფრო მცირე ერთეულებად — უბნებად. ცენტრალურ მმართველობას რუსეთის მხრიდან ახორციელებდა კავკასიის კომიტეტი და მეფის კანცელარიის VI განყოფილება, რომლებიც პეტერბურგში იმყოფებოდა, ხოლო კავკასიაში, კერძოდ, თბილისში მათი დასაყრდენი ორგანოები იყო მთავარი სამმართველო, საგუბერნიო სამმართველო და სამაზრო სამმართველო.

კავკასიის კომიტეტი შეიქმნა 1840 წელს, რომლის მიზანს ამიერკავკასიის მმართველობის რეორგანიზაცია შეადგენდა. სინამდვილეში ეს ორგანო მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბდა და იარსება 1882 წლამდე. კავკასიის კომიტეტი წყვეტდა როგორც ამიერკავკასიის მმართველობის, ისე პოლიტიკურ საკითხებს, იგი გახდა რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების დასაყრდენი და განმხორციელებელი. ეს ორგანო მოწოდებული იყო ალმოეფხვრა მმართველობის ადგილობრივი თავისებურებანი. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი.

აღნიშნული კომიტეტის გვერდით არსებობას განაგრძობდა მეფის კანცელარიის VI განყოფილების „დროებითი კანცელარია“ და შემოღებულ იქნა განსაკუთრებული კანცელარია.

ყოველგვარ საქმეს, როგორც საკანონმდებლო, ისე მმართველობის

დარგში, რომლებსაც ვერ გადაწყვეტდნენ მინისტრები ან მთავარმართებელი, წყვეტდა კავკასიის კომიტეტი. კავკასიის კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფინანსთა, სახელმწიფო ქონების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრები. ნიკოლოზ I-ის დროს კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა ასევე რუსეთის ტახტის მემკვიდრეც.

კავკასიის კომიტეტს ფართო უფლებები ჰქონდა. ეს კომიტეტი ხელმძღვანელობდა კავკასიაში რეფორმების გატარებას. 1861 წლიდან კომიტეტის ფუნქციებში შევიდა ბატონყმობის გასაუქმებლად რეფორმის მოსამზადებელი საქმიანობა.

1862 წლიდან კავკასიის კომიტეტი გაუქმდა, მაგრამ 1865 წელს ალექსანდრე II-ის გადაწყვეტილებით შეიქმნა მინისტრთა კომიტეტი. საბოლოოდ კი კავკასიის კომიტეტი მთლიანად 1882 წელს გაუქმდა.

კავკასიასა და კონკრეტულად საქართველოში რუსული მმართველობის განხილვისას ყურადღებას იპყრობს მეფისნაცვლის ანუ „ნაცსტნიკის“ ინსტიტუტი. 1844 წელს კავკასიაში ნამესტნიკად დაინიშნა ვორონცოვი. იგი იყო შორსმჭვრეტელი, განათლებული და ცნობილი სამხედრო სპეციალისტი, ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი. მსხვილი ფეოდალი, რუსეთის მეფის ერთგული პიროვნება. ვორონცოვი ჭვრეტდა, რომ კავკასიაში – საქართველოში რუსული მმართველობის შემოღება და დანერგვა შეუძლებელი იყო ძალდატანებით, იძულებით. მისი აზრით, კავკასიაში რუსული მმართველობის დანერგვა იძულებით, შედეგს არ მოიტანდა. ამ საქმეში აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ ადგილობრივი, ქართველი თავადაზნაურობა, მათთვის პრივილეგიების მინიჭების გზით. ამასთან ერთად, ვორონცოვი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა ქართული ადათ-წესებისა და კანონების ცვლილების საკითხს, ითვალისწინებდა, რომ ქართული კანონების ხელაღებით გაუქმება კარგს არაფერს მოიტანდა. ეს ძალზე გაამწვავებდა ურთიერთობას ქართველ თავადაზნაურობასა და რუსეთის ხელისუფალთა შორის.

ვორონცოვი გულისხმიერად ეკიდებოდა ქართველი თავადაზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მისი მოღვაწეობის პერიოდში დასრულდა ქართველ თავადაზნაურთა სიების შედგენა-დაზუსტება, რომლებიც უფლებრივად უთანაბრდებოდნენ რუსეთის თავადაზნაურობას. ვორონცოვის ინიციატივით გაიხსნა ამიერკავკასიის სათავადაზნაურო ბანკი, საიდანაც ქართველი თავადაზნაურობა ღებულობდა შეღავათიან, გრძელვადიან კრედიტებს. ასევე გაიხსნა სამხედრო სასწავლებლები, სადაც ხუთასამდე

ქართველი ახალგაზრდა იქნა მიღებული თავადაზნაურთა ოჯახებიდან. ქართველ თავადაზნაურობას მიეცა ასევე სხვადასხვა სახის სამსახური. იხსნებოდა კლუბები. თბილისში გაიხსნა ოპერისა და დრამატული თეატრები, დაარსდა გაზეთები, გაყვანილ იქნა გზები.

ვორონცოვის მოღვაწეობის პერიოდში შეიცვალა კავკასიის მმართველობის წესდებაც. პირველ რიგში, ეს გამოიხატა მეფისნაცვლის ანუ ნამესტნიკის თანამდებობის შემოღებაში, რომელიც მეფის სახელით მართავდა კავკასიის გარკვეულ რეგიონს. საქმე ის არის, რომ ასეთი თანამდებობა არსებობდა არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპის ქვეყნებშიც (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი). „ნამესტნიკები“ აღჭურვილნი იყვნენ ფართო უფლებებით როგორც ადმინისტრაციული, ისე საფინანსო, სამხედრო თუ მართლმსაჯულების დარგში. მეფისნაცვალი ანუ „ნამესტნიკი“ იგივე გენერალ-გუბერნატორი იყო. იგი კავკასიაში განაგებდა ორ ან რამდენიმე გუბერნიას. მეფისნაცვალი რუსეთის მეფის მიერ ინიშნებოდა. მეფისნაცვლის ანუ „ნამესტნიკის“ თანამდებობა 1844 წლიდან 1881 წლამდე, მოგვიანებით 1905 წლიდან 1917 წლამდე არსებობდა.

ვორონცოვის მოღვაწეობის პერიოდში შეიქმნა ასევე **ამიერკავკასიის მთავარი საბჭო**, რომელიც ახორციელებდა სამოქალაქო მმართველობას.

რუსეთის მეფის 1846 წლის 14 დეკემბრის ბრძანებულებით ამიერკავკასია დაიყო 5 გუბერნიად: **თბილისის, ქუთაისის, შემახიის, დერბენტისა და ერევნის გუბერნიებად.**

თბილისის გუბერნია, თავის მხრივ, დაიყო 5 მაზრად: **თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ელიზავეტპოლის** მაზრებად. ასევე ჩამოყალიბდა სამი ოკრუგი: **თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ოსეთისა და გორის.** ქუთაისის გუბერნია შედგებოდა 5 მაზრისაგან: **ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთისა და ახალციხის.**

თითოეულ გუბერნიას სათავეში ედგა **სამხედრო გუბერნატორი**, რომელიც სამოქალაქო სასამართლოებსაც განაგებდა: გუბერნიას ჰქონდა თავისი სასამართლო და ჰყავდა გუბერნიის პროკურორი.

მაზრებს სათავეში ედგნენ **მაზრის უფროსები**, რომლებიც ადგილობრივ პოლიციასაც განაგებდნენ. მაზრები იყოფოდა **უბნებად**, რომელსაც განაგებდა **უბნის რწმუნებული**. მის ფუნქციებში შედიოდა პირველდაწყებითი სამძებრო საქმიანობა, მოკვლევა.

რაც შეეხება ადგილობრივ მმართველობას, კავკასიაში შეიქმნა

ტერიტორიული სამმართველოები, რომელსაც სათავეში ედგა მაზრის მმართველი. სამმართველოები თვალყურს ადევნებდნენ გადასახადების აკრეფას, აწარმოებდნენ გამოძიებას ყოველგვარ საქმეებზე, იხილავდნენ მცირე მნიშვნელობის საქმეებს. სამაზრო მმართველობის ძალით 1841 წლიდან საქართველოში ქარული კანონები არ გამოიყენებოდა მცირე გამონაკლისების გარდა, ისიც სამოქალაქო საქმეებზე. მართლმსაჯულებას ახორციელებდნენ **სამაზრო სასამართლოები**. სასამართლოებში ადგილი ჰქონდა ბიუროკრატიულ, გაჭიანურებულ და უსასრულო წარმოებას, რის გამოც მოსახლეობამ უნდობლობა გამოუცხადა მას და თვითონ ქმნიდა საკუთარ მართლმსაჯულების ორგანოებს. ასეთი იყო **სამედიატორო სასამართლოები**, რომელსაც ქმნიდა ქართველი მოსახლეობა რუსული მმართველობის დაუკითხავად, მისი გვერდის ავლით. რუსული მართლმსაჯულებისადმი უნდობლობასა და ზიზღს აძლიერებდა უვიცი, ფულისა და ქონების მოსახვეჭად საქართველოში ჩამოსული რუსი მოხელეების მსუნაგობა, გაუმაძღრობა, მექრთამეობა და, რაც მთავარია, საქმისწარმოება ქართველი ხალხისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე, ე.წ. თარჯიმნების მეშვეობით, რომლებმაც თვითონაც არ იცოდნენ რუსული ენა. რუსული მართლმსაჯულების მანკიერების შესახებ არაერთგზის მიუთითებდნენ ქართველი სამოციანელები: აკ. წერეთელი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე...

რუსული მმართველობა საქართველოში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე გაგრძელდა. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში რუსული მმართველობა უცვლელი არ იყო. ტარდებოდა მმართველობის დარგში სხვადასხვა ხასიათის რეფორმები, მაგრამ რუსული თვითმპყრობელური რეჟიმი და გარუსების პოლიტიკა თანმიმდევრულად ხორციელდებოდა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო მეფის მთავრობა, რის შედეგადაც რუსეთის იმპერიაში შემავალმა ეროვნულმა ერთეულებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა.

ძველი ქართული სისხლის სამართალი

თავი III

ძველი ქართული სისხლის სამართალი

ძველი ქართული სამართლის პრობლემების კვლევისას სისხლის სამართლის შესწავლას ერთგვარი უპირატესობაც კი ენიჭება სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, იმ მხრივ, რომ სწორედ სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმებსა თუ ინსტიტუტებში უფრო ნათლად ჩანს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, კლასობრივი თანაფარდობა, ბრძოლა გაბატონებულ და ჩაგრულ ფენებს შორის.

სისხლის სამართლის ინსტიტუტებიდან უმთავრესია ამ დარგის ისეთი ძირითადი ინსტიტუტები, როგორიცაა: დანაშაულის, სასჯელის, ბრალის, თანამონაწილეობისა და სხვა ინსტიტუტები.

სისხლის სამართლის ზოგადი ინსტიტუტების შესწავლის შემდეგ კი აუცილებლად უნდა იქნეს განხილული ცალკეული სახის, გვარეობითი დანაშაულები: ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სქესობრივი და ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები...

აღნიშნული პრობლემების შესწავლა და გადმოცემა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეები, პირველ რიგში, ძველი ნორმატიული წყაროების უქონლობას უკავშირდება, მეორე მხრივ, სიძნელეებს ქმნის თვით სისხლის სამართლის პრობლემების მეცნიერულ გამოკვლევათა სიმცირე, რომელთა კომპენსაცია უნდა მოხდეს არაპირდაპირი წყაროებით.

დანაშაულის ცნება და არსი ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით დასტურდება, რომ შემორჩენილი არ არის ადრეფეოდალური ხანის სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნარატიული წყაროები, რომელთა მეშვეობით შეგვეძლო გვემსჯელა ამ პერიოდის (IV-X საუკუნეების) სისხლის სამართალზე. მაგრამ ნარატიული წყაროების ანუ პირდაპირი წყაროების ნაცვლად უნდა მოვიშველიოთ არაპირდაპირი წყაროები, საეკლესიო ხასიათის ძეგლები, საისტორიო ხასიათის თხზულებები, შეძლებისდაგვარად ამოვკრიბოთ იქიდან ჩვენთვის საინტერესო მასალები სისხლის სამართლის ამა თუ იმ საკითხზე.

ძველი ქართული საეკლესიო და ისტორიული წყაროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ სისხლის სამართლის ისეთი ძირითადი ინსტიტუტი, როგორიცაა დანაშაულის ინსტიტუტი.

დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები

არაპირდაპირი წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულის აღმნიშვნელ ტერმინად მხოლოდ დანაშაული როდი გამოიყენებოდა. ამ ცნების აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინია მოცემული და ყველა მათგანი სამართალდარღვევის შინაარსს შეესაბამება.

საეკლესიო წყაროების მიხედვით დანაშაულის (ან დამნაშავის) ცნების გამოსახატავად გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: „გარდასვლა", „გარდახდომა", „დათრგუნვა", „უდებებაჲ" და „უგულებელყოფაჲ საქმისაჲ" (ეს ორი უკანასკნელი – უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულის გამომხატველი ტერმინებია), „მიშვება", „წინაღდგომა და დარღვევა კანონისაჲ", „უკანონობა", „უწესობა", „ბრალი", „ცოდვა", „შეცოდება", „დანაშაული", „ბიროტის მოქმედი", „ძვირის მოქმედი". თვით მოქმედებას ანუ გარდასვლას „გარდამავლობითი მოქმედება" ეწოდებოდა.

დანაშაულის ცნების გამომხატველ ტერმინთა გვერდით ყურადღებას იპყრობდა უდანაშაულობის აღმნიშვნელი ტერმინებიც. ასეთებია: „უბრალოება", „შეუცოდარი".

გავარკვიოთ დანაშაულის ცნების გამომხატველი ტერმინების შინაარსი:

1. გარდასვლა. დანაშაულის აღმნიშვნელი ეს ცნება წარმოდგა სჯულის, კანონისა და წესის დარღვევიდან ანუ გარდასვლიდან, რადგან სჯულის, კანონისა და წესის დაცვა აუცილებელი და სავალდებულო იყო.

2. გარდახდომა. ეს ტერმინიც ზუსტად იმავე შინაარსის გამომხატველი იყო, როგორც ტერმინი „გარდასვლა“.

3. დათრგუნვა. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „სამართლის, შჯულისა, თუ კანონის დარღვევის გამოსახატავად „დათრგუნვასაც“ ხმარობდნენ ხოლმე“[1]. ამის დასადასტურებლად ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ციტატა დავით აღმაშენებლის თხზულებიდან „გალობანი სინანულისანი“, სადაც აღნიშნულია: „სჯულნი დავთრგუნენ წიგნისაჲ და ახალი ბუნებითიო“. ამ შემთხვევაში „დათრგუნვა“ დანაშაულის ჩადენას ანუ კანონის დარღვევას ნიშნავდა.

4. „უდებებაჲ და უგულებელყოფაჲ საქმისაჲ“ — ნიშნავდა თანამდებობის პირის უმოქმედობას, რასაც მძიმე შედეგი ანუ დანაშაული მოჰყვა, სხვანაირად ის ქმედება თანამდებობის პირის უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულს უახლოვდება: „უკეთუ მოძღუარმან, გინა დეკანოზმან, გინა იკონომოსმან უდებებად გასცენ თავი თვისი და სენაკთა შინა მოსმურობათა მიდევნებულნი უგულებელს ჰყოფდენ საქმესა მონასტრისასა და გარეშე საჭიროისა მიზეზისა ზედაისზედა ეკლესიისა ლოცვასა დააკლდებოდენ, გინა ტრაპეზსა შესლვასა უდებ-ჰყოფდენ“, ასეთი მოხელე ბერები თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნენ“[2].

5. მიშვება. აღნიშნული ტერმინის დღევანდელი შესატყვისი გვაქვს „მიმნებებლობა“. მიშვება ისეთი დანაშაული იყო, რომლის დროსაც თანამდებობის პირი საშუალებას აძლევს ბოროტმოქმედს, დანაშაულის ჩამდენს — თავისი უმოქმედობით, ხელშეუშლელობით საწადელს მიაღწიოს.

6. „წინაღდგომა და დარღვევა კანონისაჲ“ — აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა კანონის დარღვევის გამოსახატავად ფართო გაგებით ანუ უკანონობის გამოსახატავად საერთოდ, ისევე, როგორც წესის დარღვევის გამოსახატავად გამოიყენებოდა ტერმინი „უწესობა“. ამდენად, შეიძლება იგი ჩავთვალოთ გარდამავლობითი მოქმედების ანუ დანაშაულის აღმნიშვნელ ტერმინად.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, გვ. 189.
[2] იქვე, გვ. 190.

7. ბრალი — აღნიშნული ტერმინიც დანაშაულის ცნების გამოსახატავად გამოიყენებოდა. მას სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს როგორც „მცირე რამ დანაშაულს". ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს განმარტება სწორი არ არის. ამ უკანასკნელის აზრით, ბრალი უფრო უახლოვდება ცოდვას.

8. ცოდვა — ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ტერმინი სამართალდარღვევის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი სახეა. შეცოდება კი დანაშაულებას ნიშნავს. ბექასა და აღბუღას წიგნს ხომ ასე ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველსავე".

9. დანაშაული — სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, დანაშაული ყოფილა „შეცოდება, ესე იგი, არს შავად ქმნა საქმისა". დაშავება იგივე ფიზიკური ან ზნეობრივი ზიანის მიყენებას ნიშნავდა. თვით სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „დაშავება" ხეიბრად შექმნას ეწოდებოდა.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ადრეფეოდალურ ხანაში „დანაშაული" ვნებისა და ზიანის მნიშვნელობის მქონე ტერმინად უნდა ვიგულისხმოთ. მაგრამ იმ ხანის ძეგლებში ტერმინი „დანაშაული" არ ჩანს.

ბოროტის-მოქმედი — ეწოდებოდა დამნაშავეს, ვინც სჯულის კანონს არ დაიცავდა ან დაარღვევდა, ე.ი. ბოროტმოქმედი საეკლესიო სამართლის ტერმინია და აქედან შემოვიდა საერო სამართალში.

ძვირისმოქმედი — იმავე ცნების აღმნიშვნელი ტერმინი იყო, რაც ბოროტისმოქმედი. ამავე შინაარსის ტერმინი იყო ძველ ქართულში „ძვირისმოქმედიც". ცოტნე დადიანი მონღოლებს ეუბნება: ჩვენ თქვენის საქმეების მოსაწესრიგებლად ვიყავით შეკრებილნი, თქვენ კი „ძვირის მოქმედთა თანა შეგვრაცხეთ".

დანაშაულთა კლასიფიკაცია ძველ (ადრეფეოდალური ხანის) ქართულ სამართალში

ადრეფეოდალური სამართლის (საეკლესიო, საერო ხასიათის ძეგლები) ანალიზით ირკვევა, რომ ერთმანეთისაგან არის განსხვავებული დანაშაულობათა სახეები.

სამართალდარღვევათა სახეების განსხვავების ანუ დაჯგუფება-კლასიფიკაციის საფუძვლად ამა თუ იმ ქმედების სირთულე, მრავალსახეობა და არსის გათვალისწინება იყო მიჩნეული.

დანაშაულის კვალიფიკაციისას თუ პასუხისმგებლობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დამნაშავის ასაკს: იოანე მმარხველის „შეცოდებელთა კანონში“ აღნიშნავს: „ყოველი ცოდვაჲ, რომელი უწინარეს ლ: 30 წელისა ჰასაკისა შემთხუეულ ვისდა იყოს. უსუბუქესად განიკანონების“ თუნდაც, რომ დანაშაულობა „მძიმეი ცოდვათაგანი იყოს, მიტომ, რომ ლ. წლამდე უმეცრებაჲ გონებისაჲ და „მხურვალებაჲ ხორცთაჲ დიდად მსძლავრობს კაცსა“, ხოლო პირიქით, „ყოველი ცოდვაჲ, რომელი 30 წლის წაღმართ შეემთხუიოს ვის“, თუნდაც „უდარხსთა ცოდვათაგანი იყოს, უმეტესისა (ე.ი. უფრო მკაცრი) კანონისა თანმდებ არის“. იმავე ბერძენი ავტორის მითითებით, დანაშაულის კლასიფიკაციისათვის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დანაშაულის ყველა გარემოება როგორც დამნაშავის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, ისე დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო და სხვა პირობები თუ გარემოებები.

ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხის კვლევისას იმ დასკვნამდე მიდის, რომ ადრეფეოდალური ქართული სამართალი, ბერძნული და ბიზანტიური სამართლის მსგავსად, დანაშაულის სამ სახეს იცნობდა, სამსახოვან დაყოფას მისდევდა: „დიდი დანაშაული“, „საშუალო“ და „მცირე“. მაგრამ არც ბიზანტიურსა და არც ბერძნულ სამართალში არ არის მიკვლეული ის კრიტერიუმი, ის საზომი, რაც გვაძლევს დანაშაულის სამ სახედ დაყოფის საშუალებას. ივ. ჯავახიშვილი აქვე მიუთითებს, რომ, მართალია, დანაშაულის სამსახოვანი დაყოფა ქართულ სამართალსაც ჰქონდა, მაგრამ თითოეული ჯგუფისათვის განკუთვნილი ზუსტი ტერმინი არც ქართულ სამართალში ჩანს: „შეცოდება და დანაშაული ყველა ჯგუფისათვის განურჩევლად იხმარებოდა, იმგვარადვე, როგორც გარდამავლობითი მოქმედება... ბოროტმოქმედება თავისი შინაარსით დანაშაულზე უფრო მძ-

იმე შეცოდების გამომხატველი უნდა ყოფილიყო...“[1]. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, დანაშაულის კლასიფიკაცია დამყარებული ყოფილა ბრალზე. მაგრამ ბრალის შესახებ ზოგადი მოძღვრება გვიან, XVIII საუკუნეში ყალიბდება. სახელოვან ქართველ მეცნიერს ექვთიმე მთაწმინდელს კი ეს მოძღვრება X საუკუნეში შეუქმნია[2].

ამრიგად, ძველ ქართულ სამართალში დანაშაულის კლასიფიკაციისას აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა ბრალის გათვალისწინება, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და სხვ.

საინტერესოა ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწის ექვთიმე მთაწმინდელის მოსაზრებანი დანაშაულებათა კვალიფიკაციის საკითხზე. ექვთიმე მთაწმინდელს უსარგებლია ბასილ კესარიელისა და იოანე მმარხველის თხზულებებით (კანონებით) და მიუკლევია დანაშაულის ზოგადი შინაარსისათვის. ექვთიმე მთაწმინდელი არ შსჯელობს სხვადასხვა სახის დანაშაულებათა ბუნების გასარკვევად, არამედ ეხება მხოლოდ მკვლელობას, როგორც დანაშაულს და მეტად ღრმამეცნიერულ დასკვნებს აყალიბებს.

მკვლელობის შინაარსის გასარკვევად, მისი თვისების შესაცნობად ექვთიმე მთაწმინდელი დამნაშავის ნებას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. მისი მითითებით, თუ ვინმემ „ნებსით თვისით და განზრახვით კაცი მოჰკლას“ — ეს იქნებოდა **„ნებსით კაცისკულაჲ“**, მაგრამ შეიძლებოდა ვინმეს შემთხვეოდა **„არა თვისითა ნებითა, არამედ უნებლიედ შეემთხუას კაცის კულაჲ“** და ეს იქნებოდა **„უნებლიეთი კაცის კულაჲ“**, ამასთანავე, **„შემთხვევითიც“**.

ექვთიმე მთაწმინდელი ამაზე არ ჩერდება. მისი აზრით, ნებსით და უნებლიე მკვლელობები, თავის მხრივ, სხვადასხვა თვისებისა და სხვადასხვა სახისაა.

ნებსით ანუ განზრახვით მკვლელობის მაგალითად იგი ასახელებს მკვლელობას მახვილით ან შუბით, ან ცულით: „ნებსით კაცის კულაჲ“ არის თუ ვინმემ „აღიღოს მახვილი და ესრეთ ხელ-ჰყოს შურისგებად“, ან თუ ხელისხელ სცეს მახვილთა“, ... „გინა თუ შეტყორცნებით მოწყლა, ანუ ხელცულითა, ანუ მაზრაკითა (ე.ი. ხელშეხებით), ანუ ისრითა“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნებსით ანუ განზრახვით მკვლელობად

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, გვ. 196 (ხაზი ჩვენია, — ვ.მ.).
[2] იქვე.

თვლის ექვთიმე მთაწმინდელი თუ „მისცემენ წამალთა, ჩვილის მკვლელთა საშოსა შინა“. აქ, ექვთიმეს აზრით, მკვლელები არიან როგორც წამლის მიმცემი, ისე წამლის მიმღები. წამლის მიმცემი იმიტომ, რომ მას გამოცდილება აქვს, რომ ასეთ ქმედებას ჩვილის სიკვდილი მოჰყვება, ხოლო წამლის მიმღები დედა იმისათვის, რომ იგი დათანხმდა ჩვილის სიკვდილს.

ექვთიმე მთაწმინდელი განზრახ, ნებსით მკვლელობად თვლის „უკეთუ ვინ წამალი ვის შეასვას სასიკუდინე“. ისეთ მკვლელობას იგი უწოდებს „**ნებსით და ბოროტ**“ მკვლელობას, ხოლო რაც შეეხება ასეთ შემთხვევას: თუ ქალმა მამაკაცს შეასვა წამალი სიყვარულის ტრფიალების შესაქმნელად და ამით მამაკაცი გარდაიცვალა, ექვთიმეს აზრით, ასეთი მკვლელობა „კაცის კულათა თანა არის“, ე.ი. განზრახი მკვლელობის სახეა, რადგან წამლის მიმცემის „გულის სიტყვა“, ე.ი. შეყვარების სურვილი „უჯერო და საეშმაკო“ იყოო და ამის გამოა ნებსითი მკვლელობა.

ექვთიმე მთაწმინდელს მოჰყავს ასევე განზრახვით ანუ ნებსით მკვლელობის სრულიად აშკარა, გამოკვეთილი მაგალითი, როდესაც ავაზაკი მიდის კაცის მოსაკლავად მოხვეჭის მიზნით. ასეთ მკვლელობას იგი „**კაცის კულანი ნებსითნი და განზრახვითნი**“ უწოდებს.

ექვთიმე მთაწმინდელი მსჯელობს ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობებზე. ექვთიმეს მითითებით, შეიძლება, რომ „**არა თვისითა ნებითა, არამედ უნებელად შეემთხვას კაცის კულაჲ**“ და მისივე სიტყვებით, ეს იქნებოდა „**უნებლიეთი კაცის კულაჲ**“, ამასთანავე, „**შემთხვევითიც**“. ექვთიმე მთაწმინდელის აზრით, უნებლიე კაცის კვლაც სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს. ერთ-ერთი ასეთი არის „**სრულიად უნებლიე და გარეშე გონებისა და განზრახვისა მოქმედებისა**“. ასეთის მაგალითად იგი ასახელებს: უკეთუ სტყორცნის ქვას ან შეშას ძაღლს, ხის ნაყოფის ჩამოსაყრელად და მოხვდეს ქვა კაცს და მოკვდეს იგი. აქ მტყორცნელს არათუ განზრახვა არ ჰქონდა, არამედ ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ კაცს მოკლავდა, ამიტომაც ასეთ ქმედებას ექვთიმე უწოდებს „**უნებლიეთი და გარეშე გონებისა**“.

ზემოთ აღნიშნული უნებლიე დანაშაულის მსგავს დანაშაულად თვლის ექვთიმე მთაწმინდელი ასეთ დანაშაულს: „უკეთუ ვინ სწუართოს მონა თვისი, ან მოწაფე შოლტითა, გინა კუერთხითა

არაფიცხლითა და შეემთხვიოს მას სიკუდილი“. აქ უდებება ანუ დაუდევრობაა აშკარად, რადგან მკვლელს განზრახვა ანუ გულისიტყვა არ ჰქონია, ასევე „უზომოდ“ არ უცემია, რადგან მას მიზნად ჰქონდა ყრმის აღზრდა და „აბოსწორება.

გარდა ზემოთ აღნიშნული გაუფრთხილებლობისა, ექვთიმე მთაწმინდელი ასახელებს უფრო მძიმე გაუფრთხილებლობას, რომელიც განზრახვას უახლოვდება. „უკეთუ შეემთხვიოს ვიეთმე შფოთი ურთიერთსა და მიამთხვიოს, გინათ არგნითა, ან მჯიღითა“ ან გასტყორცნოს ქუაჲ, ანუ შეშაჲ მიმთხვევად მეორისა“ — და დაკოდილი ადამიანი მოკვდეს — ექვთიმეს აზრით, ასეთი ბოროტმოქმედება უახლოვდება განზრახვას ანუ „ნებსითსა კაცის კულას“ იმიტომ, რომ, მართალია, მას განზრახვა ჰქონდა ეცემა ან ზიანი მიეყენებია მეორე პირისათვის, მაგრამ ნების გამომჟღავნება იყო „ნებსითსა მიეახლების“, ე.ი. განზრახვას უახლოვდება, მიესადაგება.

ამრიგად, ექვთიმე მთაწმინდელმა დანაშაულის კლასიფიკაციის საფუძვლად აიღო ნება, განზრახვა და სურვილი, რომელთაგან უპირატესობას ანიჭებს განზრახვას და დანაშაულის სამწევროვანი დაყოფა მოგვცა: დიდი დანაშაული, საშუალო და მცირე დანაშაულები.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

ძველ ქართულ სამართალში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბრალთან — განზრახვასა თუ განუზრახველობასთან, ე.ი. დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღებოდა დანაშაულის ჩამდენის ნება და ამ ნების ხარისხის მიხედვით დამნაშავეს ან უმსუბუქდებოდა სასჯელი ან თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „გარდამავლობითი მოქმედებისათვის **პასუხისმგებლობის საკითხი ნებსითობასა და განზრახვითობაზე** იყო დამოკიდებული. ხოლო რაკი განზრახვა და ნებსითობა ადამიანის გონიერების ნაყოფია, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ „ვისაც უმეცრებაჲ გონებისაჲ“, ან იქნება „ფრიადი

უძლურებაჲ გონებისაჲ“ აქვს, ის უსუბუქესად უნდა ყოფილიყო განსჯილი ანდა იქნებ უბრალოდაც კი ყოფილიყო ცნობილი. აქედან ჩანს, რომ დამნაშავე შეიძლებოდა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულიყო, თუ გონებრივად სრულიად სუსტი, უძლური იყო, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით – იგი **ჭკუასუსტი** და **შეურაცხადი** იყო.

ექვთიმე მთაწმინდელი იოანე მმარხველის შეცოდებელთა კანონის განმარტებისას არ იზიარებს ამ უკანასკნელის მოსაზრებას, რომ 30 წლამდე ასაკის პირთა დანაშაულები საერთოდ არ უნდა დაისაჯოს და მიუთითებს, რომ 30 წლის ასაკამდე პირთათვის ყოველგვარი პატიება კი არა, მსუბუქად დასჯა უნდა იქნეს გამოყენებული, თუ მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი. ექვთიმე მთაწმინდელი ასე თარგმნის: „ყოველი ცოდვაჲ, რომელი უწინარეს ლ (30) წლისა ჰასაკისა შემთხვეულ ვისდა იყოს, უსუბუქესად განიკანონების, დაღაცათუ მძიმეთა ცოდვათაგანი იყოს, რამეთუ ვიდრე ლ (30) წლამდე უმეცრებაჲ გონებისაჲ და მხურვალებაჲ ხორცთაჲ დიდად მძლავრობს კაცსა და ამისათვის უსუბუქესად განიკანონების“.

ივ. ჯავახიშვილი აკვირდება ამ ადგილს და გამოთქვამს ეჭვს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ქართულ სამართალში პასუხისმგებლობა არ ყოფილიყო დაწესებული 30 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ სხვადასხვა სახის დანაშაულებისათვის და მხოლოდ მძიმე დანაშაულები ისჯებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქართულ სამართალში ალბათ 10 წლის ასაკიდან იყო დაწესებული, როგორც ეს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშია მოცემული ან 15-16 წლიდან, როცა დგებოდა სქესობრივი მომწიფებულობა ან უკიდურეს შემთხვევაში, 21-22 წლის ასაკიდან, როდესაც პირი სამხედრო და სამოქალაქო საქმეებისათვის სრულასაკოვანი ხდებოდა.

დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ან პასუხისმგებლობისაგან სრულიად გასათავისუფლებელ გარემოებად ითვლებოდა თუ დანაშაული ჩადენილი იყო გამოუვალი მდგომარეობის ანუ იძულების გამო. ასეთ გარემოებებში იგულისხმება: თუ დანაშაულის ჩამდენი მოქმედებდა თავისი უფროსის, მეფის ან სხვა დიდი ხელისუფლის ბრძანების აღსასრულებლად და მათი ბრძანების აღსრულების შიშით ჩაიდინა დანაშაული ან ომიანო-

ბისა თუ თავდასხმის დროს იძულებული იყო თავი დაეცვა და თავდამსხმელი დაეჭირა. იმდროინდელი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია ასეთ მიზეზებსა და გარემოებებს უწოდებს **„ჯეროვან მიზეზს“**, ზოგჯერ კი **„საჭირო მიზეზს“**[1].

რაც შეეხება ბრალეულობის დამამძიმებელ გარემოებებს — ძველ ქართულ სამართალში ასეთი იყო:

1) **მეორედ ჩადენილი დანაშაული**. იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლით. ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა დავითის მიერ ლიპარიტის დასჯის შესახებ. კერძოდ, დავითმა ლიპარიტი ორგულობისთვის დააპატიმრა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გაათავისუფლა, თანამდებობაც კი დაუბრუნა. მაგრამ გაირკვა, რომ ლიპარიტი კვლავ ღალატს აპირებდა, მაშინ დავით აღმაშენებელმა ხელმეორედ შეიპყრა, ორ წელს საპყრობილეში ჰყავდა, ხოლო შემდგომ საბერძნეთს გააძევა.

2) ბრალეულობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა ასევე თუ დამნაშავე **ცოდვისმოყვარე იყო ან უკრძალველობასა და თავზედ კადნიერებას ამჟღავნებდა**.

3) მახლობელი ნათესავისადმი ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა, დაჭრით „ურთიერთას თვისთა და ნათესავთა აღრევაჲ“ ანუ სისხლის აღრევა, მცირეწლოვანთა გახრწნა (როგორც ქალის, ისე ვაჟის).

4) დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა თანამდებობის პირთა განუკრძალველობა (მოურიდებლობა), მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე სხვა რიგითი მოქალაქეებისა.

5) დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა დანაშაულის ჩადენა ე.წ. „საშინელ ადგილას“ ანუ „საპატიჟო ადგილებზე“. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნიდან ჩანს, რომ საპატიჟო ადგილას ჩადენილი ქურდობისათვის ორივე თვალის ამოთხრა და ხელ-ფეხის მოჭრა იყო დაწესებული. ამ შემთხვევაში საპატიჟო ადგილად ნაგულისხმევია დიდი სალარო ან ეკლესია, ან ჯოგი და მათი მითვისება ქურდობით. ასევე დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება, რასაც შეიძლებოდა ადა-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 202.

მიანის დაზიანება ან სიკვდილი მოჰყოლია

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ საინტერესო და ღრმად მეცნიერული გამოკვლევა აქვს პროფ. ალ. ვაჩეიშვილს[1]. ამასთან, ალ. ვაჩეიშვილი იკვლევს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით.

პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია:

1) ომის დროს მტრის მოკვლა (თუ ომში კაცი კაცს შემოაკვდეს).

2) თუ მკვლელობა ჩადენილია დაზარალებულის შეუცნობლად, განზრახვის გარეშე, მაგრამ თუ დამნაშავესა და მოკლულს შორის ადრე ქიშპი და მტრობა იყო და ნათესავი წაუყენებს მკვლელს განზრახი დანაშაულის ბრალდებას, უკანასკნელმა უნდა იმართლოს თავი ან სისხლი უნდა გადაიხადოს.

3) თუ დამხვდური მოკლავს თავდამსხმელს, მომხვდურს. ეს დანაშაული აუცილებელ მოგერიებას ჰგავს, თუმცა ბატონი თუ დაესხა თავის ყმას, ამ შემთხვევას კანონი არ აწესრიგებს, კანონი ამ საკითხზე დუმს.

4) პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად ითვლება: „ყმა რომ არ იყოს მისი და ერთმანეთ კაცმან კაცს საკვდავად შეუტიოს და იმ უმცროსმან კაცმან გარიდოს და უფროსმან ხმალი შემოკრას, მეორედ კიდევ შემოსაკრავად მოინდომოს და ახლა იმ უმცროსმან დაასწროს, მოჰკლას თუ დასჭრას, არც მისი სისხლი ითხოვების“ — ამის შემდეგ კანონმდებელს მოჰყავს სხვა შემთხვევები, რაც კაზუისტური ნორმისთვისაა დამახასიათებელი, აქ არ არის ზოგადი ხასიათის ქცევის წესი ჩამოყალიბებული, მაგრამ კაზუისტურადაა ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები.

5) „თუ სწორმან სწორს შეუტია და ხმალს ხელი გაიკრა და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა და დასჭრა, თუ უნდა კიდეც მოკლას, ვერას შეუა“.

6) „თუ ან ცოლზე ან შვილზე კაცი იყოს თუ ქალი სხვა კაცი დააბელოს და მოკლას“.

---

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1946, გვ. 215-219.

7) „თუ მოახლეზე დაახელოს და მოკლას, მაგრამ ამას ცოტა რამ კი გაუჩნდების სამარხივით“.

8) ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, ყმას აქვს უფლება მოკლას თავისი ბატონი, თუ მან შელახა მისი ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე. ფეოდალური კანონმდებლობისათვის ასეთი მუხლი იშვიათია.

9) ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი. კანონის მიხედვით, ასეთი მკვლელობისათვის „არც ძმისგან და არც ნათესავთაგან სისხლი არ ეთხოვების“.

10) ვახტანგის სამართლის წიგნი გამორიცხავს პასუხისმგებლობას ქურდის მკვლელობისათვის: „რომ კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში“ — პასუხს არ აგებს.

თანამონაწილეობა

ქართული სამართალი იცნობს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელშიაც მონაწილეობდა არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი.

თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახედ ქართული სამართალი იცნობს ისეთ თანამონაწილეობას, რომელშიაც ორი პირი მონაწილეობდა და ორივეს მიუძღოდა ერთნაირი ბრალი. ასეთ დანაშაულებს ქართული სამართალი უწოდებს „ორკერძოვე დანაშაულს“ და დამნაშავეებს თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ.

ქართული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებდა თანამონაწილეთა სახეებს. ასე, მაგალითად, იმ პირს, ვისაც გულში ჰქონდა ჩადებული ბოროტი აზრი და სხვისი დახმარებით ცდილობდა მის განხორციელებას, ეწოდებოდა **განმზრახი**. ბოროტმოქმედთა მოლაპარაკება-შეთანხმებას შეზრახება ეწოდებოდა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის სიტყვით, მეფის წინააღმდეგ განდგომილების მოსაწყობად **„შეეზრახნეს აზნაურნი“** ქართლელნი და **„მათთანა კაცნი“** და **„მათ თანა ორმოცდაათნი აზნაურნი სხუა“**. ჟამთა აღმწერელის ცნობით, „ღალღურ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგეს მეფესა“[1]. შეზრახების თითოეულ მონაწილეს **„თანამზრახ-**

[1] იე. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 207-208.

ველი“ ან „თანაგანზრახი“ ეწოდებოდა. თუ პირი მოგვიანებით შეუერთდებოდა „თანამზრახველებს“, მას ეწოდებოდა „განზრახვის თანამოწმე“. ხოლო თუ ასეთი პირი მონაწილეობასაც მიიღებდა დანაშაულის ჩადენაში, მას ეწოდებოდა „მიმდგომი ან თანაშემდგომი“. დანაშაულში ყოველგვარ მონაწილეობას „თანადგომა“ ეწოდებოდა. ასევე გამოიყენებოდა მეორე ტერმინიც „ასაბია“, „ასაბიობა“[1]. ბოროტმოქმედების განხორციელების მონაწილეს „მეშველი“ ეწოდებოდა. ასაბია და მეშველი შინაარსით თითქმის ერთნაირი ცნებებია.

ძველ ქართულ სამართალში თანადგომისა და დახმარების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი არსებობდა: „თანაშემწე“, „ძალმცემელი“, „შინათგამცემელი“.

„თანაშემწე“ – თანამოქმედს ნიშნავდა, რომელიც დამნაშავესთან ერთად მოქმედებდა, ჩადიოდა დანაშაულს.

„ძალისმცემელი“ თვითონ არ იყო ბოროტმოქმედების უშუალო მონაწილე, მაგრამ მის განსახორციელებლად რაღაც საშუალებებს აძლევდა.

„შინათგამცემელი“ თანამონაწილე იყო, რომელიც ბოროტმოქმედებს ეხმარებოდა შინაური საიდუმლოს გამჟღავნებით. ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქართულ სამართალში თანამონაწილეობა და თანამონაწილენი ცნობილია, მაგრამ თანამონაწილეობის დღევანდელ კონსტრუქციას არ ემთხვევა.

დანაშაულის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში

ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტის ერთერთი ძირითადი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი.

ზემოთ, სადაც დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნებს ვარკვევდით, შევეხეთ დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ, დამნაშავის ასაკს და აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულ სამართალში ზუსტად არ ჩანს, თუ რა ასაკიდან დგებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამასთან, მოვიტანეთ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული საეჭვო

[1] ასაბია არაბული წარმოშობის სიტყვაა „ასაბიუნ“. არაბულად ეს სიტყვა თავისი თანამოგვარის ან თავისი დასის წარმომადგენელს ნიშნავდა. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ტ. VII, გვ. 208.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ იოვანე მმარხველის მიერ დანაშაულის ჩადენაში 30 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის დაწესება ქართულ სამართალს არ უნდა გაეზიარებინა, და ექვთიმე მთაწმინდელს 30 წლის ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაუსჯელობის ნაცვლად თარგმანში ჩაუწერია „უსუბუქესად დასჯა“ ანუ მსუბუქად დასჯა[1]. სამწუხაროდ, დამნაშავის ასაკის შესახებ მეტი ცნობა ჩვენ არ გაგვაჩნია. ამ ხარვეზს ავსებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი. კერძოდ, სამართლის წიგნის 187-ე მუხლში მოცემულია დამნაშავის 10 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის საკითხი. „ათს წლამდის ყმაწვილის ნაქნარის საქმისა რასაც ფერის, ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების, თავის ტოლს უზამს, თუ უფროსს ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, საფათერაკოსავით არის; მისგან მშობლებმა მისი ყმაწვილობისაგან მკუდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულსა სააქიმო მისცეს, სხვას ვერას შეუა“. ამ მუხლის ანალიზით ირკვევა, რომ 10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაიშვება, მათი მოქმედება გათანაბრებულია შემთხვევასთან ანუ „ფათერაკთან“[2] და დაზარალებულს ეძლევა ქმედების ჩამდენის მშობლებისაგან სამარხი ან დაჭრილს სააქიმო. ამრიგად, დანაშაულის სუბიექტისათვის აუცილებელი იყო სათანადო ასაკი და ეს ასაკი შეადგენდა 10 წელს, 10 წლიდან წესდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

დანაშაულის სუბიექტის მეორე მოთხოვნა ანუ დამახასიათებელი ნიშანი იყო შერაცხადობა. ძველი საეკლესიო კანონებიდან ჩანს, რომ შეურაცხადი პირი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა. შეურაცხადობა გამოიხატებოდა ტერმინებით: „უმეცრებაჲ გონებისა“ ანუ შეუგნებლობა, ე.ი. დანაშაულის ჩამდენის ისეთის მდგომარეობა, როცა მას არ ესმის თავისი მოქმედების საშიშროება და შედეგები. ასევე „ფრიადი უძლურებაჲ გონებისასაჲ“ ანუ ფსიქიკური დაავადება, ანუ სულით ავადმყოფობა. ამრიგად, ძველი ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტებად არ ჩაითვლებოდნენ პირები, რომელთაც გონებრივი განუვითარებლობის ან სულით ავადმყო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 200.

[2] ფათერაკი ამ შემთხვევაში არ ემთხვევა კაზუსს, იგი გაუფრთხილებლობასთან უფრო ახლოსაა, რადგან მშობლებს აკისრებს ქონებრივ პასუხისმგებლობას.

ფობის გამო არ შეეძლოთ შეეფასებინათ თავიანთი ქმედება და ამ ქმედებით დამდგარი შედეგის საშიშროება — როგორც დანაშაული.

ამდენად, სისხლის სამართლის სუბიექტისათვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა დანაშაულის ჩამდენი პირის შერაცხადობა.

სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ის საკანონმდებლოს წიგნში ვერ ვპოულობთ შერაცხადობის მოთხოვნას დანაშაულის ჩამდენის სუბიექტისათვის. ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია პროფ. ალ. ვაჩეიშვილმაც, რომელშიც აღნიშნავდა: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახტანგ VI-ის დროინდელი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკისათვის ეს ცნება შეურაცხველობისა სრულიად უცნობი რამ ყოფილიყო. საეკლესიო სამართალი მას მკაფიოდ განსაზღვრავდა და უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგ VI და მართლმსაჯულების პრაქტიკული მოღვაწენიც მასვე იცნობდნენ და მით ხელმძღვანელობდნენ... თუ გავითვალისწინებთ ვახტანგ VI-ის ხანას, მის კულტურულ დონეს, არ შეგვიძლია დავუშვათ ისეთი მდგომარეობა მართლმსაჯულების სფეროში, როცა სრულით ავადმყოფი ვითომც ბრალეულად ითვლებოდა და მას დაკისრებული ჰქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“[1].

სამართალსუბიექტის საკითხთან დაკავშირებით ისმება კითხვა: როგორ წყვეტდა ქართული სამართალი საკითხს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის შესახებ, უფრო კონკრეტულად — ითვლებოდა თუ არა მთვრალი პირვნება სისხლის სამართლის სუბიექტად ანუ ეკისრებოდა თუ არა მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამ საკითხს ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის 93-ე მუხლი: „ღვინოში რომ კაცმა ან კაცი მოკლას, ან დაჭრას, თუ რაც უყოს მთელს სისხლზე თუ არა მეტი, ნაკლები არ მიეცემის...“. ამავე მუხლს იქვე ახლავს ახსნა თუ რისთვის ინიშნება მთვრალი პირის მიმართ ასეთი მკაცრი სასჯელი და კანონმდებელი მიუთითებს, რომ, რადგან დამნაშავემ იცის, რომ ღვინოში აჩქარებულია, რატომ სვამს იმდენს, რომ დანაშაულამდე მივიდეს. კანონმდებლის მიხედვით, დამნაშავეს თავი უნდა შეეკავებინა, არ უნდა მიეღო ღვინო. ამ მუხლიდან ჩანს, რომ სიმთვრალე არ ჩაითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხავ თუ გამაქარწყლებელ გარემოებად. მთვრალი ადამიანი დანაშაულის სუბიექტია, იგი შერაცხადია, აქ შეურაცხადობას ადგილი არა აქვს.

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 207.

ამრიგად, ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება იყო გარკვეულ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი.

საინტერესოა საკითხი: იცნობს თუ არა ქართული სამართალი სისხლის სამართლის სუბიექტად იურიდიულ პირებს?

ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების კანონმდებლობა და იურიდიული პრაქტიკა სისხლის სამართლის სუბიექტებად მიიჩნევდა როგორც ფიზიკურ პირებს, ისე გაერთიანებებს, ქალაქებს, თემებს, კორპორაციებს — დღევანდელი ტერმინოლოგიით — იურიდიულ პირებს. უძველესი პერიოდიდან ცნობილი იყო მთელი თემის პასუხისმგებლობა მისი წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. საფრანგეთში, დიდი რევოლუციის დროს, გამოიცა კანონი, რომელიც თემს აკისრებდა პასუხისმგებლობას მის ტერიტორიაზე ჩადენილი ძარცვისათვის ან აქ მოწყობილი დანაშაულებრივი ყრილობისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლში შემონახულია სისხლის სამართლის კოლექტიური პასუხისმგებლობის მაჩვენებელი მაგალითები. ასეთებია ოჯახის წევრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ქართული სამართლის მკვლევარი ნ. ურბნელი მიუთითებდა, რომ საათაბაგოში სისხლის დაურევების მოვალეობა ეკუთვნოდა პირდაპირ დამნაშავეს თუ არა და მის სახლობას[1].

პროფ. ალ. ვაჩეიშვილი თავის ნაშრომში ეხება რა დამნაშავის ოჯახის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის, მიუთითებს, რომ ვახტანგის კანონები რამდენიმე მუხლში იხსენიებენ ისეთ შემთხვევას, რომლებიც ნათესაურ საწყისთან არიან დაკავშირებული, და ასახელებს რამდენიმე მუხლს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 39-ე მუხლში მოცემულია დამნაშავის გადასახდელი თანხის დაკისრება ოჯახისათვის, კერძოდ, დამნაშავე სისხლის ფასის გადაუხდელობის შემთხვევაში (ფულის არქონის გამო) ცოლ-შვილით უნდა გადაეცეს მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტად გამოდის როგორც დამნაშავე, ისე მისი ოჯახი, რადგან ოჯახიც მიეცემა ვალში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 75-ე მუხლის ძალით მკვლელი (გლეხი) თავის ცოლ-შვილით გადაეცემა დაზარალებულის —

[1] ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1892, გვ. 258-259.

უფროს კაცს. აქაც დანაშაულის სუბიექტად მთელი ოჯახი გამოდის ოჯახის უფროსთან ერთად.

ვახტანგის VI-ის სამართლის წიგნის 151-ე მუხლით გათვალისწინებულია ქურდის პასუხისმგებლობა დაზარალებულის სასარგებლოდ, რომ ქურდმა უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება, ასევე, „ნახევარ-ნახევარი სისხლი სხვა გარდაუხადოს". „თუ ვერ აუვიდეს, ქურდი თავისი ცოლ-შვილით, საქონლით და ნასყიდით მიეცეს დაზარალებულს". ამ მუხლში პასუხისმგებლობის სუბიექტად ქურდთან ერთად მისი ცოლ-შვილიც გამოდის.

XVIII საუკუნეში, კერძოდ, 1786 წელს ერეკლე II-ს მიუღია სპეციალური დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის გაძლიერებას გლეხის მკვლელობისათვის. ჩვენ ეს დოკუმენტი გვაინტერესებს იმ მხრივ, რომ აქ მოცემულია არა მარტო დანაშაულის სუბიექტის პასუხისმგებლობა, არამედ დამნაშავის ნათესავებისა და მთელი მისი სოფლის პასუხისმგებლობაც: „ძველად გლეხის მკვლელობისათვის დაწესებული იყო 12 თუმანი; ჩვენ, თავის მხრივ, დავადგინეთ 24 თუმანი, და ვინაიდანაც არც ამან იქონია გავლენა და მკვლელობები არ წყდება, ახლა ვაწესებთ 30 თუმანს თუშის, ან წუხის და ქართლელის მოკვლისათვის. თუ მკვლელი დაიმალა, პასუხს აგებენ მისი ნათესავები და მისი სოფელი"[1]. აქედან ჩანს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტად გამოდიან დამნაშავის ნათესავები და მთელი მისი სოფელიც.

დანაშაულის სუბიექტური მხარე ქართულ სამართალში

დანაშაულის სუბიექტური მხარე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია. ბრალის, ბრალეულობის განსაზღვრა აუცილებელია პასუხისმგებლობის დასაწესებლად. ბრალის პრობლემა იურისპრუდენციის კარდინალური პრობლემაა. იმის მიხედვით, თუ როგორ არის, რა დონეზეა დამუშავებული ბრალის პრობლემა ამა თუ იმ ხალხში, გაიზომება ამ ხალხის იურიდიული

[1] ციტირებულია ალ. ვაჩეიშვილის წიგნიდან: ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 59.

კულტურის დონე[1]. ბრალის პრობლემის მეტ-ნაკლები სიღრმით დამუშავება მაჩვენებელია ამა თუ იმ ხალხის კულტურული დონისა[2]. ადამიანთა საზოგადოებას, კაცობრიობას მრავალი საუკუნე დასჭირდა არაბრალეულობის ანუ ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან რომ გადასულიყო პასუხისმგებლობის სუბიექტურ პრინციპზე. სისხლის სამართლის ისტორია ორ დიდ პერიოდს მოიცავს ბრალის ცნების განვითარების თვალსაზრისით. პირველი ის პერიოდია, როდესაც საზოგადოებას არ აინტერესებდა მოქმედების შინაგანი განწყობილება, დამნაშავის სულიერი დამოკიდებულება, ფსიქიკური განწყობა თავისი მოქმედებისა თუ შედეგისადმი, საზოგადოებას აინტერესებდა მხოლოდ მოქმედების გარეგანი სახე, მოქმედების შედეგი, მიყენებული ნივთიერთი ზარალი და მისი ანაზღაურება. ამ პერიოდს ეწოდება ობიექტური შერაცხვის პერიოდი. ობიექტური შერაცხვის პრინციპებიდან გამომდინარე, უარყოფილია დამნაშავის ვინაობა თუ ქმედების შინაგანი ფსიქიკური შინაარსი. ამიტომაცაა, რომ ობიექტური შერაცხვის პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად ჰქონია ადგილი ცხოველთა თუ საგანთა გასამართლებას.

ობიექტური შერაცხვის პრინციპს ცვლის სუბიექტური შერაცხვის პრინციპი. პირველისაგან განსხვავებით, სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით, პასუხისმგებლობის საკითხი არ წყდება მარტო დამდგარი შედეგის მიხედვით, არამედ აუცილებელი ხდება დამნაშავის პიროვნების, მისი შინაგანი, სულიერი მდგომარეობის გარკვევა დანაშაულის ჩადენისას თუ სასჯელის გამოტანისას. სასჯელის შესაფარდებლად აუცილებელი ხდება გაირკვეს შეგნებული ჰქონდა თუ არა დამნაშავეს თავისი ქმედების მნიშვნელობა ან მოსალოდნელი თუ დამდგარი მავნე შედეგი.

აღსანიშნავია, რომ სუბიექტური შერაცხვის პრინციპის დამკვიდრებაც უცბად არ მომხდარა, მას დიდი დრო დასჭირდა. პირველად შემოღებულ იქნა განზრახვის ცნება, ე.ი. იმის გარკვევა, სურდა თუ არა ბოროტმოქმედს დამდგარი შედეგი და ითვალისწინებდა თუ არა მას. ამის შემდეგ მუშავდება დამნაშავე პირის სუბიექტური დამოკიდებულების სხვა ფორმებიც, გაუფრთხილებლობა თუ თვითმედოვნება.

---

[1] Фельдштейн Г. С. Учение о фюрмах виновности в уголовном праве, 1902, стр. 55.

[2] Франц Фон-Лист, Учебник уголовного права. общ. ч. 1903, стр. 169.

ბრალეულობის პრინციპი აისახა უძველესი პერიოდის მონათმფლობელური სამართლის ძეგლებში, ხოლო მოგვიანებით — ფეოდალური სამართლის ძეგლებში, განსაკუთრებით კი კანონიკური სამართლის ძეგლებში. კანონიკური სამართალი კი უხვად სარგებლობდა რომის სამართლიდან, სადაც ბრალეულობის პრინციპი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო სრულად დამუშავდა.

რაც შეეხება ქართულ სამართალს — ბრალეულობის პრინციპი თავდაპირველად აისახა საეკლესიო ლიტერატურაში, თუმცა საერო ხასიათის ძეგლებშიაც ვხვდებით ბრალეულობის პრინციპის გამოძახილსაც. მაგალითად, ჟამთააღმწერელი დიმიტრი თავდადებულის ღალატის გამოძიების შესახებ დასძენს: ,,ვერა ბრალი პოვეს“.

ქართულ სამართალში ბრალის პრობლემის გარკვევისას გვერდს ვერ ავუვლით ექვთიმე მთაწმინდელის ნაღვაწს. ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმნა მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების სჯულის კანონი, ასევე იოვანე მმარხველის ,,კანონნი შეცოდებულთანი“. კანონმდებლობის ეს ძეგლები მოქმედი სამართალი იყო საქართველოში. ექვთიმე მთაწმინდელმა თარგმანი კომენტარებით გაამდიდრა და, შეიძლება ითქვას, რომ გადმოაქართულა ეროვნული მოთხოვნების ყაიდაზე.

ძველი ქართული სამართალი იცნობდა ბრალის ორივე ფორმას — განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ეს დასტურდება ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნი თხზულებებით. მკვლელობის მაგალითის ანალიზზე ექვთიმე მთაწმინდელი აყალიბებს ბრალის ფორმებს: ,,ნებისით თვისით და განზრახვით ჩადენილი“ და ,,არა თვისით ნებითა ჩადენილი მოქმედება“ ანუ ,,უნებლიე“ მოქმედება. ამრიგად, ე. მთაწმინდელი განზრახვას უკავშირებს ნებას და აღნიშნავს, რომ განზრახი მოქმედება არის თავისი ნებით ჩადენილი მოქმედება. ბრალის მეორე ფორმას იგი უწოდებს ,,არა თავისი ნებით“ ჩადენილ მოქმედებას, ანუ უნებლიე მოქმედებას. ამრიგად, ძველმა ქართულმა სამართალმა იცის ბრალის ორი ფორმა: 1) განზრახვა, ანუ თავისი ნებით ჩადენილი ქმედება; 2) გაუფრთხილებლობა, ანუ არა თავისი ნებით ჩადენილი მოქმედება ანუ უნებლიე, ანუ განზრახვის გარეშე მოქმედება.

ექვთიმე მთაწმინდელი არ კმაყოფილდება ასეთი ზოგადი დაყოფით და ცდილობს გვიჩვენოს განზრახვისა და უნებლიე მოქმედების ცალკეული სახეები. მას მოჰყავს მკვლელობის კონკრეტული შემთხ-

ვევა, როცა მკვლელი არის ავაზაკი, ბრძოლით მიდის უდანაშაულო ადამიანზე, რათა გაძარცვოს იგი. ე. მთაწმინდელი ყურადღებას ამახვილებს ავაზაკზე ანუ ჩამოყალიბებულ დამნაშავეზე, რეციდივისტზე, რომელსაც ხელობად გაუხდია გაძარცვა და თავდასხმა: ავაზაკნი ანგარებით, საფასეთა მოხვეჭის მიზნით, ძალადობით („ბრძოლით“) მიდიან მსხვერპლზე, კლავენ მას. ასეთი მკვლელობა, ექვთიმეს აზრით, „**სავსებით**“, ე.ი. სრულიად ნათლად ჩანს, რომ ეს **განზრახი** მოქმედებაა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

მკვლელობის დანაშაულის დასახასიათებლად ექვთიმეს მოაქვს მეორე მაგალითი: „... უკეთუ ვინ წამალი ვის შეასუას სასიკუდინე, კაცის მკვლელი არს ნებსით და „ბოროტი“. მოწამვლით მკვლელობა, მისი აზრით, არის „**ნებსითი**“, მეორე მხრივ – „**ბოროტიც**“.

ექვთიმეს მოჰყავს მოწამვლის სხვა სახეც: ქალმა მამაკაცს სიყვარულის წამალი შეასვა, ქალის „გულის სიტყვა“ იყო, რომ მამაკაცში „სიყვარულის ტრფიალი“ აღეძრა, ამის ნაცვლად კი ამ წამლით მამაკაცი მოკვდა. ექვთიმე წერს, რომ ამ შემთხვევაში მკვლელს მკვლელობის **განზრახვა „გულის სიტყვა“** არ ჰქონია, პირიქით, სურდა რომ მამაკაცში სიყვარულის ტრფიალი აღეძრა, იმიტომ, რომ თვითონაც უყვარდა იგი. მაშ, რატომ არის აქ განზრახი მკვლელობა? ექვთიმეს განმარტებული აქვს, რომ წამლის მიმცემს, მართალია, მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია, მაგრამ საშუალება, რითაც იგი მოქმედებდა, არის „უჯერო“, „საეშმაკო“. ამიტომაც აღწერილი ქმედება „**ნებსითთა კაცის-კულათა თანა შეგვირაცხავს**“, ე.ი. ასეთი დანაშაული უახლოვდება განზრახ მკვლელობას.

ექვთიმე მთაწმინდელს აღწერილი აქვს კიდევ დანაშაულის ასეთი სახე: მუცლის მოსაშლელად ორსულ ქალს აძლევენ წამალს. ექვთიმეს აზრით, „**კაცის მკულელნი არიან მიმცემელნი იგი წამლისანი** და „მიმღებელნი მისნი“. ორივე დამნაშავეა იმიტომ, რომ ჩვილის მოკვლა სურდათო. გარდა ამისა, წამლის მიმცემს მრავალგზის გამოცდილებით უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ ქმედებას მოჰყვებოდა ჩვილის სიკვდილი და ზოგჯერ დედის სიკვდილიც. ექვთიმემ კარგად იცის, რომ წამლის მიმცემს დედის სიკვდილი არ სურდა, მას ბავშვის მოწყვეტის განზრახვა ამოძრავებდა, მიუხედავად ამისა, ექვთიმეს აზრით, ასეთი მოქმედება „კაცის კულისა კანონსა ქუეშე არიანო“, ე.ი. ასეთი ქმედება უახლოვდება განზრახ ჩადენილ მკვლელობას.

ნებსითა და განზრახვით ჩადენილ მკვლელობად მიიჩნევს ექვთიმე თუ კაცი კაცს პირდაპირ შეეტაკება და მოკლავს მახვილით, ცულით, შეშით თუ სხვა იარაღით. ასეთი შემთხვევები ექვთიმეს განმარტებული აქვს როგორც განზრახი მკვლელობები. ექვთიმე ცდილობს გვაჩვენოს, რამდენად აშკარადაა სახეზე ნების ხარისხი, რათა გადაწყვიტოს პასუხისმგებლობის საკითხი. თუ ნება, განზრახვა სახეზეა, დანაშაულებრივი ქმედები უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს. ექვთიმეს მოჰყავს დანაშაულის ასეთი სახეც: ჩხუბის ან შფოთის დროს მოჩხუბარი აღელდა, ჯოხი ან ხელი ისე ძლიერად, ან ისეთ ადგილზე დაარტყა, რომ მოწინააღმდეგე მოკვდა. დანაშაულის ჩამდენის „გულის სიტყვა" იყო, რომ „ატკინოს და მოსწყლას", მაგრამ აღელვების გამო ვეღარ მოზომა და მოწინააღმდეგე შემოაკვდა. აქ, ექვთიმეს აზრით, დამნაშავემ მაინც უნდა აგოს პასუხი მკვლელობისთვის, რადგან ადგილი ჰქონდა განზრახვის მსგავს მოქმედებასთან „ესე საქმე მახლობელი არს ნებსითსა კაცის კულასა". ექვთიმეს აზრით, განზრახვა იმიტომაა, რომ აქ კაცმა „ურიდად ჰცა", ე.ი. მოუზომავად დაარტყა, მას უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ ქმედებას სიკვდილი მოჰყვებოდა.

ექვთიმეს კიდევ მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ვინმემ ქვა ან ჯოხი ესროლა ვინმეს, იმისათვის, რომ „აჯნოს ოდენ", მაგრამ ამ ქმედებას მოჰყვა მკვლელობა. ასეთი შემთხვევაც, მისი აზრით, განზრახვასთან მიახლოებულია, დამნაშავე უნდა დასაჯოს როგორც განზრახი მკვლელი.

ამრიგად, ექვთიმე მთაწმინდელი ასახელებს სრულიად აშკარა, **გამოკვეთილ განზრახვას და განზრახვასთან მიახლოებულ** მოქმედებებს. დღევანდელი ბრალის ფორმების გამომხატველი ტერმინები ექვთიმეს არ უხმარია, მაგრამ პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

გარდა განზრახვისა, ექვთიმე მთაწმინდელი იცნობს საპირისპირო მოქმედებებსაც, რომელსაც უწოდებს „უნებლიეს, გარეშე გონებისა და განზრახვისა". დღევანდელი ტერმინოლოგიით, რომ ვთქვათ, გაუფრთხილებელ ბრალს ექვთიმე მთაწმინდელი უწოდებს **არაგანზრახ, გონების გარეშე, უნებლიე მოქმედებას**. ექვთიმეს მოჰყავს ამის მაგალითი: ადამიანს სურდა ხის ნაყოფი ჩამოეყარა, ან ძაღლი გაეგდო და ამისათვის ესროლა ქვა ან ჯოხი, რომელიც „იშობრივ მიემთხვია" კაცსა და მოკლა იგი. ამ შემთხვევაში ექვთიმე ხმარობს სიტყვას „სრულიად უნებელი" და „იშობრივი", ამიტომაც ქმედების ჩამდენი პასუხს არ აგებს ამისათვის.

ექვთიმეს მოჰყავს უნებლიე კაცის კელის სხვა შემთხვევა: მასწავლებელი ასწავლის მოწაფეს, ხელოსანი წვრთნის შეგირდს, ბატონი წვრთნის ყმას, მონას, მსახურს ჯოხით ან შოლტით, ან კვერთხით. მწვრთვნელს შემოაკვდა ბავშვი ანუ „განსაწურთნელი“, მისი განზრახვა არ იყო სიკვდილი, არამედ სწავლა, მაგრამ ამ განზრახვას მოჰყვა სიკვდილი. ექვთიმეს აზრით, ასეთი მოქმედება არის „უნებლი“. ექვთიმეს „უნებლიე“ – **გაუფრთხილებლობას** ნიშნავს. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ექვთიმეს მაგალითშიაც უნებლიე მოქმედებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ექვთიმე მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს: პირველ მაგალითში საუბარი იყო **სავსებით უნებლიე მოქმედებაზე**, რომელსაც ფათერაკიც ვუწოდეთ, ხოლო მეორე მაგალითში „ფათერაკი“ ნახსენები არ არის, ამიტომაც პირველი შეიძლება ჩავთვალოთ შემთხვევად ანუ **casus**, ხოლო მეორე **გაუფთხილებლობად**.

ამრიგად, ექვთიმე მთაწმინდელის მოძღვრების მიხედვით ადრეფეოდალურ საქართველოში ბრალის შემდეგი ფორმებია ცნობილი:

1. ნებისმიერი ანუ განზრახი ბრალი.
2. უნებლიე – უნებური.

ნებისმიერი, თავის მხრივ, იყოფოდა:

ა) სავსებით გამოკვეთილი განზრახვა.

ბ) განზრახვასთან მიახლოებული მოქმედება.

უნებლიე ბრალი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სხვადასხვა სახედ: ა) **უნებური მოქმედება, რომელიც პასუხისმგებლობას არ იწვევს**; ბ) **უნებური მოქმედება, რომელიც გაუფრთხილებლობას შეესაბამება და მისთვის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული.**

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ბრალის პრობლემის შესახებ შეეხებოდა ძველ ქართულ სამართალს. რაც შეეხება ბრალის პრობლემას, შემდგომი პერიოდისა და გვიანფეოდალურ საქართველოში, იგი უნდა გაირკვეს ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით. ამის გაკეთება შესაძლებელია და ობიექტურ სურათსაც მივიღებთ იმიტომ, რომ ვახტანგ VI-ის კოდიკოში შეტანილია XIV, XV, XVI, XVIII საუკუნეების კანონები.

მანამდე, სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ საკანონმდებლო ძეგლების ანალიზზე, ბრალის პრობლემის გასარკვევად, უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლთა შემოსევის დროიდან ფერხდება საქართველოს

კულტურული განვითარება და მათ შორის სამართლებრივი კულტურის წინსვლაც. ამის შესახებ მწუხარებით აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი: „ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონიდან“ ჩანს, რომ უკვე XI საუკუნის დამდეგისათვის ქართული სამართლის ზოგადი მოძღვრება ნებსითსა და უნებლიე მკვლელობას ერთმანეთისაგან მკვეთრად არჩევდა, ხოლო შემთხვევით მომხდარს, დანაშაულებადაც კი არ თვლიდა. XIV საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის შედგენილ „ძეგლის დადებაში“ კი მკვლელობა დანაშაულებრივ მოქმედებად არის უკვე მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, თუნდაც ასეთი საქმე ვისმე „უბრალოდ დაემართოს“, ე.ი. უნებლიეთ ჰქონდა ჩადენილი და მაშინაც კი, როცა მკვლელობა უცაბედად მოხდებოდა. ამგვარად, იქ ფათერაკისთვისაც კი სასჯელია დაწესებული. ამავე თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ ბექა მანდატურთუხუცესის დროს შედგენილ საკანონმდებლო ძეგლშიც მოკლული დიდებული ოჯახის წევრთა მხრივ დადებული მკვლელის წინააღმდეგ თვითნებური მტრობა და მისი ქონების გადაწვაც კი მართებულ და არადანაშაულებრივ მოქმედებად ითვლება, ვიდრე ქვეყნის უზენაესი გამგისაგან გამოგზავნილი სათანადო მხელე და მაწყუერელისაგან წარმოვლენილი ხატი ჯერ ამ მკვლელობის საქმეში ჩარეული არ იყო, „მანამდის დაწუა და თუ რასაცა ემატროს“ მოკლულის ნათესაობა მკვლელის „იგი სისხლსა შიგან (ე.ი. დანაშაულებისათვის დაწესებულ სასჯელში) არა მიეფასოს“. ამრიგად, სამართალი ადამიანის ვნებათაღელვით გამოწვეული ძალადობისა და შურისძიების მთლიანად აღკვეთას უკვე მიზნად ველარ ისახავდა, არამედ მისი მხოლოდ შეძლებისამებრ შეზღუდვა და ალაგმვაღა სწადდა“[1]. ივ. ჯავახიშვილი იქვე აღნიშნავს, რომ ჟამთააღმწერელს მოსწონდა მონღოლთა ისეთი ველური ჩვეულება, როგორიც იყო დანაშაულზე წასწრებულის გამოუძიებლად და გაუსამართლებლად მოკვლა[2]. ერთი სიტყვით, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ერთ დროს მაღალი იურიდიული კულტურის მქონე ქვეყანა დაქვეითებას

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, III, 1914, გვ. 164.
[2] იქვე.

განიცდის, სუბიექტური შერაცხვის აღრინდელი პრინციპი ირღვევა და ამის მიზეზად მონღოლთა მიერ ქვეყნის დაპყრობას მიიჩნევს.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდადება", მართალია, არ უარყოფს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, მაგრამ ძალზე შეზღუდულად იხსენიებს მას. ამ კანონის მხოლოდ ორი მუხლი ეხება სუბიექტური ბრალეულობის საკითხს. კერძოდ, „ძეგლისდების" მე-3 მუხლში მითითებულია „და თუ ერთს კაცს ეფათერაკოს გამგებელი, კაცი გაიპატიჟოს და მამულისგან გაიძიოს, და შეუნდობლად მამული სასეფოდ დადვას"[1]. ამ მუხლიდან ჩანს, რომ თუ კაცმა ფათერაკით, ანუ გაუფრთხილებელი მოქმედებით მოჰკლა გამგებელი, იგი უნდა დაისაჯოს, გაძევებულ უნდა იქნეს, ხოლო მისი მამული სასეფოდ ან სამეფოდ უნდა გადაეცეს. ამავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ გადახვეწა და მამულის ჩამორთმევა არ კმარა, საჭირო იყო ასევე სისხლის ფასის გადახდაც. და თუ მეფათერაკეს არ შეეძლო სისხლის ფასის გადახდა, მაშინ მისი მამული გამგებლის ოჯახს გადაეცემოდა, თუ არადა თვით მეფე გადაიხდიდა სისხლის ფასს და მამული სამეფოდ დაიდებოდა. აქ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ გაუფრთხილებლობით ანუ ფათერაკად ჩადენილი მკვლელობა ისჯება.

ამავე კანონის მე-12 მუხლში საუბარია ხევისბერის მიერ ერისკაცის მკვლელობაზე მამულის დასაკუთრების მიზნით: „თუ ხევისბერმა მოკლას ჰეროვანი მამულის ნდომისათვის, ერთს წელიწადს მამულისგან განიძოს". აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მკვლელობა ანგარებით „მამულის ნდომისათვის" ხდება, დაისჯება „ერთს წელიწადს მამულისაგან განიძოს", ე.ი. განზრახი ბრალისათვის წესდება მამულიდან გაძევება. ამავე მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია ფათერაკით მკვლელობაზე „და თუ ეფათერაკოს, დაიურვოს ისრე, ვით ზემოთ გაგვიჩენია", ზემოთ კი ნათქვამი იყო, რომ ფათერაკით მკვლელობისათვის მკვლელს უნდა დაეკისროს სისხლის ფასი, გაძევებულ უნდა იქნეს და მამული სასეფოდ დაიდვას. აქაც ბრალეული პასუხისმგებლობაა მოცემული.

რაც შეეხება ქართული სამართლის მეორე ძეგლს, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს, აქ ბრალეულობის პრინციპია აღიარებული. ამის-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 404, მუხლი მე-3.

ათვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ 38-ე, 97-ე და სხვა მუხლებს.

ბრალეული პასუხისმგებლობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნს. ეს ძეგლი სხვადასხვა სახის დანაშაულებს ყოფს ორ ჯგუფად: 1) **განზრახი დანაშაულები**, 2) **განზრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაულები**. კანონმდებელი განზრახვის გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა ტერმინს: „ნდომით" და „უნდომოთ", განზრახ და „უცნობლად". ზოგჯერ განზრახვის გამოსახატავად გამოყენებულია ტერმინი „იმედეულად". კანონი განასხვავებს განზრახვას და ფათერაკს. სამწუხაროდ, ვახტანგ VI-ის სამართალი არ იძლევა არც განზრახვისა და არც გაუფრთხილებლობის ზოგად ცნებებს. მათ შინაარსს კანონმდებელი კაზუსების მეშვეობით არკვევს.

განზრახვის შესახებ მიგვანიშნებს ამ ძეგლის 24-ე მუხლის ბოლო მეექვსი პუნქტი: „აგრე კიდევ დარბაისელთა პატივი დაედების გასინჯვით, თუ როგორი საქმე არის: ნდომით მომხდარა ის საქმე, თუ უნდომლად, კარგად გამონახვა უნდა" (ხაზი ჩვენია, — ვ.მ.).

სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებზე, კერძოდ, თუ ომში თავისი არმიის წევრი შემოაკედა განზრახვის გარეშე, ბრალდებულმა ან თავი უნდა იმართლოს, დაუმტკიცოს რომ ის მართალია, თუ ვერ დაუმტკიცა — საზღაური უნდა გადაიხადოს. აქ ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია „განზრახვით მოპკალიო", აქვეა მეორე ტერმინი „უცნობლად" ანუ არა განზრახვით მკვლელობა.

ვახტანგის სამართლის წიგნი ერომანეთისაგან ასხვავებს განზრახვასა და ფათერაკს. ქართული სამართლის მეცნიერებაში ფათერაკად გულისხმობენ შემთხვევას, რისთვისაც პასუხისმგებლობა არ ინიშნება. მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნში ფათერაკს ასეთი ზუსტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ხშირად ფათერაკად უფრო ფართო შინაარსის ქმედებაა მოცემული, რომელიც უპირისპირდება განზრახვას და გაუფრთხილებლობის ყველა სახეს აერთიანებს. ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლიდან: „თუ ფათერაკად კაცს კაცი შემოაკუდეს ან შემოეჭრას, ან დაშავდეს, რისაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ იარაღით, ასე რომ, ან ცხენმა თავი წაართვას და შეეძგეროს, ან გავარდნაში შეიძგერონენ, ან ნადირს

თუ თოფი ან ისარი შესტყორცნოს და კაცს მოხუდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაკი სხვა არის, ამისი ასრე არის. ...თუ ნადირს შესტყორცოს და კაცს მოხუდეს ან ფრინველს შესტყორცოს, და კაცს მოხუდეს და ყაბახს ესროლოს და ისარი კაცს დაეცეს. ამგვარს ყველას ფათერაკი ჰქვიან... ამაებს მთლად არა, საფათერაკო სისხლი უნდა მიეცეს". აქედან ნათლად ჩანს, რომ ფათერაკი ზოგჯერ გაუფრთხილებლობას გულისხმობს და ზოგჯერ კაზუსის შინაარსს გამოხატავს. ვახტანგის სამართლის წიგნში ფათერაკით ჩადენილ დანაშაულს რამდენიმე მუხლი ეძღვნება, კერძოდ: 183-ე, 187-ე, 188-ე, 192-ე, 193-ე, 194-ე, 252-ე მუხლები.

183-ე მუხლში საუბარია ნადირის გამომრეკის მიერ (მესახუნდრე) გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობაზე: „... სახუნდარში ერთმანეთს ნასროლი თოფი მესახუნდრეს მოხვდეს, თუ ფათერაკად (ხაზი ჩვენია, — ვ.მ.) მოხვდა, ის სხვა არის და თუ ამას იტყვის მკვდრის პატრონი ქიშპი იყო და ამიტომ იყოო, მაგისი მოსამართლემ გასინჯოს...".

187-ე მუხლის ძალით: „ათს წლამდის ყმაწვილის საქმარის რასაც ფერის საქმისა, ავის კაცის ნაქნარს ავს საქმესთან არ ჩაიგდების. თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმაწვილობით და უჭკუობით უქნია, **საფათერაკოსავით არის** (ხაზგასმა ჩვენია, — ვ.მ.). მისმა მშობელმან, მისი ყმაწვილობისაგან მკუდარს სამარხი მისცეს და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს სხვას ვერას შეუა". ამ მუხლში მცირეწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედება გათანაბრებულია გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან და არა კაზუსთან, რადგანაც ეს მუხლი აწესებს ქონებრივ საზღაურს და პასუხისმგებლობისაგან მთლიანად არ ათავისუფლებს მცირეწლოვნის მშობლებს.

188-ე მუხლში საუბარია პირუტყვის მიერ სხვისი ნათესებისა თუ ყანის გაფუჭებისათვის ამ პირუტყვის პატრონის ქონებრივ პასუხისმგებლობაზე. კანონმდებლის აზრით, თუ მოპასუხე ვერ დაამტკიცებს, რომ მისმა პირუტყვმა მოპასუხის სურვილით გააფუჭა ყანა, წანახედისთვის პასუხი უნდა აგოს „საფათერაკოს" წესით, ე.ი. როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება: „იქნების, რომ პატრონი გვერდით არ უდგას და მემამულე რჩომის პატრონს ედავებოდეს, განზრახ შემოლალეო და ქიშპობით წამიხდინეო და გვერდით აღარ მოუდეგო.

მაშინ ჯერი უყოს, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს, და საფათერაკოს (ხაზგასმა ჩვენია, — ვ.მ.) წესი და წანახედის პასუხი მისცეს, იმიტომ რომე, იმთონი რჩომა უკაცოდ რატომ გაუშვა". ამ მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ მოპასუხე პასუხს აგებს, თუ ვერ დაამტკიცა, რომ მისმა პირუტყვმა ყანა გააფუჭა მოსარჩელეს მოპასუხის განზრახვით, განზრახვა კი გამოხატა მოპასუხის სურვილში, რომ გაეფუჭებინა ყანა, ასევე პირუტყვის მიუხედაობაში.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ შეიძლება გავიმეოროთ, რომ ვახტანგ VI-ის კანონმდებლობა ფათერაკს ზოგჯერ უწოდებს შემთხვევას, უმეტეს შემთხვევაში კი არაგანზრახ დანაშაულს, უნებლიეთ ჩადენილ დანაშაულს, ანუ გაუფრთხილებლობას.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნმა ფეოდალიზმის პერიოდის საკანონმდებლო ძეგლთა შორის იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ იგი იცნობს გაუფრთხილებლობის ცნებას, რომ ადამიანს ევალებოდა თავისი მოქმედების მავნე შედეგის გათვალისწინება და თავიდან აცილება, მაგრამ დაივიწყა ეს მოვალეობა. ვახტანგის სამართლის წიგნში გაუფრთხილებლობის ცნებებია ასახული: 195-ე, 196-ე, 210-ე, 211-ე, 230-ე მუხლებში.

195-ე მუხლში აღნიშნულია: „კაცმან თუ ორმოს პირი ახდილი გაუშვას და ამაში ან კაცი, ან პირუტყვი ჩავარდეს წმინდა თუ უწმინდური, ის უნდა ნახონ, თავის ნატამალშია, თუ სასოფლოს ადგილს ან ის ჩავარდნილი კაცი, თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ან მთურალი, მოსამართლემ გამოიკითხოს, თუ თავის ნატამალში ყოფილა ნახევარ სისხლს შეუვა კაცისას, თუ პირუტყვისას, თუ სასოფლო ადგილს ყოფილა, მთელი ეთხოვების, ამიტომ, რომ იცოდა გზა იყო, რად არ დაბურა". ამ მუხლიდან ჩანს, რომ პიროვნება ისჯება იმის გამო, რომ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეს შედეგი, მაგრამ არ გაითვალისწინა იგი, ე.ი. პასუხისმგებლობა დადგა დაუდევრობისათვის, პიროვნებამ თავისი მოვალეობა არ შეასრულა, თუმცა შეეძლო კი მისი შესრულება.

იმავე შინაარსისაა 196-ე მუხლი. აქ აღნიშნულია, რომ თუ ვინმეს ჰყავს მრჩოლელი პირუტყვი და მეზობლები აფრთხილებენ მის პატრონს, რომ ამ პირუტყვმა შეიძლება დააზიანოს ვინმე, ხოლო პირუტყვის პატრონი არ იღებს სათანადო ზომებს, რის შედეგადაც პირუტყვმა დააზიანა ან მოკლა ვინმე, პირუტყვის პატრონი პასუხს

აგებს დაუდევრობისათვის, მას უნდა გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგი, მაგრამ არაფერი გააკეთა ამისათვის, რის გამოც პასუხს აგებს თავისი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. აქაც გაუფრთხილებლობას აქვს ადგილი. გარდა ჩვენ მიერ განხილული მუხლებისა, კიდევ არის რამდენიმე მუხლი, რომლებშიაც მდიდარი მასალა მოიპოვება სუბიექტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით პასუხისმგებლობის პრინციპის არსებობის დასასაბუთებლად ვახტანგის სამართლის წიგნში, მაგრამ, ვფიქრობთ, მათ გარეშეც შეიძლება დასკვნების გაკეთება.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვხვდებით ნორმებს, რომლებშიც დანაშაულის მოტივზეცაა საუბარი. ასეთია მუხლი 65-ე.

65-ე მუხლში აღნიშნულია: „თუ ცოლმან ქმარი მოკლას ან წამლით, ან სხვა რითამე, გასინჯეთ რისთვის მოუკლავს, თუ ასეთი რამ უქნია, რომ ემართლებოდეს თქვენ იცით და თუ უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით...“.

დასასრულ, დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზისას, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ პროფ. ა. ვაჩეიშვილის დასკვნა, რომელმაც ღრმად შეისწავლა ეს პრობლემა: „... სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენის დროს სასამართლოს უნდა გამოერკვია არა მარტო დანაშაულის მოქმედებით მიყენებული ზიანი, არამედ აგრეთვე ის სუბიექტური განწყობილება, რომელიც ჩადენილ მოქმედებაში გამოაშკარავდა. ქართული სამართალი იცნობდა განზრახვასა და გაუფრთხილებლობას — ბრალეულობის ორ ძირითად ფორმას — და სხვადასხვა იურიდიულ შედეგებს უკავშირებდა მათ. ეს ფაქტი უეჭველად მოწმობს, რომ ამ მთავარ საკითხის დარგში ჩვენი ეროვნული სამართალი კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა. თუ ეს განვითარებული საწყისი მთლიანად, ყველა შემთხვევაში არ იყო გატარებული, თუ ჯერ კიდევ მაინც არსებობდა ზოგიერთი ნაშთი ძველი ადათებისა და ინსტიტუტებისა და, მაშასადამე, საწინააღმდეგო საწყისი მთლიანად დაძლეული არ იყო, ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმდროინდელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებაში. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სუბიექტური ბრალეულობის სრული სახით მიღება და მისი თანმიმდევრულად გატარება, ვერ შეძლო ფეოდალური პერიოდის ვერც ერთმა

კანონმდებლობამ. თვით შემდგომი ისტორიული პერიოდის კოდექსებშიც კი მოიპოვება ისეთი ნორმები, რომლებიც მათი შინაარსით ძველ ობიექტურ შეხედულებას მოგვაგონებენ...“[1].

სასჯელის მიზნები და სახეები ქართულ სამართალში

აღნიშნული საკითხის გასარკვევად ჩვენ ორ ეტაპს უნდა შევეხოთ: ა) როგორია სასჯელი უძველესი პერიოდიდან მონღოლთა შემოსევამდე, ბ) როგორია ეს ინსტიტუტი შემდგომ პერიოდში. პირველი პერიოდის გასარკვევად დიდად გვეხმარება ივ. ჯავახიშვილის შრომები, ხოლო მეორე პერიოდის შესახებ ვსარგებლობთ რამდენიმე ქართველი ავტორის, მათ შორის ალ. ვაჩეიშვილის გამოკვლევებით[2].

X საუკუნემდე საერო ხასიათის საკანონმდებლო ძეგლები ჩვენამდე შემორჩენილი არ არის, ამიტომ აუცილებელი ხდება სხვა სახის ძეგლების მოშველიება და ამ გზით სასჯელის მიზნებისა და დანიშნულების გარკვევა.

ჩვენ არაერთგზის აღვნიშნეთ ექვთიმე მთაწმინდელის ღვაწლი ქართულ სამართალში. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ექვთიმე მთაწმინდელს „სამართლის სფეროში ზოგადი თეორიული მსჯელობის ნიჭი მცირე სჯულის კანონისა და შეცოდებულთა კანონების თარგმნა-გამოცემაში აღბეჭდილა“[3]. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გადმოქართულებული იოვანე მმარხველის ნომოკანონში „კანონნი შეცოდებულთანი“ მოცემულია ცნობები სასჯელის სახეებზე, მათ წარმოშობა-განვითარების შესახებ, ხოლო შემდგომ შეპირისპირებულია ქრისტიანული ეკლესიის მსოფლმხედველობასთან და სასჯელის წარმოშობა თუ არსი ახსნილია როგორც ღმერთის ნება. კერძოდ, აქ

---

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 202.

[2] იქვე.

[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 197.

ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით, **ღმერთს სურს არა ადამიანის ტანჯვა და სიკვდილი, არამედ მისი გამოსწორება.** ამიტომაც იყო, რომ ღმერთის ნებისა და მისი მცნებების დამრღვევ ადამიანებს ღმერთმა ჯერ სამოთხიდან განდევნა მიუსაჯა, რათა გამოსწორებულიყვნენ და ისე დაბრუნებულიყვნენ სამოთხეში, მაგრამ ადამიანმა დაკარგა ღმერთის შიში და ღმერთი იძულებული იყო მოეელინა წარღვნა, ცეცხლით დაეწვა რამდენიმე ქალაქი. ღმერთმა ნახა, რომ არც ამ ღონიძიებებმა გასჭრა, არ იქნა ცოდვის ჩამდენთა გამოსწორება — მისცა კაცობრიობას ძველის სჯული ანუ მოსეს რჯული, რითაც დააწესა ხორციელი სასჯელი იმ პირთა მიმართ, ვისაც დანაშაულებისაკენ, ცოდვისკენ ჰქონდა მიდრეკილება ანუ „წარმდებობაჲ“. ამით ფიქრობდა ღმერთი ადამიანთა მოქცევას სიბოროტიდან სიკეთისაკენ. პროფ. ალ. ვაჩეიშვილის მითითებით, ზემოთ აღნიშნული დებულებები „საუკეთესოდ გამოხატავენ რელიგიურ კონცეფციას სისხლის სამართლის სფეროში: დანაშაული განხილულია როგორც ღვთაებრივი ნებისყოფის, მის მიერ გადმოცემულ მცნებათა გადალახვა, ხოლო სასჯელი როგორც ღვთაებრივი განგებით დადგენილი „ხორციელი ტკივილი“; სასჯელის მიზნად მიჩნეულია დამნაშავის დაშინება და გამოსწორება[1].

ივ. ჯავახიშვილმა ამომწურავად გამოიკვლია სასჯელთა მიზნების შესახებ მოძღვრება თუ მოსაზრებანი ძველ ქართულ მწერლობასა და საეკლესიო სამართალში. ივანე ჯავახიშვილი ასახელებს ოთხ მიზანს სასჯელის დანიშნულებისას:

1) დამნაშავის დასჯის დროს **სასჯელის მიზანი იყო მისი ზნეობრივი გამოსწორება.** სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა ექვთიმე მთაწმინდელი. იგი სასჯელის დანიშნულებად თვლიდა „წვრთნას“. ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრების აღმწერი გიორგი მთაწმინდელი მიუთითებს, რომ მამა ექვთიმე დასჯილ ბერებთან მივიდოდა ხოლმე და ნუგეშს სცემდა, სიტყვითა და საქმით ეხმარებოდა მათ, ექვთიმეს წესად ჰქონია, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ „წრთუის

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. I, 1946, გვ. 83.

შემდგომ“, თუ მას წინანდელი დანაშაულის მსგავსი აღარაფერი ეშჩნეოდა, ნუგეშს სცემდა და ასაჩუქრებდა ყოფილ დამნაშავეს ან ჩოხით, ან საბეჭურით, ან სხვა რაიმეთი, რათა მას გულში მტრობა არ დარჩენოდა.

საეკლესიო სამართლის ეს მოძღვრება და სასჯელის დანიშნულების ეს პოლიტიკა ქართულ საერო სამართალსაც ჰქონდა შეთვისებული. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს დავით აღმაშენებლის მიდგომა ლიპარიტ ამირასადმი. ისტორიკოსის მითითებით, ღალატის განზრახვისათვის მეფემ მოინდომა ლიპარიტის გამოსწორება ანუ „გაწურთუა“, რისთვისაც რამდენიმე ხნით დააპატიმრა კიდეც და ფიქრობდა, რომ ეს დრო საკმარისი იყო მის გამოსასწორებლად, რის შემდეგაც მეფეს ლიპარიტისათვის მისი წინანდელი თანამდებობაც კი მიუცია, რითაც ამტკიცებდა განდგომილისა და მოღალატისადმი კეთილ განწყობილებასა და ჩადენილი დანაშაულის დავიწყებას. ივ. ჯავახიშვილი სასჯელის ამ პრინციპის ანუ „გაწურთნის“ შესახებ ასეთ დასკვნას აკეთებს: „ამგვარად ცხადი ხდება, რომ სასჯელთა სისტემის ქვაკუთხედად დამნაშავეთა წურთნისა და მოქცევა-გამოსწორების მიზანი ყოფილა დასახული“ (ხაზი ჩვენია, — ვ.მ.).

2) სასჯელის მეორე მიზანს როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება. ამ სახის სასჯელები გამოიყენებოდა იმ ბოროტმოქმედთა მიმართ, რომელთა გამოსწორება არ ხერხდებოდა წურთნით ანუ ჰუმანური აღზრდის მეთოდებით. ქართული საეკლესიო და საერო მწერლობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ასეთი სასჯელების გამოყენება შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში, როცა არ ხერხდება სხვა მეთოდებით დამნაშავის აღზრდა, მათივე სიტყვით, თვით ღვთაებაც იძულებული ყოფილა ასეთ პირთა მიმართ ხორციელი და სატანჯველი დაეწესებინა. ძველი ქართული საეკლესიო სამართლიდან ირკვევა, რომ იყენებდნენ დამნაშავე ბერების მიმართ „ღვედითა მიმთხვევას“. საერო სამართლისათვის დამახასიათებელი იყო ტაჯგანაგით ცემა და სხვ. ამ სახის სასჯელს დაშინების მნიშვნელობაც ჰქონდა.

3) თუ დამნაშავეს დანაშაულისადმი მიდრეკილება (წარმდებობა) ჰქონდა ან დანაშაულისადმი მიდრეკილება „გვარისაგან-

ცა მოაქვნდათ“, ასეთი პირებისადმი დამნაშავის „წურთნა“ და გამოსწორების ხორციელი თუ სატანჯველი სასჯელები ეფექტს არ იძლეოდა — მათ მიმართ გამოიყენებოდა ექსორია და გაძევება (ამ უკანასკნელს გამოიყენებდა საკორპორაციო სამართალი, ხოლო პირველს — საერთო სამართალი). ამ სასჯელის მიზანი იყო **საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა**[1]. დავით აღმაშენებელმა ლიპარიტ ამირა ერთხელ შეიპყრო, შემდგომ შეინდო და ძველ უფლებებში აღადგინა, მეორეჯერ იმავე დანაშაულისათვის „ორ წელს პყრობილ იყო და საბერძნეთს გაგზავნა“ **ექსორიად**. რაც შეეხება გაძევებას — ამ სასჯელს სახელმწიფოსა თუ დაწესებულებათა მშვიდობიანობაზე ზრუნვა და მავნე ელემენტებისაგან გათავისუფლება შეადგენდა. გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ექვთიმე მთაწმინდელმა ტყუილი ამბის მიტანისათვის „მრავალნი ძმანი მონასტრისგან გაასხნა, რათა კრებული მშვიდობით იყოს“. ამრიგად, გაძევება ამა თუ იმ დაწესებულიდან პირის მოშორებას ნიშნავდა, ექსორია კი — ქვეყნიდან მოკვეთას, გადასახლებას სხვა ადგილზე. ასეთ სასჯელს მიზნად ჰქონდა **საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამყარება, დამნაშავე პირთაგან საზოგადოების გაწმენდა**.

4) სასჯელის მიზნების, დანიშნულების შესახებ შეხედულებით გლობალურად მსჯელობს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი ეფრემ მცირე. მისი აზრით, თუ ადრეულ ეტაპზე სასჯელის მიზანი და დანიშნულება სამაგიეროს მიზღვა იყო, განვითარებულ სახელმწიფოში მისი მიზანი და დანიშნულება უნდა იყოს **კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვა**.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილის მითითებით, „აღნიშნული პერიოდის იურიდიულ მწერლობასა და მოქმედ სამართალშიაც ცნობილი იყო ის თეორიები, რომელთაც თანამედროვე მეცნიერება პრევენციის თეორიებს უწოდებს. პრევენციის თეორიები ხასიათდება იმით, რომ **სასჯელის მიზანს ისინი ხედავენ დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებაში**... მოძღვრებები პრევენციის შესახებ უკვე ძველი დროის მწერლობაში გვხვდება...“[2]. იგი მიუთითებს, რომ პრევენციის და-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 380.

[2] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 83.

მუშავებულ ცნებას ვხვდებით პლატონის თხზულებებში, არისტოტელეს შრომებში, რომაულ მწერლობაში და აქედან აზრი სასჯელის პრევენციულობის შესახებ შევიდა საეკლესიო მწერლობაში და ეკლესიამ მისცა მას თეოლოგიური დასაბუთება. პრევენციის დანიშნულების აზრი აითვისა რომის სამართალმაც და გამოიკვეთა როგორც ზოგადი, ისე კერძო პრევენციის დანიშნულება.

პროფ. ალ. ვაჩეიშვილი დიდ ყურადღებას უთმობს საკითხს – ჰქონდა თუ არა ქართულ სამართალში სასჯელს **სამაგიეროს მიზღვის დანიშნულება** და ამ საკითხზე დადებითად უპასუხებს, რომ ქართული „მისაგებელი“ (მაგ., რაჭის ერისთავის „მიეგო მისაგებელი ბოროტი“) სამაგიეროს მიზღვაა.

სასჯელის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გ. ნადარეიშვილს[1]. იგი მსჯელობს **კერძო და საჯარო სასჯელების** შესახებ. გ. ნადარეიშვილის მითითებით გამოთქმა **„კერძო სასჯელი“** გულისხმობს, რომ დამნაშავემ უნდა დააკმაყოფილოს კერძო ინტერესების ხელყოფისათვის დაზარალებული მხარე, ე.ი. კერძო სასჯელის ძირითადი მიზანი და დანიშნულებაა კერძო ინტერესების დაკმაყოფილება. გარდა კერძო სასჯელებისა, ქართული სამართალი იცნობს საჯარო სასჯელებსაც ანუ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ იძულებით ღონისძიებებს დანაშაულის ჩადენისათვის. ამასთან, გამოთქმა „კერძო სასჯელი“ პირობითია, არ არსებობს აბსოლუტურად წმინდა სახის კერძო სასჯელები, რადგანაც მძიმე სამართალდარღვევების დროს დამნაშავე სისხლის ფასსაც ანაზღაურებდა და საჯარო ანუ სახელმწიფო სასჯელსაც იხდიდა, ვინაიდან სასჯელი სახელმწიფოს ნებართვით და დასტურით ხორციელდებოდა.

გ. ნადარეიშვილი ეხება სასჯელის აღმნიშვნელ ტერმინებსაც. მისი მითითებით, **„სისხლის ცნება“** არ ამოწურავდა სასჯელის ცნებას. „სისხლი“ ქართულ სამართალში ნიშნავდა „სისხლის ფასს“ და ქონებრივ საზღაურს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს კანონით განსაზღვრული სასჯელის გარდა დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეები-

[1] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, იხ. ალმანახი, № 14, 2000, გვ. 100-128.

სათვის უნდა გადაეხადა. გ. ნადარეიშვილის მტკიცებით, „სისხლი" ქონებრივი სასჯელია, ქონებრივი გადასახდელია, ამისათვის მოიშველიებს ივ. ჯავახიშვილის ციტატას: „ქონებრივი საზღაურის სახითაც „სისხლი" მკვლელობისა და დაჭრისათვის სასჯელს კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. თვით დანაშაულისათვის დამნაშაეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც აუცილებლივ უნდა მოეხადნა"[1] (ხაზი ჩვენია, — ვ.მ.).

გ. ნადარეიშვილის მითითებით, ადრეფეოდალური ხანის ბარის საქართველოში და შემდეგ განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში „სისხლი" კანონით დაწესებული ან აღიარებული ქონებრივი სასჯელია, ხოლო საჯარო სახის სასჯელს მაშინ „პატიჟი" ეწოდებოდა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე დანაშაული განიხილებოდა როგორც კერძო პირის უფლების დარღვევა და ამ დარღვევისათვის დაწესებული იყო ქონებრივი საზღაური. შემდგომში კი დანაშაულად განიხილებოდა ქმედება, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის, წესრიგის წინააღმდეგ და მის ჩამდენს სასჯელს სახელმწიფო აკისრებდა. მრავალი საუკუნის განმავლობაში „სისხლი" და „პატიჟი" ერთდროულად არსებობდა, საბოლოოდ კი საჯარო სასჯელის გამოყენება-შეფარდება სახელმწიფომ აიღო ხელში.

ქართული სამართლის ძეგლებში საჯარო სასჯელები რელიეფურად არ ჩანს. სწორედ ამან აფიქრებინა უცხოელ მკვლევრებს — ჟოზეფ კარსტსა და ფ. ჰოლდაკს, რომ ქართული სამართალი თითქოს არ იცნობდა ან ნაკლებად იცნობდა საჯარო სასჯელებს. ამის შესახებ გ. ნადარეიშვილი მიუთითებს: „ქართული სამართლის წიგნებსა და მათ ფრაგმენტებში, როგორც ჩანს, „სისხლის" გვერდით თავისთავად იგულისხმებოდა „პატიჟის" შეფარდების შესაძლებლობაც, მეფის ან სათანადო ორგანოების განკარგულებით"[2]. კერძო და საჯარო სასჯელის ერთდროულად არსებობის (შეფარდების) შესახებ საინტერესოა ე.წ. „შუიდეულის" ისტორია ანუ ნაქურდალის შვიდმაგად ზღვევინების

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 358.

[2] გ. ნადარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 105.

წესი, რომლის მიხედვითაც, ქურდს უნდა დაებრუნებინა ნაქურდალი, გარდა ამისა, ხელისუფლებისათვის უნდა გადაეხადა ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება. შვიდმაგი ღირებულება საჯარო სასჯელია, ხოლო თვით ნაქურდლის დაბრუნება — კერძო. ქართულ სამართალში დანაშაულისათვის კერძო სასჯელის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ასევე „ზღვევა“. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 151-ე მუხლის მიხედვით ქურდმა ნაქურდალი შვიდეულად უნდა ზღოს ნივთის პატრონის სასარგებლოდ, ზოგჯერ კი (მაგალითად, ღამით, ცოლსა და ქმარს ერთად მწოლარეს თუ ქურდი შეეპარა და მოპარა ქალს სამკაული ან ტანსაცმელი) ქურდმა უნდა ზღოს ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება და ნახევარ-ნახევარი სისხლი კიდევ დამატებით. აქ — ნახევარ-ნახევარი საჯარო სასჯელია, ხოლო „შვიდმაგად უნდა ზღოს“ — ზღვევინება — კერძო სასჯელია.

საჯარო სასჯელების დამკვიდრება (გამარჯვება) შედარებით გვიან ხდება. საშუალო საუკუნეებში საჯარო სასჯელებად გამოიყენებოდა არა მარტო ქონებრივი ანაზღაურება, არამედ ტანჯვის მიყენება, ცემა, წამება, სხეულის ნაწილების მოკვეთა, დაზიანება და სხვ. ასეთი სასჯელების ცნების გამოსახატავად კი შემოვიდა ტერმინი „ტანჯვა“, „ხატანჯველი“, „პატიჟი“ და სხვ.

საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე სასჯელი გვევლინება სისხლის აღების, შურისძიების ფორმით. მაგრამ შედარებით გვიან, როდესაც გაძლიერდა სახელმწიფო ხელისუფლება, სისხლის აღებისა და შურისძიებების ფუნქცია კერძო პირთა (გვარების) ხელიდან სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ქართული სამართლის ძეგლები საჯარო სასჯელის აღსანიშნავად იყენებს ტერმინებს: „პატიჟი“ და „სიხსლი“ (ერთდროულად).

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ძველ ქართულ მართლმსაჯულებას სასჯელთა მთელი სისტემა ჰქონდა: „სასჯელთა ერთი ჯგუფი ქონებრივი თვისებებისა იყო, მეორე ჯგუფი დამნაშავის თავისუფლების აღკვეთისათვის იყო განკუთვნილი, მესამე — გვემითი იყო, რომლის დანიშნულებას ფიზიკური და ზნეობრივი ზემოქმედების მიყენება შეადგენდა, მეოთხეს — ასოთ-მოღება, ანუ განპატიჟება ეკუთვნოდა და ბოლოთესა და უმაღლეს სასჯელთა ჯგუფს დამნაშავის სიცოცხლის ხაპობა ჰქონდა გათვალისწინებული“.

ახლა განვიხილოთ სასჯელთა სახეები, ანუ სასჯელთა სისტემა

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე. ასეთი სასჯელებია:

1. სიკვდილით დასჯა;
2. სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები;
3. ექსორია და გაძევება;
4. თავისუფლების აღკვეთა;
5. მტკივნეული სასჯელები;
6. ქონების კონფისკაცია („მამულის დაჭირვა“);
7. მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი და სამუდამოდ ჩამორთმევა;
8. ქონებრივი საზღაური სახელმწიფოს, ფეოდალის ან სასამართლოს სასარგებლოდ;
9. დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები..

1. სიკვდილით დასჯა, მისი სხვადასხვა სახეებით, მათ შორის თავის მოკვეთა, „ძელსა ზედა ჩამორჩობა“, „ძელსა ზედა აღბმა“. სიკვდილით დასჯა უაღრესად შეზღუდულად გამოიყენებოდა განსახილველ პერიოდში. იგი შეეფარდებოდა მხოლოდ სახელმწიფოს ღალატისათვის, მეფის პირადი შეურაცხყოფისათვის, მეკობრეობისათვის.

ქართული საისტორიო და სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ XI-XII საუკუნეებში ქართული სამართალი მეტად ჰუმანური იყო. სასჯელთა ჰუმანიზაცია ნაყოფი იყო არა რომელიმე მეფისა თუ მთავრის ზნეკეთილობისა, არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის აღმავლობით, რაც IX-X საუკუნეებიდან დაიწყო და მონღოლთა შემოსევებამდე გაგრძელდა. საქართველოში მწვავე კლასობრივი ბრძოლების დროსაც კი (XII ს. I ნახევარი) მკაცრ სასჯელებს ზომიერების ფარგლებში იყენებდნენ და იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ სიკვდილით დასჯას. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბაგრატ IV-ის მეფობიდან (1027-1072 წწ.) გიორგი III-მდე, მართალია, გამოიყენებოდა მკაცრი სასჯელები, მათ შორის სიკვდილით დასჯაც, მაგრამ ძალზედ იშვიათად. მაგალითად, გიორგი III-მ ოთხი მეტად საშიში დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა შემოიღო. მაგრამ თამარის გამეფებისთანავე სახელმწიფომ სასჯელთა ჰუმანიზაციას მიმართა და სიკვდილით დასჯა თითქმის გააუქმა. თამარის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მითითებით, თამარ მეფეს, ბრძენსა და დიდი ჭკუის პატრონს, თავისი მეფობის მანძილზე

მისი განკარგულებით მათრახის ცემითაც კი არავინ დაუსჯია, არც ტანჯვანაგი გამოუყენებია, მისთვის უცხო იყო ისეთი სასჯელები, როგორიცაა დასახიჩრება ან დაბრმავება. იმავე ავტორის თქმით, თამარი არ იყენებდა არც მტანჯველ სასჯელებს და სიკვდილით დასჯაც გაუუქმებია. მისი მეფობის წლებში არ იყო მომძლავრებული გაჭირვებული, არც მეკობრე და მტაცებელი, არც მპარავი. ამავე ისტორიკოსის მითითებით, მართალია, თამარმა აკრძალა სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები, მაგრამ ერთ დამნაშავეს მაინც ამოწვეს თვალები. თამარის მეორე ისტორიკოსი კი მიუთითებს: „დღეთა შინა თამარისათა არავინ გამოჩნდა მომძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არც ვინ დასჯილი, თვინიერ ძველისა სჯულისა, რომელ ძეს ავაზაკთა ზედა, ძელსა ზედა ჩამორჩობა. ვითა არცა ვის ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეხადა თანანდები, არცა ვინ ბრძანებითა მისითა ასოშეკუეთილ იქმნა, და არცა სიბრმითა დაისაჯა, თვინიერ გუზან, ღირსნი სიკუდილისა, რომელ ორგულებით განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა, მალვით ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა და დავით მეჭისა წინაშე მოიყუნეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისა, ამისათვის მისსა შეკითხვამდის თვალნი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთსა“[1].

ოგორც ჩანს, ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა, რასაც სხვა წყარო ც ადასტურებს „მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახურნი არ გაჰ კიჟებულა, თუინიერ გუზან ტაოსკარელისაგან: მას თუალნი დასწუნეს“[2]. ისტორიკოსთა თქმით, თამარის მეფობის პერიოდში ავაზაკობის შემთხვევები თითქმის არ იყო. ამ დროს „ქარავანსა ვერვინ ძარცვიდა ამერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა: მპარავი. ავის მოქმედი, აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კართა ზედა მიიღოს და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმა და ყივჩაღმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“. სასჯელთა ასეთი ჰუმანიზაცია და დანაშაულობათა აღმოფხვრა, მეცნიერთა აზრით, განპირობებული იყო თამარის ბრძნული მმართველობით, სახელმწიფო პრო ორისული ღონისძიებების გატარებით. ცნობილია, რომ არცთუ ისე

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959, გვ. 141.

[2] „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლის ნუსხა, თბ., 1942, გვ. 240.

შორეულ წარსულში საქართველოში მკაცრი სასჯელები ყოფილა, მაგალითად, მეფის შეურაცხყოფისათვის ჯერ ენის მოჭრა და მერე სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. თამარის მეფობისას კი ასეთი სასჯელები საერთოდ აღარ გამოუყენებიათ.

2. **სხეულის დამაზიანებელი (დამასახიჩრებელი) სასჯელები და ასოთმოკვეთა.** როგორც ზემოთ აღინიშნა, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს სასჯელთა სისტემაში შედიოდა ისეთი სასჯელები, როგორიცაა სხეულის დამაზიანებელი (დამასახიჩრებელი) სასჯელები და ასოთმოკვეთა, მათ შორის დასაჭურისება, თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება, ენის მოჭრა, ხელისა თუ ფეხის მოჭრა.

ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ მიუთითებს, რომ დავით ნარინის მეფობის პერიოდში რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე სახელმწიფო დანაშაულისათვის (ღალატისათვის) „სისხლის სამართლის ძველი კანონის თანახმად იქნა დასჯილი: მას თვალით დაწვა, ერთი ხელისა და ფეხის მოკვეთა მიუსაჯეს, მის შვილს კი საქართველოდან კონსტანტინოპოლში ექსორია ყვეს“.

როგორც აღინიშნა, თამარის მეფობის პერიოდში ძალზე შეიზღუდა დამასახიჩრებელი სასჯელები, მაგრამ გამონაკლისის სახით ერთ დამნაშავეს მაინც დაბრმავება მიუსაჯეს.

3. **ექსორია და გაძევება (გახიზვნა).** ექსორიის სახეები იყო მუდმივი და დროებითი, რაც ძირითადად სახელმწიფო დანაშაულებისათვის გამოიყენებოდა, მაგრამ ვხედებით მათ გამოყენებას სისხლის სამართლის დანაშაულისთვისაც. ექსორია განსხვავდებოდა გაძევებისაგან იმით, რომ ექსორიის დროს დამნაშავეს კონკრეტულ ქვეყანას, კონკრეტულ სახელმწიფოს მიუჩენდნენ საზღვარგარეთ. ქართული წყაროების მიხედვით, ექსორიის ადგილად ხშირად ჩანს მაკედონია და კონსტანტინოპოლი. რაც შეეხება გაძევებას ანუ გადასახლებას — ამ დროს დამნაშავეს მოაშორებდნენ თავის საცხოვრებელ ადგილს სხვაგან გაძევებით, მაგრამ კონკრეტული ადგილი გასახლებისა არ იყო მითითებული.

4. **თავისუფლების აღკვეთა.** ამ სასჯელის შესახებ ძალზე მწირი ცნობები გვაქვს. ვინაიდან გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში უფრო იშვიათად გამოიყენებოდა სხეულის დამაზიანებელი სასჯელები, ლოგიკურია, მათ ადგილს დაჰქერდა თავისუფლების აღკვეთა, როგორც იძულებითი სასჯელის სახე. ფეოდალიზმის ეპოქაში თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის გასარკვევად

ვიყენებთ სულხან-საბას განმარტებას საპყრობილეების შესახებ. ამ დროს საპყრობილის სამი სახე არსებობდა: დილეგი, საკანი და საპატიმრო. დილეგი საპყრობილის ის სახეა, სადაც ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებულნი, საკანი კი საპყრობილის ქვედა სართული, ბნელი ადგილია, ხოლო საპატიმრო არის საპყრობილე სახლი, სადაც დაკავებული პირი უჯაჭვოდ იმყოფება. გარდა ამ ცნობებისა, თავისუფლების აღკვეთის შესახებ მიგვანიშნებენ ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებული ცნობები: ციხესა და საპყრობილესა „შეყენების“ შესახებ ანუ მოთავსების შესახებ.

5. **მტკივნეული სასჯელები ანუ გვემითი სასჯელები.** ასეთი სასჯელები გამოიყენებოდა ფიზიკური ტანჯვის მიყენების მიზნით. მტკივნეული სასჯელები ხორციელდებოდა ჯოხის ცემით, მათრახით, ტაჯგანაგითა და სხვა იარაღებით. მონასტრებში გამოიყენებოდა მტკივნეული სასჯელები. თასმით ცემას მიმართავდნენ დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად – სამ ხარისხად: მსუბუქი შფოთისათვის ბერს თასმას 30-ჯერ დაარტყამდნენ, უფრო სერიოზული დანაშაულისათვის 40-ჯერ, ხოლო კიდევ უფრო მძიმე დანაშაულისათვის მას 60-ჯერ გადაუჭირებდნენ მათრახს ანუ თასმასა თუ ღვედს[1].

6. **ქონების კონფისკაცია ანუ „მამულის დაჭირვა“.** სასჯელის ეს სახე მოცემულია გიორგი ბრწყინვალეს სამართალში. იგი გამოიყენებოდა გამგებლის მოკვლისათვის.

7. **მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი ან სამუდამოდ ჩამორთმევა და გამაწბილებელი სასჯელები.** ქართული სამართლის მიხედვით, მოქალაქეთა უფლებების ჩამორთმევაში იგულისხმებოდა „ლაშქართა შიგან არ შეშვება“ ანუ არმიაში მონაწილეობის აკრძალვა. დამნაშავეს, რომელსაც აეკრძალებოდა ომში მონაწილეობა, ფაქტობრივად თავის თანამოძმეებთან თანასწორობის ჩამორთმევა იყო. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „ლაშქართა შიგან არ შეშვება“ მიესჯებოდა მათ, ვისაც ეკლესიამ შეუფარდა საეკლესიო სასჯელი „დაკრულება“. ასეთი სასჯელი მკვლელობისა და სამშობლოს ღალატისათვის იყო დაწესებული და იგი ფაქტობრივად „სამოქალაქო სიკვდილს“ მოასწავებდა. ამავე რიგის სასჯელები იყო: თავზე ლაფის დასხმა, გაპარსვა, გატიტვლება და ყელზე თოკმობმული გატიტვლებული დამ-

[1] გ. ნადარეიშვილი, კერძო და საჯარო სასჯელები ფეოდალურ საქართველოში, იხ. ალმანახი № 14, 2000, გვ. 100-128.

ნაშავის ქუჩა-ქუჩა ტარება, თავზე ნაცრის დაყრა, ვირზე შესმა, თავზე წვენის დასხმა, მონად გაყიდვა და სხვ.

8. **ქონებრივი საზღაური, დანაშაულის ჩადენისათვის,** რომელსაც დამნაშავე უხდიდა დაზარალებულს, სასამართლოს, ფეოდალსა და სახელმწიფოს. ასეთი სასჯელები კარგად ჩანს ქურდობისათვის დაწესებული პასუხისმგებლობისას, სისხლის როგორც ქონებრივი სასჯელის განსაზღვრული ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ეძლეოდა. პროფ. გ. ნადარეიშვილის მითითებით, ამ მხრივ საინტერესოა ე.წ. „შუიდეულის“ ისტორია. შვიდეულად ზღვევინება,[1] ანუ შვიდმაგი გადახდა ნაქურდალისა, იხსენიება შალვა ქვენიფნეველ. ერისთავის მიერ 1470 წელს ლარგვისის მონასტრისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „და თუ ვინ იპაროს, შვიდ ნაწილად ეზღვიოს“[1].

„შვიდეულის“ მიხედვით დაზარალებულს ნაქურდალი ნივთი ან მისი ფასი უბრუნდებოდა, ხოლო ქურდს ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება. ნაქურდალის ღირებულების ან ნაქურდალის დაბრუნებას (ცხენის ქურდობისას) იცნობს ჩინგიზ ხანის დიდი იასა. ამ კანონის მიხედვით, ქურდს უნდა დაებრუნებინა ცხენი და გადაეხადა კიდევ დამატებით ხანის სასარგებლოდ შვიდი ცხენი. თუ ქურდი ვერ შეძლებდა ამის გადახდას, ცოლ-შვილი უნდა გაეყიდა და თუ ცოლ-შვილი არ ჰყავდა, სიკვდილით ისჯებოდა. ზოგიერთი ქვეყნის სამართალი იცნობდა ნაქურდალის ცხრამაგად გადახდას. საქართველოში, გარდა შვიდეულისა, ვხვდებით სამეულსაც და ხუთეულსაც. ამრიგად, საქართველოში XII საუკუნისათვის ქონებრივი სასჯელი დანაშაულის ჩადენისას საჯარო სასჯელად გვევლინება (თუმცა პირადი სასჯელის ნაწილიცაა), ე.ი. ქურდობა განიხილებოდა არა მარტო კერძო ინტერესების, არამედ საჯარო ინტერესების ხელმყოფ ქმედებად, რაც ლახავდა სახელმწიფო ინტერესებსაც.

9. **დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები.** საეკლესიო სასჯელები ძირითადად რელიგიური დანაშაულებისათვის ინიშნებოდა. ეკლესია მკაცრად ებრძოდა ქონებრივ დანაშაულებსაც, მაგალითად, ქურდობასა და მკვლელობას. იოანე მმარხველი ჩამოთვლის იმ ძირითად დანაშაულებებს, რისთვისაც ინიშნებოდა საეკლესიო სასჯელები:

[1] გ. ნადარეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106.

ხელთ დაცემა (ონანიზმი), მრუშობა, მამათმავლობა, უასაკოთა გახრწნა, პირუტყვთმავლობა, სისხლის აღრევა, კაცის კვლა.

დაკრულვა. ეს სასჯელი საეკლესიო სასჯელი იყო, მაგრამ მას თან ახლდა საერო ხასიათის სასჯელებიც. ეკლესია ამ სასჯელს იყენებდა სქესობრივი და ზნეობრივი დანაშაულებისათვის, მკრეხელობისა და მკვლელობისათვის. საერო ხელისუფლება დაკრულვილს შერისხავდა, მამულს ჩამოართმევდა და აუკრძალავდა სამხედრო სამსახურს. აკად. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ეს სასჯელი დამნაშავეს სრულ ქონებრივ გაღატაკებასა და ზნეობრივ სიკვდილს უქადდა.

სხვა საეკლესიო სასჯელებიდან აღსანიშნავია: უზიარებლობა (განზრახ მკვლელობისათვის, მრუშობისათვის, სისხლის აღრევისათვის, სიძვისათვის), მონასტრიდან მოკვეთა ანუ განდევნა. იგი გამოიყენებოდა მონასტრის წესების სერიოზული დარღვევისათვის. ზოგჯერ მასთან ერთად ქონებრივ სასჯელსაც იყენებდნენ. საეკლესიო წყაროებში დასახელებულია საეკლესიო სასჯელთა ისეთი სახეებიც, როგორიცაა: სისხლი, მისაგებელი, პატიჟი, მტანჯველობა. ხშირად გამოიყენებოდა ცემა და წამება. საეკლესიო სასჯელთა დანიშნულება ძირითადად საეკლესიო წესების დაცვა იყო[1].

ასეთი იყო სასჯელთა მიზანი, დანიშნულება და სახეები მონღოლთა შემოსევამდე.

მონღოლთა შემოსევის შემდგომ პერიოდიდან სისხლის სამართლის დარგში სახელმწიფო საჯარო საწყისი სუსტდება, რადგან თვით სახელმწიფო უძლური ხდება ებრძოლოს დანაშაულს და მის ადგილს იჭერს მხარეთა შორის მორიგება, თვითგასწორება თუ მოლაპარაკება, სასჯელის ძირითად სახედ კი იქცევა დანაშაულის გამოსასყიდი ანუ ქონებრივი ანაზღაურება.

განსახილველი პერიოდისათვის ვიყენებთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს, რომელშიაც შეტანილია XIV საუკუნის სამართლის ძეგლებიც.

უპირველეს ყოვლისა კი, საჭირო ხდება გავარკვიოთ შემდეგი საკითხები: სასჯელთა დანიშნულება და მიზანი ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, კერძოდ, რა მიზანს ისახავდა სასჯელი?

---

[1] უფრო ვრცლად იხ. გ. ნადარეიშვილი, სასჯელის მიზნები და ამოცანები საეკლესიო სამართლის მიხედვით, „მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, № 3.

ჰქონდა თუ არა სასჯელს პრევენციულობა? ცნობდა თუ არა იგი ტალიონის პრინციპს და სხვა საკითხები.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის რამდენიმე მუხლი პირდაპირ მიუთითებს სასჯელის მიზანზე, რომ მან უნდა დააშინოს დანაშაულის ჩამდენი და გარეშე პირებიც. მაგალითად, მე-13 მუხლი მიუთითებს, რომ ცრუ მოწმე მკაცრად უნდა დაისაჯოს, რომ იგივე სხვამ აღარ გაიმეოროს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მრავალი მუხლი ეძღვნება სასჯელის, როგორც სამაგიეროს მიზღვის საშუალებას, კერძოდ, 221-ე, 222-ე, 227-ე, 242-ე, 253-ე, 259-ე მუხლები. ამ მუხლებში სამაგიეროს მიზღვა კომპოზიციას როდი ნიშნავს, არამედ ზოგადადაა მოცემული, რომ დამნაშავეს ეკუთვნის დასჯა მის მიერ ჩადენილი ქმედების სამაგიეროდ. მაგალითად, 221-ე მუხლში ლაპარაკია იმ მეცხოვნეზე, რომელმაც ცხე ან სიმაგრე გასცა „იმის სისხლი არ გაიჩინება, ამისათვის რომე ბევრი სულის მესისხლე არის, რაც გადახდება სამართლით იქნება“, ე.ი. მოღალატე თავის დანაშაულს საზღაურით, ფულით ვერ გადაიხდის, ამიტომაც მის მიმართ როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს სასჯელი, სამართლიანია, რადგან მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სამაგიეროა იგი. 222-ე მუხლშიც იგივე პრინციპია გამოხატული: „ვინც კაცმა ქვეყანას და რჯულს უორგულოს, კიდევ ხედვიდეს იმითი რჯული წახდებოდეს, იმას მიჰყვეს ღუთისა და ბატონისა ორისავე მესისხლე იქნება და ყველა ავი იმაზე მართებული არის“. აქედან ჩანს, რომ ქვეყნისა და რჯულის მოღალატე მკაცრად უნდა დაისაჯოს, კომპოზიცია მისთვის ცოტაა.

სამაგიეროს მიზღვის ერთ-ერთი სახეა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში მოცემული (მუხლი 222-ე) დაბეზღებისათვის სასჯელი, რომლის ჩადენაშიც აბეზღებდნენ პირს. პროფ. ალ. ვაჩეიშვილის აზრით, აქ ტალიონის პრინციპთან გვაქვს საქმე, რადგან ზუსტად იგივე ეფარდება დამნაშავეს, როცა მას სურდა ევნო მეორე პირისათვის[1]. პროფ. ვაჩეიშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 220-ე, 242-ე და 259-ე მუხლებში აშკარად სიმბოლური ტალიონის პრინციპია მოცემული. სიმბოლური ტალიონი კი მატერიალური ტალიონის ანარეკლია, იგი ზუსტად არ შეესაბამება ჩადენილ

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1964, გვ. 95, 96.

დანაშაულს და წარმოადგენს მხოლოდ სიმბოლურად რეაგირებას დანაშაულის ჩადენისათვის. სიმბოლური ტალიონით სახელმწიფო და საზოგადოება ახორციელებს სისხლის სამართლის პოლიტიკას, ისინი აფრთხილებენ საზოგადოებას, თავი შეიკავონ ასეთი ქმედებისაგან. მაგალითად, 220-ე მუხლის მიხედვით, ის ლაშქრის კაცი, ვინც მტრის მხარეზე გადავიდა, ფეხის მოკვეთით უნდა დაისაჯოს. ფეხის მოკვეთა აქ სიმბოლური ტალიონია, იგი ფეხით გადავიდა მტრის მხარეზე. მართალია, მან თავისი მოღალატური საქციელით შეიძლება ფეხის მოკვეთაზე მეტი ავნო სახელმწიფოს, მაგრამ სიმბოლურად იგი მხოლოდ ფეხის მოკვეთით ისჯება.

ვახტანგ VI-ის სამართლის 242-ე მუხლი სამნის მომგლეჯს ხელის მოკვეთას ჰპირდება. აქაც სიმბოლური ტალიონის პრინციპია, რადგან მან ხელით მოგლიჯა სამანი. ვახტანგის სამართლის წიგნის 259-ე მუხლშიც სიმბოლური ტალიონის პრინციპი ჩანს. აქ საუბარია იმის შესახებ, რომ „თუ ყმამ ბატონს ჯოხი ჰკრა, ან ხელით სცემოს, ხელი მოკვეთოს, ან იმ კაცს ხელის ფასი წაერთოს: თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა მოეჭრას, ან ენის ფასი წაერთოს...“. ამ მუხლიდან ჩანს, რომ თუ ხელი ან ენა არ მოეჭრება, მაშინ დამნაშავეს ალტერნატიული ქონებრივი საზღაურის გადახდა უნდა დაეკისროს. აქაც სიმბოლურ ტალიონთან გვაქვს საქმე.

როდესაც ვმსჯელობთ ტალიონის პრინციპის არსებობაზე ქართულ სამართალში, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტალიონის პრინციპს იცნობს მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის სამართალი, კრებულში შესული სხვა ქართული სამართლის ძეგლები ტალიონის პრინციპს არ იცნობს[1]. ამასთან, გაურკვეველი რჩება საკითხი — ტალიონის პრინციპი ვახტანგმა ისესხა უცხო ქვეყნების კანონმდებლობიდან თუ ადგილობრივი ქართული ადათობრივი სამართლის შედეგია.

ახლა განვიხილოთ სასჯელის ცალკეული სახეები მონღოლთა შემოსევის შემდგომი პერიოდის საქართველოში, რისთვისაც ვიყენებთ ვახტანგ VI-ის კანონებს, პირველ რიგში კი, თვით ვახტანგის სამართლის წიგნს.

სიკვდილით დასჯა. ძველმა ქართულმა სამართალმა იცოდა სიკვდილით დასჯის ორი სახე: თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა. ძველმა

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1964, გვ. 104.

ქართულმა სისხლის სამართალმა არ იცის სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეები ან შემზარავი და სასტიკი წამების ფორმით სიკვდილით დასჯა, რასაც ყოველ ნაბიჯზე ჰქონდა ადგილი როგორც მეზობელ ქრისტიანულ თუ მუსულმანურ სახელმწიფოებში, იხე თითქმის ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში. ქართული სამართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ გიორგი III-ს 1170 წელს სპეციალური სიგელით უკდია მშვიდობიანობის დამყარება და მკაცრი სასჯელები — სიკვდილით დასჯა — შემოუღია ქურდობისა და ავაზაკობის აღსაკვეთად. თამარ მეფის დროსაც სიკვდილით დასჯასა და დამასახიჩრებელ სასჯელებს მხოლოდ სამშობლოს ღალატისა და მეფის შეურაცხყოფისათვის გამოიყენებდნენ. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ქართული კანონმდებლობა და მართლმსაჯულება მეტად ჰუმანური იყო, იგი იშვიათ შემთხვევაში იყენებდა სიკვდილით დასჯას და ამ სასჯელის კომპენსაციას აღწევდა შეწყალების, პატიების, აღმზრდელობითი ღონისძიებებით.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს სიკვდილით დასჯის 1 სჯული ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის მიხედვით.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სიკვდილით დასჯა — როგორც სასჯელი პირდაპირ არ არის დასახელებული[1], მაგრამ ვახტანგის სამართლის წიგნის რ'ოდენიმე მუხლის შინაარსის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამ ქმედებათა ჩადენისათვის სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა. ასეთებია: მუხლი 33-ე, 81-ე, 82-ე, 221-ე, 222-ე.

33-ე მუხლში მითითებულია სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სისხლის ფასზე. კანონმდებელი აღნიშნავს: „... მეფისა, კათალიკოზისა და უფლისწულისა არა დაგვიწერია რა". ბუნებრივია, ამ პირთა მკვლელობა ძალზე მკაცრად დაისჯებოდა და, ალბათ, სიკვდილის სასჯელით, რადგან ფულადი საზღაურით მათი სისხლი არ ფასდებოდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის 81-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ძმის მკვლელის დასჯა არ მოხდება კომპოზიციის წესით ანუ ფულადი გადასახადით: „თუ ძმამ ძმა მოკლას, არც მისი სისხლისა კიცით, ჩვენთან დიაღ მძიმე არის, და თქვენ იცით" — მიუთითებს კანონმდებე-

---

[1] მსგავსად ამისა, არც ძველი რუსული სამართალი „რუსსკაია პრავდა" იხსენიებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ ეს სასჯელი გამოიყენებოდა კიევის რუსეთში.

ლი. აქაც, ალბათ, სიკვდილით დასჯა იგულისხმება. 82-ე მუხლში კი დის მიერ ძმის მკვლელობაზე ან ძმის მიერ დის მკვლელობაზეა საუბარი: „თუ ძმამ და მოკლას ან დამ ძმა მოკლას, ჩვენ იმისი სამართალი არ ვიცით, მისიც მეფემ და კათალიკოზმა იციან“.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 221-ე მუხლი ითვალისწინებს ღალატს „ციხიდამ და სიმაგრიდამ კაცი ან ბატონს, ან ამხანაგს წაუვიდეს და გასცეს, ლაშქარი დაასხას, იმისი სისხლი არ გაიჩინება, იმისათვის რომე ბეურის სულის მესისხლე არის. რაც გარდახდება, სამართლით იქნება“. ამ მუხლითაც სიკვდილით დასჯა იგულისხმება. აკი კანონმდებელი ამბობს: „რაც გარდახდება სამართლით იქნება“. თითქმის ამგვარივე ქმედებაა მოცემული 222-ე მუხლში: „ვინც კაცმა ქუეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდეც ხედევდეს, იმით რჯული წახდებოდეს, იმას მიყუეს, — ღვთისა და ბატონისა ორისავე მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არის“. აქაც არ არის მითითებული ქონებრივი თუ სხვა სასჯელი და გამოთქმა „ყოველი ავი იმაზე მართებული არის“ — სიკვდილით დასჯას უნდა გულისხმობდეს.

ამრიგად, საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებს, მაგრამ რამდენიმე მუხლის შინაარსი ისეთია, რომ აქ სიკვდილით დასჯის სასჯელის გამოყენების რეკომენდაცია იგულისხმება. რაც შეეხება სხვა ქართული სამართლის ძეგლებს — იქ სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ XII საუკუნის საქართველოში სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა სასჯელთა ჰუმანიზაციაზე, არ არსებობდა სასჯელის კვალიფიკაციური სახეები. სამწუხაროდ, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ადგილი აქვს მკაცრ სასჯელებს, მათ შორის მკვლელობის კვალიფიციურ სახეებს. მაგალითად, სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა თავის მოკვეთითა და ცეცხლზე დაწვით. გურიის სამთავროში ტყვეების გამყიდველებს სიკვდილით სჯიდნენ ცეცხლზე ცოცხლად დაწვით. მეფე ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებისათვის ზოგს თავი მოჰკვეთეს და ისე დაწვეს ცეცხლზე.

დამასახიჩრებელი სასჯელები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სასჯელთა შორის ყურადღებას იპყრობს დამასახიჩრებელი სასჯელები, მათ შორის ნასაღი (ასოთმოკვეთა ანუ ასოთმოღება), რომელიც გამოიყენებოდა ცრუმორწმუნეობისათვის მუხლი მე-2), ტყვის გაყიდვისათვის (მუხლი 96-ე), ქვეყნისა და რჯულის ღალატისათვის

(მუხლი 220-ე), სამნის მოგლეჯისათვის (მუხლი 242-ე), მისნობისა და კუდიანობისათვის (მუხლი 251-ე), ბატონის გაჯავრებისა თუ ხელით ცემისათვის (მუხლი 259-ე). ცნობილია, რომ ერეკლე II-მ შეთქმულებისათვის ალექსანდრე ამილახვარი ცხვირის მოჭრითა და ფეხის ძარღვის გადაჭრით დასაჯა.

ტკივილის მიმყენებელი სასჯელები (ცემა). ასეთი სასჯელები ძალზე ცოტაა და მკრთალადაა მოცემული ვახტანგის სამართლის წიგნში. მაგალითად, მუხლი 65-ე. ამ მუხლში მითითებულია: „თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან". სხვა ქვეყნების სამართლისაგან განსხვავებით, ქართული სამართალი ფართოდ არ იყენებს არც დამასახიჩრებელ და არც მტკივნეულ სასჯელებს, განსაკუთრებით მკრთალად ჩანს ტკივილის მიმყენებელი სასჯელები.

თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული სასჯელიც მეტად მკრთალადაა წარმოდგენილი როგორც ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში, ისე თვით ვახტანგის სამართალში. პროფ. ა. ვაჩეიშვილს ამის ერთერთ მიზეზად ასახელებს თავისუფლების აღკვეთის ორგანიზაციული მხარის სისუსტეს ფეოდალიზმის დროს[1]. ვახტანგის სამართლის წიგნში ამ საკითხს ეძღვნება 64-ე მუხლი: „მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას (დააპატიმროს, — ვ.მ.), დატუქსოს, ავად მოეპყრას, და კათალიკოზმაც ასრე უყოს". თავისუფლების აღკვეთაზეა მითითებული (დაჭერა) 177-ე მუხლში.

უფრო ვრცლად ეხება თავისუფლების აღკვეთის საკითხს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი. აქ თავისუფლების აღკვეთას ეწოდება „შეპყრობაჲ" (იხ. მუხლები 101-ე, 102-ე, 103-ე, 104-ე).

გამაწბილებელი სასჯელები. ფეოდალურ კანონმდებლობაში ასეთი სასჯელები შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი. ასეთი სასჯელების დანიშნულება დამნაშავის პიროვნების დამცირება და ზნეობრივი ტანჯვის მიყენება იყო. გამაწბილებელი სასჯელები ქართულ სამართალში ძალზე მცირედაა წარმოდგენილი. ასეთია ვახტანგის სამართლის წიგნის 69-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მაჭანკლის დასჯას გამაწბილებელი სასჯელით — ყელზე საბლის მობმითა და

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები საქართველოს სამართლის ისტორიიდან, I, თბ., 1946, გვ. 116.

ტიტულის მთელ სოფელში შემოატარებით. გამაწბილებელ სასჯელად ზოგჯერ ასოთდამაზიანებელი სასჯელებიც გვეცლინებოდა, მაგალითად, სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა (1611-1657 წწ.) მოღალატე ცოლს „ბერძნების რჯულისამებრ“ ცხვირი მოაჭრა.

ქონებრივი სასჯელები. პროფ. ალ. ვაჩეიშვილი ქონებრივ სასჯელებში გულისხმობს ჯარიმასა და კონფისკაციას. რაც შეეხება გადასახადებს ანუ კომპოზიციების სისტემას დანაშაულის გამოსასყიდად, მას ცალკე იხილავს.

ჯარიმა საჯარო ხასიათის გადასახადია, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდება დამნაშავეს. მაგალითად, მუხლი 173-ე ითვალისწინებს შემდეგს: „... თუ ვინმემ მოიტაცოს რამე ან დაიხუთოს – ექვსი თუმანი სახელმწიფო ჯარიმა გამოიღოს და წანართმევი ისევ პატრონს მისცეს“. ვახტანგის სამართლის 242-ე მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას სამნის მომგლეჯის მიმართ, რომელიც უდრის ხელის მოჭრის საფასურს. მაგრამ აქ მოცემული ჯარიმა საჯარო ხასიათისა არ არის, იგი მიეცემა დაზარალებულს.

ვახტანგის სამართლის წიგნის 177-ე მუხლში მოცემულია ქონების კონფისკაცია ხელმწიფის მიერ. მას ეწოდება „მოსარბეველი“. ქონების (მამულის) კონფისკაციას ითვალისწინებს გიორგი ბრწყინვალეს სამართალი (მუხლი 1-ლი), მე-3 მუხლში კი მამულიდან გაძევებაა მოცემული მამულის კონფისკაციით სახელმწიფოს სასარგებლოდ. იგივე სასჯელია გათვალისწინებული მე-5, მე-6, მე-11, მე-17, მე-19 მუხლებში. ამასთან, კანონი იცნობს მამულის ჩამორთმევას დროებით და სამუდამოდაც. სამუდამოდ კონფისკაციას მიმართავს კანონი, თუ ადგილი აქვს მძიმე დანაშაულს, მაგალითად, ერისთავის მკვლელობას, დედ-მამის მკვლელობას.

საეკლესიო ხასიათის სასჯელები – დაკრულვა, შეჩვენება. შეჩვენება ძალზე მძიმე სასჯელი იყო. ვისაც ეს სასჯელი შეეფარდებოდა, მას ზიარების, ქორწინებისა და გვირგვინთა კურთხევის უფლება არ ჰქონდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ქრისტიანული წესით არც ანდერძი აეგებოდა და არც დასაფლავება არ შეიძლებოდა. შეჩვენებას მოჰყვებოდა შერისხვა, ანუ საერო ხასიათის სასჯელი. შერისხულს მამული უნდა ჩამორთმეოდა და ლაშქრობაში მონაწილეობის უფლებაც ეკრძალებოდა, იგი სამშობლოდან უნდა გაედევნათ. ამაზე ძძიმე სასჯელი ეკლესიას არ ჰქონდა.

დანაშაულის სახეები ქართულ სამართალში

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ საინტერესო გამოკვლევა აქვს ივ. ჯავახიშვილს[1].

ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ქართული სამართალი იცნობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ორ დანაშაულს: **1. განდგომასა და ღალატს, 2. მეფის შეურაცხყოფას.**

აღნიშნული დანაშაულების ანალიზს ივ. ჯავახიშვილი ახდენს არა საკანონმდებლო ძეგლების, არამედ საისტორიო და ნარატიული წყაროების ანალიზით.

1. რას წარმოადგენდა განდგომა, ანუ როგორი იყო ამ დანაშაულის არსი? ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ასეთ დანაშაულს ადგილი ჰქონდა მაშინ, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ერთობა ირღვეოდა და შინაური ბრძოლა იწყებოდა. განდგომის, როგორც სახელმწიფოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღსანიშნავად სხვა ტერმინებიც გამოიყენებოდა, მაგალითად, „აშლილობა", „შფოთი", „ღალატი", „ორგულობა". განდგომა და ღალატი შეიძლებოდა მომხადარიყო შინ, შინაური ძალების მიერ ან გარეშე ძალის დახმარებით, როცა განდგომილები უცხო ძალას მოუხმობდნენ თავისი მიზნების განსახორციელებლად.

ივ. ჯავახიშვილი, მართალია, ერთად განიხილავს განდგომასა და ღალატს, მაგრამ მათ შორის განმასხვავებელ ნიშნებსაც აღგენს: „განდგომილება" პირდაპირ, გულახდილ მოქმედებას გულისხმობდა, „ორგულობა" კი ფარულს, ხოლო „ღალატი" ვერაგულ დანაშაულობას აღნიშნავდა"[2].

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, განდგომილება, ღალატი ან მეფობის მაძიებლობაზე, ან უფრო ხშირად მეფისა და მოწინავე წოდე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 210-217.

[2] იქვე, გვ. 211.

ბას შორის არსებული ბრძოლის ნიადაგზე წარმოდგებოდა ხოლმე. განდგომილება-ღალატს უმეტესწილად დიდგვაროვანი აზნაურები მიმართავდნენ.

განდგომილება-ღალატი მძიმე დანაშაული იყო, რადგან ფაქტობრივად იგი პოლიტიკურ შეთქმულებას წარმოადგენდა და სახელმწიფოს მესვეურთ დიდ საფრთხეს უქმნიდა. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელის მეფობამდე სახელმწიფო ხელისუფლება სუსტი იყო, ამიტომაც განდგომა და ღალატი სამეფო ხელისუფლების დამხობასაც ემუქრებოდა. დავით აღმაშენებელმა განდგომისა და ღალატის აღსაკვეთად სპეციალური ღონისძიებები გაატარა, კერძოდ, მას სპეციალურად ჰყოლია პირები (ჯაშუშები), რომლებიც უმალვე აცნობებდნენ მოსალოდნელ ღალატსა თუ განდგომას. ამით დავით აღმაშენებელმა მინიმუმამდე დაიყვანა შეთქმულებებისა და ღალატის მოწყობა სახელმწიფოს წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელი ამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მრისხიანობის ხერხებსაც მიმართავდა, კერძოდ, მოლაპარაკებას, რის შედეგადაც მეფე და განდგომილნი ფიცსა დებდნენ და სიმტკიცის პირობებს აყალიბებდნენ, ზოგჯერ შუაკაცს წარუგზავნიდა და ამ შუაკაცის პირით აჯანყებულებს ჰპირდებოდა, რომ არაფერს ავნებდა, არც დასჯიდა და საქმეს მშვიდობიანად დაამთავრებდა.

განდგომისა და ღალატის ჩადენისათვის მძიმე სასჯელები გამოიყენებოდა. ეს ჩანს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდან, რომ დემეტრე I-მა დავით აღმაშენებლის ძემ, თავისი შვილის დავითის განდგომის გამო ამოწყვიტა დიდებულნი, ზოგიერთ მათგანს ექსორია უყო, ზოგი სიკვდილით დასაჯა და ზოგი კი „განაპატიჟნა“. აქ ამოწყვეტა მოსპობას არ გულისხმობს, არამედ დიდებულების გაფანტვას ანუ გადაკარგვას, ხოლო ექსორია (ბერძნ.) გაძევებას ნიშნავს. ამ სასჯელს უფარდებდნენ მათ, ვინც „მინდობით“ შემოირიგეს და ვისაც განდგომაში მცირედი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. განდგომილთა მიმართ გამოიყენებოდა პატიმრობაც.

რაც შეეხება განპატიჟებას, იგი წარმოდგება „პატიჟ“ სიტყვისაგან, რაც სასჯელს ნიშნავს. ამ შემთხვევაში „პატიჟი“ სასჯელის კონკრეტული სახე არ არის. განდგომისა და ღალატისათვის განპატიჟება გამოიხატებოდა თვალების დათხრასა და კასტრაციაში.

2. მეფის შეურაცხყოფა. ეს დანაშაულიც საისტორიო ხასიათის თხზულებიდანაა ცნობილი, კერძოდ, თამარის პირველი ისტორიკოსი

აღგვიწერს, რომ რუქნადინის მიერ წარმოდგენილი ელჩი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს თამარ მეფეს. ისტორიკოსი ასეთ მოვლენას „კადნიერად კადნიერება“ ანუ „არა საკადრებელთა სიტყუათა თქმას“ უწოდებს. ასეთ კონკრეტულ შემთხვევაში თამარის შეურაცხყოფა გამოიხატებოდა იმაში, რომ რუმის სულთნის ელჩი თამარს მიმართავდა უკადრისი სიტყვებით — თამარს შეეცვალა რჯული და გამხდარიყო სულთანის ცოლი, ხოლო თუ სჯულს არ შეიცვლიდა, სულთანის ხასა უნდა გამხდარიყო. ქართული სამართლით ასეთი ქმედებისათვის ენას კვეთდნენ, ხოლო შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ — თავის მოკვეთით. ეს ჩანს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებებიდან.

პროფ. ვ. აბაშმაძემ სპეციალური შრომა მიუძღვნა სახელმწიფო დანაშაულების განხილვას[1] და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქარ-ული ფეოდალური სამართალი იცნობს ასევე სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულებსაც, კერძოდ: 1) მეფის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო დანაშაული, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის მოკვლასა თუ დატყვევებას; 2) ღალატი ანუ შეთქმულება, რომელსაც აწყობდა საქართველოში უცხოელი დამარცხებული (მაჰმადიანური) მოსახლეობა; 3) სახელმწიფო დანაშაული, მიმართული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წყობილების შესაცვლელად. ზოგიერთ წყაროებში ასეთი დანაშაული გამოხატულია ტერმინით „უცხოდ მოსაგონებელი“[2].

სქესობრივი დანაშაულები

ძველი ქართული სამართალი სქესობრივი დანაშაულის სხვადასხვა სახეს იცნობს, მათ შორის: 1) სიძვასა და 2) მრუშობას.

სიძვად ითვლებოდა დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი. სულხან-საბა განმარტავს: „სიძვა — უმეულლოსაგან ბოზობა“. ეს ქმედება დანაშაულად ეთვლებოდა როგორც ქალს, ისე ვაჟს. ამ დანაშაულის სუბიექტები დაუქორწინებელი პირები არიან. ვაჟს მსიძაი ეწოდება,

---

[1] ვ. აბაშმაძე, სახელმწიფო დანაშაულებათა სახეებისა და მათი კლასობრივი ბუნებისათვის, იხ. მაცნე — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, 1986, გვ. 57-67.

[2] იქვე, გვ. 61.

ქალს კი — მეძავი. საეკლესიო სამართალი სიძვას მკაცრად სჯიდა, კერძოდ, 7 წელს უზიარებლად ტოვებდა მსიძავსაც და მეძავსაც.

სიძვის დანაშაულს უახლოვდებოდა გაუთხოვარი ქალის შეცდენა „ცთუნება ქალწულისა უთხოველისაჲ“. ეს ქმედებაც მკაცრად ისჯებოდა. შეცდენილი ქალის ნათესავებს შური უნდა ეძიათ, სისხლის დაღვრითაც კი. შურისუძიებლობა დიდი სიცხვილი იყო. ზემოთ აღნიშნული სასჯელები თუ რეაგირება სიძვისათვის ჩადენილ ქმედებებზე ეკლესიის ან უშუალოდ მხარეთა მიერ ხორციელდებოდა. სამწუხაროდ, უცნობია, როგორ რეაგირებას ახდენდა მასზე საერო ხელისუფლება.

მრუშობა გათხოვილი ქალის ან დაქორწინებული, ცოლიანი კაცის უცხო კაცთან ან ქალთან სქესობრივ კავშირს ეწოდებოდა. ამ ქმედების ჩამდენი პირი **მრუშის** სახელითაა ცნობილი.

მრუშობისათვის საეკლესიო კანონმდებლობა 15 წელს უზიარებლად ყოფნას აწესებდა. მრუშობისათვის ქალი უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე მამაკაცი. მრუშობის ჩამდენ ქალს ქმარი სახლიდან აგდებდა, თავის სამშობლოში გზავნიდა და საყვარელზე შურს იძიებდა. რაც შეეხება ქმარს, თუ მას საყვარელი ან ხარჭა ეყოლებოდა, ეს დიდ დანაშაულად არ ითვლებოდა. ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატსა და მის შვილს ადარნერსეს საყვარლებიც ჰყავდათ, ასევე გიორგი III-ს — თამარის მამასაც „ხარჭა“ ესვა, რომლისგანაც შვილი შეეძინა.

დანაშაულის ცალკე სახედ იყო მიჩნეული **სისხლის აღრევა**. იგი სქესობრივ დანაშაულებათა ნაირსახეობად გვევლინება ძველ ქართულ სამართალში. ამ დანაშაულს საეკლესიო კანონმდებლობა უწოდებს „თვისთა ნათესავთა თანა აღრევაჲ“-ს.

სქესობრივ დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა **მამათმავლობა** ანუ სქესობრივი კავშირი მამაკაცისა მამაკაცთან, ასევე **გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი მამაკაცისა დედაკაცთან**. იოანე მმარხველის თხზულებაში საუბარია „დედათაცა თანა მამათმავლობაჲ, რომელსა შთავარდებიან მამაკაცნი“, რომელნიც „ბუნებითსა მას საქმეს დაუტეობენ“ და არაბუნებრივად „აიძულებენ სიძუად უბადრუკთა მათ დედათა თანა“.

ქართული სამართალი არ იცნობს ცხოველთმავლობას, მაგრამ

მოხსენებული და დაგმობილია სოდომური ცოდვები რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაში. ივ. ჯავახიშვილი ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ „სოდომური ცოდვა, როგორც ზემოთ დასახელებული კრების მოწმობიდან ჩანს, მოდებული ყოფილა და სამღვდელოება აფრთხილებდა ქართველ ერს: ასურელთა, სპარსელთა და სომეხთა შორისაც და რომშიაც მძვინვარებდა ეს ცოდვა და სწორედ მან დააუძლურა ეს ოდესღაც ძლიერი სახელმწიფოებიო, ამისათვის ვამცნებთ ყველასა: დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ოიისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ენებისა“-განო, ხოლო „ვინ ამიერგან სოდომურ ცოდვას არ გადაეჩვევა, იმას საშინელი, სოდომურივე სასჯელი მოელის საიქიოს, საქარ სასჯელს კი კრება არ ასახელებს. ბიზანტიაში ამ დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული“[1].

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ქართული სამართალი იცნობს მკვლელობას. მკვლელობის როგორც დანაშაულის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა, რადგან თვით მკვლელობები სხვადასხვა სახისა იყო. სიცოცხლის მოსპობას „მოკლვაჲ“, ან „კაცისკვლაჲ“ ან „მკულელობა“ ეწოდებოდა. მკვლელობისათვის დაწესებული იყო სისხლის ფასი. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართული სამართალი არ ცნობდა მკვლელობისათვის შურისძიებას — როგორც საჯარო სასჯელს. მართალია, შურისძიება ძველ ქართულ სამართალში შემორჩენილია, მაგრამ მისი ფარგლები ძალზე შეზღუდულია, შურს იძიებს არა სახელმწიფო, არა გვარი, კერძო პირი[2]. მკვლელობისათვის სასჯელის სიდ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ოჩჩ 12 ტომად, ტ. VII. გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 223.

იდე დამოკიდებული იყო ასევე ბრალის ხარისხზე. მზირად წასვლით ანუ ჩასაფრებით მკვლელობა, მიპარვით მკვლელობა, მოწამვლით მკვლელობა უფრო მკაცრად ისჯებოდა. მას სჯიდა როგორც ეკლესია, ისე სახელმწიფო. ეკლესია 20 წლის უზიარებლობას უფარდებდა, ხოლო სახელმწიფო — სისხლის ფასს.

გაუფრთხილებლობით ანუ უნებლიეთ კაცისკვლისათვის შედარებით მსუბუქი სასჯელი იყო დაწესებული — 10 წელი უზიარებლობა.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ მკვლელობისათვის დაწესებულ სასჯელებს, ისინი განისაზღვრებოდა მკვლელისა თუ მოკლულის წოდებრივ, საგვარეულო თუ სამოხელეო კუთვნილებით. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ასევე დანაშაულის სიმძიმე, ობიექტური მხარე. საერო სამართალი ზოგჯერ სისხლის ფასის გადახდევინებასთან ერთად მამულიდან დროებით გაძევებასაც აწესებდა.

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობებიდან, გარდა მკვლელობისა, ქართული სამართალი იცნობს ასევე **დაჭრას**, რასაც ძველ ქართულ სამართალში ეწოდებოდა „დაკოდვა“ ან „დაჩხუპა“. გარდა ასეთი დანაშაულებისა, ქართული სამართალი იცნობს ასევე „გერშს“ და „ნახშირს“. „გერშად“ ადამიანის მსუბუქი ჭრილობა იგულისხმებოდა. „ნახშირიც“ თავდაპირველად ჭრილობას ნიშნავდა, ხოლო შემდეგ სისხლის ფასს ან ზარალის საზღაურს ამ დანაშაულისათვის“[1].

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში ივ. ჯავახიშვილს შეაქვს მეკობრეობაც[2], და ამას იმით ხსნის, რომ მეკობრეობის დროს ანგარების მიზნით ადგილი ჰქონდა ადამიანთა ხოცვას: „როცა ბოროტმოქმედნი „მიველენ ტყუენვად და ხოცვად“ და „ანგაარებისათვის და მიხვეჭისა უცხოთა საფასეთასა მოჰკულენ კაცთა უბრალოთა — ამას მეკობრეობა და ავაზაკობა ... ერქვა“[3]. ამ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 224. ჩვენის აზრით, „ნახშირი“ არ უნდა იყოს არც ჭრილობა და არც ზარალი ჭრილობისათვის. იგი სისხლის დაურვების საწინდარი უნდა იყოს, ამის შესახებ საუბარი ქვემოთ.

[2] იქვე, გვ. 225.

[3] იქვე, გვ. 233.

განმარტებიდან ჩანს, რომ მეკობრეობის მიზანი არ არის ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, არამედ ანგარება. ამიტომაც ჩვენ ამ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიგში განვიხილავთ. აქ კი დავძენთ, რომ მეკობრეობისა და ავაზაკობის დროს ჩადენილი მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში მეტად მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და მისთვის „ძელსა ზედა ჩამორჩობა“ გამოიყენებოდა. აღსანიშნავია, რომ თამარის მეფობის პერიოდში სიკვდილით დასჯა მეკობრეობით ანუ ავაზაკობით ჩადენილი მკვლელობებისათვის გამოიყენებოდა, რაც მეტყველებს ამ დანაშაულებათა მიუტევებელ ბოროტმოქმედებად გამოცხადებაზე იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლების მიერ.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

ამ ტიპის დანაშაულებიდან ქართულ სამართალში ცნობილია: **მეკობრეობა და ავაზაკობა, პარვა, რბევა, ძარცვა.**

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეკობრეობისა და ავაზაკობის მიზანს შეადგენდა სხვისი ქონების დაუფლება, მოხვეჭა ძალის გამოყენებით, რასაც თან ახლდა უდანაშაულო ადამიანთა დატყვევება თუ დახოცვა.

„პარვა“ – სხვისი ქონების ფარულად მითვისება იყო, დღევანდელი ტერმინოლოგიით კი იგი ქურდობაა. ქმედების ჩამდენს „მპარავი“ ეწოდებოდა. თუ მიმთვისებელი აშკარად მოქმედებდა და ძალით იტაცებდა სხვის ქონებას, ასეთ ქმედებას „რბევა“ ეწოდებოდა, ან „მიმძლავრებად“ მოიხსენიება ზოგიერთ ძეგლებში. რაც შეეხება „ძარცვას“, ეს ტერმინი გამოიყენებოდა ქარავანზე თავდასხმისა და მისი ქონების მითვისების შემთხვევაში.

ძველი ქართული სამართალი მკაცრად ებრძოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებებს. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს, რომ „მეფეთა მეფის თამარის დროს საქართველოს სახელმწიფოში „საყდართა და მონასტერთა დალეწვასა ვერ ვინ იკადრებდა, ქარავანსა ვერ ვინ ძარცუიდა, ამერი და იმერი, ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა, დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა: მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა

ძიღის და დროშათა ქუეშე დადვის. ოვსმან, მთიულმან და ყივჩალმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“[1].

ძველი ქართული სამართალი პარვისთვის შემდეგი სახის სასჯელს აწესებდა: ნაპარევის ჩამორთმევა და პატრონისათვის დაბრუნება. გარდა ამისა, პარვისათვის ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულება უნდა გადაეხადა ქურდს. შვიდმაგი ღირებულება ეკლესიის სასარგებლოდ იყო გათვალისწინებული თუ ქურდი საეკლესიო პირი იყო. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ასეთი სასჯელი პირველად ჩადენილი ქმედებისთვის იყო დაწესებული, ხოლო თუ ქურდობა მეორედ ან წარმდებობით (მიდრეკილებით) იყო ჩადენილი, იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა[2]. წარმდებობით ქურდობისთვის ასოთმოღება და თვალების დათხრაც გამოიყენებოდა. თვალების დათხრა შეეფარდებოდა ასევე ჭაბუკს, რომელმაც საპატიჟო ადგილას ჩაიდინა ქურდობა. საპატიჟო ადგილად კი დიდი სალარო ან ჯოგის მოპარვა იგულისხმებოდა.

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქარ... ლი სამართლის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, გვ. 228.
[2] იქვე, გვ.233.

დანაშაულის სახეები ქართული სისხლის სამართლის ძეგლების მიხედვით

აქამდე ჩვენ ვიხილავდით დანაშაულის სახეებს ძველ ქართულ სამართალში და ძირითადად ვეყრდნობოდით ივ. ჯავახიშვილის შრომებს. ახლა განვიხილოთ **დანაშაულის სახეები ქართული სისხლის სამართლის ძეგლების მიხედვით.**

თავდაპირველად შევეხოთ **ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს.** ამ წიგნის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილი არ მსჯელობს დანაშაულის სახეებზე, იმის გამო, რომ მას ჯერ კიდევ დამტკიცებულად არ მიაჩნდა, რომ ბექასა და აღბუღას კანონების 99-ე მუხლის შემდგომი მუხლები ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნოდა. ამჟამად კი, რადგან გაირკვა, რომ ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 99-ე მუხლიდან 160-ე მუხლის ჩათვლით ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის, შეგვიძლია ამ ძეგლის მიხედვით ვიმსჯელოთ სამართლის სხვადასხვა საკითხზე, ამ შემთხვევაში კი დანაშაულის სახეებზე.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის ანალიზიდან ირკვევა, რომ მასში სახელმწიფო დანაშაულებები არ ჩანს. ეს დიდად გვაკვირვებს და აძლიერებს ეჭვს ბაგრატ კურაპალატისათვის ამ ნორმების მიკუთვნების თაობაზე. თუ ეს ნორმები ბაგრატ კურაპალატს — ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) ეკუთვნის, რატომ არ ჩანს მასში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები? ამ დროს ხომ ქვეყანა ერთიანია და სამეფო ხელისუფლებაც ძლიერია?

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ხუთი მუხლი ეძღვნება მკვლელობას: მუხლები 117-ე, 135-ე, 150-ე, 159-ე, 160-ე.

117-ე მუხლი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას, რისთვისაც გათვალისწინებულია 1 სისხლის ფასი და პლუს 12000 თეთრი.

135-ე მუხლში მოცემულია: „თუ კაცმან კაცისა ცოლი წაუღოს, სრული სისხლი“ გადახდეს.

150-ე მუხლი ეძღვნება აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლას, რისთვისაც გათვალისწინებულია როგორც სისხლის ფასი, ისე მამულის ჩამორთმევა და საეკლესიო წესით დასჯა.

159-ე მუხლში **საპიროსა** და **სანახშიროსათვის** პასუხისმგებლობაა დაწესებული. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სანახშირო არ არის ჭრილობის მიყენებისათვის დაწესებული გადასახადი, არა-

მედ „სისხლის დაურვების საწინდარია, რომელსაც დამნაშავე აძლევს დაზარალებულს მესისხლეთა დაზავების შემდეგ, როგორც სისხლის გადასახადის გარანტიას"[1], საპირო კი იგივე საზაფხო, მოქიშპე მხარეთა დაზავების გადასახადი, რომელსაც იხდის დამნაშავე დაზარალებულის სასარგებლოდ შერიგების დასტურად, ე.ი. საპირო შერიგების დამადასტურებელი თანხაა, სანახშირო კი სისხლის საზღაურის საწინდარი[2]. 159-ე მუხლის ძალით „საპირო და სანახშირო წინა გასაძღუანებელი არს: სრულისა სისხლისა — ოცი ათასი, ნახევრისა სისხლისა ათი ათასი, ხელთა შეპყრობისა — ხუთი ათასი". ამავე მუხლის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ 160-ე მუხლი, რომელშიც საპირო გადასახადების დიფერენციაცია არის მოცემული.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ექვსი მუხლი ეძღვნება სხეულის დაზიანებასა და მის დასჯადობას (124-ე, 125-ე, 142-ე, 143-ე, 144-ე, 151-ე მუხლები).

124-ე მუხლის ძალით, მიპარვით თვალის, ხელ-ფეხისა თუ სახის დაზიანებისთვის, სისხლის ფასის ნახევრის გადახდაა დაწესებული.

125-ე მუხლში ისევ სხეულის დაზიანებაზეა საუბარი, რომელიც ნაკლებ პასუხისმგებლობას იწვევს, რადგან „უჩინარ" სხეულის ნაწილის დაზიანებას შეეხება.

142-ე, 143-ე, 144-ე და 151-ე მუხლებიც სხეულის დაზიანებას ეხება და სხვადასხვა ოდენობის გადასახადებია დაწესებული.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლი ითვალისწინებს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. აქ ორი სახის დანაშაულია ჩამოთვლილი: შეურაცხყოფა — 106-ე, 107-ე, 108-ე, 109-ე მუხლები და ცილისწამება — 120-ე, 132-ე, 145-ე, 146-ე მუხლები.

106-ე მუხლი ითვალისწინებს დიდებულის პასუხისმგებლობას ეპისკოპოსის გინებისათვის: „თუ ებისკოპოსსა დიდებულმან აგინოს,

---

[1] ი. დოლიძე, საპირო და სანახშირო, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. I, თბ., 1963, გვ. 636.

[2] ეჭვი გვეპარება, რომ სანახშიროს გადახდა ხდებოდა დაზავების შემდეგ. ეფიქრობთ ამ თანხას მოლაპარაკებისას იხდიდნენ. სიტყვა უნდა მოდიოდეს „ნახასისაგან", რაც მოსალაპარაკებელ, საკრებულო ადგილს ნიშნავს ოსურ (სკვითურ) ენაზე.

ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეეხვეწის".

107-ე მუხლის ძალით კი აზნაური, რომელმაც ეპისკოპოსი აგინა, ისჯება ოცი ათასი თეთრის გადახდითა და ბოდიშის მოხდით.

108-ე მუხლით დაწესებულია აზნაურისა და დიდებულის პასუხისმგებლობა მღვდლის გინებისათვის.

ზემოთ დასახელებული ოთხი მუხლი სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა, ხოლო 109-ე მუხლი ფიზიკური შეურაცხყოფისათვის აწესებს პასუხისმგებლობას, კერძოდ, ცემისათვის სრული სისხლის გადახდა იყო გათვალისწინებული. ამავე მუხლში შეურაცხყოფის სახედაა მოცემული ეკლესიის გატეხვაც[1].

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ოთხი მუხლი (120-ე, 132-ე, 145-ე, 146-ე) ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის.

120-ე მუხლის მიხედვით ცრუ დასმენისათვის სისხლის ფასია დაწესებული.

132-ე მუხლის მიხედვითაც ქვეშევრდომის დასმენისათვის პატრონის წინაშე სრული სისხლის ფასია გათვალისწინებული.

145-ე მუხლი ითვალისწინებს ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის შეურაცხმყოფელი ცნობის (ამბის) მიტანას: მაგალითად, შენ ცოლს ესა და ეს კაცი ყვარობსო. თუ ასეთ ცნობას ქმედების ჩამდენი არ დაამტკიცებს, იგი უნდა დაისაჯოს შეკაზმვით ანუ გადასახადით.

146-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გრძნეულებაში ანუ ჯადოქრობაში ცილისწამებისათვის. თუ ცილისმწამებელმა ვერ დაამტკიცა თავისი ნათქვამი, იგი როგორც დამნაშავე უნდა დაისაჯოს ნახევარი სისხლის საფასურით.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მკაცრად ებრძვის ქონებრივ დანაშაულებებს. კერძოდ, გაძარცვისათვის მე-17 მუხლში ფიქსირებულია პასუხისმგებლობა, ხოლო ქურდობას ორი მუხლი ეძღვნება. თითოეული მუხლის ანალიზი შორს წაგვიყვანს, ამიტომ ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი

[1] ამ მუხლში შეტანილია სხვა სახის დანაშაულიც, კერძოდ, ეკლესიის გატეხვაც. ასეთი რამ დამახასიათებელია ფეოდალური ხანის კანონმდებლობებისათვის, როცა ერთი სახის დანაშაულთან ერთად, ერთსა და იმავე მუხლში მოცემულია სხვა სახის დანაშაულებიც. თუმცა, შეიძლება კანონმდებელი ეკლესიის გატეხვას შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ერთმანეთისაგან განასხვავებს ძარცვასა და ქურდობას, ძარცვას უფრო მძიმე დანაშაულად მიიჩნევს. სამართლის წიგნში მოცემულია ძარცვის სხვადასხვა ობიექტი: ეკლესიის გატეხვა და გაძარცვა, ჯოგის (პირუტყვის) წასხმა, მკვდრის გაძარცვა, პატრონის მიერ ყმის გაძარცვა და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ძარცვისას დაზარალებულს შემოაკვდა მძარცველი ანუ მეკობრე, მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება (მუხლი 138-ე). ამასთან, სამართლის წიგნის 152-ე მუხლის ძალით, მეფისა თუ დიდებულის კაცები, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ძარცვას ჩაიდენენ ისინი, არ შეიძლება დაისაჯონ თვალების დათხრით. სამართლის წიგნი ითვალისწინებს ძარცვისათვის მეკობრის ანუ მძარცველის გადაცემას დაზარალებულისათვის (მუხლი 114-ე). 122-ე მუხლი ითვალისწინებს მონაზონთა, ხუცესთა და დიაკონთა ქონების ძარცვისათვის ორმაგ პასუხისმგებლობას, ე.ი. სამართლის წიგნი მჭონებელთა სადარაჯოზე დგას.

რაც შეეხება ქურდობას, სულ ორი მუხლია მის შესახებ მოცემული — 116-ე და 137-ე. 116-ე მუხლში ჯოგის ქურდობაზეა საუბარი, ხოლო 137-ე მუხლი ეხება ქურდის დასჯას მისივე პატრონის მიერ.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში მოცემულია ასევე დანაშაულებანი ოჯახის პატივის წინააღმდეგ (მუხლი 105-ე, 139-ე).

105-ე მუხლში მოცემულია ხუცის ცოლის „მოყინვება“ ანუ სახელის გატეხა და ასეთი დამნაშავე ისჯება სისხლის ფასით, პლუს ათასი თეთრი კიდევ სხვა.

139-ე მუხლი ითვალისწინებს: „თუ კაცი კაცსა ცოლსა მისცემს და გუირგუინსა არა შეუსკუნის, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს“.

ამავე კატეგორიის დანაშაული მოცემულია 140-ე მუხლში, მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ცოლის დაგდება“: „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის, რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია.

თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაბნითა, რომე სიძულილითა არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუურვოს. და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს“.

დანაშაულის სახეები მოცემულია გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდებაშიც“. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „ძეგლისდება“, როგორც გარკვეული რეგიონისათვის შედგენილი სასისხლო კანონი,

ნაკლებად ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს საჯარო ხასიათის დანაშაულებებს.

„ძეგლისდებაში“ დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს. აქ ცალ-ცალკეა ჩამოთვლილი ერისთავის (მუხლი 1-ლი), გამგებლის (მუხლი მე-2, მე-5), ხევისბერის ან მისი ნათესავის თუ განაყოფის (მუხლი მე-6, მე-10), ჰეროვანის ანუ გამორჩეული სოფლის თავკაც[illegible] (მე-11, მე-12 მუხლები), ციხისთავის (მე-13, მე-14 მუხლები), დედ-მამათა და ძმის (მე-15, მე-17, მე-18 მუხლები).

ერისთავის მოკვლისათვის დარბაზმა უნდა იმსჯელოს და შეუძლია მიუსაჯოს გარდახვეწა, მამულის ჩამორთმევითა და სისხლის დაურვებით, ამასთან, კანონი ვერ აწესებს მამულის ჩამორთმევის ვადას, რადგან ასეთი სასჯელი აქ, საქართველოს მთიანეთში, ადრე არ ჰქონიათ და თუ ამ სასჯელს გამოიყენებდნენ, მაქსიმალური ვადა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

გამგებლის მოკვლისათვის ექვსი ათასი თეთრია დაწესებული გადასახდელად, ამას ემატება გამაწბილებელი სასჯელი — გაპარსვა. ამავე კანონის მე-3, მე-4, მე-5 მუხლები კაზუისტურად ჩამოთვლის გამგებლის მკვლელობის სხვადასხვა შემთხვევებს სხვადასხვა პირთა მიერ და სათანადო სასჯელებსაც აწესებს მისთვის.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდებაში“ მკვლელობისათვის ფარ თოდ გამოიყენება ქონებრივი საზღაური, მაგრამ ეს საზღაური სახელმწიფოს სასარგებლოდ კი არაა გათვალისწინებული, არამედ ხმარდება მხოლოდ დაზარალებულს. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ კანონმდებლობა ჩამორჩენილი კუთხისთვისაა შედგენილი და კანონების წყაროსაც ადგილობრივი ადათები შეადგენენ.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდების“ მე-19 და მე-20 მუხლები ეხება ლაშქარში მონაწილეობაზე უარის თქმასა თუ დეზერტირობას. აქ აღნიშნულია, რომ დეზერტირობისათვის პირს უნდა ჩამოერთვას მამული ერთი წლით და გადაეცეს ხაზინას ანუ „სასეფოდ დაიდოს“, გარდა ამისა, დეზერტირს გადახდება ერთი ხარი სასეფოდ.

იგივე ქმედება (ლაშქარში წაუსვლელობა), თუ ჩადენილია ხევისბერის მიერ, მას თანამდებობიდან გადააყენებენ და მამულიც ჩამოერთმევა ერთი წლით. ხევისბერს შეიძლება დაუბრუნდეს თანამდებობაც და მამულიც, თუ იგი მონაწილეობას მიიღებს ლაშქარში.

ზემოთ მითითებული მუხლის (მე-19, მე-20 მუხლები) ანალიზით ირკვევა, რომ აქ საჯარო სასჯელებია დაწესებული სახელმწიფოს მიერ.

„ძეგლისდების“ 27-ე მუხლი ითვალისწინებს ციხის დაქცევას ანუ ციხის დანგრევას. კანონმდებელი ციხის დაქცევისთვის აწესებს ნახევარ სისხლს — დამქცევისა და დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე დაზარალებულს უნდა აუნაზღაურონ ზარალი, ე.ი. აუგონ ციხე. ციხის დამქცევი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ იგი ზემდგომი ინსტანციების ბრძანებით მოქმედებდა.

ძალზე საინტერესოა „ძეგლისდების“ 29-ე მუხლი, იმ მხრივ, რომ იგი თვითგასწორების ნებას რთავს. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ კაცი კაცთან მიდის და სთხოვს, რომ გაჰყვეს სასამართლოში, რადგან სადაო საქმე აქვს მასთან, ასეთ თხოვნას სამჯერ იმეორებს, მაგრამ უშედეგოდ, ამის შემდეგ იგი მიმართავს გამგებელს, ერისთავს, მაგრამ მოპასუხე არც მათ სიტყვაზე ცხადდება სასამართლოში, თუ ამ პროცედურის შემდეგ მოსარჩელე თავს დაესხმება მოპასუხეს, მიაყენებს მას სხეულის დაზიანებას ან მოკლავს, იგი პასუხს არ აგებს.

30-ე მუხლის ძალით, კანონმდებელი თვითგასწორების უფლებას რთავს ქმარს, რომელსაც ცოლი წაართვეს ან მოუკლეს. თუ დაზარალებული მოკლავს მოძალადეს, იგი პასუხს არ აგებს. ამ მუხლებიდან ჩანს ფეოდალური სამართლისათვის დამახასიათებელი თვითგასწორების პრინციპის დაშვება, რაც სამართლის დაბალ დონეზე მიუთითებს, მაგრამ აქ არის პერსონალური თვითგასწორება და არა ფართო მასშტაბისა, მაგალითად, გვარის მიერ შურისძიება თუ სხვ. ამდენად, „ძეგლისდების“ 30-ე მუხლში დანაშაულის ცალკე სახეა ცოლის მოტაცება ანუ ცოლის წაგვრა.

ოჯახის სიმტკიცის წინაალმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის „ძეგლისდებაში“ მოცემულია ასევე ცოლის დაგდება ანუ გაშვება, რისთვისაც ნახევარი სისხლის გადახდა ეკისრება ქმარს, ცოლის გვარის სასარგებლოდ (მუხლი 21-ე). „ძეგლისდების“ 22-ე მუხლი ითვალისწინებს ცოლწაგვრილი ანუ ცოლმოტაცებული კაცის მიერ მოძალადის სახლ-კარის დაწვას, მოტაცებას, დარბევას — ერთი წლის განმავლობაში. ასეთი ქმედებისათვის კანონმდებელი სასჯელს არ აწესებს, ე.ი. აქაც თვითგასწორებას უშვებს. „ძეგლისდების“ შემდგომი მუხლები — 23-ე, 24-ე, 25-ე, 26-ე — ცოლის წაგვრის ცალკეულ კაზუისტურ ჩამონათვალს წარმოადგენს.

„ძეგლისდებაში“ გარკვეული ადგილი ეთმობა სხეულის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების აღნუსხვას. 32-ე მუხლში მოცემულია გერშის, ანუ ჭრილობის მიყენებისათვის პასუხისმგებლობა: „ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს სადაღედ და ანუ ცხვირნი მოეკუეთნეს, სისხლის მეხუთედი დაეურჯოს, რასაც გუარის კაცი იყოს“. 33-ე, 34-ე, 35-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე, მე-40 მუხლებში კაზუისტურადაა ჩამოთვლილი მარჯვენა ხელის, ცაცია კაცის ანუ მარცხენა ხელის მოკვეთა, თვალის ამოთხრა, ფეხის დაშავება ან ფეხის მოკვეთა, ცერის მოკვეთისა თუ დაშავების, კბილის ჩაგდებინებისა თუ სხეულის სხვა სახის დაზიანების დანაშაულობანი — სათანადო სასჯელებით — სისხლის ფასით.

„ძეგლისდებაში“ 44-ე და 45-ე მუხლები მეკობრეობას ანუ ქურდობას ეძღვნება. კერძოდ, 44-ე მუხლის ძალით, თუ ქურდებს, რომლებმაც მოიპარეს ცხენი, ძროხა ან სხვა პირუტყვი და — მიეწივნენ, ქურდებმა კი გასწიეს წინააღმდეგობა, რის გამოც ისინი დახოცეს, მკვლელები ანუ გაქურდულები არ დაისჯებიან. საინტერესოა 45-ე მუხლის მოთხოვნა: ამ მუხლის ძალით, თუ დაზარალებულმა მიაკვლია თავის ქონებას, რომელიც მოჰპარეს მას, და სთხოვს უკანონო მფლობელს (ქურდს), რომ დაუბრუნონ თავისი ქონება, მაგრამ თუ არ დაუბრუნეს, ამის შესახებ უნდა აცნობონ გამგებელს, შემდგომ ხევისბერს, მაგრამ თუ მათ სიტყვამაც არ გაჭრა, მიმართოს ერისთავს და თუ ამანაც არ გამოიღო შედეგი, დაზარალებულს შეუძლია თავს დაესხას ქურდს ანუ მეკობრეს, მაგრამ იგი თავდამსხმელად არ ჩაითვლება და პასუხისმგებლობაც არ დაეკისრება. ოუნდაც მკვლელობა ჩაიდინოს და ისე დაიბრუნოს თავისი ქონება. კანონი აქაც თვითგასწორებას უშვებს.

„ძეგლისდებაში“ დასახელებულია სხვა დანაშაულებებიც, როგორიცაა უარზანგობა ანუ საუპატიო, რომელიც შეადგენდა სისხლის ფასის მეორმოცედს. უარზანგობას ითვალისწინებს 31-ე, 32-ე, 39-ე და მე-40 მუხლები.

დანაშაულის მრავალი სახეა მოცემული ბექასა და აღბულას სამართლის წიგნში.

დანაშაულის ერთ-ერთ მძიმე სახედ სამართლის წიგნში დასახელებულია მკვლელობა. მკვლელობას ითვალისწინებს მე-13 მუხლი.

პირველსავე მუხლში ჩამოყალიბებულია მეტად საინტერესო დებულება პასუხისმგებლობის დაწესების ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით

თუ ვიტყვით, სისხლის სამართლის დევნის დაწყების შესახებ. ამ მუხლში აღნიშნულია, რომ ჩადენილი მკვლელობისას, დაზარალებულ მხარეს შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს მანამდე, სანამ საქმეში ჩაერევიან პატრონის, ჯაყელისა (ე.ი. საერო ხელისუფლების) და მაწყვერელის კაცნი და ხატი (ე.ი. საეკლესიო ხელისუფლება) და სამაგიეროს მიზღვა „სისხლსა შიგან არ მიეფასოს“ ანუ სასჯელს არ გამოიწვევს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ხელისუფალნი ჩაერევიან, „მას უკანით ველარ ემტერების“, ანუ თვითგასწორებას ველარ მიმართავს. თუ მაინც მიმართა დაზარალებულმა თვითგასწორებას — სამაგიეროს მიზღვას — იგი დაისჯება „მაწყვერელის პატიჟი გადაიხადოს და დაუურვოს; რაც ეწყინოს და წაელოს, იგი სისხლსა შიგან მიეფასოს“.

იგივე მუხლი აწესებს მკვლელობისათვის სისხლის ფასს ორმოცი ათას თეთრს და თუ ვერ გადაიხდის ბოროტმოქმედი ამ თანხას, იგი უნდა გადაიხვეწოს, მისი მამული ჯაყელსა და მაწყვერელს დარჩება. ასევე დაკმაყოფილდება გარდახვეწილის ქონებიდან მესისხლე ანუ დაზარალებული: „ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აჭამონ“.

ბექასა და აღბუღას მომდევნო მუხლები მე-2, მე-3, მე-4, მე-7 მკვლელობის ცალკეულ სახეებს ეკუთვნის, აქვე გათვალისწინებულია სასჯელები ამ სახეებისათვის.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის მე-15 მუხლი ითვალისწინებს ასაბიას[1] ანუ თანამონაწილის მკვლელობას, ხოლო მე-16 მუხლი შუაკაცის მკვლელობას. 22-ე მუხლი ითვალისწინებს ძმის მიერ ძმის მკვლელობას. კანონმდებელი ასეთ დანაშაულს მეტად მძიმე დანაშაულად მიიჩნევს და განმარტავს, რომ თუ გაყოფილი ძმა იქნა მოკლული, მკვლელმა უნდა დაუურვოს ორკეცი სისხლი, ასევე საკანონო ანუ ცოდვის შესანანებელი გადასახადი ასკეცი ოდენობით. გაუყოფელი ძმის მკვლელობის საკითხი კი ოჯახში უნდა მოგვარდეს, მასში სახელმწიფო და ეკლესია არ ერევა.

სამართლის წიგნის 36-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობას იმ კაცის (ყმის) მიერ, რომელსაც პატრონი (ბატონი) ჰყავს. თუ პატრონმა არ იცოდა, რას სჩადიოდა მისი ყმა, მას შეუძლია გადასცეს ეს უკანასკნელი დაზარალებულს. დაზარალებულს კი შეუძლია ისე მოეპყრას

---

[1] ასაბია — ქართულ სამართალში თანამონაწილეს ნიშნავს. ამ შემთხვევაში კი, ჩვენი აზრით, ასაბია თანმხლებ პირს გულისხმობს.

მკვლელს, როგორც სურს. ყმის პატრონს ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა აღარ ეკისრება „ამად რომე იგი უბრალოა. ავის მქმნელთა მამულითურთ მიცემა, მართალი იქნება“.

სამართლის წიგნის 38-ე მუხლში მოცემულია ერთი და იმავე სოციალური ფენის – ორი კაცის შეტაკება და მკვლელობა; ამისათვის, როგორც განზრახი დანაშაულისათვის, ორკეცი სისხლია დაწესებული. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი დაუდევრობით ჩადენილი მკვლელობაა, რომელსაც კანონმდებელი „შემთხვევით“ ჩადენილ მკვლელობას უწოდებს, რისთვისაც ნაკლებ სისხლის ფასს – „ერთ სისხლს“ აწესებს გადასახდელად.

. აღბუღას სამართლის 96-ე და 97-ე მუხლებში ვაჭრის მკვლელობის შემთხვევებია მოცემული და მითითებულია შესაბამისი სასჯელები.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში მოხსენებულია სხეულის დამაზიანებელი ქმედებები – როგორც დანაშაულებანი. ამ კატეგორიის დანაშაულებს სულ ოთხი მუხლი ეძღვნება (მე-5, მე-6, მე-8, მე-18).

ბექას სამართლის მე-5 მუხლში სხეულის დაზიანება მოხსენებულია როგორც გერში ანუ ჭრილობა, თუმცა იქვე დაზიანებაცაა მითითებული. ამ მუხლის ძალით ხელის ან ფეხის მოკვეთისათვის ან დაშავებისათვის სისხლის მესამედია გათვალისწინებული, თვალის წამოგდებინებისთვის – სისხლის მეათედი, სახეზე მიყენებული ჭრილობისათვის – 1500 თეთრია გათვალისწინებული. ხელის თითის მოკვეთისათვის ხელის საფასურის მეხუთედი არის დაწესებული.

მე-6 მუხლში გათვალისწინებულია მსუბუქი ჭრილობა, რომელიც შეიძლება გადაწყდეს შუაკაცთა ჩარევისა და მოლაპარაკების გზით.

მე-8 მუხლში გათვალისწინებულია პირის მიერ წოდებით თავისიევე სწორის შეპყრობა მამულში, რომელსაც არაფერი დაუშავებია, მაგრამ, რაკი თავის მამულში ნახა – შეიპყრო იგი, სცემა, შეკრა, გახადა ტანსაცმელი თუ აბჯარი და ისე გააძევა მამულიდან – ასეთი ქმედებისათვის კანონმდებელი სისხლის ნახევრის დაურევებას აწესებს წართმეული ტანსაცმლისა თუ ქონების სრულად დაბრუნებით. კანონმდებელი ასეთ მძიმე სასჯელს იმით ხსნის, რომ ბატონის (პატრონის) ნებართვის გარეშეა ჩადენილი ეს ქმედება: „ამად რომე პატრონისათვის უწესო უყოფია და პატრონისა მეტი კაცი კაცისა ხელთა

შეპყრობასა არა ღირსა — ნიადაგ პირშავად და აუგიანად იქნების კაცთა გვერდსა".

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში გათვალისწინებულია ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებიც. ასეთებია: შეურაცხყოფა — მუხლები მე-18-21-ე და ცილისწამება - მე-40, 50-ე, 86-ე მუხლები.

მე-18 მუხლში შეურაცხყოფა განხილულია ცემასა და შეპყრობასთან ერთად. აქ ცალკე დანაშაულის სახით არ არის მოცემული შეურაცხყოფა, ხოლო 21-ე მუხლი შეურაცხყოფის, როგორც დანაშაულის ცალკე შემადგენლობაა: „თუ კაცმან სწორმან სწორსა, გინა უფროსმა, გინა უმცროსმა, ვისაც მეტის ჟამისაგან დამაჯნებით საბელი მოაბას ანუ ნიფხავნი მისნივე თავს დაახვევნეს, რისაცა გვარისა იყოს, სისხლი მთელი დაუურეოს, ამად რომე უფროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარ იქნების რა, სიკვდილსა დიდად უარეა". ამ მუხლიდან ჩანს, რომ კანონმდებელი შეურაცხყოფას სიკვდილზე მძიმე დანაშაულად თვლის.

სამართლის წიგნის მე-40 მუხლში ცილისწამებაზეა საუბარი. აქ ცილისწამება ცრუდასმენის სახითაა ჩამოყალიბებული. კანონი ითვალისწინებს ცილისმწამებლის დასჯას იმის მიხედვით, თუ რა დანაშაულში დასწამა მან ცილი, ეს იქნება დარბევა, მამულის მითვისება თუ სხვა.

50-ე მუხლი ითვალისწინებს ცილისწამებას ანუ ცრუ დასმენას, რომლის შედეგადაც შეიძლება დაინგრეს ოჯახი — ცილისმწამებელი დაისჯება როგორც მეძავი.

86-ე მუხლში ქურდობის ცილისწამებაზეა საუბარი. ცილისმწამებელი ისჯება იმ ქონების გადახდევინებით, რის ქურდობასაც სწამებს სხვას და ამას უნდა დაემატოს კიდევ ერთი ამდენი, იმის გამო, რომ „უბრალოდ გააწბილა".

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი ცალკე დანაშაულის სახედ ასახელებს სქესობრივ დანაშაულებებს. ამ დანაშაულს ეძღვნება 23-ე, 26-ე და 41-ე მუხლები.

23-ე მუხლში გათხოვილი ქალის შეცდენა ან სქესობრივი კავშირის დაჭერა ქალის ნებით თუ იძულებით — ქმარს მთელი სისხლი უნდა გადაუხადოს ქმედების ჩამდენმა. ასევე ამ უკანასკნელს შეეფარდება გამაწბილებელი სასჯელი, რაც გამოიხატება ყელზე თოკის მობმით,

შიშველის ქუჩა-ქუჩა ტარებაში.

26-ე მუხლით, დიდებულის ან აზნაურის ცოლის შეცდენისათვის, რასაც ოჯახის დანგრევა მოჰყვა, ქმედების ჩამდენმა 12 ათასი თეთრი უნდა გადაიხადოს, ხოლო თუ განქორწინება არ მოჰყვა, მაშინ 6000 თეთრი უნდა გადაიხადოს.

41-ე მუხლში ხუცესის შეცდენაზეა საუბარი. ამ ქმედებისათვის კანონმდებელი აწესებს შემდეგ სასჯელებს: თუ ხუცესმა ცოლი მიატოვა, ქმედების ჩამდენს ნახევარი სისხლის ფასი გადახდება, ხოლო თუ ასეთი ქმედების გამო ხუცესმა წირვა მიატოვა, დამნაშავეს სრული სისხლის ფასი ეკისრება წირვისაგან ხუცესის ჩამოშორებისათვის.

ბექასა და ალბუღას სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლი (24-ე, 27-ე, 39-ე, 41-ე, 46-ე, 47-ე) ითვალისწინებს ქალის მოტაცებას – როგორც დანაშაულს.

24-ე მუხლის მიხედვით, სეფექალის მოტაცება ანუ „წაგვრა“ – ორი მსახურის სისხლის ფასს შეადგენს.

27-ე მუხლში დიდებულის ან აზნაურის ქალის მოტაცებაა გათვალისწინებული. ამისათვის დაწესებულია 12 ათასი თეთრი.

39-ე მუხლით ჯვარგაცვლილი ანუ დანიშნული საცოლის მოტაცებისათვის აუცილებელია შუაკაცების ჩარევა, მოლაპარაკება, რათა საქმარო დაამშვიდონ „... ქალისა ქმარმან მისაცემლითა რათმე გული დაუმხოს, და ზვავი მოშალოს შუაკაცმან“.

41-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ხუცესს ცოლი მოსტაცეს, მომტაცებელმა სრული სისხლის ფასი უნდა გადაიხადოს, რადგან ხუცესი მთლიანად უნდა ჩამოშორდეს საეკლესიო საქმიანობას.

46-ე მუხლი ითვალისწინებს გათხოვილი ქალის წაყვანას (წაგვრას) ქალის ნებით (დიაცის ნებითა და წადილით). ქალის წამგვრელმა დიაცის ქმარს სისხლის 2 ნაწილი დაუურვოს. გარდა ამისა, თუ დიაცმა თან წაიღო თავისი ნამზითვი ქონება, ქმარი ამ ქონებას ვეღარ შეედავება. ხოლო ის ქონება, რაც ქალმა ოჯახში დატოვა პირველ ქმართან, მას ნუღარ მოითხოვს, რადგან თვითონ მიატოვა ოჯახი. რაც შეეხება ქალის სამამულო მზითევს ან მიწას, იგი ქალის მშობლებს ერგება და მათი ნებაა ქალს მისცემენ თუ არა ამ მზითევს.

სამართლის წიგნის 47-ე მუხლი ითვალისწინებს გათხოვილი ქალის იძულებით, მისი ნების გარეშე მოტაცებას. ასეთი ქმედები-

ისთვის ქმედების ჩამდენმა უნდა გადაიხადოს სისხლის ორი ნაწილი, აგრეთვე თავდასხმისათვის უნდა აგოს პასუხი, თუ რაიმე წაიღეს ოჯახიდან ან ქალის მზითევი ან, სხვა ქონება – უკან უნდა დააბრუნონ.

ოჯახის სიწმინდისა და სიმტკიცის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ყურადღებას იპყრობს ცოლის ან ქმრის მიტოვება – „დაგდება“.

29-ე მუხლი ითვალისწინებს ქმრისაგან ცოლის მიტოვებას, რისთვისაც სისხლის ნახევარი უნდა გადაიხადოს და მზითევი სრულად დაუბრუნოს. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, თუ ქმარმა ცოლი მიატოვა (დააგდო) ღალატისათვის, მზითევი მაინც სრულად უნდა დაუბრუნოს.

32-ე მუხლის მიხედვით ქალს ეკრძალება ქმრის მიტოვება, მაგრამ თუ მაინც მიატოვა, ცოლმა ქმარს სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში დიდი ადგილი ეთმობათ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს, კერძოდ: ქურდობასა და გაძარცვას. აქედან ქურდობას ეძღვნება სამი მუხლი – 62-ე, 63-ე, 65-ე, ხოლო გაძარცვას – 13 მუხლი (მე-12, მე-13, მე-14, მე-17, მე-19, 25-ე, 33-ე, 35-ე, 37-ე, 47-ე, მე-80, 97-ე მუხლები).

სამართლის წიგნის 62-ე მუხლში მოცემულია ცხენის ქურდობა როგორც დანაშაული და აღნიშნულია: „თუ ცხენი რა გინდა რა კაცმან მოიპაროს, თუ ხელთავე აქვნდეს, თავი ნაპარევი იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა“[1].

63-ე მუხლში ისევ ქურდობაზეა მსჯელობა. ამ მუხლის ძალით, თუ დაზარალებულმა ამოიცნო თავისი დაკარგული ნივთი ან საკუთრება და განაცხადა, რომ მას მოჰპარეს არა მარტო ეს ამოცნობილი ნივთი, არამედ სხვა ქონებაც, ქურდმა, რომელსაც აღმოაჩნდება ეს ნივთი, უნდა დაამტკიცოს, რომ მას სხვა არაფერი მოუპარავს და არც იცის სხვა ვინმე ამ ქონების მომპარავი. დამტკიცების შემთხვევაში ქურდი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება და თუ ვერ დამტკიცა, იგი ვალდებულია დაზარალებულს უზღოს ზემოთ აღნიშნული წესით.

---

[1] ცხენის ქურდობას ძალზე მკაცრად სჯიდა მონღოლთა სამართალი. „დიდი იასას“ მიხედვით, ცხენის ქურდობისათვის დაწესებული იყო ნაქურდალი ცხენის დაბრუნება და დამატებით შვიდი ცხენის გადახდა.

65-ე მუხლში მოცემულია ქარავანზე თავი [illegible] „ქურდად". ასეთ შემთხვევაში თავდამსხმელმა უნდა და[illegible]ტკიცო [illegible]ავისი არაბრალეულობა, რომ მას არ გაუქურდავს ქარავანი, და თუ ვერ დაამტკიცებს, რასაც დაზარალებული იტყვის, ის ზარალი [illegible]ა აუნაზღაუროს ბრალდებულმა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, შედარებით ვრცლადაა ბექასა და ალბულას სამართლის წიგნში მოცემული ძარცვის მომრავსრიგებელი მუხლები. ამასთან, ძარცვა, ქურდობა და ყაჩაღობა მკვეთრად არ არის ერთმანეთთან გამიჯნული ისე, როგორც ამას დღევანდელი კანონმდებლობა მოითხოვს.

სამართლის წიგნის მე-12 მუხლში [illegible]ცვა და ყაჩაღობა მოცემულია ტერმინით „ზედა დასხმა". ამ მუხლი[illegible] ძიხედვით, თუ „ზედა დასხმის" დროს დაზარალებული მოკვდება, ორკეცი სისხლი უნდა გადაიხდეს მძარცველს.

შემდგომ მუხლებში (მუხლი მე-13, მე-14, მე-15) მითითებულია თავდასხმის შედეგად მიყენებული ვნებისათვის პასუხისმგებლობის წესი და სასჯელები. კერძოდ, თუ თავდასხმის შედეგად კაცი არ მოკვდა, მაგრამ შეშინდნენ ოჯახის წევრები, დამნაშავეს ეკისრება საპატიო კაცის სისხლის ნახევარი. კანონმდებელი ითვალისწინებს სხვა, ალტერნატიულ სასჯელსაც: გააშიშვლონ დამნაშავე, ჩაათრიონ [illegible]ანებზე და იქ გაშოლტონ, ეს უნდა მოხდეს სახალხოდ. კანონმდებელი მიუთითებს, რომ სასჯელის სახის შერჩევა უნდა გადაწყდეს შუაკაცების მეშვეობით და შეუფარდდეს ან ქონებრივი სასჯელი ანუ საპატიო კაცის სისხლის ნახევარი ან ჩათრევა და გაშოლტვა.

სამართლის წიგნის 25-ე მუხლში მოცემულია თავდასხმა სასეფლაოზე და საფლავის გაძარცვა. კანონმდებელი ასეთი დანაშაული[illegible]თვის აწესებს ორი თავადის სისხლის გადახდას და ნაძარცვის დაბრუნებას.

ბექას სამართლის 33-ე მუხლში მოცემულია მინდობილი კაცის მიერ მისთვის ჩაბარებული ციხიდან ქონების წაღება, რაც ქონების დაბრუნებით უნდა გადაწყდეს (ამ მუხლში სხვა შემადგენლ[illegible]აცაა და ძარცვა გამოკვეთილად არ არის მოცემული).

37-ე მუხლში მოცემულია სასახლეზე თავდასხმა და იქიდან ა[illegible]აფის ანუ ნადავლის, ანუ ქონების წამოღება. ასეთი დანაშაული თავდ[illegible]ახმის მსგავსად ისჯებოდა, ისე როგორც ეს ამ სამართლის მე-12 მუხლშია მოცემული.

47-ე მუხლი ქალის მოტაცებას ეძღვნება, მაგრამ აქვე გათვალისწინებულია მოტაცების დროს ქონებისა თუ მზითევის ძარცვის ანუ წაღების შესახებ. აღნიშნულია, რომ თუ ქალის მოტაცებას თან ერთვის მზითევისა თუ სხვა ქონების მითვისებაც, მომტაცებელმა უნდა გადაიხადოს ქალის „წაგვრისათვის“ საპატიჟო, ასევე თავდასხმისათვის და მზითევი და ქონება უკან უნდა დააბრუნოს.

აღბუღას სამართლის მე-80 მუხლი აწესრიგებს უკანონოდ კაცის დაკავებას, „დახუთვას“, რასაც თან ახლავს ძარცვა ანუ დაკავებული კაცის ქონების მითვისება. კანონმდებელი მოითხოვს სასჯელს უკანონოდ დაკავებისათვის, ასევე წართმეული ქონების სრულად დაბრუნებას: „და მის კაცის წანაღებისა დაურვებას ემართლების დაუკლებლად“.

აღბუღას სამართლის 97-ე მუხლში ზუსტადაა ჩამოყალიბებული გაძარცვა: „თუ ვაჭარსა, გზას მიმავალსა ან მომავალსა, საქონლის ნდომისათვის კაცი დახვდეს და გაძარცვოს, და სასამართლოს შევიდნენ, რაცა მის დღის წანაღები ვაჭარმან დაიფიცოს ორად შეკეცოს და მან კაცმან ეგრე უზღოს...“. ამ მუხლიდან ჩანს, რომ ვაჭრის გაძარცვისათვის ნაძარცვის ორმაგი ოდენობა (ღირებულება) უნდა გადაეხადა დამნაშავეს.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ერთი მუხლი (მუხლი 90-ე) ითვალისწინებს ბჭის ანუ მოსამართლის მიერ ქრთამის აღებას, კანონმდებელი მექრთამეობის მოტივად ასახელებს სიხარბეს. კანონში მითითებულია, რომ სიხარბე მხედველობის დამაბრკოლებელია და იგი ყოველი უკანონობის საწყისია. მექრთამეობისათვის გათვალისწინებულია ბჭის ანუ მოსამართლის მკაცრად დასჯა: „სიავსა ხელნი დაესხნენ“. „სიავი“ სპილენძის ქვაბია. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ მოსამართლის ხელების დამდუღვრასთან უნდა გვქონდეს საქმე. მეორე მხრივ, მოსამართლის მიერ ქრთამის აღებისათვის შეიძლება თანამდებობიდან გადაყენებაც ვივარაუდოთ.

ბექას სამართლის წიგნის ორი მუხლი 33-ე და მე-40, ითვალისწინებს პატრონის ანუ ბატონის მიმართ მისი ქვეშევრდომის ღალატს. ამ მუხლების ანალიზიდან ჩანს, რომ აქ ლაპარაკი არ არის სახელმწიფოს ღალატზე, როგორც საჯარო დანაშაულზე, არამედ კერძო პირის — ამ შემთხვევაში ბატონის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც მკაცრად ისჯება.

დანაშაულის სახეებზე მსჯელობისას, გვერდს ვერ ავუვლით კათალიკოზთა სამართალს, რამეთუ იგი სისხლის სამართლის ძეგლია. ამ საკანონმდებლო აქტში მრავალი დანაშაულია მოცემული, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიცაა ტყვის ყიდვა თუ გაყიდვა.

კათალიკოზთა სამართლის პირველსავე მუხლში აღნიშნულია, რომ თუ კაცმა კაცი გაყიდოს, ვინც არ უნდა იყოს იგი, დიდი კაცი თუ მცირე, თავადი, აზნაური თუ გლეხი — მკაცრად უნდა დაისაჯოს. კანონმდებელი ასეთი ქმედებისათვის აწესებს საეკლესიო სასჯელს „შეჩუენებულ იყოს და განხდილი“. შეჩვენება მძიმე საეკლესიო სასჯელი იყო, რაც გულისხმობდა ზიარების, ქორწინების გვირგვინის კურთხევის უფლების ჩამორთმევას, ხოლო სიკვდილის შემდეგ დამწაშავის ქრისტიანული წესით ანდერძი არ აეგებოდა და არც დასაფლავება არ შეიძლებოდა. შეჩვენებას თან ერთვოდა საერო ხასიათის სასჯელებიც, რაც გამოიხატებოდა „შერისხვაში“. შერისხვა კი გულისხმობდა მამულის ჩამორთმევას, ლაშქრობაში მონაწილეობის აკრძალვას. რაც შეეხება „განხდას“, იგი მოკვეთას ნიშნავდა.

კათალიკოზთა სამართლის პირველი მუხლის მეორე ნაწილში საუბარია დანაშაულის ჩამდენის მიერ გაყიდული ტყვის დახსნასა და დაბრუნებაზე. ასეთ შემთხვევაში ქმედების ჩამდენი მაინც არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მან „საყდარსა და ეპისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს“, ე.ი. გარკვეული საზღაური უნდა გადაუხადოს ეკლესიასა და ტყვის პატრონს.

ამავე მუხლის მესამე ნაწილი უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ტყვის დაუბრუნებლობისათვის: „და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინაც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, — ძელსა მიეცეს“. აქედან ჩანს, რომ ტყვის გაყიდვისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა — ჩამოხრჩობაც გამოიყენებოდა.

კათალიკოზთა სამართალში საჯარო სამართლის დანაშაულებებსაც ვხვდებით, მათ შორის მეფის ღალატს ანუ სამშობლოს ღალატს: „ვისაც პატრონისა მეფის ღალატი გამოაჩნდეს, ანუ დიდსა, ანუ

თავადსა, ან ხნაურსა, ანუ ვისაც, მართლით განკითხვით და გამოწულილვითა, რარიგად წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილ იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიპატიჟოს“ (მუხლი მე-16). აქედან ჩანს, რომ მეფის ღალატი სიკვდილით ისჯებოდა.

კათალიკოზთა სამართალი ითვალისწინებს დანაშაულის ისეთ სახეს, როგორიცაა მკვლელობა (მუხლი მე-5). უბრალო კაცის მკვლელობისათვის ქონებრივი სასჯელებია დაწესებული, ხოლო ძმის ან მამის მკვლელობისათვის ხელის მოკვეთა და მამულიდან გაძევება: „ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ხელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს“ (მუხლი მე-4).

კათალიკოზთა სამართალი ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ეკლესიის გატეხვა (მუხლი მე-2). ეკლესიის გატეხვისა და გაძარცვისათვის ეს კანონი ჩამოხრჩობას (ძელსა მიეცეს) ითვალისწინებს.

კათალიკოზთა სამართალი ქურდობას სხვა ადგილზედაც (მუხლი მე-6) ითვალისწინებს და აღნიშნავს, რომ „ვინცა ქურდობა ქნას, რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდაახდევინონ“.

კათალიკოზთა სამართლის 23 მუხლიდან მუხლების უმეტესობა ეკლესიის წინააღმდეგ, საეკლესიო სამსახურისა თუ საეკლესიო მოღვაწეთა მიერ ვარდამალულობებს (დანაშაულობებს) ჩამოთვლის და მათ დასჯადობაზეც მიუთითებს. ასე, მაგალითად, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15 მუხლებში საეკლესიო დანაშაულებია ჩამოთვლილი. მე-18 მუხლი ულირსი მღვდლის კურთხევას ეხება, მე-19 მუხლი კი, რომელიც დანაშაულად მიიჩნევს კაცის გაყიდვისა და ეკლესიის ნაქმის არაობიექტურად გამოძიებას, რისთვისაც შეჩვენებას აწესებს.

კათალიკოზთა სამართლის 22-ე მუხლი დანაშაულად მიიჩნევს რბლის შერყვასა და შეჩვენებას აწესებს ამისათვის, ხოლო ბოლო 23-ე მუხლში უმიზეზოდ (უბრალოდ) ცოლის დაგდებას ანუ მიტოვებას მიიჩნევს დანაშაულად, რისთვისაც შეჩვენებასა და სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.

დანაშაულის სახეები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით

როგორც ცნობილია, მონღოლთა შემოსევის შედეგად ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა. XIV საუკუნეში მეფე გიორგი ბრწყინვალემ კვლავ მოახერხა ქვეყნის გაერთიანება, მაგრამ ცოტა ხნით. XV საუკუნიდან ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ნაცვლად წარმოიქმნა სამთავროები, ცალკეული საფეოდალოები.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ანუ სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის იყო შედგენილი, მაგრამ, როგორც დასტურდება, იგი გამოიყენებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ფეოდალური კოდექსია, იგი ფეოდალთა კლასის ინტერესების სადარაჯოზე დგას. ამიტომაც აქ დანაშაული ფეოდალთა კლასის ნება-სურვილის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში უკიდურესად მწვავდება კლასობრივი ბრძოლა ფეოდალებსა და ყმებს შორის. კლასობრივი ბრძოლის გამძაფრებას ხელს უწყობს ირან-ოსმალეთის ინტერვენცია. კლასობრივი დაპირისპირების გამოხატულებას წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომელიც ღაღადებს: „ყმის ყველა ბატონისა არის“. დანაშაულის სახეებზე, ამ სამართლის წიგნის მიხედვით, ჩვენ ქვემოთ ვიმსჯელებთ, მაგრამ აქ გვინდოდა აღგვენიშნა, რამდენად ატარებს დანაშაული და სასჯელი კლასობრივ ხასიათს. ამის დამადასტურებელია სისხლის ფასი, რომლის შესახებ საუბარია ვახტანგის სამართლის წიგნის მესამე კარში: „კარი სისხლისა განაჩენებისა“ (მუხლები მე-17-43-ე). აქ მოცემულია ამა თუ იმ სოციალური ფენის „სისხლის ფასი“ ანუ დანაშაულის გამოსასყიდი ფულადი ოდენობა. მე-18 მუხლის მიხედვით, „გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთი გლეხის სიკვდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თუ თეთრად გაგვიჩენია.

ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრევ გლეხის კაცისა და

მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი და სახლი სახმარი რკინა, რვალი — ყველა დაიჭირვის“[1]. 1 სისხლის ფასი უდრიდა 12 თუმანს, ე.ი. გლეხის სისხლი ღირდა 12 თუმანი ანუ 60 ძროხა. დიდებული თავადის სისხლი გლეხთან შედარებით, 128-ჯერ უფრო მეტად ფასობდა და ღირდა (ფასდებოდა) 1536 თუმანი. ეს კი დანაშაულის აშკარა კლასობრიობაზე მეტყველებს.

ახლა განვიხილოთ დანაშაულის სახეები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით.

პირველ რიგში დავასახელებთ სახელმწიფო დანაშაულებებს. ასეთია: 1) სამშობლოს ღალატი, რაც გამოიხატებოდა მტრის მხარეზე გადასვლაში. ამ დანაშაულის შესახებ ლაპარაკობს ვახტანგის სამართლის წიგნის 220-ე მუხლი: „ქვეყნისა და რჯულის ღალატისათვის“: „თუ ხელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს, და იმავე ხელმწიფეს დარჩეს, თავად ხელმწიფის მოწყალებაზე კიდია. თუ არა და ფეხის მოკვეთა ჯერ არს. გაღარიბება და გახეიბრება ორივ არ არის“[2]. ამ მუხლის ანალიზით ჩანს, რომ სამშობლოს ღალატი უნდა გამოიხატოს მტრის მხარეზე გადასვლაში. ამისათვის კანონმდებელი სიმბოლურ ტალიონს აწესებს — ფეხის მოკვეთას. ამავე მუხლში მითითებულია, რომ სამშობლოს ღალატისათვის ორივე სახის სასჯელის — გაღარიბების ანუ ქონების კონფისკაციისა და ფეხის მოკვეთის ერთდროულად შეფარდება არ დაიშვებოდა, ეს მეფეზე იყო დამოკიდებული, თუ რომელ სასჯელს აურჩევდა შესაფარდებლად.

2) სამხედრო საიდუმლოების გაცემა. მუხლი 221-ე: „ციხიდამ და სიმაგრიდამ კაცი ან ბატონს, ან ამხანაგს წაუვიდეს და გასცეს, ლაშქარი დაასხას, იმისი სისხლი არ გაიჩინება, იმისათვის, რომე ბეურის (ანუ ბევრის, — ე.მ.) სულის მესისხლე არის, რაც გარდახდება სამართლით იქნება“[3]. ამ მუხლიდან ჩანს, რომ სამხედრო საიდუმლოების გაცემა მძიმე დანაშაული ყოფილა და მისი გადასახადით (ფულით) გამოსყიდვა არ დაიშვებოდა.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 486, მუხლი მე-18.

[2] იქვე, გვ. 538, მუხლი 220-ე.

[3] იქვე, მუხ. 221.

3) ქვეყნისა და ქრისტეს რჯულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოცემულია 222-ე მუხლში: „ვინც კაცმან ქვეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს, კიდეც ხედევდეს, იმით რჯული წახდებოდეს, იმას მიყუეს, — ღვთისა და ბატონისა ორისავ მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არის“.

სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულებებს ვახტანგის სამართლის წიგნში ჩვენ ვერ ვხვდებით.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ფართოდაა წარმოდგენილი პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები, მათ შორის: მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცემა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მკვლელობა ფულადი ანაზღაურებით ისჯებოდა, მაგრამ ფულადი ანაზღაურება არ გამოიყენებოდა ზოგიერთი სახის მკვლელობისათვის, მაგალითად, მეფის, დის მიერ ძმის ან, პირიქით და სხვ. მკვლელობისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იცნობს კვალიფიციური სახის მკვლელობებს და განასხვავებს მათ ჩვეულებრივი მკვლელობისაგან. ასე, მაგალითად, კვალიფიციურია მკვლელობა, თუ იგი ჩადენილია ქვეშევრდომის მიერ თავის მებატონის ან უფროსის მოკვლის მიზნით. მუხლი 75-ე „უფროსის კაცის მოკვლისა ასე იქნას“: თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 59-ე მუხლში ისევ კვალიფიციური მკვლელობის სახეზეა საუბარი. აქ აღნიშნულია: თუ უბრალო, ე.ი. არაბრალეულ კაცს ჩაუსაფრდა ვინმე და მოკლა ან დაჭრა, ორკეცი სისხლი გადახდეს მკვლელს, ერთი იმისათვის, რომ დაუდარაჯდა, ჩაუსაფრდა (ღალატად დაუდგა), ხოლო მეორე — მკვლელობისათვის. ამ შემთხვევაში კანონმდებელი დამამძიმებელ გარემოებად თვლის ჩასაფრებას, დადარაჯებას.

კვალიფიციური მკვლელობა მოცემულია 252-ე მუხლში. აქ მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიჩნეულია მოწამვლა: „მოწამვლით მკუდარი კაცი სხვას კაცის კულასა არა გავს, ამად, რომე ერთმანერთის შუღლით სიკვდილი სხვა არის, ფათერაკი სიკვდილი სხვა არის, მტერობის სიკვდილი სხვა არის.

მაგრამ ეს მოწამლა ორზომათ სისხლად ჩაიგდება. ქრისტიანობის სიმართლით, ხელში ის მომწამლავი მიეცემის მოსისხარსა“. აქედან ჩანს, რომ მოწამვლით მკვლელობა კანონმდებელს უფრო მძიმე დანა-

შაულად მიაჩნია და მისთვის ორმაგ სისხლს თხოულობს დასასჯელად.

კვალიფიციურ ანუ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობაა მოცემული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 65-ე მუხლში: „თუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით, ანუ სხვა რითმე, გასინჯეთ, რისთვის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ეჭნას, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ, უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღმერთმა ნუ ქნას, და თუ ჩვენს ჯამში მოხდეს, ჩვენ ვიცით“ (მუხლი 65-ე).

ამ მუხლიდან ჩანს, რომ ცოლის მიერ ქმრის მოკვლა კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება, თუ ქმარი უბრალოა, ე.ი. ცოლს არა აქვს რაიმე გამამართლებელი საბუთი ქმრის მოკვლისათვის.

კვალიფიციურ ანუ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობად ითვლება ასევე ძმის მკვლელობა. იგი გათვალისწინებულია ვახტანგის სამართლის წიგნის 81-ე მუხლში. ამ მუხლის მიხედვით: „თუ ძმამ ძმა მოჰკლას, არც მისი სისხლისა ვიცით, ჩვენთან დიაღ მძიმე არის და თქვენ იცით.

მაგრამ თუ შვილი ჰყავს, სისხლი და ნახევარი გაუჩნდების და კათალიკოზისა იმან იცის...“[1].

სამართლის წიგნის 82-ე მუხლი ითვალისწინებს დის მკვლელობას ან, პირიქით, დის მიერ ძმის მკვლელობას. კანონმდებელი მას მიიჩნევს მძიმე დანაშაულად და მიუთითებს, რომ ეს დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ უნდა გაასამართლოს მეფემ და კათალიკოზმა: „თუ ძმამ და მოჰკლას, ან დამ ძმა მოჰკლას ჩვენ იმისი სამართალი არ ვიცით, მისიც მეფემ და კათალიკოზმა იციან“[2].

მკვლელობის კვალიფიციური შემადგენლობაა ვახტანგის სამართლის 88-ე მუხლში: „თუ კაცმან მამულის ცილებაში მამულის პატრონი მოკლას, გასინჯოს მოსამართლემ, და თუ ტყუილად შესცილებია და ისრე მოუკლავს, ერთნახევარი სისხლი მისცეს.

თუ შემცილებელი მოკვდეს, სისხლის ორი წილი მისცეს, ამიტომ რომ სხვის მამულისათვის რატომ შეაკუდა?

თუ მართლა შესცილებია და ისრე მოუკლავს, სისხლიც მთელი უნდა მისცეს და რაზედაც შესცილებულან, ის მამულიც იმ მკვდრისა შეიქმნების.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, ტ. I, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 502.

[2] იქვე, მუხლი 82-ე.

აგრეთვე სხვა საქონელზე რომ შესცილდნენ, მისიც ასრე იქმნას. მაგრამ ცოტას საქონელზე და მამულზე კაცმან კაცი არ უნდა მოკვლას, და თუ მოკლას, მოსამართლემ უნდა გაუძნელოს“[1].

ვახტანგის სამართლის წიგნის 58-ე მუხლში გათვალისწინებულია დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ისეთი მკვლელობა, რომელიც წარმოდგება მოდავეთა თუ მოჩხუბართა გაშველებისას, ე.ი. გამშველებლის მკვლელობა: „თუ შუამავალი მოკუდეს, ბერი და მონაზონი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას. თუ მართლის გამოჩენით ჩანდეს, რომე შუამავალი ყოფილიყოს და არცერთის მომხმარო არ ყოფილიყო — სიკვდილისა და ჭრილობისაც ორეული სისხლი უნდა მისცეს, როგორიც სისხლი სდიოდეს. და თუ მომხმარო ყოფილა რომლისამე, ვისაც მოხმარებოდეს, მას ელაპარაკოს“[2].

ვახტანგის სამართლის წიგნის 89-ე მუხლი ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია ყაზახის ანუ ყაჩალის მიერ: „თუ ყაზახმან კაცი მოკლას მზირობით (ჩასაფრებით, — ვ.მ.) და გამოჩნდეს, თუ მეფემ არა უკითხა რა, სამ წილად სისხლი მისცეს. და თუ მზირი მოჰკლან მისი სისხლი არ არის“[3]. აქ მოცემული ფრაზა, „თუ მეფემ არა უკითხა რა“, ნიშნავს — თუ მეფემ არ დასაჯა განსაკუთრებული წესით ანუ არ აიღო თავის იურისდიქციაში და ისე განსაჯა როგორც მიზანშეწონილად ჩათვლიდა. ყაზახი ამ შემთხვევაში დაბალი ფენის წარმომადგენელია, რომელიც შეიარაღებული აწარმოებდა ძარცვა-რბევას.

ვახტანგი VI-ის სამართლის წიგნის 34-ე მუხლი ითვალისწინებს თანამდებობის პირის მკვლელობას და თვლის მას კვალიფიციურ დანაშაულად ანუ დამამძიმებელ გარემოებად. აქ თანამდებობის პირს მეფე იცავს: „... ესეცა არის მოხელე თუ სხვა ბატონის წარვლენილი ყმა ბატონის სამსახურზე მოუკლავთ, იმისი კიდევ მეტი არის, თუ ხელმწიფემ იმ მქნელს არ უწყრომა; და თუ უწყრომა, რამე ის გვარეულობისა და სახელოს სისხლი რაც გაუჩნდეს, ის აკმარონ“[4].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, ტ. I, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 504, მუხლი 88-ე.

[2] იქვე, გვ. 497, მუხლი 58-ე.

[3] იქვე, გვ. 504, მუხლი 89-ე.

[4] იქვე, გვ. 490, მუხლი 34-ე.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოთ დასახელებული მუხლები ითვალისწინებდნენ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობებს. მაგრამ კოდექსში არის მუხლები, რომლებშიაც მოცემულია მკვლელობები დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. ასეთია, მაგალითად, მე-18, მე-19, მე-20, 21-ე, 26-ე, 27-ე, 28-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე, 36-ე მუხლები. განვიხილოთ ისინი.

ვახტანგის სამართლის მე-18 მუხლში ლაპარაკია მკვლელობაზე: „გლეხი კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი, რომე ერთი გლეხის სიკვდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამ ჩვენ თეთრად გაგვიჩენია“[1]. ცოტა ქვემოთ მუხლი 34-ე აკონკრეტებს ამ მუხლს და მიუთითებს, რომ გლეხი კაცის მკვლელობა 12 თუმანი ღირს, ე.ი. 60 ძროხა უდრიდა 12 თუმანს (1 თუმანი ყიდულობდა ხუთ ძროხას). მე-19 მუხლში მოცემულია, თუ რა უნდა გადაეხადათ აზნაურიშვილის სისხლში, რომლის ღირებულება 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლების მიხედვით იყოფოდა 3 თანრიგად: გადიდებული აზნაურის სისხლი უდრიდა 192 თუმანს, შუა აზნაურისა 96 თუმანს, მესამე აზნაურის სისხლი კი 48 თუმანს.

როგორც აღვნიშნეთ, მე-19 მუხლში ჩამოთვლილია აზნაურის მკვლელობისათვის რამდენი უნდა ყოფილიყო ფული, რამდენი ფარჩა, იარაღი, ცხენი, სპილენძი, ძროხა, ცხვარი თუ ტყვე: „აზნაურიშვილს — მესამედი თეთრი იყოს, თუ ოქრო და ვერცხლი დაეჭირვის; და იმ ორ წი[illegible]ი ფარჩა, იარაღი, ცხენი, სპილენძი, ძროხა, ცხვარი და ტყვე დაეჭირვის“[2].

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-20 მუხლი ითვალისწინებს შუათაო და მის ქვემოთ მდგომ თავადთა გადასახადს, რომელთა სისხლის ფასი 27-ე მუხლის მიხედვით უდრის 768 თუმანს, მესამე თავადისა ანუ შუათანას ქვემოთ მდგომი თავადის სისხლი კი 28-ე მუხლის მიხედვით უდრიდა 384 თუმანს.

სამართლის წიგნის 21-ე მუხლის მიხედვით უმაღლესმა თავადმა და მისმა სახლეულობამ უნდა მიიღონ თეთრი, ოქრო, ვერცხლი, ყმა, მამული, ტყვე, იარაღი და რვალი. უმაღლესი თავადის სისხლი კი 26-ე მუხლის მიხედვით უდრიდა 1536 თუმანს. უფრო მეტი თვალსა-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. I, გვ. 486.

[2] იქვე. გვ. 487, მუხლი 19-ე.

ჩინოებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩამოვთვალოთ თუ რამდენს შეადგენდა სისხლის ფასი ამა თუ იმ სოციალური ფენის წარმომადგენლის მოკვლისათვის.

„დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი — 1536 თუმანი. ამ დიდებულის თავადის ტოლად — მთავარეპისკოპოსის სისხლი. ამ მთავარეპისკოპოსის სისხლზე მეხუთედად ნაკლებად — მიტროპოლიტის სისხლი“ (მუხლი 26-ე)[1].

„დიდებულის ქვემოთის, შუას თავადის სისხლი — შვიდ[illegible]ს სამოცდარვა თუმანი. ამასთან, ასრე — დიდებულის სახლის კაცის სისხლი. ამასთან, ასრე ებისკოპოზის სისხლი“ (მუხლი 27-ე)[2].

„ამას ქუემოთს, მესამეს თავადის სისხლი — სამას ოთხმოცდათხი თუმანი. ამასთან, ასრე — არქიმანდრიტის სისხლი“ (მუხლი 28-ე)[3].

„გადიდებულის აზნაურის სისხლი — ას ოთხმოცდათორმეტი თუმანი. ამასთან, ასრე წინამძღვრის სისხლი“ (მუხლი 29-ე).

„ამას ქუემოთის, შუა აზნაურის სისხლი ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი. ამასთან, ასრე — მღვდელ მონაზონის სისხლი. ამასთანავე, ამის მეხუთედ სისხლდაკლებით, — მწირის მონაზონისა. ამის შუას აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე — დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის სისხლი“ (მუხლი 30-ე).

„ცალმოგვის, მესამე აზნაურის სისხლი ორმოცდარვა თუმანი, ამასთან, ასრე მღვდლის სისხლი.

ამასთან დიდებულის ვაჭრის ქვემოთის, მეორე ვაჭრის სისხლი“ (მუხლი 31-ე).

„ამასთან ასრე დაკლებით, მსახურის სისხლი — ოცდაოთხი თუმანი. ამასთან, მთავარ დიაკვნის სისხლი. ამასთან, შუას ვაჭრის ქუემოთ, მესამე ვაჭრის სისხლი“ (მუხლი 32-ე).

„გლეხის კაცის სისხლი — თორმეტი თუმანი. ამასთან — მეოთხე ვაჭრის სისხლი“ (მუხლი 33-ე).

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. I, გვ. 489, მუხლი 26-ე.

[2] იქვე, გვ. 489, მუხლი 27-ე.

[3] იქვე, გვ. 489, მუხლი 28-ე.

33-ე მუხლის მეორე ნაწილში კანონმდებელი აზუსტებს, უფრო გასაგებს ხდის, თუ როგორ იანგარიშება სისხლის ფასი, რომ გლეხის სისხლი უდრის 12 თუმანს, მასზე ორჯერ მეტია, ე.ი. 24 თუმანია მსახურის სისხლის ფასი, მსახურზე ორჯერ მეტი, ე.ი. 48 თუმანია ცალმოგვი აზნაურის სისხლი, ცალმოგვზე ორჯერ მეტია, ე.ი. 96 თუმანს უდრის შუა აზნაურის სისხლი, შუა აზნაურზე ორჯერ მეტს — 192 თუმანს უდრის დიდაზნაურის სისხლის ფასი, მასზე ორჯერ მეტია, ე.ი. 384 თუმანი ღირს დაბალი თავადის სისხლი, ხოლო მასზე ორჯერ მეტია შუა თავადის სისხლი და უდრის 768 თუმანს, მასზე კი ორჯერ მეტია დიდებულის სისხლი, რომელიც უდრის 1536 თუმანს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, დიდებულის სისხლის ფასი ანუ დიდებულის მკვლელობისათვის 128-ჯერ უფრო მეტი გადასახადი იყო, ვიდრე გლეხის მკვლელობის საზღაური.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ითვალისწინებს სხვა ხერხებითა და გზებით მკვლელობასაც, მაგალითად, ცეცხლის წაკიდების შედეგად ჩადენილი მკვლელობა გათვალისწინებულია ვახტანგის სამართლის წიგნის 191-ე მუხლში: „თუ კაცი კაცსა არას ემართლების და ისრე სახლსა და კარს ცეცხლი წაუკიდოს, რომ ჯალაბნი შიგ უდგეს, თავის გუნებით დასაწვავად მოუნდომებია“. ასეთი მკვლელობისათვის კანონმდებელი ითვალისწინებს ერთ სისხლს და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას: „ერთი სისხლი“ და რაც ან სახლი და სა.. ნელი დასწოდეს, უკლებლივ უნდა მისცეს“.

მკვლელობის ერთ-ერთი სახე მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნის 50-ე და შემდგომ მუხლებში, რომელსაც ეწოდება „კერი მიხდომისა და ღალატად დადგომისა“.

50-ე მუხლის მიხედვით კანონმდებელი აწესებს პასუხისმგებლობას სასაფლაოზე თავდასხმისათვის, რის შედეგადაც სასაფლაოზე მყოფი მკვდრის პატრონი მოკვდა. ასეთი მკვლელობისათვის ვახტანგის სამართლის წიგნი აწესებს სამ სისხლს — ერთი საფლავის შებილწვისათვის, ერთი მკვლელობისათვის და ერთიც თავდასხმის ანუ მიხდომისათვის.

51-ე მუხლი ითვალისწინებს სასახლეში ანუ საკუთარ სახლში თავდასხმის შედეგად მკვლელობას. კანონმდებელი აწესებს ამ დანაშაულისათვის ორ სისხლს, ერთი — მიხდომისათვის, მეორე — მკვლელობისათვის.

52-ე მუხლში გათვალისწინებულია თავდამსხმელის პასუხისმგებლობა იმ გლეხის მკვლელობისთვის, რომელიც ბატონთან ახლო ცხოვრობს. ასეთი მკვლელობა ისჯება ორმაგი სისხლით, ნახევარი სისხლი კი ბატონს ეკუთვნის დამნაშავისაგან.

53-ე მუხლში გათვალისწინებულია თავდამსხმელის პასუხისმგებლობა ისეთი მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია დაზარალებულის მამულში. ასეთი მკვლელობა ისჯება მთელი და მესამედი სისხლით.

56-ე მუხლში მოცემულია მკვლელობა, რომელიც ჩადენილია დამნაშავის მიერ იმ დროს, როცა დაზარალებულს ქორწილი ან ნათლობა, ან ჭირის დღე და მწუხარება ჰქონდა. დამნაშავემ უნდა გადაიხადოს მთელი სისხლი და მესამედი, ხოლო თუ მიმხდომი ანუ დანაშაულის ჩამდენი მოკვდება, მთელი სისხლის მეექვსედი დააკლდება მას.

ვახტანგის სამართლის წიგნის 58-ე მუხლი ითვალისწინებს შუამავლის მკვლელობას. მისი მოკვლისათვის დაწესებულია ორი სისხლი.

სამართლის წიგნის 90-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის ისეთ სახეს: „თუ კაცს კაცი დაუჭირავს და უპატიურად მიჰყრობია და ისრე გაუშვია ან საუკადრისო რამ უკადრებია და გაუშვია, მერმე იმ ავადმოპყრობილს მომპყრობელი მოუკლავს, გასინჯეთ, თუ მართალი იყოს, სისხლი შეუფარდეთ და მიაცემინეთ“.

91-ე მუხლში კი მოცემულია მკვლელობა გინების ნიადაგზე. მაგინებელი კაცის მკვლელობა უფრო მსუბუქად ისჯებოდა.

93-ე მუხლში მოცემულია ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა, რომელიც უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა: „ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას თუ რაც უყოს, მთელ სისხლზე თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, იმისათვის, რომ ის რომ იცის, ღვინოში აჩქარებულ არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევინებს?“.

94-ე მუხლი ითვალისწინებს ვალის თაობაზე, ვალის გადაუხდელობისათვის მომხდარ მკვლელობას: „თუ კაცს კაცის ვალი ემართლოს, მივიდეს და სთხოვოს, და შუღლი გამოერიოს და ერთმან მეორე ან მოკლას ან დაჭრას ასრე იქნას: თუ მოვალემ საქონლის პატრონი მოკლას – 1,5 სისხლი მისცეს და თავისი ვალიც უკლებლივ.

თუ ის მოვალე საქონლის პატრონს შემოაკვდეს, იმას მთელი

სისხლი გამოართვან და ვალიც სისხლში გაუანგარიშონ".

სამართლის წიგნის 95-ე მუხლი ითვალისწინებს ბატონის მიერ ყმის მოკვლის რამდენიმე შემთხვევას: 1) თუ ყმა მოკლა დანაშაულის ჩადენისათვის — ბატონი არ ისჯება, უბრალოდ ასეთი ქმედება საწყენადაა გამოცხადებული, საჭირო იყო ამის შესახებ ხელმწიფისთვის მიემართა და ისე გადაეწყვიტა საქმე. მაგრამ თუ ყმა მიუხდა ბატონს და მოკლეს ყმა, ბატონს არაფერი მოეკითხება. ხოლო თუ ბატონმა უბრალოდ მოკლა ყმა, ეს იგივე ფათერაკია, საფათერაკო უნდა მისცეს და წყალობა უნდა უყოს. სამწუხაროდ, კანონმდებელი ზუსტად არ განსაზღვრავს თუ რა არის, ან რას უდრის საფათერაკო ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, კერძოდ კი, მკვლელობებზე.

ვახტანგის სამართლის წიგნის 92-ე მუხლი ითვალისწინებს ფათერაკით ჩადენილ მკვლელობას: „თუ ფათერაკად კაცი კაცს შემოაკუდეს ან შემოეჭრას, ან დაშაუდეს, რასაც ფათერაკით, რომ იმ კაცს არ ნდომოდეს, ცხენით თუ ირაღით, ასე რომ, ცხენმა თავი წაართვას და შეეძგეროს, ან გავარდნაში შეიძგერონენ, ან ნადირს თუ თოფი ან ისარი შესტყორცნოს და კაცს მოხუდეს, ან თამაშობაში აწყინოს რამე, ბევრი ფათერაკი სხვა არის, ამისი ასრე არის:

— ცხენისაგან მოხდების სიკუდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკულელი იარაღი მიეცემის. და იქნების, მკუდარს სამარხი და დაჭრილს სააქიმო გაუჩნდეს.

— თუ ნადირს შეტყორცოს და კაცს მოხუდეს ან ფრინველს შეტყორცოს და კაცს მოხუდეს, ან ყაბახს ესროლოს და ისარი კაცს დაეცეს, ამგვარს ყველას ფათერაკი ქვიან.

— ყაბახის მსროლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიტომ მიეცემის".

— ამაებს მთლად არა საფათერაკო სისხლი უნდა მისცეს".

ფათერაკით მკვლელობას უახლოვდება 182-ე მუხლში მოცემული მკვლელობა ჩადენილი ნადირობის დროს: „იქნების, ნადირობაში შეძგერება და სიკუდილი მოხდეს, მისი სისხლი არ არის" (მუხლი 182-ე). ნადირობაში მკვლელობაზეა საუბარი 183-ე მუხლშიც, და კვალიფიცირებულია იგი როგორც გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობა: „...ესეც იქნების, რომ სახუნდარში[1] ერთმანეთის ნასრო-

[1] სახუნდარი — მხეცთა ბუნაგია.

ლი თოფი მესახუნდრეს მოხვდეს. თუ ფათერაკად მოხუდა, ის სხვა არის. და თუ ამას იტყვის მკუდრის პატრონი, ქიშპი იყო და ამიტომ მიყოო, მაგისი მოსამართლემ გასინჯოს. და თუ დასტურად ქიშპი ყოფილა ან ნამდურევი, ჯერი[1] მიაჩნია.

თუ ჯერს ვერ გაზვეს, სისხლი უნდა მისცეს" (მუხლი 183-ე).

ვახტანგის სამართლის წიგნის 194-ე მუხლი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობას ხუმრობასა და თამაშობაში: „თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყინოს რამე, ან მოსტეხოს რამე, ან დაჭრას, ან მაშინდელს ნაკრულობაზე მოკუდეს, დაჭრილს სააქიმო უნდა მისცეს და თუ მოკუდეს, სამარხი უნდა მისცეს".

ფათერაკით ანუ გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობაზეა საუბარი ვახტანგის სამართლის წიგნის 195-ე და 256-ე მუხლებში: „თუ ორმო დარჩეს პირღია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე ..., თუ ყმაწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირუტყვთან ჩაიგდებოდეს, რაც იწყინოს, მის საფერად, მოსამართლემ გაუჩინოს".

ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს ასევე თანამდებობის პირთა და მებატონეთა მკვლელობებსაც.

კოდექსის 177-ე მუხლში მოცემულია იასაულის მკვლელობა: „ხელმწიფემ თუ მებატონემ ჯარი გაუსიოს თავის საბატონოში მოსარბეველად ან კაცი კაცს დასაჭერლად მიუსიოს, და არ დამორჩილდნენ ... იასაული ბატონის ბრძანების გათავებას ეცდების; ამაში ხელის გამოღება და ერთისაგან მეორის სიკუდილი მოხდების.

თუ იასაული მოკუდეს, სისხლი და ნახევარი მოსცეს; და თუ ის დასაჭერი კაცი მოკუდეს, მისი სისხლი ნუ არის".

ვახტანგის სამართლის წიგნის 258-ე მუხლი ითვალისწინებს ბატონის მოკვლას ყმის მიერ. აქ აღნიშნულია, რომ თუ ყმამ ბატონი მოკლა, „ამის სისხლი არ გაჩნდების", ე.ი. საზღაური არ გადახდების, რადგან ყმას არაფერი არა აქვს და რას მისცემს ბატონს. აქ საქმეში უნდა ჩაერიოს ხელმწიფე და მოსამართლე და „ხელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცენ ბატონს ყმისა, რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეკარგოს, ამისათვის, რომ ეს სამართალი ველარას ყმას ავს ვერ გააბედვინებს". აქ ფაქტობრივად ყმის სამუდა-

[1] ჯერი — ფიცი, ე.ი. უნდა დაიფიცოს, რომ განზრახ არ ჩაუდენია.

მოდ დაკაბალება ხდება.

აქამდე ჩვენ ამოვკრიბეთ ვახტანგის სამართლის წიგნში მოცემული დანაშაულის სახეები მიმართული ადმიანის სიცოცხლის წინააღმდეგ ანუ მკვლელობათა სახეები.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ითვალისწინებს ასევე სხეულის დაზიანებასაც — როგორც დანაშაულის სახეს. მას მრავალი მუხლი ეძღვნება.

ვახტანგის სამართლის წიგნის 44-ე მუხლში აღნიშნულია: „თუ ორივ თვალი ან ორივ ხელი, ან ორივ ფეხი კაცმან კაცს ასრე დაუშაოს და ასრე წაუხდინოს, რომ არცერთის თვალით აღარ ხედევდეს, არცერთი ხელი აღარ სახმარ იყოს, არც ერთი ფეხი აღარარად სახმარ ქონდეს, ამაში ორივ რომელიც ასრე აქუს, იმ კაცის სიკუდილი არის და ორის თვალისათვინაც — მთელი სისხლი, ორის ხელისათვინაც და ორის ფეხისათვინაც, რასაც გვარისა იყოს“. აქედან ჩანს, რომ სხეულის ასეთი მძიმე დაზიანება უთანაბრდებოდა მკვლელობისათვის დაწესებულ სისხლის ფასს.

სამართლის წიგნის 45-ე მუხლი ფეოდალური კოდექსისათვის დამახასიათებელ კაზუისტურობას მისდევს და აღნიშნულია: „კაცის აგებულობის სისხლი სამ წილად არის გაყოფილი: ცალი თვალი კაცის მესამედი სისხლი არის, აგრევე ცალი ხელი, აგრევე ცალი ფეხი, ასრე რომე, ცალი თვალი სულ ასრე დაუშავდეს, რომე ვეღარას ხედევდეს... ამებისათვის მესამედი სისხლი მიეცემის, რასაც გვარისა იყოს. მაგრამ, თუ ხელი სულ არ დაშავდეს და ერთი თითი დაუშავდეს, მთელი ხელის მეხუთედი გაუჩნდების. აგრევ, რამთენიც თითი დაუშავდეს, ყველასათვის ამა ანგარიშით გაუჩინეთ“.

46-ე მუხლში ფეხის თითის დაშავების საზღაურია დაწესებული: „ფეხის თითი ხელის თითთან არ ჩავარდების, ამიტომ რომე არც ხელის თითის ოდენი სახმარობა შეუძლია და არც გამოჩენით სახიჩრად დაინახების ხელსავით. ამად, ერთის ფეხის თითს ნახევრის ხელის თითის სისხლი ადინეთ, რომე ორის ფეხის თითი და ერთი ხელის თითი სწორედ ჩავარდების“.

სამართლის წიგნის 47-ე მუხლი ითვალისწინებს კბილის ჩამტვრევას: „წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივ სწორე არის, ამიტომ რომე, წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების.

ამად, ერთს კბილს ერთის ხელის თითის სისხლის გაუჩინეთ...“.

სამართლის წიგნის 48-ე მუხლში მოცემულია ჭრილობის მიყენებისათვის ანაზღაურება: „წარბს ქუეით და ყელს ზეით თუ კაცმან კაცს ასეთი ჭრილობა დააჩინოს, რომე ძალიან მოეკუეთინოს, იმ ნაკვეთს ნეკი გამოეკლებოდეს, ან სახიჩრად სახედველად დაღრეჯილიყოს და წაეხდინოს, ან ყური გავარდნოდეს, ან ცხვირი გავარდნოდეს, — ამაების თვითო-თვითოსათვის ერთის ხელის სისხლი გაუჩნდების“.

სხვა სახის ჭრილობათა ანაზღაურებაზე მითითებულია 49-ე მუხლში, აქ აღნიშნულია, რომ ქერის მარცვლით გაიზომოს ეს ჭრილობა და თითო მარცვალზე თითო ძროხა გადახდეს დამნაშავეს.

მაგრამ თუ ან თოფით, ან ისრით, ან შუბით, ან ჯიქურად დაჭრილი არის — ისევ ქერის მარცვლით გაიზომოს ჭრილობა და ორმაგად ანაზღაურდეს.

ამასთან, კანონმდებელი სხვადასხვა სოციალური ფენის სისხლს სხვადასხვანაირად აფასებს. მაგალითად, გლეხს 1 ქერის მარცვალში მიეცემა 2 მინალთუნი, ანუ ერთი ძროხა, მსახურს — 4 მინალთუნი, ცალმოგ აზნაურს — რვა მინალთუნი, შუა აზნაურს — თექვსმეტი მინალთუნი; დიდ აზნაურიშვილზე — სამი თუმანი და ორი მინალთუნი, დაბალ თავადზე — ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი, შუა თავადზე — თორმეტი თუმანი და რვა მინალთუნი, დიდებულზე — ოცდახუთი თუმანი და ექვსი მინალთუნი.

გარდა სხეულის დაზიანებისა და მკვლელობებისა, ვახტანგის სამართლის წიგნი ითვალისწინებს მრავალ სხვა სახის დანაშაულებასაც. ამასთან, ეს დანაშაულებანი არ არის დალაგებული დანაშაულის ობიექტის მიხედვით. ასე, მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის 63-ე 64-ე, 65-ე და შემდგომი მუხლები ითვალისწინებენ ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. მაგალითად, 70-ე მუხლში აღნიშნულია: „თუ ერთმა მეორის ცოლს უაშიყოს და გამოჩნდეს, რომ „მასთან ყოფილიყოს და დააგდოს მისმან ქმარმან, სრული სისხლი მისცეს. თუ წაგუაროს, მაშინაც სრული სისხლი მისცეს“.

72-ე მუხლის მიხედვით, „თუ კაცმა უბრალოდ ცოლი დააგდოს — მთელი სისხლი მისცეს და თავისი ზითევი უკლებლივ მისცეს“.

74-ე მუხლის ძალით: „დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურცა ჰკადრებს. და თუ შერისხდეს და მისი უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს“.

168-ე მუხლში მოცემულია ცოლის დაგდება ანუ გაშვება უშვილობისათვის: „უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს, და თუ დააგდებს, სრული სისხლი უნდა მისცეს“.

ვახტანგის სამართლის წიგნი იცავს ოჯახის სიმტკიცეს. ამის დამადასტურებელია 84-ე მუხლი: „თუ კაცმან ცოლი წაგვაროს კარსა, ასე რომე დედაკაცი მისის ნებით გაყუეს, იმ დედაკაცის ქმარი რასაც გვარისა იყოს, მისი სისხლის ორი წილი გარდაიხადოს და რაც პირველის ქმრისა გაეტანოს, ისიც უკლებლივ მისცეს“.

85-ე მუხლში მოცემულია თუ როგორ გადაწყდება გათხოვილი ქალის მოტაცების საკითხი: „თუ დედაკაცი ძალად მოიტაცოს და წაიყვანოს, ეს გამოჩენილი შეიქნება, ულაშქროდ ვერ წაიყვანს, ვერც დიდი და ვერც ცოტა. მაშ, ლაშქრით თავს დასხმა იქნების. იმისი ასრე იქნას:

იმ ქმარყოფილს წამყვანმა ორი სისხლი მისცეს, მიხდომისა და ძალად წართმევისათვის...“.

86-ე მუხლი ითვალისწინებს ქმრის მიერ ცოლის „დაგდებას“, გაშვებას ღალატისათვის: „თუ კაცმა კაცის ცოლთან ბოზობა შეიმთხვიოს და გამოჩნდეს და მისგან ქმარმან ცოლი დააგდოს, მქმრელმან მის პატრონს მთელი სისხლი მისცეს და თუ არ დააგდოს და ისევ იცოლოს, ნახევარი სისხლი მისცეს...“.

ვახტანგის სამართლის წიგნში გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებები, როგორიცაა სხვისი ცოლის მოტაცება და მისი გაყიდვა: „თუ ცოლი გამოართვან და გაუყიდონ ვინმე, სამი სისხლი [illegible] ქალის პატრონს უნდა მისცენ და ორი ქმარსა“. ეს საქმე უნდა განეხილა კათალიკოსს ან მეფეს, რადგან აქ ადგილი [illegible] ტყვის გაყიდვას.

ვახტანგის სამართლის წიგნში დიდი ადგილი უჭირავს ქონებრივ დანაშაულებათა ჩამოთვლასა და მათზე რეაგირებას ანუ სასჯელს.

ვახტანგის სამართლის 150-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს ქურდობის შესახებ. კანონმდებელი წერს, რომ ქურდობის ყველა სახის ცალ-ცალკე ჩამოთვლა შეუძლებელია. ამასთან, ყველა ქურდობა ერთნაირი არ არის.

151-ე მუხლში მოცემულია ქურდობა ოჯახში შესვლით: „... თუ ცოლს და ქმარს ერთს სახლში ერთად მწოლს, შეეპარა ქურდი და

ისრე ან კაცის იარაღი და ან ტანისამოსი, გინა სხვა რამ მოიპარა, ანუ ქალის სამკაული და ტანისამოსი მოიპარა, ის ნაქურდალიც შვიდეულად უზღოს და რასაც გვარისანი არიან, ნახევარ-ნახევარი სისხლი სხვა გარდაუხადოს. თუ ვერ აუვიდეს „ქურდი თავისი ცოლ-შვილით, საქონლით და ნასყიდით მიეცეს“ (მუხლი 151-ე). ამ მუხლიდან ჩანს, რომ ქურდობისათვის მოპარულის შვიდმაგი ღირებულება იყო გადასახდელი. მაგრამ თუ ქურდობა ჩადენილი იყო დამამძიმებელ გარემოებებში, იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა. მაგალითად, ოჯახში შესვლა, სადაც ცოლსა და ქმარს ეძინა, იქ ჩადენილი ქურდობა ისჯებოდა არა მარტო ნაქურდალის შვიდმაგი ღირებულების ანაზღაურებით, არამედ ამას ამატებოდა კიდევ ნახევარი სისხლი, ასეთი უხამსი ქმედებისათვის.

ვახტანგის სამართლის წიგნის 152-ე მუხლში მოცემულია ლაშქრობაში ჩადენილი ქურდობა: „ლაშქრობაში თუ ან ცხენი, და ან იარაღი, ან ტანსაცმელი, ჯაჭვი, აბჯარი მოჰპაროს, თავად დიდი სირცხვილია... ამისთვინაც ამისმა ქურდმან მონაპარავიც შვიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიც“.

153-ე მუხლში მოცემულია ძარცვა: „... დედაკაცს რომ ზედ შებმული ან კიდებული იარაღი ან თმა, ან თმის სატანი, რაც რამ ფერი სამკაული ზედ შეხსნას ან შეაჭრას, მონაპარევიც შვიდეულად მისცეს და სისხლის ნახევარიც“.

154-ე მუხლში დაზუსტებულია თუ როგორ უნდა აუნაზღაურდეს დაზარალებულს ქურდისაგან სამაგიერო. მაგალითად, აზნაურიშვილს (დაზარალებულს) ეძლეოდა მთლიანად ანუ შვიდმაგი ანაზღაურება. გლეხს მხოლოდ ორმაგი, დანარჩენი სახელმწიფოს მიჰქონდა.

155-ე მუხლში კანონმდებელი წერს, რომ საყდრის კატესკის, ჯვრისა და ხატის დამტვრევის, ხელმწიფის სალაროს გატეხვის შესახებ ჩვენ არაფერს ვწერთ, იგი უნდა გადაწყვიტონ მეფემ და კათალიკოზმა, როგორც მათ სურთ ისე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა სახის დანაშაულებათა შესახებ არის საუბარი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მათი ჩამოთვლით დავკმაყოფილდებით:

მუხლი 173-ე, 174-ე — თვითგასწორება ანუ დახუთვა.

მუხლი 189-ე — ვაზის აკაფვა.

მუხლი 190-ე — ნერგის მოჭრა.

მუხლი 192-ე — ყანის, ვენახის, ღობის, ბჯის ან თივი , ან

საბძელისათვის განზრახ – მტრობით ცეცხლის წაკიდება.

მუხლი 214-ე – უკანონოდ გადასახადის შეწერა და გადახდის იძულება.

მუხლი 218-ე – საფლავისათვის მიწის უნებართვოდ მიტაცება და მასში თავისი მკვდრის დამარხვა.

მუხლი 226-ე – გინება.

მუხლი 227-ე – განზრახ დასმენა (წაძრახვა).

მუხლი 228-ე – მუქარა.

მუხლი 236-ე – ცრუმოწმეობა.

მუხლი 240-ე – სიგელის წართმევა და დახევა.

მუხლი 242-ე – სამნის მოგლეჯა.

მუხლი 251-ე – მისნობა და კუდიანობა.

მუხლი 253-ე – ბეზღობა, დაბეზღება.

მუხლი 267-ე – მოსამართლის საუპატიო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ტიპური ფეოდალური სამართლის ძეგლია და მასში არ არის დაცული დანაშაულის ობიექტის მიხედვით დანაშაულებათა ჩამოთვლისა თუ განლაგების მტკიცე სისტემა. აქ მუხლები, მართალია, უსისტემოდაა მოთავსებული, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ადგილი აქვს სამართლის ნორმათა ქაოსს, რადგან ერთგვარი სისტემა მაინც შეინიშნება.

ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი

თავი IV

ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი

სანივთო სამართალი

სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია სანივთო სამართალი. ამდენად, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ ნივთის ცნება, არსი, სახეები ძველ ქართულ სამართალში. V-X საუკუნეების პერიოდის საქართველოში მასალები ნივთებისა და საერთოდ სანივთო სამართლის შესახებ არ მოგვეპოვება იმდენად, რამდენადაც სამართლის რაიმე ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ხელი ავიღოთ ამ პერიოდის სამართლის საკითხების კვლევაზე. საჭიროა, რომ სამართლის ინსტიტუტებისა და სხვადასხვა საკითხების გამოსაკვლევად მივმართოთ არაპირდაპირ წყაროებს, როგორიცაა ლიტერატურული და აგიოგრაფიული ხასიათის ძეგლები, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალები და სხვ.

ივ. ჯავახიშვილი IX-XIII საუკუნეების შესახებ აღნიშნავს: „... სისხლის და სამოქალაქო სამართლის ერთი პატარა ნაწყვეტის გარდა სხვა რაიმე XIII ს-მდე დაცული არ არის. ამ ხანის საბუთები, სიგელები და „დაწერილნი“ ორ ათეულსაც არ შეადგენს. ასეთ პირობებში, სათანადო წყაროების უქონლობის გამო, ან სისხლის, საკორპორაციო და სამოქალაქო სამართლის, ასევე როგორც სასამართლო წარმოების გამოკვლევისათვის უნდა თავი დამენებებინა, ან უნდა სხვა ისეთი წყაროები ყოფილიყო გამოძებნილი, რომელთა შესწავლით სამართლის წიგნების ხელთ-უქონლობის დანაკლისის ნაწილობრივ ანაზღაურება შესაძლებელი ყოფილიყო.

ასეთ მდგომარეობაში მკვლევარს საეკლესიო სამართლის ძეგლებსა და საისტორიო თხზულებებში გაფანტული და ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში დაცული ცნობების ამოკრების, შესწავლისა და სურათის აღდგენის ცდის გარდა სხვა გზა და საშუალება არ დარჩენია, თუმცა ეს გზა ძნელია, მაგრამ მაინც ერთადერთი გზაა, რომელიც

ცოტად მაინც მიზნის მიღწევის იმედის მომცემი შეიძლება იყოს"[1].

ნივთების ცნებისა და არსის გასარკვევად ივ. ჯავახიშვილი მოიშველიებს რომაულ სამართალს, სადაც ნივთის ზოგადი ცნების აღსანიშნავად არსებობდა ტერმინი **res**, რომელიც აღნიშნავდა როგორც მოძრავ, ისე უძრავ საგანს. ივ. ჯავახიშვილისავე მითითებით ქართულ სამართალში ამ ცნების გამოსახატავად მიღებულია ტერმინი „ნივთი", მაგრამ ძველ ქართულ სამართალში ტერმინ „ნივთს" არ ჰქონდა ზოგადი მნიშვნელობა.

ნივთის შესახებ სულხან-საბა ორბელიანი წერს: „ნივთი" ესე არს ყოველივე სახმარი", ხოლო სახმარის შესახებ წერს: „ჩასაცმელი შესასხმელი და რაიცა შესაწეველი".

ნივთის, როგორც ლათინური (რომაული) res-ის შესატყვისობაზე, ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ გულმოდგინე ძებნის მიუხედავად ისეთი ზოგადი ტერმინი, რომელიც რომაული **res**-ის შესატყვისი იქნებოდა, ჩვენ ვერ ვიპოვეთო. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი იმედს არ კარგავს, რომ ასეთი ტერმინი გამოჩნდება, ე.ი. რომაული res-ის შესატყვისი ნივთის ზოგადი აღმნიშვნელი ტერმინი გაირკვევა ქართულ სამართალში.

ივ. ჯავახიშვილისავე მითითებით, ნივთების აღსანიშნავად ძველ ქართულში ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „სახმარი", რაც გამოიყენებოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთების აღსანიშნავად. რაც შეეხება ტერმინ „უხმარს", იგი საერთოდ უვარგისს კი არ ნიშნავდა, არამედ დროებით, იმ დროისათვის გამოუყენებელს.

ივ. ჯავახიშვილი ტერმინ „სახმარის" როგორც ნივთის ზოგადი ცნების ანალიზისას ასეთ დასკვნას აკეთებს: **„ტერმინი „სახმარი" უძრავ-მოძრავის აღმნიშვნელობისდა მიუხედავად ნივთის, „რეს"-ის ზოგადი ცნების გამომხატველი ძველ ქართულ მწერლობაში მაინც არ ყოფილა".**

„ჭურჭელი". ივ. ჯავახიშვილის მითითებით, მოძრავი უსულო საკუთრებისა და ქონების აღმნიშვნელ ტერმინად „ჭურჭელი" იხმარებოდა, რაც ყოველგვარ ავეჯს, იარაღს, ძვირფასსა და მოძრავ განძეულს ნიშნავდა.

ქართულ ძეგლებში გვხვდება ნივთების აღმნიშვნელი ისეთი

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VII, გვ. 188.

ტერმინები, როგორიცაა: **მამული ანუ მიწა, აგარაკი, დედული, მონაგები, სახმარნი, ჯორები და კარაულები.**

მონაგები ქონებას ნიშნავდა. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, კურაპალატი იყო „ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი“. ამ გამონათქვამიდან ჩანს, რომ მონაგები ქონებას ნიშნავს.

ქართულ ძეგლებში მრავალგზის გვხვდება ტერმინი ნივთი. ზემოთ ჩვენ მივუთითეთ სულხან-საბა ორბელიანისა და ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ამ ტერმინის შესახებ. ამჯერად მოვიყვანოთ სხვა მასალები: „გაბრიელ დიდებულმან... მისცა კირით ხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებლად“. აქ „ნივთი“ მასალას, სხვადასხვა საამშენებლო საშუალებებს უნდა ნიშნავდეს.

„ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნულია: „იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი“ ან „მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან. აქ ორივე ადილას ნივთი საშუალებას ნიშნავს, იგი მატერიადაც, ქონებადაც მოიაზრება. სწორედ ამის გამო ნივთი შეიძლება ვივარაუდოთ რომაული res, ანუ ზოგადი მნიშვნელობით. ნივთის ზოგადი მნიშვნელობის, ანუ რომაული res-ის შესახებ ტერმინი IX-XIII საუკუნეებში ივარაუდება, მაგრამ შემდგომში, ანუ XIV საუკუნიდან, ნივთი თითქმის აღარ იხმარება, აღარ წარმოადგენს რომაული res-ის შესატყვის ტერმინს. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ის მოსაზრება, რომ ქართულ წყაროებში ვერ ეპოულობთ ნივთის რომაული res-ის შესატყვის ტერმინებს, ჩვენი აზრით, ძალზე კატეგორიული უარყოფაა, რადგან გარკვეულ პერიოდში, უფრო ზუსტად XIV საუკუნემდე, ნივთი გამოხატავდა რომაული res-ის მნიშვნელობას, ანუ იგი იყო ზოგადი ტერმინი.

ქართულ წყაროებში მრავალგზის გამოიყენებოდა ტერმინი „საქონელი“. ამ ტერმინს ზოგიერთი მეცნიერი (ი. აბულაძე) განმარტავს როგორც ქონებას, შენაძენს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით „საქონელი“ უსულო ხვასტაგია, უსულო ნივთებია. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონით „საქონელი“ მონაგები, ნივთი ან თეთრი, ან საფასურია. „საქონელი“ ზოგჯერ განმარტებულია როგორც შინაური პირუტყვი („ძეგლისდება“, მუხ. 44-45). ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში „საქონელი“ უმეტეს შემთხვევაში უსულო მოძრავ საგანს ნიშნავს. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვითაც „საქონელი“ ასევე უმეტესად უსულო,

უძრავი საგანია, მაგრამ ზოგან პირუტყვადაც მოიაზრება (მუხ. მე-17). საქონლის შესახებ ნივთებთან მიმართებაში შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ტერმინი ,,საქონელი" სხვადასხვა მნიშვნელობისა და შინაარსის მატარებელი იყო. ყველა ეპოქაში ,,საქონელი" ნიშნავდა როგორც სულიერ, ისე უსულო სიკეთეს, ღირებულებას. ძალზე იშვიათად, მაგრამ იგი ზოგადად ქონების აღმნიშვნელი ტერმინია. გვიანფეოდალურ საქართველოში ,,საქონელი" შინაური ცხოველების გამოსახატავად გამოიყენებოდა. ამავე დროს, უსულო საგანსაც ნიშნავდა.

,,ქონებისა" და ,,საქონლის" შესახებ თავის მოსაზრებებს გამოთქვამს ივ. ჯავახიშვილი. იგი მიუთითებს, რომ IX-XII საუკუნეებში ,,ქონება" საკუთრებას კი არ ნიშნავდა, არამედ დროებითი მფლობელობის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფ. ივ. სურგულაძე და აღნიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილი ცდება, როცა აღნიშნავს, რომ ,,ქონება" დროებითი მფლობელობა იყო და ასაბუთებს, რომ ,,საქონელი" და ქონება ნიშნავდა ნივთებს, ზოგჯერ ნივთების ზოგად ცნებად მოიაზრებოდა.

საკუთრების უფლება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, პირადი საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინი იყო საზეპურო. ეს ტერმინი წარჩინებულ პირთა საკუთრების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. იგი არ არის საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი. მოგვიანებით ამ ტერმინმა დაკარგა მნიშვნელობა და ,,გაიმარჯვა საკუთრებამ".

ტერმინი ,,საკუთრება" გვხვდება V საუკუნიდან (,,შუშანიკის წამებაში"). საკუთრების უფლების შესახებ კი პირველი ცნობა მოცემულია ბასილ ზარზმელის ნაწარმოებში ,,ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, სადაც აღნიშნულია, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ ანდერძით ,,ყოველივე, რაი აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვისა" (ხაზი ჩვენია, — ვ.მ). ამ გამონათქვამში პროფ. ივ. სურგულაძე საკუთრების უფლების განყენებულ ცნებას ხედავს[1].

[1] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. თსუ შრომები, 1949, ტ. XXXV; მასვე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1985, გვ. 49.

შემდგომი ხანის ძეგლებში ეს ტერმინი არაერთგზის გვხვდება, მაგრამ გამოკვეთილად და გასაგებად არ არის წარმოდგენილი თუ რა არის საკუთრება და საკუთრების უფლება. ჩვენი ვარაუდით, საკუთრებაზე ადრინდელი ტერმინი ქართულში უნდა ყოფილიყო უფლება. ჯერ კიდევ ძველი ალთქმის წიგნებში უფალი ბატონის, მფლობელის, მესაკუთრის სინონიმად გვხვდება, ხოლო უფლება საკუთრებას უდრის. ამასვე გვაფიქრებინებს სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: „უფალი — პატრონი, ვაჟი, გინა ღმერთი“. იქვე განმარტებულია უფლება: „უფლება არს უდარესთა ზედა ოდენ ქონებად უმეტესობისაჲ, არამედ ზოგად ყოველთა კეთილთა და სახიერთა ყოვლითურთ ყოვლად მომგებლობაჲ და ჭეშმარიტი და ყოვლად განუკრძომელი მტკიცედ პყრობაჲ, ვინცა უფლად ითქმის მფლობელობისათვის სიმტკიცისა და საკუთრებისათვის“. აქედან ჩანს, რომ უფლება ანუ საკუთრება მოიცავს: 1) „ზოგად ყოველთა კეთილთა და სახიერთა ყოვლითურთ ყოვლად მომგებლობაჲ“; 2) „ჭეშმარიტი და ყოვლად განუკრძომელი მტკიცედ პყრობაჲ“. დღევანდელი ტერმინოლოგიით ზემოთ აღნიშნულში ჩანს, რომ უფლება (საკუთრება) გულისხმობს და მოიცავს სარგებლობასა და მფლობელობას, ანუ მტკიცედ პყრობას.

სულხან-საბა ორბელიანი საკუთრებას ცალკე არ იხილავს, მაგრამ მსჯელობს უფლებაზე და მიუთითებს: „ვინცა უფლად ითქმის, მფლობელობისათვის სიმტკიცისა, და საკუთრებისათვის“. აქედან ის აზრი ჩანს, რომ უფალი, უფლების მქონე მტკიცე მფლობელიცაა და მესაკუთრეც, ანუ განმკარგველიც.

ტერმინი „საკუთრება“ უნდა მოდიოდეს „კვეთიდან“, გამოკვეთიდან, ანუ გამოყოფიდან, სათავისოდ გამოცალკევებიდან. ვფიქრობთ, საკუთრება თავდაპირველად მიწაზე წარმოშობილი „გამოკვეთილი“ უფლებიდან წარმოდგა.

ძველი ქართული სამართლისა თუ სხვა ხასიათის ძეგლების ანალიზით შესაძლებლობა იქმნება მიახლოებით გაირკვეს საკუთრების უფლების შინაარსი.

ქართულ სამართალში საკუთრება განსაზღვრულია როგორც სრული და განსაკუთრებული ბატონობა სხვადასხვა სახის სიკეთეზე, ანუ საკუთრების უფლების ობიექტებზე. ასეთია: მიწა, წყალი, საძოვარი, სათიბი, სანადირო თუ სათევზაო ადგილები, ტყე (უძრავი საკუთრება). მეორე მხრივ, საკუთრების უფლების ობიექტებს წარმოადგენდა მოძრავი ქონება.

ქართულ სამართალში მფლობელობის (საკუთრების უფლების ერთ-ერთი ელემენტი) აღსანიშნავად გამოიყენებოდა ქონება. ამასთან, გაზვიადებული იქნება გვემტკიცებინა საკუთრებასა და ქონებას შორის დემარკაციული ხაზის არსებობა. ზოგჯერ მფლობელობა საკუთრებას ემთხვევა.

გავარკვიოთ საკუთრების უფლების ობიექტები ქართული სამართლის მიხედვით.

მაგრამ საკუთრების უფლების ობიექტების გარკვევამდე საჭირო ხდება კვლავ შევეხოთ ნივთების ცნებასა და კლასიფიკაციას.

როგორც აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის მითითებით, გულმოდგინე ძებნის მიუხედავად, ქართულ ძეგლებში ვერ ვხვდებით ნივთების ზოგად ცნებას, რომელიც შესატყვისი იქნებოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთებისა. სამაგიეროდ, ივ. ჯავახიშვილი ნივთებს ყოფს: 1) **სახმარ და უხმარ ნივთებად**; 2) **მოძრავ და უძრავ ნივთებად**; 3) **ჭურჭელი**.

სახმარი და უხმარი შეიძლება ყოფილიყო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება თუ ნივთი. სახმარი გულისხმობდა ნივთის ისეთ თვისებას, რომლის ხმარება-გამოყენება, მისი სასარგებლო თვისებებით სარგებლობა შეიძლებოდა.

ჭურჭელი — მოძრავი უსულო საკუთრებისა და ქონების აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენებოდა.

მოძრავი და უძრავი ქონების (ნივთების) დაყოფას საფუძვლად ედო მისი გადაადგილების შესაძლებლობა.

ნივთების კლასიფიკაციის შემდგომ იქმნება შესაძლებლობა ვიმსჯელოთ საკუთრების უფლების ობიექტებზე ქართულ სამართალში.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ ანდერძით საკუთრების უფლებით თავის დასა და დიშვილებს დაუტოვა: 1) სხვადასხვა სახის ქონება; 2) მამული; 3) ეკლესიები; 4) მონაგები. ამრიგად, VIII საუკუნისათვის საკუთრების უფლების ობიექტებს წარმოადგენდა ზემოთ აღნიშნული სიკეთეები. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ნაანდერძევში მოხსენებული ოთხივე სახის სიკეთე განსხვავებული ცნებების აღმნიშვნელი იყო და სხვადასხვა იურიდიულ რეჟიმს ექვემდებარება[1].

ქონება. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, IX-XIII საუკუნეებში

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 287.

დროებითი მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ასეთი ქონების გასხვისება მქონებელს არ შეეძლო.

ქონება, ანუ „მფლობელობა" ორგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო: ა) განსაზღვრული ვადით; ბ) მემკვიდრეებისათვის გადაცემის უფლებით. ეს უკანასკნელი, მართალია, გადაეცემოდა მემკვიდრეებს, მაგრამ საკუთრებად მაინც არ იქცეოდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქონება, ანუ მფლობელობა შეიძლებოდა ყოფილიყო: 1) კანონიერი; 2) უკანონო, ანუ დაჩემებით, ანუ ძალმომრეობით მიტაცებული ქონება. მას ეწოდებოდა „ქონებაჲ საავაზაკოჲ" ან „ქონებაი წარყუნილი". ამრიგად, ქონება არ წარმოადგენდა საკუთრებას, არამედ დროებითი მფლობელობა იყო. მქონებელს შეეძლო ქონებიდან სარგებლობის მიღება ანუ მისი გამოყენება, მაგრამ განკარგვის უფლება არ ჰქონდა.

პროფ. ივ. სურგულაძე არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ IX-XIII საუკუნეებში საქართველოში მფლობელობის გამოსახატავად გამოიყენებოდა „ქონება", „ქონება არ უნდა ყოფილიყო მფლობელობის აღმნიშვნელი ცნება". მისი აზრით, ძველ ქართულში „მფლობელობა" პოლიტიკური ხელისუფლების აღმნიშვნელი ტერმინია"[1]. ივ. სურგულაძე უარყოფს ასევე, რომ ლათინური „possesio" — შესატყვისი იყოს ქართული „ქონებისა". მისი აზრით, ქართული ძეგლები არ იცნობენ რომაული „possesio"-ს შესატყვის ცნებას, მაგრამ მასთან, ე.ი. „possesio"-სთან ახლო დგას „ჭერა"[2].

როგორც ძველ ქართულ სამართალში, ისე XIII საუკუნიდან ნაწარმოები ტერმინად ჩანს საქონელი. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „საქონელი" იგივე იყო, რაც ქონება. მას მიაჩნია, რომ საქონელში პირუტყვიც იგულისხმებოდა. პროფ. ი. დოლიძეს არ მიაჩნია სწორად, რომ საქონელში პირუტყვიც იგულისხმებოდა. ი. დოლიძის აზრით, საქონელი უსულო მოძრავ ქონებას გულისხმობს, ხოლო „ზვასტაგი" — როგორც უსულო, ისე სულიერ მოძრავ ქონებას[3]. აღნიშნულის დასამტკიცებლად პროფ. ი. დოლიძე აანალიზებს ბექა-

---

[1] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით. თსუ შრომები, 1949, ტ. XXXV, გვ. 224.

[2] იქვე, გვ. 249.

[3] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 145.

აღბულას სამართლის წიგნის სათანადო მუხლებს და დაასკვნის, რომ საქონელი გულისმობს ყოველგვარ ნივთს, ამასთან, ტერმინი „სასაქონლო“ მოძრავი ქონების აღმნიშვნელი ტერმინი იყო[1].

მამული, როგორც საკუთრების უფლების ობიექტი, ნიშნავდა მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას, მიწას. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით მამული ზოგჯერ საოჯახო უძრავ ქონებასაც მოიცავდა, მაგრამ „ჩვეულებრივ და არსებითად „მამული“ მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას ნიშნავდა, რომელშიაც მამის უძრავ-მოძრავის გარდა, რასაკვირველია, დედის ნამზითევიც და მონაგებიც შეიძლებოდა რეულიყო, რამდენადაც შვილები თავიანთი დედის საკუთრების, დედულის კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ“[2].

მამულის ანუ მიწის საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა გზები არსებობდა საქართველოში: **მკვიდრობა, დამკვიდრება, განჩემებად, სამკვიდრებლად განჩემებაი, განთვისებად, ნაშობი, ნაჭირვები** ანუ **ნაბოძები, ნასყიდი, ნაჩუქარი, შეწირული, ნამზითვი, ნაწყალობევი.**

მამული როგორც მკვიდრი – ნიშნავდა მამულის მემკვიდრეობის უფლებით გადაცემას, „მკვიდრი“ მამული იყო საკუთარი მამული, მასზე მესაკუთრის შეუზღუდავი უფლება არსებობდა.

შეიძლებოდა არსებულიყო ასევე ნაწყალობევი მამული სამკვიდროდ ანუ „სამამულოდ და მკვიდრად“, ერთგული სამსახურის პირობით. მამული თავდაპირველად გამოხატავდა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ მიწას, შემდგომში კი მამულის ცნების ქვეშ იგულისხმებოდა ყველა სახის მიწა, შეძენის გზებისა თუ კუთვნილების მიუხედავად.

პროფ. ი. დოლიძის დასკვნით, XIII საუკუნიდან დაწყებული ქართული სამართლის ძეგლები, მათ შორის ბექასა და აღბუღას სამართალი უძრავ ქონებას სამამულოს უწოდებს[3].

დროებით მიწათსარგებლობის სახეს წარმოადგენდა საკარგავი, რომელიც მამულს უპირისპირდება და შეესაბამება ბენეფიციუმს. მოსაკარგავე ის პირია, რომელიც მეფის ხელისუფლებისაგან

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 146.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 281-282.

[3] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 151.

ღებულობს მიწის ნაკვეთს „საკარგავს“, ერთგული სამსახურისათვის. საკარგავი VIII-X საუკუნეებიდან არსებობდა. განსაკუთრებით გავრცელდა გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მეფე უხვად აძლევდა ერთგულ მსახურთ მიწას და აქცევდა მათ მოსაკარგავად. საკარგავი თავის მნიშნელობას კარგავს XII საუკუნიდან, გვიანფეოდალურ საქართველოში საკარგავი მიწათმფლობელობის მნიშვნელობით აღარ იხმარება.

ფეოდალურ საქართველოში საკუთრების უფლების ობიექტს წარმოადგენდა ასევე მონაგები. ფართო მნიშვნელობით იგი გულისხმობდა ყოველგვარ საკუთრების ერთბლიობას, რაც „მოგებული“ იყო. მასში შედიოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი შენაძენი.

საკუთრების უფლების სუბიექტებად გვევლინებიან როგორც იურიდიული პირები (სახელმწიფო, სამეფო, სამთავრო, სოფელი, თემი, ხევი, ციხე, ეკლესია, გარკვეული გაერთიანებანი), ისე ფიზიკური პირები: მეფე, მეფის ოჯახის წევრები, დედოფალი, ცალკეული ფეოდალები, თავად-აზნაურობა, ყმა-გლეხობა.

საკუთრების უფლების წარმოშობის გზები და საშუალებები. საკუთრების უფლების შეწყვეტა

სამოქალაქო სამართლის თეორია საკუთრების წარმოშობის თავდაპირველ და ნაწარმოებ გზებს იცნობს.

საკუთრების უფლების თავდაპირველი გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას, ანუ საკუთრების ობიექტს არ ჰყოლია მესაკუთრე და საკუთრება წარმოიშვა პირველად. საკუთრების უფლების თავდაპირველ გზებს ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის 179-ე, 180-ე, 181-ე, 182-ე, 183-ე მუხლები. საკუთრების უფლების წარმოშობის პირველადი გზაა, მაგალითად, უპატრონო ნივთის დასაკუთრება, გარეული ცხოველებისა თუ ფრინველების ან ნანადირევის მისაკუთრება. ვახტანგის სამართლის წიგნის 254-ე მუხლით საკუთრების წარმოშობის პირველადი გზაა ასევე სამხედრო ნადავლი.

საკუთრების უფლების წარმოშობის ნაწარმოები გზაა, როდესაც ნივთს ან ქონებას, ან საკუთრების უფლების ობიექტს ჰყავდა მესაკუთრე და სხვადასხვა მიზეზით გამოვიდა ეს ქონება ან სიკეთე

მისი საკუთრებიდან და გადავიდა ახალი მესაკუთრის ხელში. ასეთი გზებია: ბოძება (ჩუქება), ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა, მზითევი, გირავნობა, შეწირულობა, მემკვიდრეობა, სასამართლო გადაწყვეტილება.

ჩუქების შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნში არაფერი არ არის მოცემული. სამაგიეროდ ჩუქების შესახებ ლაპარაკია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 61-ე მუხლში: ამ მუხლის მიხედვით მჩუქებელს არ შეუძლია ნაჩუქარის უკან დაბრუნება, ნაჩუქრის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოისპობა ჩუქების მიზეზი. ასეთ მიზეზად დასახელებულია მოყვრობის მოშლა, რის შედეგადაც მჩუქებელს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ ნაჩუქარი ნივთი თუ სხვა ქონება მთლიანად, „დაუკლებლად“.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა იყო ყიდვა-გაყიდვა. ამ გზით წარმოშობილი საკუთრების უფლება მეტად მტკიცე იყო. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით „ნასყიდობის“ მოშლა მეფის გარდა, არავის არ შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მეფეს ადამიანის სულის გარდა ყველაფერზე მიუწვდება ხელი, ნასყიდის ჩამორთმევისაგან მაინც თავი უნდა შეიკავოს: „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას მამული, საქონელი თუ პირუტყვი, დიაღ, ალალი და შესარჩუნი საქმე არის. ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის და თუ ბატონი გაუწყების სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც ეს მართებს, სხვა რიგად რომ კაცმან კაცს გადაახდევინოს ნასყიდი, მაინც არ უნდა მოუშალოს“. ვახტანგის სამართლის მიხედვით უძრავი ქონება წერილობით უნდა იყოს შედგენილი, რათა სხვისი მამული არ იქნეს გაყიდული, „შეტყუებული“ ან თუ მიწა იყიდება, საზღვარი არ იქნეს დარღვეული.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი გზა იყო მზითევი. გაყრის შემთხვევაში მზითევი ცოლსა და მის ნათესავებს რჩებოდა.

საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საშუალება იყო გაცვლა. მიწის გაცვლისათვის წერილობით საბუთს (ხელშეკრულებას) აგებდნენ.

ქართული ლიტერატურული და სამართლის ძეგლების ანალიზით ირკვევა, რომ არსებობდა საკუთრების უფლების წარმოშობის სხვა საშუალებებიც. მათ შორის:

ა) მემკვიდრეობით მიღებული საკუთრება. ძველ ქართულში ამ მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი იყო „მკვიდრობაჲ“. იგი

წარმოსდგა მიწაზე, მამულზე დამკვიდრებიდან. დამკვიდრება შეიძლებოდა წარმომდგარიყო როგორც კანონით, ისე ანდერძით, ე.ი. საკუთრების უფლების წარმოშობის მემკვიდრეობითი გზა გულისხმობდა კანონით ან ანდერძით მიღებულ საკუთრებას;

ბ) **განჩენებით** ანუ საერთო საკუთრებაში (მემკვიდრეობაში) თავისი, საკუთარი წილის გამოყოფით მიღებული ქონება;

გ) **განთავისებით** ანუ გამოცალკევებით, ანუ ერთი პირის მიერ მეორის სასარგებლოდ, სხვისთვის გადაცემით მიღებული ქონება;

დ) **შოვნით** ანუ „ნაშოები" ქონება — საკუთრება. ამ გზით შეიძლებოდა როგორც მამულის, ისე ნივთის დაუფლება. „შოვნა" შეიძლებოდა ასევე ომით ან ხანგრძლივი ფლობით, მიტოვებული თუ „ოხერი" (გაუკაცრიელებული) ადგილების დაუფლებით;

ე) **ნაჭირნახულევი** ანუ ნაჭირვები საკუთრება გულისხმობდა უხმარის სახმარად გადაქცევას, გაკეთილშობილებას, რაც საკუთრებად ხდებოდა.

პროფ. ი. დოლიძე იხილავს რა საკუთრების უფლების შეძენის (წარმოშობის) სახეებს საქართველოში XIII საუკუნიდან (ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით), ეხება საკუთრების უფლების წარმოშობის პირველად და მეორეულ გზებსა თუ საშუალებებს. ი. დოლიძის მითითებით, საკუთრების უფლების წარმოშობის პირველადი გზებია: უპატრონო ნივთის დაუფლება (occupatio) და **საშხედრო** დავლა ანუ ნაშობი. ხოლო საკუთრების უფლების მეორეული ანუ ნაწარმოები გზა იყო: ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობა, ბოძება, ჩუქება და საკუთრების უფლების გადაცემისა და გასხვისების სხვა კანონიერი გზები[1]. სხვა კანონიერ გზებში ი. დოლიძე, ალბათ, გულისხმობს შეწირვას, ხანდაზმულობას, მზითევს, გაცვლას, სასამართლო გადაწყვეტილებას.

ქართული სამართლებრივი და ლიტერატურული ძეგლების ანალიზით შესაძლებელი ხდება გაირკვეს საკუთრების დაკარგვის (შეწყვეტის) ფორმალური (იურიდიული) და მატერიალური საფუძვლები თუ გზები.

ცნობილია **საკუთრების დაკარგვის შემდეგი პირობები:**

ა) სათანადო დაწესებულებაში საკუთრების უფლების დამადასტურებელი **საბუთის** წარუდგენლობა;

---

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 152.

ბ) თუ საბუთი **არ იყო სრულფასოვანი** ან ჰქონდა ფორმალური ნაკლი;

გ) მესაკუთრის ან მქონებლის (მფლობელის) გარდაცვალება და **მემკვიდრეთა არარსებობა;**

დ) **ხანდაზმულობის ვადის გასვლა.** მაგალითად, თუ მესაკუთრე 30 წლის მანძილზე არ სარგებლობდა თავისი უფლებით და არ ეპატრონებოდა თავის ქონებას და ასეთ ქონებას დაეპატრონა გარეშე პირი არა ძალით, მძლავრობით, არამედ რაიმე იძულების გარეშე, კეთილსინდისიერად;

ე) თუ მესაკუთრე (მქონებელი) **არღვევდა იმ პირობებს,** რაც დადებული იყო ადრინდელ მესაკუთრესა ან მქონებელთან.

ქართული სამართლის მიხედვით დოკუმენტების შედგენის ფორმალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დოკუმენტებში ნათლად უნდა ყოფილიყო ფიქსირებული მხარეების ვინაობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, საკუთრების უფლების ობიექტების რაობა, მათი ნიშან-თვისებები, ზომა, წონა. საბუთებში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო მოწმეები და მხარეთა ხელრთვა, ხელმოწერები. საბუთებში აუცილებლად ფიქსირდებოდა საბუთის შემდგენის ვინაობა.

პროფ. ი. დოლიძე იხილავს საკუთრების უფლების დაკარგვის (შეწყვეტის) გზებს ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით. იგი ასახელებს: ხელშეკრულების ფორმის დაუცველობა, ბატონის სამსახურის შეუსრულებლობა, ღალატი, თავდასხმა, მკვლელობა ან სხვა მძიმე დანაშაულები, ვალის ან სისხლის ფასის გადაუხდელობა[1].

საკუთრების უფლების დაცვის გზებსა და საშუალებებზე მსჯელობისას უნდა მივუთითოთ, რომ ქართული სამართალი იცავს საკუთრების უფლებას ნივთსა თუ ქონებაზე სხვისი უკანონო ხელყოფისაგან. ამის დამადასტურებელია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 86-ე მუხლი. აქ მითითებულია სხვისი უკანონო მფლობელობისაგან ნივთის გამოთხოვისა და დაბრუნების კანონიერება, ხოლო თუ მოსარჩელის ნივთი აღარ აღმოაჩნდა უკანონო მიმტაცებელს, ეს უკანასკნელი მოვალეა დაუბრუნოს ნივთი პატრონს, მოსარჩელეს და ნივთის ერთი იმდენი ღირებულება კიდევ დაუმატოს.

აღბუღას სამართალი ასახელებს ნივთების, თუ პირუტყვის

[1] ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 168-172.

გამოთხოვის (დაბრუნების) კანონიერებას სხვისი უკანონო მფლობელობისაგან, ასევე მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

ბექას სამართლის 63-ე მუხლში დასახელებულია კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელმაც არ იცოდა, რომ ნაპარავი ნივთი შეიძინა, მიუხედავად ამისა, მან ნივთი პატრონს დაუბრუნა.

აღბუღას სამართლის 67-ე მუხლში დასახელებულია განათხოვრებული ნივთის მიტაცების შენარჩუნების შემთხვევა. ამ დროს მესაკუთრის სარჩელი მიმართულია არა მიმტაცებლის, არამედ მთხოვნელის მიმართ.

ქართული სამართლით მტკიცედ იყო დაცული მესაკუთრის უფლება უძრავ ქონებაზე. მიწის საკუთრების უფლების შელახვაზე სარჩელის ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა, ე.ი. მიწის მესაკუთრეს თავისი მამულის დაბრუნება შეეძლო უკანონო მფლობელისაგან ნებისმიერ დროს, ვადის გასვლის მიუხედავად. ეს აშკარად ჩანს ბექა-აღბუღას სამართლის 42-ე მუხლიდან.

საკუთრების უფლების სახეები

1. სამეფო საკუთრება. მეფე, როგორც უმაღლესი ხელისუფალი, ყველაზე დიდი მესაკუთრე იყო. მეფე მოიაზრებოდა როგორც მთელი ქვეყ[illegible] ბატონ-პატრონად და მესაკუთრედ. მაგრამ ეს სრული ადაც არ ნიშნავს იმას, რომ მეფე იყო მთელი საქართველოს მიწა წყლის კერძო მესაკუთრე. მეფე უნდა მივიჩნიოთ მთელი ქვეყნის როგორც პოლიტიკ[illegible] ლობელი და არა კერძო მესაკუთრე-მფლობელი.

საქართველოს მეფეს კერძო საკუთრების უფლებით ჰქონდა სამეფო დ[illegible]ნი, რომელიც გულისხმობდა როგორც საქართველოს ტერიტორი[illegible] ე არსებულ სამეფო მიწებს, მამულებს, ასევე დაპყრობილ ტერიტორიებს. მეფეს შეეძლო სამეფო დომენის გარკვეული ნაწილი გ[illegible] აზნაურებისა და სხვა კატეგორიის წარმომადგენლებისათვის სამსახურის ან კერძო საკუთრების უფლებით. ქვეყნის ტერიტორი[illegible] არსებულ სხვა მიწებს (ფეოდალთა მიწებს) მეფე ვერ შეეხებოდა. მეფის მიერ სამსახურის უფლებით გაცემულ მიწებს „საკარგავი" ეწოდებოდა, რომელსაც თავისი იურიდიული რეჟიმი ჰქონდა დაწესებული. საკარგავი კერძო საკუთრება არ იყო. საკარ-

გავის ინსტიტუტი შეერწყა მამულს და XIII საუკუნიდან ისინი ინდენტური ცნებები გახდა.

მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების მფლობიერს, ემორჩილებოდა ქალაქები და ციხეები. მეფეებს თავისი მოხელეები ჰყავდათ ჩაყენებული როგორც ქალაქებში, ისე ციხეებში. ეძ მოხელეთა მეშვეობით კრეფდნენ ბაჟსა და სხვადასხვა სახის გადასახადებს. სამეფო საკუთრება მემკვიდრეობით გადადიოდა შვილზე, თუ იგი მეფე გახდებოდა.

2. აგარაკი. აგარაკი არის მიწის ნაკვეთი, როძელიც კერძო მფლობელობაში აქვს მესაკუთრეს. აგარაკი არ შედის სათემო მიწათმფლობელობაში. მოაგარაკეს, ანუ მიწის მფლობელს ისი თავისუფლად გაყიდვა-გასხვისება შეეძლო. აგარაკის გადაცემა მოაგარაკეს არ შეეძლო მსგავსად ფეოდალისა, თუ ფეოდალი მამულს გადასცემდა თავის ვასალს, ვასალი კიდევ თავის ვასალს და ა.შ. აგარაკი ის მიწის ნაკვეთი იყო, რომლითაც უშუალოდ სარგებლობდა მესაკუთრე ანუ მოაგარაკე, და რომელიც არ გადაეცემოდა ბენეფიციუმის სახით. აგარაკი შეიძლებოდა დასახლებულიც ყოფილიყო და დაუსახლებელიც, ანუ საყანე თუ სხვა სახის სამეურნეო მიწის ნაკვეთი. ქართულ წყაროებში აგარაკი ხშირად მოიხსენიება როგორც ეკლესიისათვის შეწირულობის ობიექტი. აგრაკი გვაინფეოდალური პერიოდის ქართულ წყაროებში მაღალი კლასის წარმომადგენლების ქალაქგარეთ საზაფხულო სადგომებია, დასასვენებელი ანუ სააგარაკო ადგილები.

3. სათემო მიწათმფლობელობა როგორც საკუთრების სახე. სათემო მიწათმფლობელობა წინ უძღვის მიწაზე კერძო საკუთრებას. როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, იგი კოლექტიური საკუთრება, თემის საკუთრება იყო. სათემო მიწათმფლ. კლობა მცირდება სატაძრო, საფეოდალო თუ სამეფო მიწათმფლობელობის გაჩენის ხარჯზე. სათემო მიწათმფლობელობა უფრო ადრეულია, ვიდრე სხვა სახის მიწათმფლობელობა. სათემო მიწათმფლობელ. ბას ახასიათებს კოლექტიური მფლობელობისა და სარგებლობის სახე მიწაზე, წყალზე. ტყეზე, საძოვარზე. სათემო მიწათმფლობელობა გვაროვნული წყობილების დაშლის შედეგად ყალიბდება. სათემო მიწათმფლობელობა ძალზე ძლიერი (ფართო) იყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, მაგრამ შემდგომში იგი სუსტდება სხვა სახის მიწათმფლობელობის გაჩენის გამო. საოემო მიწათმფლობელობისა და, საერ-

თოდ, სათემო საკუთრების გადმონაშთების ასახვას ვხვდებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 169-ე მუხლში: „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი“. თემური მიწათმფლობელობისა და, საერთოდ, თემური საკუთრების ფორმამ თავი შემოინახა უმეტესად მთაში.

4. მამული როგორც საკუთრების სახე. მამული მიწის საკუთრების გამომხატველი ტერმინი იყო. ილია ჭავჭავაძე მამულს სამშობლოს უწოდებს. ასეთივე მნიშვნელობითაა ეს ტერმინი მრავალ ქართულ საერო თუ საეკლესიო წყაროებში. ამჯერად ჩვენ „მამულს“ ვეხებით როგორც მიწაზე კერძო საკუთრების სახეს. ტერმინი „მამული“ მამისეულიდან მოდის. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო მიწა, ასევე სხვა ქონებაც. „მამულის“, როგორც საკუთრების სპეციფიკურობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი, რადგან მამისეული ქონება იყო, მემკვიდრეობით გადაეცემოდა. „მამული“ განსხვავდებოდა სამეფო მიწისაგან. მამული შეიძლებოდა ჰქონოდა მეფეს, ფეოდალს, გლეხსა და ეკლესიას, თეშს...

„მამულის“ რაობის შესახებ საუბარია ქართული საკანონმდებლო ძეგლებში. მაგალითად, „ძეგლისდების“ მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-9, მე-11 მუხლებში. აქ დასახელებულ მუხლებში ყველგან „მამული“ მიწის ნაკვეთის მნიშვნელობით არის წარმოდგენილი.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მე-2, მე-3, მე-4 მუხლებშიც მამულის ოდენობაზეა საუბარი, აქაც მამული მიწის ნაკვეთია, რომლის სიდიდე განსაზღვრავს ფასს. ამავე სამართლის 33-ე მუხლის მიხედვით მამულად მოიხსენიება ის ფეოდალი, ვისაც „ციხე-საჯდომი“ აქვს.

მამული მოხსენებულია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის 36-ე, 42-ე, 44-ე მუხლებში. აქ ზოგან მამულის ცნებაში იგულისხმება არა მარტო მიწა, არამედ სხვა ქონებაც, მემამულე ნიშნავს მიწის მფლობელსაც და ამ მიწაზე აგებულ შენობებსა თუ სხვა ნაგებობებსაც.

მამულზე საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. 110-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ნაბიჭვრის წილი არ არის მამულში“. სხვა მუხლების მიხედვით, „მამული“ ყველგან მიწის ნაკვეთია, რომელიც ეკუთვნის ფეოდალს, ბატონს (მემამულეს), აზნაურს, საყდარს, გლეხსა და ბუშსაც კი.

ქართული წყაროების მიხედვით სამემკვიდრეო ქონებაა და წარმომდგარია „მამულისაგან“, ანუ მამისეულისაგან. მას ბევრგან „სამკვიდრო“ ეწოდება, რადგან მემკვიდრეობით გადადიოდა.

ვალდებულებითი სამართალი

ვალდებულებითი სამართალი სამოქალაქო სამართლის სფეროში შედის. ძველი ქართული ვალდებულებითი სამართალი უკანასკნელ პერიოდამდე შეუსწავლელი იყო. ქართული სამართლის ისტორიის ფუძემდებელი, დიდი იუ. ჯავახიშვილი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ქართული ვალდებულებითი სამართლის შესასწავლად სამოქალაქო სამართლის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე ნაკლები მასალებია შერჩენილი. ამიტომ ბევრი რამე ჯერ კიდევ ბუნდოვანი რჩება, და მთლიანად სურათის აღდგენაც შეუძლებელი ხდება“[1]. ეს ნაკლი უკანასკნელ პერიოდში გარკვეულად გამოსწორდა იმ მხრივ, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ შესწავლილ იქნა ვალდებულებითი სამართლის ცალკეული ინსტიტუტები. კერძოდ, პროფ. გ. ნადარეიშვილმა შეისწავლა სესხის ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალში, ხოლო ნასყიდობის პრობლემას საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა კ. ბზიშვილმა. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში პროფ. ი. ფუტკარაძის დამსახურება. მან ვალდებულებითი სამართლის პრობლემებზე რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა, ხოლო ცოტა მოგვიანებით თავისი კვლევის შედეგები სადოქტორო დისერტაციაში წარმოადგინა და წარმატებით დაიცვა 2002 წლის მარტში თემაზე „ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები“. ამ ნაშრომში ი. ფუტკარაძე ძირითადად ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებებს იხილავს, ასეთია ვალდებულებითი სამართლის ხუთი ინსტიტუტი: ნაჩუქრობა, ქონების ქირავნობა, პირადი ქირავნობა, ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობა (ნათხოვრობა) და სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება. აქედან სამი მათგანი სასყიდლიანი გარიგებაა, ხოლო ორი – ნაჩუქრობა და ნათხოვრობა მიეკუთვნება უსასყიდლო გარიგებათა ჯგუფს.

ვალდებულების უძველესი ტერმინი „obligo“ – „obligatio“ ძველი რომიდან მოდის. ამ ტერმინს ვხვდებით XII ტაბულის კანონებში. „obligo“ – „obligatio“ ნიშნავდა შებოჭვას, დაბორკილებას, შეკვრას, მიბმას, რამაც შემდგომში ვალდებულების შინაარსი მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ რომში XII ტაბულის კანონების მიხედვით

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებები 12 ტომად, ტ. VII, გვ. 309, თბ., 1984.

„obligatio“ მართლაც დაბორკილებას ნიშნავდა. ვალის გადაუხდელობისათვის მევალეს ბორკილებს დაადებდნენ. ამასთან, წინასწარ იყო განსაზღვრული ბორკილის სიმძიმეც. ლათინური (რომაული) ტერმინი „obligatio“, რომელსაც შებოჭვის, შეკვრის მნიშვნელობა ჰქონდა (ზოგჯერ გადაბმა, გადაჭდობა, გადახლართვა), უცვლელად შევიდა ევროპის ხალხების ენებში და სამართლებრივ ლექსიკონში. რუსულში „объязательство“ – ვალდებულების შინაარსიდან წარმოდგა ანუ обвязывание, ანუ გადაჭდობა, ურთიერთდაკავშირება, ურთიერთჩახლართვა. ურთიერთდაკავშირებიდან ანუ ურთიერთგადაჭდობიდან წარმოდგა ხელების გადაჭდობა გარიგების დროს. ქართულში ვალდებულების გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას ხომ „ხელშეკრულება“ ანუ ხელის შეკვრა, ხელების გადაჭდობა ეწოდა. „ტერმინი“ ხელშეკრულება როგორც ვალდებულების წარმოშობის სახე, ძალზე გვიანდელი უნდა იყოს. ძველ ქართულში ვალდებულების გამოსახატავად ტერმინი „თანა-დება“ გამოიყენებოდა, „თანამდები“ კი მოვალე იყო. ზოგან „თანდება“ მოვალეობას გამოხატავს. უფრო მოგვიანებით ტერმინი „თანდება“ ადგილს უთმობს ტერმინს „ვალი“, ხოლო გვიანფეოდალურ საქართველოში შემოდის ტერმინი „ვალდებულება“, რომელიც ტერმინ „ვალის“-გან არის ნაწარმოები.

ისევე როგორც რომის სამართალში ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები იყო: გარიგება (ხელშეკრულება), ზიანის მიყენება (დელიქტი) და სხვა საფუძვლები, მაგალითად, უკანონო ანუ უსაფუძვლო გარიგება.

ქართული სამართლის მიხედვით ვალდებულებაში მონაწილეობს ორი მხარე (ორი პირი) – კრედიტორი და დებიტორი. ეს ტერმინები ქართული არ არის, მაგრამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ საკანონმდებლო თუ სხვა წყაროებშიც. შესაძლებელია იმიტომ, რომ მათი შესატყვისი ქართული ტერმინები ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, სხვადასხვა შინაარსისაა და ვერ ასახავს ამა თუ იმ ქმედების ნამდვილ არსს. მაგალითად, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მიხედვით „მევალე“ – კრედიტორია., სომხური სამართლის ქართული ვერსიით კი კრედიტორია „მოვალე“ და არ მევალე. ზოგჯერ ამავე სამართლით „მოვალე“ დებიტორსაც აღნიშნავს. ვახტანგის სამართლის წიგნში „მოვალე“ კრედიტორსაც აღნიშნავს და დებიტორსაც. ამიტომაც კრედიტორისა და დებიტორის შესახებ მათი უფლება-მოვა-

ლეობების ანალიზით უნდა გავარკვიოთ რომელია კრედიტორი და რომელი დებიტორი. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით „მევალე“ კრედიტორია, ხოლო „მოვალე“ დებიტორი. ზუსტად ასეთი შინაარსით არის განსაზღვრული „მევალე“ და „მოვალე“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. აღნიშნული ტერმინების შინაარსის სწორად გამოსახატავად თანამედროვე კანონმდებლობამ ლათინური წარმოშობის ტერმინები აირჩია: კრედიტორი და დებიტორი.

ვალდებულებითი სამართლის თეორიაში კრედიტორსა და დებიტორს ვალდებულების **სუბიექტებს** უწოდებენ. ამასთან, კრედიტორი და დებიტორი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც თითო-თითო პირი, ისე რამდენიმე, როგორც ერთ მხარეზე (კრედიტორის), ისე მეორე მხარეზე (დებიტორი). ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულების ერთ მხარეზე გამოდიოდა ერთი პირი (სუბიექტი), მეორე მხარეზე კი რამდენიმე პირი (იგულისხმება როგორც კრედიტორის, ისე დებიტორის მხარე).

ვალდებულების სუბიექტებს (მოქალაქეებს) წაყენებული ჰქონდათ მთელი რიგი მოთხოვნები: სრულწლოვანება, გონებრივი სიჯანსაღე, თავისუფლება, სახელგაუტეხლობა და სხვ. ვალდებულების ზოგიერთი სუბიექტი ვერ სარგებლობდა სრული უფლებაუნარიანობით, მაგალითად, ყმას თავისუფლად არ შეეძლო დაედო ხელშეკრულება ბატონის ნებართვის გარეშე.

ქართული სამართლის მიხედვით **ვალდებულების შესრულების** ობიექტი იყო გარკვეული მოქმედების შესრულება ან მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება, ხოლო ვალდებულების საგანი იყო ნივთები და სხვადასხვა სახის ფასეულობები, სიკეთენი. ქართულ სამართალში ჩანს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის აუცილებლობა, გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილზე, გარკვეული ხარისხით ანუ სათანადოდ.

ქართული სამართლის მიხედვით **ვალდებულების შეწყვეტის** საფუძვლები იყო ვალდებულების შესრულება, მხარეთა შეთანხმება ვალდებულების შეწყვეტაზე, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობის შესაძლებლობა ობიექტური მიზეზების გამო (პირის გარდაცვალება ან სტიქიური მოვლენები).

ქართული სამართალი მსგავსად რომაული სამართლისა, იცნობს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებს:

პირგასამტეხლოს, ბეს, გირავნობასა და თავდებობას.

ქართული წყაროების მიხედვით ბესა და პირგასამტეხლოს აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი წინდი. წინდი ნიშნავდა გირაოსაც, ნივთს, საჩუქარს, ნიშანს ქალწულის დანიშვნისას. ივ. ჯავახიშვილის მითითებით წინდი ნიშნავდა ბეს[1], ასევე ვალის ამოღების ანუ სესხის გადახდის უზრუნველყოფის საშუალება ქონებრივი სახსარი იყო[2]. ივ. ჯავახიშვილის მითითებით წინდი არა მარტო ვალს, არამედ ყოველგვარი ვალდებულებისა და ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება იყო. ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება მ. კოვალევსკის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ქართული „წინდი" სომხურიდან უნდა იყოს შემოსული და მიუთითებს, რომ თვით სომხებს ამ ცნებისათვის საკუთარი ტერმინი არ აქვთ და სპარსულიდან ნასესხები „გრავ" – გირაოს იყენებენ, ქართული წინდი კი ნასესხები არ არის[3]. მეცნიერის აზრით, „წინდი" წინასწარ მიცემული ქონება იყო ვალდებულების შესასრულებლად.

წინდი, როგორც საცოლის დანიშვნის გამომხატველი სიტყვა „დაწინდვა", გულისხმობდა საცოლისათვის ნივთების მიტანას, სამკაულის, ბეჭდისა და სხვა სახით, რითაც მხარეები ადასტურებდნენ მომავალი ქორწინების უზრუნველყოფას. ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით საწინდარს გირაოს მნიშვნელობა ეძლევა (იხ. ბექა-ალბუღას სამართალი, 43-ე, 44-ე მუხლები).

რაც შეეხება ტერმინ „პირგასამტეხლოს", იგი ქართული სამართლის ან სხვა სახის ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი გაიგივებულია წინდთან. ეს ტერმინი ძალზე ახალია. რაც შეეხება ტერმინ „ბე"-ს, ისიც არ მოიპოვება ძველ წყაროებში, მაგრამ მას ვხვდებით ვახტანგის სამართალში, სომხურისა და ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიებში.

ამრიგად, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებების – პირგასამტეხლოს, გირაოსა და ბეს შინაარსის გამომხატველი იყო ტერმინი „წინდი", „წინდთან" სიახლოვეს იჩენს „დახუთვა". ივ. ჯავახიშვილი ამ ტერმინს ეხება „წინდთან" დაკავშირებით და მიუ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., 12 ტომად, ტ. VII, გვ. 331.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თითებს, რომ „ნახუთევი“ ზუსტად „წინდი“ კი არ არის, არამედ წინდის დაუბრუნებლობას, დაკავებას, დაჭერას ანუ „დახუთვას“ ნიშნავდა. ჩვენი აზრით, „დახუთვა“, „ნახუთევი“ დაგირავებული ქონების, ნივთის დაჭერას, არდაბრუნებას, შენარჩუნებას უნდა ნიშნავდეს. ეს ჩანს ქართული სამართლის სხვადასხვა ძეგლებიდან, მაგალითად, ბექა-აღბუღას სამართლის 88-ე მუხლის მიხედვით „თუ კაცმან კაცსა... დაჭირვების ჟამსა საქონელი სთხოს, განაღამცა მისცა, მერმე უკანის სამდურავისათვის დაჭირვას დახუთვასა არას ემართლების...“. ამრიგად, „დახუთვა“ დაჭერას, არ დაბრუნებას ნიშნავს და წინდთან თუ გირაოსთან მისი კავშირი სანქციის სახით ვლინდება.

როგორც აღინიშნა, ქართულ სამართალში ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა გირაო, გირავნობა. ვახტანგის სამართლის წიგნში ტერმინ „გირაოს“, „გირავნობას“ ვერ ვხედებით. მაგრამ მის ნაცვლად გამოყენებულია „ნახუთევი“, „დახუთვა“, ე.ი. დაჭერილი, დაკავებული, დაჭერა, დაკავება, არ დაბრუნება ნივთისა თუ ქონებისა.

ვალდებულების უზრუნველყოფის ანუ შესრულების საშუალებად ქართული სამართალი იცნობს ასევე თავდებობას.

თავდებობის ინსტიტუტი რომის სამართლიდან იღებს სათავეს. იგი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება იყო. სამართლის ისტორია იცნობს როგორც წერილობით, ისე სიტყვიერ თავდებობას.

ქართული სამართლის მიხედვით ტერმინი „თავდებობა“ გულისხმობდა ხელშეკრულებაში (ვალდებულებაში) მესამე პირის ჩართვას და მის მიერ ვალდებულების შესრულების „თავს დებას“, თავის თავზე აღებას, უზრუნველყოფას. ხშირად თავდებობის გზით ვალდებულების შესასრულებლად თავდების ქონებაც გამოიყენებოდა.

ისტორიულად თავდებობა მჭიდრო კავშირში იყო წინდთან. ხშირად წინდი თვით თავდები იყო. თავდებობა ერთგვარად უკავშირდება მძევლობასაც. ზოგჯერ თავმდები და მძევალი ერთი და იგივე პიროვნებაა.

თავდებობის შესახებ უძველესი საკანონმდებლო წყაროები არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ მასზე საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და კრებულში შესულ უცხოურ სამართლის ძეგლებში.

ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მიხედვით (მუხლი 89-ე) „უკეთუ დედაკაცი თავისი ქმრის თავდებათ დადგეს რისთვისამე,

ნუ ირწმუნებენ“, ე.ი. ცოლი არ შეიძლებოდა ქმრის თავდებად გამოსულიყო. ამავე სამართლის 107-ე მუხლით, არავის არა აქვს უფლება სამეფო საკუთრების ან საეკლესიო საკუთრების განსხვისებისა არც ცხადად, არც ფარულად, არც დაწერილი ან დაუწერელი ფორმით და არც თავდებობით. ამავე სამართლის მიხედვით (მუხლი მე-200), საეკლესიო მოღვაწეს ეკრძალება თავდებად დადგომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქრისტიანს ცილს სწამებენ, ან ვალისათვის აწუხებენ. ბერძნული სამართლის 201-ე მუხლის მიხედვით, საეკლესიო მოღვაწეები თუ სასამართლოში საჩივარს შეიტანენ, სასამართლოს მათთვის თავდები არ უნდა მოეთხოვა. იმ შემთხვევაში, თუ ეპისკოპოსი ჩიოდა სასამართლოში, მას არც თავდები სჭირდებოდა და არც თამასუქი. 203-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმემ სესხი აიღოს თავდების საშუალებით, კრედიტორმა სესხი თავდებს კი არ უნდა მოსთხოვს, არამედ დებიტორს. თუ დებიტორი არ იხდის სესხს, აშ შემთხვევაში კრედიტორი ანუ გამსესხებელი უფლებამოსილია ვალის გადახდა მოსთხოვოს თავმდებს. თუ დებიტორი დაიმალა, კრედიტორმა სასამართლოს ძალით თავმდებს პირობა უნდა დაადებინოს, რომ განსაზღვრულ ვადაში მოუყვანს მოვალეს ვალის გადასახდელად. თუ თავდებმა ეს არ გააკეთა, მაშინ მან უნდა გადაიხადოს ვალი. 204-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცმა კაცს სესხად ფული მოსთხოვა და მას არ იცნობს, გამსესხებელმა უნდა ჰკითხოს ვინმეს თუ როგორი კაცია მსესხებელი და თუ გარეშე პირმა დადებითად დაახასიათა მსესხებელი, რის შემდეგ მსესხებელმა ისესხა თანხა, მაგრამ აღარ გაისტუმრა, პასუხისმგებლობა თავმდებს ეკისრება.

ბერძნული სამართლის მიხედვით, დედაკაცი თავდებად არ შეიძლება დადგეს, მაგრამ თუ მაინც დაიყენეს თავდებად, მას სასამართლოში მისვლის უფლება არა აქვს, ე.ი. დედაკაცის თავდებობა გამორიცხულია (მუხლი 205-ე).

ბერძნული სამართლის 206-ე მუხლის მიხედვით, თუ ქალი თავდებად დადგა და ვალი გადაუხადა მევალეს, ის ამ ვალს მევალისაგან ვეღარ დაიბრუნებს, იმიტომ, რომ დედაკაცი თავდებად არ უნდა დამდგარიყო.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის სომხური სამართლის ქართული ვერსიის რამდენიმე მუხლში საუბარია თავდებობაზე.

სომხური სამართლის მე-5 მუხლის მიხედვით, თუ გარდაცვ-

ლილის სიმამრმა მოისურვა გარდაცვლილის ოჯახის გაძღოლა, ამისათვის საჭიროა, რომ ხელისუფლებამ სიმამრს თავდებით ჩააბაროს სიძის ოჯახი და ცოლ-შვილი. ამავე მუხლით ხელისუფლებამ ობლებს შეიძლება დაუნიშნოს მზრუნველი, რისთვისაც საჭიროა თავდებობა, თავდების დანიშვნა. თუ გარდაცვლილმა ანდერძით ჩააბარა მზრუნველს თავისი ოჯახი, მაშინ აქ თავდები საჭირო აღარ არის. სომხური სამართლის ქართული ვერსიაც არ მიიჩნევს, არ ცნობს ქალის თავდებობას (მუხლი 78-ე). 103-ე მუხლის მიხედვით, მამას შვილის ვალს ვერავინ სთხოვს, თუ ვალი მამის ბრძანებით არ არის აღებული, ვერც სიძეს მოსთხოვენ სიმამრის ვალს, ვერც ძმას ძმის ვალს, თუ სახეზე არ არიან ვალის ამღების თავდებნი. დასმენის, დაბეზღების. დასამტკიცებლად საჭიროა თავდები და თუ დამბეზღებელი გამტყუნდება, მას უნდა შეუფასონ ის სასჯელი, რაც ბრალდებულს უნდა შეფარდებოდა (მუხ. 115-ე).

თავდებობის შესახებ ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით (მუხლი 68-ე), შეიძლება გლეხს თავდებად დაუდგეს ყმა, მაგრამ თავდებობის ობიექტი არ უნდა აღემატებოდეს ერთ ხარს ან ერთი ხარის ღირებულებას. თავდებობის ნამდვილობისათვის კი თავდებობის ' ·ბუთზე ხელი უნდა მოაწეროს ბატონმა. თუ თავდებობა იკისრა დიდ ·ულმა ან აზნაურმა, პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ (მუხ. 69-ე

ვახტანგის სამართლის წიგნის 235-ე მუხლის მიხედვით თავდებობა ნებაყოფლობით უნდა მოხდეს, ძალით თავდებობა დაუშვებელია: ,,თავდები ამ სამართლით უნდა, რომ თვითონ ნებით მოვალეს და უთავდებოს... ძალად თავდებობის დაყენება ცოდვა არის".

ვახტანგის სამართლის წიგნის 269-ე მუხლი არეგულირებს თავდებად დადგომის წესებს. კერძოდ: ,,კაცი რომ კაც· ·ებად უნდოდეს დასაყენებლად, იმ კაცის ბატონს შეჰკითხოს. ·. ისრე დაიყენოს. და თუ ის კაცი წავიდა სადმე, პასუხი იმავ თავისმა ბატონმა მიაცემინოს. და თუ უბატონოთ დაიყენოს, ყაბული არ არის, ამიტომ რომ, ეგება, იმ თავდებს იმისი ყმობა უნდოდეს, ვისაც დაუდგება, — და არ იქნება". აქედან ჩანს, რომ ყმის თავდებობა არ შეიძლება ბატონის ნებართვის გარეშე. თუ თავდები წაიდა სადმე, პასუხი იმავე ბატონმა უნდა აგოს.

თავდებობის საკითხი მოცემულია ღავით ბაგრატიონის სამართლის წიგნში. ამ წიგნის მიხედვით თავდები უნდა იყოს პატიოსანი

ადამიანი, რომელიც მოსახლეობის ნდობით სარგებლობს. არ შეიძლება იყოს თავდები ეკლესიის მსახური, მცირეწლოვანი, მეურვეობაში მყოფი პირი, არაფხიზელი ადამიანი, გონებაშეზღუდული ან ვინც შენიშნულია დანაშაულის ჩადენის მიდრეკილებაში, ან ნასამართლევია.

გირაო. სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, გირავნობა სანივთო სამართალს განეკუთვნება თუ ვალდებულებითი სამართლის სფეროს. გირავნობას ჩვენ განვიხილავთ როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, ე.ი. მივაკუთვნებთ მას ვალდებულებითი სამართლის სფეროს.

ქართული სამართლის მიხედვით, გირაოს უძველესი სახელწოდება იყო „წინდი". სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „გირაო სხუათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვიან". „წინდი" ნიშნავდა გირავნობას, ბეს, მძევლობას, პირგასამტეხლოს, მოგვიანებით „წინდი" შეცვალა „გირაომ". ე.ი. „წინდი" უფრო ფართო მნიშვნელობის შინაარსის მატარებელი იყო.

გირაოს შესახებ საუბარია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებაში". ამ ძეგლის მე-5 მუხლის მიხედვით, თუ ხევისბერი მოკლავს გამგებელს, მკვლელი 3 წლით უნდა იქნეს გაძევებული, ხოლო მისი ციხე და მამული სასეფოდ დაიდვას, „... ერისთავმან თავადნი სახლები დაუწინდნენ". ამ შემთხვევაში „დაწინდვა" გირაოდ დადებას ნიშნავს.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში საუბარია „წინდზე", არც აქ გვხვდება გირაო. 43-ე მუხლის მიხედვით, თუ მოვალეს ვალდებულების შესრულების პირობით მიწა ჰქონდეს „საწინდრად" ჩადებული, ან ყანა, ან ვენახი ან სახლი და მოვალემ შეასრულა ვალდებულება, ხოლო კრედიტორმა მოვალეს გირაო ანუ „წინდი" არ დაუბრუნა, მაშინ კრედიტორი ვალდებულია დაუბრუნოს მევალეს მის მიერ გირაოდ ჩადებული მიწა თუ სხვა ნივთები და გადაიხადოს ის შეძახსავალიც ანუ ნამატი, რაც შეიძლება მიღებული ყოფილიყო დაგირავებული ქონებით. გირაოს შესახებაა საუბარი 44-ე მუხლშიც.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, გლეხს ბატონის ნებართვის გარეშე არ შეეძლო მამულის დაგირავება, „დაწინდვა", ასევე 94-ე მუხლის მიხედვით, უფლება არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ანუ დიდი ქონებისათვის მცირე „წინდი" ანუ მცირე გირაო დაწესებინა.

გირავნობას ეხება ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართლის ქართული ვერსია (მუხლი 101). აქ

აღნიშნულია, რომ გამსესხებელს შეუძლია გირაოდ აიღოს ნივთი გარკვეული ვადით. ვალების გადახდისათვის გირაოდ ჩადებული ნივთის გამოსახსნელად შეიძლება დაწესდეს დრო, ვადა. თუ მსესხებელმა გარკვეულ ვადაში სესხი არ გადაიხადა ან თუ ვადა არ იყო დათქმული, ორი წლის გასვლის შემდეგ მსესხებელმა ფული არ დააბრუნა და გირაო არ გამოიხსნა – გამსესხებელი მოსამართლესთან უნდა მივიდეს და მიიყვანოს მოწმე მისი ვალის დასადასტურებლად. „თუ მოსამართლემ სამართალი არ უყოს, ის გირაოები დაყიდოს, პატრონს ამის მეტს ნურას კითხავს, რაიმე აჩვენოს, თუ თვითონ დაიხსნას, კარგია, და თუ არადა, გაყიდოს, თუ ნამეტნავი გადარჩეს, პატრონსავე მისცეს“ (მუხლი 101-ეს). მომდევნო მუხლი (მუხლი 102-ე) ითვალისწინებს გირაოდ ჩადებული სახლისა თუ ბოსტნის გაყიდვისას სესხის ანაზღაურებასა და დანახარჯების გასტუმრებას. ამავე სამართლის 104-ე მუხლის მიხედვით, გამსესხებელს – კრედიტორს 30 წლის მანძილზე შეუძლია სთხოვოს ვალის, ხოლო დებიტორს 40 წლის განმავლობაში შეუძლია გამოიხსნას დაგირავებული ქონება.

გირაოს საკითხს ეხება სომხური სამართლის ქართული ვერსიის 39-ე მუხლი. აქ სუფთა გირაოზე არ არის საუბარი, არამედ გირაოს მსგავს მოქმედებასთან, რომელიც უფრო უახლოვდება ქონების ყიდვასა და რამდენიმე ხნის შემდეგ მის დაბრუნებას. ამავე სამართლის 53-ე მუხლში მოცემულია გირაოს ხანდაზმულობა, რომ დაგირავებული ქონება ვენახი, მიწა, სახლი ან ყმა ან სხვა რაიმე – არ უნდა გაიყიდოს, მზითევში არ უნდა მისცეს, არც დააგირაოს და 30 წელიც რომ იყოს გასული, გირაოს მიმცემს მაინც შეუძლია მისი გამოხსნა. ამავე კანონის 130-ე მუხლის მიხედვით, გამსესხებელს შეუძლია სამჯერ გააფრთხილოს გირაოს პატრონი, რომ მას ესაჭიროება თავის ფული და ამიტომ უნდა დაიხსნას გირაოდ ჩადებული ოქრო ან ვერცხლი. თუ გირაოს მიმცემი არ დაიხსნის თავის გირაოს, გამსესხებელს შეუძლია გაყიდოს გირაო და აანაზღაუროს თავისი თანხა. 131-ე მუხლის მიხედვით, თუ სესხში გირაოდ მიწაა ჩადებული, გამსესხებელს უფლება აქვს მიიღოს მიწიდან აღებული შემოსავალი. გარდა ამისა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მსესხებელმა (გირაოს მიმცემმა) სესხი მთლიანად უნდა დაიბრუნოს.

შესაძლებელია ვალის ამღებმა გირაოდ მისცეს ცხენი, სახედარი ან ხარი, ფური, ცხვარი იმ პირობით, რომ გამოიყენოს ეს

ცხოველები. დებიტორმა კი უნდა გადაიხადოს მთლიანი ვალი და დაიბრუნოს დაგირავებული ქონება.

134-ე მუხლის მიხედვით, თუ გამსესხებელმა, რომელმაც ასესხა ფული მსესხებელს თავდების მეშვეობით და ვეღარ იბრუნებს ფულს, შეუძლია ფული მოსთხოვოს თავმდებს. თუ თავმდებმა გადაიხადა ფული და სანაცვლოდ დაიტოვა გირაოდ ჩადებული ქონება, დებიტორს შეუძლია ქონება მოსთხოვოს თავმდებს. მაგრამ თუ თავდებმა ქონება გაყიდა, დებიტორი ქონებას ვეღარ მოსთხოვს.

233-ე მუხლის მიხედვით, თუ კრედიტორმა დაგირავებული ქონებიდან გაყიდა რამე, ან გაცვითა, ეს თანხა უნდა გამოაკლდეს ნასესხებ ვალს. თუ კრედიტორმა დაკარგა დაგირავებული ქონება ან მოპარეს ეს ქონება, მან ფიცით უნდა დაამტკიცოს ეს და ამ დროს ზარალდება დებიტორი, მსესხებელი. ხოლო თუ კრედიტორმა იცრუა, ცრუ ფიცი დადო და ეს დამტკიცდა, მაშინ მას უნდა გადახდეს დაგირავებული ქონების ოთხმაგი ღირებულება. თუ კრედიტორმა ფიცის გარეშე, სიტყვით იცრუა და ეს გამჟღავნდა, რომ ცრუობდა, მაშინ მას უნდა გადახდეს დაგირავებულის ორმაგი ღირებულება.

თუ გირაო დაიკარგა მტრის თავდასხმის შედეგად, ამ შემთხვევაში ზარალდება გირაოს ჩამდები, დამგირავებელი. თუ გირაო დაზიანდა, ზარალდება გირაოს ამღები. თუ დაგირავებული პირუტყვი დაავადდა ან მოკვდა გირაოს ამღების მიზეზით, პასუხისმგებლობა ეკისრება კრედიტორს, ხოლო თუ პირუტყვი დაზიანდა ან მოკვდა კრედიტორის ბრალის გარეშე, მაშინ ზარალდება გირაოს ჩამდები.

გირაოს სამართლებრივ საკითხებს ეხება ამავე სამართლის 273-ე და 391-ე მუხლებიც.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ თვით ვახტანგის სამართლის წიგნში „გირაო“-ს ვერ ვხვდებით და მის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „დახუთვა“, „ნახუთევი“. სამაგიეროდ, გირაო მოიხსენიება გვიანფეოდალური საქართველოს სხვადასხვა წერილობით საბუთში, ხელწერილებში, ხელშეკრულებებში, გარიგებებში და სხვ., საიდანაც ჩანს, რომ გირავდებოდა არა მარტო ნივთები, ფასეულობა, არამედ ყმებიც.

1. ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ინსტიტუტი.

ნასყიდობის ინსტიტუტი ქართული ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მეორე მხარეს (მყიდველს) გარკვეული ღირებულების ქონება თუ ფასეულობა ან ნივთი, გარკვეულ დროში, გარკვეულ ადგილზე, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასი.

ისტორიულად ყიდვა-გაყიდვას წინ უსწრებდა გაცვლა. ყიდვა-გაყიდვა დაიწყო კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად.

ყიდვა-გაყიდვის ინსტიტუტის შესასწავლად ქართულ სამართალში საჭიროა გამოყენებულ იქნეს როგორც ნორმატიული მასალა, ისე სასამართლოს გადაწყვეტილებები, იურიდიული ხასიათის დოკუმენტები ანუ ხელშეკრულებები, ასევე ისტორიული ხასიათის დოკუმენტები[1].

ივ. ჯავახიშვილის მითითებით დაბადების ქართულ თარგმანში ყიდვა-გაყიდვის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი „მიღებაჲ ფასითა“[2], ხოლო ნიკორწმინდის სიგელში ფასის შესახებ აღნიშნულია „ფასი ავიღე დასაჯერებელი ან ფასი „სრული და უკლებელი“, ან „ფასი სრული და უნაკლო“[3].

ქართული სამართლის მიხედვით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულება იყო.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებისას შეთანხმება ეფუძნებოდა მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლინებას. შეთანხმება დაუშვებელი იყო ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით ნების თავისუფალ გამოვლინებაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყიდვა-გაყიდვის დროს მხარეთა შეთანხმება — თავისუფალი ნების გამომჟღავნება ცხოვრების ეკონომიური პირობებით იყო განსაზღვრული. იმ შემთხ-

---

[1] ნასყიდობის ინსტიტუტი ქართულ სამართალში შესწავლილი აქვს კ. ბზიშვილს თავის საკანდიდატო დისერტაციაში. იხ. Бзишвили К.Ф. Институт купли-продажи по грузинскому праву (XVII-XVIII вв.). автореферат диссертации, Тбилиси, 1977.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VII, გვ. 311.

[3] იქვე, გვ. 312-313.

ვევაში, როდესაც მყიდველიცა და გამყიდველიც საზოგადოების ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მხარეთა თავისუფალი ნება სახეზე იყო, მაგრამ, როდესაც მხარეები სოციალურად სხვადასხვა ფენას ეკუთვნოდნენ (მაგ., ბატონი და ყმა), ხელშეკრულებაში მხარეთა თავისუფალი ნება დაცული არ იყო, ირღვეოდა. მაგალითად, თუ ყიდვა-გაყიდვის დროს ერთი მხარე ბატონი იყო, მეორე კი ყმა — აუცილებელი იყო ბატონის ნების გათვალისწინება, ყმას მხოლოდ ბატონის ნებართვით შეეძლო ხელშეკრულების დადება, ანუ გამყიდველის როლში გამოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო არათავისუფალი ნების საფუძველზე (იძულებით, ზეწოლით, გაჭირვებით), მასში ფორმალურად მაინც მითითებული იყო თითქოს ხელშეკრულება დაიდო თავისი ნების საფუძველზე და არ მოიხსენებოდა ის გარემოებები, რამაც აიძულა ერთ-ერთი მხარე დაედო ასეთი ხელშეკრულება (მაგ., შიმშილი, ტყვეობა, ვალაუვალობა და სხვ.).

ნასყიდობის განხილვისას აუცილებელია გაირკვეს ხელშეკრულების მხარეები. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებად გვევლინებიან: ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნდათ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. ფიზიკური პირის სარწმუნოებრივი ან ეროვნული კუთვნილება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას ხელს არ უშლიდა. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებში ჩანს, რომ ხელშეკრულების მხარეებად გამოდიან როგორც ქართველები, ისე სომხები, თათრები, ებრაელები, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე პირები. ზოგჯერ ყიდვა-გაყიდვისას მყიდველებად ან გამყიდველებად გამოდიან არა ცალკეული პირები, არამედ რამდენიმე პირი — ოჯახის წევრები ოჯახის უფროსის მეთაურობით, ძმები, შვილები, ძმიშვილები. ამასთან, ხელშეკრულებაში იწერებოდა, რომ გაიყიდა ან იყიდა ძმებთან თუ შვილებთან შეთანხმებით. გვხვდება ისეთი საბუთებიც, სადაც ერთი პირია გამყიდველი და ერთი მყიდველი. სავარაუდოა, რომ ასეთ შემთხვევაში მყიდველს ან გამყიდველს არ ჰყავდა ძმები ან სხვა ნათესავები. ნასყიდობის საბუთში მრავალი პირის მოხსენება ხელშეკრულების სიმტკიცისათვის გამოიყენებოდა.

ფეოდალურ საქართველოში მოძრავი თუ უძრავი ქონების მყიდველებად და გამყიდველებად გამოდიოდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო პირები, რომლებიც სარგებლობდნენ სამოქალაქო სამართ-

ლის სუბიექტების უფლებებით. ამრიგად, ყიდვა-გაყიდვის სუბიექტებად შეიძლება დავასახელოთ: 1) თავისუფალი, არადაყმევებული პირები; 2) ფეოდალური წოდების წარმომადგენლები: აზნაურები, თავადები, სამეფო სახლის წარმომადგენლები (მეფე, დედოფალი, მეფის შვილები და სხვ.); 3) ფეოდალურ მორჩილებაში მყოფი (არათავისუფალი) პირები. ასეთებია: მოქალაქეები, ქალაქის მდიდარი ფენების მომსახურე პერსონალი, სოფლისა და ქალაქის დაყმევებული მოსახლეობა.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ყიდვა-გაყიდვა ხორციელდებოდა სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა შორისაც, მათ შორის ბატონსა და ყმას შორისაც.

ქართული სამართალი იცნობს უძრავი ქონების (მიწის) გაყიდვისას შესყიდვის უპირატეს უფლებას, რითაც სარგებლობდნენ გამყიდველის ნათესავები, ხოლო თუ ასეთები არ იყვნენ, მაშინ მეზობლები ან მოსაზღვრეები. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ზოგჯერ გამყიდველად გამოდის პირი (ყმა), რომელიც თავის თავს ყიდის. ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებად ჩანან ქალებიც, როგორც პრივილეგირებული, ისე დაბალი ფენებიდან. ნასყიდობის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მყიდველებად ან გამყიდველებად გამოდიან ქვრივებიც.

გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა და მოქმედებდა მეუღლეთა ქონებრივი დამოუკიდებლობა, რომლის ძალითაც მეუღლეებს უფლება ჰქონდათ გაეყიდათ თავისი ქონება. ქონებრივი დამოუკიდებლობის პრინციპით სარგებლობდნენ ოჯახის წევრებიც, რომლებსაც შეეძლოთ გაეყიდათ პირადი ქონება.

ნასყიდობის ხელშეკრულების ობიექტები შეიძლება ყოფილიყო: ნივთები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საგნები, სურსათ-სანოვაგე და სხვა. მცირე ღირებულების საგნები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით არ ფორმდებოდა და ნასყიდობა სრულდებოდა ხელზე ვაჭრობის გზით, სიტყვიერი მოლაპარაკებით (ვერბალური ხელშეკრულებებით).

ყიდვა-გაყიდვის წერილობითი ფორმა და სათანადო დოკუმენტები აუცილებელი იყო მიწის, შენობების, ყმების, შინაური ცხოველების, გამწევი ძალისა და სხვა უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობების თაობაზე. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვერ ვხვდებით ე.წ. „უძრავი“ და „მოძრავი“ ნივთების დასახელებას, სამაგიეროდ ასეთი ტერმინები ჩანს სხვა საკანონმდებლო აქტებსა და დოკუმენტებში.

ნასყიდობის საკითხს გარკვეულ ყურადღებას უთმობს ვახტანგ VI-ის სამართალი. სამართლის წიგნი უფრთხილდება და იცავს ნასყიდობით შეძენილ საკუთრებას. იმავე პოზიციაზე დგას ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნიც. აქ პირდაპირაა მითითებული, რომ მამულის გაყიდვა პატრონის გარეშე არ შეიძლება (მუხლი 55-ე). სხვაგან მითითებულია, რომ არც საკარგავის (დროებითი მიწათსარგებლობის ობიექტი) გაყიდვა დაიშვება პატრონის გარეშე.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ფეოდალთა კლასის ინტერესებიდან გამოდის, მაგრამ გარკვეულ ანგარიშს უწევს სხვა ფენის საკუთრების უფლების დაცვის საკითხსაც. სამართლის წიგნში მითითებულია, ერთი მხრივ, რომ „ყმისა ყველაფერი ბატონისა არის", მაგრამ ბატონსაც ის მართებს, რომ „ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს" (მუხლი 160-ე). ამავე სამართლის წიგნის 162-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმემ „სოფელი ან გლეხი თავადისაგან, აზნაურისაგან სასყიდლად მოინდომოს, ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა, მაგრამ უკითხავადაც სყიდულია და არც ხელმწიფე გამოჰკიდებია". აქედან ჩანს, რომ ყიდვა-გაყიდვის საკითხში ვახტანგის სამართალი გარკვეულ ყურადღებას უთმობს მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლინებას.

ქართული სამართლის ძეგლები დიდ ყურადღებას უთმობენ ყიდვა-გაყიდვის წესების დაცვას, ფასის, ხარისხის, ცხოველთა დაავადებებისა თუ სხვა ნაკლოვანებათა გათვალისწინებას. ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობის საკითხებს მოლაპარაკების პირობების დარღვევისათვის. მაგალითად, აღბუღას სამართლის წიგნის 64-ე მუხლის მიხედვით, ცხენის გაყიდვისას გამყიდველმა არ უნდა დაუმალოს მყიდველს ცხენის ნაკლი. თუ გამყიდველმა დაუმალა ცხენის ავი ზნე და ცხენმა ზიანი მიაყენა მყიდველ მხარეს, პასუხისმგებლობა ეკისრება ცხენის გამყიდველს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა გაანდო მყიდველს ცხენის ავი ზნე ან სხვა ნაკლი, მაგრამ მყიდველმა მაინც იყიდა ცხენი, ხოლო ცხენმა ზიანი მიაყენა ვინმეს, ასეთ შემთხვევაში ზიანი უნდა აანაზღაუროს ორივე მხარემ სოლიდარულად, თანასწორად.

აღბუღას სამართლის წიგნი იცნობს გარკვეული დროით (პაემნით) ცხოველების გაყიდვას, რომლის განმავლობაში უნდა გარკვეულიყო პირუტყვის (სახედრის) ვარგისიანობა. თუ დათქმულ დროში სახედრის ნაკლი გამოჩნდებოდა, ხელშეკრულება მოიშლებოდა. ხოლო თუ ნაკლი დათქმული ვადის გასვლის შემდეგ გამოჩნდებოდა, მაშინ გადა-

ხდილი თანხის მეათედი მყიდველს უნდა ეზარალა. იგივე წესი ვრცელდებოდა ნივთებზედაც.

აღბულას სამართლის წიგნის 127-ე (დანართი) მუხლის მიხედვით, თუ ცხენის გაყიდვის შემდეგ ცხენს ნაკლი გამოაჩნდებოდა და ამ ნაკლის შესახებ გამყიდველმა დაუმალა და არ აცნობა მყიდველს, გამყიდველმა მყიდველს უნდა დაუბრუნოს არა მარტო ფასი, არამედ გადაიხადოს მიყენებული ზარალიც. ამასთან, გამყიდველისაგან უნდა მიიღოს ის სარგებელი, რაც ამ უკანასკნელმა ცხენის გამოყენებით მიიღო.

ვახტანგის სამართლის წიგნის 166-ე მუხლის მიხედვით, თუ გამყიდველმა დაუდო ხელშეკრულება (გამართა მოლაპარაკება) აქლემის, ცხენის, ჯორის ან ულაყის შესახებ და არ მიუთითა მისი საქონლის ნაკლის შესახებ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ ნაკლი ჰქონიათ, ასეთ შემთხვევებში მყიდველს ფასი უნდა დაუბრუნდეს, საქონელი კი გამყიდველს უნდა გადაეცეს, მაგრამ თუ ასეთი ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული, ყიდვა-გაყიდვა არ უნდა მოიშალოს ნაკლიც რომ გამოჩნდეს.

ნასყიდობის შესახებ სპეციალურად მსჯელობს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 161-ე მუხლი: „სყიდვა ასრე უნდა. კარგა გამოძიებით, მართლის შეტყობით უნდა იყიდოს, რომე ან სხვისი მამული არ შემოატყუოს, ან მზღვარი ტყუილად არ დაუწეროს; კაი მოწმით, წიგნით და ბეჭდით უნდა იყიდოს.

იქნების, დაჭირვებული იყოს და იაფად მოჰყიდოს, იქნების მსყიდველს უნდოდეს და ძვირად მოსცეს, მაგრამ რა წიგნი დაიწერების და ხელი ჩაირთვის, რა გინდა ფასი მოუშატონ და ან მსყიდველს აღარ უნდოდეს, ველარ მოშალონ“ (მუხლი 161-ე).

ამ მუხლიდან ნათლად ჩანს კანონმდებლის ნება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების, მისი სიმტკიცისა და მოუშლელობის (დაურღვევლობის) შესახებ.

ამრიგად, ქართული სამართლის მიხედვით ნასყიდობით წარმოშობილი საკუთრება მტკიცეა, იგი ხელშეუვალია. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ისეთი ნასყიდობის ობიექტები, როგორიცაა: მამული და სხვა უძრავი ქონება, ნივთები, პირუტყვი და სხვ. ხელშეკრულების ფორმა შეიძლება ყოფილიყო როგორც წერილობითი, ისე ზეპირი. ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ნება-სურვილს.

2. ნაჩუქრობის (ჩუქების) ხელშეკრულება

ნაჩუქრობა, ჩუქება ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტზე ხშირად დამოკიდებულია ქონებისა თუ, საერთოდ, საკუთრების უფლების მოპოვება და მოსპობა-შეწყვეტა.

ნაჩუქრობის შესახებ არსებული ქართული სამართლებრივი ტერმინები რომაული donatio-ს შესატყვისია.

ჩუქების უძველესი ქართული ტერმინები იყო „მიცემა" და „ნიჭი". „მიცემა", „მისაცემელი" და ნიჭი თანაბარმნიშვნელოვანი ტერმინებია. ძველ ქართულ წყაროებში ჩუქების მნიშვნელობით გვხვდება „მინიჭება", „მონიჭება", „განიჭება". ტერმინი მომნიჭებელი კი მბოძებელს, ანუ საჩუქრის მიმცემს ნიშნავდა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ტერმინი „ნიჭი" არ გვხვდება, მაგრამ გვხვდება „სანიჭარი". სამაგიეროდ, ტერმინი „ნიჭი" და „სანიჭარი" უფრო ხშირად იხმარება საეკლესიო წყაროებში. სულხან-საბა ორბელიანი „ნიჭს" ასე განმარტავს: „ნიჭი" არის უფალთა მიერ საბოძარი". ჩვენი აზრით, სულხან-საბა ორბელიანი „ნიჭს" თვლის მესაკუთრის მიერ (უფალთა მიერ) საბოძარად ანუ საჩუქრად, მისაცემად.

„ნაჩუქრობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ასევე „ძღვენი", „ქრთამი" და „ფეშქაში". ეს უკანასკნელი სპარსული წარმომავლობისაა. „ქრთამი" ორი მნიშვნელობის იყო: კანონიერი ანუ კეთილსინდისიერი „ქრთამი", ანუ საჩუქარი და უკანონო „ქრთამი" არაკეთილსინდისიერი და უკანონო სიკეთე. ქართული ძეგლები იცნობს ასევე სასამართლოს გზით განსაზღვრულ გასამრჯელოს – „ქრთამი სიგლისა".

ნაჩუქრობის შესახებ საუბარია ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში (მუხლები 177-183-ე), ასევე სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის 112-ე მუხლში, ბექა-აღბუღას სამართლის 34-ე, 61-ე და 85-ე მუხლებსა და ქართული სამართლის ცალკეულ აქტებში, როგორიცაა ერეკლე მეორის განწესებანი, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი და მრავალი სხვა აქტები.

განვიხილოთ ნაჩუქრობის ხელშეკრულების არსი და ძირითადი ნიშნები. როგორც უკვე აღინიშნა, წყაროების მიხედვით ჩუქება ვიწრო გაგებით, ჩვეულებრივ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენდა, ფართო გაგებით კი გულუხვობის მრავალნაირ გამოვლენას გულისხმობს.

ნაჩუქრობა, როგორც გარიგების სახე, უსასყიდლო ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რომლის ძალითაც ერთი მხარე — მჩუქებელი უშუალოდ გადასცემდა საკუთრებას ქონებას მეორე მხარეს. გარდა ქონების გადაცემისა, შეიძლებოდა ვალის პატიება და ამ გზით ჩუქების აქტის გამოხატვა ან რაიმე სანივთო უფლებაზე უარის თქმა მოვალის სასარგებლოდ. დასაჩუქრებული საჩუქარზე იძენდა საკუთრების უფლებას სამუდამოდ, მისი უკან გამოთხოვა არ შეიძლებოდა.

ჩუქება ნებაყოფლობითი ხასიათის გარიგება იყო. მაგრამ საქართველოში ზოგიერთმა ჩუქების სახემ მიიღო სავალდებულო ხასიათი და ნებაყოფლობითი ჩუქება ვალდებულებად გადაიქცა. მაგალითად, მებატონისათვის ძღვენის მირთმევა, საქორწინო საჩუქარი, ლაშქარში წამსვლელისათვის „შთასადებელი“, „საჭირისუფლო შესაწევარი“ და სხვ.

ნაჩუქრობა უსასყიდლო გარიგება იყო. თუმცა შეინიშნება ნაჩუქრობის სასყიდლიანობაც. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 254-ე მუხლის მიხედვით, თუ მოლაშქრე დატყვევებულ მტერს მეფეს მიართმევდა, მეფე ვალდებული იყო მისთვის (მოლაშქრისათვის) ჯილდო მიეცა. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ჩუქება თავდაპირველად სასყიდლიან გარიგებას გულისხმობდა (ძველ რომში)[1]. აქედან უნდა იღებდეს სათავეს ძველი ქართული ანდაზა: „რეგვენს ნაჩუქარი მუქთი ეგონა“.

საინტერესოა ჩუქების მოტივის გარკვევა. ჩუქების მოტივის ახსნა ამ გარიგების არსს უფრო ნათლად აჩვენებს. საქართველოში ჩუქების მოტივი იყო მეგობრობა, ნათესაობა, მშვიდობიანობა და კეთილგანწყობილების დამყარება. ა. დიუმას მიხედვით ქართველებს ისე უყვართ გაჩუქება, როგორც სხვა ხალხებს საჩუქრის მიღება[2]. მჩუქებელს ხშირად პირადი მიზანი ამოძრავებდა. საჩუქრის გაცემით მჩუქებელი უფრო ადვილად აგვარებდა საქმეს ან მოიპოვებდა კეთილგანწყობილებას. ჩუქება ზოგჯერ სამადლობელოს სახეს წარმოადგენდა. მაგალითად, თუ ვინმე დაკარგულ ნივთს პატრონს მიუტანდა, იგი უნდა დასაჩუქრებულიყო.

ნაჩუქრობის ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა ნივთის

---

[1] С. Муромцев, Гражданское право древнего Рима, М. 1883, стр. 397.

[2] ა. დიუმა, კავკასია, თ. ქიქოძის თარგმანი, თბ., 1970, გვ. 251.

გადაცემის მომენტიდან, ე.ი. ნაჩუქრობა რეალური ხელშეკრულება იყო. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის სხვადასხვა მუხლებიდან ჩანს, რომ ჩუქებისას გადამწყვეტი იყო ნივთის გადაცემა და მიღება მეორე მხარის მიერ. თუ საჩუქრის მიმღებმა (ნივთი) საჩუქარი ვერ მიიღო, ნაჩუქრობა არ ითვლებოდა შემდგარად. სამაგიეროდ, საჩუქრის მიღებიდან ხელშეკრულება ძალაში შესულად ითვლებოდა.

ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა თუ შვილების დასაჩუქრების საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება თითქოს ქართული კანონმდებლობით იკრძალებოდა ცოლ-ქმარს შორის საჩუქარი. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ეს იყო მორალური ქადაგება იმისათვის, რომ მეუღლეებს ამ გზით არ გამოეყენებინათ ერთმანეთის სიყვარული ბოროტად, საჩუქრების გზით, მაგრამ ქართული სამართლის მიხედვით მტკიცდება, რომ მეუღლეები უფლებამოსილი იყვნენ ერთმანეთი დაესაჩუქრებინათ, მაგრამ აქ დაცული უნდა ყოფილიყო გარკვეული ზომიერება, ამასთან, დასაჩუქრება ხდებოდა ცოლქმრობის პირობით, ნიშნობისას. დაშვებული იყო საჩუქრის უკან დაბრუნება თუ ქორწინება ჩაიშლებოდა.

ქართული სამართალი იცნობს მშობლებისაგან შვილების დასაჩუქრებას, მათ შორის უკანონო შვილების დასაჩუქრებასაც. მშობლებისაგან შვილისთვის ნაჩუქარი შეადგენდა ე.წ. „სათავნოს“, რომელიც ქალის პირადი საკუთრება იყო.

ნაჩუქრობის გარიგება უსასყიდლო ხელშეკრულება იყო. სწორედ უსასყიდლობა განაპირობებდა, გამორიცხავდა დავას, გასაჩუქრებული ნივთის ხარისხზე ან ამ ნივთის უკან გამოთხოვაზე. თუ ნაჩუქრობას საფუძვლად ედო რაიმე მოქმედების შესრულება, მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში საჩუქრის გამცემს შეეძლო ნაჩუქრობის მოშლა და საჩუქარი მჩუქებელს დაუბრუნდებოდა. ხელშეკრულება არ მოიშლებოდა მისი შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში. ქართული კანონმდებლობა (ბექას სამართალი, მუხლი 61-ე) იცნობს „სამოყვროდ“ ჩუქებას, მაგრამ თუ მოყვრობა არ შედგებოდა, საჩუქარი მჩუქებელს უბრუნდებოდა. საინტერესოა, რომ მჩუქებლის გაღარიბების შემთხვევაში მას საჩუქრის უკან გამორთმევა აღარ შეეძლო. დღეს მოქმედი ჩვენი სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი კი აკანონებს ჩუქების გაუქმებას დასაჩუქრებულის უმადურობის გამო.

ნაჩუქრობის ხელშეკრულება იდებოდა როგორც ზეპირი, ისე

წერილობითი ფორმით. ამას ეწოდებოდა საჩუქრის წიგნით (წერილობით) ან უწიგნოდ (ზეპირი) მიცემა. ბერძნული სამართლის ქართული ვერსია იცნობს საჩუქრის მიცემას მოწმის თანდასწრებით, რაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში. წერილობით ფორმდებოდა ისეთი ჩუქება, რომელიც მნიშვნელოვანი ღირებულებისა იყო. არსებობდა ე.წ. „საჩუქრის წიგნი“, რომელშიაც დეტალურად იყო ფიქსირდებოდა საჩუქრები. მასში ასახული იყო აგრეთვე მხარეები, ნაჩუქრობის საგანი, საჩუქრის მოუდავებლობა (არშედავება), არმოშლა, საბუთის გაცემის თარიღი, გამჩუქებლის ვინაობა და დამადასტურებელი ნიშანი, ხელმოწერა და ბეჭედი. საჩუქრის წიგნი გამჩუქებლის მიერ იწერებოდა.

3. ქონების ქირავნობის ხელშეკრულება

ქირავნობის ხელშეკრულება საგრძნობლად უწყობდა ხელს მეურნეობის აღდგენა-განვითარებას, ეკონომიკის გამოცოცხლებასა და აღორძინებას. სამწუხაროდ, ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ძალზე მცირეა ქირავნობის მომწესრიგებელი ეროვნული საკანონმდებლო ნორმები, მაშინ, როცა ქირავნობა საკმაოდ იყო გავრცელებული.

ქართულ სამართალში ქირის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „სასყიდელი“. ასევე გამოიყენებოდა „მიზდი“ და „ქირა“. „მიზდი“ აღნიშნავდა სხვისი ნივთის დროებითი სარგებლობისათვის საზღაურს, გადასახადს. მაგალითად, წისქვილით სარგებლობის ანუ დაფქვის „მიზდი“ (მინდი). ნივთის გამქირავებელს „მამიზდებელი“ ერქვა. ხშირად „მიზდი“ და ქირა ერთმანეთის გვერდით, სინონიმებად გამოიყენებოდა.

ქირავნობის ხელშეკრულების ანალიზისას აუცილებელია აღინიშნოს მისი სასყიდლიანობა. მეორე ნიშანია ნივთის დროებითი გადაცემა. ქირავნობა გამორიცხავდა ნივთის (მიწის) მუდმივად ანუ სამამულოდ ან მემკვიდრეობით გადაცემას. ქირავნობის მესამე ნიშანია გასაქირავებელი ნივთის ინდივიდუალურად განსაზღვრულობა, კონკრეტიკა.

ქირავნობის ხელშეკრულება მხარეთა ნების გამოვლინების შედეგად წარმოიქმნებოდა. მაგრამ გვხვდება ისეთი ქირავნობის ხელშეკრულებაც, რომელიც იდებოდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ქირავნობის ხელშეკრულების ვადა კანონით არ იყო განსაზღვრული, იგი მხარეთა ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრებოდა. ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ მისი გაგრძელება ან ახალი ხელშეკრულების დადება, ისევ მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ქონების ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო რამდენიმე დღით, ერთი წლით, თუ მამულის გაქირავებას ჰქონდა ადგილი, იგი შეიძლება დადებულიყო დიდი ხნით — 20-25 წლითაც კი. გვიანფეოდალურ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ერთწლიანი იჯარის პრაქტიკა. მაგალითად, ერთი წლით იდებოდა წისქვილის, სამღებროს, აბანოსა და სხვ. საიჯარო ხელშეკრულება.

განსხვავებული სახით ხდებოდა ქირის გადახდის ვადების მოწესრიგება. შეიძლებოდა ქირის გადახდა ერთდროულად ან ნაწილ-ნაწილ. ქირა ფულით ან ნატურით განისაზღვრებოდა.

ქართული საკანონმდებლო ძეგლები (აღბუღას სამართალი, 92-ე მუხლი) ითვალისწინებენ ნაპოვნი ნივთის გაქირავებას. დაშვებული იყო დაგირავებული ქონების (დუქნები, საცხოვრებელი სახლები) გაქირავება.

ქირავნობის ხელშეკრულებაში გამქირავებლად ძირითადად გამოდიოდა ნივთის (ქონების) მეპატრონე — ფიზიკური ან იურიდიული პირი, მაგალითად, ეკლესია-მონასტერი. შეიძლებოდა სათემო ან საგვარეულო მიწებისა და საძოვრების გაქირავება.

დამქირავებლის ვალდებულებაში შედიოდა არა მარტო ქირის გადახდა, არამედ ნივთის პატრონობა, მისი დაცვა-შენახვა, დამქირავებელს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მისი ბრალით ნივთის დაზიანების, განადგურებისა ან დაკარგვისათვის. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელს უნდა გადაეხადა ნივთის ღირებულება ან აღედგინა პირვანდელი სახით ან დაებრუნებია იმავე სახისა და ხარისხის ნივთი.

ძველი ქართული სამართლის ძეგლებიდან არ ჩანს ქირავნობის ხელშეკრულების სავალდებულო კონკრეტული ფორმა. ხელშეკრულების ფორმის ჩამოყალიბება-განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული.

ქონებრივი ქირავნობა, როგორც წესი, ზეპირი, სიტყვიერი შეთანხმება იყო. არ ჩანს სავალდებულო იყო თუ არა მოწმეთა დასწრება. გავრცელებული იყო საიჯარო (მიწაზე) ხელშეკრულების წერილობითი ფორმა. ამ დროს ძოწმეებიც ესწრებოდნენ და საბუთში

მათი ვინაობაც იწერებოდა. ასევე საჭიროებულო იყო საბუთის დამწერის (შემდგენელის) ვინაობის მითითებაც. საბუთში იწერებოდა მისი შედგენის თარიღი, რადგან ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა ამ დღიდან. საბუთში (ხელშეკრულებაში) დეტალურად აისახებოდა მოვალის ანუ დამქირავებლის ვალდებულებანი, ნივთის დაცვის, ქირის გადახდისა თუ სხვა ვალდებულებები.

ქართული სამართლის ძალით ხელშეკრულებაში აისახებოდა მისი შეწყვეტის წესები და პირობები. ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევდა ვადის გასვლა, გაქირავებული ნივთის დაღუპვა და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით დათქმული პირობების შეუსრულებლობა.

ქონებრივი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შეიძლებოდა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. რომის სამართლის მიხედვით ხელშეკრულების შეწყვეტა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლებოდა ცალმხრივი ნებართვით. ამის საწინააღმდეგოდ სომხური სამართლის ქართული ვერსიის 343-ე მუხლით, მოქირავნეს არ ჰქონდა უფლება ვადაზე ადრე მოეშალა დადებული ვადიანი ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელს უნდა გადაეხადა არა მარტო გასული დროის ქირა, არამედ შემდგომი პერიოდისათვის შეპირებული გადასახადი.

ქართული სამართალი იცნობს და არეგულირებს პირადი ქირავნობის ხელშეკრულებასაც ანუ პირად დაქირავებას. ამ გარიგების მიზანს წარმოადგენდა გასამრჯელოს მიღების მიზნით დაქირავებულის მომსახურება დამქირავებლის მიმართ, რაიმე სამუშაოს შესრულების გზით. უძველესი პერიოდიდან ასეთი მომსახურება ღარიბი ფენებისათვის არსებობის საშუალებას წარმოადგენდა.

მომსახურების სფეროში დასაქმებული იყვნენ ხელოსნები, რომლებიც თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით ქმნიდნენ ამხანაგობებს, ამქრებს ან ინდივიდუალურად მუშაობდნენ. ასეთი ურთიერთობა აღინიშნებოდა ტერმინით „სასყიდლით დადგინება“ ან „სასყიდლით მოყვანება“ ან „მოსასყიდლეობა“, ან „მომიზდება“ (ტერმინიდან „მიზდი“). საისტორიო წყაროებში ვხვდებით ასევე „მორეწვე“-ს (ტერმინ „რეწვიდან“) და „მუშას“, მუშაკს.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების საგანი იყო განსაზღვრული სამუშაოს შესრულება, გარკვეული სახის მომსახურება, მაგალითად, ვადიანი ხელშეკრულება. სამწუხაროდ, საკანონმდებლო ძეგლებში ხელშეკრულების ვადები (მაქსიმალური ვადა) არ ჩანს.

პირადი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება და მხარეთა მიერ დათქმული ვადის გასვლა, ასევე მხარეთა თანხმობა, დაქირავებულის სიკვდილი ან იმ საგნის ან ობიექტის მოსპობა, რაზედაც იდებოდა ხელშეკრულება.

4. ქონების უსასყიდლოდ სარგებლობა.

ასეთი სარგებლობის აღმნიშვნელი ტერმინები იყო „ფასმიუცემლად", „უფასოდ", „მუქთად" (ეს ტერმინი წარმოდგა თურქული „მუვთ"-იდან). ყველა ეს ტერმინი ერთიანად **თხოვებას** გამოხატავდა, თუმცა დასტურდება, რომ სხვისი ნივთით სარგებლობა ნათხოვრობით არ შემოიფარგლება, რადგან ნათხოვრობა, თხოვება ძირითადად ნივთის წაღებას, გადაადგილებას ნიშნავდა. მაგრამ შეიძლებოდა სხვისი ნივთით ისეთი სარგებლობაც, სადაც საჭირო არ იყო ამ ნივთის წაღება, გადაადგილება, მაგალითად, სასტუმროთი უფასოდ სარგებლობა, ღამის გათევა უფასოდ და სხვ. ნათხოვრობის ფარგლებში არ ჯდება მიწის უსასყიდლოდ დათმობა ხანგრძლივი ვადით.

სხვისი ნივთით (ქონებით) უსასყიდლოდ სარგებლობას უმთავრესად საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მიმართავდნენ. მას მატერიალური გამორჩენის მიზანი არ ჰქონდა და ემსახურებოდა მხოლოდ ერთი მხარის — მონათხოვრის ინტერესებს, გამნათხოვრებელს კი ზნეობრივი საქველმოქმედო ინტერესები ამოძრავებდა.

ნათხოვრობის ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა მხოლოდ ნივთის გადაცემის მომენტიდან. ნათხოვრობის თაობაზე დაპირება არ წარმოშობდა ვალდებულებას. ამრიგად, ასეთი ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებად გვევლინება.

ვისი შეიძლებოდა ყოფილიყო ნათხოვრობის საგანი? რომის სამართლისაგან განსხვავებით (სადაც ნათხოვრობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი), ქართული სამართლის მიხედვით ნათხოვრობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ნივთი, არამედ მიწა, სასტუმრო, სოფელი და სხვ. მაგრამ საერთო წესით ნათხოვრობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი ნივთები, რომლებიც მოხმარებით არ ნადგურდებოდა, არ იკარგებოდა, არ ისპობოდა და გამნათხოვრებელს უნდა დაბრუნე-

ბოდა მხოლოდ ეს ნივთი და არა სხვა ნივთი. ქართული სამართალი კრძალავდა საეკლესიო ნივთების განათხოვრებას.

ქართულ სამართალში არ ჩანს ქონების უსასყიდლოდ ნათხოვრობის რაიმე სავალდებულო ფორმა. იგი შეიძლებოდა დადებულიყო როგორც ზეპირად, ისე წერილობით, მოწმით ან მოწმის გარეშე. წერილობითი ხელშეკრულება ფორმდებოდა მოწმეთა თანდასწრებით. რაც შეეხება ნათხოვრობის ხელშეკრულების ვადებს, იგი შეიძლება ყოფილიყო განსაზღვრულიც და განუსაზღვრელიც. ვადები მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრებოდა. ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობა ჩვეულებრივ მოკლევადიანი ხელშეკრულება იყო. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ,,თხოვება" ესე არს, რაიცა ცოტას ხანს ჰქონია და აგრეთვე გამოართვა". მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვადები საკმაოდ სოლიდური იყო. მაგალითად, მიწის ნათხოვრობა ზოგჯერ 20-წლიან და 40-წლიან ვადას შეადგენდა, დარბაზის განათხოვრება თექვსმეტ წელს და ა.შ.

სხვადასხვა სახის საბუთებით დასტურდება, რომ საქართველოში ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის ნაირსახეობები არსებობდა. ასეთები იყო: ,,უცხოთა სადგურით" ანუ ღამის გასათევით უფასოდ სარგებლობა, რომლის წესითაც სასტუმროში შეჩერებული მგზავრი უზრუნველყოფილი იყო უსასყიდლოდ ბინით, ანუ ღამის გასათევით, გარკვეული სურსათ-სანოვაგითა და მომსახურებით. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამოწმებულია მთელი სოფლისათვის საერთო საკუთრებაში არსებული სასტუმრო — ჯარგვლები, რომელშიც ღამეს ათევდნენ ე.წ. ,,უმასპინძლო მგზავრები". ეს სახლები მომარაგებული იყო შეშით, წყლით, ლოგინით, საქონლის საკვებით, რომელსაც უვლიდა და უზრუნველყოფდა მთელი სოფელი.

ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის ნაირსახეობად უნდა ჩაითვალოს ,,უსასყიდლოდ კურნება", ანუ საზღაურის გარეშე მკურნალობა, რაც მკურნალობასთან ერთად სამკურნალო ნაგებობა-მოწყობილებათა თუ წამლებით უსასყიდლოდ სარგებლობასაც გულისხმობდა. საავადმყოფო-თავშესაფრები, როგორც წესი, ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა და მოქმედებდა. დავრდომილთა თავშესაფარს საავადმყოფოს ,,სასნეულო" და ,,ქსენონი" ეწოდებოდა.

5. სამისდღემშიო რჩენის სამართლებრივი ინსტიტუტი

ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლიდან ყურადღებას იპყრობს **სამისდღემშიო რჩენის სამართლებრივი ინსტიტუტი** ანუ სამუდამოდ, მარადჟამს, სამარადისოდ რჩენის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ხელშეკრულებით ფორმდებოდა ადამიანის სამუდამოდ უზრუნველსაყოფად ბინით, კვებით, მოვლა-პატრონობით, რისთვისაც სარჩენი პირი საკუთრების უფლებით გადასცემდა ქონებას (მაგალითად, სახლს ან სხვა სიკეთეს).

სარჩენად გადაცემულ ობიექტს „სარჩომი ქონება“ ეწოდებოდა. რჩენა-შენახვის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი მხარეთა შეთანხმება იყო. ზოგჯერ ეს შეთანხმება გამოიხატებოდა შეყრილობით („მოხუცებულობითა მოყვასი შეეყაროს მოყვასსა“). რჩენა-შენახვა შეიძლებოდა წარმომდგარიყო გაწეული სიკეთის სანაცვლოდ, მაგალითად, თუ ბატონი ყმობიდან გაათავისუფლებდა თავის ყმას რჩენის პირობით, ან ქმარს ევალდებოდა ცოლის რჩენა-შენახვა, ან მონასტერს უნდა ერჩინა თავისი დაუძლურებული წევრი, ან მზითევის გატანება რჩენის პირობით, ან საანდერძო დანაკისრით რჩენა-შენახვა, ან შვილად აყვანა მომავალში შვილად ამყვანის რჩენა-შენახვის პირობით.

სამისდღემშიო რჩენა-შენახვის ძირითადი პირობა იყო სარჩენის მატერიალური უზრუნველყოფა. რჩენას საჭიროებდა ინვალიდი, მოხუცი ან მარტოხელა უძლური ადამიანი. ამისათვის მას გარკვეული მატერიალური სიკეთე უნდა გაეღო. სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება მარჩენალს ქონების დასაკუთრების უფლებას უქმნიდა. იმ შემთხვევაში, თუ მარჩენალი არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ხელშეკრულება მოიშლებოდა და გადაცემული ქონება სარჩენს უბრუნდებოდა.

ხანდაზმულობა

ხანდაზმულობა არის ვადა, გარკვეული დრო, რომლის განმავლობაშიაც პირს უფლება აქვს მეორე პირს წაუყენოს სარჩელი დარღვეული უფლების აღსადგენად ან დაკარგული (მიტაცებული) ნივთის დასაბრუნებლად. ხანდაზმულობის ვადის გასვლის (დაკარგვის) შემდეგ პირი უფლებას კარგავს სარჩელზე. ხანდაზმულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე საკუთრების უფლების წარმოშობისას.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი რომის სამართლიდან მოდის. საინტერესოა, რომ რომის სამართალმა მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე ხანდაზმულობის ზოგადი ცნება ვერ შეიმუშავა, ვერ ჩამოყალიბა. რომაელებმა პრაქტიკულად იცოდნენ ხანდაზმულობის სახეები: **სარჩელის ხანდაზმულობა** და **მფლობელობის ხანდაზმულობა**. ხანდაზმულობის ეს სახეები ძალზე მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული.

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში პირდაპირ მითითებებს სარჩელის ხანდაზმულობის ვადის შესახებ ვერ ვპოულობთ. ამიტომ იძულებული ვხდებით სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ძეგლებისა და პრაქტიკული მასალების ანალიზით გავარკვიოთ ეს პრობლემა.

ბექა-ალბულას სამართლის 77-ე მუხლის მიხედვით, გაქცეული ყმის დასაბრუნებლად 7-წლიანი ვადაა დაწესებული, ე.ი. თუ გაქცეული ყმა 7 წლის განმავლობაში არ დაიბრუნა ბატონმა, არ წარადგინა სარჩელი მის დასაბრუნებლად, იგი უფლებას კარგავს ყმაზე. ბექა-ალბულას სამართლის ამავე მუხლით, თუ გაქცეული ყმის ადგილსამყოფელი უცნობია ან შორს, საზღვარგარეთაა წასული და მისი დაბრუნება ძნელია, მაშინ ხანდაზმულობის ვადა ყმის დასაბრუნებლად 30 წელს შეადგენდა. ეს 30-წლიანი ვადა კახთმოდებელს აუღია, როგორც ძველად დაწესებული, ე.ი. XII საუკუნემდე სარჩელის ხანდაზმულობის ვადა 30 წელი ყოფილა.

რაც შეეხება ბექა-ალბულას სამართლით დაწესებულ ახალ 7-წლიან ვადას, იგი გამოიყენებოდა ისეთ შემთხვევებში, როცა ბატონს შეეძლო ყმის დაბრუნება, იცოდა მისი ადგილსამყოფელი, მაგრამ არ ცდილობდა ყმის დაბრუნებას.

ბექა-აღბუღას სამართლით (მუხლი 77-ე) დაწესებული 7-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღარ ჩანს. სამაგიეროდ კვლავ სახეზეა ყმის ძებნის 30-წლიანი ვადა, ე.ი. თუ გაქცეულმა ყმამ ახალ ბატონთან გაატარა 30 წელი, ძველი მებატონე უფლებას კარგავს მის დაბრუნებაზე, ანუ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ყმას ველარ დაიბრუნებს.

ვახტანგის სამართლის 199-ე მუხლის მიხედვით, თუ ყმა საზღვარგარეთ გაიქცევა და ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდება, ამასთან, ხელმწიფის ყმად გახდება, მას ბატონი ველარ დაიბრუნებს.

იმ შემთხვევაში, როცა ყმა საზღვარგარეთ გაიქცევა და იქ დაყოფს 30 წელს, დაბრუნდება შინ, მაგრამ ხელმწიფეს არ ეყმობა, ასეთ შემთხვევაშიც მას ადრინდელი ბატონი, მესაკუთრე ვერ დაიბრუნებს.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, სარჩელის ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადა საქართველოში ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონით“ შემოვიდა და ეს ვადა საერთო ხანდაზმულობის ვადაა, რომელიც დადგენილი იყო და გამოიყენებოდა XI-XII საუკუნეების საქართველოში. „მცირე სჯულის კანონში“ ხანდაზმულობის 30-წლიანი კადა რომის სამართლიდან შევიდა. ძველ რომში XII ტაბულის კახონების მიხედვით მოძრავ და უძრავ ქონებაზე ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადა იყო დაწესებული. მოგვიანებით დაწესდა 3-წლიანი ვადა მოძრავ ნივთზე, ხოლო 10-წლიანი ხანდაზმულობა უძრავ ქონებაზე. იმპერატორმა თეოდოს II-მ 424 წელს შემოიღო 30-წლიანი ვადა. იგივე ვადა დატოვა ძალაში იუსტინიანემ 528 წელს ოოგორც ჩანს, საქართველოში ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადა, მართალია, საეკლესიო კანონებით შემოვიდა, მაგრამ ეს მაინც რომის სამართლის რეცეფციით მოხდა.

ხანდაზმულობის ვადებს ეხება ვახტანგის სამართლის წიგნში შეტანილ ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მე-18, მე-19, მე-20, 21-ე და 25-ე მუხლები, მაგალითად, მე-18 მუხლში გინებისათვის პასუხისმგებლობის 1-წლიანი ხანდაზმულობაა დაწესებული, წართმეული ნიეთის დასაბრუნებლად – ერთწლიანი ვადა (თანაც

ოთხმაგი ოდენობით, იხ. მუხლი მე-19); გაუპატიურებისათვის დაზარალებულს უფლება ჰქონდა 15 წლის მანძილზე ეძია შური (მუხლი მე-20); მევალეს 30 წლის გასვლის შემდეგ აღარ შეეძლო ვალის მოთხოვნა (მუხლი 21-ე); ტყის გაჩეხვისათვის 30-ლიანი ხანდაზმულობის ვადა იყო დაწესებული (მუხლი 21-ე); თაღლითის დევნა (დათრობით ფულის გამოტყუება) 30 წლის განმავლობაში შეიძლებოდა (მუხლი 22-ე). ვახტანგ VI-ეს ეს მუხლები თავის სამართალში არ შეუტანია ალბათ იმიტომ, რომ საქართველოში მოქმედებდა ბერძნული სამართლის ქართული ვერსია და იქიდან ხელმძღვანელობდნენ ხანდაზმულობის საკითხების გადასაჭრელად.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა არ დაიწყებოდა, ანუ დავა ხანდაზმულობის ვადით არ შეწყდებოდა, თუ მოსამარჩელე მხარე გამოამჟღავნებდა სურვილს თავისი უფლების დასაკმაყოფილებლად და არ შეწყვეტდა ჩივილს[1]. იგივე აზრია გატარებული დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნშიც[2]. ხანდაზმულობის ვადა არ ეხებოდა ეკლესიის მამულებს.

ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებდა მტრის შემოსევის, ომიანობისა თუ არეულობის პირობებში. ხანდაზმულობის ვადები აითვლებოდა მშვიდობიანობის დროის მიხედვით. ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებდა (მხედველობაში არ მიიღებოდა), თუ პირს (მოსარჩელეს) ჰქონდა ამისათვის საპატიო მიზეზები. ასეთი მიზეზები იყო: საზღვარგარეთ გარდახვეწილობა ობლისა, რომელიც მცირეწლოვანია, ანუ ქმედუუნაროა[3].

ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება იმ გლეხის ფუძეზე, რომელიც საზღვარგარეთ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ბატონმა გაყიდა „საგლეხო ფუძე", სამშობლოში დაბრუნებულ გლეხს უფლება აქვს დაუბრუნდეს თავის მიწას „რა გინდა ხანი დაეყოს" სხვაგან.

ქართული სამართლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადები მხედ-

---

[1] ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, მუხლი 51-ე.

[2] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედ., გვ. 57-93.

[3] ბექა-აღბუღას სამართალი, მუხლი 51-ე.

ველობაში არ მიიღება (ხანდაზმულობა არ მოქმედებს) მთელ რიგ შემთხვევებში: თუ ქონება ან ნივთი ეკუთვნის მაღალი კლასის წარმომადგენელს, თუ მოსარჩელე არის მცირეწლოვანი და გარდახვეწილი, ან ობოლი, ან სულით ავადმყოფი. ხანდაზმულობა მხედველობაში არ მიიღებოდა თუ სადავო ქონება ან ნივთი მითვისებული იყო ძალადობით.

ისმება კითხვა, არსებობდა თუ არა ქართულ სამართალში ხანდაზმულობის ზოგადი კონსტრუქცია? უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე სამართლის თეორიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: ქართული სამართლის მიხედვით ხანდაზმულობას არ ექვემდებარებოდა ისეთი საკუთრების სახეების თაობაზე დავა, რომელთა წარმოშობისათვის აუცილებელი იყო წერილობითი საბუთი, წერილობითი სიგელი თუ ხელშეკრულება. ასეთი იყო უძრავი ქონების ბოძება, ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა და სხვა.

ძველი ქართული
საოჯახო
სამართალი

თავი V

ძველი ქართული საოჯახო სამართალი

ქორწინება და განქორწინება

ძველი ქართული საოჯახო სამართლის საკითხები დამუშავებული აქვთ ნ. ურბნელს, ივ. ჯავახიშვილს, გ. ნადარეიშვილს.

ძველი ქართული საოჯახო სამართლის ინსტიტუტებიდან უნდა განვიხილოთ ქორწინებისა და განქორწინების ინსტიტუტები, ასევე ოჯახის წევრთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი.

ქორწინების ინსტიტუტის განხილვამდე უნდა ჩამოვაყალიბოთ ძველი ქართული საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ძველი ქართული საოჯახო სამართლის პრინციპები სრულ თანაფარდობაში იყო შუასაუკუნებრივ მართლმადიდებლურ თუ, საერთოდ, ქრისტიანული ქვეყნების საოჯახო სამართლის პრინციპებთან. ასეთი პრინციპები იყო:

1) ქორწინებისა და ოჯახის წოდებრივ პრინციპებზე აგება, ამ პრინციპის (წოდებრიობის) დაცვა გარანტირებული იყო სხვადასხვა საშუალებებით.

2) ოჯახში მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე როგორც ქონებრივად, ისე პირადი არაქონებრივი ურთიერთობების დროს.

3) მამის გაბატონებული მდგომარეობა შვილებზე, როგორც ქონებრივ, ისე პირად არაქონებრივ ურთიერთობებში.

აღნიშნული პრინციპები სრული სხით წარმოჩნდება ქორწინების ინსტიტუტის განხილვის დროს და, ამდენად, აქ აღარ გავაგრძელებთ მათზე საუბარს.

ქორწინება საოჯახო სამართლის კარდინალური ინსტიტუტია. ქორწინების პრობლემით დაინტერესებულნი არიან არა მარტო იურისტები, არამედ სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები თუ ისტორიკოსები, რადგან ამ ინსტიტუტში ჩანს საზოგადოების განვითარების გზა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი.

ქორწინების ინსტიტუტის შესწავლის შესახებ დიდი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს

ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული დროისაა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების, განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია..."[1]. ივ. ჯავახიშვილს ამ სახელმძღვანელო მითითების შემდგომ გარკვეული სამუშაო ჩატარდა ქორწინებისა და, საერთოდ, საოჯახო სამართლის სხვა ინსტიტუტების შესასწავლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პროფ. გ. ნადარეიშვილისა და დოც. ლ. შოშიაშვილის შრომები[2].

ქორწინება გარკვეულ საფეხურებს გაივლის. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ქორწინების უძველესი წესი ყოფილა ქალის მოტაცებით ქორწინება, რომელმაც ამოწურა თავისი დრო და ადგილი დაუთმო მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, ანუ ნიშნობის საშუალებით ქორწინებას. მეცნიერი მიუთითებს, რომ ქალის მოტაცება, როგორც ქორწინების საშუალება, არც ერთ ქართულ სამართლებრივ ძეგლში აღარ ჩანს, სამაგიეროდ, მისი კვალი შეიძლება მოიძებნოს ეთნოგრაფიულ მასალებში.

ქორწინების წინაპირობად უნდა დავასახელოთ ნიშნობა, მაგრამ თვით ნიშნობასაც წინ უძღოდა ისეთი მოქმედებები, როგორიცაა საცოლის შერჩევა ანუ „გაჩხრეკა", „შეზვერვა", მაჭანკლობა, შუაკაცობა და სხვა სახის ნიშნობამდელი მოქმედებები.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, უძველეს წარსულში საქართველოში არსებული ქალის მოტაცების წესი მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ შესცვალა, ამასთან, საცოლის მოძებნა-შერთვევინებაში მშობლები აქტიურობდნენ. მისივე მითითებით, არსებობდა ასევე მშვიდობიანი მოლაპარაკების ისეთი ფორმაც, როგორიცაა აკვანში დანიშვნა.

ნიშნობამდელი მოქმედები ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნიშნობის წინარე სხვადასხვა წესები და რიტუალები არსებობდა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ. VI, გვ. 144.

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965; მისივე ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996; ლ. შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003.

ნიშნობისწინა მოქმედებათა შორის აღსანიშნავია საცოლის შერჩევა. საცოლის შერჩევა ხდებოდა მშობლებისა და ახლობლების გაკითხვით, ან სახალხო და რელიგიურ დღესასწაულებზე ქალის დათვალიერებით. ამ ეტაპზე ყურადღება ექცეოდა საცოლის ვინაობას, მის გარეგნობას, მშობლებს, ოჯახის საქმიან მხარეს, ჯანმრთელობას, გენეალოგიას და სხვ.

საცოლის დათვალიერების შემდეგ ვაჟის მშობლები ქალის ოჯახში აგზავნიდნენ შუაკაცს, რომელიც არ იყო უცხო ქალის მშობლებისათვის. იგი ატყობინებდა საცოლის ოჯახს საქმროს ოჯახის სურვილს. საცოლის ოჯახი იწყებდა ცნობების შეგროვებას ვაჟის ოჯახისა და სასიძოს შესახებ. საქართველოს სხვა კუთხეებში ამ საქმიანობას „გაჩხრეკვას" უწოდებდნენ (მაგ., ხევში), რომელშიაც კონსპირაციულად მონაწილეობდნენ ვაჟის დედა, ბიძის ცოლი და სხვ. როგორც ირკვევა, საცოლის გასინჯვაში გადამწყვეტ როლს მშობლები ასრულებდნენ და ისინი წყვეტდნენ ნიშნობისა თუ ქორწინების საკითხს ისე, რომ საქმროს (ვაჟს) ან საცოლეს არც ეკითხებოდნენ, ე.ი. მექორწინეთა ნება-სურვილი მხედველობაში არ მიიღებოდა. მოგვინებით კი საცოლის „გასინჯვაში" გარკვეულ მონაწილეობას ღებულობს ვაჟიც — საქმრო და იგი აღარ არის „გასინჯვის" პასიური მონაწილე. საინტერესოა, რომ ქალის „გასინჯვის" საქმეში მაჭანკალი თუ შუაკაცი უსასყიდლოდ მონაწილეობდა. მოგვიანებით კი მაჭანკლობა სასყიდლიანი, მაგრამ საძრახისი საქმე გახდა, რასაც კანონმდებლობაც ებრძვის. ეს ჩანს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 69-ე მუხლიდან: „თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყვასსა, თუ თავის სახლში უმაჭანკლოს და გამოჩნდეს, რისაც გვარისა იყოს ის მაჭანკალი, თავის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს"[1]. თუ მაჭანკალი ამ თანხას არ გადაიხდიდა, მაშინ მას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ტიტველს სოფელს შემოატარებდნენ. აქედან ჩანს, რომ კანონმდებლობა ებრძოდა მაჭანკლის სასყიდლიანობასა და მომხვეჭველობას.

ნიშნობის წინარე მოქმედება ანუ საცოლის შერჩევა არ მოიაზრებოდა როგორც სამართლებრივი ქმედება. მხარეთა მოლაპარაკებისა და თანხმობის მიღწევის შემდეგი ქმედებები უკვე სამართლებრივი

[1] ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, გვ. 499, მუხლი 69-ე.

ურთიერთობების ორბიტაში ექცევა, რადგან სწორედ ამის შემდეგ წარმოიშობა ურთიერთსანაცვლო უფლებები და ვალდებულებები მეუღლეთა შორის[1].

საცოლის შერჩევისა და მხარეთა თანხმობის მიღწევის შემდეგი ეტაპი არის ნიშნობა (დაწინდვა). ნიშნობა სათავეს იღებს შორეულ წარსულში, მონოგამიური ოჯახის დამკვიდრების პერიოდიდან. საქართველოში ნიშნობის წარმოშობა გასდევს ქრისტიანობის ჩასახვა-განვითარებას, სწორედ ამ პერიოდიდან ხდება ძველი წარმართული საქორწინო წეს-ჩვეულების თანდათანობით შეცვლა ახლით. ტერმინი „ნიშანი“ სპარსული წარმოშობისაა. ქართულში ნიშნობის აღსანიშნავად, ნიშნად გამოიყენებოდა „ბელგა“ (იგი გერმანული წარმოშობისაა). ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ქართულში ქალვაჟის დანიშვნას „დაწინდვა“ ეწოდებოდა.

ქართული საეკლესიო სამართლიდან ირკვევა, რომ ნიშნობისათვის აუცილებელი არ იყო საეკლესიო წესით კურთხევა, თუმცა რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების დადგენილებით, „უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა დიად დაუწინდნენ იგინი ურთიერთასა და რაჟამს ჰასაკად მოვიდნენ ორნივე, მაშინ იქორწინენ“[2].

ნიშნობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საკანონმდებლო წესით იყო მოწესრიგებული[3], საქართველოში კი ნიშნობის საკითხი რეგულირდებოდა როგორც საერო საკანონმდებლო ძეგლებით, ისე რელიგიური და ადათობრივი სამართლის ნორმებით.

ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1) ვახტანგ VI-ის სამართლის 77-ე და 223-ე მუხლები;

2) ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390-ე და 397-ე მუხლები;

3) ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის „საქართვე-

---

[1] დ. ჯალაბაძე, საქორწინო საოჯახო სამართალი, იხ. „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, 4, თბ., 1993, გვ. 136.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 117-118.

[3] რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს დიგესტები, წიგნი 23, თბ., 2001, გვ. 7-10.

ლოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი", მე-15 და 52-ე მუხლები;

4) დ. ბატონიშვილის სამართლის 119-ე, 120-ე და 222-ე მუხლები;

5) სომხური სამართლის ქართული ვერსიის 57-ე და 58-ე მუხლები.

აღნიშნული ნორმების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ნიშნობა ატარებდა სამართლებრივი გარიგების, ხელშეკრულების სახეს, რომლის დარღვევისათვის დაწესებული იყო იურიდიული პასუხისმგებლობა. ქრისტიანობის მიღებიდან ნიშნობა რელიგიური და ადათობრივი ნორმებით რეგულირდებოდა.

პროფ. გ. ნადარეიშვილის მითითებით, საქართველოში, ისევე როგორც ბიზანტიაში ნიშნობა და ჯვრისწერა საეკლესიო ურთიერთობის სფეროში შედიოდა[1]. პროფ. ი. ფუტკარაძის აზრით კი, ნიშნობა სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა, მაგრამ იგი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება[2].

ეთნოგრაფიული ხასიათისა და სხვა სახის მასალების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში ნიშნობა გარიგების — ხელშეკრულების სახეს ატარებდა, რომლის მოშლა გარკვეულ პასუხისმგებლობას იწვევდა. ამის დამადასტურებლად დავით ბატონიშვილის სამართლის 120-ე მუხლიც ლაპარაკობს: „უკეთუ კაცმან გაუთხოვოს სასიძოსა ქალი ნათხოვნი (დანიშნული, — ვ.მ.), მაშინ მისცეს სისხლის მეოთხედი აბიდისთვის"[3]. ნიშნობის მოშლისა და მისთვის პასუხისმგებლობის წესები გათვალისწინებულია ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებში.

ინტერესმოკლებული არ არის საკითხი, თუ რა ასაკიდან იყო დაწესებული ნიშნობა. აკად. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოში უძველესი დროიდან მცირეწლოვანი ქალ-ვაჟის დაწინდვა სცოდნიათ

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1974, გვ. 20.

[2] ი. ფუტკარაძე, ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, თბ., 1977, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები, ხელნაწერი, ფ. 1074, გვ. 16.

[3] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი მოამზადა და გამოკვლევა დართო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 68, მუხლი 120-ე.

და XII საუკუნიდან ამის ნება რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამაც დართო, რომელმაც აკრძალა მცირეწლოვანთა ქორწინება.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ მცირეწლოვანთა დანიშვნას ადგილი ჰქონია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. დადასტურებულია ასევე, რომ საქართველოში არსებობდა აკვანში დანიშვნაც კი. აკვანში დანიშვნა ხდებოდა მშობელთა ინიციატივითა და სურვილით. არის ცნობები იმის შესახებ, რომ მშობლები შეთანხმებულან თავიანთი შვილების დაქორწინებაზე მანამდე, სანამ ბავშვები დაიბადებოდნენ.

ნიშნობა სპეციალური რიტუალის შესრულებით ხდებოდა. სწორედ ამ რიტუალებიდან ჩანს, თუ რა უფლებებსა და მოვალეობებს კისრულობდნენ მომავალი მექორწინე მხარეები. ნიშნობის რიტუალის შესრულებისას მხარეები ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის მიეტანათ „ნიშანი“ ანუ წინდი. ზოგიერთი კუთხე (კახეთში) ნიშნობას „ფაჩუჩის“ შებმასაც უწოდებდნენ (ფაჩუჩი კი შინაური ფრინველისათვის ფეხზე შესაბმელი ნიშანი იყო), რაც გადატანითი მნიშვნელობით ქალისათვის ნიშნის დადებას წარმოადგენდა. აღმოსავლეთ საქართველოში ნიშნობისათვის ვაჟის მშობლები წინასწარ შეიძენდნენ ბეჭედს, საყურეს, ოქროს სამაჯურსა თუ სხვა ნივთებს. ხშირად სასიძოს ოჯახს ქალის ოჯახში მიჰქონდა არა მარტო ნიშანი, არამედ სურსათ-სანოვაგეც — საკლავი, ღვინო, პური, ყველი და სხვ. ქალის ოჯახი თავის მხრივ სასიძოს ასაჩუქრებდა.

ნიშნობა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის მატარებელი მოვლენა იყო. მისი დარღვევისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა დგებოდა[1].

ქორწინება. საქართველოში ქორწინების არსი და დანიშნულება ქრისტიანული მოძღვრებით იყო განსაზღვრული. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ქორწინება იყო ქალისა და მამაკაცის კავშირი შთამომავლობისა და ოჯახის ერთად შექმნის მიზნით.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოში ქორწინების თავდაპირველი ფორმა ეგზოგამიური ქორწინება იყო, მას ეწოდებოდა მამამძუძეობა. რა იყო ეს? ივ. ჯავახიშვილის მითითებით,

[1] ნიშნობის მოშლის შესახებ, იხ. ლ. შოშიაშვილი, ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003, გვ. 54-58.

„მამამძუძეობის“ წესის მიხედვით ვაჟი შედის ცოლის გვარის შიგნით შვილების გაჩენის მიზნით. ცოლის გვარში გაჩენილი ბავშვი „თავის მამის საგვარეულოსა და სახლში არ წოვს ძუძუს და არც იზრდება. ის მხოლოდ შემდეგში, უკვე წამოზრდილი, შედის თავისი საკუთარი მამის სახლსა და საგვარეულოში“[1].

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში ქორწინების ერთგვარი ფორმა იყო უძველეს პერიოდში ქალის მოტაცებით ქორწინება სხვა ტომის ხალხებიდან. ამ მოსაზრებას იზიარებს ივ. ჯავახიშვილიც და წერს: „ერო დროს ქალწულის საცოლედ მოტაცებას გათხოვების მნიშვნელობა ჰქონდა[2]. სხვა ადგილზე კი აღნიშნავს: „ქართული ქორწილის ხალხურ ჩვეულებაში წაგვრისა და მოტაცების ანარეკლი მკაფიოდ მოჩანს“[3]. მეცნიერის აზრით, ქალის მოტაცებით ქორწინებას ადგილი ჰქონია შორეულ წარსულში და ქართველმა „ერმა მდიდარი კულტურული წარმატების წყალობით წაგვრის წესის განვითარების საფეხურები დიდი ხანია განელო...“[4].

ქორწინების ერთგვარი ფორმა სხვადასხვა ხალხებში საცოლისათვის გამოსასყიდის გადახდა იყო. ქორწინების ამ ფორმას ძველ რომში c· nptio ანუ ცოლის ყიდვა, ანუ საცოლისათვის საზღაურის გადახდა იყო. ქორწინების ასეთი სახე დადასტურებულია საქართველოშიაც. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილიც მსჯელობს: „ქორწინების წესის აღწერილობაში ის გარემოებაა საყურადღებო, რომ საცოლისათვის პირველად სწორედ საქმროს უნდა მიერთმია სამკაული, საჩუქარი, ასევე ქონება“[5].

ასეთი იყო ქორწინების თავდაპირველი ფორმები უძველესი პერიოდის საქართველოში.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ ქორწინების თავდაპირველი ფორმები უცბად არ გაუქმებულა, მაგრამ თანდათანობით კარგავდნენ ძალას და მკვიდრდებოდა ქორწინებისათვის უფრო ცივილიზებული მოთხოვნები და პრინციპები, ისეთი, როგორიცაა: ნებაყოფლობითი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, გვ. 153.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 261.

[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VI, გვ. 144-146.

[4] იქვე, გვ. 149.

[5] იქვე, გვ. 148.

ქორწინება, ნათესაობის არარსებობის პრინციპი, სოციალური და წოდებრივი თანასწორობის პრინციპი და სხვ. ამასთან, ქორწინების დამაბრკოლებელი (გამომრიცხავი) გარემოებების რეგლამენტაცია ხდებოდა როგორც საეკლესიო, ისე სამართლის ნორმების მეშვეობით.

ნებაყოფლობითი ქორწინება, ანუ მხარეთა თანხმობა ქორწინებაში როდი გულისხმობდა მექორწინე ვაჟისა და ქალის თანხმობას, საქართველოში შვილების დაქორწინების საკითხში უძველესი დროიდან გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა მშობლებს. ბუნებრივია, რომ ჩვილთა ქორწინების, ასევე უსაკოთა ქორწინებისას გამორიცხული იყო მექორწინე ვაჟისა და ქალის ნების გათვალისწინება, მაგრამ, მას შემდეგ, რაც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ აკრძალა ჩვილთა ქორწინება, უნდა ვიფარაუდოთ, რომ მექორწინე ქალ-ვაჟის ნება-სურვილიც მიიღებოდა მხედველობაში, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც მშობლებს ეკუთვნოდათ.

ქალ-ვაჟის დაქორწინების საქმეში გარკვეული უფლებები ენიჭებოდათ ნათესავებს, ბიძებს, ქალის ძმებსა და სხვა ნათესავებს.

ქართული ეთნოგრაფიული მასალებით, წერილობითი საბუთებით და სასამართლო დოკუმენტებით დასტურდება, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქორწინებისას მხარეთა თანხმობის გარდა საჭირო იყო ეკლესიის თანხმობაც. ასევე ყმებისათვის მებატონეთა თანხმობაც.

ქორწინებისათვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა გარკვეული საქორწინო ასაკი. 1003 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით, საქართველოში დაწესდა საქორწინო ასაკი ქალებისათვის 12 წელი, ე.ი. მანამდე არსებობდა ქალისათვის უფრო დაბალი საქორწინო ასაკი. რაც შეეხება ვაჟის საქორწინო ასაკს, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, იგი განისაზღვრებოდა სქესობრივად მომწიფებით ანუ 15-16 წლით[1]. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ქორწინო ასაკი არსებობდა. ნ. მაჩაბელის მითითებით, ქართლში ქალი 16-18 წლისა თხოვდებოდა, ვაჟი კი 20-30 წლისა შეიძლებოდა დაქორწინებულიყო. ამრიგად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება საქორწინო ასაკის თაობაზე ძალაში რჩებოდა XVI-XVIII საუკუნეებშიც[2]. დ. ჯალაბაძის მითითებით, ფშავ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VII, გვ. 266.

[2] ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ. 18.

ხევსურეთში და, საერთოდ, საქართველოს მთიანეთში შეინიშნება მაღალი საქორწინო ასაკი, რაც მთის ბუნებრივი პირობები და სოციალურ-ეკონომიური ფაქტორებით იყო განპირობებული.

ქართული საოჯახო სამართლისა და ქორწინების ერთ-ერთი პრინციპი იყო ნათესაობის არარსებობა, ანუ ნათესაობა როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი პრინციპი. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ნათესაობა, როგორც ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება, აღიარებულ იქნა ბასილი კესარიელის კანონებით და VI მსოფლიო კრების დადგენილებით. ამასთან, ზუსტად განისაზღვრა ნათესავთა ის წრე, რომელთა დაქორწინება გამორიცხული იყო. ქრისტიანულმა რელიგიამ აკრძალა: მამის ძმისწულის ან დედის ძმისწულის შერთვა, ასევე მამის ან დედის დისწულის შერთვა. აიკრძალა მამისა და შვილის დაქორწინება დებზე, ან მამისა და შვილის დაქორწინება დედასა და მის ქალიშვილზე. არ დაიშვებოდა ორი ძმის დაქორწინება დებზე. მკაცრად აიკრძალა სისხლის ნათესავთა ქორწინება (სისხლის აღრევა) მე-8 თაობამდე (7 თაობის ჩათვლით).

ქრისტიანულმა რელიგიამ დაადგინა რა ე.წ. ,,სულიერი ნათესაობა", გამოაცხადა იგი ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად. მონათლული, მიუხედავად იმისა, რომ სხვისი შვილი იყო, საკუთარ შვილს გაუთანაბრა და, ბუნებრივია, აიკრძალა მისი ქორწინება ნათესავებთან. ასევე აიკრძალა ქორწინება შვილად აყვანილთან.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გარდა ზემოაღნიშნულისა, ქორწინების სხვა დამაბრკოლებელი პირობებიც არსებობდა. მაგალითად, ,,გაფიცვა" ანუ ფიცის დადება, რომ მხარეთა შორის არ დაიშვებოდა ქორწინება, სოფლის, თემის, ზოგჯერ ხევის შიგნით ქორწინება, ერთი სალოცავის მრევლთა შორის ქორწინება და სხვ. მკვლევარი დ. ჯალაბაძე ჩამოთვლის ფშავში ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს: თანამოგვარეობა, თანამეთემეობა, ერთი ხატის ყმობა, ხორციელი, სისხლისმიერი ნათესაობა, სულიერი ანუ ნათლმირონული ნათესაობა და სხვ.[1] ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ქორწინების ერთ-ერთი დამარკოლებელ გარემოებად ითვლებოდა ტერიტორიული პრინციპი, ანუ ერთი სოფლის ფარგლებში ან ერთი უბნის ფარგლებში ქორწინება.

[1] დ. ჯალაბაძე, საქორწინო-საოჯახო სამართალი, იხ. ,,ქართული ჩვეულებითი სამართალი", №4, 1993, გვ. 146.

ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების პრინციპიდან გამომდინარე, ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებად ითვლებოდა ასევე სოციალური, წოდებრივი და თანამდებობრივი უთანასწორობა.

ქართული სამართალი მკაცრად მოითხოვდა ქორწინებისას ერთმორწმუნეობის (მართლმადიდებლობის) დაცვას.

ქართული სამართალი არეგულირებდა ე.წ. „კიდით-კიდე“ ქორწინებას ანუ ისეთ ქორწინებას, როდესაც საქორწინო რიტუალს არ ესწრებოდა მექორწინე ან მექორწინეები. როგორც ჩანს, ეს წესი საქართველოში არსებობდა, ანუ თუ არ ესწრებოდა საქმრო ქორწინებას, მის ნაცვლად სხვა დგებოდა ჯვრისწერის დროს და ნამდვილი ქმრის სახელით ტარდებოდა ქორწინება. მაგრამ ქორწინების ეს წესი 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით აიკრძალა და ასეთი ქორწინება უკანონო ქორწინებად გამოცხადდა: „იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხულ არიან“[1].

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები (ფაქტორები) ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1) ქორწინების აბსოლუტური დამაბრკოლებელი, ანუ გამომრიცხავი გარემოებები; 2) ქორწინების შეფარდებითი, ანუ ხელისშემშლელი გარემოებები.

პირველს მიეკუთვნება: სქესობრივი მოუმწიფებლობა ანუ უასაკობა, მექორწინე მხარეთა შორის თანხმობის არარსებობა, სისხლით ნათესაობა, ქორწინებაში ყოფნა, სულით ავადმყოფობა. მეორეს — ნათესაობა, რელიგიისადმი დამოკიდებულება, წოდებრიობა, ანუ სოციალური უთანასწორობა, ტერიტორიული პრინციპი, ანუ ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ თვლიან ქორწინებას მიზანშეწონილად მორალის თვალსაზრისით.

[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 121.

განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ქორწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აღწარმოებისათვის. ამიტომაც სახელმწიფო და საზოგადოება მუდმივად ზრუნავდა და ზრუნავს ქორწინებისა და ოჯახის სიმტკიცისათვის. ამავე საქმეს ემსახურებოდა ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესია. ქრისტიანული ეკლესია განქორწინებას ერთგვარ ანომალიად თვლიდა და ყოველგვარ ზომებს ატარებდა მის წინააღმდეგ. სახელმწიფო და ეკლესია, მართალია, განქორწინებას ერთგვარ ბოროტებად მიიჩნევდა, მაგრამ ზოგჯერ განუქორწინებლობა ისეთ ვითარებას წარმოშობდა, როცა მეუღლეთა ერთად ცხოვრება წარმოდგენილი იყო და არც სახელმწიფოსა და არც ეკლესიას არ შეეძლო ოჯახის შენარჩუნება. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ქრისტიანული მოძღვრება მაინც ქადაგებდა, რომ ქორწინება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მეუღლის სიკვდილის შემდეგ, თუმცა ფიზიკური სიკვდილის შემდეგაც მთლიანად არ ისპობა ქორწინება.

განვიხილოთ განქორწინების პირობები, საფუძვლები და წესი საქართველოში.

უძველეს პერიოდში, როდესაც ადგილი ჰქონდა საცოლის ყიდვით ქორწინებას, ლოგიკურია, რომ განქორწინება მამაკაცის ნებასურვილზე იყო დამოკიდებული და იგი გამოიხატებოდა ცოლის მოშორებით. ამ მოვლენას სხვა ხალხებშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ძველ რომში მას ეწოდებოდა repidium, რაც ცოლის გაგდებას, მის მოშორებას ნიშნავდა.

განქორწინების შესახებ ცნობები ქართული წყაროების მიხედვით მხოლოდ ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან შეიძლება მოვიპოვოთ. ამ მხრივ ჩვენ დახმარებას გვიწევს ი. ცურტაველის „შუშანიკის წამება“. ამ ნაწარმოების მიხედვით განქორწინების მიზეზია ქრის — ვარსქენის მიერ **ქრისტიანული სარწმუნოების** უარყოფა და მაზდეანობის მიღება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა შუშანიკისათვის და მან დასტოვა ოჯახი, ე.ი. ქორწინება შეწყვიტა. მეორე მხრივ, ამ ნაწარმოების მიხედვით განქორწინების მიზეზად ჩანს ცოლის დაუ**მორჩილებლობა ქმრისადმი.**

ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების ერთ-ერთი საფუძ-

ელით იყო მრუშობა. ეს უეჭველია, რადგან საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანაში, მტკიცედ მოქმედებდა პრინციპი — მრუშობისათვის არა მარტო განქორწინება, არამედ სხვა სახის სასჯელთა შეფარდებაც. უძველესი პერიოდიდან მრუშობა განიხილებოდა როგორც ცოლის მიერ ქმრის საკუთრების განიავება (ცოლი ქმრის საკუთრება იყო), მოგვიანებით კი მრუშობა ქმრის ღირსების დამცირებად, შეურაცხყოფად მიიჩნეოდა. კანონიკური სამართალი მრუშობისათვის სხვა სასჯელებსაც აწესებდა, კერძოდ, 15 წლის უზიარებლობას. ამრიგად, ცოლის მრუშობისათვის მამაკაცს შეეძლო ქორწინების შეწყვეტა — განქორწინება. რაც შეეხება მამაკაცის მრუშობას, იგი განქორწინების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი (ქმარი) კავშირს დაიჭერდა გათხოვილ მეოჯახე ქალთან, მისი კავშირი უქმრო ქალთან არ ითვლებოდა მრუშობად და ცოლს არ ჰქონდა საფუძველი მასთან განქორწინებისა. ქართული სამართალი ნებას აძლევდა ქმარს მოღალატე ცოლი ადგილზე მოეკლა თუ იგი წაასწრებდა სხვასთან და ამისთვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყო[1].

ქართული ადათობრივი სამართლის მიხედვით, ქმარს უფლება ჰქონდა მრუშობაში მხილებული ცოლი ვირზე შეესვა და ისე გაეგზავნა თავის მშობლებთან. პიროვნების ვირზე შესმა უმკაცრეს გამწბილებელ სასჯელად ითვლებოდა.

ქართული სამართლის მიხედვით განქორწინების საფუძვლად ითვლებოდა ასევე ცოლის ავადმყოფობა ანუ დასნეულება. ამის შესახებ საუბარია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 140-ე მუხლში: „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის, რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია.

თუ გაეყაროს შეფიცოს ნაბნითა, რომე სიძულვილითა არა გაყროდეს და ნახევარი სისხლის დაუურვოს...“[2]. აქედან ჩანს, რომ ქალის დასნეულება კანონიერი საფუძველია განქორწინებისათვის. ამასთან, განასხვავებს ქალის დასნეულება როდის მოხდა, ქორწინებამდე თუ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 493, მუხლი 42.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, I, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 468, მუხლი 140.

ქორწინების შემდეგ. თუ ქალი ქორწინებამდე დასნეულდა, ქმარი ძალზე იოლად განქორწინდებოდა, ხოლო თუ ქორწინების პერიოდში ქმართან ყოფნისას, მაშინ მას (ქმარს) უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი სიძულვილით კი არ ეყრებოდა ცოლს, არამედ მისი დაავადების გამო და ნახევარი სისხლის ფასიც უნდა გადაეხადა ცოლის მხრისათვის.

ქართულ სამართალში განქორწინების საფუძვლად გ. ნადარეიშვილი ასახელებს **ქორწინებამდე ორსულობასაც**. ამასთან, მიუთითებს, რომ ქორწინებამდელი ორსულობა განქორწინების მიზეზი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ ქალი ქვრივი ან ნაქმრევი იყო და ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში ხელახლა გათხოვდა, ან თუ ქმარმა იცოდა ცოლის ორსულობის შესახებ, ან თუ თვითონ დააორსულა იგი[1].

გ. ნადარეიშვილის მითითებით, მსგავსად სხვა ქრისტიანული ქვეყნებისა, საქართველოშიც განქორწინების მიზეზი უნდა ყოფილიყო, თუ ცოლი უცხო მამაკაცთან იქეიფებდა, ან აბანოში მასთან ერთად ტანს დაიბანდა, ან თუ დაესწრებოდა საცირკო სანახაობებს ქმრის ნებართვის გარეშე[2]. აღნიშნული მიზეზები გათვალისწინებული იყო ქრისტიანული კანონებით, რომელიც საქართველოში მოქმედებდა.

საქართველოში განქორწინების მიზეზად ასახელებენ ასევე ერთ-ერთი მეუღლისაგან **სახელწიფოს ღალატს**[3].

განქორწინების კანონიერი საფუძველი იყო საქორწინო თანაცხოვრებისათვის **უვარგისობა ანუ იპოტენცია**, რამაც ქართულ საერო კანონმდებლობაშიც პოვა ასახვა.

განქორწინების ერთ-ერთი საფუძველი იყო ასევე მეუღლის (ქალის ან კაცის) **მონაზვნად აღკვეცა**.

განქორწინების საფუძვლად სჯულის კანონში დასახელებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორის **მოწამვლით მოკვლის** მცდელობა, რაც საქართველოშიც მოქმედებდა.

განქორწინების საფუძვლად შეიძლება დავასახელოთ ზნეობის დამრღვევი დანაშაულები, ე.წ. **სოდომური ცოდვები**. სოდომურ ცოდ-

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996, გვ. 201.

[2] იქვე, გვ. 201.

[3] იქვე, გვ. 202.

ვებში იგულისხმებოდა მამათმავლობა, ცხოველთმავლობა და მრავალი სხვა სახის გარყვნილი ქმედებები. ნიშანდობლივია, რომ თამარ მეფის ქორწინების შეწყვეტა (განქორწინება) მისი მეუღლის სოდომური ცოდვებით იყო განპირობებული. ბიზანტიური სამართლით სოდომური ცოდვებისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. თამარმა კი შეინდო მისი ქმარი, რომელიც სიკვდილს იმსახურებდა და ექსორია უყო.

განქორწინების შესახებ მსჯელობს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიც. სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლში დასახელებულია მეუღლეთა შორის კონფლიქტური დამოკიდებულებები, რომლებიც შეიძლება გამხდარიყო განქორწინების მიზეზი, მაგრამ სჯულმდებელი მეფე თავის სამართლის წიგნის 63-ე მუხლში განქორწინების საფუძვლად მხოლოდ „ბოზობას“ თვლის: „თუ ცოლი დაჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს სისხლი აიღოს (საზღაური გამოართვას, – ვ.მ.), თუ არ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ გაეყრებიან (ხაზი ჩვენია, – ვ.მ.). სჯულმდებელი მეფე არც ცოლის ტანჯვასა და შეურაცხყოფას მიიჩნევს განქორწინების საფუძვლად: „მაგრამ კაცი რომ ცოლს და უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მოეპყრას და კათალიკოზმა ასრე სრული სისხლი უნდა მისცეს“. აქედან აშკარად ჩანს, რომ ქალს უშვილობა ვახტანგ VI-ის კოდექსით განქორწინების საფუძველი არ არის. ისმება კითხვა: არის თუ არა განქორწინების საფუძველი კაცის უშვილობა? ამ კითხვაზე პასუხს იგივე მუხლი იძლევა: „იქნების კაცი ასრე ჭანი იყოს, რომე ცოლთან წოლა კი შეეძლოს და შვილის შექმნა კი არ შეეძლოს, ამისთვინაც არ გაიყრებიან“. როგორც ჩანს, ვახტანგის სამართლის წიგნი არც მამაკაცის უშვილობას მიიჩნევს განქორწინების მიზეზად. ყოველივე ეს იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ქართული სამართლის მიხედვით ქორწინება არ განიხილება როგორც მხოლოდ შთამომავლობის გაჩენის საშუალება, არამედ უფრო მეტია.

უშვილობის როგორც განქორწინების საფუძვლის მიუჩნეველობასთან დაკავშირებით, ვახტანგ VI-ის სამართალი უფრო მეტ კონკრეტულობას იჩენს და აღნიშნავს: „და თუ სულ ასრე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია, უნდა კაცმა ცოლს დასტური მისცეს სხვის ქმრის შერთვისა“. აქედან ჩანს, რომ ცვედანობის გამო ქმარმა უნდა დაუშვას განქორწინება. ცვედანობა იმ შემთხვევაში არ იქნება

განქორწინების საფუძველი, თუ იგი დაემართა მამაკაცს დაქორწინების შემდეგ: „თუ ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა, და ან ქორწილს უწინაც, და მერე ქორწილზედა დამცველნებულია, არ გაიყრებიან“. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, თუ როგორ ებრძვის განქორწინებას ვახტანგის სამართალი, როგორ იცავს ოჯახის სიმტკიცეს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 87-ე მუხლში განქორწინების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია მრუშობაში შესმენის საფუძველზე განქორწინების შესახებ: „დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მიცეს“. აქედან ჩანს, რომ განქორწინება შეიძლება მომხდარიყო მრუშობაში დასმენის საფუძველზე, მაგრამ დამსმენს ამისათვის სისხლის ფასი უნდა გადაეხადა.

ამავე მუხლში საუბარია იმის შესახებ, რომ მრუშობაში დასმენისათვის ქმარმა ცოლი არ გაუშვა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ თუ იმავე დასმენის მოტივით მოინდომა ცოლის გაშვება, „მაშინდელი წამოძახილი ქმარმან ცოლს დააყვედროს და აღარ ინდომოს, უდროოს დროს გაშვება იქნება, კაცი ტყუის და ვეღარ გაუშვებს“, ე.ი. ასეთ შემთხვევაში განქორწინება აღარ მოხდება.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობით აშკარად ჩანს, რომ განქორწინების ინიციატივა ეკუთვნის მამაკაცს. დედაკაცს არა აქვს უფლება განქორწინების საკითხის დასმისაც კი. ეს აშკარად ჩანს 74-ე მუხლიდან: „დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს და თუ ღვთით შერისხდეს და მისი უსირცხვილობით ქნას, რასაც გვარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს“.

განქორწინების საკითხთან დაკავშირებული ე.წ. „ცოლის წაგვრა“, ე.ი. განქორწინება შეიძლება მოხდეს (ოჯახი დაინგრეს) ცოლის მოტაცებით, „წაგვრით“. წაგვრა შეიძლება მოხდეს დედაკაცის (ცოლის) თანხმობით ან მისი თანხმობის გარეშე, იძულებით. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ინგრევა ცოლის თანხმობით, იგი თავისი ნებით მიჰყვება სხვას, მაშინ დაზარალებულ მხარეს, ანუ პირველ ქმარს ცოლის წამყვანმ., ანუ ახალმა ქმარმა უნდა გადაუხადოს ახალი ქმრის გვარის ორმაგი სისხლი და მას უნდა დაემატოს პირველი ქმრის სისხლის ფასი.

მეორე შემთხვევაში, ანუ თუ ცოლი იძულებით მოსტაცეს ქმარს, მომტაცებელმა პირველ ქმარს ორმაგი სისხლის ფასი უნდა გადაუხადოს, გარდა ამისა, მიხდომისა და ძალად წაყვანისათვის — კიდევ ერთი მთელი სისხლი, ხოლო თუ რაიმე ქონება წაიღეს, ეს ქონება უნდა დააბრუნონ. ცოლის წაგვრისას სისხლის ფასის გადახდა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მშვიდობიანად მოილაპარაკებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცოლის მოტაცებას შეიძლება ომი, შეტაკება მოჰყოლოდა[1].

ამრიგად, განქორწინების საკითხზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში განქორწინების საფუძვლები და წესი მართლმადიდებლური ქრისტიანული საქორწინო-საოჯახო წესების შესაბამისი იყო, ე.ი. განქორწინების მიზეზები, საფუძველი და წესი ქრისტიანული რელიგიის ნორმების შესაბამისი იყო და ამ ნორმებით რეგულირდებოდა.

მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები ქართული სამართლის მიხედვით

მონათმფლობელობის (ფეოდალიზმამდელი) პერიოდის საქართველოში მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. ამ პერიოდის შესახებ (ახალი წ.აღ-ის V საუკუნემდე) შეიძლება ითქვას, რომ მეუღლეთა პირადი ურთიერთობები რეგულირდებოდა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პარალელურად და ამ რელიგიის მოძღვრების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ქალი წარმოადგენს მამაკაცის საკუთრებას, იგი უუფლებოა თავისი მეუღლის წინაშე და ისე უნდა ემორჩილებოდეს ქმარს, როგორც უფალს.

რაც შეეხება მომდევნო პერიოდს (V-VI სს. ახალი წელთაღრიცხვით), მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობები ქრისტიანული მოძღვრების სრული შესაბამისობით ვითარდება, რომლის მიხედვითაც ცოლი მთლიანად ემორჩილება ქმარს. ქმარს შეეძლო ფიზიკურად დაესაჯა ცოლი დაუმორჩილებლობისათვის, ხოლო მრუშობისათვის ფიზიკურად გაენადგურებინა იგი.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 502-503, მუხლები 84-ე, 85-ე.

საქართველოში მეუღლეთა შორის პირადი ურთიერთობის ხასიათისა და შინაარსის გასარკვევად მოვიშველიებთ ი. ცურტაველის თხზულებას „შუშანიკის მარტვილობა“. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მამაკაცს, ქმარს უფლება აქვს მეუღლესთან შეთანხმების გარეშე მიიღოს სხვა სარწმუნოებაზე და მასაც იგივე მოსთხოვოს, მიუხედავად იმისა, ქალი თანახმაა თუ არა სარწმუნოების შეცვლისა. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ქალი — მეუღლე სრულიად უუფლებოა ოჯახში, მამაკაცი კი განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს, მას შეუძლია ცოლს მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა, „შეკვრა“ და „ბორკილთა დადება“. ნაწარმოებში ასახულია თუ რა სასტიკად სცემა ქმარმა ცოლი სხვების თანდასწრებით: „მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხთით თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა“. ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ ამ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იდეოლოგიით ქალი ბუნებით მამაკაცზე დაბლა დგას, იგი მამაკაცის მორჩილია, რადგან მისი გონება შეზღუდულია („დედათა ბუნებაი იწრო არს“). ნაწარმოების მთავარი გმირის, შუშანიკის აზრით, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ამ ქვეყნად არ არსებობს, ისინი თანასწორნი მხოლოდ იმქვეყნად, საიქიოს გახდებიან.

ი. ცურტაველის ნაწარმოებში შედარებით მცირე ცნობებია მოცემული მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების შესახებ, ამ ურთიერთობის მაჩვენებლად ის ადგილი გამოდგება, სადაც აღწერილია შუშანიკის სახლიდან წასვლა და ვარსქენის მიერ იაკობ ხუცესისათვის დავალების მიცემა, რომ იგი მივიდეს შუშანიკთან და არ დაუტოვოს მას სამკაული, წამოიღოს და მიართვას ვარსქენს. იაკობ ხუცესმა მართლაც შეასრულა ვარსქენის ეს დავალება, შუშანიკმა კი საჩუქრები უკლებლივ დაუბრუნა ვარსქენს.

აქ ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა შორის ის ქონებრივი ურთიერთობა, რაც საჩუქრებში გამოიხატება. როგორც ჩანს, წესად ყოფილა მეულლისთვის გარკვეული ქონების — საჩუქრების მირთმევა, მაგრამ ეს საჩუქრები (სამკაული) ცოლს სამუდამო საკუთრებაში კი არ ეძლეოდნენ, არამედ ქორწინებაში ყოფნის პერიოდში და თუ ქორწინება დაირღვეოდა, საჩუქრები ქმარს უბრუნდებოდა. ამასთან, ქალის სამკაულებ-

ის განმკარგველად ქმარი ჩანს. სავარაუდოა, რომ ქალს სხვა რაიმე ქონებაც ჰქონდა, ეს აშკარაა ვარსქენის მიერ იაკობ ხუცესისათვის მიცემული დავალდებიდან, რომ ხუცესმა უკლებლივ წამოიღოს შუშანიკისაგან ყველა სამკაული და „ყოველივე რაიცა რაჲ არს“.

რაც შეეხება VI-VIII საუკუნეების ცნობებს მეუღლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობის შესახებ, ისინი თითქმის არ არსებობს, მაგრამ ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ქალი ღებულობდა მზითევს, ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება და გვევლინება როგორც ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი.

IX-X საუკუნეების ქართული საეკლესიო ძეგლების ანალიზით ირკვევა, რომ ქალს გათხოვებისას ეძლეოდა ქონება — მზითევი, „დედული“ (ის ქონება, რაც გათხოვებისას ეძლეოდა ქალს მშობლებისაგან) და მამულიც, თუ სხვა მემკვიდრე არ იყო.

ბასილ ზარზმელის თხზულების მიხედვით კი (IX-X სს.) ქალი გამოდის მამულის მემკვიდრედ. აქ აღნიშნულია, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა მთელი თავისი ქონება უანდერძა თავის დასა და დიშვილებს. ამ ძეგლის მიხედვით ქალს აქვს სამემკვიდრეო და ქონებრივი უფლებები და თუ ქალს ამ პერიოდში ასეთი უფლებები გააჩნდა, იგი ამ შემთხვევაში თავისი მდგომარეობით გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე შუშანიკი.

X-XIII საუკუნეებში ცოლის პირადი და ქონებრივი უფლებების შესახებ ცნობებს გვაწვდის საკანონმდებლო ძეგლები. კერძოდ, აღბუღას სამართლის 81-ე მუხლის მიხედვით: „დიაცსა თუ ქმარი მოუკვდეს და შვილი არ დარჩეს, ზითევი თანა გაჰყვეს უკლებლად“. აქედან ჩანს, რომ თუ ქმარდაკარგული ქალი არ დარჩება ქმრის ოჯახში, რომელსაც შვილებიც არ ჰყავს, მზითევი სრულად თან მიაქვს. ქალის მზითევი შედგებოდა როგორც მამულისაგან, ისე სხვა ქონებისაგან. ეს ქონება ქალს თავის ქმრის ოჯახში მიჰქონდა.

ყურადღებას იპყრობს მეუღლეთა შორის **მზითევის, პირსანაზავისა** და **ნიშანის** იურიდიული რეჟიმი. ზემოთ აღნიშნული — პირსანაზავი, მზითევი და ნიშანი — სამივე ეკუთვნოდა ცოლს, ქმარს არ შეეძლო ამ ფასეულობათა ვალში გადახდა ან გახარჯვა. ყოველივე ეს მიგვანიშნებს ოჯახში ქალის მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზე.

აღმოსავლეთის ხალხებსა და საქართველოს მთიანეთშიც შეინ-

იშნება ქალის გამოსყიდვა ანუ ურვადი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ბარში მას ადგილი არ ჰქონდა და ამიტომაც ქართული საკანონმდებლო ძეგლები არსად არ მოიხსენიებენ.

მოკლედ შევეხოთ მეულლეთა პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების საკითხს ქართული საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით.

გიორგი ბრწყინვალეს სამართალი — „ძეგლისდადება“ ძირითადად სისხლის სამართლის ძეგლია, ამიტომაც აღნიშნულ საკითხზე ძალზე მკრთალადაა მასში მოცემული. ამ კანონში საუბარია „ცოლის წაგვრაზე“ ანუ გათხოვილი ქალის მოტაცებაზე. ეს ქმედება განსაკიცხ, შეურაცხმყოფელ და დანაშაულებრივ ქმედებად მიაჩნია კანონმდებელს იმის გამო, რომ იგი არღვევს ქალის თავისუფლებას და, მეორე მხრივ, წარმოადგენს ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, რითაც ფეხქვეშ ითელება ოჯახის უფროსის, ქმრის პატივი და ღირსება. ამავე კოდექსით მოწესრიგებულია ქალის „უბრალოდ დაგდება“ ანუ ქალის უმიზეზოდ მიტოვება, რაც ისჯებოდა ნახევარი სისხლის ფასის გადახდევინებით ქალის მხარის სასარგებლოდ. იმავე სასჯელს ითვალისწინებდა ცოლის უბრალოდ მიტოვებისათვის ბექას სამართლის 29-ე მუხლი.

გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლისდადებიდან“ ირკვევა, რომ საოჯახო ქონებაში ქალს სრული წილი არ გააჩნდა. ეს ჩანს „ძეგლისდების“ მე-18 მუხლიდან, სადაც აღნიშნულია, რომ თუ ქალს ქმარი მოუკლეს და იგი არ გათხოვდებოდა, მოკლულისათვის სისხლის ფასიდან მის ცოლს მცირე ნაწილი „სასაპყრო“ მიეცემოდა, დანარჩენი კი ოჯახის საკუთრებას შეადგენდა.

რაც შეეხება ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს, მასში უფრო ფართოდაა მოცემული მეუღლეთა უფლებრივი ურთიერთობები. აქ აღნიშნულია, რომ ქალის მზითევი, რომელიც მოძრავი ქონების სახით ჰქონდა წაღებული ქალს მშობლების ოჯახიდან, ქალის უპირობო, ხელშეუვალი საკუთრება იყო. რაც შეეხება უძრავ ქონებას ანუ მამულს, რაც ქალს მზითევში გაატანეს, თუ ქალი თავისი ნებით დატოვებდა ქმრის ოჯახს, მისი ნამზითვი მამული ქალის მშობლების ოჯახში გადადიოდა. მას ქალი ვერ წაიღებდა თუ იგი სხვას გაჰყვა.

ბექას სამართლის 46-ე მუხლის მიხედვით, თუ ქალი თავისი ნებით გაჰყვა სხვა ქმარს, ახალმა ქმარმა პირველ ქმარს ორი წილი სისხლი

უნდა გადაუხადოს. ამასთან, მისი მზითევი ქმარყოფილს დარჩება.

იგივე საკითხი, ანუ ცოლის „წაგვრის“ საკითხი უფრო ვრცლადაა მოცემული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. აქ აღნიშნულია, რომ თუ დიაცი თავისი ნებით გაჰყვა სხვას, დიაცის წამყვანმა ორი სისხლი უნდა გადაუხადოს ქმარყოფილს. რაც შეეხება „საქონელს“ ან „პირუტყვს“, რასაც ქალი წაიღებდა, ქმარყოფილს არ შეეძლო მისი უკან გამოთხოვა. თუ ქალს სხვასთან გაყოლისას სახლიდან არაფერი წაუღია, ვერაფერს ვეღარ მიიღებს. რაც შეეხება თავისი ნებით ქმრის დამტოვებელი ქალის მამულს, იგი ქალის მშობლებს გადაეცემოდა.

ქართული საკანონმდებლო ძეგლებიდან ჩანს, რომ ქალის მზითევი დაცულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქალი მრუშობისათვის გააგდეს.

საინტერესოა, რომ ქართული საკანონმდებლო ძეგლები უფრო მკაცრად სჯის ოჯახის დამანგრეველ ქალებს, ვიდრე ქმრებს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით, უბრალოდ ცოლის დამგდები ქმარი ნახევარი სისხლის გადახდით ისჯებოდა. რაც შეეხება ცოლს, იგი ამავე ქმედებისათვის მთელი სისხლის ფასის გადახდით ისჯებოდა.

ამრიგად, XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში მეუღლეთა პირად და ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგლამენტაცია გარკვეულ ცივილიზებულ ჩარჩოებშია მოქცეული. ქალი, როგორც მეუღლე, არ წარმოადგენს საკუთრების ობიექტს — იგი თვითონვეა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. სრულწლოვანი ქალი, როგორც მეუღლე, დამოუკიდებლად განაგებდა საკუთარ ქონებას, ცოლი და ქმარი ერთმანეთთან შედიან სხვადასხვა სახის ქონებრივ გარიგებაში — გააჩუქონ. გაჰყიდონ, გაცვალონ საკუთარი „მიუდევარი“ ქონება. ქმარი ვერ აკასხვისებდა ცოლის ქონებას მისი ნებართვის გარეშე. საქართველოსათვის უცხო იყო აღმოსავლეთ ქვეყნებისათვის დამამცირებელი ცოლის სრული უუფლებობა. მას არ განიხილავდნენ როგორც ქმრის საკუთრებას. თუ აღმოსავლეთის ქვეყნებში (ასირია) ცოლის მიერ რაიმე ნივთის გარეთ გატანა ქურდობად ითვლებოდა და ცოლი სასტიკად ისჯებოდა, ან ქმარს შეეძლო იგი ვალებში დაეგირავებინა — საქართველოში ამის მსგავსს ვერ შევხვდებით.

ფეოდალიზმისათვის არ არის დამახასიათებელი ქალისა და მამაკაცის სრული თანასწორუფლებიანობა და ამას ვერც საქართველო-

ში შევხვდებით, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში შეინიშნება და არსებობდა ცივილიზებული ქვეყნებისათვის (ბიზანტია) დამახასიათებელი პირადი და ქონებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება.

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობის შესახებ VI საუკუნემდე ცნობები არ შემონახულა. სამაგიეროდ ამ საკითხზე ცნობებს გვაწვდის ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლი „ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობა“.

ამ ნაწარმოების მიხედვით მცირეწლოვანმა 7-9 წლის ბავშვებმა მშობლების უკითხავად, მათი ნებართვის გარეშე მიიღეს ქრისტიანობა და ქრისტიანულად მოინათლნენ. მშობლების ნების გარეშე მონათლული ბავშვები მათმა არაქრისტიანმა მშობლებმა სასტიკად დასაჯეს: სცემეს, დაუხეთქეს თავები, ხოლო შემდეგ ღრმად ამოთხრილ ორმოში ჩაყარეს. ქრისტიანულად მომნათლავი ხუცესი კი სასტიკად დასაჯეს. გაქრისტიანებული ბავშვების მშობლები ყველაფერს მთავარს შესჩივლებენ. მთავარი კი ასე პასუხობს: „შვილნი თქვენნი არიან, ხელმწიფებაჲ გაქუს, უყავით რაიცა გნებავს“. აღნიშნული სიტყვებიდან და, საერთოდ, ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ამ პერიოდის საქართველოში (უფრო სწორად კოლაში, რომელიც მტკვრის სათავეებთან მდებარეობდა) მშობლებს შვილებზე განუსაზღვრელი უფლებები ჰქონიათ. მშობლებს შეეძლოთ შვილების არა მარტო ფიზიკური დასჯა, არამედ მათთვის სისცოცხლის წართმევაც. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოლაელთა მარტვილობის ამბავი წარმართულ საქართველოს შეეხება. ქრისტიანობა კი მშობელთა მიერ შვილების სიკვდილით დასჯის უფლებას არ იძლეოდა. ასეთივე იყო მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება ამავე პერიოდის სომხეთშიც. ევსევი კესარიელის ცნობით, რომელიც ეყრდნობა სირიელ მწერალს ვარდაზენს, სომხეთში ოჯახის უფროსს. მამაკაცს უფლება ჰქონდა ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე

მოეკლა ცოლი, საკუთარი შვილები, ისევე როგორც უშვილო ძმა და უშვილო და[1].

ამრიგად, წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის პერიოდის საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მშობლებსა და შვილებს შორის პიოადი ურთიერთობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში შვილები წარმოადგენდნენ მშობლების საკუთრებას, შვილებზე ვრცელდებოდა მშობლეთა აბსოლუტური უფლებები, შეიძლებოდა შვილების გაყიდვა, ფიზიკურად დასჯა და გამონაკლის შემთხვევაში, სიცოცხლის წართმევაც კი.

მშობლებსა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობის წესების დადგენას.

ცნობილია, რომ VI საუკუნის სომხეთში ქალები მოკლებული იყვნენ მემკვიდრეობას. სწორედ ამიტომაც ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს სპეციალური კანონი მიუღია სომხეთში ქალების მემკვიდრეობის უფლების შემოსაღებად[2]. სავარაუდოა, რომ იმავე მოვლენას ჰქონდა ადგილი საქართველოშიც. რაც შეეხება VIII-IX საუკუნეების საქართველოს (ტაო-კლარჯეთს), აქ მშობლების მემკვიდრეობას ღებულობდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალებიც. ეს ჩანს გიორგი მერჩულეს თხზულებიდან „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, სადაც აღნიშნულია, რომ ზენონის მშობლების გარდაცვალების შემდეგ ქონება დარჩათ ზენონსა და მის დას, რომელიც მათსავე სახლში ცხოვრობდა. ქონებაში იგულისხმებოდა „მონაგები“ „მამულიც“. მაშასადამე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით მშობლებისა და შვილების ქონებრივი ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ შვილები, მათ შორის ქალებიც, არიან მშობლების მემკვიდრეები.

ბასილ ზარზმელის თხზულებაში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვ-

---

[1] უფრო ვრცლად იხ. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 96-98.

[2] გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 100-102.

რება“ (IX-X სს. სამცხე) მითითებულია, რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ „ყოველივე რაიც აქუნდა, და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვისა...“. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქალებს ეძლეოდათ მემკვიდრეობა, რომლებიც გათხოვილნი არ იყვნენ, ე.ი. სახლში იყვნენ. გათხოვილ ქალს მემკვიდრეობა არ ეძლეოდა.

ვინაიდან IX-X საუკუნეების საქართველოში (სამცხეში) ქალებს ჰქონდათ მემკვიდრეობის უფლება, მათ მზითვიც მიეცემოდათ, უმთავრესად სამემკვიდრეო წილიდან. ამრიგად, მზითევი ის ქონება იყო, რომელიც ახლად გათხოვილ ქალს მიჰქონდა თავისი ქმრის ოჯახში. თავდაპირველად მზითევი მოძრავი ქონება იყო, მოგვიანებით მზითვად უძრავი ქონებაც ხდება და ამ ქონებას, მიწას „დედული“ ეწოდებოდა.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით, კერძოდ, ვახტანგის სამართლის 257-ე მუხლის მიხედვით, ქალს მზითვად მამული არ უნდა მიეცეს. ამ მუხლს ეწინააღმდეგება იმავე სამართლის წიგნის 84-ე მუხლი, სადაც საუბარია ე.წ. „სამამულე მზითევზე“, პროფ. გ. ნადარეიშვილის დასკვნით „... XVI საუკუნეშიაც ადგილ-მამული მზითვის ობიექტია. ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ მამულის „ზითვად“ გატანება ჩვეულებრივი და დომინირებული მოვლენა არ უნდა ყოფილიყო თვით თავადაზნაურობის წრეშიაც კი, რადგან ასეთი აქციისათვის „დიდისა და მაღალისა ხელმწიფისა“ ბრძანება და ნებართვა ყოფილა საჭირო... უფრო გვიან, XV-XVIII საუკუნეებში დიდებულ აზნაურთა წრეში მიწის მზითვად გადაცემა, მართალია გამონაკლისის, მაგრამარც თუ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება“[1].

როდესაც ვმსჯელობთ მშობლებსა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობის შესახებ, უნდა დავასკვნათ, რომ შვილები თანასწორუფლებიანი მემკვიდრეები არ იყვნენ მშობლების ქონებაზე.

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, „მეცნიერება“, თბ., 1965, გვ. 133.

საქართველოში არსებობდა საუხუცესო ანუ საუფროსო, საშუალო და მინორატი ანუ საუმცროსო, რომელთა შესახებ მსჯელობა გვექნება ქართულ სამემკვიდრეო სამართალში.

მშობლებისა და შვილების ქონებრივი ურთიერთობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული შვილობილისა და ზესიძის უფლებები.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მიხედვით: „სიძისა და შვილებულისა ასრე იცოდეთ: თუ წიგნითა შესრულიყვნენ, მამული დაეწეროთ, რა გაიყვნენ, საუხუცესო მამულისა პატრონს. სხუა შუა გაუყავით და შეტანილი და დახვედრებული თავ-თავისი გაიტანონ“ (მუხლი 157-ე). „თუ უწიგნოდ შესული იყვნენ, შეტანილი და ჭირნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იხსენოს“ (მუხლი 158-ე).

აქედან ჩანს, რომ შვილებული, იგივე სიძე, თუ იგი კანონიერი გზით (წიგნით ანუ ხელშეკრულებით) იქნებოდა შესული ოჯახში, სარგებლობდა კანონიერი შვილის თანაბარი უფლებებით, და უძრავი ქონების მემკვიდრეც ხდებოდა.

შვილად აყვანილის შესახებ საუბარია ვახტანგ VI-ის სამართლის 261-ე მუხლში: „თუ ერთმან კაცმან, უძმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმან, უშვილომ ცოლმან და ქმარმან, ერთის სხვის კაცის შვილი, დედმამიანი თუ უდედმამოდ ნაპოვნი, ობოლი, ვინმე გაგდებული, იყიდოს თუ იპოვნოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისებრ მიასაკუთროს და მას უანდერძოს, მას უკან ის გაზრდილი თუ მსყიდველი კაცი მოკუდეს, — მისი მებატონე ამ ანდერძს ნუ მოშლის, ვითომ ის არ მომკუდარა, მისი მამული და ქონება მასვე აქონიოს, იმით იმსახუროს“.

სხვა ადგილზე კანონმდებელი მიუთითებს: „ვინც აიყვანოს ყმაწვილი ან იპოვოს, ან გაზარდოს, იმის ასრე იქნას, ამ კაცზე კიდია, თუ უნდა თავის შვილად გაზარდოს და, თუ უნდა — თავის ყმად“. სწორედ ასეთი აყვანილი პირი შეიძლება გამხდარიყო შვილად ამყვანის შვილობის თანასწორნი ან ყმის მდგომარეობაში დარჩენილიყო. შვილად აყვანილი მემკვიდრეობის უფლებით სარგებლობდა და უთანაბრდებოდა ღვიძლ შვილებს. კანონმდებელი მებატონეს ავალებდა შეენარჩუნებიათ, არ მოუშლიათ ნაანდერძევი მამული თუ ქონება

შვილად ამყვანის სიკვდილის შემდეგ.

ქართული სამართლის მიხედვით ისეთი ოჯახები, რომლებსაც მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდათ, ცდილობდნენ, რომ ქალიშვილი სახლში დაეტოვებიათ, ე.ი. შემოეყვანათ შვილად სიძე.

ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში შვილებული სიძე შეიძლებოდა ყოფილიყო „წიგნით შესული“ ან „უწიგნოდ შესული“, ასევე „მამულ დაწერილი“.

ოჯახის წევრთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხები სხვა პირთა შორის (მაგალითად, უკანონოდ შობილთა უფლებები, განიხილება ქართული მემკვიდრეობითი სამართლით და მათ არ შეეხებით.

ძველი ქართული სამეცნიერო სამართალი

თავი VI

ქართული სამემკვიდრეო სამართალი

მემკვიდრეობითი სამართლის ცნება. იგი იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რითაც განისაზღვრება გარდაცვლილის მიერ დატოვებული ქონების (სამკვიდროს) ბედი. მემკვიდრეობითი სამართალი საკუთრების სამართლის განშტოება, მისი ნაწილია. წარმოუდგენელია მემკვიდრეობის არსებობა საკუთრების არსებობის გარეშე.

ადრეფეოდალიზმის ხანის არც ერთი საკანონმდებლო ძეგლი ჩვენამდე შემორჩენილი არ არის, რომელშიაც მოცემული იქნებოდა სამემკვიდრეო სამართლის საკითხები. სამაგიეროდ გვაქვს საისტორიო ხასიათის თხზულებები, აგიოგრაფიული ძეგლები, რომელთა მეშვეობით ხერხდება აღნიშნული პრობლემების გარკვევა.

გაერთიანებული ფეოდალური ხანიდან კი სამემკვიდრეო სამართლის საკითხებზე გარკვეულ ცნობებს გვაწვდის დავით აღმაშენებლის ანდერძები, ასევე XIII საუკუნის ძეგლი, ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი. სამემკვიდრეო სამართლის საკითხებს არეგულირებს ბაგრატ კურაპალატის, გიორგი ბრწყინვალეს, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნები, ხოლო XVIII საუკუნიდან ვახტანგის სამართლის წიგნი და მის მიერ შედგენილი კოდიკო. საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისის შედგენილ ძეგლში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“.

ქართულ მემკვიდრეობით სამართალს სწავლობდნენ: მ. კოვალევსკი, ივ. ჯავახიშვილი, ი. სურგულაძე, ი. დოლიძე, დ. ფურცელაძე, ა. ვაჩეიშვილი, გ. ნადარეიშვილი და ქართველი ეთნოგრაფები. ამომწურავად აღნიშნული პრობლემა შეისწავლა ბ. ზოიძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში[1].

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სამართლის ისტორიის პატრიარქის აკად. ივ. ჯავახშვილის მოსაზრებანი მემკვიდრეობის ტერმინოლოგიის, არსისა თუ ფორმების შესახებ საქართველოში.

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, მემკვიდრეობის სამართალი შეი-

[1] ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000 წ.

ძლებოდა მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა... უკვე VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი არსებობდა[1].

ივ. ჯავახიშვილი არკვევს მემკვიდრეობითი სამართლის აღმნიშვნელ ტერმინებს. მისი აზრით, მემკვიდრეს (მამრობითი სქესის ჩამომავალს) „მკვიდრი“ ერქვა. ამასთან, საკუთრების დამკვიდრება, ანუ მიღება შეიძლებოდა მშობლების სიკვდილის შემდგომ, ვფიქრობთ, ცდება მეცნიერი, როცა აღნიშნავს, რომ „თუ მშობლები მოისურვებდნენ თავის სიცოცხლის დროსაც საკუთარი ხელით „ხორციელად-მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან“ ხოლმე“[2]. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ საკუთრების გაყოფასთან, მემკვიდრეობის საკითხი მხოლოდ სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ დგება. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ქრისტიანული მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი მემკვიდრეებს სქესის განურჩევლად თანაბარ წილს უწესებდა, მაგრამ საქართველოში ეს წესი დაცული არ იყო და შვილებს თანასწორი წილი არ ეძლეოდათ, არამედ უფროსს ზედმეტი ეკუთვნებოდა, რასაც „საუხუცესო“ ეწოდებოდა, ხოლო დანარჩენი მემკვიდრეებისათვის მისაკუთვნებელს, „ხვედრი“ ეწოდებოდა, თანასწორ წილს კი „სწორი“ ეწოდებოდა. ამასთან, თანაბარ წილს მემკვიდრეთა შორის წილის ყრით (ანუ კენჭის ყრით) ყოფდნენ[3].

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით მემკვიდრეებად გამოდიოდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. მაგრამ ქალი იმ შემთხვევაში მიიღებდა მემკვიდრეობას, თუ იგი იყო „სახლსა შინა“, ე.ი. გათხოვილი არ ყოფილა. გათხოვილ ქალს მშობლების მემკვიდრეობაში წილი არ ეკუთვნოდა. მაგრამ, როდესაც სახეზე არ იყვნენ მამრობითი სქესის მემკვიდრეები და მამული უმკვიდროდ რჩებოდა, მაშინ ქონება და „მამულ-დედული“ მდედრობით სქესსა და მის შთამომავლებზე გადადიოდა. იმ შემთხვევაში კი, თუ საერთოდ აღარავინ იყო მემკვიდრედ, არც ქალი და არც კაცი, მაშინ ასეთ მამულს მეფე, სახელმწიფო ეპატრონებოდა და სახელმწიფო საკუთრება ხდებოდა. ასეთია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ქართული კანონისმიერი მემკვიდრეობის შესახებ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. VII, გვ. 272, 1984.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 273.

ივ. ჯავახიშვილი იხილავს მემკვიდრეობის მეორე ფორმასაც – ანდერძით მემკვიდრეობას. მეცნიერის აზრით, ქართული ანდერძის სამართლებრივი ბუნება რომაული სამართლის ინდენტურია, მას მისდევს. ივ. ჯავახიშვილი არკვევს ტერმინ „ანდერძის“ ეტიმოლოგიას და მიუთითებს, რომ ამ ტერმინის დამკვიდრებამდე ქართულში იხმარებოდა ტერმინი „ალთქუმაჲ“, ხოლო შემდგომში შემოვიდა და დამკვიდრდა „ანდერძი“, როგორც იურიდიული ტერმინი. ეს ტერმინი სპარსულიდან შემოვიდა. სპარსულში „ანდარზ“ რჩევას, განგებას, შეცედრებასა და ანდერძს ნიშნავდა. რაც შეეხება ტერმინ „უანდერძოდ“-ს, იგი ისეთ პირთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელთაც სიკვდილის წინ თავისი ნება არ გამოუხატავთ ანდერძით. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, ანდერძი იყო მესაკუთრის ნება წინასწარ, სიტყვიერად ან წერილობით განეცხადებინა თუ ვის უნდა გადასცემოდა ქონება, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით და კანონით კი არა, არამედ მის მიერ აღნიშნული რიგითა და რაოდენობით ან ზოგიერთ მემკვიდრეს საერთოდ არ მიეღო წილი. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის აზრით, არსებობდა როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი ანდერძი. ივ. ჯავახიშვილი ასახელებს დავით აღმაშენებლის ანდერძებს, გრიგოლ კურაპალატის ანდერძსა და სხვ.

[illegible] შემთხვევაში, როდესაც მოანდერძის ნების გამოხატვა დიდმნიშვნელოვან საქმეს შეეხებოდა, უნდა შედგენილიყო ანდერძი, მასში დაცული უნდა ყოფილიყო ანდერძის ფორმა ანუ კანონიერი ფორმ უნდა ჰქონოდა. ანდერძებში მითითებული უნდა ყოფილიყო, რომ იგი შედგენილი იყო მოანდერძის ნება-სურვილით და არა იძულებით, მოანდერძე სრულ ჭკუაზე უნდა ყოფილიყო, ე.ი. ჯანმრთელი. ანდერძი შეიძლებოდა მოანდერძეს საკუთარი ხელით დაეწერა. ანდერძში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მითითებული მოანდერძის ვინაობა, რომელიც ხელს აწერდა ანდერძს და თუ წერა-კითხვა არ იცოდა, მაშინ მისი სურვილის შესაბამისად სხვას უნდა მოეწერა ხელი. ანდერძის ნამდვილობისათვის საჭირო იყო ასევე მოწმეების თანდასწრება ანდერძის შედგენისას და მათი ხელმოწერა ანდერძზე.

ანდერძის დამტოვებელი თავისი ანდერძის აღმასრულებლად გარკვეულ პირს ასახელებდა, ასევე სანდო პირს, ხშირად სულიერ მოძღვარს, რომელიც მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ წარმოად-

გენდა ამ ანდერძს და წაუკითხავდა მემკვიდრეებს.

სამართლის მეცნიერებაში გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება როგორც მემკვიდრეობის არსის, ისე მისი ისტორიული განვითარების გზის შესახებ. მეცნიერთა უმრავლესობა მემკვიდრეობის განვითარების ისტორიულ გზას ასე წარმოადგენს: თავდაპირველად მემკვიდრეობას ღებულობდა გვარი, შემდომ ოჯახი. მემკვიდრეობის საოჯახო წესს საფუძველი ეყრება მატრიარქალური გვარის დაშლის შემდგომ, ინდივიდუალური ოჯახის შექმნით.

სამართლის მეცნიერება და იურიდიული პრაქტიკა იცნობს მემკვიდრეობის ორ ფორმას: ანდერძით მემკვიდრეობასა და კანონით მემკვიდრეობას. კანონით მემკვიდრეობის საკითხი მაშინ დგება, როდესაც ანდერძი არ არსებობს ან ანდერძი სახეზეა, მაგრამ კანონიერებას მოკლებულია, არასრულყოფილია და ვერ გამოდგება მემკვიდრეობის სამართლიანად გადასაწყვეტად.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია საკითხი ანდერძით მემკვიდრეობისა და კანონით მემკვიდრეობის პირველობის შესახებ, ანუ რომელია უფრო ადრინდელი. ამ საკითხზე საკმაოდ ფართოდ და სრულად მსჯელობს პროფ. ბ. ზოიძე[1].

სამართლის ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ არ შეიძლება საკითხის ასე დასმა, თუ რომელია პირველი და რომელი მეორე. მემკვიდრეობის ორივე სახე, ფორმა წარმოიშვა და ვითარდებოდა ერთდროულად[2]. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს და თვლის, რომ ჯერ ანდერძისმიერი მემკვიდრეობა უნდა გაჩენილიყო, ხოლო შემდეგ კანონისმიერი მემკვიდრეობა (ი. ბელიაევი)[3]. ეს შეხედულება გაიზიარა მემკვიდრეობითი სამართლის ცნობილმა სპეციალისტმა ვ. ნიკოლსკიმ[4]. ანდერძისმიერი მემკვიდრე-

---

[1] ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000. გვ. 6-90.

[2] Л. Рудиев, О духовных завещаниях по русскому гражданскому праву в историческом развитии, Киев, 1894, стр. 34-35.

[3] И. Беляев, О наследстве без завещания по древным русским законам по уложения царя Алексея Михайловича, М. 1858. стр. 7.

[4] В. Никольский, О началах наследования в древнейшем русском праве, Историческое изложение, Москва, 1859, стр. 118.

ობის პირველობის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებდა ცნობილი რუსი ცივილისტი პ. ციტოვიჩი. მისი შეხედულებით, კანონისმიერი მემკვიდრეობის პირველობის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ პირველყოფილ ხალხებში საერთოდ არ არსებობდა ანდერძი, უცნობი იყო იგი ძველი გერმანელებისათვის, არც რომაელები იცნობდნენ მას თორმეტი ტაბულის კანონებამდე, არ იცნობდა მას სოლონის კანონები და სხვ. მისივე აზრით, ანდერძისმიერი მემკვიდრეობა არც ერთ ხალხში არ ჩანს პირველი. იგი მემკვიდრეობის თავდაპირველ ფორმად კანონით მემკვიდრეობას მიიჩნევს[1]. ამავე თვალსაზრისს იზიარებს ი. პოკროვსკი[2].

პროფ. ბ. ზოიძე აანალიზებს სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებებს ამ საკითხზე და დაასკვნის: „ჩვენის აზრით, სწორად უნდა ჩაითვალოს კონცეფცია, რომელიც თვლის, რომ ჯერ გაჩნდა კანონისმიერი მემკვიდრეობა და ამის შემდგომ კი — ანდერძისმიერი“[3].

ჩვენ ვემხრობით იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან ანდერძისმიერი მემკვიდრეების პირველობას. არგუმენტად მოვიშველიებთ იმ ფაქტს, რომ ჯერ ინდივიდი, ინდივიდუალური ნებაა, ხოლო შემდგომ კოლექტივი და კოლექტიური ნება ანუ კანონი. ინდივიდუალური ნების შედეგია ანდერძით მემკვიდრეობა, ხოლო კოლექტიური ნების შედეგია კანონი და კანონით მემკვიდრეობა.

მემკვიდრეობითი სამართლის ობიექტები

აქ უნდა გაირკვეს საკითხი რა შეიძლებოდა ყოფილიყო მემკვიდრეობის ობიექტი. სწორია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეობის ობიექტები იგივე საკუთრების ობიექტებია. ისტორიულად მემკვიდრეობის უფლება ჯერ მოძრავ, ხოლო შემდეგ უძრავ ქონებაზე გაჩნდა.

---

1 Цитович, Исходные моменты в истории русского права наследования, Киев, 1870, стр. 77-85.

2 И. Покровский, Основы проблемы гражданского права, Петроград, 1917, стр. 296.

3 ბ. ზოიძე, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათუმი, 1992 წ., გვ. 10.

მემკვიდრეობის ობიექტებიდან, პირველ ყოლისა, უნდა დავასახელოთ უძრავი ქონება, ხოლო უძრავი ქონებიდან — მამული. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მამული მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი საკუთრება იყო. ზოგიერთი მეცნიერი „მამულის“ ცნებაში მარტო მიწას კი არ გულისხმობს, არამედ საკუთრების სხვა ობიექტსაც, ყოველგვარ ქონებას, რომელიც მამისგან არის დატოვებული. მეცნიერთა უმრავლესობა მაინც იმის მომხრეა, რომ მამული მიწის ნაკვეთია, რომელიც გადაეცემა მემკვიდრეობით, ან საკუთრებაში ან მფლობელობის უფლებით.

„მამულის“ ერთგვარ განშტოებას, სახეს წარმოადგენდა „ხაკარგავი“. მეცნიერებაში საკარგავის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ამის მიუხედავად, შეიძლება დავეთანხმოთ იმ მეცნიერებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ საკარგავი არის პირობითი, დროებითი მიწისმფლობელობა სამსახურისათვის, რომლის ყიდვა ან გაყიდვა არ შეიძლებოდა. იგი ემსგავსება რუსულ „поместье“-სა და დასავლეთევროპულ „Beneficium“-ს.

მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენდა „ნასყიდი“ ქონება. ისტორიულად საქართველოში ნასყიდობის თავისუფლება არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გამონაკლისებს. მაგალითად, მამულის გაყიდვის დროს ბატონთან შეთანხმება, მისი საქმის ყურში ჩაყენება. მეცნიერთა აზრით, აქ ბიზანტიის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე, სადაც მამულის ყიდვა-გაყიდვა შეზღუდული იყო საჯარო საწყისების სასარგებლოდ.

მემკვიდრეობის ობიექტი იყო მონაგები. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „მონაგები“ იყო ის ქონება, რაც მოგებული იყო. სხვანაირად მონაგები შრომა-გარჯით მოპოვებული ქონება იყო. მემკვიდრეობის დროს ასეთი ქონება მეტად მყარ და მიუდეგარ (არასადაო) ქონებად ითვლებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში დასახელებულია ასევე მემკვიდრეობის ისეთი ობიექტი, როგორიცაა „ნასისხლი“ ქონება ანუ „სისხლის ფასში“ მიღებული ქონება. იგი შეიძლება ყოფილიყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.

მემკვიდრეობის ობიექტად შეგვიძლია დავასახელოთ ასევე ნამზითვი ქონებაც.

კანონისმიერი მემკვიდრეობის არსის გასარკვევად თვით სახელწოდება „კანონისმიერი მემკვიდრეობა“ გვეხმარება, რომლის ძალითაც აქ კანონი მბრძანებლობს და არა მამკვიდრებელი. კანონისმიერი მემკვიდრეები მაშინ გამოდიან ასპარეზზე, როდესაც არ არსებობს ანდერძი ან არის იგი, მაგრამ სრულიად უსამართლო, კანონსაწინააღმდეგო. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დაპირისპირებას, რაც საბოლოოდ კანონისმიერი მემკვიდრეობის წესის გამარჯვებით მთავრდება, ე.ი. მემკვიდრეობის საკითხი გადაწყდება კანონისმიერი მემკვიდრეობის მიხედვით.

კანონისმიერი მემკვიდრეობა არ ანიჭებს აბსოლუტურ თავისუფლებას მოანდერძეს, იგი გარკვეულად ზღუდავს მას, იმიტომ, რომ კანონი საერთო ნებაა.

კანონისმიერი მემკვიდრეობა საფუძველს იღებს ზნეობიდან, კანონი ხომ ზნეობრივი უნდა იყოს. ამიტომაც კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები შეიცავს ხალხის ზნეობის შესაბამის ნორმებს. მეორე მხრივ, კანონისმიერი მემკვიდრეობის წესები ადათობრივ ნორმებსაც ეყრდნობა. ადათი ხომ ის ქცევის წესია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება და მას ნებაყოფლობით ასრულებს საზოგადოება. სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით ასრულებენ ადათობრივ ნორმებს (ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონების მიკუთვნების ნორმებს), ადათი შეიძლება საფუძვლად დაედოს სამემკვიდრეო კანონს და ადათი იქცეს კანონად.

კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლები. მემკვიდრეობის ფარგლებზე მსჯელობისას უნდა გაირკვეს, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მემკვიდრე საქართველოში უძველესი პერიოდიდან: არ ვიცი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ესა თუ ის პირი.

მემკვიდრეობის საფუძველს შეადგენდა სისხლით ნათესაობა შეინიშნება ასევე ხელოვნური ნათესაობის (არასისხლით ნათესაობა) მემკვიდრეობაც, მაგრამ ძალზე შეზღუდულად (მაგ., გამზრდელის, ძმადნაფიცის მემკვიდრეობა). პროფ. ბ. ზოიძე ავითარებს საწინააღმდეგო მოსაზრებას: „... ნათესაობის ეს ფორმალური ხაზი სამემკვიდრეო უფლებებს არ ქმნის. ... ხელოვნურ ნათესავებს შორის შეიძლება სისხლისმიერ ნათესაობაზე უკეთესი კავშირი იყოს, ადგილი ჰქონდეს უსაყვედლო

ქონებრივ ურთიერთობებს და ა.შ., მაგრამ ისინი ერთი მეორის მემკვიდრეები ვერ იქნებიან". ამის დასამტკიცებლად ბ. ზოიძეს მოაქვს ეთნოგრაფიული ხასიათის მაგალითები. ბ. ზოიძის კატეგორიული განცხადებით „მემკვიდრეობა სისხლით ნათესაობაზე აგებული ინსტიტუტია"[1].

ნათესაობის აღსანიშნავად (რომელიც შეიძლებოდა მემკვიდრედ გამოსულიყო) ქართულში მრავალი ტერმინი გამოიყენებოდა: **შვილი, მშობელი, მკვიდრი, თვისი, მეყვსი...**

ფეოდალურ საქართველოში უძველესი დროიდან მემკვიდრეობა გადადიოდა ერთსახლობაზე ანუ გაუყრელ ოჯახზე. ამ შემთხვევაში სამკვიდრო ოჯახიდან არ გადიოდა და იქვე რჩებოდა. შედარებით მოგვიანებით მემკვიდრეებად გამოდიან ოჯახიდან გაყრის შედეგად გასული ნათესავები.

ქართული სამართლის მიხედვით კანონით მემკვიდრეთა წრეში, პირველ ყოვლისა, შედიოდნენ შვილები, ამასთან, უპირატესობა ენიჭებოდათ **ვაჟიშვილებს.**

მემკვიდრეობაში შვილები (ვაჟიშვილები) მშობლების პირდაპირი მემკვიდრეები იყვნენ. ვაჟიშვილის უპირატესობა ქალიშვილთან შედარებით იმით იყო განპირობებული, რომ ვაჟიშვილები იყვნენ გვარის გამგრძელებლები. გარდა ამისა, ვაჟიშვილი წინაპართა საკულტო წეს-ჩვეულებების შემსრულებელია. იგი სხვა უპირატესობითაც ხასიათდებოდა, მაგალითად, მეომარი, დამცველი, სისხლის ამღები და სხვ. უვაჟიშვილო ოჯახი მოიხსენიებოდა როგორც „დავსებული", „ამოწყვეტილი", „ხერი" და სხვ. რაც შეეხება ქალიშვილს, იგი აგრძელებს **სხვა გვარის** სიცოცხლეს, რადგან სახლიდან მიდის. ვაჟიშვილის უპირატესობა მემკვიდრეობაში ქალიშვილთან შედარებით იმითაც იყო განპირობებული, რომ მხოლოდ მას შეეძლო წინაპართა წეს-ჩვეულებების შესრულება, და ის ვალდებულებები, რაც ოჯახს ეკისრებოდა მებატონისა თუ საზოგადოების წინაშე. სწორედ ამ მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში (ებრაელებში) უშვილოდ გარდაცვლილი ძმის ცოლი უნდა შეერთო ძმას, რათა არ გადაშენებულიყო გარდაცვლილი ძმის ოჯახი. ამ მოვლენას (ლევირატი) საქართველოს ზოგიერთ კუთხეებშიც ჰქონია ადგილი. მეცნიერები ადასტურებენ, რომ ოჯახის სიცოცხლის გაგრძელების საშუალებას წარმოადგენდა ასევე შვილად აყვანაც.

მშობლების ქონების მემკვიდრეებად გამოდიან **ვაჟიშვილები.** ამასთან, ქართული სამართალი შვილებს თანასწორად არ ანიჭებს

[1] ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, გვ. 97.

მემკვიდრეობას, არამედ აწესებს „საუფროსოს“, „სასაშუალოსა“ და „საუმცროსოს“.

„საუფროსო“ არის მემკვიდრეობაში დამატებითი წილი უფროსი შვილისათვის. ზოგჯერ მას უწოდებენ „საუხუცესოს“.

საუფროსოს თანაბარი ტერმინი იყო სახუცესო, ეს ტერმინი უფრო ძველია. საუფროსო კარგად ჩანს ქართული სამართლის ძეგლებში. მაგალითად, ტახტის მემკვიდრეობის წესში, ბექას სამართალში იგი იწოდება სახუცესოდ (მუხლი მე-8). ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში აზნაურების გაყრისას, რომელსაც გლეხები ჰყავს, სახუცესო (საუფროსო) არის ერთი გლეხი, დიდებულთა გაყრისას – 1 სოფელი, გლეხთა გაყრისას „თავი სახლი“, ანუ ერთი ვენახი, ანუ უფროსნი ჭურნი. ვახტანგის სამართლის წიგნით დიდებულთა გაყრისას, ყოველი ოცი კომლიდან, უფროსი ერთს, უკეთესს თვითონ ირჩევს და, მეორეს უარესს ძმები აძლევენ (მუხლი მე-100), გლეხთა გაყრისას უფროსისაა დარბაზი დერეფნით (მუხლი 204-ე). საუფროსოს არსებობა ქართული სამართლით უნდა აიხსნას იმით, რომ უფროსი წინაპართა კულტის სამსახურის მოთავეა, და შესაფერისი ხარჯები აწვებოდა მას. ამიტომაც საუფროსო იყო ოჯახის მოთავეობის ტვირთის კომპენსაცია. საუფროსო არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. მას იცნობდა ინდური, ირანული და სხვა ქვეყნების სამართალი. მ. კოვალევსკი ფიქრობდა, რომ ქართლში საუფროსო შემოსული იყო ირანიდან. ამის საპირისპიროდ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული საუფროსო ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშვა (ბ. ზოიძე). საუფროსოს საფუძველი ბიბლიიდან მოდის. მსგავსად ესავისა და იაკობის ურთიერთობისა, ქართლშიაც საუფროსო წინაპართა კულტის სამსახურის მოვალეობის შესრულებით უნდა აიხსნას.

ჩვენი აზრით, საუფროსო იგივეა, რაც მაიორატი. საპირისპირო მოსაზრება აქვს ბ. ზოიძეს.

საუმცროსო არის უმცროსი ძმის დამატებითი წილი სამემკვიდრეო ქონებაში. იგი ისევე ძველია, როგორც საუფროსო. საკანონმდებლო ძეგლებში საუმცროსო გვხვდება XIV საუკუნიდან (იხ. ბექა სამართალი, მუხლი 49-ე. აქედან ჩანს, რომ იგი ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტია). ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით (მუხლი 103-ე) საუმცროსოდ გათვალისწინებულია სასახლე, გაყრისას – კალო-საბძელი უმცროსს ეძლეოდა (მუხლი 204-ე). ბ. ზოიძე მინორტის მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველოში

უცნობია „მინორტის“ კლასიკური ნიშნები, ე.ი. მინორტში იგი გულისხმობს ბეითალმანი ქონების გადასვლას უმცროსის ხელში. ჩვენი აზრით, მაიორატი და მინორტი ერთდროულად არსებობდა ერთმანეთის გვერდით, ისე როგორც საუფროსო და საუმცროსო.

მეტად საინტერესოა საუმცროსოს ანუ მინორტის ახსნა: ა) ქონების დამტოვებლის გარდაცვალების დროისათვის უმცროსი ძმა ხელმოკლედაა უფროს ძმებთან შედარებით (მ. კოვალევსკი) ან მინორატის წარმოშობის მიზეზად (გ. ფრეზერი) ასახელებს პირველი ღამის უფლებას, რომ უფროსი ძმის შვილობაში ეჭვი იბადება პირველი ღამის უფლების გამო.

სასაშუალო არის შუათანა ძმის წილი მემკვიდრეობაში, იგი შედარებით გვიანდელი წესია, შემოღებულია გიორგი XI-ის მიერ. ვახტანგის სამართლის წიგნის 102-ე მუხლის მიხედვით, შუათანას ერთს რამეს მაინც მისცემენ: „თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზე, რომელი უფრო მოჭირნახულე იყოს, ისე გაუყოს“.

საჭირნახულო — ჭირნახულისათვის, გარჯილობისათვის განკუთვნილი წილია. იგი შეიძლებოდა მიეღო როგორც უფროსს, ისე საშუალო ან უმცროს ძმას. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთდროულად გამოუყვიათ საუფროსოც, საუმცროსოც, სასაშუალოც და საჭირნახულოც. დავით ბატონიშვილის სამართალი ითვალისწინებს წილს გარჯილობისათვის, რაც იგივე საჭირნახულოა.

ქართული სამემკვიდრეო სამართალი იცნობს ავადმყოფი შვილის წილს მემკვიდრეობისას, თუმცა ეს საკითხი უშუალოდ ქართული კანონმდებლობით არ წესრიგდება, არამედ ვახტანგ VI-ის კოდექსში შეტანილი ბერძნული სამართლის 295-ე მუხლით.

ქართული სამართალი არეგულირებს ქალიშვილების სამემკვიდრეო საკითხებსაც. ქართული კანონმდებლობა, მართალია, ქალიშვილსაც ცნობს მემკვიდრედ, მაგრამ არ უთანაბრებს მას ვაჟიშვილს. „ჩრიგოხანძთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, რომ ქალიშვილი, რომელიც იყო სახლშინა მისთანა“, ე.ი. გაუთხოვარი ქალიშვილიც მემკვიდრე გამოდის. რაც შეეხება გათხოვილ ქალს, მას მემკვიდრეობა არ ეძლევა, მისი სამემკვიდრეო უფლებები მზითევით შემოიფარგლებოდა. თუ ძმები არ ჰყავს და ქალიშვილს მოყვანილი ჰყავს მეუღლე ზედსიძედ, მაშინ (ქალიშვილ-შობელთა ქონების (მამულის) სრული მემკვიდრე ხდება. ზედსიძე...

ორი წესია დაფიქსირებული აღბულას სამართლის 72-ე და 73 მუხლებში: „წიგნით შესვლა“ ანუ „თავის დაწერა“ და „უწიგნოდ შესვლა“ ანუ ავდაუწერლობა“. პირველი იძენს მამულის უფლებას (იხ. ვახტანგის სამართლის წიგნის მუხლი 145-ე), სადაც აღნიშნულია, რომ „თუ კაცი ამოვარდეს და ვაჟიშვილი არ დარჩეს, და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, თავისი მამის სახლ-კარი, საქონელი, მამული, იმ ქალს მიეცეს“.

ნაშვილები, როგორც მემკვიდრე გათანაბრებულია ღვიძლ ილებთან. ნაშვილები ძირითადად ქმრის ნათესავია, მაგრამ შეიძლე- ა და არანათესავიც ყოფილიყო. ნაშვილებს ქონება ეძლეოდა შვილებ- ის თანაბრად როგორც კანონით, ისე ანდერძით. ბექას სამართლის ძიხედვით (მუხლი 59-ე), ნაშვილები ჯარგავს მემკვიდრეობის უფლე- ას თუ ... გაძევებულია ოჯახიდან.

უკანონოდ შობილთა სამემკვიდრეო უფლებები, ანუ კანონიერი ი რწინების გარეშე დაბადებულთა მემკვიდრეობა ქართულ სამართალში ... ა როგორც **ნაბიჭვართა** მემკვიდრეობა და ისინი სარგებლობენ უალრესად შეზღუდული უფლებებით. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი პირდაპირ მიუთითებს, რომ „ნაბიჭვრის წილი არ არის მამულში“, ... რამ სხვა ადგილზე გარკვეული შეღავათებია მისთვის დაწესებული ... მუხლი 110-ე). აქ აღნიშნულია, რომ, თუ ნაბიჭვარი ძმებს ეყმობა, ...მინ „ძმებმა ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ“, ან თუ ძმები დაიხო- ... და ... უშის მეტი არავინ დარჩება, ბიძებმა მას ერთი ყმის მამულის ...ები მიწა უნდა მისცენ. ასევე ედება წილი მას საქონელშიც. სასა- მართლო პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ბუშის მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტისას ითვალისწინებდნენ მის პიროვნულ თვისებებს, ...ამდენად გამრჯე იყო იგი, რა მონაწილეობა აქვს მიღებული საოჯახო საქმიანობაში, როგორია ძმების დამოკიდებულება მის მიმართ და სხვ. თუ ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს დააკმაყოფილებდა ბუშის პიროვნება, იგი „მშრალზე“ არ დარჩებოდა, მას გარკვეულ ქონებას აძლევდნენ.

აღმავალი და გვერდითი ხაზის სამემკვიდრეო უფლებებზე მსჯელობისას უნდა ითქვას შემდეგი: ქართულ სამართალში მკვეთრად არ არის გამოხატული მშობლების სამემკვიდრეო უფლებები. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ქვეყნების სამართალშიც (მაგალითად, რუსულშიც) მკვეთრად არ ჩანს მშობლების მემკვიდრეობის სურათი. ქართულ ეროვნულ ძეგლებში, როგორიცაა ბექა-აღბუღას, გიორგი ბრწყინვალისა თუ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნები არ შეიცავენ რაიმე ნორმას მშობელთა სამემკვიდრეო უფლებების თაობაზე, მაგრამ სხვადასხვა წყაროების ანალიზით დასტურ-

დება, რომ მშობლები არიან შვილების მემკვიდრეები.

რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავებს — ძმებს, ძმიშვილებსა და დიშვილებს — თუმცა საკანონმდებლო ძეგლებში არ ჩანს მათი კანონისმიერი მემკვიდრეობა, მაგრამ ისინი მემკვიდრედ გამოიწვევიან ანდერძების ძალით. ამდენად, დასტურდება, რომ ისინი მემკვიდრეობაში წილს ღებულობენ, როცა აღარ არიან კანონისმიერ მემკვიდრეთა პირველი ან მეორე რიგი. პროფ. ბ. ზოიძის მითითებით, გვერდითი ხაზის ნათესავები სამემკვიდრეო ურთიერთობებში მშობელთა ყველაზე რეალური კონკურენტები არიან.

კანონით მემკვიდრეთა წრეში შედიოდა ქვრივი. ალბუსას სამართლის მიხედვით, თუ ქვრივი უშვილოა, მას რჩება თავისი მზითევი, მამული კი ბატონს, ე.ი. ქვრივი მემკვიდრეა, მაგრამ არა მამულისა, მამულს ვერ მიიღებს მემკვიდრეობით. ქვრივი მამაკაცი, თავისი ცოლის ქონების მემკვიდრეა. თუ ახალი დაქორწინებულია და ისე გარდაიცვალა ცოლი — ქმარს ცოლის მზითევის მესამედი ერგება. ერთი წილი სულს ხმარდება, ერთიც ქალის პატრონს ეძლევა. უშვილო ქვრივი, თუ ახალ ქმარს შემოიყვანს ოჯახში (ზედსიძედ), მაშინ ხდება გარდაცვლილი ქმრის ქონებისა და მამულის სრული მემკვიდრე. პროფ. ბ. ზოიძის დასკვნით, „ქართულ სამართალში ქვრივი ქალის სამემკვიდრეო უფლებები მართალია არსებითად სარჩოსთანაა გაიგივებული, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა იგი ბევრად აღემატებოდა მას და ზოგჯერ სრული სამემკვიდრეო უფლების სახით წარმოგვიდგებოდა“[1].

პოლოს, საინტერესოა უპატრონო ანუ ბეითალმანი ქონების მემკვიდრეობის საკითხი. მისი ბედი. ბეითალმანი ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც მემკვიდრე არ ჰყავს, ანუ პატრონი არ გამოუჩნდა.

ქართულ ენაზე ასეთი ქონების აღსანიშნავად გვაქვს მშვენიერი ტერმინი „უპატრონო“ (ვფიქრობთ, არც ტერმინი პატრონია სუფთა ქართული, იგი რომაულიდან უნდა შემოსულიყო), მაგრამ მის გვერდით გამოიყენებოდა არაბულიდან ნასესხები ტერმინი ბაითალმანი (ებრაულად „ბაითი“ — სახლი, არაბულად „ხაზინა).

უძველესი პერიოდიდან როგორც მოსულმანურ, ისე ქრისტიანულ ქვეყნებში ბეითალმან ქონებას ეპატრონებოდა სახელმწიფო. ასეთი წესი ყოფილა საქართველოშიაც, უპატრონო ქონებას ისაკუთრებდა მეფე ან ბატონი. გიორგი ბრწყინვალის სამართლის 28-ე მუხლი ბეითალმან ქონებას ეხება. ამ მუხლით ბეითალმანი ქონება სახელმწიფოს

---

[1] ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000. გვ. 116

კი არ მიაქვს, არამედ გარდაცვალებულის მეგვარეს უნდა ებოძოს და თუ გვარშიც აღარავინ გამოჩნდა, მაშინ იმ ადამიანებს უნდა მიეცეთ, ვინც სალაშქროდ დადის და ბეგარას ასრულებს, ანუ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებებს იხდის. ქართულ იურიდიულ პრაქტიკაში აშკარად ჩანს ტენდენცია – ბეითალმანი ქონების მიკუთვნებისას გათვალისწინებულ იქნეს კერძო პირთა (ნათესავების ინტერესები) და, ამავე დროს, საჯარო ანუ სახელმწიფო ინტერესები. ბეითალმანი ქონების მიმღები იჭერს რა გარდაცვლილის ადგილს, კისრულობს ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რაც ქონების დამტოვებელს უნდა შეესრულებინა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 113-ე მუხლის მიხედვით, თუ კაცი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა, მისი მამული ხელმწიფეს ეკუთვნის. ხელმწიფეს კი შეუძლია ვისაც უნდა იმას უბოძოს. ამავე სამართლის წიგნის 248-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ბატონს ჰყავდა ყმა „ამოუვარდეს“ ანუ უმემკვიდრეოდ დარჩეს, მისი ქონება ბატონს ეკუთვნის.

რაც შეეხება საეკლესიო ანუ სასულიერო პირებს, თუ ეკლესიის ყმა „ამოვარდა“ ანუ მემკვიდრე არ დარჩა, მის ქონებას ეკლესია დაეპატრონება. თუ საეკლესიო ყმა ქალი იყო, მას შეეძლო ზედსიძე მოეყვანა და ეს უკანასკნელი გახდებოდა სრულფასოვანი მემკვიდრე და თუ გათხოვდებოდა, მამულს ვერ წაიღებდა, მისი საკუთრება მხოლოდ მზითევი და სხვა სახის „სათავნო“ ქონება იქნებოდა. მამული ეკლესიას რჩებოდა. ამრიგად, ბეითალმანი ქონების სუბიექტებად ეკლესია-მონასტრებიც გამოდიოდნენ. ვახტანგის სამართლის წიგნში პირდაპირაა ჩაწერილი: „ეპისკოპოზის ბეითალმალი ჩვენს მიხდომაში სრულებით საყდრისა უნდა იყოს“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ბეითალმან ქონებას მეფე, ფეოდალი, ეკლესია ეპატრონებოდა, რომლებიც ამ ქონებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ.

ანდერძით მემკვიდრეობა

როგორც აღინიშნა, ქართული სამართალი იცნობს მემკვიდრეობის მეორე სახესაც – **ანდერძით მემკვიდრეობას**. ანდერძი იყო სამკვიდროს დამტოვებლის (ზოგჯერ მომაკვდავის) სიტყვიერი ან წერილობითი მითითება, ნების გამოცხადება, მისი ქონების ბედის შესახებ, თუ ვის უნდა მიკუთვნებოდა ეს ქონება. ტერმინი „ანდერძი“ ქართული არ არის, იგი სპარსულიდანაა ქართულში შემოსული და

დამკვიდრებული. ამ ტერმინის დამკვიდრებამდე ანდერძის ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი „აღუთქმაჲ“, ზოგჯერ „დაწერილი“.

აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი ხალხების ძველი კანონმდებლობა არ იცნობს ანდერძით მემკვიდრეობას. მაგალითად, ძველ გერმანელებში გარდაცვლილი პირის ქონება რჩებოდა გვარს, ანუ იმ კოლექტივს, ვისი წევრიც იყო ქონების დამტოვებელი. სომხეთში ანდერძის ინსტიტუტი ჩანს სმბატის სამართლის წიგნში. ეს წიგნი კი კილიკიის სომხეთში იქნა შედგენილი და ბიზანტიური სამართლის, ასევე სირიულ-რომაული სამართლის ძლიერი გავლენა განიცადა.

ქართული წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ანდერძის ინსტიტუტი ადრეფეოდალიზმის ხანაში იყო ცნობილი. სოფ. წყისის წარწერის მიხედვით (VI ს.) ანდერძის განვითარებული ინსტიტუტიც ივარაუდება. ანდერძის შესახებ ცნობებს გვაძლევს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ, მირიან მეფისა და ვახტანგ გორგასლის ანდერძები. საინტერესოა გიორგი ჩორჩანელს ანდერძი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. მნიშვნელოვანია „დიდი სჯულის კანონი“, ყურადღებას იპყრობს მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძი ანუ „დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა სვეტიცხოვლისადმი“ (XI ს.). ძალზე მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლების ანდერძები. XIII საუკუნიდან ანდერძის შესახებ ცნობებს გვაწვდის გრიგოლ სურამელის ანდერძი ანუ „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“. გაკვირვებას იწვევს ის, რომ „გიორგი ბრწინვალეს სამართალი“ ანდერძის შესახებ დუმს, არაფერს არ გვაცნობს ამ ინსტიტუტის შესახებ. არც ბექას სამართალი არ გამოირჩევა ამ მხრივ, რადგან მხოლოდ ერთ მუხლშია (მუხლი 57-ე) საუბარი ანდერძის შესახებ. საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართალიც არ იძლევა საკმაო ცნობებს ანდერძის შესახებ, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს ვახტანგის კოდიკოში შეტანილი უცხოური სამართლის ძეგლები, სადაც ანდერძით მემკვიდრეობა საკმაოდ სრულყოფილადაა გადმოცემული.

როგორც ბ. ზოიძე მიუთითებს, ფეოდალური ხანის ქართული ანდერძები კომპლექსური ხასიათისაა, იმდენად, რამდენადაც მათში მხოლოდ ქონების ბედზე კი არ არის საუბარი, არამედ ხშირად სხვა საკითხებზედაც, მაგალითად, ტახტის მემკვიდრეობის, საოჯახო ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე.

ქართული სამართლის ძეგლებიდან და სხვა ხასიათის წყაროებიდან

ირკვევა, რომ ჩვენში არსებობდა ანდერძის შედარებითი და არა აბსოლუტური თავისუფლება. ამ მხრივ ქართული სამართალი რომის სამართლის პოზიციას იმეორებს, რაც ბიზანტიური სამართლის გავლენით უნდა აიხსნას. ბ. ზოიძის მითითებით, „ქართულ სამართალში არაბულ-სპარსულ-თურქული გავლენები უფრო გარეგნულად აისახა, მაშინ, როდესაც ბიზანტიური სამართლის ბევრი დანაწესი ქართულმა გაითავისა“[1].

ანდერძის თავისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის შესახებ. ქართულ სამართალში ვერ ვხვდებით რაიმე ნორმას ან მითითებას ამ საკითხზე. ვახტანგის სამართლის წიგნში შესული უცხოური სამართლის ნორმებიც არ იძლევა ზუსტ პასუხს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სამართალი არ იცნობს მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის გარკვევისას საჭიროა გაირკვეს ანდერძის სუბიექტები ანუ სამკვიდროს დამტოვებელი და მისი მიმღები პირები. მოანდერძე 14-15 წლის ასაკს მიღწეული პირი შეიძლებოდა ყოფილიყო. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის მიხედვით, მოანდერძე ანუ სამკვიდროს დამტოვებელი უნდა ყოფილიყო 18 წლისა. ქალის, როგორც მოანდერძის ასაკი 12 წელი უნდა ყოფილიყო. ქალს, როგორც ჩანს, საქორწინო ასაკიდან გამომდინარე ენიჭება ქმედუნარიანობა.

მოანდერძისათვის წაყენებულ მოთხოვნათა შორის, გარდა გარკვეული ასაკისა, აუცილებელი იყო მისი შერაცხადობა. სულიერი ავადმყოფობა განიხილებოდა როგორც მოანდერძის უფლებაუნარიანობის შემზღუდავი ან გამომრიცხავი გარემოება. გრიგოლ სურამელის ანდერძში მითითებულია „სჯულითა ცნობითა“, „სიმრთელითა შინა ტანისა“, ანუ ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. გარდა სულიერი ჯანმრთელობისა, მოანდერძეს ანდერძის შედგენისას ნების თავისუფლად გამოვლენა უნდა შეძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ბათილად ჩაითვლებოდა. დაუშვებელი იყო ანდერძის შედგენა იძულებით, დაშინებით, მოტყუებითა და სხვა გზით. ანდერძებში ხშირად საგანგებოდ იყო მითითებული, რომ ვწერ ჩემი აზრით, ჩემი ნებით, სრულ გონებაზე მყოფი, სრული მეხსიერების მქონე: „ვჰსწერ ჰაზრისა ჩემსა ყოვლითა ნებითა და ჯერჩინებითა ჩემითა მე... მყოფი სრულისა გონებასა და მეხსიერებასა“.

ანდერძით მემკვიდრეობის საკითხის განხილვისას აუცილებელია გაირკვეს ანდერძის ფორმის საკითხი. ქართული მემკვიდრეობი-

[1] ბ. ზოიძე, ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, გვ. 294.

თი სამართალი იცნობდა ანდერძის როგორც ზეპირ, ისე წერილობით ფორმებს. ისტორიულად ჯერ გაჩნდა ანდერძის ზეპირი ფორმა, ხოლო შემდგომ წერილობითი. ანდერძის ზეპირი ფორმის პირველობა დადასტურებულია სხვა ქვეყნების სამართალშიც. ზეპირ ანდერძთან შედარებით უპირატესობა წერილობით ანდერძებს ენიჭებოდა.

ვის უნდა შეედგინა ანდერძი? იგი შეიძლება დაეწერა თვით მოანდერძეს ან სხვა პირს. საბუთებიდან ირკვევს, რომ ანდერძებს, ძირითადად, სასულიერო პირები ადგენდნენ. მაგალითად, 1123 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძის თავი და ბოლო თვით დავითის მიერ, დავითის ხელით იყო შესრულებული. გვიანი შუა საუკუნეების ანდერძებში ანდერძის შემდგენლებად ძირითადად სასულიერო პირები ჩანან. ეს იმიტომ, რომ ანდერძი ბათილობის რიდით გარკვეული ფორმის დაცვით უნდა შემდგარიყო, ამისათვის კი სპეციალისტი იყო საჭირო, რადგან ყველას როდი შეეძლო ანდერძის ფორმის დაცვა. იმ შემთხვევაში, როდესაც ანდერძი დგებოდა სხვისი ხელით, მოანდერძეს მასზე ხელი უნდა მოეწერა ან რაიმე ნიშანი დაესვა, რითაც დაადასტურებდა თავის ნება-სურვილს. ანდერძის ნამდვილობის დასადასტურებლად საჭირო იყო მოწმეთა დასწრება. მოწმეთა რაოდენობა 7-ს აღწევდა. ამ მხრივ ქართული სამართალი რომაულ სამართალს მისდევს.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველად ანდერძის ფორმა იყო სიტყვიერი ანუ ზეპირი. ასეთი ანდერძის ნამდვილობისათვის საჭირო იყო მოწმეები, რათა მათ აღედგინათ და გადმოეცათ მოანდერძის დანაბარები. ზოგჯერ დანაბარებს მოწმეები ანუ ანდერძის მთქმელის დამსწრეები წერილობითაც კი აფორმებდნენ.

წერილობითი ანდერძის წიგნები ინახებოდა ეკლესიებში.

ანდერძის ფორმა ანდერძიის შინაარსის გამოხატულება იყო. ქართველი მეცნიერები (ბ. ზოიძე) ვარაუდობენ, რომ ჩვენში წმინდა ციცილური ხასიათის ანდერძები გვიანი შუა საუკუნეებიდან არის შემონახული. მანამდე კი ანდერძებში შეტანილია სხვადასხვა საკითხები, სხვადასხვა ამბები, რაც სცილდება ანდერძის მოთხოვნასა და შინაარსს. მაგალითად, ანდერძში გადმოცემულია მოანდერძის ბიოგრაფიული მონაცემები, მოანდერძის ინტერესები და სხვ. სასულიერო ანდერძებიდან ჩანს, რომ მათში ასახულია ზრუნვა მოანდერძის სულისათვის, რისთვისაც მოანდერძე მიმართავდა ქონების შეწირვას. ხშირად ანდერძებში მოანდერძე გადმოსცემდა ქონების შეძენის კანონიერების მტკიცებას. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ნაანდერძევი სადა-

ვო არ ყოფილიყო და არ დაემძიმებია მოანდერძის სული.

სხვადასხვა ქვეყნების სამემკვიდრეო კანონმდებლობა იცნობს ე.წ. საანდერძო დანაკისრს, საანდერძო დავალებას. რომის სამართალი იცნობს საანდერძო დანაკისრის (დავალების) ორ ფორმას, რომელიც უნდა შეესრულებინა ქონების მიმღებს: 1) ლეგატი; 2) ფიდეიკომისსი. ლეგატი იყო საანდერძო დანაკისრის ისეთი სახე, რომლის ძალითაც მემკვიდრეს (ქონების მიმღებს, ქონების გარკვეული ნაწილი უნდა გადაეცა მესამე პირისათვის, ხოლო ფიდეიკომისსის ძალით მემკვიდრეს (ქონების მიმღებს) უნდა შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება. საანდერძო დანაკისრის არსებობა ქართული სამართლითაც დასტურდება.

ანდერძით მემკვიდრეობის განხილვისას ყურადღებას იპყრობს საკითხი: როგორ იყო მოწესრიგებული ანდერძის შეცვლის საკითხი ქართულ სამართალში. წყაროებით ირკვევა, რომ მოანდერძეს შეეძლო უკვე შედგენილი და მიცემული ანდერძი შეეცვალა თავისი შეხედულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში ძველი ანდერძი ძალას კარგავდა და მოქმედებდა ახალი ანდერძი. იგი უნდა შესრულებულიყო ისე, როგორც მოანდერძეს სურდა. ანდერძის აღმსრულებლად მოანდერძე სპეციალურად ასახელებდა პირს, რომელსაც იგი ენდებოდა და რომელიც აღასრულებდა ამ ანდერძს მისი სურვილის შესაბამისად.

ქართული სამართალი იცნობს ანდერძის მოწმის ცნებასა და შინაარსს. ანდერძის მოწმის სელწერილის გარეშე ძალა არ ჰქონდა, იგი ბათილი იყო. სხვადასხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ ანდერძის მოწმე შეიძლება ყოფილიყო საეკლესიო პირი ან სხვა რიგითი მოქალაქე. მოწმეთა რაოდენობა სხვადასხვა იყო. შეიძლებოდა ყოფილიყო 1, 2, 3 ...7. მოწმეთა რაოდენობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული. იუსტინიანეს ინსტიტუციებით 7 მოწმე იყო საჭირო. ქართულ სამართალშიც ანალოგიური მოვლენა შეინიშნება. ქართული სამართალი მოითხოვს მოწმის მორალური მხარის გათვალისწინებას. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის მიხედვით ყველა მოწმეს როდი დაეჯერებოდა. მაგალითად, მრუშობაში შენიშნული მოწმე ანდერძით მემკვიდრეობის დროს არ გამოდგებოდა, არ დაეჯერებოდა, თუნდაც ბეჭედი ჰქონოდა და ამ ბეჭდით დაედასტურებინა თავისი მოწმეობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამართალში არსებობს ანდერძის თავისუფლების გარკვეული, მაგრამ არა აბსოლუტური თავისუფლება. მემკვიდრეობის მოწესრიგების ძირითადი ფორმა მაინც კანონისმიერი მემკვიდრეობა იყო.

სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი

თავი VII

სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი

სასამართლოების პირვანდელი ფორმები საქართველოში. სასამართლო ორგანიზაცია გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში

სასამართლო საქმის ორგანიზაცია და სასამართლო წარმოება იურისპრუდენციის კარდინალური პრობლემაა, იმდენად, რამდენადაც, სწორედ სამართალწარმოებაში მჟღავნდება მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის ავ-კარგი, ხდება სამართლის ნორმების შეფარდება, მათი დაცვა, რეალიზაცია, გამყარება, დამამტკიცებელი საბუთების რაობა, მოსამართლეთა საქმიანობის წესები და მრავალი სხვა, რის შედეგადაც ხორციელდება ჭეშმარიტების დადგენა ამა თუ იმ სადავო საკითხზე. ამიტომაც ქართული სამართალი სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული სამართალი, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ძველი სამართალი, საკანონმდებლო წესით ცალკე არ გამოყოფდა, არ მიჯნავდა არც სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესებს, და არც მატერიალურ და პროცესუალურ ნორმებს.

ძველი ქართული სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის საკითხებზე შესრულებულია მრავალი ნაშრომი. ამ საკითხებს იკვლევდნენ დიდი ივ. ჯავახიშვილი, ნ. ხიზანაშვილი (ურბნელი), ე. კარსტი, ი. დოლიძე, მ. კეკელია, ივ. სურგულაძე, ალ. ვაჩეიშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე, მ. ლეკვეიშვილი და სხვ.[1].

სამართალწარმოება სათავეს იღებს ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეპოქაში. სასამართლოების უძველესი ფორმა სამედიატორო სასამართლო იყო. ასეთი სასამართლოები მოქმედებდა გვაროვნული

[1] უფრო [illegible] ამ ავტორებისა და მათი ნაშრომების შესახებ იხ. გ. დავითა[illegible] სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალ[illegible], 2002, გვ. 3.

წყობილების პერიოდში. გვარში წარმოშობილ კონფლიქტებს გვარის უფროსი წყვეტდა, ხოლო გვარებს შორის უთანხმოების მოსაგვარებლად მიმართავდნენ **მედიატორებს**. მედიატორებს მოდავე მხარეები ირჩევდნენ, რათა საქმე მშვიდობიანად მოგვარებულიყო და თავიდან აეცილებიათ სისხლისღვრა, ომები. ამრიგად, **სამედიატორო სასამართლოს** ძირითადი დანიშნულება იყო მხარეთა მშვიდობიანი მორიგება.

გარდა სამედიატორო სასამართლოებისა, სასამართლო საქმეებს იხილავდნენ **სახალხო კრებები**. რა თქმა უნდა, სახალხო კრებებისათვის სამართალწარმოება არ იყო ძირითადი ფუნქცია. სახალხო კრებები სხვა საკითხებთან ერთად სადავო საკითხებსაც იხილავდნენ და, ამდენად, ვასახელებთ მათ როგორც სამართალწარმოების ერთერთ რგოლად.

ქართველ იურისტ მეცნიერთა მითითებით (ალ. ვაჩეიშვილი) სასამართლო ფუნქციები გააჩნდათ უმაღლესი ადმინისტრაციული უფლების მქონე პირებს, მათ **შორის უმაღლეს სამხედრო მთავარსარდალს**. ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის მითითებით, იბერიაში მეფის შემდგომ მეორე პირი სამხედრო საქმესა და **მართლმსაჯულებას** ახორციელებდა. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მართლმსაჯულების ფუნქცია თვით მეფესაც ჰქონდა.

სასამართლო ორგანიზაციამ უფრო დახვეწილი და ჩამოყალიბებული სახე მიიღო გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს სახელწიფოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლო უწყებას ექვემდებარებოდა: **სამეფო სასამართლო** დაწესებულებებსა და **საკათალიკოსო სასამართლო** დაწესებულებებს. ეს უკანასკნელი იხილავდა ქართული ეკლესიის ყველა დაწესებულებაში შემავალ პირთა საქმეებს, მათ შორის სამონასტრო ყმების საქმეებსაც. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სამეფო სასამართლო უწყებას მაშინ **„სასჯულო სამრებლოდ“** ერქვა.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მართლმსაჯულების განსახორციელებლად მწყობრი სასამართლო სისტემა არსებობდა. აქ უზენაეს მართლმსაჯულებას მეფე ახორციელებდა. მეფის სასამართლოს **„სამართალი სამეუფეო“** ეწოდებოდა. მას შემდეგ, რაც გაერთიანდა და გაძლიერდა ფეოდალური საქართველო, მეფე ყველაზე განიხილავდა უშუალოდ სასამართლოს ყველა საქმეს, ამიტომაც ამ მხოლოდ რთულ, გახმაურებულ და მნიშვნელოვან საქმეებს ვარ-

ილავდა. რაც შეეხება სხვა კატეგორიის საქმეებს, მათ განსახილველად დავით აღმაშენებელმა ჩამოაყალიბა სპეციალური სასამართლო დაწესებულება, სადაც დანიშნა „კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხველნი“. მათ უნდა განეხილათ ის საჩივრები, რომლებიც მეფესთან შეკიდა და მეფემ მათ გადასცა განსახილველად. ასეთ სასამართლოებს ივ. ჯავახიშვილის მითითებით „სამსჯავრო სახლი“, „საბჭო“ და „სააჯო კარი“ ეწოდა.

ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია: „ჭყონდიდელი ორშაბათს დღესა სააჯო კარსა შიგან დაჯდების, ობოლთა და ქვრივთა და მიმძლავრებულთა მოჩივართა განიკითხავს... საწოლის მწიგნობარი გვერდს უზის; და ზარდახანის მწიგნობარს გაგზავნის და მისი პირით მოახსენებს რაც ვის რა სჭირს, და რასაც მისი პირით ვერ დაიურვებს, ადგების და, რაჟამცა ჟამი იყოს თვით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს; არ მოეშვების, რომ არ დაიურვოს“. აქედან ჩანს, რომ გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში „სააჯო კარი“ სასამართლო დაწესებულებაა, რომელსაც სათავეში უდგას მეფის შემდეგ ყველაზე დაწინაურებული, ყველაზე მაღალი მოხელე — მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი, რომელიც კვირაში მხოლოდ ერთ დღეს, ორშაბათობით იხილავდა საქმეებს. იგულისხმება, რომ „სააჯო კარი“ მხოლოდ ორშაბათობით არ იმუშავებდა და სხვა დღეებში სხვა მოსამართლეები ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას. ამასთან, „სააჯო კარი“ უმაღლესი ინსტანციის სასამართლო დაწესებულება იყო, სადაც განიხილებოდა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პირთა საჩივრები. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, სააჯო კარი დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი უზენაესი სასამართლო ფუნქციების მქონე დაწესებული იყო.

„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, რომ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი სააჯო კარში საქმეებს ერთპიროვნულად კი არ განიხილავდა, არამედ კოლეგიალურად — სამი წევრის შემადგენლობით. მწიგნობართუხუცესს ეხმარებოდნენ საწოლის მწიგნობარი და ზარდახანის მწიგნობარი.

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სასამართლო ფუნქციები ჰქონდა ასევე სახელმწიფო საბჭოს ანუ დარბაზსაც. მეფე მეტად რთული საქმეების განსახილველად დარბაზის სხდომას იწვევდა,

სადაც იხილავდა და წყვეტდა ამ მეტად რთულ საქმეებს სამართლის სპეციალისტების ანუ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“-თა მეშვეობით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში დაარსებული ყოფილა აგრეთვე განსაკუთრებული ანუ **სპეციალური სასამართლოებიც**, მათ შორის **მპარავთმძებნელთა** ანუ **„სამართალი სამპარავთმძებნელოჲ“**. გიორგი III-ის 1170 წლის სიგელით ირკვევა, რომ სამპარავთმძებნელო სასამართლოს დანიშულება იყო ქურდების ძებნა, მათი აღმოჩენა და გასამართლება. ამ საქმეს ემსახურებოდნენ მოხელეები ანუ „ჩენილნი“. „ჩენილთა“ მიერ ხდებოდა ქურდების გასამართლება, ზოგჯერ ჩამოხრჩობა თუ „განპატიჟება“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, **მპარავთმძებნელნი** უფროსი მოხელეები იყვნენ „ჩენილნი“ კი მათი ხელქვეითნი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში არსებობდა წოდებრიობის მიხედვით აგებული სასამართლოები. ივ. ჯავახიშვილი იხილავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის მე-100 მუხლს და დაასკვნის, რომ ამ მუხლის მიხედვით საქართველოში **წოდებრივი სასამართლოები** არსებობდა.

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, საქართველოში არსებობდა ასევე **ცალკეულ ფეოდალთა სასამართლოები**, ფეოდალს თავის მამულში სასამართლო ჰქონდა, იგი უშუალოდ ან თავისი მოხელეების მეშვეობით ასამართლებდა თავის ყმებს.

ამრიგად, გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა შემდეგნაირი სასამართლო სისტემა:

1) უმაღლესი მოსამართლე იყო მეფე, რომელიც უშუალოდ ან სპეციალურ პირთა მეშვეობით იხილავდა საქმეებს;

2) სასამართლო ფუნქციები გააჩნდა დარბაზს;

3) არსებობდა „საჯო კარი“ ანუ უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, რომელსაც მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი ხელმძღვანელობდა;

4) არსებობდა საკათალიკოსო (საეკლესიო) სასამართლო, ეს სასამართლო იხილავდა ეკლესიებში დასაქმებულ პირთა ანუ საეკლესიო მსახურთა და საეკლესიო ყმების საქმეებს;

5) არსებობდა „სამპარავთმძებნელო“ სასამართლო;

6) არსებობდა წოდებრივი სასამართლოები;

7) არსებობდა ფეოდალთა სასამართლოები, სადაც ფეოდალი ახორციელებდა მართლმსაჯულებას.

§2. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში

ცნობილია, რომ მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს ერთიანობა დაირღვა. ქვეყნის დაქუცმაცებულობა სასამართლო ორგანიზაციაზეც აისახა. ყველა სამეფ-სამთავროს ამ სფეროში მეტ-ნაკლები თავისებურება ახასიათებდა. ამიტომ სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში სამეფო-სამთავროების მიხედვით უნდა განვიხილოთ.

ა) სასამართლო ორგანიზაცია ქართლ-კახეთში

XVIII საუკუნის მეორე მახევარში ქართლი და კახეთი ერთიანი სამეფოა, ამიტომ სასამართლო ორგანიზაცია აღმოსავლეთ საქართველოში საერთო ნიშნებით ხასიათდება[1].

1. მეფე როგორც მოსამართლე. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, გვიანფეოდალურ საქართველოშიც უმაღლესი მართლმსაჯულების განმახორციელებელია. მეფე მასთან შეტანილ საჩივარს ან თვითონ არჩევდა, ან გადაუგზავნიდა სასამართლოს, ან კიდევ სპეციალურად ავალებდა ვინმეს მის განხილვას. მეფე განიხილავდა ყოველგვარ საქმეს, რომელსაც კი მოისურვებდა. ძეგლებში არსად არ არის მითითებული განაჩენის გასაჩივრების წესი. ამ შემთხვევაშიც მეფეს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა. იგი ხელმეორედ არჩევდა საქმეს ან სხვას ავალდებდა მის განხილვას, ერეოდა პროცესში იმ დროს, როდესაც საჭიროდ სცნობდა და სხვა. ინსტანციები, როგორც ასეთი, არ არსებობდა — საქმეს საბოლოოდ არჩევდა სასამართლო, მაგრამ მეფესთან შეიძლებოდა განაჩენის გასაჩივრება. საჩივრით შესაძლოა ბატონიშვილებისათვისაც მიემართათ[2].

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, მეფეს უნდა განეხილა საქმე სიგელის წართმევის შესახებ. ეს ერთადერთი საქმე იყო, რომელიც აუცილებლად მეფეს უნდა გადაეწყვიტა, რადგანაც მას უნდა აღედგინა წართმეული და განადგურებული სიგელები. ძეგლში

[1] ივ. სურგულაძე, სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 47, თბ., 1947, გვ. 231-232.

[2] იქვე, გვ. 232.

მოხსენიებულია ზოგიერთი საქმე, რომელიც როგორც მეფის, ისე კათალიკოსის იურისდიქციას ეკუთვნოდა. ესენია: მეფისადმი ორგულობა, მეფის სალაროს გატეხვა, საყდრის გატეხვა, ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ და სხვა. ამგვარი საქმეები, როგორც ჩანს, მეფის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და ალბათ, თვითონვე არჩევდა. ივ. სურგულაძის მიხედვით, მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციაში შედიოდა ასევე ომის დროს მეფის მოღალატის საქმის გარჩევა. ყველა მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საქმე მხოლოდ მეფის იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი საქმეები უეჭველად მეფეს უნდა გაერჩია. „დიდ საქმეს" იხილავდა მეფე და მისი დარბაზი, ხოლო მდივანბეგი მეფის უკითხავად ასეთ საკითხებს ვერ გაარჩევდა[1].

მეფე კვირაში ორ დღეს იჯდა სამდივნო სახლში, ანუ სასამართლოში. ვახტანგ VI ოთხშაბათსა და პარასკევს იმყოფებოდა სამდივნო სახლში, თუმცა მეფეს ხშირად უწევდა საქმეების განხილვა სამდივნო სახლის გარეთ, ანუ იქ, სადაც დროებით უხდებოდა ყოფნა[2]. ერეკლე II თავისი სურვილით წყვეტდა, თუ რა საქმე განეხილა. ამგვარი საქმიანობა მას ხშირად უწევდა თავის რეზიდენციაში, ანდა ადგილებზე. მეფის თანმხლებ ამალაში ყოველთვის იყო მდივანი და ერთი მდივანბეგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობდა საქმის განხილვაში. მ. კეკელიას აზრით, მეფის მიერ მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავდა მეფის ავტორიტეტის განმტკიცებას და საუკეთესო საშუალება იყო ფეოდალთა ხელისუფლების შესაზღუდავად. ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ყოფნისას მეფე განიხილავდა ყოველგვარ დავას (ადგილებზე გასვლისას მას უამრავი მომჩივანი მიმართავდა), მათ შორის, ადგილობრივი ფეოდალის იურისდიქციაში არსებულსაც. ყოველივე ეს ძალზე ამაღლებდა ხალხის თვალში მეფის როლს. მეფის განაჩენს კი ვერც ერთი ფეოდალი ვერ შეეწინააღმდეგებოდა. მეფის გადაწვეტილება საბოლოო იყო და არავის გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა (თვით მეფის გარდა). მეფეს კი უფლება ჰქონდა, გადაესინჯა ნებისმიერი სასამართლო განაჩენი, ან შეეჩერებინა მისი აღსრულება[3].

---

[1] ივ. სურგულაძე, სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 47, თბ., 1947, გვ. 235.

[2] იქვე, გვ. 233, 236.

[3] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. I, გვ. 119.

2. დარბაზი როგორც სასამართლო. დარბაზს სხვა ფუნქციებთან ერთად, სასამართლო ფუნქციაც ეკისრებოდა. დარბაზი განიხილავდა განსაკუთრებით რთული ხასიათის საქმეებს. მას შეიძლება განეხილა საქმეები, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობა ჰქონდათ და ასევე, სირთულის მიუხედავად, განეხილა დიდებულთა შორის დავები. დარბაზის შემადგენლობა ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას დამოკიდებული იყო დავის ხასიათსა და წარმომავლობაზე. დარბაზის ამა თუ იმ შემადგენლობით მოწვევა მეფეზე იყო დამოკიდებული, როცა მეფე სასამართლო საქმის გასარჩევად დარბაზს იწვევდა, იგი უმთავრესად იმ ტერიტორიული ერთეულებიდან მოიწვევდა მსხვილ ფეოდალებს, რომელი რეგიონის საქმეც იყო გასარჩევი. დარბაზი საქმეს განიხილავდა უმთავრესად მეფის თავმჯდომარეობით, მაგრამ შეიძლებოდა საქმე გარჩეულიყო დარბაზის მიერ მეფის მონაწილეობის გარეშეც, მისი ნებართვით[1].

3. დედოფალი როგორც მოსამართლე. საქართველოში სასამართლო ხელისუფლებას დედოფალი არასოდეს არ ახორციელებდა. ამგვარ ფაქტს ისტორიაში მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევარში ვხვდებით. მხედველობაშია ერეკლე II-ის მეუღლე დარეჯანი, რომელიც მეფის შემდეგ რანგით მეორე მოსამართლედ ითვლებოდა.

დედოფალი მოსამართლეობდა როგორც პირადად, ისე სხვა პირებთან ერთად. მდივანბეგთა სასამართლოც არცთუ იშვიათად განიხილავდა საქმეს დედოფლის თავმჯდომარეობით. მხოლოდ მეფეს ჰქონდა უფლება დაევალებინა დედოფლისათვის სასამართლო საქმის განხილა. დედოფალი საქმეებს არჩევდა თავისი ინიციატივითაც. თავის მხრივ, მას შეეძლო საქმის წარმოება გადაეცა ბატონიშვილისათვის, მდივანბეგებისა და ცალკეული ფეოდლებისათვის. დედოფალს ექვემდებარებოდა მის საფეოდალო-საგამგებლოში, სახასოში წამოჭრილი საქმეები, თუმცა ასეთ შემთხვევაში მისი სახლთუხუცესები მოსამართლეობდნენ. დედოფლის სახლთუხუცესის სასამართლო კომპეტენცია შემოფარგლული იყო დედოფლის სახასოს საჩივრების განხილვით. დედოფალს ორი სახლთუხუცესი ჰყავდა, ერთი — ქართლში, მეორე — კახეთში. დედოფლის სასამართლო საქმიანობა მთელ სამე-

[1] ივ. სურგულაძე, სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში, თსუ შრომები, ტ. 47, 1947, გვ. 237.

ფოში ვრცელდებოდა, თუმცა მას არ შეეძლო სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მის იურისდიქციაში შედიოდა ყველა სამოქალაქო დავა სამეფოს მთელ ტერიტორიაზე[1].

4. ბატონიშვილების სასამართლო საქმიანობა. ბატონიშვილთა სასამართლო აქტიურობა განსაკუთრებულია XVIII საუკუნის II ნახევარში. ერეკლე II-ის სრულწლოვანი შვილები და, შემდგომში, შვილიშვილებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც მეფეც ხელს უწყობდა. ბატონიშვილები ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას მეფის, დედოფლის, იშვიათად ჭათალიკოსის დავალებით, ძირითადად კი, საკუთარი ინიციატივით, როდესაც მომჩივნები პირადად მათ მიმართავდნენ.

ბატონიშვილებს შეიძლება გაერჩიათ სასულიერო ხასიათის ან სასულიერო წოდების პირებს შორის დავები, თუმცა ამისათვის მეფის ნებართვა იყო საჭირო. ასევე, შეეძლოთ ბატონიშვილებს კათალიკოსის დავალებით დიკასტერიასთან ერთად განეხილათ საქმეები. ბატონიშვილები საქმეებს არჩევდნენ როგორც დამოუკიდებლად, ისე მდივანბეგებთან ერთად. მათ უფლება ჰქონდათ, დაევალებინათ საქმის გარჩევა მდივანბეგების, მოურავებისა და სხვა მოხელეებისათვის. ისინი განიხილავდნენ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საკითხებს[2].

5. განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო. პროფ. ივ. სურგულაძე განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლოს უწოდებს ისეთ სასამართლო შემადგენლობას, რომელსაც მეფე ნიშნავდა კონკრეტული, ერთი რომელიმე საქმის გასარჩევად. ამ საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობა იშლებოდა. იგი განსაკუთრებული იყო იმით, რომ მას არ ჰქონდა სასამართლო ფუნქციები საერთოდ. განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლოს თავისებურება ისაა, რომ მასში მეფე არ მონაწილეობდა. იგი რამდენიმე კაცისაგან შედგებოდა და ზოგჯერ მისი შემადგენლობა მრავალრიცხოვანი იყო[3].

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოტანილია არაერთი

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 121-126.

[2] იქვე, გვ. 126-131.

[3] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

განაჩენი და გადაწყვეტილებაა მეფის მიერ დანიშნული განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლოს მიერ. მასში შედიოდნენ როგორც საერო, ისე სასულიერო პირები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ასეთი სასამართლოს დანიშვნა, მეფის გარდა, შეეძლო ყველა იმ პირს, ვისაც ჰქონდა უფლება, სხვა პირისათვის დაევალებინა საქმეების განხილვა[1].

6. საეკლესიო სასამართლო. საეკლესიო სასამართლოს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი ქვეყნის სასამართლო ორგანიზაციაში. ეს განპირობებული იყო თვით ეკლესიის უმნიშვნელოვანესი როლით საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გვიანფეოდალურ საქართველოში ეკლესიის ყველა დაწესებულების მსახური და ეკლესია-მონასტრის ყველა ყმა საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. საეკლესიო იურისდიქციას ექვემდებარებოდა ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე, ძირითადად, საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ასე რომ, საეკლესიო იურისდიქციისადმი დაქვემდებარება ხორციელდება როგორც სუბიექტების, ისე საქმეთა შინაარსის, მათი ბუნების მიხედვით[2]. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, 61-ე მუხლი ზოგადად განსაზღვრავს კათალიკოსის იურისდიქციას, სადაც აღნიშნულია, რომ მკვლელობა ტანჯვის მიყენებითა და რწმენის, რჯულის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული კათალიკოსის ქვემდებარეა. ძეგლის სხვა მუხლებში კონკრეტულადაა საუბარი კათალიკოსისა და, საერთოდ, საეკლესიო სასამართლოს განსახილველ საქმეებზე. ძეგლის მიხედვით, იყო ისეთი საქმეები, რომელნიც კათალიკოსისა და მეფის საერთო განხილვას ექვემდებარებოდა, ზოგ საქმეს კათალიკოსი და სხვა საეკლესიო პირები დამოუკიდებლად არჩევდნენ. ზოგიერთი საქმისათვის გათვალისწინებული იყო საერო სასჯელი, საეკლესიო ეპიტიმია კი კათალიკოსს უნდა განესაზღვრა.

7. დიკასტერია. XVIII საუკუნის II ნახევარში საეკლესიო იურისდიქცია აღმოსავლეთ საქართველოში დიკასტერიას უკავშირდება. მ. კეკელიას მიხედვით, დიკასტერია მოქმედებდა XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან.

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 221-222.

[2] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ.2, თბ., 1948, გვ. 51.

იგი დააარსა კათალიკოსმა ანტონ I-მა, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. იგი კათალიკოსს ექვემდებარებოდა და მისი სახელით იღებდა გადაწყვეტილებას. დიკასტერია მხოლოდ სასამართლო ფუნქციებს არ ახორციელებდა, იგი საეკლესიო მმართველობის ორგანო იყო[1].

მ. კეკელიას განმარტებით, სასულიერო ხასიათის დავები არა მხოლოდ დიკასტერიას ექვემდებარებოდა, არამედ, ისინი ასევე შედიოდა მეფის, კათალიკოსის, ბატონიშვილებისა და მდივანბეგთა კომპეტენციაშიც კი. თუ ვის უნდა გაერჩია საქმე, დამოკიდებული იყო თვით საქმის შინაარსსა და მასში მონაწილე სუბიექტებზე. სასამართლო ფუნქციები ჰქონდათ ასევე მონასტრების წინამძღოლებს, რომელთათვისაც ზემდგომ ინსტანციას წარმოადგენდა ეპისკოპოსი, შემდეგ მოდიოდა კათალიკოსი დიკასტერიასთან ერთად, დაბოლოს, საეკლესიო კრება[2].

კათალიკოს-პატრიარქი იშვიათად მონაწილეობდა დიკასტერიის მუშაობაში, თუმცა ამტკიცებდა მის განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს. დიკასტერია საქმეებს განიხილავდა კათალიკოსის რეზიდენციაში. მისი შემადგენლობა საქმის განხილვისას განისაზღვრებოდა სამი წევრით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხუთს აღწევდა. დამსწრეთაგან თავმჯდომარეობდა ყველაზე უფრო მაღალი რანგის სასულიერო პირი.

დიკასტერია განიხილავდა ყოველგვარ დავებს მონასტრებს, ეკლესიებს შორის; ეკლესიებისა და მონასტრების ყმათა ქონების ხელყოფის საკითხებს; საჩივრებს ეკლესია-მონასტრების მიწებისა და ყმების მიმტაცებელთა წინააღმდეგ; სასულიერო პირების ყოველგვარ უღირს საქციელს როგორც ყოფაში, ისე მღვდელთმსახურებაში; სასულიერო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს; შვილად აყვანისა და განქორწინების საკითხებს; უკანონო ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებს; ყოფით დავებს ოჯახის წევრთა შორის[3].

საჩივარი იწერებოდა დიკასტერიის სახელზე, თუმცა ხანდახან დიკასტერიას საქმეთა განხილვას ავალებდა მეფე, კათალიკოსი, იშვიათად დედოფალი და ბატონიშვილი. სასამართლო პრაქტიკაში გამორიცხული იყო სასულიერო პირისათვის საეკლესიო სასჯელის დაკისრება საერო მოსამართლის მიერ. შეიძლებოდა, საერო სასამართლოს

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 188-190.

[2] იქვე, გვ. 190-191.

[3] იქვე, გვ. 197-200.

განეხილა საქმეები, სადაც მოსარჩელე სასულიერო პირი იყო, ხოლო მოპასუხე საერო, ან პირიქით. სისხლის სამართლის საქმეებს, სადაც დაზარალებული იყო სასულიერო პირი, ხოლო ბრალდებული საერო, საერო სასამართლო განიხილავდა[1].

8. მდივანბეგთა სასამართლო. გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაწესებულებას „დივანს" უწოდებდნენ, რაც სპარსული სიტყვაა და სახელმწიფო კრებას, კანცელარიას, დაწესებულებას ნიშნავს. ამ სიტყვიდან წარმოდგა მდივანბეგისა და მდივნის სახელწოდება. სასამართლო დაწესებულებას ასევე „**სამდივნო სახლი**" ეწოდებოდა. გვიანფეოდალური საქართველოს სამეფო-სამთავროებში სასამართლო ორგანიზაციის ძირითადი, სპეციალიზებული დაწესებულება იყო ცენტრალური ხელისუფლების მდივანბეგების სასამართლო. მართლმსაჯულებას მაშინდელ საქართველოში სხვა პირებიც ასრულებდნენ, მათ შორის, სახელისუფლებო და მმართველობითი ფუნქციების მატარებელნიც. თუმცა მთავარ ფიგურად მაინც მდივანბეგი გვევლინება. იგი სპეციალიზებული სასამართლო მოხელეა, მხოლოდ სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი. მდივანბეგობის სახელო საქართველოში XVII საუკუნესი შემოვიდა.

მდივანბეგის სასამართლო კოლეგიალურია, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, მდივანბეგი ეწოდებოდა სასამართლოს უფროსს, რომელიც უფროსი მოსამართლე იყო. სასამართლოს შემადგენლობა ზუსტად არ იყო განსაზღვრული. სავარაუდოდ, სამ კაცზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ვ. გაბაშვილის განმარტებით, მდივანბეგის სასამართლოში შედიოდნენ: 1. მდივანბეგი — უფროსი მოსამართლე; 2. მსაჯულები, ანუ მოსამართლეები; 3. მდივანი, რომლის ფუნქციას შეადგენდა ორივე მხარის ჩვენებების ჩაწერა, აგრეთვე, სამართლის წიგნის იმ მუხლების წაკითხვა, რომლებიც განსახილველ საქმეს ეხებოდნენ; 4. იასაულნი, რომლებიც იყოფოდნენ ორ ჯგუფად: ა) „მართლის აღმქმელნი უქრთამო იასაულნი" — მათ ევალდებოდათ საგამოძიებო ფუნქციის შესრულება; ბ) „გაწყრომისა და დაჭერის იასაულნი", რომელთაც ევალდებოდათ დამნაშავეთა შეპყრობა და განაჩენის სისრულესი მოყვანა[2].

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 205.

[2] ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის „მოამბე", XIII, 1943, გვ. 184.

ივ. სურგულაძის მიხედვით, XVII საუკუნის ქართლის სამეფოში რამდენიმე მდივანბეგის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სამზე ნაკლები მდივანბეგი არ იყო, თუმცა შესაძლოა მეტიც ყოფილიყო. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მდივანბეგთა სასამართლო ინსტიტუტი განსაკუთრებულად გაძლიერდა. 60-იან წლებში მდივანბეგთა რაოდენობა სულ 28 იყო[1]. აღმოსავლეთ საქართველოში მდივანბეგთა სასამართლო მოქმედებდა როგორც გაერთიანებული („საქართველოს მსაჯულთა შეკრებულება"), ისე მხარეებისა (ქართლის, კახეთის) და ცალკეული რეგიონების (თბილისი, გორი, სიღნაღი, თელავი და სხვა) მიხედვით[2].

მდივანბეგი მხოლოდ მეფის, ეი. კარის მოხელეა. მდივანბეგი არ ჰყავდა არც ერთ საფეოდალოს, ამიტომ მისი კომპეტენცია მეფის ხელისუფლების სიძლიერით განისაზღვრებოდა. მდივანბეგს ხელი მიუწვდებოდა სისხლისა და სამოქალაქო ხასიათის ყოველგვარ საქმეთა განხილვაზე, მაგრამ ზოგიერთ საქმეს იგი მაინც არ არჩევდა, რადგანაც ეს საქმეები სხვა მოხელეებს ექვემდებარებოდა. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვანი და რთული საქმეები ამოღებული იყო ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების იურისდიქციიდან და ისინი მდივანბეგს ან კიდევ მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა. მეფის ხელისუფლება ცდილობდა, ადგილობრივი მოხელეებისა და ფეოდალების იურისდიქციიდან ამოელო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები. „დასტურლამალის" მიხედვით, ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა. მაგალითად, მკვლელობის საქმე ადგილობრივი მოხელეებისა და მემამულეების იურისდიქციიდან ამოღებული იყო. ასეთი საქმე კარზე უნდა გარჩეულიყო მდივანბეგის მიერ, ისევე, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეები — ღალატი, სალაროსა და ეკლესიის გაძარცვა — მეფისა და დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა.

შეიძლებოდა, მკვლელობის საქმე მისი თავისებურების გამო მეფის ან დარბაზის გარჩევის საგანიც ყოფილიყო, მაგრამ ჩვეულებრივ ამ საქმეს მდივანბეგი იხილავდა[3]. სისხლის სამართლის ზოგი-

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 143.

[2] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ.2, გვ. 230.

[3] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 246-247.

ერთი სხვა საქმე ადგილობრივ ფეოდალს ან მოხელეს, ანდა ხელისთავს ექვემდებარებოდა; მაგალითად, „დასტურლამალისა“ და სხვა წყაროების მიხედვით, თავის გატეხა, ხელის მოტეხა, კბილების ჩამტვრევა და სხვა, მოურავის, ნაცვლისა და ფეოდალის ქვემდებარე იყო. მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას მიეკუთვნებოდა „დიდი საქმე“. ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმე. ის გარემოება, რომ მკვლელობა მდივანბეგის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენდა, არ ნიშნავს, რომ მას არ შეეძლო გაერჩია მკვლელობაზე უფრო მცირე მნიშვნელობის მქონე საქმეები. მკვლელობის გარდა, კარზე უნდა გარჩეულიყო კიდევ სხვა დავებიც, მაგრამ ასეთი საქმეების უმრავლესობა მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა, ხოლო ნაწილი ამ „დიდი საქმეებისა“, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებიდან — მდივანბეგს. ყველა ის საქმე, რომელიც არ ითვლებოდა „დიდ საქმედ“, როგორც წესი, ადგილობრივ ფეოდალებსა და მათ მოხელეებს ექვემდებარებოდა. მდივანბეგს ასევე ექვემდებარებოდა ის საქმეებიც, რომელთა მონაწილე მხარეები პირადად მას მიმართავდნენ. კანონმდებლობის მიხედვით, მოქალაქეთა საჩივარი მოურავს უნდა გაერჩია, სადედოფლოს სასამართლო საქმეები — დედოფლის სახლთუხუცესს, მაგრამ თუ მხარეები თავისი სურვილით მიმართავდნენ მდივანბეგს, იგი უფლებამოსილი იყო გაერჩია საქმე[1].

9. ფეოდალი როგორც მოსამართლე. ფეოდალი მოსამართლედ, ბუნებრივია, თავის საფეოდალოში გვევლინებოდა. იგი არჩევდა თავის სამფლობელოში მომხდარ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის შედარებით ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებს, რომლებიც „დიდ საქმეებად“ არ მიიჩნეოდა. XVIII საუკუნის II ნახევრის დოკუმენტებით, აშკარაა სამეფო ხელისუფლების მისწრაფება — განავრცოს თავისი იურისდიქცია მდივანბეგთა ინსტიტუტის ხარჯზე, თუმცა, ბუნებრივია, ფეოდალურ საზოგადოებაში ფეოდალს რჩებოდა სასამართლო ფუნქციები, რომლებიც შეზღუდული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილი „ბატონყმობის რიგით“. დოკუმენტები ცხადყოფს, რომ იმ დროისათვის ფეოდალებს აღარ ჰქონდათ განუსაზღვრელი ძალაუფლება თავიანთ ყმებზე. ეს უკანასკნელნი

[1] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248-250.

ხშირად მიმართავდნენ მეფეს, ანდა მისი ოჯახის წევრებს საჩივრებით თავიანთ უშუალო ბატონზე. მ. კეკელიას განმარტებით, XVIII საუკუნის II ნახევარში ფეოდალები არჩევდნენ სამოქალაქო და სასისხლო საქმეებს, მკვლელობისა და იმ დიდი საქმეების გარდა, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების ინტერესს წარმოადგენდა. ზოგიერთი ფეოდალი განიხილავდა საქმეებს დაჭრის, ტყვედ შეპყრობის, გაუპატიურების, ცხენების დაქცევის შესახებ, ასევე სამამულო და სამიჯნო დავებს ყმებს შორის[1].

მეფისა და მისი ოჯახის წევრების განკარგულებით, ფეოდალი არჩევდა დავებს სხვა ფეოდალებს შორის, რომლებიც ფეოდალური იერარქიით მასზე დაბლა იდგნენ.

10. მოურავი როგორც მოსამართლე. მოურავი ადგილობრივი მმართველოს აპარატის მნიშვნელოვანი მოხელეა და თავდაპირველად სამეურნეო ხასიათის ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში მას ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციებიც მიენიჭა[2]. მოურავს, იქნებოდა იგი მეფის, დედოფლის, ბატონიშვილებისა თუ ფეოდალისა, მცირე ხასიათის სასისხლო და სამოქალაქო საქმეებზეც მიუწვდებოდა ხელი.

მ. კეკელია აღნიშნავს, რომ XVIII საუკუის მეორე ნახევრიდან სასამართლო ფუნქციები მხოლოდ მეფის მოურავებს ჰქონდათ დაკისრებული. მოურავთა სასამართლო საქმიანობის შეზღუდვა განპირობებული იყო მდივანბეგთა სასამართლო საქმიანობის გაფართოებით, ხოლო რაც შეეხება მეფის მოურავებს, განსაკუთრებით კი თბილისის მოურავს, მათი იურისდიქცია საკმაოდ ფართო იყო. სასამართლო ფუნქციებს მათ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, მაგრამ არა ძირითადი. მოურავები თავიანთ საგამგებლო ტერიტორიაზე არჩევდნენ სამამულო, ქონებრივ დავებს, საქმეებს ვალის გადაუხდელობასთან დაკავშირებით, აგვარებდნენ კონფლიქტებს, აიძულებდნენ დამნაშავეს აენაზღაურებინა ზარალი[3].

თბილისის მოურავს არ ჰქონდა უფლება განეხილა სამამულო

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 216-217.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 394.

[3] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

დავები და ვაჭართა საქმეები. მას სასამართლო ფუნქციის განხორციელების დროს „სარწმუნო მოქალაქეები“ ახლდნენ თან. მოურავს ექვემდებარებოდა იასაული, რომელიც ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციას უკეთებდა საქმის სასამართლო განხილვას მხარეების მიერ არჩეული ქალაქელების მონაწილეობით, რისთვისაც მოურავი მას გასამრჯელოს უხდიდა. მოურავი თბილისშიც და ადგილებზეც არასდროს განიხილავდა საქმეს ერთპიროვნულად. კანონით განსაზღვრული იყო იმ პირთა წრე, ვისთან ერთადაც ქ. თბილისის მოურავი წყვეტდა საქმეებს (მოურავთან ერთად მართლმსაჯულების განხორციელებისას უნდა ყოფილიყო სამი-ოთხი „სარწმუნო მოქალაქე“, ხოლო ვის აირჩევდა იგი, მელიქ-მამასახლისის, ნაცვლისა და ქედხუდებიდან, მოურავზე იყო დამოკიდებული) პერიფერიებში. მოურავი თვითონ წყვეტდა, თუ რომელი ქვემდგომი მოხელეები მოეწვია თავის სასამართლო კოლეგიაში[1]. მოურავი განიხილავდა ზოგიერთ ნაკლებმნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეს. ყველა დანაშაული XVII საუკუნის II ნახევარში მეფის მოსამართლეებამდე — მდივანბეგებამდე არ მიაღწევდა, ამიტომ უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკების განსახილველი ხდებოდა. ივ. სურგულაძის მიხედვით, მოურავი სისხლის სამართლის საქმეებიდან განიხილავდა ისეთ დავებს, როგორიცაა: თავის გატეხა, ხელის მოტეხა, კბილის ჩამოგდება, ზოგიერთ შემთხვევაში — ქურდობის საქმეებს[2].

11. მელიქისა და მამასახლისის სასამართლო ფუნქციები. სხვა მოხელეების მსგავსად, მელიქი და მამასახლისი თავიანთ ფუნქციებს ახორციელებდნენ მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე. მათ შორის უნდა გამოვყოთ თბილისის მამასახლისი, რომელიც 1725 წლიდან ითავსებდა მელიქის თანამდებობასაც და იწოდებოდა მელიქ-მამასახლისად[3]. თბილისის მელიქ-მამასახლისს ექვემდებარებოდა ყოველგვარი სამამულო დავები და ვაჭართა საქმეები ქალაქ თბილისში. მელიქები და მამასახლისები განიხილავდნენ სამოქალაქო დავებს. ძირითადად ეს იყო ვალის გადახდასთან დაკავშირებული

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 179-180.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 321.

[3] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 222.

საქმეები, დავები სახლი საკარმიდამო ნაკვეთის, დუქნის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

თბილისის მელიქ-მამასახლისი და გორის მამასახლისი, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი მოხელეები იყვნენ, ვიდრე სხვა რეგიონების ანალოგიური თანამდებობის პირები, არასდროს არ არჩევდნენ საქმეებს ერთპიროვნულად. ისინი ან თვითონ შედიოდნენ სხვა სასამართლოთა შემადგენლობაში წევრებად (მაგალითად, მოურავის თავმჯდომარეობით შემდგარ სასამართლოში), ან თვითონ თავმჯდომარეობდნენ სასამართლოს. მელიქი, მამასახლისი და, ასევე, ქედხუდები, სხვა სასამართლოს შემადგენლობაში მაშინ შედიოდნენ, როდესაც მოდავე მხარეები ქალაქის მცხოვრებლები იყვნენ, თვით დავის ობიექტი ქალაქთან იყო დაკავშირებული. მელიქ-მამასახლისის თავმჯდომარეობით გამართულ სასამართლოში მონაწილეობაუნდა მიეღოთ, მაგალითად, ქედხუდებსა და სხვა პირებს[1].

12. ქედხუდა როგორც მოსამართლე. ქედხუდების ინსტიტუტი მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა ცნობილი. ეს ინსტიტუტი შუალედური რგოლი იყო სახელმწიფო აპარატსა და მოსახლეობას შორის. ქედხუდების თანამდებობა არჩევითი იყო. ცალკეული სოციალური ფენები — ქალაქელი ვაჭრები, ხელოსნები, ასევე სოფლის მცხოვრებლები თავისი წრიდან ირჩევდნენ სრულუფლებიან წარმომადგენლებს. მოურავის სასამართლო კოლეგიაში დასახელებული „სარწმუნო მოქალაქენი“ სწორედ ქედხუდები არიან. პრივილეგირებულ ფენათა წარმომადგენელ ქედხუდებს მდივანბეგებისა და მელიქ-მამასახლისის სასამართლოს წევრებადაც ვხვდებით[2]. მ. კეკელიას დაკვირვებით, ქედხუდები, როგორც მოსამართლეები საქმეებს განიხილავდნენ ერთპიროვნულად ან კოლეგიურად, ან სხვა სასამართლოს წევრები იყვნენ. ქედხუდები საქმეებს არჩევდნენ მეფის, დედოფლის, კათალიკოსისა და ბატონიშვილების განკარგულებით. ქედხუდები მცირე მნიშვნელობის სამოქალაქო დავებს განიხილავდნენ. სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე ქედხუდებს ხელი არ მიუწვდებოდათ[3].

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 225-228, 229-232.

[2] იქვე, გვ. 234-240.

[3] იქვე, გვ. 242-243.

13. ბჭე-მედიატორი. აღმოსავლეთ საქართველოში, რუსეთთან შეერთების წინ, გამოიყენებოდა ბჭეთა ანუ მედიატორთა სასამართლო. ბჭეები მხარეების მიერ არჩეული მოსამართლეები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით განიხილავდნენ დავებს. მხარეებს შეეძლოთ აერჩიათ ორ-ორი, სამ-სამი ან მეტი ბჭე. ბჭეების ძირითადი ფუნქცია მხარეთა მორიგება იყო. ბჭეები საქმეებს განიხილავდნენ სანივთო ურთიერთობების სფეროში (დავები ყმების, მიწების მფლობელობასთან დაკავშირებით), ვალდებულებით დავებს ურთიერთანგარიშსწორების შესახებ, მემკვირეობით დავებს (ქონების განაწილება მემკვიდრეებს შორის). ბჭეთა სასამართლოს ყოველთვის კოლეგიალური იყო. იგი ჩვეულებით სამართალს ეყრდნობოდა. ბჭე-მედიატორთა სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. თუმცა ეს არ გამორიცხავდა საქმის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას. სასამართლო პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობდა ზეპირად, გადაწყვეტილებათა წერილობითი გაფორმება სავალდებულო არ იყო, ბჭედ შეიძლება არჩეულიყო ნებისმიერი პირი, როგორც საერო, ისე სასულიერო[1].

აღსანიშნავია კიდევ ერთი მოხელე, რომელსაც სასამართლო ფუნქციები ჰქონდა, — ეს არის „ხევისთავი". იგი ადგილობრივი ხასიათის მოხელეა. „დასტურლამალის" მიხედვით, ხევისთავს სასამართლო ფუნქციები ჰქონდა. იგი წელიწადში ერთხელ შემოივლიდა მისთვის განკუთვნილ რაიონს და სისხლის სამართლის საქმეებს იხილავდა (ძირითადად საუბარია ქურდობაზე), მას ეძლეოდა გარკვეული საზღაური იმ თანხიდან, რომელსაც ქურდი იხდიდა და ქურდების გასამართლებასთან ერთად, მათი დევნაც ევალდებოდა.

ბ) სასამართლო ორგანიზაცია იმერეთში

იმერეთში, ისევე როგორც ქართლ-კახეთში, უზენაესი მოსამართლე მეფე იყო. იგი მარტო არჩევდა საქმეებს, ასევე სხვათა თანდასწრებით, ან სხვას ავალდებდა ამას. სასამართლო ფუნქციას დედოფალი და ბატონიშვილებიც ასრულებდნენ. იმერეთშიც სასულიერო პირთა საქმეებს კათალიკოსი არჩევდა. მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა ასევე საეკლესიო ყმებზეც. სასამართლო საქმიანობაში

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. I. გვ. 246.

გარკვეული ადგილი ეკავა ფეოდალსაც, თუმცა მისი კომპეტენციის ზუსტი განსაზღვრა სათანადო მასალის გამო შეუძლებელია, ასევე გარკვეული სასამართლო ფუნქციები ჰქონდათ მოურავებს.

ძირითადი სამოსამართლეო ფიგურა იმერეთშიც მდივანბეგია, ისინი ცენტრალური ხელისუფლების მოხელეები არიან. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მათი რაოდენობა რვა კაცით განისაზღვრება, მდივანბეგები საქმეებს არჩევდნენ როგორც ერთპიროვნულად, ისე კოლეგიურად[1]. იმერეთში, ცხადია, მოქმედებდა ბჭე-მეფიტორთა ინსტიტუტიც.

გ) სასამართლო ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს სამთავროებში

სასამართლო ორგანიზაცია გურიაში ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც იმერეთში, მაგრამ რაიმე ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. გამონაკლისს წარმოადგენს მდივანბეგთა ინსტიტუტი, რომელიც მთავრის ნების გამომხატველი იყო. მდივანბეგები საქმეებს არჩევდნენ როგორც ერთპიროვნულად, ისე კოლეგიურად[2].

სამეგრელოს სამთავროში უმაღლესი მოსამართლე მთავარი იყო. განსაკუთრებული ხასიათის რთული საქმეების გადაწყვეტა მის გარდა (ან მის დაუკითხავად) არავის შეეძლო, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ქურდობის შემთხვევებს. ასეთი საქმეები მისი უშუალო მეთვალყურეობით ირჩეოდა. დედოფალს აქაც ჰქონდა სასამართლო ფუნქცია. სამეგრელოს სამთავროს ტერიტორია სამეგრელოს ეპისკოპოს-ჭყონდიდელის სამწყსოს წარმოადგენდა, ამიტომ რწმენის საწინააღმდეგო მოქმედების გამო „განკანონება“ ჭყონდიდელის პრეროგატივა იყო. სამეგრელოს სამთავროს განაპირა რაიონებში ნაკლები მნიშვნელობის საქმეებს მოურავებიც არჩევდნენ. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ სასამართლო ფუნქციებს დიდებულებიც ახორციელებდნენ, რომლებსაც დამნაშავეთათვის მკაცრი სასჯელის შეფარდების საქმეში არავინ ზღუდავდა, თვით მთავარიც კი. ბუნებრივია, აქ საუბარია ყმებზე, რომელთა

---

[1] ვ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 233.

[2] იქვე, გვ. 50, 233.

მიმართაც დიდებულებს ძალზედ დიდი უფლებები ჰქონდათ[3].

მ. კეკელია აღნიშნავს, რომ სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე, ყველაზე ორგანიზებული, ცენტრალური ხელისუფლების ნების გამომხატველი სასამართლო იყო მდივანბეგთა სასამართლო, რომელმაც განვითარების უფრო მაღარ დონეს მიაღწია, ვიდრე ქართლ-კახეთში. მხედველობაშია ის, რომ მდივანბეგთა ორგანიზებული განაწილება ხდება მაზრების მიხედვით. სულ არსებულა ცხრა მაზრა, რომლებიც სამართავად ცხრა მდივანბეგს ჰქონდა ჩაბარებული. დავით დადიანის მთავრობის დროს დაარსდა „მენგრელიის უზენაესი სასამართლო“. ასევე მდივანბეგისათვის, სასამართლო ფუნქციების გარდა, ხდება მმართველობის ფუნქციების მინიჭება, მისთვის განკუთვნილი ტერიტორიის (მაზრის) ფარგლებში, ხოლო „უზენაესი სასამართლო“ აღიარებულია სამთავროს მმართველობის უმაღლეს ორგანოდ[1].

მაზრის მდივანბეგებს შეეძლოთ განეხილათ ყოველგვარი ხასიათის საქმე, თუ იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო უზენაეს სასამართლოს არ ექვემდებარებოდა (დეტალურად მათი ქვემდებარე საქმეების ჩამოთვლა ჭირს). ერთი ცნობით, ისინი 150 მანეთამდე დავის საქმეებს განიხილავდნენ. მდივანბეგთა სასამართლო ინსტიტუტის განვითარებისა და სრულყოფის შედეგია სამეგრელოში უზენაესი სასამართლოს (მმართველობის უმაღლესი ორგანოს) დაწესება, რომელიც მდივანბეგებით იყო დაკომპლექტებული.

უზენაეს სასამართლოსაც არ შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა განსაკუთრებით რთული საქმეები. იგი უმაღლესი მოსამართლისათვის — მთავრისათვის — უნდა შეეთანხმებინა. უზენაესი სასამართლო პირველი ინსტანციით, ძირითადად, შემდეგი სახის საქმეებს განიხილავდა: როცა დავა წარმოებდა ეკლესია-მონასტრებსა და კერძო პირთა შორის, ანდა მთავარსა და ეკლესიას შორის (მამულზე, გლეხებზე), საქმეებს მთავრის კარზე მყოფი მოხელის თანამდებობრივ დანაშაულთან დაკავშირებით, ქურდობის საქმეებს, განსაკუთრებული ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულს. როგორც სააპელაციო ინსტანცია, იგი იხილავდა ისეთ საქმეებსაც, რაც ადრე გარჩეული იყო ქვემდგომი სასამართლოს მიერ და უკმაყოფილო მხარე მას კვლავ ასაჩივრებდა. უზენაესი სასამართლო მუდმივი რეზი-

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 63-65.

[3] იქვე, გვ. 65.

დენცია, ძირითადად, მთავრის ადგილსამყოფელი იყო, მაგრამ ე ივდ
ით ისეთ შემთხვევებსაც, როცა იგი საქმეებს არჩევდა სამი ერ
სხვადასხვა კუთხეში[1]. ასევე არსებობდა მსაჯულთუხუცესის ან
მდივანბეგთუხუცესის თანამდებობა, რომელსაც ექვემდებარებოდნენ
როგორც მაზრის, ისე უზენაესი სასამართლოს მდივანბეგები[2].

სასამართლო პროცესი

უძველესი დროიდან (V საუკუნე) XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი იწოდებოდა მსაჯულად, ბჭედ ან მოსამართლედ. V-X საუკუნეებში სადავო საქმის გამრჩევი პირის მნიშვნელობით იხმარება მსაჯული და ბჭე. XI საუკუნიდან ჩნდება ტერმინი მოსამართლე, რომელიც ბჭესთან და მსაჯულთან ერთად გვხვდება. ბაგრატ კურაპალატის, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნები ტერმინებს — „მსაჯული", „მოსამართლე" — არ იცნობენ. მათ ადგილზე დგას „ბჭე", რომელიც ხელისუფლების მოსამართლე იყო. ვახტანგის სამართლის წიგნში სადავო საქმის გამრჩევი პირი იხსენიება როგორც მსაჯულად, ისე ბჭედ, მოსამართლედ, მდივანბეგად, შუაკაცად. აქ მდივანბეგი, მსაჯული, მოსამართლე, ბჭე ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლეა, ტერმინ „ბჭესთან დაკავშირებით, სურათი იცვლება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ პერიოდში „ბჭეს" აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან ჩამოშორდა ხელისუფლების მოსამართლის შინაარსი და, ძირითადად, ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტის მოსამართლედ იქცა, როგორც მოდავე მხარეთა მიერ არჩეული საქმის განმხილველი პირის სახელწოდება. იმერეთის სამეფოში კი XIX საუკუნემდე საქმის გამრჩევი ყველა პირი, ხელისუფლების მოსამართლე იქნება, თუ ჩვეულებითი სამართლის მხარეთა ამორჩეული, ბჭედ იწოდებოდა[3].

ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსამართლისათვის აუცილებელ თვისებებს. ჯერ კიდევ ბაგრატ

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 72-73.

[2] იქვე, გვ. 75.

[3] იქვე, გვ. 28-33.

კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმულია (99-ე მუხლი), რომ მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არც პატრონის, არც მშობლების, არც ძმისა და მოყვასთა ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს და მართალ სამართალს გააჩენს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-3 მუხლით მოსამართლე უნდა იყოს: „... **დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი, გამომეძიებელი, გონება-აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი, მოჩივრის მოადის მომცდელი და სხვისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო, ღვთისმოშიში**“. თუმცა ზოგ შემთხვევაში დასაშვებია მოსამართლის გაწყრომაც, როცა ეს საჭიროა, რომ ქურდი, ავაზაკი, ტყუილად მთხრობელი ან მოწმე გამოტეხოს, ან ტყუილი არ ათქმევინოს. 215-ე მუხლით, მოსამართლე ორმოც წელიწადს გადაცილებული უნდა იყოს, სიღარიბე არ უნდა აწუხებდეს, ღვთისმოშიში უნდა იყოს.

მოსამართლეთა მიერ საქმის გარჩევას „სამართლის ქნას“, „გასამართლებას“, „განკითხვას“, „ბჭობას“, „განბჭობას“, „გაბრჭობას“ უწოდებენ.

ვახტანგ VI სამართლის წიგნის პირველსავე მუხლში საუბრობს მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპებზე, მიზნებსა და ამოცანებზე. იგი ყოველი მსაჯულისაგან სამართლიანობას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ღვთისაგან უსაშინლეს რისხვას უნდა ელოდოს.

სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებს „მოდავეები“ ეწოდებოდათ, დაზარალებულ, მოსარჩელე მხარეს „მოჩივარს“ უწოდებდნენ, მოპასუხეს – „მოადს“[1]. დანაშაულში ბრალდებას „შეწამება“ ერქვა, ე.ი. ბრალმდებელს „შემწამებელი“, ბრალდებულს – „შეწამებული“. თუ ბრალდება დასმენის საფუძველზე ხდებოდა, ამას „შესმენა“ ეწოდებოდა, აქედან ბრალდებულს „შესმენილი“ ერქვა, „ბრალმდებელს“ – „შემსმენელი“[2].

მომჩივანის მიერ მოთხოვნას, სასამართლოსათვის მოხსენებას ეწოდებოდა „სარჩელი“ ან „საჩივარი“. მხარეთა შორის ურთიერთდა-

[1] მ. ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 13-14.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 349-350.

ვას ერქვა „სარჩელა“, „ცილება“, „ჩივილი“, თუ ბრალდებული უარყოფდა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, „აშოროს“, „აშას“ ეტყოდა ბრალმდებელს („აშორო“ — იგულისხმება ღმერთმა აშოროს). ეს ტერმინოლოგია მიღებული იყო როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეების წარმოების დროს. ძველ ქართულ დოკუმენტებში სასამართლო პროცესის მონაწილედ ჩანს „მეოხი“. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, იგი დამცველს უნდა გულისხმობდეს[1].

ა) სასამართლო პროცესის ხასიათი. ისტორიულად ცნობილია სასამართლო პროცესის სამი ფორმა: 1. **საბრალდებო პროცესი**; 2. **ინკვიზიციური ანუ სამძებრო პროცესი**; 3. **შერეული პროცესი**. ფეოდალურ საქართველოში ფიქსირდება პირველი ორი, უმთავრესად კი საბრალდებო პროცესი, რომელიც სასამართლო პროცესის უძველესი ფორმაა. საბრალდებო პროცესისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი პრინციპები. კერძოდ, ესაა **შეჯიბრებითობის პრინციპი**, რაც იმით გამოიხატება, რომ მხარეებს საქმის წარმოებისას თანასწორი უფლებები ჰქონდათ. ისინი საქმის დაწყების ინიციატორები იყვნენ. სწორედ მხარეები აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარუდგენდნენ განსახილველად მოსამართლეებს. მოსამართლეთა როლი პასიურია, მტკიცებულებათა შეკრებაში ისინი მონაწილეობას არ იღებენ, მათ მხოლოდ უნდა შეესწავლათ და შეეფასებინათ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და ამის საფუძველზე გამოეტანათ განაჩენი. არავითარი წინასწარი გამოძიება არ ტარდებოდა, მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვას ჰქონდა ადგილი. საბრალდებო პროცესის სხვა პრინციპებია **ზეპირობა** და **საჯაროობა**. ყველა ეს პრინციპი დამახასიათებელია სასამართლო პროცესისათვის საქართველოში, დაწყებული უხსოვარი დროიდან, ფეოდალიზმის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ფეოდალურ პერიოდში წარმოიშვა პროცესის მეორე ფორმა — **ინკვიზიციური ანუ სამძებრო**, რომელიც საბრალდებოს სრული ანტიპოდია. სისხლის სამართლის საქმის აღძვრა უკვე აღარ ხდებოდა მხარეთა კერძო ინიციატივით, არამედ სახელმწიფო თავისი მოხელეების ინიციატივით იწყებდა პროცესს. სამძებრო პროცესისათვის საერთოდ აღარ იყო დამახასიათებელი შეჯიბრებითობის პრინციპი.

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 354-355.

მხარეები თანასწორუფლებიან სუბიექტებად აღარ გვეელინებოდნენ. ორივე მხარის ფუნქციებს სასამართლო ასრულებდა. იგი იწყებდა საქმეს, აგროვებდა მტკიცებულებებს, ბრალდებულმა დაკარგა სუბიექტის მდგომარეობა. იგი სრულიად უუფლებო გახდა. საჯაროობა უარყოფილ იქნა, პროცესი წერილობით და საიდუმლოდ მიმდინარეობდა, გამოყოფილია წინასწარი გამოძიების სტადია, როცა ხორციელდებოდა მტკიცებულებათა შეკრება. ყველაზე უკეთეს და სრულყოფილ საბუთად ითვლებოდა ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება, ამიტომ მთელი გამოძიება წარიმართებოდა მხოლოდ აღიარების მისაღებად, რასაც ხშირად ბრალდებულის წამება მოსდევდა[1].

როგორც ითქვა, ფეოდალურ საქართველოში პროცესის ძირითადი ფორმა საბრალდებოა, თუმცა ჩანს სამძებრო პროცესის ელემენტებიც. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხლში საუბარია იასაულის მიერ საგამოძიებო ფუნქციის შესრულებაზე. იგი იგზავნებოდა მოსამართლის მიერ იმისათვის, რომ ადგილზე გამოეკვლია საქმე და, ამდენად, მის მოქმედებას სამძებრო ხასიათი ჰქონდა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნითაც და სხვა ძეგლებითაც მოსამართლე საქმის განხილვისას არცთუ პასიურ როლს ასრულებდა. იგი არ კმაყოფილდებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი საბუთებით და თვითონ იღებდა გარკვეულ ზომებს მასალების შესაკრებად.

საინტერესოა, რომ სამძებრო პროცესის ელემენტები ქართულ სასამართლო პროცესს უფრო ადრეულ ხანაშიც ახასიათებდა, ამის საუკეთესო ნიმუშია გიორგი III-ის 1170 წლის სიგელი, რომელშიც საუბარია „სამპარავთმძებნელო“ სასამართლოს შესახებ. ამ სასამართლოს უფროსი მოხელეების, „მპარავთმძებნელთა“ ფუნქცია იყო ქურდების მოძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება, მათი ხელქვეითების — „ჩენილთა“ მოვალეობა კი ქურდების დევნა-შეპყრობა და გასამართლების შემდეგ განაჩენის აღსრულება: ე.ი. დამნაშავეთა დევნა და გასამართლება წარმოებდა არა კერძო პირთა თაოსნობით, არამედ სასამართლო მოხელეების ინიციატივით და, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ოფიციალური დევნის პრინციპის მოქმედების შესახებ. ეს კი სამძებრო პროცესის ელემენტის გამოხატულებაა[2].

---

[1] ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948, გვ. 4-5.

[2] იქვე, გვ. 93-95.

XVIII საუკუნის II ნახევრის არაერთი სასამართლო ხასიათის დოკუმენტია, რომელშიც აშკარად ჩანს, რომ სასამართლო პროცესს წინ უძღვის წინასწარი გამოძიება, რაც სამძებრო პროცესისთვისაა დამახასიათებელი. ასევე მოსამართლის არაპასიური როლიც სამძებრო პროცესის ნიშნებზე მეტყველებს. „დასტურლამალშიც“ განსხვავდება საქმეები, რომლებიც განიხილება დანისტრად, ანუ წინასწარი გამოძიებით და უდანისტროდ, ე.ი. წინასწარი გამოძიების გარეშე. ამრიგად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სასამართლო პროცესი თანდათანობით გარდაიქმნება სამძებროდ. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის სასამართლო პროცესი, ძირითადად, შეიძლება ჩაითვალოს სამძებროდ, საბრალდებო პროცესის ელემენტებით[1].

ბ) საქმის აღძრა და განხილვა. საბრალდებო პროცესის ბატონობის პერიოდში არავითარი განსხვავება არ არსებობდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების აღძვრისა და საქმის არსებითად განხილვის წესებში. საქმეს აღძრავდა დაზარალებული მხარე. სახელმწიფო ორგანოს მიერ საქმის აღძვრა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ხორციელდებოდა, რამაც XVIII საუკუნის II ნახევრიდან უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. საჩივარი მიმართული იყო მეფის ან მოსამართლეებისადმი. შემდეგ მეფე (დედოფალი, ბატონიშვილები) განსაზღვრავდა, თუ ვის უნდა განეხილა საქმე და მას კონკრეტულ მოსამართლეს გადასცემდა.

გვიანფეოდალური საქართველოს სასამართლო პროცესზე (ასე იქნებოდა ადრეც) მიღებული იყო თითოეულ მხარეს რამდენიმე ბრალმდებლისა და მოპასუხის არსებობა. ხდებოდა ისეც, რომ მთელი სოფელი გამოდიოდა მოდავე მხარედ. სასამართლო პროცესზე გამოდიოდნენ სოფლის მიერ ამორჩეული თავკაცები, რომლებიც მოახსენებდნენ სასამართლოს თავისი საჩივრის შინაარსს და მოპასუხს მათ წინააღმდეგ მიმართულ სარჩელზე[2]. თუ მოპასუხე არ ცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, მოსამართლე იღებდა ზომებს მის მოსაყვანად. მას შეიძლება წერილი გაეგზავნა მოპასუხისათვის

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი., ტ. 1, თბ., 1970, გვ. 272.

[2] მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

და მოეთხოვა მისი სასწრაფო გამოცხადება. შესაძლოა, გარკვეული კომპეტენტური პირებისათვის დაევალებინა მოპასუხის გამოცხადების უზრუნველყოფა, თუ იგი არ გამოცხადდებოდა, მაშინ საქმის განხილვის გარეშე გამტყუნდებოდა[1].

საქმის განხილვა სასამართლოში იწყებოდა დაზარალებულის სარჩელის მოსმენით. პროცესი ძირითადად ზეპირად მიმდინარეობდა, თუმცა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-3 მუხლი ითვალისწინებს პროცესის მიმდინარეობის წერილობით გაფორმებას მდივნის მიერ, თუ საჩივარი დიდი მოცულობისაა.

მოსარჩელეს შეეძლო ერთი სარჩელით ედავა მრავალ სხვადასხვა საგანზე, თუ დავა მიმართული იყო ერთი კონკრეტული პირის ან პირების წინააღმდეგ. თუ მოპასუხე მხარესაც რაიმე სადავო ჰქონდა მოსარჩელესთან, მასაც შეეძლო ბრალდებები წაეყენებინა მისთვის და მოეთხოვა რაიმე. ურთიერთბრალდებები ორ მხარე შორის ერთი პროცესის ფარგლებში ტარდებოდა, ე.ი. მხარე პროცესზე შესაძლოა მომჩივანიც ყოფილიყო და მოპასუხეც[2].

მოპასუხეს, ბუნებრივია, უფლება ჰქონდა გასცნობოდა მის მიმართ წაყენებულ საჩივარს და პროცესზე თავი ემართლებინა. სასამართლოს, შეიძლება, რამდენჯერმე მოესმინა მხარეებისათვის როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე, შესაძლოა, მომხდარიყო დაპირისპირება. ორივე მხარეს შეეძლო წარედგინა სასამართლოსათვის წერილობითი დოკუმენტები, დაესახელებინა მოწმეები და სხვა. მოსამართლე უშუალოდ უსმენდა მხარეებს, მათ მოწმეებს და აფასებდა მტკიცებულებებს. თუ სასამართლო საჭიროდ ჩათვლიდა, შეეძლო ჩაეტარებინა ადგილობრივი დათვალიერება (მაგალითად, მიწებზე დავისას). ამისათვის სასამართლო მთელი შემადგენლობით გადადიოდა ადგილზე[3]. სასამართლოს შესაძლოა ფიცი დაეკისრებინა მხარისათვის.

გ) განაჩენის გამოტანა და გასაჩივრება. სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ერქვა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეზე. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას წერილობითი სახით ორივე მხარეს აძლევდა.

---

[1] მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 21-22.

[3] იქვე, გვ. 23-24.

თუ როგორ უნდა მომხადარიყო განაჩენის გაფორმება, მოცემულია ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლში. აქ აღნიშნულია, რომ სხდომის დაწყების შემდეგ უნდა გამოეტანათ სათანადო წესით შენახული სამართლის წიგნი, რომელსაც მდივანბეგი გახსნიდა. სამართლის წიგნი მდივნის წინ იდო და იგი კითხულობდა, როდესაც მოსამართლეები დასხდებოდნენ განაჩენის დასაწერად, ორივე მხარის ჩვენება უნდა დაეწერათ და როგორი საქმეც უნდა ყოფილიყო, განაჩენში უნდა მიეთითებინათ სამართლის წიგნის ის თავი (მუხლი), რომელიც შეუფარდეს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევას და რომლის საფუძველზეც გამოიტანეს განაჩენი. ეს კანონმდებლის განმარტებით უნდა განხორციელებულიყო, რათა გამტყუნებულ მხარეს განაჩენი უსამართლოდ, ქრთამითა და მიკერძოებით გამოტანილად არ მიეჩნია. ასე რომ, განაჩენის გამოტანისას კოლექსის სათანადო მუხლის მითითება განაჩენის სამართლიანობისა და უტყუარობის გამოვლინებად ითვლებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება განაჩენის გამოტანის შემთხვევები სათანადო მუხლზე მითითების გარეშეც[1].

საკმაოდ გავრცელებული იყო განაჩენის გასაჩივრების პრაქტიკა, განსაკუთრებით კი გვიანფეოდალურ საქართველოში. სასამართლო ხასიათის დოკუმენტებში არ ჩანს გასაჩივრების აღმნიშვნელი ერთი რომელიმე ტერმინი. გასაჩივრება გამოიხატებოდა შემდეგი სიტყვებით: „სასამართლოში მეორედ შესვლა“. არსებობდა გარკვეული სასჯელი (ჯარიმა) დაუსაბუთებელი გასაჩივრებისათვის, საქმის მეორედ განხილვის მოთხოვნისათვის მხარეს არსებითი საფუძველი უნდა ჰქონოდა. ასეთ საფუძვლად ითვლებოდა საქმესთან დაკავშირებული ახალი გარემოება, რაც ადრე საქმის გამრჩევი სასამართლოსათვის არ იყო ცნობილი. მეფე, როგორც უზენაესი მოსამართლე, ხშირად თვითონ, უშუალოდ განიხილავდა საჩივარს სასამართლოს განაჩენზე. მას, რა თქმა უნდა, ყოველითვის შეეძლო გამოტანილი განაჩენის გაუქმება, ანდა ავალებდა საქმის ხელმეორედ განხილვას ბატონიშვილებს, მდივანბეგებსა და სხვებს, ან უარს ეუბნებოდა საქმის განმეორებით განხილვაზე, თუ დარწმუნდებოდა საჩივრის უსაფუძვლობაში. მეფის გადაწყვეტილების შეცვლა მის გარეშე დაუშვებელი იყო. განმეორებით საქმის გარჩევისათვის საჩივრის მიღებისა და სათანადო განკარგულების გაცემის უფლება მეფის გარდა ჰქონდა ბატონიშ-

[1] მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28.

ვილებს, დედოფალს, ხოლო საეკლესიო დავებზე — კათალიკოსს. მათ შეეძლოთ თვითონვე განეხილათ საქმე, ანდა გადაეცათ სხვა პირთათვის, იერარქიის პრინციპის დაცვით. სპეციალური სასამართლო, რომელიც განმეორებით განიხილავდა საქმეებს, არ არსებობდა. განმეორებით საქმეებს, ძირითადად, მდივანბეგთა სასამართლო იხილავდა, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ პირთა ნებართვით[1]. გასაჩივრების შემთხვევაში ხდებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღსრულების შეჩერება.

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლოთა მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა დამტკიცებულიყო, ჩვეულებრივ, იმ პირების მიერ, რომელთა დაკალებითაც ხდებოდა საქმის განხილვა. ესენი იყვნენ: მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, კათალიკოსი და ცალკეული ფეოდალები (მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ საქმეთა განხილვისას); დიკასტერიის გადაწყვეტილებებს ამტკიცებდა კათალიკოსი[2].

დ) განაჩენის აღსრულება. მთავარი სასამართლო აღმასრულებელი იყო იასაული. მისი ვალდებულებები შესაძლოა დაკისრებოდა რომელიმე სახელმწიფო მოხელეს ან რიგით ადამიანს. იგი კონკრეტული საქმის აღმასრულებლად ინიშნებოდა და ამა თუ იმ საარმსრულებლო საქმიანობის შემდეგ კარგავდა იასაულობის ფუნქციას. იასაული აღსრულებისათვის გასამრჯელოს იღებდა. აღმასრულებელ პირს აღსრულების დროს უნდა ჰქონოდა განაჩენი ან სათანადო პირის მიერ ბოძებული იასაულობის უფლების აღმჭურველი ოქმი[3].

საქმის სირთულიდან გამომდინარე, შესაძლოა დანიშნულიყო ორი, სამი და მეტი იასაულიც. არსებობდნენ სპეციალური იასაულები, რომლებიც მსახურობდნენ სამეფო კარზე ან მდივანბეგებთან. მათ მოვალეობას შეადგენდა არა მხოლოდ სასამართლოს განაჩენთა აღსრულება, არამედ მეფისა და სხვა უფლებამოსილი პირების ბრძანებათა რეალიზაცია და, ასე რომ, იასაული, ზოგადად, ხელისუფლების ნების აღმსრულებელია[4].

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, ტ. I. გვ. 279-281.

[2] იქვე, გვ. 284.

[3] იქვე. გვ. 297-298.

[4] იქვე. გვ. 303.

როგორც აღინიშნა, სასამართლო განაჩენთა აღმსრულებლად შესაძლოა დანიშნულიყო ის პირი, რომელსაც არ ჰქონდა რაიმე ოფიციალური თანამდებობა, თუმცა შეეძლო საკუთარი ავტორიტეტის მეოხებით ამ დავალებათა შესრულება. XVIII საუკუნის II ნახევარში სასამართლო აღმასრულებლად ინიშნებოდნენ **ეშიკაღასბაში** და **ნასაღჩიბაში**.

ეშიკაღასბაში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში სასამართლოს განაჩენთა აღსრულებას, ძირითადად, სწორედ ეშიკაღასბაში და მისი ხელქვეითნი აწარმოებდნენ. XVIII საუკუნის II ნახევარში დაახლოებით ოცამდე ეშიკაღასბაში საქმიანობდა. ეშიკაღასბაში ჰყავდა მეფეს, ბატონიშვილებს, დედოფალს და, სავარაუდოა, რომ კათალიკოსსაც. აღმასრულებლად გვევლინება მოხელე — **ნასაღჩიბაში**[1], რომელსაც დამასახიჩრებელი სასჯელის აღსრულება ევალდებოდა.

სასამართლო მტკიცებულებანი

საპროცესო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო მტკიცებულებებს. ქართულ მტკიცებულებით სამართალში სასამართლო მტკიცებულებას ზოგადად **საბუთი** ეწოდებოდა, მიუხედავად იმისა, იგი ფიცი იქნებოდა, წერილობითი დოკუმენტი თუ მოწმის ჩვენება[2]. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-6 მუხლში ჩამოყალიბებული დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა ექვსი მტკიცებულებისაგან შედგება: **ფიცი, შანთი, მდუღარე, ხმალი, მოწმე, ცოდვის მოკიდება**. ვახტანგ VI ამ მუხლის მიხედვით უპირატესობას შედარებით დაბალგანვითარებულ სასამართლო მტკიცებულებებს ანიჭებს (ფიცი, ორდალები, ცოდვის მოკიდება). ამ ექვსი მტკიცებულებიდან მხოლოდ ერთი — მოწმის ჩვენება წარმოადგენს მაღალგანვითარებული პროცესისათვის დამახასიათებელ მტკიცებულებას და მისი ზოგადი დახასიათებისას (მე-13 მუხლი) კანონმდებელი მეფე

---

[1] ნასაღჩიბაში მომდინარეობს ტერმინიდან — „ნასაღი“, რაც დამნაშავის დასახიჩრებას, ასოთა მოკვეთას და, საერთოდ, დასჯას, დარბევა-დაწიოკებას გულისხმობდა.

[2] მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 2, თბ., 1981, გვ. 148.

ძალზედ აკნინებს მის მნიშვნელობას ქართულ სინამდვილეში; თუმცა სამართლის წიგნის სხვა მუხლები აშკარად მიუთითებენ ამ მტკიცებულების არსებით მნიშვნელობას იმდროინდელი ქართული პროცესისათვის. ვახტანგისეულ სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში საერთოდ არაა მოხსენიებული წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები. ისინი კი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ქართულ პროცესუალურ სამართალში, განსაკუთრებით ნივთზე საკუთრების უფლებასთან ან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებული დავების დროს. ასე რომ, ვახტანგის მიერ ჩამოყალიბებულ მტკიცებულებათა სისტემა არასრულყოფილია და ზუსტად არ ასახავს ამა თუ იმ მტკიცებულების მნიშვნელობას სამართალწარმოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკა ერთგვარ პროგრესს ამჟღავნებს სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში. ორდალების გამოყენება საკმაოდ იზღუდება, აღმოსავლეთ საქართველოში კი ფაქტობრივად წყდება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნის პროექტის მე-40 მუხლი. იგი მტკიცებულებათა შორის პირველ ადგილზე აყენებს აღიარებას, მეორეზე კი — მოწმის ჩვენებას, მესამეზე — წერილობით დოკუმენტს და მხოლოდ მეოთხეზე ფიცს.

ახლა განვიხილოთ ცალკეული მტკიცებულებანი:

ა) ფიცი. ფიცი როგორც სასამართლო მტკიცებულება თითქმის ყველა ხალხის სამართალწარმოებისთვისაა ცნობილი უძველესი დროიდან გვიანშუასაუკუნეებამდე პერიოდში. გამონაკლისი არც საქართველოა. მას ვხვდებით ქართული სამართლის არაერთ ძეგლში. ვახტანგის სამართლის წიგნი მას პირველხარისხოვან მტკიცებულებად აღიარებს. ფეოდალურ საქართველოში ფიცის გამოყენება სხვა მტკიცებულებებთან შედარებით უფრო ინტენსიური იყო. ვახტანგ VI-ის მიერ ჩამოყალიბებულ სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში ფიცის პირველი ადგილი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, თუმცა იმავე სამართლის წიგნში კანონმდებელი მეფე მოუწოდებს მოსამართლეებს, მოერიდონ ფიცით საქმის გადაწყვეტას. ფიცს მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როცა სხვა მტკიცებულება არ იყო ან საეჭვოდ მიაჩნდათ.

ფიცი, ძირითადად, ეკისრებოდა მოპასუხეს, ბრალდებულს, ჭონებაზე დავისას კი იმ მხარეს, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას, მამულს.

„ფიცის დადება“ განსაზღვრული რიტუალის დაცვით უნდა ჩატარებულიყო, ფიცის ფორმულას, ე.ი. სიტყვებს, რომლებიც დამფიცებელს უნდა წარმოეთქვა დაფიცებისას, სასამართლო განსაზღვრავდა. ფიცის ფორმულის შინაარსი საქმის არსიდან გამომდინარეობდა, დამფიცებელი ფიცით ადასტურებდა, ან უარყოფდა რაიმე კონკრეტულ ფაქტს, თანაც ისე, რომ ეს სიტყვების თამაში არ ყოფილიყო. უმეტესად ფიცის დროს იფიცებდნენ ოჯახის წევრებს, ჩამომავლობას, მშობლებს. ფიცის რიტუალი, მიჯნაზე დავის გარდა, ძირითადად ეკლესიაში ტარდებოდა: ხატისა თუ ეკლესიის არჩევა მომჩივნის ან მოსამართლის პრეროგატივა იყო. ფიცი თანამოფიცრებს უნდა დაედასტურებინათ: „მართლა ფიცა, მაგისმა მადლმანო“. მამულზე დავისას დაფიცება სადავო მამულის შემოვლით ხდებოდა ხატით ხელში.

ხალხის რწმენით ტყუილად დამფიცებელსა და მის ახლობლებს ღვთის საშინელი რისხვა დაატყდებოდა თავს. ამიტომ კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ ადამიანთა წრეს, რომელთაც არ შეიძლება ფიცი დაეკისროს, მათ მიერ ფიცის მნიშვნელობის გაცნობიერების შეუძლებლობის გამო, ან იმის გამო, რომ ფიცი არ სწამთ. ვახტანგის სამართლის წიგნის 147[1]-ე მუხლით ფიცი არ შეიძლებოდა დაჰკისრებოდა ჭკუასუსტს, უასაკოსა და ფიცის ურწმუნოს. ამასთან, ვახტანგის სამართლის წიგნი გამორიცხავს ქალის ფიცსაც. მის ნაცვლად მოსამართლეს ახლობელი მამაკაცი უნდა დაესახელებინა — ძმა, შვილი, სიძე, რომელთაც უნდა დაეფიცათ ქალის ნაცვლად. ძველი ქართული სამართალი მძიმე დანაშაულად მიიჩნევდა ცრუ ფიცს.

პროცესში მონაწილე მხარე იშვიათად იფიცებდა მარტო. მოდავე მხარის ფიცის გასამაგრებლად, უმრავლეს შემთხვევაში, მასთან ერთად უნდა დაეფიცა თანამოფიცარს. თანამოფიცარი მოდავე მხარის ფიცით დამხმარეა. იგი ძირითადად მოფიცრის კეთილსინდისიერებაზე იფიცებს, გვარწმუნებს, რომ მისი ფიცი სარწმუნოა, ასევე მათ შეიძლება ფიცით დაედასტურებინათ ის, რაც იცოდნენ საქმესთან დაკავშირებით.

თანამოფიცარი ორგვარია. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი განასხვავებს ერთმანეთისაგან „შეგდებულ“ და „შეუგდებელ“ თანამოფიცარს. ეს იგივეა, რაც ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 37-ე მუხლით გათვალისწინებული „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ თანამოფიცარი. „შეგდებული“ და „დასახელებული“ თანამოფიცარი არის ის, რომელსაც ასახელებს მომჩივანი — სავალდებულოდ

ხდის მას ბრალდებულისათვის, ხოლო „შეუგდებელი“, „დაუსახელებელი“ ისაა, რომელსაც ირჩევს ბრალდებული (მოპასუხე). „შეგდებული“ თანამოფიცრის დასახელება მომჩივნის უფლება იყო, ხოლო მათი დაყოლიება დაფიცებაზე მოპასუხის მოვალეობა. თანამოფიცრად დასახელებული პირი შეიძლება ყოფილიყო თავადი, აზნაური, მსახური ან გლეხი, დავის შინაარსისა და მოდავე მხარეების გათვალისწინებით. თუ შეგდებული თანამოფიცრები ერთობლივად განუცხადებდნენ მოპასუხეს, ვერ დავიფიცებთო, მოპასუხე საქმეს აგებდა. შეუგდებელ, დაუსახელებელ თანამოფიცრებს თვით მოპასუხე არჩევდა სხვათა ჩაურევლად. სასამართლო ზოგჯერ იმას მიუთითებდა, თუ რომელი სოციალური ფენის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

როდის იყო აუცილებელი შეგდებული მოფიცარი და როდის შეუგდებელი, ამასთან დაკავშირებით ვახტანგის სამართლის წიგნში გარკვეულ მინიშნებებს ვხვდებით. ვახტანგის სამართლის წიგნი იცნობს ბრალის დადებას ორი ფორმით: მთხრობელითა და ცილით (უმთხრობლოდ). როდესაც ბრალდება მთხრობლის (თვითმხილველი მოწმის) ინფორმაციას ეყრდნობა, ცხადია, უფრო საფუძვლიანია, ვიდრე უბრალოდ „ცილობა“, ე.ი. უშუალოდ დაზარალებულის მიერ, მთხრობელის გარეშე. ამიტომაც უნდა იყოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-10 მუხლით, ერთი ხარის საქმეზე უმთხრობელოდ შეწამებისათვის შეუგდებელი თანამოფიცარია აუცილებელი, ხოლო მთხრობელით შეწამებისას კი შეგდებული მოფიცარი. ცხადია, შეგდებული, შესახელებული თანამოფიცრის დანიშვნა დანაშაულის სიმძიმეზეც იყო დამოკიდებული. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თანამოფიცრის რა სახეობა უნდა ყოფილიყო დანიშნული, ამას სასამართლო თავისი შეხედულებით წყვეტდა. ბუნებრივია, უფრო მძიმე დანაშაულისას, მოფიცარს უფრო ურთულებდა ფიცს, თანამოფიცართა მეტი რიცხვის დანიშვნით ან მათი პერსონალური დასახელების მოთხოვნით.

სოციალურად თანამოფიცარი შესაძლოა ყოფილიყო მოფიცრის ახლობელი, მისდამი დაქვემდებარებული პირი. მაღალი სოციალური მდგომარეობის პირის, ვთქვათ, თავადის თანამოფიცრები შესაძლოა ყოფილიყვნენ მის გამგებლობაში მყოფი პირები. თანაც თუ სადავო მამული დიდი არ იყო, ამ საპატიო კაცს არც შეაწუხებდნენ და მის ნაცვლად აზნაური, მსახური ან გლეხი დაიფიცებდა (მამულის ოდე-

ნობის მიხედვით), წოდებრიობის პრინციპი ფიცის დანიშვნასთან დაკავშირებით, მკვლელობის საქმეზე იმით გამოიხატება, რომ უფრო დაბალი წოდების პირს არ შეეძლო ფიცით ემართლებინა თავი, თუ იგი უფრო მაღალი წოდების წარმომადგენლის მკვლელობაში იყო ბრალდებული. ვახტანგის სამართლის წიგნის 37-ე მუხლით, თუ დიდებული კაცის სისხლს მასზე უმცროსს ცილით სწამებდნენ, ბრალდებულის ორდალით უნდა ემართლებინა თავი.

ზოგ შემთხვევაში სავალდებულო იყო, რომ თანამოფიცრად გარეშე პირი ყოფილიყო დასახელებული. ვახტანგის სამართლის წიგნის მე-10 მუხლში სწორედ ასეთი თანამოფიცრის თვისებებია ჩამოყალიბებული. ამ მუხლით შეგდებული, გარეშე თანამოფიცარი უნდა ყოფილიყო დამფიცებლის საკადრისი, ტოლი, მისი არც მტერი და არც მოყვარე (დაინტერესებული პირი), არც ერთი ძხარის ბატონის ყმა, მისივე ხეობის მცხოვრები. ზოგიერთ საქმეზე, მაგალითად, მამულზე დავისას შეგდებული თანამოფიცარი არ შეიძლება ყოფილიყო გარეშე, რადგან გარეშე კაცს არაფერი შეიძლება სცოდნოდა სადავო მამულის, მისი საზღვრების შესახებ.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით თანამოფიცართა რაოდენობა დამოკიდებული იყო საქმის მნიშვნელობასა და თანამოფიცართა სოციალურ მდგომარეობაზე. სამართლის წიგნის მე-10 მუხლით, თანამოფიცართა რიცხვი დამოკიდებული იყო სადავო ქონების ღირებულებაზე, მე-12 მუხლით თანამოფიცართა რაოდენობა მამულის ღირებულებით განისაზღვრებოდა. საკვლო საქმეებზეც თანამოფიცართა რაოდენობა ვალის ოდენობასა და თანამოფიცართა სოციალურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ვახტანგის სამართლის წიგნით, ორი დიდებული თავადის ფიცი იურიდიული მნიშვნელობით, გათანაბრებულია 20 შუა თავადისა და 60 უმცროსი თავადის ფიცთან. რა თანაფარდობა იყო დიდებული თავადის ფიცსა და აზნაურის, მსახურის ან თუნდაც გლეხის ფიცს შორის, ძეგლში არ ჩანს, მაგრამ თვით თავადთა წოდებაში არსებული უთანასწორობა უკვე მრავლისმეტყველია. წოდებრიობის პრინციპის ბატონობაზე მიუთითებს ისიც, რომ აზნაურთა წოდების წარმომადგენლის მკვლელობაში ბრალდებულ პირს გლეხი თანამოფიცრებით თავის მართლების უფლება არ ჰქონდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის 144-ე მუხლით „ქალაქში მო-

ფიცარი ამოკუეთილ არს". რაც უნდა მნიშვნელოვანი საქმე ყოფილიყო, ფიცი უშუალოდ მოდავე მხარეს ეკისრებოდა და ერთმანეთს თანამოფიცარს ვერ დაუსახელებდნენ. საერთოდაც ვახტანგის სამართლის წიგნი მოსამართლეს თანამოფიცართა შემცირების უფლებას აძლევდა. კანონმდებელი მეფე მიმართავდა მოსამართლეს, დიდი საქმეც რომ ყოფილიყო, ბევრ მოფიცარს ნუ დაუსახელებდა.

ის გარემოება, რომ ფიცი, როგორც მტკიცებულება, გამოიყენებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა მტკიცებულება არ იყო (ან საეჭვო იყო), აგრეთვე თანამოფიცართა რიცხვის შემცირების ტენდენცია და ამ რიცხვის განსაზღვრის უფლების მოსამართლეებისადმი მინიჭება, ქალაქში თანამოფიცრის ინსტიტუტის არარსებობა მეტყველებს ფიცისა და თანამოფიცრის ინსტიტუტის კრიზისზე. ნელ-ნელა ყალიბდებოდა სასამართლო მტკიცებულებათა უფრო მაღალგანვითარებული სისტემა, რომლის მიხედვითაც ფიცი და თანამოფიცარი თანდათან კარგავდა პირველხარისხოვანი მტკიცებულების მნიშვნელობას.

ბ) მოწმის ჩვენება. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ IX-XIV საუკუნეებში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა და სამართლებრივი კულტურაც მისი ადეკვატური იყო, მოწმის ჩვენებასა და წერილობით საბუთებს დიდი პროცესუალური მნიშვნელობა ენიჭებოდა[1]. თუმცა შემდგომ საუკუნეებში მოწმის ჩვენება, როგორც სასამართლო მტკიცებულება საკმაოდ დაკნინებულია, რაც ქართული სახელმწიფოს დაცემის კვალდაკვალ ქართული სამართლებრივი კულტურის დაქვეითების შედეგი უნდა იყოს. ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნში. კანონმდებელი მეფე მოწმის ჩვენებას სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში მხოლოდ მეხუთე ადგილს მიუჩენს ფიცისა და ორდალების შემდეგ, ხოლო მე-13 მუხლში, რომელიც ასევე მოწმის ჩვენებას ეხება, უკიდურესად ამცირებს მტკიცებულების ამ სახის როლსა და მნიშვნელობას ქართულ სინამდვილეში; იგი წერს, რომ მოწმე სწამთ და იციან ბერძენთა, ფრანგთა და რუსთა, „მაგრამ აქ ქართლში, უფრო არ განუწესებიათ...".

ცნობილია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის ძირითადი წყა-

[1] გ. ნადარეიშვილი, ფიცი როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით, თბ., 1962, გვ. 63.

რო ქართული ადათობრივი სამართალია, რომლის მიხედვითაც მოწმის ჩვენების მნიშვნელობა მცირე, ხოლო გამოყენება ნაკლებინტენსიურია, ხოლო მოწმის გამოსვლა ისეთ საქმეებზე, რომლებიც სისხლის აღებას იწვევენ, პრაქტიკულად გამორიცხული. სწორედ ადათობრივი სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, არსებულ ვითარებას უნდა გადმოგეცემდეს ვახტანგ VI, როდესაც ამბობს, რომ მოწმის ჩვენება ქართლში „უფრო არ განუწესებიათ“.

ვახტანგ VI თავისი სამართლის წიგნის სხვა მუხლებში არაერთხელ იხსენიებს მოწმის ჩვენებას, როგორც მტკიცებულებას და ამ მუხლების მიხედვით ეს სასამართლო მტკიცებულება არ ჩანს ისე უმნიშვნელოდ, როგორც მე-13 მუხლის მიხედვითაა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად მოსამართლე უნდა იყოს მოწმის მაძებარი და მოწმის მეშვეობით უნდა ეცადოს სამართლის დადგენას, სასურველია ფიცის გარეშე.

მოწმის ჩვენების უპირატესობაზე მეტყველებს, მაგალითად, 157-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პირუტყვზე დავის დროს მოსამართლემ მესაკუთრე მოწმის მეშვეობით უნდა დაადგინოს და თუ იგი ვერ გამოინახება, მხოლოდ მაშინღა მიმართოს ფიცის მეშვეობით საქმის გადაწყვეტას. 206-ე მუხლით მამულზე დავისას პრიორიტეტი ენიჭება მახსოვარი მოწმის ჩვენებას და თუ ასეთი არ იქნება, მაშინ დავას გადაწყვეტს მამულის ფაქტობრივი მფლობელის ფიცი. მოწმის ჩვენების პრიორიტეტი სხვა მუხლებშიც ჩანს.

ამგვარად, შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლსა და სხვა მუხლებს შორის, რომლებიც მოწმის ჩვენებას შეეხება. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ვახტანგის სამართლის წიგნი კლასიკურ კოდექსს არ მიეკუთვნება, იგი კაზუისტური ხასიათისაა, რის გამოც თითოეული კაზუსის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება იმ წესით, რაც მხოლოდ ამ კაზუსისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ ზოგიერთი დავის გადაწყვეტისას მოწმის ჩვენებას შესაძლოა მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ზოგი დავის გადაწყვეტისას კი ნაკლები.

ვახტანგ VI-ს კარგად ესმის, რომ ნეიტრალური პირის — მოწმის ჩვენება უფრო ობიექტურად წყვეტს საქმეს, ვიდრე რომელიმე დაპირისპირებული მხარის, ამიტომ მოუწოდებს იგი მოსამართლეს, იყოს მოწმის მაძებარი და მოწმის ჩვენების საფუძველზე საქმის

გადაწყვეტისას მიანიჭოს უპირატესობა. ამიტომაა, რომ იგი ზოგიერთი კაზუსის სამართლებრივი რეგულირებისას მოწმის ჩვენებას პრიორიტეტულ სასამართლო მტკიცებულებად წარმოაჩენს, ხოლო ზოგ შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ალტერნატიული მტკიცების საშუალებად. ამგვარად, ვახტანგის სამართლის წიგნის მთლიანობაში განხილვა ცხადყოფს, რომ ამ სამართლის ძეგლით, მოწმის ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობა არსებითად დიდია, ვიდრე ეს სამართლის წიგნის მე-13 მუხლშია მოცემული. გ. ნადარეიშვილის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის სამართალზე ადათობრივი სამართლის გავლენა საკმაოდ დიდია, კანონმდებელი ძლევს ადათობრივი სამართლის შეხედულებას მოწმის ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობის შესახებ[1]. აქვე უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლში გადმოცემული მოწმის ჩვენების პროცესუალური მნიშვნელობა აშკარად არ შეესაბამება სასამართლო ხასიათის დოკუმენტებში ასახულ ვითარებას. ეს განსაკუთრებით ეხება XVIII საუკუნის II ნახევრის სასამართლო ხასიათის დოკუმენტებს, რომელთა მიხედვითაც მოწმის ჩვენება პირველხარისხოვანი მტკიცებულებაა, მოსამართლეები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ მოწმის ჩვენებას ფიცთან შედარებით, რომელსაც მხოლოდ მოწმის არარსებობისას იყენებდნენ[2].

ვახტანგის სამართლის წიგნის მე-13 მუხლით განსაზღვრულია მოწმეთა თვისებები. „სარწმუნო“ მოწმე უნდა იყოს ღვთისმოშიში, ჭკვიანი, სანდო, მართალი კაცის სახელი ჰქონდეს და სხვა. ასეთი მოწმე ორიც რომ იყოს, მოსამართლემ მათ ჩვენებას უნდა დაუჯეროს, ისე, რომ არც კი დააფიცოს ისინი. მაგრამ თუ მოწმე ასეთი თვისების მატარებელი არ არის, მაშინ საჭირო ხდება ათი, ოცი და ზოგჯერ მთელი სოფლის ერთპირი მოწმობა (მუხლი მე-13). ეს მუხლი საინტერესოა იმითაც, რომ მასში განსაზღვრულია მოწმეთა მინიმალური რაოდენობა. მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ ერთი მოწმის ჩვენებას მოსამართლე არ დასჯერდებოდა, რაც არ უნდა ღირსეული ყოფილიყო იგი. მინიმუმ ორი მოწმე მაინც უნდა ყოფილიყო სახეზე. ერთი

---

[1] გ. ნადარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[2] მ. ლეკვეიშვილი, სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 50-52.

მოწმის ჩვენება რომ საკმარისი არ იყო, ამაზე სასამართლო პრაქტიკაც მეტყველებს. მოწმე უნდა ყოფილიყო ობიექტური და ნეიტრალური პიროვნება, რომელიც არ იყო დაინტერესებული შედეგით.

ძველი ქართული სამართალი კრძალავს ქალის მოწმობას, ეს კარგად ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნშიც, თუმცა XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან უკვე ვხვდებით ქალ მოწმეს, რაც ქალისადმი სასამართლოს დამოკიდებულების შეცვლაზე მეტყველებს. ამ ვითარების გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნის 81-ე მუხლი, სადაც ქალიცა და მამაკაციც ერთნაირი უფლებების მატარებელია.

მოწმეთა დაკითხვა, ძირითადად, სასამართლო პროცესზე ხდებოდა. სასამართლოს შეეძლო ვადა განესაზღვრა მხარეებისათვის მოწმის მოსაძებნად და სასამართლოში მისაყვანად. თუ ამ ვადაში ვერ შეძლებდნენ ისინი მოწმის მოყვანას, სასამართლო ფიცს მიმართავდა. თუმცა სასამართლოს შეიძლება მხედველობაში მიეღო მოწმეთა წერილობითი ჩვენებაც — „მოწმის წერილი“, „მოწმის წიგნი“. მას მოწმის ხელმოწერა და ბეჭედი უნდა ჰქონოდა, ხოლო თუ წერა არ იცოდა, ან ბეჭედი არ ჰქონდა, ჩამწერს უნდა დაედასტურებინა ჩვენების სინამდვილე[1]. ბუნებრივია, ეს მაშინ ხდებოდა, თუ მოწმეს არ შეეძლო სასამართლო პროცესზე გამოცხადება, უმეტეს შემთხვევაში მოწმეები პროცესზე მხარეებს მიჰყავდათ. ისინი თვითონ ასახელებდნენ მოწმეებს ან წარადგენდნენ მათ წერილობით ჩვენებას, თუმცა შესაძლოა, თვით სასამართლოს გამოეძახებინა მხარეების მიერ დასახელებული მოწმეები მოხელეების მეშვეობით[2].

მოწმეთათვის, მათი ჩვენების განსამტკიცებლად, სასამართლოს შესაძლოა ფიცი დაეკისრებინა. თუმცა ეს ყოველთვის არ ხდებოდა. ამაზე მეტყველებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-13 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თუ მოწმე სანდო, ღვთისმოშიში, მართალი კაცი იყო, მოსამართლეს იგი არ უნდა დაეფიცებინა. ეს ეხება სასულიერო პირსაც. მოწმის დაფიცების საკითხს სასამართლო წყვეტდა.

მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ „მთხრობელის“ ინსტიტუტი. იგი ცნობილია ქართული სამართლის

---

[1] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 181, 183-194.

[2] მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

ძეგლების მიხედვით და იურიდიული თვალსაზრისით მოწმის ჩვენების ბუნების მატარებელია, თუმცა მოწმისაგან განსხვავებულ ინსტიტუტს წარმოადგენს. გ. თარხნიშვილის განმარტებით, მთხრობელი არის „ბოროტმოქმედების დამსწრე, ბრალის მდებელი მოწმე“[1].

„მთხრობელი“ ის პიროვნებაა, რომელსაც უშუალოდ აქვს ნანახი რაღაც ფაქტი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ პიროვნების კავშირს მომხდარ დანაშაულთან, ე.ი. არის მოწმე და მიაქვს ეს ამბავი დაზარალებულთან, ანუ დამსმენია. ამით უკვე ბრალს სდებს კონკრეტულ პიროვნებას, ე.ი. არის ბრალმდებელი, მთხრობლობის საფუძველზე ხდება პიროვნების ბრალდება და იწყება სასამართლო პროცესი.

მთხრობელი, როგორც ფაქტის თვითმხილველი, ახლოს დგას თვითმხილველ მოწმესთან, მათ შორის ის განსხვავებაა, რომ მთხრობელი მეტ აქტივობას იჩენს დამნაშავის მხილებაში. ასევე თვითმხილველი მოწმე გასამრჯელოს არ იღებს, მთხრობელი კი დაზარალებულისათვის დამნაშავეზე ცნობის მიწოდებისათვის იღებს ე.წ. „სამთხრობლოს“ საზღაურის სახით[2]. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, საჭიროებისას მთხრობელი პირზე უნდა დაადგეს მის მიერ დანაშაულში ბრალდებულ პირს სასამართლო პროცესზე, ე.ი. თუ მთხრობელი სასამართლო პროცესზე გამოვა, მოგვევლინება როგორც ფაქტის თვითმხილველი, ბრალმდებელი მოწმე. მისი ფუნქცია ისაა, რომ დაამტკიცოს ბრალდებულის დამნაშავეობა, „გატეხოს“ იგი.

ვახტანგის სამართლის წიგნის 236-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო დანაშაულის ჩადენის განუცხადებლობა დანაშაულად ითვლება, მისი ჩამდენი ისევე აგებს პასუხს, როგორც დამნაშავე, ხოლო სხვა დანაშაულის განუცხადებლობა არ უნდა ითვლებოდეს დანაშაულად. მთხრობელად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტის თვითმხილველი და არა მისი უბრალოდ გამგონი. მთხრობელი ვალდებულია, დადოს პირობა, რომ საჭიროებისას პირზე დაადგება დამნაშავეს. თუ დამნაშავე არ ტყდება, გამოტეხოს იგი. თუ ამას მიაღწევს, სამთხრობელოს მიიღებს, მაგრამ, ამავე დროს, მთხრობელს, როგორც დამნაშავის დამსმენს, მტრული ურთიერთობა არ უნდა ჰქონდეს ბრალდებულთან და ამას სასამართლომ

---

[1] გ. თარხნიშვილი, სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1915, გვ. 116.
[2] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ტყუილად მთხრობელისათვის პირი ისეთივე სასჯელით უნდა დაისაჯოს, როგორადაც დაისჯებოდა მის მიერ ბრალდებული პიროვნება, თუ მთხრობელი დაუმტკიცებდა მას დანაშაულის ჩადენას.

ამრიგად, მთხრობელი დამნაშავის დამსმენია, რომელიც, როგორც დანაშაულებრივი ფაქტის თვითმხილველი, საჭიროების შემთხვევაში თავის თავზე იღებს თავის მიერ დამნაშავედ დასახელებული პირის ბრალეულობის მტკიცებას. მისი საქმიანობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში იგი იღებდა გასამრჯელოს „სამთხრობლოს". ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლით (38-ე, 39-ე, მე-40 მუხლები), განსაზღვრულ შემთხვევაში, მთხრობელს თავისი სიმართლის დამტკიცება სასამართლო ორთაბრძოლით დასჭირდებოდა. ეს მუხლები მკვლელობის საქმეებს ეხება.

ტყუილი მთხრობლობისათვის იმავე პასუხისმგებლობის დაწესება, რაც ამ მთხრობლობის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულს ელოდა, გარკვეული პრევენტული მექანიზმი იყო იმისათვის, რომ ვინმე „სამთხრობლოს" მიღების ცთუნებას არ აჰყოლოდა და შეგნებულად არ წასულიყო ცრუ მთხრობლობაზე. მთხრობელი მხოლოდ მაშინ იღებდა გასამრჯელოს, როდესაც სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევდა მის შეწამებას.

გ) ცოდვის მოკიდება. ცოდვის მოკიდებას ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-14 მუხლი. ამ მუხლიდან ირკვევა, რომ ცოდვის მოკიდება მცირემნიშვნელოვან საქმეზე გამოიყენებოდა. კერძოდ, ერთი მარჩილის (სამი აბაზი) ღირებულების საქმეზე (საქმის ღირებულება შეიძლება ცოტა მეტი ან ნაკლებიც ყოფილიყო, ხოლო, შესალოა, მოპასუხე ისეთი პიროვნება აღმოჩენილიყო, რომლის მიერ ცოდვის მოკიდებით თავის მართლება ერთი ძროხის ღირებულების საქმეზეც დაეჯერებინათ).

ცოდვის მოკიდება გარკვეული რიტუალის შესრულებასთანაა დაკავშირებული. შეწამებულმა (ბრალდებულმა) შემწამებელი (ბრალმდებელი) ზურგზე უნდა მოიკიდოს და წარმოთქვას ფიცის განმსაზღვრელი ფორმულა, რომლის არსიც „ცოდვის მოკიდებაში" მდგომარეობს: თუ მე, რასაც მაბრალებ, იმის გამკეთებელი ვიყო, მეორედ მოსვლისას შენი ცოდვებისათვის შენს ნაცვლად მე განვიკითხო. თუ შეძლებს ამის გაკეთებას, ბრალდებული თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ არადა, პასუხს აგებს.

დ) აღიარება. აღიარებას, როგორც მტკიცებულებას არც ერთი მოქმედი სამართლის ძეგლი საქართველოში არ იცნობს, თუმცა პრაქტიკაში მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღიარება როგორც მტკიცებულება, კარგად ჩანს სასამართლო ხასიათის დოკუმენტებში. აღიარებით შეწამებული დანაშაულს ადასტურებდა, ხოლო მოპასუხე — სარჩელს, ე.ი. აღიარება ერთნაირად გამოიყენებოდა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე. მათში აღიარება გამოხატულია შემდეგი ტერმინებით: „აღიარა“, „თავისი პირით აღიარა“, „თავს იდვა“, „თავს დაიდვა“, „გატყდა“[1]. აღიარება დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლებოდა[2]. აღიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოსათვის განაჩენის გამოსატანად. აღიარება საკმარისად მიაჩნდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

სამართლის ძეგლებიდან პირველმა დავით ბაგრატიონის სამართლის წიგნმა გაითვალისწინა აღიარება სასამართლო მტკიცებულებად (სამწუხაროდ, ეს სამართლის წიგნი პროექტის სახით დარჩა). დავით ბაგრატიონი სამართლის წიგნი მე-40 მუხლში ასახელებს ოთხ სასამართლო მტკიცებულებას, რომელიც იწოდება: „ნებსით დანაშაულისა თავს დება“. ეს მეტყველებს იმაზე, რომ აქ აღიარება პირველხარისხოვანი სასამართლო მტკიცებულებაა, ისე, როგორც ეს ჩანს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო ხასიათის დოკუმენტებში.

ე) ნივთიერი მტკიცებულებები. პიროვნების ბრალეულობა სრულიად შესაძლებელია ნივთიერი საბუთებითაც დამტკიცებულიყო. მოპარული საქონელი თუ ნივთები ეჭვმიტანილის სახლში, ნაქურდალის კვალი და სხვა სრულიად შესაძლებელია სასამართლოს გაეთვალისწინებინა, როგორც მტკიცებულება, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა განაჩენის გამოტანისას.

ვ) ექსპერტიზა. XVIII საუკუნის II ნახევარში საკმაოდ მოგვეპოვება დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც სასამართლო სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირებს ავალებდა, შეესწავლათ ესა თუ ის საკითხი და წარედგინათ წერილობითი დასკვნა. ასეთი პირები ექსპერტებად წარმოგვიდგებიან, ხოლო მათ მიერ შედგენილი დოკუმენტი — ექსპერტიზის დასკვნად[3].

---

[1] ვ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 224-225.

პირველად, მ. ლეკვეიშვილმა მიაქცია ყურადღება ექსპერტთა ინსტიტუტის არსებობას ქართულ სამართალში. მისი აზრით, გვიანფეოდალური საქართველოს სამართალწარმოებაში ექსპერტთა დასკვნა მტკიცების ერთ-ერთი მიღებული საშუალებაა. სასამართლო საჭიროების შემთხვევაში იწვევდა, კომპეტენტური დასკვნის მიღების მიზნით, სათანადო ცოდნით აღჭურვილ პირებს და სხვადასხვა საკითხს უსვამდა, ექსპერტთა დასკვნები, შესაძლოა, განაჩენის დასაბუთებისათვის გამოყენებულიყო[1]. ავტორს მოჰყავს სამედიცინო და საბუღალტრო ექსპერტიზათა მაგალითები[2].

მ. კეკელიაც გვთავაზობს რამდენიმე საინტერესო დოკუმენტს, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეები ექსპერტთა დასკვნას ეყრდნობოდნენ. სპეციალური ცოდნით აღჭურვილ პირებს — ექსპერტებს, იმდროინდელი გამოთქმით შეიძლება ეწოდოს „ხელოვანნი კაცნი“, „დამფასებელი“[3].

ზ) დოკუმენტი. ვახტანგ VI სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში (მე-6 მუხლი) წერილობით საბუთს არ იხსენიებს, თუმცა სამართლის წიგნის სხვა მუხლებითაც და სასამართლო დოკუმენტებითაც აშკარაა, რომ წერილობითი დოკუმენტი მნიშვნელოვანი მტკიცებულება იყო ქართულ სამართალწარმოებაში, გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში. ეს არცაა გასაკვირი. ამ პერიოდის საქართველოში ძალზე განვითარებული ყოფილა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რის საფუძველზეც გაცხოველებულია ეკონომიკური ურთიერთობანი, ვაჭრობა, აღებმიცემობა და სხვა. ყოველივე ამით იურიდიული გამოხატულება სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებაა. ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურების ყველაზე უფრო ძლიერი გარანტი კი სათანადოდ შედგენილი წერილობითი დოკუმენტი ანუ „წიგნია“.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის არაერთ მუხლშია მოხსენებული წერილობითი დოკუმენტი. თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახტანგი დოკუმენტს სასესხო ურთიერთობებისას, კარგად ჩანს სამართლის წიგნის 143-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, როდესაც კრედიტორი ვალის გად. ხდას ითხოვდა, მას სასამართლოსათვის სა-

---

[1] მ. ლეკვეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95

[2] იქვე.

[3] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

თანადო წესით შედგენილი თამასუქი უნდა წარედგინა. 260-ე მუხლიდან კი ვიგებთ, რომ ბატონისაგან გათავისუფლებულ ყმას, თავისი ყოფილი ბატონი აძლევდა „წიგნს“, ანუ წერილობით დოკუმენტს, მოწმეების მიერ ხელმოწერილს, რაც ადასტურებდა ყმის თავისუფლებას. წერილობით დოკუმენტებს ითვალისწინებს ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი და მასში შემავალი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტიც (მუხლი მე-60, 69-ე, 76-ე, 157-ე, 158-ე).

ხელშეკრულების დადებისას დოკუმენტის მნიშვნელობა კარგად ჩანს სამართლის წიგნის 161-ე და 167-ე მუხლებიდან. 161-ე მუხლი მამულის ნასყიდობის წერილობით ფორმას ითვალისწინებს, თანაც აფრთხილებს მყიდველს, რომ სხვისი მამული არ შეატყუონ და მამულის საზღვარი არასწორად არ მიუთითონ.

ცხადია, წერილობითი დოკუმენტის, წიგნის შედგენა გამორიცხავს შემდგომში ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას რომელიმე მხარის მიერ, მით უმეტეს, სათანადოდ შედგენილი დოკუმენტი ნასყიდობის ხელშეკრულებისას პირველსახოვანი სასამართლო მტკიცებულება იქნება, თუ ნასყიდობის საგნის კუთვნილებასთან დაკავშირებით, რაიმე დავა წარმოიშობა. 167-ე მუხლით, იგივე წესი მოქმედებს გაცვლის ხელშეკრულების დადების დროსაც.

ვახტანგის შემდგომი პერიოდის, განსაკუთრებით XVIII საუკუნის ისტორიონდელი სასამართლო ხასიათის დოკუმენტების მიხედვითაც, წერილობითი დოკუმენტი ერთ-ერთ პირველხარისხოვან მტკიცებულებად გვევლინება. შემთხვევითი არაა, რომ დავით ბაგრატიონმა იგი ფიცზე წინ დააყენა. სამოქალაქო დავების გადაწყვეტისას სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, დოკუმენტს მოითხოვდა. კერძოდ, ნასყიდობის წიგნებს, თამასუქებს და სხვა, და თუ იგი სრულყოფილი იქნებოდა, ეს საკმარისად ჩაითვლებოდა გადაწყვეტილების მისაღებად. თუ დოკუმენტი არ არსებობდა, ანდა არასრულყოფილი იყო, სასამართლო მხოლოდ ამ შემთხვევაში მიმართავდა სხვა სასამართლო მტკიცებულებებს.

დოკუმენტი აუცილებლად სათანადოდ გაფორმებული უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლო არ გაითვალისწინებდა. დოკუმენტში, ვთქვათ, ნასყიდობის წიგნში, აღნიშნული უნდა ყოფილიყო მხარეთა ვინაობა, ხელმოწერები, ბეჭდები, დოკუმენტის შემდგენლის ვინაობა, შედგენის თარიღი, ხელშეკრულების საგნის

აღწერილობა (მაგალითად, მამულის საზღვრები), დოკუმენტის შედგენის დამსწრე მოწმეთა ხელმოწერები. მხარეთა, მოწმეთა ხელმოწერის დოკუმენტის შემდგენლის ვინაობის გაურკვევლობა არაერთხელ გამხდარა დოკუმენტის, როგორც მტკიცებულების, დაწუნების საფუძველი.

როდესაც წერილობითი დოკუმენტი პირველხარისხოვან მტკიცებულებადაა აღიარებული, ეს მაღალ პროცესუალურ და სამართლებრივ კულტურაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, XI-XIII საუკუნეების ქვეყნის მაღალი პოლიტიკურ-კულტურული დონე სამართლებრივ კულტურაზეც აისახა. ამის უტყუარი დასაბუთებაა ოპიზის სიგელი, რომელიც XI საუკუნეში შეადგინა ბაგრატ IV-მ. ეს ჩვენამდე მოღწეული უძველესი პროცესუალური მნიშვნელობის ძეგლია. მართალია, XI-XIII საუკუნეების პროცესუალური სამართლის სხვა ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამეს ძეგლი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საქართველოში პროცესუალური სამართლის დონეზე XII საუკუნეშიც და XIII საუკუნის დასაწყისშიც, რადგანაც საქართველოს კულტურული დონე აღმავალი ხაზით მიდიოდა და პროცესუალური სამართლის დონე XI საუკუნეზე დაბლა არ იქნებოდა[1].

ცნობილია, რომ ოპიზის სიგელი სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელიც ეხება ოპიზისა და მიძნაძორის მონასტრებს შორის მამულზე დავას. ამ დავის გადასაწყვეტად მეფე ბაგრატ IV-მ დარბაზი მოიწვია. ორივე მონასტრის წარმომადგენლები სადავო მამულზე თავისი უფლების დამტკიცებას წერილობითი დოკუმენტებით, სიგელებით ცდილობდნენ, რომელთა მიხედვითაც სადავო მამული სწორედ მათ ეკუთვნოდათ. ბაგრატ IV-მ სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ წერილობით დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიტანა. ოპიზის სიგელი გვიჩვენებს წერილობითი მტკიცებულებების გადამწყვეტ, უპირატეს მნიშვნელობას იმდროინდელ ქართულ სამართალწარმოებაში, რაც მაღალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია.

თ) ორდალები. ორდალი ნიშნავს „ღვთის მსჯავრს“ (ანგლოსაქსური — ordal, შუა საუკუნეების ლათინური — Ordalium). ორდალის არსებობა სასამართლო მტკიცებულებათა სისტემაში დაბალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია. ორდალებს თითქმის ყველა ხალხ-

---

[1] გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნეების საქართველოში, თბ., 1959, გვ. 83.

ის სამართალწარმოება იცნობს. ორდალთა ინსტიტუტი, როგორც სასამართლო მტკიცებულება, დაფუძნებულია წარმოდგენაზე, რომლის მიხედვითაც ადამიანებს შორის წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად შესაძლებელია ღვთაების მონაწილეობა. ორდალი იყო მიმართვა ღმერთისადმი, რომ ადამიანის გონისათვის რთული სამართლებრივი საკითხი მას გადაეწყვიტა. ადამიანებს ამოძრავებდათ ურყევი რწმენა იმისა, რომ მდულარეთი, ცეცხლით, შანთით გამოცდისას მართალ კაცს ხელი არ დაეწვებოდა, ღმერთი ამას არ დაუშვებდა, ხოლო თუ დაეწვებოდა, ის ნამდვილად დამნაშავე იქნებოდა, სასამართლო ორთაბრძოლისას კი ღმერთი აუცილებლად მართალ მხარეს გაამარჯვებინებდა.

ორდალები ქართული სამართალწარმოებისათვისაცაა ცნობილი XVII-XVIII საუკუნეების ისტორიული თუ სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების მიხედვით. მათში, ძირითადად, სამი სახის ორდალი ჩანს: **მდულარე, შანთი და ხმალში გატანება ანუ სასამართლო ორთაბრძოლა.** სამივე მათგანს ასახელებს ვახტანგ VI სამართლის წიგნში. შანთსა და მდულარეს ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-8 და მე-9 მუხლები. მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ „შანთი და მდულარე ორივე ერთი არს“. ვისაც მდულარით ან შანთით გამოცდას დაუნიშნავენ, შესაბამისი რიტუალის წინ ლოცვის საშუალება უნდა მისცენ.

მდულარე წყლით გამოცდა ასე ტარდება: მოედანზე, ან სადმე „გამოსაჩენ ალაგს“, ე.ი. საჯაროდ, საზოგადოების წინაშე ქვაბში წყალი უნდა აადუღონ და შიგ რკინის, სპილენძის, თუნდაც ვერცხლის ჯვარი ძაფით ჩაჰკიდონ. როგორც კი წყალი ადუღდება, ქვაბი ცეცხლიდან უნდა გადმოდგან და ბრალდებულმა (ვისაც მდულარით გამოცდა დაუნიშნეს) ქვაბში ხელი უნდა ჩაყოს და ჯვარი ამოიღოს. ამის შემდეგ უმალ პარკში ხელს ჩაუდებენ და დაუბეჭდავენ. ასე უნდა იყოს მესამე დღემდე, შემდეგ კი გაუხსნიან. თუ ხელი დამწვარი არ ეჭნება, ბრალდებულს გაამართლებენ, თუ დაეწვება, გამტყუნდება, შანთით გამოცდისას რკინა უნდა გაახურონ, როცა რკინა გაწითლდება, ბრალდებულს ხელზე ქაღალდს ადებენ, ხოლო ზედ იმ გაწითლებულ რკინას. როგორც კი რკინას დაადებენ ხელზე, მაშინვე სამი ნაბიჯი, ნახტომი უნდა გააკეთოს წინ და შემდეგ რკინა გადააგდოს. სამართლებრივი შედეგი ისეთივეა, როგორც მდულარე წყლით გამოცდისას. მდულარესა და შანთის გამოყენება ხდებოდა მძიმე დანაშაულობების დროს: ვახტანგის სამართლის წიგნის მე-9 მუხლის შესაბამისად, ბატონის ღა-

ლატის, ეკლესიისა და ხატის გატეხვის, მრუშობისა და სხვა მსგავსი რამის შეწამებისათვის. შანთისა და მდულარის გამოყენებას სამართლის წიგნის სხვა მუხლებიც ითვალისწინებენ.

ხმალში გატანებას, ანუ სასამართლო ორთაბრძოლას ეხება ვახტანგის სამართლის წიგნის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც თავის მართლების ეს საშუალება მძიმე სახელმწიფო დანაშაულში ბრალდებისას გამოიყენებოდა; კერძოდ, მეფის ღალატისას, მეფის სალაროს გატეხვისას, ეკლესიისა და ხატის გაძარცვისას და სხვა მსგავს შემთხვევებში. სასამართლო დუელში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბრალდებულს, თუ ის უარყოფდა წაყენებულ ბრალდებასა და შემწამებელს (ბრალმდებელს). მათ ორთაბრძოლამდე 40 დღის განმავლობაში უნდა ელოცათ, ორთაბრძოლისას მოწინააღმდეგები მოედნის თავსა და ბოლოში უნდა დამდგარიყვნენ, შეძლებისდაგვარად შეიარაღებულნი, მათთან ერთად უნდა ყოფილიყო თითო მემთრახე (ერთგვარი სეკუნდანტი სასამართლო დუელში მონაწილისა), რომელთაც ფარისა და მათრახის მეტი არაფერი არ უნდა ჰქონოდათ. ისინი არ უნდა დახმარებოდნენ მხარეებს რომელიმე მათგანის ჩამოვარდნამდე. თუ რომელიმე მხარე შეტაკებისას ცხენიდან გადმოვარდებოდა, მემათრახენი უნდა მიხმარებოდნენ მას, არ უნდა დაეშვათ გამარჯვებულის მიერ მისი მოკვლა და წარედგინათ იგი მეფისათვის. მის ბედს მეფე გადაწყვეტდა. მეფე და ხალხი ორთაბრძოლას შორიდან უყურებდა, რათა არავინ დახმარებოდა. ცხენიდან ჩამოვარდნილი და გაქცეული, ცხადია, გამტყუნდებოდა, დამარცხებულის იარაღი გამარჯვებულს ეკუთვნოდა, ცხენი — მემათრახეს. თუ ორივე გადმოვარდებოდა, ქვეითად უნდა შებრძოლებოდნენ, რომელიც წააქცევდა, სიმართლეც მის მხარეს იქნებოდა.

საქართველოში ამ ორდალების გამოყენება სხვა ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება. ვახუშტი ბაგრატიონი თავის თხზულებაში — „აღწერაი სამეფოსა საქართველოსა“ — საუბრობს მათზე. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ ვხვდებით მინიშნებას შანთისა და სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ. როსტომ მეფის დროინდელი სასამართლო ორთაბრძოლის კონკრეტულ ფაქტს აღწერს XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე. ეს ორთაბრძოლა მოხდა ლუარსაბ ბატონიშვილის მკვლელასთან დაკავშირებით, როდესაც ვინმე სიაოშ ბარათაშვილმა ნადირობისას ბურუსით მოცული ეს მკვლელობა ვინმე

ბაინდურ თუმანიშვილს დააბრალა[1]. საქართველოში ორდალების გამოყენებას უცხოელებიც ადასტურებენ. ფრანგი ჟ. შარდენი მიუთითებს საქართველოში სასამართლო ორთაბრძოლის გამოყენებაზე. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი კი აღწერს მდუღარეთი გამოცდისა და სასამართლო ორთაბრძოლის ჩატარების წესს სამეგრელოში[2].

ვახტანგის სამართლის წიგნის სათანადო მუხლები მის შექმნამდე მოქმედი შესაბამისი ჩვეულებების ფიქსაციას წარმოადგენს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ XVIII საუკუნიდან ორდალთა გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში იზღუდება და ნელ-ნელა წყდება, მის ადგილს იკავებს სხვა მტკიცებულებები. მ. კეკელია აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ერთხელაც არ მიუმართავს ორდალისათვის, დასავლეთ საქართველოში კი მაინც გვხვდება ორდალთა გამოყენების შემთხვევები XVIII საუკუნის II ნახევარშიც, თუმცა შეზღუდულად[3]. როდესაც ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში ითვალისწინებდა ორდალებს, აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა უკვე სხვა მტკიცებულებებს ანიჭებდა უპირატესობას. ცხადია, კანონმდებლობა ერთბაშად ვერ შეაქცევდა ზურგს ჩვეულებითი სამართლით დადგენილ წესებს, რომელთაც ძველებურად აღარ იყენებდნენ პრაქტიკაში[4] (მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ხომ აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ორდალები არ გამოუყენებია).

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერაჲ სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 18; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. II, თბ., 1948, გვ. 230, საქართველოს ცხოვრება, მოთხრობა 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბ., 1913, გვ. 324-327.

[2] ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 90; ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 75-76.

[3] მ. კეკელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

[4] იქვე, გვ. 80.

შინაარსი

თავი I

ქართული სამართლის ისტორიის საგანი. მეთოდი. სისტემა 3

ქართული სამართლის ისტორიის საგანი 3
ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის მეთოდი 6
ქართული სამართლის ისტორიის სისტემა 7
ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერება 10
სამართლის ძეგლებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების აღმნიშვნელი ტერმინები და მათი შინაარსი 16
ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის წყაროები 21

საეკლესიო წყაროები 22
საერო ხასიათის წყაროები 25

ხელმწიფის კარის გარიგება 26
დასტურლამალი 27
ბაგრატ კურაპალატის სამართალი 28
გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი ანუ „ძეგლის დადება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ“ 29
ბექასა და აღბუღას კანონები ანუ „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოლისაჲ“ 30
სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა 31
მოსეს სამართლის ანუ ებრაული სამართლის ქართული ვერსია 32
ბერძნული სამართალი 34
სომხური სამართლის ქართული ვერსია 37

თავი II

ძველი ქართული სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი 42

სახელმწიფოებრიობის წარმოშობა და განვითარება ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე 42
დიაოხის (ტაოს) საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა 46
ისტორიული კოლხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება (XIII-VIII ს. ჩვ. წ.აღ-მდე) 50
კოლხეთი ჩვ. წ.აღ-მდე VI-IV საუკუნეებში 52
კოლხეთი ძვ. წ.აღ-ის II-I საუკუნეებში 54

იბერიის ანუ ქართლის სამეფოს წარმოქმნა (VI-IV სს. ჩვ. წ.აღ-მდე) 55

იბერიის ანუ ქართლის სახელმწიფო ძვ. წ.აღ-ის II-I საუკუნეებში ... 58

საქართველოს სახელმწიფოებრიობა I-III საუკუნეებში ... 60

იბერია ახ. წ-ის I-II საუკუნეებში ... 61

იბერიის სახელმწიფო წყობილება ახალი-წელთაღრიცხვიდან I-II საუკუნეებში ... 62

ქართლის საზოგადოებრივი წყობილება I-II საუკუნეებში ... 65

საქართველოს სახელმწიფოებრიობა ადრეფეოდალიზმის ხანაში ... 66

ქართლის სახელმწიფო IV-V საუკუნეებში ... 68

ქართლის სახელმწიფო V საუკუნის II ნახევარში ... 72

დასავლეთი საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში ... 72

იბერია და ლაზიკა (ეგრისი) VI-VII საუკუნეებში ... 75

ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის აღდგენა ... 76

ქართული სახელმწიფოებრიობა არაბთა ბატონობის პერიოდში (VII-VIII სს.) ... 78

ქართლის საზოგადოებრივი წყობილება IV-X საუკუნეებში ... 80

ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა (VIII-X სს.) ... 82

ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო წყობილება ... 85

ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა ... 89

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილება XI-XV საუკუნეებში ... 91

საქართველოს მეფე და მისი უფლებამოსილებები ... 92
დარბაზი (სამეფო კარი ანუ სახელმწიფო საბჭო) ... 96
სავაზირო ... 98
მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ... 99
ათაბაგი ... 101
ამირსპასალარი ... 102
მანდატურთუხუცესი ... 104
მეჭურჭლეთუხუცესი ... 106
მსახურთუხუცესი ... 107

გაერთიანებული საქართველოს ადგილობრივი მმართველობა ... 108

მონღოლთა შემოსევა და ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლა-დაქვეითება ... 112

სამცხის სამთავროს სახელმწიფო წყობილება XIII-XVI საუკუნეებში ... 120

საქართველოს კვლავ გაერთიანება გიორგი ბრწყინვალეს დროს ... 124

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XIV საუკუნის შუა ხანებიდან XV საუკუნის დასასრულამდე 126

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში 132

მდგომარეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში 132

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში 137

ა) ქართლი 137
ბ) კახეთი 138
გ) დასავლეთი საქართველო 139
დ) სამცხე-საათაბაგო 140

საქართველოს სახელმწიფოებრიობა XVII საუკუნეში 142

აღმოსავლეთი საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში 148

საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ფყობილება XVI-XVIII საუკუნეებში 153

ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი ფყობილება XVII-XVIII საუკუნეებში 155

ქართლის მეფე და მისი უფლებამოსილება 158
სახელმწიფო საბჭო (დარბაზი) 160

ქართლის სამეფოს მმართველობის უმაღლესი ორგანოები 161

1) სასახლის კარის მსახურნი და სამეურნეო-საფინანსო აპარატი 162
2) მეფის სამდივნო 167
3) საპოლიციო აპარატი 169
4) მეფის დაცვის ორგანიზაცია 172
5) სასამართლო ორგანიზაცია 173
6) განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი 174

აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი მმართველობა გვიანფეოდალურ პერიოდში 176

გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის საქალაქო მმართველობა 181

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში (იმერეთის სამეფო, ოდიშის (სამეგრელოს), გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) 184

ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის XVIII საუკუნის 40-80-იან წლებში 186

ქართლ-კახეთი XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე 189

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი 193
ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში ... 200
რუსული მმართველობის შემოღება დასავლეთ საქართველოში 204
რუსული მმართველობის შემოღება საქართველოს სხვა რეგიონებში (სამეგრელო, გურია, აფხაზეთი, სვანეთი) 207

თავი III

ძველი ქართული სისხლის სამართალი 218
დანაშაულის ცნება და არსი ძველი ქართული სამართლის მიხედვით 219
დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები 219
დანაშაულთა კლასიფიკაცია ძველ (ადრეფეოდალური ხანის) ქართულ სამართალში 222
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები 225
თანამონაწილეობა 229
დანაშაულის სუბიექტი ძველ ქართულ სამართალში 230
დანაშაულის სუბიექტური მხარე ქართულ სამართალში 234
სასჯელის მიზნები და სახეები ქართულ სამართალში 246
დანაშაულის სახეები ქართულ სამართალში 265
სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი 265
სქესობრივი დანაშაულებანი 267
ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი 269
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი 271
დაშაულის სახეები ქართული სისხლის სამართლის ძეგლების მიხედვით 273
დანაშაულის სახეები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით 289

თავი IV

ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი 306
სანივთო სამართალი 306
საკუთრების უფლების ფარმოშობის გზები და საშუალებები. საკუთრების უფლების შეწყვეტა 314
საკუთრების უფლების სახეები 318

ვალდებულებითი სამართალი 321
ვალდებულების ცალკეული სახეები 331
1) ყიდვა-გაყიდვის ინსტიტუტი 331
2) ნაჩუქრობის ხელშეკრულება 336
3) ქონების ქირავნობის ხელშეკრულება 339
4) ქონების უსასყიდლოდ სარგებლობა 342
5) სამისდღემშიო რჩენის სამართლებრივი ინსტიტუტი 344
სანდაზმულობა 345

თავი V
ძველი ქართული საოჯახო სამართალი 350
ქორწინება და განქორწინება 350
განქორწინება ძველი ქართული სამართლის მიხედვით 360
მეუღლეთა შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობები ქართული სამართლის მიხედვით 365
მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობანი 370

თავი VI
ქართული სამემკვიდრეო სამართალი 376
მემკვიდრეობითი სამართლის ობიექტები 380
კანონისმიერი მემკვიდრეობა 382
ანდერძით მემკვიდრეობა 388

თავი VII
სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი 394
სასამართლოების პირველანდელი ფორმები საქართველოში. სასამართლო ორგანიზაცია გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში 394
სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში 398
ა) სასამართლო ორგანიზაცია ქართლ-კახეთში 398
ბ) სასამართლო ორგანიზაცია იმერეთში 410
გ) სასამართლო ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოს სამთავროებში 411
სასამართლო პროცესი 413
სასამართლო მტკიცებულებანი 421
შინაარსი 439

გამომცემლობის რედაქტორი მანანა ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ანა წიგნაძე
კორექტორი მარინე კილაძე

ფასი სახელშეკრულებო